



— *Handwritten signature* —

საბჭოთა ქვეყნების ფლორისტისა



სამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1969

შესაძლოა ბევრს გაუკვირდეს კიდევ, ასეთი თემა რომ აეირჩიე. აქამდე მხოლოდ პოეტებზე, მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებზე ვწერდი; მეცნიერებზე, მკვლევარ-მეცნიერებზე კი არაფერი დამეწერა. ეგებ სწორედ ამანაც მიბიძგა, ამ თემას რომ მოვკიდე ხელი. ჩვენს დროში, როდესაც მეცნიერება ესოდენ დიდ ცვლილებებს ახდენს ადამიანის არსებობაში — როგორც გაუმჯობესების, ისე გაუარესების მხრივ, — სავსებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იწვევს ცხოვრება მეცნიერისა, მისი აზრთა მსვლელობა, მისი გამოკვლევების არსი

რატომ სწორედ ფლემინგზე შევაჩერე ჩემი არჩევანი? რომ გითხრათ, ფლემინგის დიდმა აღმოჩენამ გადაამწყვეტინა-მეთქი ამ წიგნის დაწერა, სავსებით ტარწმუნო იქნება. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ყოველივე ჩემი ნების გარეშე მოხდა. 1955 წლის ნოემბერში ლედი ფლემინგისაგან ბარათი მივიღე. იგი მთხოვდა აღმეწერა ცხოვრება მისი მეუღლისა, რომელიც იმ წლის დასაწყისში გარდაიცვალა. წერილმა ამაღელვა. ვუპასუხე, რომ თანახმა ვიყავი ერთად განგვეხილა მისი წინადადება.

ლედი ფლემინგი პარიზში მეწვია. იგი თვითონ ექიმობა-ბაქტერიოლოგი გახლავთ და ადვილად ამიხსნა ის პრობლემები, რომლებსაც უნდა შევხებოდი, თუკი დავთანხმდებოდი ფლემინგის ბიოგრაფიის დაწერას. აღმითქვა, რომ საშუალებას მომცემდა გავცნობოდი მისი მეუღლის ხელნაწერებსა და ნაშრომებს. თუმცა ფრიად დამაჭერებლად მელაპარაკა და, მართალი გითხრათ, წერის საღერღელი ამიშალა, მაინც ვთხოვე ცოტა დრო მოეცა მოფიქრებისათვის.

ჩემს მერყეობას საკმაოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა. ერთი მხრივ, ვფიქრობდი, რომ ამ ამოცანას ჩემზე უკეთ მეცნიერი დაძლევადა; მეორე მხრივ, თვით ფლემინგის, ამ სიტყვაძვირი და გულჩათხრობილი კაცის ხასიათი მწერლისათვის საკმაო სიძნელეს ჰქმნიდა. მაგრამ სიძნელე, როგორც არ უნდა იყოს ის, ერთგვარი გამოწვევაა. აქ კიდევ წამაქეზეს ჩემმა ფრანგმა მეგობრებმა: პროფესორმა რობერ დებრემ და ჟორჟ პორტმანმა, რომლებიც იცნობდნენ ფლემინგს, აგრეთვე პასტერის ინსტიტუტის თანამშრომელმა დოქტორმა ალბერ დელონემ, რომელიც დამპირდა, რომ მომაწოდებდა ყველა საჭირო ცნობას ბაქტერიოლოგიის სფეროდან.

ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ახალგაზრდობაში ერთი გულჩათხრობილი შოტლანდიელი ავსახე რომანში „სიტყვაძვირი პოლკოვნიკი ბრამბლი“. იქნებ ახლა, მოხუცებულობის ჟამს „სიტყვაძვირი პროფესორი ფლემინგი“ დამეწერა? ხომ შეიძლება, ვფიქრობდი, რომ ასეთმა სიმეტრიამ ერთგვარი სულიერი კმაყოფილება განაძლევინოს ადამიანს? ბრამბლსაცა და ფლემინგსაც ერთნაირი, თუმცა კი სხვადასხვაგვარად გამოვლენილი, დადებითი თვისებები ახასიათებდათ. მომწონდა, რომ მათში ფარული იუმორი შერწყმული იყო ლოიალობასა და თავისთავადობასთან, მხიბლავდა მათი თავშეკავებულიობა და შალაგონიერება. ერთი სიტყვით, წიგნის დაწერაზე თანხმობა განვაცხადე.

ოდნავადაც არ ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი. როცა ახლოს ვაკეცანი მეცნიერთა მუშაობის მეთოდებს, მათი ცხოვრების ნირს, ბევრი ახალი რამ შევიტყვე. სულ მალე ისიც გავიგე, რომ ეს, ერთი შეხედვით უშვიდი ცხოვრებაც ვერ აცდენილა ზოგადსაკაცობრიო დრამებს. ურთიერთობა ფლემინგსა და მის მასწავლებელ ალმროტ რაიტს შორის ასეთი დრამის ყველა ელემენტს შეიცავდა. ლაბორატორიის ცხოვრება მეცნიერთა ჯგუფის ცხოვრებაა. შევეცადე ამის აღწერას. რაც უფრო უკეთ ვეცნობოდი ჩემს გმირს, მით უფრო მეტად მომწონდა და მიზიდავდა იგი.

ლედი ფლემინგის დიდსულოვანი და მუდმივი მხარდაჭერა რომ არ მქონოდა, ვერ შევაგროვებდი ჩემთვის აუცილებელ მასალებსა და ნომსწრეთა ცნობებს. ლონდონში ყოფნისას ლედი ფლემინგის მეშვეობით მოვინახულე ყველა, ვინც კი დაკავშირებული იყო ფლემინგის ცხოვრე-

ბასთან: მეცნიერები, მედიკოსები, მეგობრები. მოულოდნელი სიხარული განვიცადე, როცა მათ შორის შევხვდი დოქტორ ჯ. უ. ბ. ჭეიმსს, რომელსაც უნდა უმადლოდეს დოქტორი ო'გრედი (ჩემი პირველი ნაწარმოების გმირი) ესოდენ ბრწყინვალე და პარადოქსულ იდეებს. ძაფები, რომელთაგან ნაქსოვია ჩვენი ცხოვრება, ზოგჯერ მოულოდნელად, უჩვეულოდ და უაღრესად კეთილსასურველად გადაიხლართება ხოლმე.

რომ ჩამომეთვალა ყველა, ვინც უაღრესად თავაზიანობა გამოიჩინა ჩემს მიმართ და მიაგებო ან ჩამაწერინა თავისი მოგონებები, მეტისმეტად გრძელი სია შედგებოდა. წიგნში ყველა მოვიხსენიე, ვისი ნაამბობიც მოყვანილი მაქვს. უღრმეს მადლობას მოვახსენებ მათ. პირველ რიგში განსაკუთრებული მადლობა მეტქმის ლედი ფლემინგის მიმართ, რადგან თუ არა იგი, ეს წიგნი არ დაიწერებოდა; ასეთივე მადლიერებით უნდა მოვიხსენიო მისტერ რობერტ ფლემინგი, რომელმაც ძვირფასი ცნობები მომაწოდა თავისი ძმისა და გულითადი მეგობრის სერ ალექსანდრეს ბავშვობასა და ყრმობაზე; დოქტორი რობერტ ფლემინგი, მეცნიერის ვაჟიშვილი, და, ბოლოს, დოქტორი ალბერ დელონე, რომელიც ჭერ იყო და მოთმინებით მიკაფავდა გზას, შემდეგ კი პატივი დაშლო წაეკითხა ჩემი ხელნაწერი და კორექტურა.

წიგნს ბოლოში მეცნიერული ტერმინების ახსნა დავუტოე.

I. იგი შოტლანდიაში დაიბადა.

როგორც ყველა ქემზარიტ შოტლანდიელს, მეც ბავშვობიდანვე მიმაჩვიეს სიფრთხილეს.

ფლემინგი

შოტლანდიელები არამც და არამც ინგლისელები არ არიან. არა ერთხელ ყოფილან ისინი ინგლისის მმართველები. ბევრი გამოჩენილი ადამიანი და მრავალი სახელოვანი მხედართმთავარი მისცეს მათ დიდ ბრიტანეთს. მიუხედავად ამისა, შოტლანდიელები სხვა ვერად თვლიან თავიანთ თავს. საამისო საფუძველიც აქვთ. შოტლანდიელი ერი ნარევია ირლანდიიდან და უელსიდან მოსული კელტების, აგრეთვე ანგლების, სკანდინავიელების, ტევტონებისა და ფლამანდიელების. შოტლანდიელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკვიდრო კავშირში იყვნენ საფრანგეთთან. შოტლანდია ჯერ კათოლიკური ქვეყანა იყო, შემდეგ პრესვიტერიანული, და ის მუდამ უარყოფდა იერარქიას და ანგლიკანური ეკლესიის რიტუალს. შოტლანდიელმა აზნაურებმა, მოქალაქეებმა და გლეხებმა XVI საუკუნეში ხელი მოაწერეს და XVII საუკუნეში საზეიმო ვითარებაში განაახლეს ხელშეკრულება, ეგრეთწოდებული „კოვენანტი“, რომლითაც სამარადქამო ერთგულება შეჰფიცეს თავიანთ ეკლესიას. XIX საუკუნეში კვლავინდებურად ცოცხალი იყო „კოვენანტორების“ სული. პრესვიტერიანული რელიგია რამდენადმე ნაკლებ შეზღუდული კი გახდა, მაგრამ სიმკაცრე მაინც არ დაჰკლებია. შაბათის წესი უცილობლად უნდა ყოფილიყო დაცული. შოტლანდიელისათვის უცხო იყო XVIII საუკუნის ინგლისის არისტოკრატის თავისუფლად მოაზროვნე სკეპტიციზმი.

სილარიბემ და სასტიკმა ზნე-ჩვეულებებმა მტკიცე ნებისყოფისა და ვაეკაცური სულის ხალხი შეჰქმნა. სილარიბის მიზეზი მწირი ნიადაგი,

უგზობა და მკაცრი ჰავა იყო. ფერმას მხოლოდ ერთი ოჯახის გამოკვება შეეძლო. უმცროსი ბავშვები ქალაქში მიემშურებოდნენ და უნივერსიტეტში ეწყობოდნენ. იქ მათი ცხოვრების ნირი გამოირჩეოდა უალრესი თავშეკავებულობით, ერთ ტომარა შვრიას ჩამოიტანდნენ სოფლიდან და ხშირად მხოლოდ ამით გაჰქონდათ თავი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ინგლისში მიემგზავრებოდნენ და შრომისმოყვარეობის წყალობით ბრწყინვალე კარიერას აღწევდნენ. უსახსროდ გატარებული ღუხჭირი სიჭაბუკე მომჭირნეობას აჩვევდა მათ. ინგლისში დასაცინად გაუხდიათ მათი სიძუნწე, ისევე როგორც მათი ენა, რადგან ლაპარაკში დროდადრო კელტურ სიტყვებს გაურევენ ხოლმე, ბგერა „რ“-ს კი ისეთი ძალუმი სმიანობით წარმოთქვამენ, გეგონებათ, მთიდან დაშვებული ნიაღვარი ქვებს მოაგრუხუნებსო. ინგლისელები ქილიკობენ, თითქოს ამ ჩრდილოელ იმიგრანტებს იუმორის გრძნობა არ გააჩნდეთ. ირწმუნებიან, ვინ იცის რამდენმა წყალმა უნდა ჩაიაროს, ვიდრე შოტლანდიელი ხუმრობას მიხვდებაო.

მცდარი აზრია. შოტლანდიელებს თავისებური იუმორი ახასიათებთ, ინგლისურისაგან ფრიად განსხვავებული. ინგლისელებს მოსწონთ გრძელი ამბის მოყოლა, გულისამაჩუყებელისა და ამავე დროს დამცინავის. შოტლანდიელებს კი ლაკონიური, ენამწარე და შოლტივით მოქნეული იუმორი სჩვევიათ. ზოგჯერ ამას ერთადერთი სიტყვით გადმოსცემენ, თანაც ისე წარმოთქვამენ ამ ერთ სიტყვას, სახეზე ნირიც კი არ შეეცვლებათ. არც ისაა მართალი, თითქოს მათი ყაირათიანობა სიძუნწე იყოს. შოტლანდიელები მომჭირნეობას იჩენენ, როცა უსახსრობას განიცდიან, და საკმაოდ ხელგაშლილნი არიან, როცა ინგლისელების ხარჯზე მილიონების პატრონი გახდებიან. შოტლანდიაში სტუმართმოყვარეობა კეთილშობილურ ტრადიციადაა ქცეული. მკაცრ „კოვენანტორს“ შეგვიძლია დავუპირისპიროთ რომანტიკული შოტლანდიელი, უოლტერ სკოტის გმირი, თავისი სტვირითა (bagpipes) და საოტრად ლამაზი ტანსაცმლით: ქრელი „შოტლანდიურისაგან“ შეკერილმა ქვედაწელმა, რომელსაც kilt ეწოდება, მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი; თავზე gengarry ხურავთ, კუბოკრული ქობით შემოვლებული; ქვედატანის ზემოდან ბეწვეულის ჩანთას sporran-ს ჩამოკიდებენ ხოლმე. და ამით მთავრდება მათი მორთვა-მოკაზმვა. შოტლანდიელები ყოველთვის თავდადებული და მამაცი მეომრები იყვნენ. ჯერ კიდევ ბანოკბერნის ბრძო-

ლაში* გაითქვეს მათ-სახელი და იმ უამიდან მოყოლებული არაოდეს შერცხვენილან. უკანასკნელ ორ მსოფლიო ომშიც ხომ ბევრჯერ ისახელეს თავი. შოტლანდიელის სულსა და გულში ჩაუქრობელი ცეცხლი გიზგიზებს, მაგრამ ცეცხლი იგი ფარულია და ამიტომ უხილავიც. მითუმეტეს, რომ შოტლანდიელი ყოველნაირად ცდილობს მის დამალვას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ჩრდილოეთ შოტლანდიის მთიელებს (Highlanders) და ბარის მცხოვრებთ (Lowlanders). მაგრამ სინამდვილეში ისინი კარგა ხანია ერთმანეთში გაითქვიფენ ადგილგადანაცვლებისა და ქორწინების მეოხებით. მთიელები, ისევე როგორც ბარის მკვიდრნი, ემოციურნი და რომანტიულნი არიან და გულმხურვალედ უყვართ თავიანთი ხალხი, მაგრამ ყველაზე მეტად ამ ქვეყნად სხვის წინაშე გულგახსნილობისა ეშინიათ. ამიტომაც არიან სიტყვაძვირნი და ყოველნაირად ერიდებიან გრძნობის გამომჟღავნებას, მითუმეტეს, თუ ეს გრძნობა ძლიერია. ინგლისელების ირონიულმა დამოკიდებულებამ ალბათ კიდევ უფრო გააძლიერა მათი ბუნებრივი გულჩათხრობილობა. ბოსუელს მოჰყავს ერთი ცნობილი ინგლისელის, დოქტორ ჯონსონის კვიპატი გამონათქვამი შოტლანდიელებზე. მართალია, ჯონსონს მტრობა კი არ ედო გულში, უბრალოდ იოხუნჯა, მაგრამ წარამარა ქირდაობამ გული გაუტენა შოტლანდიელებს. და თუ პირქუშობასა და გულცივობას ამბობენ მათზე, ისიც უნდა დასძინონ, რომ ეს თავდაცვის ხერხია. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მათი რამდენადმე გამომწვევი ქცევა. ბარის მცხოვრებთ მწარე ენა აქვთ. ხოტბის შესხმით დიდად თავს არ იწუხებენ, სამაგიეროდ სხვისა პატარა წაფორხილებაც არ გამოეპარებათ. წესად აქვთ, რომ შექებას აუცილებლად წინ წაუშეშვანონ გაკილვა. მუდამ „შებოჭილად“ გრძნობენ თავს. ნაწილობრივ ამის ბრალიცაა, რომ ზედმეტად ეტანებიან ვისკის. სასმელი ხომ ენასაც ამოადგმევინებს კაცს და გრძნობასაც გაამხელინებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, შოტლანდიელები მშვენიერი ხალხია. ამ ხალხს, მკაცრ პირობებში გამობრძმედილს, მდიდარი და თავისებური ტრადიციები აქვს, სულიერად ისინი რომანტიულნი არიან, მაგრამ მშვილდივით მოზიდულნი და მიუნდობელნი.

* ბანკებრის ბრძოლით (1314) დამთავრდა დამოუკიდებლობისათვის დაწყებული ომები, რომლებსაც აწარმოებდნენ შოტლანდიელები ინგლისელთა წინააღმდეგ (განმარტებანი ეკუთვნის ე. ერბურგს).

ფლემინგი საკმაოდ გავრცელებული გვარია შოტლანდიაში. ამ გვარისანი იყვნენ ალბათ ფლამანდიელი ფეიქრები და ფერმერები, რომლებიც რელიგიური დევნის გამო ზღვის იქითურ ქვეყანაში გადასახლდნენ. ჩვენი ფლემინგის პაპა, ჰიუ ფლემინგი, დაიბადა 1773 წელს ლანარკის საგრაფოში, Low Ploughland-ში, შოტლანდიის ბარში, მათი ოჯახის კუთვნილ ფერმაში. ჰიუ ფლემინგს ცოლად შეურთავს მეზობელი ფერმერის ქალიშვილი — მერი კრაიგი. High Ploughland-ში (ჩრდილოეთ შოტლანდიის ზეგანი) კრაიგები ალბათ დიდი ხნის წინ დასახლდნენ, რადგან ერთ-ერთ მათგანს ავონდალის დროშა ეპყრა ხელთ 1679 წელს დრემკლოგეს ბრძოლის დროს.

ამ მიწათმოქმედთა ურიცხვი შთამომავლობა მთელ ქვეყანას მოეფინა, ზოგნი ლონდონში დასახლდნენ, ზოგნი კი მეზობელ საგრაფოებში. ჰიუ ფლემინგმა, ალექსანდრეს მამამ, გრაფ ლაუნდისაგან იჯარით აიღო ფერმა — ლოკფილდ-ფარმი — და ასი აკრი მიწა. ფერმა მდებარეობდა სამი საგრაფოს — ლანარკის, ერისა და რენფრუს — შესაყარი საზღვრის მახლობლად. ერშირის ტერიტორიაზე; მიწის ნაკვეთი ამ საგრაფოს საზღვარს გასდევდა. ფერმა განცალკევებით იყო გაშლილი ერთ ბორცვზე. ორგვლივ, მთელ იმ არემარეზე, არავინ ბინადრობდა. ერთადერთი შარაგზა ფერმასთან მიდიოდა და იქ მთავრდებოდა. ასე რომ, გამვლელ მგზავრს აქ ვერავინ ნახავდა. მკაცრი ჰავის გამო პური არ მოჰყავდათ, მხოლოდ შვრიასა და საკვებ კულტურებს თესავდნენ, მისდევდნენ ცხვრისა და ძროხის მოშენებას. შრომისმოყვარე ოჯახი ძლივძლივობით ირჩენდა თავს. ფერმისაკენ მიმავალი გზა მიემართებოდა მწვანე ბორცვებზე, რომელთა შორის ჩხრიალით მორაკრაკებდნენ პატარა ნაკადულები. ლოკფილდ-ფარმის უკან მანანას ბუჩქებით მოფენილი უპატრონო ადგილები გადაჭიმულიყო. ამ უკიდევანო უდაბურ სივრცეში ადამიანი ნებაუნებურად სამყაროს უსასრულობასა და თავისი თავის უსუსურობას განიცდიდა.

ჰიუ ფლემინგმა ორჯერ იქორწინა. პირველ ცოლთან ხუთი შვილი ჰყავდა — ერთი პატარაობისას მოუყვდა. დანარჩენებს ერქვათ: ჯენი, ჰიუ (უფროსი ვაჟი, რომელიც ფერმის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო), ტომი და მერი. დაქვრივებულმა ჰიუმ, სამოცი წლისამ შეიერთო გრეის მორტონი, მეზობელი ფერმერის ქალიშვილი. მეორე ცოლთან ოთხი

შვილი ეყოლა: გრეისი, ჯონი, ალექსანდრე (ალეკი), დაბადებული 1881 წლის 6 აგვისტოს, და რობერტი.

უმცროსი შვილები მამას მოხუცებულობაში მოესწრნენ. თმაჭალარა, უაღრესად კეთილი, მაგრამ მძიმედ დასნეულებული ბერიკაცი დღენიადაგ სავარძელში იჯდა, ცეცხლს მიფიცებულს. ერთხელ უკვე გადაეტანა წვეთის დაცემა და კარგად იცოდა, რომ დღეები დათვლილი ჰქონდა. მოხუცი შიშით ფიქრობდა მომავალზე, აწუხებდა ოჯახის ბედი მისი სიკვდილის შემდეგ. ფერმას ჰიუ-უმრწემესი განაგებდა, ტომი გლაზგოს უნივერსიტეტში სწავლობდა საექიმოზე. მოახერხებდნენ თუ არა განათლების მიღებას ჯონი, ალეკი, რობერტი? ხელს გაუმართავდნენ თუ არა მათ უფროსი ძმები? მოხუცს ამის იმედი ასულდგმულვებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მისი შვილები არ უღალატებდნენ შოტლანდიურ ტრადიციებს. მეორე ცოლი შესანიშნავი ქალი გამოდგა, მან მშვენივრად მოახერხა ერთ მტკიცე, მეგობრულ ოჯახად შეეკავშირებინა თავისი შვილები და გერები.

ჰიუს ოჯახის ზოგადი ტიპი ფიზიკურად ფრიად მიმზიდველი გახლდათ: ღია-ცისფერი თვალები, შუბლგახსნილი მზერა. ალეკი ჩაფსკენილი ბიჭუნა იყო, ქერათმიანი; მაღალი შუბლი და დედისგან გამოყოფილი ნაზი, მომხიბლავი ღიმილი საამო იერს აძლევდა. მთელ დროს თავის უფროს ძმასთან ჯონთან და ორი წლით მასზე უმცროს რობერტთან ატარებდა. რობერტს ბობს ეძახდნენ. ბავშვები ლაღად იზრდებოდნენ. ველური ბუნების წილში ცხოვრება მათ მკვირცხლ გონებას ცნობისმოყვარეობით აღავსებდა. სკოლაში ყოფნის შემდეგ მთელ თავისუფალ დროს ცის ქვეშ ატარებდნენ, ფეხით შემოვლილი ჰქონდათ მთელი არემარე, მანანას ბუჩქებით მოფენილი თვალუწვდენელი ქეიშრობი — ლანდები. ბუნება, უპირველესი და უუკეთესი მასწავლებელი, დაკვირვების უნარს აღვივებდა ბავშვებში.

ორი მდინარე მოედინება ამ მხარეში — გლენ-უოტერი და ლოკ-ბერნი. პატარები ხშირად თევზაობდნენ, კალმახს იჭერდნენ და გულდაამით ეცნობოდნენ ამ მფრთხალი თევზის ზნეს. ლოკ-ბერნი პაწაწინა მდინარეა, მაგრამ დაუშორებელი წყარო აწვდის წყალს. კალმახს კი სწორედ ასეთი მდინარე უყვარს, რადგან იგი ცხელ ზაფხულშიც არ შრება. morss *-ზე ბოცვერები და ჯურდლუბი ბინადრობენ. ბავშვები

* მანანის ბუჩქებით დაფარული ტორფნარი.

უთოფოდ დადიოდნენ სანადიროდ, თან დაჰყავდათ ერთი ბებერი ძაღლი, რომელიც ადვილად პოულობდა კორდების სქელი ფენის ქვეშ შემალულ ბოცვერებს. ალექი ერთი მხრიდან შეჰყოფდა ხელს კოლბოხის ქვეშ, ბობი — მეორე მხრიდან; პატარა მონადირეებს თავიდანვე დათქმული ჰქონდათ, ნადავლი შეხვდებოდა მას, ვინც პირველი ჩაავლებდა ხელს ბოცვერს უკანა თათებში. ასეთი, ამერიკელი ტრაპერების წესით ნადირობა კი, მოგეხსენებათ, განსაკუთრებულ სისწრაფესა და სიმარჯვებს მოითხოვს.

ბავშვები სხვა ხერხითაც ნადირობდნენ ხოლმე. ზაფხულის თბილ დღეებში ბოცვერები თავიანთი სოროებიდან გამოდიან და ლელიანში იმალებიან. ბიჭუნები სეირნობით აუვლ-ჩაუვლიდნენ რაყას. განაბულ ბოცვერს რომ შეამჩნევდნენ, ვითომცდა აქ არაფერიო, თავს მალღობა წვედნენ და ნელი ნაბიჯით განაგრძობდნენ სიარულს. შემჩნეული ჰქონდათ, რომ ბოცვერი მანამდე არ დაფრთხება, სანამ ადამიანის თვალებს არ წააწყდება მისი მზერა. ბიჭუნები მიეპარებოდნენ გატრუნულ ყურცქვიტას და უცებ მოსხლეტით ზედ დაეცემოდნენ მთელი ტანით. ასაკოვანი ადამიანი ამას ვერ შესძლებს, რადგან სანამ წაიქცეოდეს, ბოცვერი გაქცევას მოასწრებს. პატარა ბიჭუნები კი ადვილად ახერხებდნენ ამას. თურმე არც ერთხელ არ მოცარვიათ ხელი ასეთი წესით ნადირობისას.

ბორცვებზე უამრავი ფრინველი ბუდობდა, მაგრამ კაკაბსა და შოტლანდიურ როჭოს (grouse) უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა. გრაფ ლაუნდს თავისი სამფლობელოს სანადიროდ გაქირავება მეტ შემოსავალს აძლევდა, ვიდრე ფერმების იჯარით გაცემა. გაზაფხულობით მოფრინდებოდნენ მეჭვავიები და პრანწიები, რომლებიც მდელოებზე იკეთებდნენ ბუდეებს. ბიჭუნებმა შეამჩნიეს, რომ ეს ფრინველები ამჯობინებენ ძროხის საძოვრებს და ერიდებიან ცხვრის საბალახო ადგილებს. თურმე ცხვარს მატყლი რომ სცვივა, პარტყებს ფეხებში ებლანდებათ. როჭო კი, პირიქით, ცხვრის საძოვარს ირჩევს, რადგან ამ ფრინველის ბარტყი უფრო ღონიერია.

ბავშვებს არავინ უშლიდა მეჭვავიას კვერცხების მოგროვებას. ისინიც გონივრულად სარგებლობდნენ ამ ნებართვით. მოხეტიალე ვაჭარი სიამოვნებით ყიდულობდა მათგან კვერცხებს (თითო ცალს ოთხ პენსად), რომლებსაც შემდეგ ლონდონში აგზავნიდა, სადაც ისინი პირის ჩასატყ-

ბარუნებელ საკმლად ითვლებოდა. ასე რომ, ბიჭუნები ჯიბის ფულს შოულობდნენ. კვერცხების მოპოვებას დაკვირვებულობა და გონების გამჭირახობა სჭირდებოდა. აუცილებელი იყო იმის ცოდნა, რომ ბარტყების გამოსაჩქად დაბუდებული მეჭვავია ადამიანის ან ცხოველის მოახლოებისას, სანამ აფრინდებოდეს, ჯერ კარგა ხელა მანძილს გაირბენს ბალახებში, რათა გზა აუბნინოს მტერს და იმ ადგილიდან დააშოროს, სადაც კვერცხები უწყევია ბუდეში. ამიტომ ჯონი, ალექი და ბობი ბუდეს ჩიტის აფრინის ადგილას კი არ ეძებდნენ, არამედ ცოტა მოშორებით. ბუდეს რომ მიაგნებდნენ, ყველა კვერცხს როდი ამოიღებდნენ იქიდან. ნაწილს შიგვე ტოვებდნენ, რათა ფრინველს შთამომავლობა არ მოსპობოდა.

მოტლანდიაში მკაცრი ზამთარი იცის. ატლანტიკის ოკეანედან მონაბერი ქარები უმოწყალოდ დათარეშობენ გორაკებზე და თოვლის ნამქერით გაუვალს ხდიან გზას. ამიტომ როდესაც ფერმის მცხოვრებთ ქალაქში უნდათ სანოვაგეზე წასვლა, ნიჩბით უნდა გაიკვალონ ბილიკი. თუ, ღამით ქარი განსაკუთრებული სიკაპასით აღრიალდებოდა, ეს ქარბუქის ნიშანი იყო და გაფენებისთანავე უნდა ეძებნათ ჩანამქერებული ცხვარი, რომელსაც პოულობდნენ თოვლზე დამჩნეული მოყვითალო ლაქით — ცხოველის სუნთქვის კვალით. ბუნება, გონიერ მოძღვრობას უწყევდა ბავშვებს. ასეთი პრაქტიკული გაკვეთილებით ფლემინგმა პატარახობიდანვე ისწავლა დასკვნების გაკეთება ყოველივე იქიდან, რასაც საკუთარი თვალით ნახულობდა, ისწავლა დაკვირვებისდა კვალობაზე მოქცევაც.

როდესაც წამოიზარდა, ალექი ცხვრის კრეჭაში ჩააბეს უფროსებმა. საბავსო სეზონი რომ დადგებოდა, მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ერთ ფერმაში დამთავრდებოდა სამუშაო და ახლა მეორე ფერმაში გადაინაცვლებდა ნადი. ცხვარს კრეჭდა შვიდი თუ რვა კაცი, ერთს ცქვარი მოჰყავდა, მეორე კი ბარდანაში ტენიდა მატყლს. ალექს ზოგჯერ ცხვარს აკრეჭინებდნენ, ზოგჯერ კი მის მოღვენასა და ღატკერას ავალებდნენ. ბავშვს ძალიან მოსწონდა ეს სამუშაო. უზომოდ კმაყოფილი იყო, რადგან გულიანად ერთობოდა. „სოფლის მცხოვრების შრომა, — ამბობდა შემდგომ ფლემინგი, — უთუოდ ქალაქელისაზე უფრო მძიმეა. სამაგიეროდ, სოფელს ადამიანური ცხოვრება აქვს. ყოველდღიურად ერთი და იმავე სამუშაოს შესრულება როდი უხდება“.

ხუთი წლის ალექი სკოლაში მიაბარეს. ლოკუილდიდან დაახლოებით ერთი მილის დაშორებით მდებარეობდა ერთი პატარა სკოლა, სადაც ფერმერთა შვილები სწავლობდნენ. სკოლას მისასვლელი გზაც არ ჰქონდა. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ბიჭუნები მაინც დაუზარებლად ჩამოდოდნენ ბარში, გადავილიდნენ მდინარეზე გადებულ ბოგირს და ავიდოდნენ გორაკზე, სადაც მასწავლებელი ელოდებოდა მათ. ერთხელ, ავდარში, ჯონსა და ალექს გზა აბნევიათ და ძალიან უწვავლიათ ქაბბუქში. ალექი შემდეგ იგონებდა, დიდი ყინვების დროს დედა ბავშვებს ორ-ორ ცხელ კარტოფილს გვაძლევდა. გზაში ხელებს ვითბობდით, სკოლაში მისვლისას კი გემრეილად შევექცეოდითო. წვიმიან ამინდში ყელზე ჩამოჰკიდებდნენ გამოსაცვლელ წინდებსა და ფეხსაცმელებს. დარში კი ფეხშიშველა დადიოდნენ სკოლაში. ან კი რა სჭირდათ მოსარიდებელი. თორმეტი თუ თხუთმეტი მოსწავლიდან. ცხრანი ფლემინგები ანდა მათი ნათესავეები იყვნენ.

სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავდა — ოცი წლის ქალიშვილი. ყველა მოსწავლე, ასაკისდა მიუხედავად, ერთ კლასში იჯდა. ალექს კარგად ახსოვდა თავისი პირველი მასწავლებელი — მარიონ სტირლინგი, აგრეთვე მეორე — მარტა ერლი. ალბათ ძალიან უყვარდათ ამ ქალებს თავიანთი პროფესია, თორემ რა ვააძლებინებდათ ასეთ მიყრუებულ იდგილას. გაკვეთილების ცხრილი არ ჰქონდათ: საუზმის შემდეგ, კარგ ამინდში, მასწავლებელს მდინარის პირას ჩამოჰყავდა თავისი მოწაფეები. და თუ ბავშვები რაიმეთი გაერთობოდნენ, მასწავლებელი არ უშლიდა. მიუხედავად ამისა, სწავლა მაღალ დონეზე იყო დაყენებული და კარგ ნაყოფსაც იძლეოდა.

დროდადრო ამ პატარა სკოლაში, რომელიც განმარტოებით იდგა ქვიშიან ტრამალზე, ინსპექტორი ჩამოვიდოდა მოწაფეების გამოსაცდელად. მის ეკიბაჟს შორიდანვე მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს და, თუ ამ დროს მოწაფეები და მასწავლებელი მდინარის პირას გრილდებოდნენ იმის ნაცვლად, რომ სკოლაში ემეცადინათ, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ხელად აირბენდნენ გორაკზე, ეზოს მხრიდან შემოუფლიდნენ შენობას და ფანჯრებიდან გადაძვრებოდნენ კლასში. და როცა ინსპექტორი სკოლის კარს შემოადებდა, მოწაფეები, ვითომც აქ არაფერიყო, ისე იხსდნენ მერხებზე, ერთი მათგანი კი დაფასთან იდგა და გაკვეთილს პასუხობდა. გამოცდები წარმატებით ტარდებოდა; მასწავლებელს ისეთი

ალტაცებული სახე ჰქონდა, ბავშვები უთქმელადაც ხვდებოდნენ, რომ ინსპექტორი კმაყოფილი იყო. ეს ახალგაზრდა ქალი კითხვას, ისტორიას, გეოგრაფიასა და არითმეტიკას ასწავლიდა მოწაფეებს.

ჩვეულებრივ რვა-ცხრა წლის ასაკში ფლემინგები მეზობელი ქალაქის — დარველის სკოლაში აგრძელებდნენ სწავლას, მაგრამ ალექი მულამ იმას იმეორებდა, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ჩემს განათლებაში შეასრულა ტორენარის გორაკზე წამოჭიმულმა პატარა სკოლამ და ყოველდღიურად აქეთ-იქით სიარულმაო „მე მგონი, ბედმა გამიღიმა, — ამბობდა იგი, — რომ მრავალწვილიან ოჯახში ვიზრდებოდი, ქვემნარ დაბლობზე განლაგებულ ფერმაში. სახარჯო ფული არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ ხარჯიც არ გვქონდა. ჩვენ თვითონვე უნდა მოგვეგონებინა თავშესაქცევი გასართობი, ეს კი არც თუ ისე ძნელი იყო: ფერმაში შინაური ცხოველები გვყავდა, თევზებიც, ფრინველებიც და ბავშვები, ჩვენდა უწებურად, უამრავ ისეთ რამეს ვგებულობდით, ქალაქში გაზრდილს წარმოდგენაც რომ არა აქვს“. ქალაქელი ბავშვები წიგნით სწავლობენ; პატარა ფლემინგებისათვის კი თვით ცოცხალი ბუნება იყო წიგნი.

დარველის სკოლაში ალექი კარგად სწავლობდა, თუმცა კლასში ბირველ მოწაფედ არ ითვლებოდა. დილა-საღამოს ბიჭუნას ოთხ-ოთხი მილის გავლა უხდებოდა ფეხით. ამან უკვალოდ არ ჩაიარა. ფლემინგმა არ იცოდა, რა იყო დაღლა. ერთი მარცხიანი შემთხვევის შემდეგ ალექს ცხვირი ჩაემტვრა და მოკრივესავით სამუდამოდ დარჩა ეს დაღი. ერთხელ იგი სახლის გარშემო დარბოდა და უცებ კუთხეში დაეჯახა მეორე მხრიდან გამოქცეულ მოწაფეს, ჯექსონს, რომელიც მასზე დაბალი იყო. ალექმა მის შუბლს ცხვირი მიარტყა და ხრტილი გაიტეხა. დიდხანს ჰქონდა სისხლის დენა. როდესაც გასიებული ცხვირი დაუცხრა, გამოირკვა, რომ ბავშვს სახის იერი შესცვლოდა. მაგრამ ტკივილი არ აწუხებდა და ამიტომ ქირურგთან არ წაუყვანიათ. ალექ ფლემინგს სამუდამოდ დარჩა მოკრივის ცხვირი; მაგრამ ამ ნაკლს მისი სახე არ დაუმახინჯებია.

თორმეტი წლისამ დაამთავრა დარველის სკოლა. დადგა საკითხი: ფერმაში უნდა დარჩენილიყო სამუშაოდ, თუ სწავლა გაეგრძელებინა? დედამისმა და უფროსმა ძმებმა გადაწყვიტეს, რომ ალექი მიეზარებინათ ერის საგრაფოს ერთი დიდი ქალაქის კილმარნოკის საშუალო სკოლაში. ეს ქალაქი სახელგანთქმულია თავისი მუზეუმით, რომერტ ბერნსის

ძველით და ყველის ცნობილი ბაზრობებით. იმხანად გაჰყავდათ რკინი-
გზა, რომელსაც დარველი კილმარნოკთან უნდა დაეკავშირებინა, მაგრამ
გზის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, და ალექს ყოველ
ჰარასკევ საღამოს და ორშაბათ დილით ათი კილომეტრის გავლა უხდებოდა
ფეხით სადგურიდან ფერამდე ან ფერმიდან სადგურამდე. ამან
ხელი შექიშოთ შემენარჩუნებინა ფორმა, — ამბობდა იგი, — და დიდი
სარგებლობა მომიტანა*. სკოლა მოთავსებული იყო ერთ დიდ შენობაში,
გორაკის თავზე. კილმარნოკის სკოლაში სწავლება მშვენიერად იყო
დაყენებული, მოწაფეებს ხშირად უწყობდნენ გამოცდებს და ისინიც
მუდამ მზად იყვნენ ცოდნის გამოსამყლავებლად.

„სკოლაში ორმოცდაათიდან სამოცამდე მოწაფე ეიჯავით, ამიტომ
ცალ-ცალკე თითოეულის მიმართ მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას
იჩენდა, საერთოდ კი მაინც კარგად ვსწავლობდით. დოქტორი დიკი,
ჩვენი headmaster*-ი, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პიო-
ნერად ითვლებოდა. მთელი წლის განმავლობაში, ძირითადად თეორიუ-
ლად, ვსწავლობდით რომელიმე ორ საგანს შემდეგი დისციპლინებიდან:
„არაორკანული ქიმია, მაგნეტიზმი და ელექტროობა, სითბო, სინათლე
და ბგერა, ფიზიოლოგია“. მაგრამ, ალექსანდრე ფლემინგის ერთი თანა-
შედროვის სიტყვით, „მეცნიერებას პრიმიტიულად ასწავლიდნენ. საკით-
ხავია, რამე თუ შესძინა ალექს კილმარნოკოს სკოლაში მოსმენილმა,
ფოქვით, ქიმიის გაკვეთილებმა“**. პასუხი: ბევრი არაფერია.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერ ფლემინგების ოჯახი დიდ მნიშვნე-
ლობას აძლევდა თავისი ბავშვების განათლებას. ფლემინგი ყოველთვის
ესეთ სკოლაში სწავლობდა, რომელიც საუკეთესო იყო მათ მხარეში
და ალექსანდრეს ასაკს შეეფერებოდა. საერთოდ შოტლანდიელებმა
სწავლის ფასი და ყადრი იციან. ბევრი მათგანი იძულებულია მიატოვოს
საშობლო და ლინდონში გაიკაფოს ცხოვრების გზა. ამიტომ მათ
მშვენიერად ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნას ინგლისში
ჩამსვლელისათვის.

ალექსანდრეს უფროს ძმას, ჰიუსს, მარტოს მოუწია ფერმაში მეურ-
ნეობის გაძღოლა, მეორე ძმა, პროფესიით ექიმი, ტომასი (შემოკლებით
ტომი) ინგლისში დასახლდა. პირველ ხანებში კერძო პრაქტიკით ფიქ-

* სკოლის დირექტორი (ინგ.).

** აგნესა ტ. სმიტისა და მღვდელ ჰამილტონ დენეტის ნამბობიდან.

რობდა თავის რჩენას და სადგურ ბეკერ-სტრიტის მახლობლად (მერი-ლებონ-როდი, 144) სახლი იქირავა. მაგრამ პაციენტები რატომღაც დი-ღად არ ეტანებოდნენ. ერთხელ შემთხვევით გაიცნო ერთი ქირურგ-ოკულისტი, რომელსაც მოხუცებულობის გამო თავი დაენებებინა პრაქტიკისათვის. ოკულისტმა ტომასს ურჩია ოფთალმოლოგიისათ-ვის მოეკიდა ხელი, თანაც დახმარება აღუთქვა. ტომასი დათანხმდა. არ გასულა დიდ ხანი და მისი უმცროსი ძმა ჯონიც ჩამოვიდა ლონდონში. ნაცნობმა ქირურგმა ახლა იგი დაარიგა, კარგი იქნება, თუ ოპტიკას შეისწავლიო, და სათვალის დამამზადებელ ფაბრიკაშიც კი მოაწყო სამუშაოდ. მაგრამ ფირმა უიღბლო გამოდგა და მთელი საქმე ჩაიფუშა. თუმცა ეს კია, რომ ჯონს შესანიშნავი პროფესია, შერჩა ხელთ. ჯონ ფლემინგმა და შემდგომ კი მისმა ძმამ რობერტმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამ სარბიელზე.

ალეკი რომ ჩამოვიდა ლონდონში (მაშინ იგი ცამეტნახევარი წლისა იყო), ტომასს ის-ის იყო მიეკრა თავის კარზე ფირნიში: „ოკულისტი“ და, ცხადია, ჯერ კიდევ არ იყო ცხოვრებაში საიმედოდ ფეხმოკიდებ-ული. მიუხედავად ამისა, კლანის წესისამებრ მაინც შეიხიზნა თავისი უმცროსი ძმა. ამას მოითხოვდა მისი ბედის განმგებელი ოჯახის ინ-ტერესები. გადაწყდა: ჰიუ და დედამისი გაუძღვებოდნენ ფერმის მეურნეობას, სანამ ჰიუ დაცოლშვილდებოდა. იმ არემარეში გან-თქმული იყო მისის ფლემინგის ყველი. ამ ნაწარმს ყველა ეტანებოდა. ამდენად, ლოკფილდ-ფარმს ერთ ხანს შეეძლო მერილებონ-როდის ბინადართა რჩენა. ალექის ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ ლონდო-ნელებს რობერტი უნდა შემატებოდა. და მაშინ. ოთხი ძმა: ტომასი, ჯონი, ალექი და რობერტი — ერთად იცხოვრებდნენ ამ უცხო ქვეყა-ნაში და ყოველგვარი საზეიმო დაპირებების გარეშე ვაჟაკურად მხარში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს, ხოლო მათი ერთ-ერთი და, მერი, მეოჯახეობას გასწევდა.

ასე გამოეთხოვა ალექ ფლემინგი კალმახით სავსე მდინარეებს, კურდღლის სოროებს, ჩიტის ბუდეებს და გადასახლდა დიდ ხმაურიან ქალაქში, სადაც ხეებსა და ბალახს მხოლოდ პარკებსა და სკვერებში თუ ნახავს კაცი. 1895 წელს მოხუცი დედოფლის უიქტორიას მეფობის მზე დასაჯალს უახლოვდებოდა. მიწისქვეშა რკინიგზა, რომელიც მაშინ

ჯერ კიდევ ორთქლით მუშაობდა, ყოველ ათ წუთში მიწისძვრასაკით აზანზარებდა მერილებონ-როდზე მდებარე სახლს. ქუჩებში დაქპრაოდნენ ეკიპაჟები — hansom cabs*, ცხენის ომნიბუსები, ტრამვაის ვაგონები. ალექ და რობერტ ფლემინგები იმპერიალზე წამოსკუპდებოდნენ კონდუქტორის გვერდით და ათვალეერებდნენ ლონდონს, ეცნობოდნენ უცხო ქალაქის ენას. მთიდან ჩამოსული ბიჭუნების ყურს ეხამუშებოდა უხეში ლანძღვა-გინება, რომლითაც უხვად ამკობდნენ მეეტლეები ერთმანეთსაც და ფეხით მოსიარულეებსაც. ძმებმა და ათვალეერეს ტაუერი, ვესტმინსტერის სააბატო, იყვნენ ბრიტანეთის მუზეუმში, სამხატვრო გამოფენებზე. ფლემინგებს ერთად სეირნობა უყვარდათ, მაგრამ თავიანთ წინაპართა ტრადიციას არ ღალატობდნენ და გაბუტულეებივით ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. თუ რომელიმე მათგანი რაიმე საინტერესოს მოჰკრავდა თვალს, ძმას ხელით ანიშნებდა.

საღამოობით, ოჯახის წევრები ერთად რომ შეიყრებოდნენ, ტომი იყო გართობის ავანჩავანი. განსაკუთრებით უყვარდა ვიქტორინები გეოგრაფიის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო საკითხებზე. თითოეული ძმა ჩამოდიოდა ერთ პენსს, და ვინც მოიგებდა, მთელი ფული მას რჩებოდა. ეს თამაში კარგი მომზადება იყო გამოცდებისათვის. ერთხელ ტომმა მოკრივის ხელთათმანები მოიტანა სახლში და ვიქტორინის ნაცვლად მატჩი გამართა. მაგრამ მერის ეს არ მოეწონა, რადგან კრივს, მისი აზრით, შეიძლება უთანხმოება ჩამოეგდო ძმებს შორის. ამიტომ არც აცია, არც აცხელა და ხელთათმანები გადაყარა. ბუნებრივია, ლონდონში სეირნობასა და საღამოობით თავშექცევას მალე მოელო ბოლო, რადგან ყმაწვილები გულმოდგინედ შეუდგნენ მეცადინეობას. ალექი სასწავლებლად მოეწყო პოლიტექნიკურ სკოლაში, რომელიც რიჯენსტრიტზე მდებარეობდა. ცოტა ხნის შემდეგ იმავე სკოლაში ჩაირიცხა რობერტიც. რაკი ტომს თავისი სამედიცინო კარიერის დასაწყისში მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდა ცხოვრებაში გზის გასაკაფავად, თავისუფალ პროფესიებზე გული აიყარა და საიმედოდ მხოლოდ საქმიანი კარიერა მიაჩნდა. ამიტომ ძმები მან სასწავლებლის კომერციულ განყოფილებაზე ჩაირიცხა. თუმცა, ბერძნულისა და ლათინურის გამოკლებით, აქაც იგივე დისციპლინები ისწავლებოდა.

* ორთვალა ეკიპაჟი. რომელსაც მეეტლე ზურგსუკან უხის.

საწავლებელში მიღებისას ალექი თავისი ასაკის შესაფერის კლასში ჩარიცხეს. მაგრამ თანატოლებთან შედარებით ისეთი ღრმაცოდნა გამოამჟღავნა, რომ ორი კვირის შემდეგ ერთბაშად ოთხი კლასით წინ გადაიყვანეს. ასე რომ, იგი გაცილებით უფრო პატარა იყო თანაკლასელებთან შედარებით. სწავლების შოტლანდიური მეთოდი ნაყოფიერი აღმოჩნდა. ფლემინგების ლაპარაკის კილო პირველ ხანებში საქილიკოდ გაიხადეს, და ძმები სირცხვილის ოფლში იწურებოდნენ. შემდეგ და შემდეგ კი დარწმუნდნენ, რომ ინგლისელები საკმაოდ დიდსულოვანნი და მოწყალენი არიან იმათ მიმართ, ვისაც ბედმა ინგლისში დაბადება არ არგუნა, რომ შოტლანდიურ აქცენტს თავისი უპირატესობაც კი აქვს. ინგლისელები ღმობიერი თანაგრძნობით ექცეოდნენ ამ ფიზიკური ნაკლის მქონეთ. ეგზოტიკა მოსაწონია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ერშირული კილოკავი მართლაც მეტისმეტად თავისებურია, ამიტომ ძმები ფლემინგები შეეცადნენ სწორ გამოთქმას დაუფლებოდნენ. თუმცა ეს კია, რომ ენიჰაუც, სულითაუც და ქცევითაუც ისინი ბოლომდე ჰემშარიტ შოტლანდიელებად დარჩნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ფლემინგთა ოჯახის მომავალი თითქმის სავსებით უზრუნველყოფილი იყო ტომის კლიენტურა თანდათან მატულობდა. უფრო დიდი სახლიც იქირავა იორკ-სტრიტზე, 29; ძმებიც მასთან გადასახლდნენ. მერი გათხოვდა, და მის ნაცვლად ოჯახის მომვლელად ყველაზე უმცროსი და გრების ჩამოვიდა. ალექსა სამსახური დაიწყო სანავიგაციო კომპანია „ამერიკენ ლაინში“, ლედენჰოლ-სტრიტზე. კომპანია ოთხი ძველი, მაგრამ საკმაოდ დიდი სამგზავრო ხომალდის მფლობელი იყო. პირველ ხანებში ალექს აძლევდნენ „მშვენიერ გასამრჯელოს — ორნახევარ პენსს საათში“. იგი გულმოდგინედ ასრულებდა თავის მოვალეობას. თუმცა სულაც არ მოსწონდა ეს სამუშაო, ბედს შეურიგდა და უდრტვიწველად ეწეოდა კაპანს. ჯონი და რობერტი ერთად მუშაობდნენ ოპტიკური ხელსაწყოების ფაბრიკაში. პიუ ლოკფილდში დარჩა, სოფლად, ბუნების წიაღში ყოფნა არჩია მან ძმების შესაგვსად ქალაქში ცხოვრებას. მაგრამ ლონდონში გადმოსახლებულ ფლემინგებს კვლავინდებურად უყვარდათ ფერმა, შვებულების დროს უეჭველად სოფელს მიაშურებდნენ და იყო ერთი გახურებული ნადირობა და თევზაობა. მართალია, ძმებს კრინტიც არ დასცდენიათ ამაზე, მაგრამ მომავლისათვის ათას-

გვარ გეგმებს აწყობდნენ და ახლა არაგზით არ დათანხმდებოდნენ ამ მივარდნილ გორაკზე მთელი ცხოვრების გატარებას.

1899 წელს დაიწყო ინგლის-ბურების ომი. სამ წელიწადსაც არ გაველო იმ დღიდან, დიდი ზარ-ზეიმით რომ აღინიშნა დედოფალ ექტორიას მეფობის სამოცი წლისთავი, და, აი, აფრიკის კონტინენტის სამხრეთში ორმა პატარა აგრარულმა რესპუბლიკამ * გაბედა წინ აღდგომოდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლევამოსილი ქვეყნის ნება-სურვილს. ეს უთანასწორო ბრძოლა პირველ ხანებში ღიმილს იწვევდა ლონდონელ მოქალაქეებში. ქუჩებში გამოფენილი ბრბო სიმღერით ეჭადნებოდა კრიუგერს.** შობის წინაღამეს ერთად ვიზიემებთ პრეტორიაში*** მაგრამ პირველმა მწარე მარცხმა დიდი შემუფთოება გამოიწვია ინგლისში. ბევრი მოხალისე წივიდა არმიაში. ჯონი და ალეკი, შემდგომში რობერტიც ჩაეწერნენ ლონდონის შოტლანდიურ პოლკში, რომელიც მხოლოდ შოტლანდიელებისაგან იყო შედგენილი. ექიმებისა და ადვოკატების უმრავლესობა ამ პოლკში რიგით ჯარისკაცებად ითვლებოდნენ, ამიტომ ურთიერთობა ოფიცრებსა და ხელქვეითებს შორის უფრო მარტივი იყო, ვიდრე ბრიტანეთის არმიაში.

ლონდონის შოტლანდიურ პოლკში ჩარიცხულნი სამხედრო სამსახურს მშვენიერად ახამებდნენ სპორტულ კლუბებში მონაწილეობასთან. ფლემინგები, რომლებმაც კარგი ცურვა იცოდნენ, წყალბურთელთა გუნდში ჩაეწერენ. ალეკი შესანიშნავი მსროლელი გამოდგა. დაკვირვებულობა სხვათა შორის აქაც გამოადგა. იგი რიგითი ჯარისკაცი იყო, მაგრამ სულაც არ ცდილობდა დაწინაურებას. ალეკი ჩარიცხეს H ასეულში — პოლკის უკანასკნელ ასეულში, რომელიც ყოველთვის კუდში იყო მოქცეული; და რადგან არც დაფდაფების ხმა აღწევდა ამ სიშორეზე და არც სტვირისა, ქვეითები მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვით და ყურადღების განსაკუთრებული გამახვილებით ახერხებდნენ ფეხაწყობილ სიარულს.

„H ასეულის ჯარისკაცები, — წერდა ფლემინგი, — ჯიუტი ხალხი იყო, ნამდვილი ეგოცენტრიკები და მხოლოდ საკუთარ კანონს ემორ-

* ტრანსვაალი და ორანჯის რესპუბლიკა.

** ტრანსვალის პრეზიდენტი.

*** ტრანსვალის დედაქალაქი.

ჩილებოდნენ“. ჰოდა სწორედ ამ H ასეულმა განაცვიფრა მთელი ბატალიონი, როცა მოიგო „Celestial“-ი, ყოველწლიური სასროლი შეჯიბრების დროს დაწესებული ჯილდო. ეს გამარჯვება ასეულმა ნაწილობრივ ფლემინგის წყალობით მოიპოვა, ალექი ხომ მანამდეც რამდენჯერმე გაიგზავნა ბიზლში ეროვნულ სასროლო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. სპორტულ წარმატებას ინგლისში განსაკუთრებით აფასებს საზოგადოების ყველა ფენა. ამ დღიდან მოყოლებული ეს ლამაზთვალეა და ცხვირჩატეხილი სიტყვაძვირი რიგითი ჯარისკაცი მთელი პოლკის საყვარელ ადამიანად იქცა.

მოხალისეები გაცილებით მეტნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ეს საექსპედიციო კორპუსს ესაჭიროებოდა და ამიტომ ბევრი მათგანი არც კი გაუგზავნიათ ტრანსვაალში. ალექ ფლემინგი ინგლისში დარჩა და კვლავ თავისიანებთან ცხოვრობდა. ერთხელ იგი თავის პოლკთან ერთად ედინბურგში მიემგზავრებოდა. ვაგონში ტყეა არ იყო და მას, როგორც ყველაზე ტანმორჩილს, საბარგო ცხაურზე მიუჩინეს ადგილი. მთელი გზა ასე იმგზავრა თურმე. ტომის საექიმო პრაქტიკის საქმე კარგად მიდიოდა, და ახლა იგი პარლემენტში გადისაბლდა. ამ რაიონში ცხოვრობდნენ უკვე სახელგანთქმული ექიმები. პიუმ ცოლი შეირთო და სამუდამოდ ფერმაში დარჩა საცხოვრებლად. მისი ფლემინგი დაქვრივების შემდეგ ლონდონის გარეუბან ილინგში გადასახლდა, რათა ალექის, ჯონისა და რობერტის საოჯახო საქმიანობას გაძლოლოდა. ძმებმა უზომოდ გაიხარეს საყვარელი დედის ჩამოსვლით. ტომის საქმეები კარგად წავიდა და ამან რამდენადმე გული მოუბრუნა მას თავისუფალი პოფესიებისაკენ. იგი ახლა იმაზე წუხდა, რომ, მისი აზრით, ალექი ფუჟად ხარჯავდა თავის ბრწყინვალე ნიქსა და უნარს ისეთ საქმეზე, რომელსაც მომავალი არ ჰქონდა. განა ბევრად უკეთესი არ იქნება სამედიცინო სკოლაში რომ შევიდოდეს იგიო?— ფიქრობდა ტომასი. ალექი ოცი წლისა იყო, როცა ბიძამისმა ჯონმა მემკვიდრეობა დაუტოვა, ამან სწორედ დროზე გაუმართა ხელი.

ჯონი უცოლშვილოდ გადაგებული კაცი იყო. თავისი ცხოვრება ფერმაში გაატარა, შოტლანდიის სამხრეთ ნაწილში. მთელი ავლადილება, რაც კი რამ გააჩნდა, მან ნათესავებს დაუტოვა — ძმებს, დებს, ძმისწულებსა და დისწულებს. იმდროინდელ პირობაზე (ინგლისისათვის) ჯონი საკმაოდ მდიდარი კაცი იყო, — ყოველ შემთხვევაში, ალექის წილხვედრილი მერვედი ნაწილი მისი ქონებისა წელიწადში

ორას ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგ შემოსავალს იძლეოდა: ტომმა ურჩია ძმას სამსახურისათვის თავი დაენებებინა, ხოლო მემკვიდრეობით მიღებული ფულითა და სტიპენდიით (თუკი მიიღებდა მას) გაეტანა თავი და დაემთავრებინა სასწავლებელი. მართალია, ალექი ცოტა დაგვიანებით იწყებს სწავლას, მაგრამ სრულიადაც არ ექნება სანანებელი კომპანიაში ნამსახურები ხუთი წელიწადით. „იქ მე არავითარი უნივერსიტეტული ცოდნა არ შემიძენია, — ამბობდა ფლემინგი, — სამაგიეროდ ბევრი რამ შევიტყუე რეალურ ცხოვრებაზე. ამან დიდი უპირატესობა მომანიჭა დანარჩენ სტუდენტებთან შედარებით, როლებიც სამედიცინო სასწავლებელში პირდაპირ სკოლის მერხიდან მოვიდნენ, და ერთხელაც არ გადაუდევთ განზე სახელმძღვანელო, რათა ცხოვრების წიგნში ჩაეხედათ“.

იგი მართლაც სჯობდა სხვა სტუდენტებს, მაგრამ უპირატესად იმის წყალობით, რომ თოთხმეტი წელიწადი გაატარა ბუნების წიაღში, სადაც ბავშვები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ეჩვეოდნენ დაკვირვებულობას და სადაც მკაცრი ჰავა და შრომის ჩვევები საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნად აღამიანებდად ზრდიდა. ალექი ნებაუნებურად პატარაობიდანვე გახდა ბუნების მკვლევარი და მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა გარე სამყაროს მოვლენათაგან. თუმცა იგი კარგად გრძნობდა თავის უპირატესობას, მაინც ძველებურად ფრთხილი, თავმდაბალი და სიტყვაძვირი შოტლანდიელი იყო. ამ თავშეკავებულობაში გამოსჭვიოდა დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი და ნაზი გულისხმიერება. შრომისმოყვარეობასთან ერთად ფლემინგი უაღრესად აფასებდა სათნოებას, განსაკუთრებით — ხასიათის სიმტკიცეს. იგი ერთგული იყო თავისი ოჯახის, თავისი პოლკის, თავისი გუნდის, შოტლანდიის, ბრიტანეთის იმპერიის. ოცი წლის ჰაბუკს ჭერაც შემორჩენოდა ბავშვური მომხიბვლელობა. თავის ამხანაგებთან შედარებით ბევრად უფრო ეიოლებოდა სწავლა და, ბეჭითი მოწაფესავით, პატარა წარმატებაც კი უზომო, მაგრამ ფარულ სიხარულს ჰგვრიდა.

II. მიხვეულ-მოხვეული გზა

— გაცილებით უკეთ მოიხილავდი
ხალს,— გაიფიქრა ალისამ,— ბორც-
ვზე რომ შემძლებოდა ასეღა; აი ბი-
ლიკიც... მაგრამ საოცრად დაკლანძი-
ლია ფი.

ლუის კეროლი

შრავალი სხვა ბრიტანული დაწესებულების მსგავსად სამედიცინო სასწავლებლების დაარსებაც ინგლისში თვითდინებით, წინასწარ მოფიქრებული ერთიანი გეგმის გარეშე ხდებოდა. უნივერსიტეტის შექმნამდე ბევრად უფრო ადრე ლონდონის თორმეტევე საავადმყოფოს ცალ-ცალკე საკუთარი სამედიცინო სკოლა ჰქონდა. უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ საავადმყოფოებთან არსებული სამედიცინო სასწავლებლებიც მის შეუერთდა, მაგრამ ადრე დამოუკიდებლად არსებობამ ის უფლება შეუნარჩუნა ამ სკოლებს, რომ სტუდენტების მიღება შეეძლოთ საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობის გარეშეც, მაშინ როდესაც უნივერსიტეტში შემსვლელთ აუცილებლად თხოვდნენ ასეთ საბუთს. ეს სტუდენტები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალურ დიპლომებს ღებულობდნენ. საექიმო პრაქტიკის უფლება კი ეძლეოდათ მაფ, მაგრამ სამეცნიერო ხარისხების მოპოვება არ შეეძლოთ.

ფლემინგს არ ჰქონდა უნივერსიტეტში მოწყობისათვის საჭირო მოწმობა, მას საერთოდ არავითარი დიპლომი არ გააჩნდა, ამიტომ ჯერ საშუალო სკოლის გამოცდები უნდა ჩაებარებინა და მხოლოდ შემდეგ ეფიქრა სამედიცინო სასწავლებელში შესვლაზე. ალექი სახელდახელთ მოემზადა კერძო მასწავლებლებთან და პედაგოგიური კოლეჯის გამომცდელთა წინაშე წარსდგა. საფიქრებელი იყო, რომ კანტორის ახალგაზრდა მოხელე, რომელმაც ხუთი წლის წინ შეწყვიტა სწავლა, ვერ შეძლებდა საკმაოდ ძნელი გამოცდების ჩაბარებას.

მაგრამ ფლემინგს მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი ზოგადი განათლება (ქვიშრობში მიკარგული ერთი პატარა სკოლის წყალობით), ამავე დროს იგი გამოირჩეოდა შესანიშნავი მეხსიერებით, მკვლევარისათვის დამახასიათებელი მაღალგონიერებით — ძირითადის შკვლევის უნარით, და თხრობის თანდაყოლილი ნიჭით. ლამაზი, დახვეწილი სტილით შექმლო გაეშუქებინა ეს: თუ ის პრობლემა: ფლემინგი ყველაზე უფრო ძლიერ პრეტენდენტად იქნა აღიარებული მთელ გაერთიანებულ სამეფოში (1901 წლის ივლისი).

საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობის მიღებამ ალექს გზა გაუხსნა, ახლა მას შეეძლო ნებისმიერ სამედიცინო სასწავლებელში მოწყობა. „ლონდონში, — წერდა იგი შემდგომ, — იმხანად ოცი სამედიცინო სასწავლებელი იყო, სამი მათგანი ერთნაირი მანძილით, იყო დაშორებული ჩემი სახლიდან. არც ერთ სკოლას არ ვიცნობდი, მაგრამ ლონდონის შოტლანდიური პოლკის წყალბურთელთა გუნდში ყოფნისას ერთხელ სენტ-მერის სტუდენტების წინააღმდეგ ვითამაშე; და ახლა, როცა არჩევანის წინაშე დავდექი, სწორედ სენტ-მერის სასწავლებელში შევედი“. კაცს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს სასწავლებლის არჩევა სპორტული მოსაზრებით. მაგრამ სწორედ ამით შეგვიძლია გავიგოთ ფლემინგის ხასიათის ერთი ფრიად საგულისხმო თვისება: ჩვევად ჰქონდა, უაღრესად სერიოზული საკითხიც კი ცოტაოდენი ფუქსავატობითა და ფანტაზიით შეეკმაზა. ფლემინგისათვის უცხო იყო ბდენძიაობა, მისი ინტერესების მრავალფეროვნებას ხომ ნამდვილად ბოლო არ უჩანდა.

სენტ-მერი შედარებით ახალი საავადმყოფო იყო, იგი გაიხსნა 1854 წელს პადინგტონში, რომელიც სწრაფად გაიზარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ რაიონში დიდი ვაგზალი ააშენეს. სენტ-მერის მომავალი შენობის პირველი აგური პრინც ალბერტმა დადო. ალექსანდრე ფლემინგი 1901 წლის ოქტომბერში შევიდა ამ სამედიცინო სასწავლებელში. ამავე დროს იგი მზადებას შეუდგა უნივერსიტეტში მოსაწყობად. 1902 წელს ალექსა იოლად ჩააბარა გამოცდები. შემდგომში მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სასწავლებლის კურსდამთავრებულ სტუდენტთა კონკურსში, რომელიც გაიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პირველი ხარისხის სტიპენდიის მოსაპოვებლად. ამ შეჯიბრების დროს ფლემინგის ყველაზე საშიში მეტოქე იყო კ. ა. პანტი, შესანიშნავი სტუდენტი, რომელსაც ალექსთან

შედარებით ბევრად უკეთესი განათლება ჰქონდა მიღებული. მიუხედავად ამისა, ფლემინგი კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდა. სანეროდ, ასე ხდებოდა ყოველთვის — ყველა გამოცდაზე, ყველა კონკურსზე. პანეტი, რომელიც შემდგომ მისი მეგობარი გახდა, ასე ხსნიდა ფლემინგის მუდმივ წარმატებებს: „თავიდანვე გამოვლინდა მისი ერთი თავისებურება: ფლემინგმა იცოდა ადამიანების ცნობა და მათი მოქმედების წინასწარ ამოცნობა. იგი არასოდეს ხელს არ ჰკიდებდა ფუჭ საქმეს. ალექს უნარი შესწევდა ამოერჩია სახელმძღვანელოდან მთავარი და უკუეგლო ყოველივე დანარჩენი“.

ფლემინგი ყურადღებით უსმენდა და გულმოდგინედ იწერდა იმ პროფესორების ლექციებს, რომლებთანაც გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი, ამავე დროს სწავლობდა მათ ხასიათს, რასაც, მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იგი ყოველთვის შეუშეცდარად წინასწარმეტყველებდა, თუ რა შეკითხვებს მისცემდნენ მას გამოცდებზე. ერთი სიტყვით, იგი ისე ექცეოდა პედაგოგებს, როგორც დაკვირვებისათვის ხელსაყრელ ბუნების მოვლენებს, გამოცდები კი მისთვის განსაკუთრებული მეცნიერების საგანს წარმოადგენდა.

მაგრამ ეს გახლდათ მისი წარმატებების მხოლოდ და მხოლოდ მცირეხარისხოვანი მიზეზები. ფლემინგი ირწმუნებოდა, რომ ყველა მეცნიერების დარგში თავიდანვე ადვილად მიაკვლევ სწორ პასუხს, თუ საღი გონება გაქვს და ღრმად იცი ძირითადი პრინციპებიო. უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი მუდამ იყენებდა ხოლმე ამ მარტივ წესს, და თანაც წარმატებით, რასაც, სხვათა შორის, დიდად არაფრად აგდებდა. ამხანაგები განცვიფრებული იყვნენ მისი მეხსიერებითა და დაკვირვებულობით. მათ საერთოდ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ ფლემინგზე. ალექი საკმაოდ უკარება იყო და ეს ან მორცხვობით მოსდიოდა, ანდა მისთვის დამახასიათებელი თავშეკავებულობით. მიუხედავად ასეთი ხასიათისა, ერთ ხანს იგი სტუდენტების კომედიურ დასში მონაწილეობდა და ქალის როლიც კი შეუსრულებია სცენაზე; პინეროს პიესა „როკეტ“-ში უთამაშია ფრანგი ქალი, ვითომ ქვრივი ფაბრიკეტა, და თურმე „გაცილებით უფრო მაცდუნებლად განასახიერებდა ამ უზნეო ქალბატონს, ვინემ იგი ამის ღირსი იყო“. მეორე ქალის როლს ასრულებდა კ. მ. უილსონი, რომელიც შემდგომში ლორდი მორანი და უინსტონ ჩერჩილის ექიმი გახდა.

„არც მახსოვს, სწავლობდა თუ არა ფლემინგი ანატომიასა და

ფიზიოლოგიას. ყოველ შემთხვევაში, ისე მეჩვენებოდა, რომ იგი ნაკლებ დროს უთმობდა ამ საგნებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ვცდებოდით,—გვიამბობს პანეტი, — მართლაცდა, იგი ხომ ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. მე არც მოცურავეებისა და არც მსროლელების გუნდში არ ვყოფილვარ და ამიტომ საშუალება არ მომცემია მეყურებიან ფლემინგისათვის სპორტულ მეცადინეობებზე. ახლა ეს სანანებლად მაქვს, რადგან; მომსწრეთა ჩვენებით, სწორედ სპორტული შეჯიბრებების დროს ვლინდებოდა თურმე ყველაზე უკეთ მისი ხასიათი. იგი სპორტის ყველა სახეობაში გამოირჩეოდა, თუმცა ჩემპიონი არ ყოფილა; ფლემინგი ძალზე სწრაფად ითვისებდა ძირითად პრინციპებსა და ყოველგვარ ილეთებს და შედარებით იოლად ხდებოდა საშუალო სპორტსმენზე ბევრად ძლიერი.

მას უყვარდა დამატებითი სიძნელეების შექმნა მხოლოდ იმის ეშხით, რომ შემდეგ გადაელახა ისინი. მაგალითად, იგი პარტნიორებს თავაზობდა გოლფის თამაშს იმ პირობით, რომ ყველა მონაწილეს ერთი საერთო ჰოკიჯოხა ექნებოდა. სპორტში ფლემინგი იგივე ნეთოდს მიმართავდა, რასაც სწავლაში; ყველაზე არსებითს გამოავლენდა და მთელ თავის უნარს ამ მიმართულებით წარმართავდა, ადვილადაც აღწევდა მიზანს. იგი თითქოს დიდად არც იწუხებდა თავს გარჯით, ამიტომ ვინმეს შესაძლოა დილეტანტადაც ჩაეთვალა. მაგრამ ვინც ასე იფიქრებდა, უდიდეს შეცდომას დაუშვებდა. იგი გაცილებით უფრო ნიჭიერი იყო და გაცილებით უფრო სერიოზულად ეკიდებოდა საქმეს, ვიდრე უბრალო მოხალისე, თუნდაც ყველაზე ძლიერი; მაგრამ მას შეეძლო მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობითა და შნოიანი სიკონტავით შეენიღბა თავი და არ გაემყლაგნებინა, თუ რაოდენი ჯაფა დაადგა.

მე არ მახსოვს, რომ მას როდესმე ესაუბროს ფილოსოფიაზე, ისტორიაზე ან ლიტერატურაზე. ამიტომ საოცრად გამიკვირდა, როცა შევიტყვე, რომ თურმე იგი ლექსებს კითხულობდა (ბუნებრივია, უფრო ხშირად შოტლანდიელ პოეტს — ბერნსს). სიტყვაც კი აროდეს დაუძრავს ამაზე. გეგონებოდათ, მეცნიერულ ნაშრომებსაც ზერელედ ეკიდებო, ისე სასხვათაშორისოდ გადაათვალიერებდა ხოლმე. მაგრამ სტუდენტობის დროს მე და იგი ხშირად ვმონაწილეობდით კონკურსებში და, როგორც წესი, მე მუდამ მეორე ადგილზე გამოვდიოდით, რადგან პირველი იგი იყო“.

ზინც კი იმ დროს სენტ-მერიში სწავლობდა, ყველას ახსოვს დაუჯაბნელი ჩემპიონები — ფლემინგი და პანეტი, რომლებიც უცილობლად ყველა მედლის მფლობელები ხდებოდნენ. ალექსანდრე ფლემინგი ერთნაირად გამოირჩეოდა მედიცინის ყველა დარგში: ბიოლოგიაში, ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ჰისტოლოგიაში, ფარმაცოლოგიაში, პათოლოგიაში, თერაპიაში. და ამავე დროს, საღამოობით სახლში ყოფნისას, იგი მუდამ მზად იყო წიგნი დაეხურა და ძმებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ოჯახურ გართობაში: ბრიჯის, შაშის ან მაგიდის ჩოგბურთის თამაშში. გეგონებოდათ, ამ კაცს არ შეიძლება გადაუღებელი საქმე ჰქონდესო. „როდესაც იგი რომელიმე სამედიცინო წიგნს კითხულობდა, — გვიამბობს მისი ძმა რობერტი, — სწრაფად ფურცლავდა გვერდებს და, თუ, მისი აზრით, ავტორი ცდებოდა, ბუზღუნებდა, ხშირად ბუზღუნებდა“.

დოქტორი კარმალტ ჯონსი, რომელიც ერთხანს ფლემინგთან ერთად სწავლობდა, გვიამბობს, რომ XX საუკუნის დასაწყისში სენტ-მერიის საავადმყოფო უბადრუკ დაწესებულებას წარმოადგენდა. საავადმყოფოს პალატები „თვალს ვერ მოხიბლავდა“. კიდევ უფრო უარეს დღეში იყო სამედიცინო სკოლა — ჭუჭყიანი, ნახევრად ბნელი შენობა, მოწყობილობას ხომ ნულა იკითხავთ. მიუხედავად ამისა, სწავლება მაინც კარგად იყო დაყენებული. ანატომიის პროფესორი კლეიტონ გრინი მკაფიოდ, დახვეწილად კითხულობდა ლექციებს; ხშირად ისე საინტერესოდ, რომ სტუდენტები სულგანაბული უსმენდნენ. „ზუსტად ცხრა საათზე შემოვიდოდა აუდიტორიაში, ფიჭაკი უკვე გამოცვლილი ჰქონდა და თეთრი ხალათი ეცვა. ლექციების დროს თვალსაჩინოებას იყენებდა, — სხვადასხვა ფერის ცარციით შესანიშნავად გვიხატავდა დაუაზრ საილუსტრაციო მასალებს. ამის შემდეგ ანატომირების ოთახში მივდიოდით“.

გარკვეული თეორიული მომზადების შემდეგ სტუდენტებს საავადმყოფოში მუშაობის ნებას აძლევდნენ. გადაუღებელი დახმარების განყოფილებაში ისინი სწავლობდნენ ჩირქგროვის გაკვეთას, ზონდირებას, ქრილობის შეხვევას, კბილის ამოღებასაც კი, რაც მაშინ ადგილობრივი ანესთეზიის გარეშე კეთდებოდა. სტუდენტები ამ მოვალეობას ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ პრაქტიკანტების დახმარებით, რომლებსაც გაცილებით უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდათ. მედიცინა იმხანად გაჭირვებით ძლევდა რუტინას. პროფესორებს

ესა თუ ის ახირება სჩვეოდათ, სტუდენტებისათვის კი ეს კანონი იყო. ერთი პროფესორი, რომელთანაც მოუხდა თვლემინგს მოუშობა. პნევმონიის დროს სიცივეს იყენებდა — დაავადებულ მხარეზე ყინულიან ბუშტს ადებდა ავადმყოფს. ერთხელ ეს პროფესორი შვებულებაში წავიდა და იგი შეცვალა მეორე ექიმმა, რომელიც ამ დაავადებას ცხელი საფენებით მკურნალობდა. ამასობაში ავადმყოფს მეორე მხარეზე დაეწყო ფილტვის ანთება. ასე რომ, ცალ მხარეზე ყინულიანი ბუშტი ედო სნეულს, მეორე მხარეზე კი — ცხელი საფენი. ავადმყოფი მაინც განიკურნა.

1905 წელს ფლემინგი ერთი თვის განმავლობაში მებანობას ეწეოდა ბინაზე. მშობიარის ქმარი ჩვეულებრივ საავადმყოფოში მოაკითხავდა ხოლმე ექიმს და მიხვეულ-მოხვეული ქუჩიბანდებით წაიყვანდა თავის ღარიბულ ბინაში, რომელიც ხშირად ერთი პატარა ოთახისაგან შედგებოდა. სანამ დედა მშობიარობდა, დანარჩენ ბავშვებს საწოლს ქვეშ ეძინათ. „საბედნიეროდ, მშობიარობის დროს ასი შემთხვევიდან ოთხმოცდაცხრამეტში ბუნებას რომ მივენდოთ, ყველაფერს ეს სჯობია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვწამდა“, — გვიამბობს, კარმალტ ჯონსი.

იმ წელს, როცა ქაბუკი ალექი ანატომიასა და ფიზიოლოგიას სწავლობდა, ვიდაცას უთქვამს მისთვის, ურიგო არ იქნება, თუ ქირურგიაშიც ჩააბარებ მისაღებ გამოცდებსო. იმისათვის, რომ გამოცდებზე დაეშვათ, საჭირო იყო ხუთი გირვანქა სტერლინგის შეტანა. ფლემინგმა, ცხადია, ჩააბარა გამოცდები. მაგრამ იგი ქირურგი არ გამხდარა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ფიზიკურ ზიზღს განიცდიდა ცოცხალი სხეულის ოპერირების მიმართ, უფრო კი იმიტომ, გარკვეულმა გარემოებამ სხვა მხრივ წარმართა მისი გზა. „როგორც ქემშიარტი მოტლანდიელი, მუდამ სანანებლად მქონდა ტყუილიუბრალოდ დახარჯული ხუთი გირვანქა, — ამბობდა იგი. — ხანდახან იმასაც კი ვფიქრობდი, ეგებ ვცადო და გამოსაშვები გამოცდები ჩავაბარო-მეთქა პათოლოგია ვიცოდი, მაგრამ პრაქტიკული ქირურგია უცხო ხილი იყო ჩემთვის, დროც არა მქონდა, ამ საქმისათვის რომ მომეკიდა ხელი. გამოცდების ჩასაბარებლად საჭირო იყო ხუთადხუთი გირვანქის შეტანა. გადავწყვიტე ბედი მეცადა“.

ფლემინგი თვითონაც არ მოელოდა, ისე ჩააბარა გამოცდები, და ამან უფლება მისცა თავის გვარის შემდეგ დაეწერა ბრწყინვალე ოთხი

ასო: F. R. C. S. — Fellow Royal College of Surgeons.* საოცარი, ფლემინგის ბედს თითქოს უცნაური შემთხვევითობები განსაზღვრავდნენ. მედიცინის შესწავლას ხელი მიჰყო იმიტომ, რომ ძმა ჰყავდა ექიმი; სენტ-მერიში, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი მისი ცხოვრება, იგი წყალბურთით გატაცებამ მიიყვანა; სამეფო ქირურგიული კოლეჯის წევრი გახდა იმიტომ, რომ ენანებოდა ხუთი გირვანქა სტერლინგის ფუჭად დაკარგვა; ასევე უბრალო და უცნაური მიზეზით მოჰკიდა ხელა ბაქტერიოლოგიას, რამაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ალექ და რობერტ ფლემინგები კვლავაც ირიცხებოდნენ ლონდონის შოტლანდიური პოლკის H ასეულში; ძმები საბანაკო შეკრებებზე დადიოდნენ, მონაწილეობდნენ ლაშქრობებში, მსროლელთა შეჯიბრებებში. ალექს მოსწონდა ეს წრე, აქ იგი უფრო ლალად გრძნობდა თავს, ვიდრე სხვაგან, რადგან პოლკში მისი მშობლიური კუთხიდან ჩამოსული შოტლანდიელები იყვნენ. დიდი ხნის შემდეგ, 1949 წელს, როდესაც ფლემინგი უკვე სახელგანთქმული მეცნიერი იყო, იგი H ასეულის ყოფილი ჯარისკაცების კრებაზე თავმჯდომარედ აირჩიეს და მან ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

„თქვენს კრებებზე თავმჯდომარეობდნენ პოლკოვნიკები, კაპიტნები, უფროსი სერჟანტები და სხვანი და სხვანი, მაგრამ ახლა, პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი უბრალო, რიგითი ჯარისკაცი გახლავთ თქვენი თავმჯდომარე. პოლკში მუდამ მორჩილად ვიქცეოდი, არასოდეს არ ვედავებოდი სერჟანტს ან კაპრალს, როცა ისინი რაიმეს მიბრძანებდნენ. რაც შეეხება ოფიცერებს, მე ისე პატარა კაცი ვიყავი, რომ, რამდენადაც მახსოვს, უშუალოდ მათგან არასოდეს არ ვღებულობდი განკარგულებას.

უსიტყვო მორჩილება დიდ უპირატესობას გვაძლევდა. ფიქრით თავს არ ვიცხვლებდით, მხოლოდ ის უნდა შეგვესრულებინა, რასაც გვეტყოდნენ. ოფიცერს კი ტვინის ჰყლეტა უწევდა, რადგან უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ მოქცეულიყო. მიუხედავად ამისა, მაინც რაიმე უნდა მოემოქმედა ანდა უფროსი სერჟანტისათვის მიენდო ეს. სერჟანტმა მასზე მეტი როლი იცოდა,

* სამეფო ქირურგიული კოლეჯის წევრი (ინგ.)

მაგრამ რაკი ველარავის გადაავალებდა ამას, იძულებული იყო გაეცა ბრძანება, სულერთია როგორი — გონივრული თუ სულელური. სერჯანტები საერთოდ თავდაჭერებული ხალხი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთი საკითხი წამოიჭრებოდა. რომლისა არაფერი გაეგებოდათ...

იმას რა სჯობია, იღვე უკანა რიგში და უყურო, თუ როგორ მიძვრებიან დანარჩენები წინ, როგორ ცდილობენ გზის გაკათვას. ამას ისინი სხვადასხვა ხერხით აკეთებენ, მაგრამ ყოველი ასეთი იღეთი ძალზე საინტერესოა დაკვირვებისათვის. როდესაც H ასეულში ჩამრიცხეს, ჩვენი ნაწილი სკამოდ სახელგატეხილი იყო. პოლკში ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენ არ ვიცოდით სროლა, არ ვიცოდით იარაღის მოხმარება. გავიდა ხუთი წელიწადი, და ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ. მაგონდება, ერთ-ერთ ორშაბათს, სამების დღესასწაულზე, მასხრად აგდებულმა H ასეულმა, თავი მოიქანჯალა და მოულოდნელად ყველა ჯილდო მოიგო, მაშინ, როდესაც F ასეული წინასწარ ზეიმობდა მომავალ გამარჯვებას.

დარწმუნებით არ შემიძლია იმის თქმა, რომ ამ გამარჯვებაში ფლემინგთა ოჯახს წილი არ ჰქონდეს. იმ დღეს ჩვენ, სამი ძმა, ვმონაწილეობდით შეჯიბრში...“

1902 წლიდან მოკიდებული სენტ-მერის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესორად ითვლებოდა ალმროტ რაიტი, იმ დროს უკვე ცნობილი ბაქტერიოლოგი. პირველად სწორედ მან ჩამოაყალიბა საავადმყოფოს ბაქტერიოლოგიური განყოფილება. რაიტი ბრწყინვალე ორატორი გახლდათ, პარადოქსების მოყვარული. მისი მრავალრიცხოვანი მოწათფები აღტაცებული იყვნენ მისით. მათ შორის გამოირჩეოდა ახალგაზრდა დოქტორი ფრიმენი, უაღრესად განათლებული, სანდომიანი სახის, თმახუჭუჭა კაცი. იგი კარგი მსროლელი იყო და ოცნებობდა როგორმე გამოეცოცხლებინა სენტ-მერის მსროლელთა კლუბი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საავადმყოფოთაშორისო თასის მფლობელი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში საოცრად დაბეჩავდა. ერთხელ, გუნდს რომ ადგენდა, ფრიმენმა იკითხა:

— სტუდენტებში ტერიტორიული * გვყავს ვინმე?

ვილაძემ უბასუხა:

— გვყავს. ალექ ფლემინგი, ლონდონის შოტლანდიური პოლკის რიგითი.

— ვინაა ეგ თქვენი ფლემინგი?

— სასაცილო აქციენტით ლაპარაკობს. უღვთოდ ნადირობს მედლებზე — ერთს არ უშვებს ხელიდან. საერთოდ კი გულჩათნობილი კაცია.

— რა გვგებები აქვს?

— ქირურგობას აპირებს. მაგრამ თუ გაუმართლა, ჩვენი საავადმყოფოდან წასვლა მოუწევს. აქ ერთადერთი თავისუფალი ადგილია და იმასაც ზახარი კოპე დაიკავებს.

— კარგი მსროლელია ფლემინგი?

— შესანიშნავი.

ფრიმენმა გადაწყვიტა, როგორმე მოეხერხებინა ფლემინგის ჩარიცხვა ბაქტერიოლოგიურ განყოფილებაში, რათა ამ გზით სენტ-მერიში დაეტოვებინა ეს სნაიპერი. მან გაიცნო ფლემინგი და შეეცადა რაიტის თაყვანისმცემლად ექცია იგი. ერთხელ, რაიტის ბრწყინვალე ლექციის შემდეგ, ფრიმენმა თავისი აღტაცება გაუზიარა გვერდით მჯდომ ფლემინგს:

— რაიტი მართლაც რომ შესანიშნავია!

ფლემინგში წინააღმდეგობის უინმა გაიღვიძა და ცივად მოუჭრა:

— მე მინდა ფაქტები. მათ ნაცვლად კი უსაბუთო მტკიცებანი მოვისმინე.

და მაინც, მიიღო თუ არა ფლემინგმა დიპლომი, ფრიმენმა წინააღმდეგობა მისცა მოწყობილიყო რაიტის ლაბორატორიაში.

მე ვიცი, რომ თქვენ კარგი მსროლელი ხართ... მოდით, ჩვენს ლაბორატორიაში იმუშავეთ.

— რანაირად?

— მე მოგეხმარებით მოწყობაში.

* ტერიტორიული ჯარების სჯლდათებს უწოდებდნენ ვოლონტიორებს, რომლებიც სამხედრო მომზადებას ვადიდონენ ისეთ პოლკებში, როგორც აყო, მაგალითად, ლონდონის შოტლანდიური პოლკი. ამიტომ სწორედ ასეთ სამხედრო ნაწილში უფრო ადვილად მოიძებნებოდნენ კარგი მსროლელები. — ავტორისეული განმარტება.

ფლემინგი მაშინ ჯერ კიდევ ქირურგიით იყო გატაცებული და მირ-
ყობდა. მაგრამ სხვა სტუდენტების მსგავსად მასაც ხიზლავდა რაიტი.
თანაც ფრიმენმა ბევრი დამარწმუნებელი არგუმენტი მოიშველია. „მე
მას ვუთხარი, რომ ალმროტ რაიტის კვლევითი ლაბორატორიაა მის-
თვის შესანიშნავი დროებითი თავშესაფარი იქნება, სანამ ქირურგის
ხეირიანი ადგილი გამოჩნდება-მეთქი. ამავე დროს დავიძინე, თვითონვე
დარწმუნდები, რომ ლაბორატორიაში მუშაობა ძალზე საინტერესოა
და თანამშრომლებიც კარგი ხალხია. ჩვენი ლაბორატორია იმხანად
ერთ ოთახში იყო მოთავსებული. ყველანი მეგობრულად ვმუშაობდით,
ერთგვარ ძმობას ჰგავდა ჩვენი კოლექტივი“.

ახლა მთავარი იყო თვით პატრონის — რაიტის დაყოლიება. ფრიმე-
ნი გულახდილად გამოუტყდა, რომ მსროლელთა გუნდის შედგენას
აპირებდა. სერიოზული საკითხებისადმი ასეთი ქარაფშუტული მიდ-
გომა რაიტს არ ეხამუშებოდა, ზოგჯერ მოსწონდა კიდევ. თანაც
ფრიმენი ირწმუნებოდა, ფლემინგს ნამდვილი მეცნიერის ჰკუა-გონება
აქვს და საერთოდ შესანიშნავი კანდიდატურააო. ასე იყო, თუ ისე,
რაიტმა თანხმობა განაცხადა და ფლემინგი მოეწყო მის ლაბორატორია-
ში. ამ ლაბორატორიაში იმუშავა ფლემინგმა სიკვდილამდე.

ცხოვრების გზის ასე ნაუცბათევად ამორჩევა მართლაც რომ
საოცარია, ვინმეს შეიძლება დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს, ანდა
იფიქროს ყველაფრის მიმართ გულგრილობით თუ აიხსნება ფლემინგის
ქცევაო. „არა მგონია, რომ ფლემინგს ოდესმე წინასწარ შეედგინოს
მომავლის გეგმა, — იგონებს ფრიმენი. — იგი ფაქტების შეგროვებას
ჯერღებოდა, მერე კი ბედისწერას მიანდობდა ყოველივეს“. რადგან
არავის არ ძალუძს იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ რა შედეგი მოჰყვება
მის გადაწყვეტილებას, ვგონებ, მაინც და მაინც ურიგო არაა ასეთი
მეთოდი. წყალბურთის გუნდმა სენტ-მერის სასწავლებელი აარჩევინა
ფლემინგს, მსროლელთა გუნდმა კი — ბაქტერიოლოგია. ორივე შემ-
თხვევაში იღბლიანი გამოდგა არჩევანი.

დიდი ხნის შემდეგ, სტუდენტების წინაშე გამოსვლისას, ფლე-
მინგმა თქვა:

„არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სტუდენტმა მოელი
თავისი დრო მედიცინას უნდა მოახმაროს და უარი სთქვას სპორტზე.
მე ვერ გავიზიარებ ასეთ შეხედულებას. სტუდენტმა, რომელიც მთელ
თავის დროს სახელმძღვანელოების კითხვას მოანდომებს, შეიძლება,

ბოლოს და ბოლოს თავის ამხანაგებზე უკეთ შეისწავლოს ისინი. მე ვამბობ „შეიძლება-მეთქი“, იმიტომ, რომ არცთუ მაინცდამაინც ძვერა ეს. ასეთ სტუდენტს ალბათ მტკიცედ ემახსოვრება ტერმინები, მაგრამ არ ეცოდინება მათი მნიშვნელობა.

თქვენ უკვე მიხვედრილი იქნებით, რომ მედიცინის შესწავლა გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ წიგნიერი ცოდნის შეძენას. უნდა გავუგოთ ადამიანს, უნდა ვიცნობდეთ ადამიანის ბუნებას. ადამიანის ბუნების ამოსაცნობად კი ყველაზე უკეთესი საშუალებაა სპორტი, განსაკუთრებით სპორტულ გუნდში მონაწილეობა.

როდესაც გუნდის წევრი ხდებით, თქვენ თამაშობთ არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ მთელი კოლექტივისათვის. ესაა შესანიშნავი წვრთნა თქვენი მომავალი საექიმო მოღვაწეობისათვის. იმიტომ, რომ ექიმმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ცხოვრების თამაშში და იფიქროს არა თავის თავზე, არა თავის მატერიალურ წარმატებაზე, არამედ პაციენტების კეთილდღეობაზე, და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თვითონ პირადად მოგებული იქნება თუ არა. ექიმები ერთ საერთო გუნდს წარმოადგენენ. და ვინც ეგოისტურად თამაშობს, იგი გუნდის ერთსულოვან დარაზმულობას არღვევს და შეურაცხყოფს ჩვენს პროფესიას.

მისდიეთ სპორტს, და თქვენ შესძლებთ უკეთ ისარგებლოთ იმ ცოდნით, რომელსაც წიგნი შეგძენთ. უფრო იოლად გაუგებთ ავადმყოფს, და კარგი ექიმები გამოხვალთ... რა თქმა უნდა, თითოეულ თქვენგანს მომავალში მოუწევს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილზე, მაგრამ არასოდეს არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ავადმყოფი ცოცხალი არსება — ადამიანია“.

შემდეგ ფლემინგმა თავისი ახალგაზრდობა გაიხსენა და დასძინა: „სპორტმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე. ცურვით რომ არ ვყოფილიყავი გატაცებული, სენტ-მერის საავადმყოფოში ვერ მოვხვდებოდი, ალმროტ რაიტი არ იქნებოდა ჩემი მასწავლებელი და ალბათ, არც არასოდეს არ გავხდებოდი ბაქტერიოლოგი“.

ბევრისბევრი უცნაური მოსახვევია მისი ცხოვრების ზნაზე, მაგრამ სწორედ ამ დაკლაკნილმა ბილიკმა მიიყვანა ფლემინგი დიდების მწვერვალზე.



ა. ფუმინგი 20 წლის ასაკში



ა. ფლემინგი სენტ-მერის საავადმყოფოს ლაბორატორიაში. 1925.

ლაბორატორიის ეურნალიდან. შენიშვნები პენიცილინზე

June 7. 29

Inoculated antibiotic from in Bradstreet's medium

(1) Inoculate from medium in blood agar

? 1000 slants with myriads of Pfeiffer's medium

How can we inoculate from into medium. Numerous plates of
from R. coli from for several days

(2) Inoculate also into blood agar

1 colony slant of few colonies Pfeiffer

... see last month file

ჯველას როდი უწევს მასწავლებლის გვერდით მუშაობა, მაგრამ მე ბედმა განიღიმა.

ფლკინგა.

ბაქტერიოლოგიური განყოფილება ჩამოყალიბდა 1902 წელს და პირველ ხანებში მას სენტ-მერის საავადმყოფოსთან არსებული ძველი სამედიცინო სკოლის ერთი პატარა ოთახი ეკავა. 1906 წელს, როდესაც ფლემინგმა დაიწყო აქ მუშაობა, ლაბორატორიას დაუთმეს ორი ოთახი, ერთში იმუშაებდნენ პროფესორი და მისი ასისტენტები, მეორეში კი იწარმოებდა იმ ინფექციურ ავადმყოფთა მიღება, რომლებსაც გამოგზავნიდნენ აქ საავადმყოფოს სხვა განყოფილებიდან. ლაბორატორიას გამოყოფილი თანხა არ ჰყოფნიდა და მხოლოდ რაიტის ხელგაშლილობის წყალობით არსებობდა. რაიტს იმ ხანებში მდიდარი პაციენტები ჰყავდა. ვერც ერთი ინგლისელი არისტოკრატი ან მილიონერი, ფურუწყული გაუჩნდებოდა მას, ტიფი შეეყრებოდა, თუ სასიკვდილოდ იქნებოდა გადადებული, რაიტის კონსულტაციას გვერდს ვერ აუვლიდა. მის ვეებერთელა მისაღებში (კრიშჩენტ-პარკი, 6) იმდენი ხალხი იყრიდა თავს, ტევა არ იყო. თავისი ჰონორარის უმეტეს ნაწილს რაიტი ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას ანუ, როგორც შემოკლებით ეძახდნენ, „ლაბს“ ახმარდა.

აღმროტ რაიტის აზრით, მედიკოსისათვის, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ატარებს, სასარგებლო და თითქმის აუცილებელია საექიმო პრაქტიკა, რათა იგი „ორივე ფეხით მყარად იდგეს მიწაზე“. ცოცხალი ორგანიზმის შესწავლა ადასტურებს ან უარყოფს *in vitro* *

* *in vitro* (ლათ.) — შუშის ქვეშ, სინჯარაში; საპირისპირო — *in vivo* — ცოცხალ ორგანიზმში.— ავტორისეული განმარტება.

მიღებულ შედეგებს. ადამიანის ტანჯვის ხილვა გარდა სიბრაღულისა იმის სურვილსაც ბადებს, რომ მიკვლეულ იქნას განმკურნებელი საშუალება. ამიტომ მოითხოვდა რაიტი მის განყოფილებასთან კლინიკის გახსნას. „კარგია, როცა მკვლევარს არაფერი არ ეზიზღება, — ამბობდა დოქტორი ჰიუგსი, რომელიც ამ განყოფილებაში მუშაობდა შემდგომში. — რაიტის თანამშრომლები გარდა ლაბორატორიაში მუშაობისა საექიმო პრაქტიკასაც მისდევდნენ“.

რაიტი ყოველმხრივ ხელს უწყობდა ამას. სხვა არა იყოს რა, მისი ასისტენტებისათვის ეს იყო არსებობის ერთადერთი საშუალება, რადგან რაიტი მცირე გასამრჩელოს აძლევდა მათ — წელიწადში ას გირვანქა სტერლინგს. იგი ირწმუნებოდა, მკვლევარი უნაგაროდ უნდა შრომობდესო. „მეცნიერულ მუშაობას გასამრჩელო არ შეფერის: თქვენთვის აუცილებელია დამატებითი სამუშაოს შოვნა“.

ხელფასის ოდენობა და სამსახურებრივი აღზევება დამოკიდებული იყო რაიტის, ამ ყოვლისშემძლე მეუფის ნება-სურვილზე. „ჩემი განყოფილება რესპუბლიკაა“, — ამბობდა იგი. მართალი კი ისაა, რომ რაიტის ლაბორატორია „განათლებული დესპოტიზმის“ კერა გახლდათ. პატრონის მბრძანებლური და ძლიერი ინდივიდუალობა არა მარტო პატივისცემას, არამედ თავყანისცემასაც ასაზრდოებდა. „ბერიკატი“ (ასე ეძახდნენ მას თანამშრომლები) შეუზღუდავი უფლებით სარგებლობდა, გვირგვინოსანივით ბატონობდა; მკაცრი, მოსიყვარულე მამასავით ექცეოდა თავის ასისტენტებს. აი როგორ აღწერს მას ფრიმენი:

„ერთი შეხედვით, იგი უფორმო ლოდსა ჰგავდა — ვეება თავი, უშველებელი ხელები და ფეხები უცნაურ იერს აძლევდა. კაცი იფიქრებდა აკრომეგალია* სჭირსო, — ამბობდა მისი მეგობარი ვილი ჰელოზი. — ნელი და წინასწარ მოზომილი მოძრაობა ახასიათებდა. მალალი იყო, ოდნავ მოხრილი, როგორც საერთოდ ყველა მკვლევარი, ვისაც მაგიდასთან თავჩაქინდრული მუშაობა უხდება. ერთი სიტყვით, ათლექტიაო, რაიტზე ვერავინ იტყოდა... სათვალეს ატარებდა, სქელი წარბები მუდამ აპრეხილი ჰქონდა. როდესაც რაიტი ვინმეს აქილიკებდა ანდა რაიმე სასიეროთი იქცევდა თავს, წარბები უხტოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე იყო გავარჯიშებული, რომ ლაპარაკიც კი შეეძლო წარბების

* აკრომეგალია — სხეულის ცალკეული ნაწილების, განსაკუთრებით კიდურებისა და სახის ჩონჩხის ზომადასული, არაპროპორციული ზრდა.

მოძრაობით". თუმცა საერთოდ ტლანქი კაცი იყო, თავისი მსხვილი თითებით უნატიფესი მანიპულაციები შეეძლო ჩაეტარებია.

რაიტს რთული და საკმაოდ მძიმე ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მოწაფეები აღმერთებდნენ, რადგან იგი ძალიან ნიჭიერი იყო, რადგან მისი წყალობით ცხოვრება უღარესად საინტერესო ხდებოდა, იმიტომაც, რომ, როცა ლაპარაკობდა, მისი მგზნებარება, პარადოქსების სიყვარული, მისი უდიდესი კულტურა უზომოდ ხიბლავდა მსმენელთ. სხვადასხვა ყაიდის ადამიანებს სხვადასხვაგვარი ნირით ექცეოდა, ერთთან თუ პოეტი იყო, მეორესთან ბავშვური ანცობა შეეძლო. „რაიტ, თქვენ წარმოუდგენლად უცნაური ადამიანი ხართ, — ეუბნებოდა მისი მეგობარი, ცნობილი მოღვაწე ბალფური. * — ამიტომაც, ასე ძალიან რომ გვიყვარხარ ყველას“. ავადმყოფებთან ნაზი და მომთმენი იყო, თავის კოლეგებს კი ზოგჯერ ძალზე მკაცრად ექცეოდა. ერთ სახელგანთქმულ ქირურგს, მასთან კამათისას, ისეთი დღე დააყენა, მიწასთან გაასწორა. ბერნარდ შოუმ, რომელიც არავის ჩამოუვარდებოდა ენამწარობით, თქვა: „მან არა მარტო მოჰკვეთა თავი თავის მოწინააღმდეგეს, არამედ რაც კი შეიძლებოდა მალლა ასწია იგი, რათა ყველას დაენახა, რომ მასში ტვინის ნატამალიც არ იყო“.

მთელი თავისი ცხოვრება რაიტმა განუწყვეტელ ბრძოლა-ჭიდილში გაატარა. იგი დაიბადა 1861 წელს. მამამისი პრესვიტერიანელი მღვდელი იყო, დედა კი შვედი პროფესორის, ორგანული ქიმიის სტოკჰოლმელი სპეციალისტის ნილს ალმროტის ქალიშვილი. რაიტი სიჭაბუკიდანვე დაუცხრომლად მიილტვოდა დამოუკიდებლობისაკენ. „ალმროტი ჩემი მარცხია, — ამბობდა დედამისი. — ჩემს ნებაზე ვერასოდეს ვერაფერს ვერ ვაკეთებინებდი. მუდამ დამოუკიდებლად იკათავდა გზას“. მაგრამ დედა ძალიან ამაყობდა ალმროტით. მისი დედმამიშვილები ამბობდნენ, ალმროტს დანაშაულიც რომ ჩაედინა, დედა ალბათ მაინც მოუწონებდა და იტყოდა. ხედავთ, რა გმირობა გამოიჩინაო. მამამისი, ჩარლზ რაიტი, ჯერ დრეზდენში იყო პასტორად, შემდეგ ბულონში, მერე ბელფასტში, მაგრამ ალმროტს ყველგან კერძო მასწავლებლები აწავლიდნენ და მან ძალიან კარგი განათლება მიიღო. ენებისადმი სიყვარული ბოლომდე გაჰყვა, სამოცდაორი წლისამ შეისწავლა რუსული, ხოლო ესკიმოსურს რომ დაეწათა, უკვე ოთხმოცისა იყო.

* ბალფერ არტურ ჯეიმსი (1848 — 1930) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.

ამ ქვეყნად ყველაზე მეტად რაიტს პოეზია უყვარდა. ზეპირად იცოდა თითქმის მთელი ბიბლია, შექსპირის, მილტონის, დანტეს, გოეთეს, ბრაუნინგის, ვორდსვორტისა და კიპლინგის თითქმის ყველა ნაწარმოები. ერთხელ გამოითვალა, რომ ზეპირად იცოდა ორას ორმოცდაათი ათასი ტაეპი. ასეთი მიღრეკილების კაცს თითქოს ლიტერატურული სარბიელი უნდა აერჩია სამოღვაწეოდ. ერთ ხანს მართლაც ასე აპირებდა. რჩევაც კი ჰკითხა თურმე თავის ლიტერატურის მასწავლებელს, სახელგანთქმულ ედმუნდ დაუდენს. მასწავლებელს ასეთი დარიგება მიუცია: „თქვენს ადგილზე რომ ვიყო, მედიცინას თავს არ დავანებებდი; ესაა ყველაზე უკეთესი გზა ცხოვრებაში გამოსასვლელად. მაგრამ თუ შემდგომში მართლაც გამოგაჩნდათ მწერლობის ნიჭი, შეძენილი გამოცდილება ცოდნის ფასდაუდებელი საგანძური იქნება თქვენთვის“. დაუდენი მართალი გამოდგა. რაიტი დიდი მეცნიერი გახდა და, ამავე დროს, შესანიშნავი მწერალიც, რომელსაც ბერნარდ შოუმ უთხრა: — თქვენ ჩემზე ნაკლებ როდი გემარჯვებათ კალამით. ამაზე უფრო დიდი ქება შოუს არასოდეს დასცდენია.

მაგრამ რაიტს, კაცს მოუსვენარი ხასიათისას, რისკის მოყვარულს, ცხადია, არ შეეძლო მკურნალი ექიმის აწონილ-გაზომილ ცხოვრებას შერიგებოდა. მან მოიარა მთელი გერმანია და საფრანგეთი, დაათვალიერა მრავალი ლაბორატორია, მეგობრული კავშირი გააბა გერმანელ და ფრანგ მეცნიერებთან. დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და ადვოკატობას აპირებდა. შემდეგ ავსტრალიაში გაემგზავრა და სიდნეიში მასწავლებლობდა. ბოლოს კი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გადაწყვიტა. ძალუმად იზიდავდა იმის შეტყობის სურვილი, თუ „რა ხდებოდა ქედგადაღმა“, სურდა შეესწავლა უცნობი სამყაროები. რაიტს გაუმართლა. სწორედ ისეთ დროს მოჰკიდა ხელი მედიცინას, როდესაც იგი ძირფესვიანი გარდაქმნის სტადიაში იყო. უკვე ორი-სამი ათწლეულის წინ გაჩნდა იმის ნიშნები, რომ წმინდა ხელოვნების საგნად აღიარებული მედიცინა და მაგიური მედიცინა სულ მალე გზას დაუთმობდნენ მეცნიერულ მედიცინას.

ჯერ კიდევ 1860 წელს ზოგიერთი მეცნიერი ეჭვს გამოთქვამდა, იქნებ ინფექციურ სნეულებებს მიკროსკოპიული არსებანი იწვევენო, მაგრამ ამ ჰიპოთეზას ვერაგზით ვერ მოუხერხეს ექსპერიმენტული დასაბუთება. 1863 და 1873 წლებს შორის ფრანგმა ექიმმა დავენმა დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი ინფექციური სნეულება, კერძოდ ციმბირის

წყლული, დაკავშირებულია სისხლში იმ ჩხირების არსებობასთან, რომელთაც იგი „ბაქტერიდებს“ უწოდებდა. გერმანელმა პოლენდერმაც დაადასტურა ასეთი დასკვნა. 1876 — 1880 წლებში პასტერმა საფრანგეთში და კოხმა გერმანიაში სრულიად ახალი ვრცელი ასპარეზი აღმოუჩინეს მედიკოსებს მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. პასტერი ზთელი თავისი ზებუნებრივად ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე ამტკიცებდა, რომ მანამდე გამოუცნობი მრავალი ინფექციის გამომწვევნი იყვნენ მიკროორგანიზმები, რომელთა არსებობის დადგენა ავადმყოფის სისხლსა და ქსოვილებში შეიძლება მიკროსკოპის საშუალებით. დაახლოებით 1877 წელს ჯედილიომ დაიწყო სიტყვა „მიკრობის“ ხმარება. მეცნიერები შეუდგნენ ძირითადი მიკრობების (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, ბაცილა მუცლის ტიფისა, ტუბერკულოზისა და ა. შ.) კატალოჯის შედგენას. ბაქტერიოლოგიის ტექნიკა — საკვები ნივთების შექმნა მიკრობთა-გამოზრდისათვის, მათი შეღებვისა და გამოკვლევის მეთოდები — წარმატებით დაამუშავა გერმანულმა სკოლამ.

უდიდესი ინგლისელი ქირურგის ლისტერის წყალობით პასტერის აღმოჩენამ ძირფული გადატრიალება მოახდინა ქირურგიაში. ჩვენს ეპოქაში ძნელი წარმოსადგენია, თუ რა იყო ქირურგია ლისტერის ახალგაზრდობის დროს. თუმცა ადრე საერთოდ იშვიათად მიმართავდნენ ქირურგიულ ჩარევას, ოპერირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპებოდა სისხლის მოწამვლით, იგივე მიზეზი განაპირობებდა სიკვდილიანობის დიდ პროცენტს მშობიარეთა შორის. ამას „საავადმყოფოსმიერი ინფექციას“ უწოდებდნენ, და არავინ იცოდა, თუ რა გზით, რა საშუალებით უნდა ებრძოლათ მის წინააღმდეგ. ვენელი ექიმი ზემელაისი ამოღო მოითხოვდა ჰიგიენის წესების დაცვას. მას შემდეგ, რაც პასტერმა დაამტკიცა, რომ ყოველგვარი ინფექცია დაკავშირებულია მიკრობებთან, რომლებიც ჭრილობის გზით ორგანიზმში ხვდებიან ჰაერიდან, აგრეთვე ინსტრუმენტებით, ქირურგის ხელებითა და ტანსაცმლით, ლისტერი მიხვდა, თუკი უზრუნველყოფილი იქნებოდა ჭრილობის სტერილობა, ე. ი. თუ იგი დაცული იქნებოდა ყოველგვარი სეფსისური მიკრობებისაგან, შესაძლებელი გახდებოდა თავიდან აცილება „საავადმყოფოსმიერი ინფექციისა“, რომელიც ჩნდება სიფთხილის ღონისძიებათა უგულვებელყოფის შედეგად.

ამრიგად, ნაწილობრივ მაინც დადგენილია ინფექციის წყაროები. ახლა საჭირო იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა მიკვლევა.

მეცნიერთა გზის გასაკვლევად გამოადგებოდნენ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. როდესაც ათენში შავი ქირი მძვინვარებდა, ფუკიდიდმა შეამჩნია, რომ ავადმყოფებისა და მომაკვდავთა მოვლა შეეძლოთ „მხოლოდ იმათ, ვინც ერთხელ უკვე ნაავადმყოფარი იყო ქირით, რადგან ხელმეორედ არავინ არ სწებოვნდებოდა“. ცნობილი იყო აგრეთვე, რომ ყვავილი, რომელიც თვით XIX საუკუნემდეც კი ერთ-ერთ ყველაზე საშიშელ უბედურებად ითვლებოდა კაცობრიობისათვის, სწეულება, რომელიც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს კლავდა ან ამახინჩებდა, ერთხელ სწემობდნენ ავადმყოფს აღარ ასწებოვნდებოდა. ჩინეთში, სიამსა და სპარსეთში ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა „ვარიოლაციის“ სხვადასხვა წესი: დასწებოვნებული წემსებით კანის განსაზღვრული უბნების დაჩხვლეტა ანდა ცხვირში ყვავილის ქერქის შეყვანა. ბელუჯისტანში ბავშვებს ხელებს დაუკაწრავდნენ და შემდეგ ყვავილით დაავადებულ ძროხას აწველიებდნენ, რათა ამ გზით დაეცვათ ბავშვები დასწებოვნებისაგან (ქროხის ყვავილი მაშინ ამ დაავადების მსუბუქ ფორმად ითვლებოდა).

გეროპაშიც გამოცდილებით მიხვდნენ ამას გლეხები. XVII საუკუნის ბოლოს ინგლისელმა ექიმმა ჯენერმა ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს. ერთხელ მან გლეხის ქალს, რომელიც ძროხებს აძოვებდა, უთხრა, ზოგიერთი სიმპტომი მათიქრებიანებს, რომ ყვავილი უნდა გჭირდესო. ქალმა უპასუხა: „შეუძლებელია, მე ხომ ძროხის ყვავილი მაქვს მოხდილი“. ჯენერს აზრად მოუვიდა (და ეს იმ ეპოქისათვის შესანიშნავი იდეა იყო) ცდების ჩატარებით შეემოწმებინა ამ ხალხური რწმენის საფუძვლიანობა. მკვლევარმა გაბედა და ყვავილით დაასწებოვნა წინასწარ ვაქცინირებული ჯანმრთელი ადამიანები, და დაადგინა, რომ მათ თითქმის სრული იმუნიტეტი ჰქონდათ.

ეს იყო უჩვეულო მოვლენა. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს იძლეოდა კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ყვავილისაგან თავის დახსნის შესაძლებლობას. თუმცა საჭირო გახდა სასტიკ და უაზრო წინააღმდეგობათა დაძლევა. ჯენერის ცდებით თეორიულად დამტკიცდა, რომ ადამიანები ან ცხოველები, რომელთა ორგანიზმში მცირე რაოდენობით შეჰყავდათ საშიში ინფექციური საწყისი, გარდაიქმნებიან განსაკუთრებულ, ამ სენისაგან თავდაცვის უნარის მქონე არსებებად, მსგავსად იმ ხალხისა, რომელიც, ხშირად განიცდის, რა თავდასხმას, სხვეტან

შედარებით მეტ ბრძოლისუნარიანობას ამჟღავნებს. დოქტორი დიუბო* გვარწმუნებს, რომ „არსებობს ბიოქიმიური შესხიერება. იგი ნაკლებ რეალური როდია, ვიდრე ინტელექტური და ემოციური შესხიერება და შესაძლოა არსებითად არც კი განსხვავდებოდეს მათგან“. როგორც ბავშვობაში მიღებული ტრავმა ხანდახან მთელ ფსიქიკას ცვლის და კჭმნის მყარ კომპლექსებს, ასევე დაავადება, თუნდაც მსუბუქი ფორმისა იყოს იგი, ღრმა და ზოგჯერ კეთილსასურველ ცვლილებებს იწვევს ორგანიზმში. ორგანიზმში, რომელმაც დასძლია ესა თუ ის ავადმყოფობა, — ძველებური გაუწაფავი ორგანიზმი როდიღაა... „შენ დამამარცხე მე და ახლა შენ უკვე სხვაგვარი ხარ“.

პასტერი ბევრს ფიქრობდა ინფექციურ სნეულებათა უდიდეს საიდუმლოებაზე და ჭენერის მიერ აღმოჩენილ იმუნიტეტზე. მისი გონება ვერა და ვერა შეერიგებოდა იმ აზრს, რომ ყვავილის აცრა უნიკალური შემთხვევა იყო. მას სჯეროდა, რომ სხვა სნეულებათა წინააღმდეგაც მოიპოვებოდა იმუნოზაციის საშუალება. მაგრამ როგორ უნდა მიეკვლია ძროხის ყვავილის ეკვივალენტისათვის, რომელიც სხვა მიკრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდგებოდა? შემთხვევითობამ, რომელაღ სწორად სწორედ ისეთ კაცს შეეშველება, ვისაც გულზე არა აქვს სკლები დაკრეფილი, 1880 წელს საშუალება მისცა პასტერს ამოეხსნა ეს რთული ამოცანა. ქათმის ქოლერის შესწავლისას მან დაადგინა, რომ ა) პათოგენური მიკრობის ვირულენტობა დროთა განმავლობაში სუსტდება, ბ) ქათმები, რომელთაც შეუყვანეს დასუსტებული მიკროორგანიზმები, იმუნიტეტს იძენენ ვირულენტური მიკრობების წინააღმდეგ.

— პასტერმა გააკეთა განზოგადებული დასკვნა, რომ მიკროორგანიზმები „ვაქცინებად“ გადაიქცევიან, თუ მათ წინასწარ დაეასუსტებთ ჰაერთან ხანგრძლივი კონტაქტით. (ჭენერის საპატივცემულოდ გაათართოვა სიტყვა „ვაქცინის“ ხმარება.) როგორ მოქმედებდა ყველა ეს ვაქცინა? ისინი იწვევდნენ დამცველ რეაქციას ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სისხლში წარმოქმნიდნენ ახალ ნივთიერებებს — ანტისხეულებს, რომლებიც შემდგომში ეხმარებოდნენ ორგანიზმს დაუსუსტებელი მიკრობების წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრთხე დამცველი ძალების მობილიზაციას იწვევდა. 1888 წელს შანტემესმა და ვიდალმა დაამტკიცეს, რომ

* დოქტორი დიუბო ცნობილი მეცნიერი — როჯერის ენსტატუტის თანამშრომელი — ავტორისეული განმარტება.

მოკლული მიკრობების ვაქცინაც კი ამზადებს სისხლს მუცლის ტიფის გამომწვევის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაახლოებით იმავედროულად რუმ და იერსენმა აღმოაჩინეს შხამი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ტოქსინი, რომელსაც გამოპყოფს დიფთერიის ჩხირი. შემდგომში ბერინგმა, კონხის მოწაფემ, აღმოაჩინა იმ ცხოველთა (ზღვის გოჭები, ძაღლები) შრატის ანტიტოქსიკური თვისება, რომელთა ორგანიზმში მცირე დოზებით მრავალჯერადად იყო შეყვანილი დიფთერიის ან გაშეშების ტოქსინები.

ბუნებრივია, წარმოიშვა აზრი, რომ საბრძოლველად უკვე მზადყოფი ასეთი სისხლი, ასეთი ბრძოლისუნარიანი შრატი გამოეყენებინათ ინფექციისაგან თავდაცვის მიზნით. ბერინგი იმასაც შეეცადა, რომ ანტიტოქსიკური შრატი გამოეყენებინა ინფექციური სნეულებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის საშუალებად. მისი მეთოდი, ვაქცინაციისაგან განსხვავებით, სულ სხვა პრინციპს ემყარებოდა. ავადმყოფის ორგანიზმში შეჰყავდათ უკვე ფორმირებული ანტისხეულები. მას შემდეგ, რაც ბერინგს ნაწილობრივ ხელი მოეცარა, რუმ განაგრძო ამ პრობლემის შესწავლა და შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. 1894 წ. ბუდაპეშტში გამართულ სამედიცინო კონგრესზე მთელი აუდიტორია აღაფრთოვანა მისმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ თუ დიფთერიით დაავადებულის ორგანიზმში შევიყვანთ ცხენის შრატს, იგი განიკურნებაო. დაიწყო სეროთერაპიის ეპოქა. ახლა საქმე ეხებოდა არა მარტო თავიდან აცილებას დაავადებისას, არამედ ავადმყოფთა გადარჩენასაც.

1891 წელს რაიტი სიდნეიდან ინგლისში დაბრუნდა. მთელი წელიწადი ისე გაატარა, რომ ფეხი ვერსად მოიკიდა. ბოლოს ბედმა გაუღიმა და პათოლოგიის კათედრა მიიღო ნეტლეს ჰოსპიტალთან შექმნილ სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში. აქ მას მუშაობა მოუხდა ახალგაზრდა მედიკოსებთან, რომლებსაც სენივით გადასდო თავისი უნიკლევად-ძიებისა; დაუოკებელი სურვილი იმისა, რომ შეექმნათ ახალი მედიცინა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ექსპერიმენტზე და მოვლენათა ზუსტ რაოდენობრივ შესწავლაზე.

მოწაფეები აღტაცებული იყვნენ მისი რწმენით, მისი მებრძოლი ხასიათით. რაიტს გარდა ამ ქვეყნად აღბათ არ არსებობდა მეორე ადამიანი, რომელიც ასე დანასისხლად იყო სამხედრო ადმინისტრაციასთან.

მალე მთელი ნეტლეი ლაპარაკობდა ერთ სასეირო ამბავზე. შუა ოლუმის დროს რაიტს დაუნახავს ერთი სერჟანტი, რომელიც მასთან მუშაობდა ლაბორატორიაში, მწყობრიდან გამოუყვანია იგი და ქეჩოში ხელჩაიკიდებული წაუყვანია, რათა უქმად არ გამცდარიყო და „სერიოზული საქმე ეკეთებინა“ (ასე განუცხადა რაიტმა გაოგნებულ სამხედროებს). ხმა დაიჩხა, სამხედრო სამინისტროს უმაღლესმა ხელისუფლებმა რაიტს უბრძანეს ნაკლები ელაპარაკა თავისი ლექციების დროს სისხლის ფუნქციებზე, რომელიც ბოლოსდაბოლოს „მხოლოდ მეცამეტედ ნაწილს შეადგენს სხეულის წონისასო“, მაგრამ მან ეს ბრძანება ერთ ყურში რომ შეუშვა, მეორედან გაუშვა, და სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ყოველი გამოშვებისას კვლავინდებურად წარმოსთქვამდა რევოლუციურ სიტყვას „რელიგიის ფიზიოლოგიაზე“.

ბაქტერიოლოგიის, მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი მეცნიერების, სწავლება დაიწყო თუ არა, რაიტმა თავიდანვე იწინასწარმეტყველა: მომავალში ინფექციური დაავადების დიაგნოზის დასმა მოხდება ზუსტი მეთოდებით და არა ავადმყოფის უბრალო მოსმენით ან კიდევ ისეთი განცხადების საფუძველზე, როგორც გაუკეთებია ერთ იმდროინდელ სახელგანთქმულ ექიმს: „ხმიანობა მაფიქრებინებს, რომ ეს ინფლუენციის ბაცილაა“. ვიდალმა და გრუბერმა გამოავლინეს, რომ ტიფით დაავადებულის სისხლი ახდენს ტიფის მიკრობების ავლუტინაციას, შეწებებას და რომ ეს მოვლენა სპეციფიკურია, ესე იგი მიკრობთა მხოლოდ ერთ სახეობაზე ვრცელდება; და ამდენად საშუალებას იძლევა სწორად დაისვას დიაგნოზი. რაიტმა დაამტკიცა რომ მსგავსი რეაქცია აღინიშნება აგრეთვე მალტის ცხელებისას, რომელიც ერთ-ერთი უმძიმესი დაავადებაა და ვრცელდება მალტაზე საკმაოდ გავრცელებულ ტიფის მეშვეობით. ამან შემდგომში საფუძველი მისცა მეჩნიკოვს, რომელიც მაშინ პასტერის ინსტიტუტში მუშაობდა. ზუმრობით ეთქვა თავისი სტუდენტებისათვის, როცა მსოფლიოს რუკაზე უჩვენებდა მალტის ცხელების გავრცელების ადგილებს: „ყველა ეს რაიონი ბრიტანეთის იმპერიის კუთვნილებაა... ეს აიხსნება არა ინგლისელთა დამლუპველი გავლენით, არამედ იმით, რომ მათ შეისწავლეს, მალტის ცხელება და იციან მისი დიაგნოზის დასმა“.

1895 წლიდან მოყოლებული რაიტი ძირითადად მუცლის ტიფის საწინააღმდეგო იმუნოზაციას სწავლობდა. იმ ხანებში მუცლის ტიფი უაღრესად საშიში ავადმყოფობა იყო, ხშირად — მომაკვდინებელიც;

ომის დროს მუსრს ავლებდა ჯარისკაცებს, ანადგურებდა მთელ არმიებს. რუსმა ბაქტერიოლოგმა ხავეკინმა, რომელიც პასტერის ინსტიტუტში მუშაობდა და ერთხელ შემთხვევით ჩამოვიდა ნეტლეში, რაიტს გაუზიარა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო დამცველი ვაქცინაციით მუცლის ტიფის თავიდან აცილება, ისევე როგორც ციმბირის წყულლისაგან იცავდა ცხვრებს პასტერი. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საჭირო იყო ანტისხეულების შექმნა და მათი მოხვედრა სისხლში. მუცლის ტიფი არა მარტო ნაწლავების დაზიანებაა, როგორც დიდხანს ეგონათ ეს; მიკრობები სისხლში ცირკულირებენ, მაშასადამე, თუ ავადმყოფის სისხლი მომავლდინებელი იქნება მოცემული გამომწვევის მიმართ, შეიძლება ორგანიზმის დასნებოვნების თავიდან აცილება.

მანტემესმა და ვიდალმა დაამტკიცეს, რომ მუცლის ტიფის წინააღმდეგ ცხოველთა ვაქცინირება შესაძლებელია გახურებით დახოცილი მიკრობების მეშვეობით. რაიტმა გამოიგონა სისხლის ბაქტერიციდული თავისების გაზომვის უაღრესად მარტივი ხერხი, რამაც საშუალება მისცა დაედგინა, რომ ვაქცინაციის შემდეგ სისხლს შეუძლია ათჯერ და თითქმის ორმოცდაათჯერ მეტი რაოდენობით მიკრობების მოსპობა და რომ ამ თვისებას იგი ინარჩუნებს რამდენიმე თვის განმავლობაში. მკვლევარმა შეამჩნია, რომ აცრის შემდეგ დგება ნეგატიური ფაზა, როცა სისხლი კარგავს ბაქტერიციდულ თვისებებს. ამ ფაზის დროს აღინიშნება შეუძლოდ ყოფნა და ტემპერატურის მომატება, რის შემდეგაც იწყება პოზიტიური პერიოდი. ერთი სიტყვით, რაიტმა უაღრესად ზუსტი გამოკვლევები ჩაატარა და, რახან სავსებით დარწმუნებული იყო მიღებული შედეგების სისწორეში, სამხედრო სამინისტროს რჩევა მისცა ვაქცინაცია გაეკეთებინათ ინგლისის ფარგლებს გარეთ სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცისათვის. რაიტმა 1898 წელს პირველად გამოაცხადა მუცლის ტიფის საწინააღმდეგო აცრა ადამიანზე. დაახლოებით ამავედროულად წარმატებით გამოიყენეს იგივე ვაქცინა გერმანიაში პფაიფერმა და კოლემ.

ინდოეთსა და სხვი ქვეყნებში მიღებული დადებითი შედეგების მიუხედავად, მოვარაყებულ ქუდიანი შტაბის ექიმები კვლავ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. ინგლის-ბურების ომის დროს რაიტი ცდილობდა სავალდებულოდ ეცნოთ ვაქცინაცია არმიაში, მაგრამ მას უფლება მისცეს მხოლოდ ნებყოფლობით მსურველებისათვის გაეკეთებინა აცრა.

სამას ოცდარვა ათასი ჯარისკაციდან მხოლოდ თექვსმეტი ათასი და-
თანხმდა ამაზე. ეს, რასაკვირველია, ცოტა იყო, თანაც შეუძლებელი
ხდებოდა სათანადო დაკვირვების ჩატარება სტატისტიკური მონაცემე-
ბის შესაკრებად. როდესაც საველე ჰოსპიტალში ტიფიან ავადმყოფს
ეკითხებოდნენ, ვაქცინირებული იყო თუ არა იგი, ყველანი ერთხმად
პასუხობდნენ „ღიას“, რადგან საყვედურის მიღებისა ეშინოდათ. თურმე
ერთი სერჟანტ-სანიტარი თავის მოხსენებით ბარათში ყველა ტიფიან
ავადმყოფს აცრილად მიიჩნევდა: „რადგანაც ისინი ავად არიან მუცლის
ტიფით, ეს, ამტკიცებს, რომ ვაქცინირებულნი ყოფილან.“ რაიტი ისე
ღაშფოთა ოფიციალური სამედიცინო ორგანოების უსუსურობამ, რომ
გაბრაზებულმა უარი სთქვა ნეტლეის სამხედრო-სამედიცინო სასწავ-
ლებლის კათედრაზე, თუმცა ძალიან ემძიმებოდა იქაურობის მიტოვება.
ცოტა ხნის შემდეგ, კერძოდ, 1902 წელს იგი სენტ-მერიში დაინიშნა
პათოლოგიის პროფესორად.

სენტ-მერიში მან ჩამოაყალიბა ბაქტერიოლოგიური განყოფილება,
სადაც მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში გვირგვინოსანივით
მეფობდა. პირველ ხანებში იგი ასწავლიდა არა მარტო ბაქტერიოლო-
გიას, არამედ აგრეთვე პათოლოგიურ ანატომიასა და ჰისტოლოგიას.
მაგრამ მერე და მერე თანდათან დაეხსნა ამ მოვალეობას და მხოლოდ
იმუნოლოგიის შესწავლას მიჰყო ხელი. ახლა იგი საჯსებით დარწმუნე-
ბული იყო, რომ ყველა ინფექციური სნეულება იჭურნება ანტისხეულე-
ბის მეშვეობით, განურჩევლად იმისა, თავისთავად ცირკულირებენ ისი-
ნი სისხლშიმოქცევაში, ვაქცინაციის მასტდმულირებელ მოქმედების
შედეგად ხდება სისხლში მათი ინტენსიური შესვლა, თუ შრატთან ერ-
თად შეჰყავდათ ანტისხეულები. მისი აზრით, სწორედ ეს იყო მეცნიერუ-
ლი მედიცინის მომავალი. „მოვა დრო და ექიმი იმუნიზატორი გახ-
დება“. რაიტს სასოწარკვეთილებაში ავდებდა ტრადიციული მედიცი-
ნის უძლურება უმძიმეს დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთხელ
ერთ-ერთი სამედიცინო საზოგადოების მიერ მოწყობილ საღამოზე
რაიტმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „მოკლედ რომ მოგახსენოთ, თუ
ექიმები არ ისწავლიან რაიმე სარგებლობის შოტანას, ისინი სამხედრო
ფერშლების მდგომარეობაში აღმოჩნდებიან“. ორი ექიმი წამოდგა და
დარბაზიდან გავიდა.

მრავალი სხვა მეცნიერიც თავს იმტვრევდა იმის ამოსახსნელად, თუ
ბუნებრივ პირობებში როგორ იცავს ორგანიზმი თავს პათოგენური

მიკრობებისაგან. მართლაცდა, კაცობრიობა ხომ დამცველი აცრების აღმოჩენამდეც არსებობდა, და რადგან იგი არ ამოწყვეტილა, მაშასადამე, აღამიანები გადაურჩნენ მიკრობებს. მაგრამ როგორ? რუსმა მეცნიერმა მეჩნიკოვმა, რომელიც პასტერის ინსტიტუტში მუშაობდა, აღმოაჩინა ამ თავდაცვის ძირითადი მექანიზმი: ფაგოციტოზი. ერთხელ, როდესაც თავის ლაბორატორიაში ზღვის ვარსკვლავს გამჭვირვალე მატლებს აკვირდებოდა, გაიფიქრა, ეგებ სპეციალური უჯრედები — ორგანიზმის ქანდაკები აწყობენ ცოცხალი სხეულის დაცვას შემოჭრილი მხენე მიკრობებისაგან. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ზღვის ვარსკვლავში მოხვედრილ უცხო სხეულს მოძრავმა უჯრედებმა ალყა უნდა შემოარტყან. და მართლაც, ვარდის ეკლები, რომლებიც მეჩნიკოვმა ზღვის ვარსკვლავს მატლში შეიყვანა, უცებ ალყაში აღმოჩნდა და გაიხსნა. მეჩნიკოვი განაცვიფრა ამ ცდის მსგავსებამ იმ მოვლენასთან, რომელიც აღინიშნება, როდესაც აღამიანის თითში შერქობილ ხიწვთან ერთად ინფექციაც შედის. ამ დროს ხომ ჩირქი ჩნდება. რა არის ეს ჩირქი? ანთებითი პროცესის დროს უჯრედები, პირველ რიგში კი სისხლის თეთრი ბურთულეები, გამოდიან სისხლძარღვებიდან, გარშემო შემოეხვევიან მიკრობებს, ნთქავენ მათ და სპობენ („ფაგოციტოზი“).

როგორ ინელებენ ფაგოციტები მიკრობებს? ეს ხდება უჯრედის შიგნით არსებული ფერმენტების ანუ ამილაზების გავლენით, რომლებიც მსგავსნი არიან ნერწყვის ან კუჭის წვენის საჭმელმომხელელებელი ფერმენტებისა. იმუნიტეტის ამ „უჯრედული“ თეორიის საპირისპიროდ გერმანელი მეცნიერები იცავდნენ „ჰუმორალურ“ თეორიას. მათი აზრით, ბაქტერიციდული თვისება ახასიათებდა ორგანიზმის სითხეებს, კერძოდ კი სისხლის შრატს.

რაიტი, რომელიც მეჩნიკოვთანაც მეგობრობდა და გერმანელ მეცნიერებთანაც, შეეცადა დაეზავებინა ორი მოქიშპე თეორია: უჯრედული და ჰუმორალური. მან დაახლოებით შემდეგი აზრი გამოთქვა: დასნეობოვნებული ან ვაქცინირებული ორგანიზმის სისხლის შრატსა და სითხეებში ჩნდება განსაკუთრებული ქიმიური ნივთიერებები (ანტისხეულები). ეს ნივთიერებები აძლიერებენ ფაგოციტების დამშლელ მოქმედებას, ცვლიან რა მიკრობების გარეგან სტრუქტურას. ვინაიდან ისინი მათ ზედაპირზე „სახლდებიან“ და „პოხავენ“ მათ, რის შედეგადაც მიკრობები უფრო „ადვილმოსანელებლნი“ ხდებიან.

რაიტმა და მისმა ნეტლეიელმა მოწაფემ კაპიტანმა ლუგლასმა, რო-

მელიც თავისი მასწავლებლის მიბაძვით სენტ-მერიში გადავიდა, მთელი რიგი ცდები ჩაატარეს, რათა დაეთვალათ თვითეული ფაგოციტის მიერ შთანთქმული მიკრობები. ამის გაკეთება არც თუ ისე ძნელი იყო. მიკროსკოპში ფაგოციტი ნაცრისფერ ლაქად მოჩანს, ამ ნაცრისფერი ლაქის შიგნით კი შავი წერტილებია — ფაგოციტირებული მიკრობები. რაიტმა და დუგლასმა გამოავლინეს, რომ ფაგოციტების შთანთქმით უნარი ძალზე ცვალებადია და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ „გაპოხა“ მიკრობები იმუნისაციის შედეგად გაჩენილმა ნივთიერებამ. რაიტი ხშირად თავს იქცევდა ბერძნული ფუძიდან სიტყვათწარმოქმნით. სისხლის მიერ შექმნილი უნარი მიკრობების „გაპოხვისა“, რის შემდეგაც ფაგოციტები უფრო იოლად შთანთქავენ ხოლმე მიკრობებს, აღმოჩნდა „ოქსონურ უნარიანობად“ მონათლა (ბერძნული სიტყვიდან „ოქსონო“ — „საჭმელს ვუმზადებ...“), ხოლო თვით ამ ნივთიერებას „ოქსონინი“ დაარქვა. შრატში, რომელშიც ოქსონინები არ მოიპოვება, ფაგოციტური რეაქცია სუსტად ან სულაც არ მიმდინარეობს. მაგრამ როგორც კი ინფექციის ანდა ვაქცინაციის გავლენით მატულობს შრატში ოქსონინების შემცველობა, ფაგოციტოზი უკვე საგრძნობია.

რაიტი ამ თეორიას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა. უპირველეს ყოვლისა იგი ჰარმონიულად აერთიანებდა უჯრედულ და ჰუმორალურ თეორიებს. რაიტის თეორიის თანახმად, პათოგენურ მიკრობებს ფაგოციტები სპობენ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი უკვე „გაპოხილნი“, მომზადებულნი არიან ჰუმორალური ოქსონინებით. გარდა ამისა, რაიტის თეორია, როგორც თვითონ ფიქრობდა, ინფექციათა დიდი ნაწილის დიაგნოზირების საშუალებას იძლეოდა მხოლოდ და მხოლოდ მოცემული ინფექციის გამომწვევთა მიმართ სისხლის ოქსონური უნარის გაძლიერებით. (სინამდვილეში, ცვლილებები მართლაც აღინიშნება, მაგრამ ეს პროცესი იმდენად რთულია, რომ ძნელია მისი ახსნა.) დაბოლოს, მოცემული ინდივიდუუმის ოქსონური ინდექსი* გაზომვა ნავარაუდევია იყო ვაქცინით ან შრატით რაციონალური მკურნალობის ჩატარების დროს გამოსაყენებლად, მითუმეტეს, რომ ფაგოციტირებული მიკრობების პროცენტის განსაზღვრით ყოველწუთს შეიძლებოდა ავადმყოფის სისხლში ოქსონინების რაოდენობრივი შემცველობის დად-

* მოცემული ინდივიდუუმის სისხლის ოქსონური უნარის შეფარდება ჩანს აღნიშნული ინდივიდუუმის სისხლის ოქსონურ უნართან, ერთეულად მიღებული. — ავტორისეული განმარტება.

გენა და იმის კონტროლიც, მოიმატებდა თუ არა იგი მკურნალობის გავლენით.

ოპსონური ინდექსის თეორია, რომელიც თავისი შესანიშნავი ენამპყვერობით ლამაზად მორთო და მოჭარგა რაიტმა, გენიალური ჩანდა. მედიცინა გადაიქცეოდა ზუსტ მეცნიერებად. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონათ იმ ახალგაზრდა ექიმებსა და მკვლევარებს, რომლებიც ფარვანასებრ მიიზიდა მეტრის გონების ბრწყინვალეობამ, და თუმცა მათი მასწავლებელი ცხოვრების საოცრად მკაცრ პირობებს აღუთქვამდა, მაინც უყოყმანოდ, სიამოვნებით დათანხმდნენ ამაზე. პირველ ხანებში ამ ჯგუფში შედიოდნენ: სტიუარტ ღუგლასი, რომელიც ნეტლეიდან გადმოვიდა აქ, ლეონარდ ნუნი, ბერნარდ სპილსბერი და ჯონ ფრაიმენი, რომელმაც 1903 წელს დაიწყო ლაბორატორიაში მუშაობა. ფრიმენი, რაიტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყვარელი მოწაფე, უადრესად ნიჭიერი კაცი იყო, მრავალი ღრმადმეცნიერული ნაშრომი ჰქონდა დაწერილი. რაიტი ამბობდა, იგი ჩემი შვილია მეცნიერებაშიო. სანამ ცოლს შეირთავდა, ფრიმენი რაიტთან ცხოვრობდა, ლაუერ სეიმურ-სტრიტზე, 7. მკვლევართა ჯგუფს შემდგომში შეემატნენ ფლემინგი (1906 წ.), მატაუსი, კარმალტ ჯონსი და ლეონარდ კოლბრუკი.

ეს არ იყო მკვლევართა უბრალო ჯგუფი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათ შეჰქმნეს რელიგიური ორდენის მაგვარი ძმობა. და როგორც ნამდვილი. ძმობის წევრებს შეეფერებოდათ, აღთქმა დადეს: აღიარეს, რომ ვალად აწევთ დიადი მისია, რომ მთელ ცხოვრებას მოახმარებენ მეცნიერების სამსახურს, და რომ უდრტივინელად ერთგული იქნებიან რაიტისა.

საცოდნელია, თუ რამ მოუხვეჭა მოწაფეთა თვალში ასეთი ავტორიტეტი რაიტს? პირაღმა მომხიბვლელობამ, საოცრად ნათელმა და გამჭვირავმა გონებამ, დაუოკებელმა ლტოლვამ მეცნიერული მუშაობისადმი, კვლევის საოცარმა ჟინმა (ხშირად ღამის სამ-ოთხ საათამდე იჭდა ლაბორატორიაში, ხშირად თავზე დათენებია მუშაობაში გართულს.), იმის შეტყობაც საინტერესოა, თუ თვითონ რატომღა იკლებდა ამქვეყნიურ სიამოვნებას, ნუთუ საკუთარ ოჯახში ნეტარებას ის ერჩია, რომ ნაცრისფერ ლაქაში შავი წერტილები ეთვალა? ანდა ეგებ პატივმოყვარეობის გამო იქცეოდა ასე? ვინ იცის, შეიძლება ასეც იყო, ნაწილობრივ მაინც. რაიტი ძალაუფლების მოყვარე კაცი იყო და დიდებაზე ოცნებობდა. უმთავრესი მაინც სხვა მიზეზია. დიახ, მთავარი ის გახლდათ,

რომ უზომოდ ცნობისმოყვარე იყო და, ამავე დროს, გულმხურვალედ სურდა მიეკვლია ადამიანის ტანჯვის განკურნების საშუალებისათვის. იგი კეთილი ადამიანი იყო, ჭეშმარიტად მადლცხებული.

ფრიმენი მოგვითხრობს, სამუშაოს გადამკიდე რაიტი ისე გულცივობდა თავისი შინაურების მიმართ, რომ მისმა ქალიშვილმა სასკოლო თხზულება თემაზე „ოჯახური სიხარული“ ასეთი სიტყვებით დააბოლოვა: „რადენი სიხარულია, როცა კვირა დღეს მამაჩემი მოიცილის და მოგვხედავს იმის გასაგებად, თუ როგორ ცხოვრობს მისი ოჯახი...“ ერთხელ, რაიტი საავადმყოფოში რომ მოსულა და ქუდი ჩამოუკიდებია, დუგლასს ბაფთაში ჩადებული ქალაღი შეუნიშნავს. აულია და წაუკითხავს: „მამიკო, სამჯერ შეშპირდით, რომ აირით ამივსებდით ჩემს გასაბერ ბურთს, და სამივეჯერ დაგავიწყდათ. პალტოს შიდა ჯიბეში ჩაგიდევით ორი ბურთი; ახლა მაინც შემისრულეთ დანაპირი“. დუგლასმა გაბერა ბურთები და რაიტის ქუდის ბაფთას გამოაბა. დოლი რაიტს იმ დღეს ნატკრა შეუსრულდა — გაბერილი ბურთები მიიღო.

ახალგაზრდა მეცნიერები მარტო იმიტომ კი არ იხრიდნენ ქედს რაიტის წინაშე, რომ ერთგულედა შეჰფიცეს. რაიტს ასევე პატივს სცემდნენ სხვა ადამიანები, სახელმწიფოებრივი ადამიანები, რომლებიც სულაც არ იყვნენ დაკავშირებულნი მისი განყოფილების მუშაობასთან. ლაბორატორიის გვერდით ოთახში ხშირად შუალამით იშლებოდა ჩაის სუფრა; რაიტთან სამასლაათოდ, მის მოსასმენად მთელი ღონღონიდან მოდიოდა ხალხი, სხვადასხვა ქვეყნიდანაც კი მოეშურებოდნენ საპატივცემულო სტუმრები. აქ ხშირად ნახავდით ცნობილ ბიოლოგებს ერლინსა და მეჩნიკოვს; სახელმორტმულ მედიკოსებს ჰარლეი-სტრიტიდან; პოლიტიკურ მოღვაწეებს არტურ ბალფურსა და ჯონ ბერნსს, დრამატურგებს ბერნარდ შოუსა და გრანვილ ბარკერს.

რაიტი ხშირად დადიოდა მიღებაზე თავის გულითად მეგობართან, სახელგანთქმულ ლედი ჰორნერთან. აქ იგი გაეცნო მთავრობის წევრებს, კერძოდ, ლორდ პოლდენის, იმხანად სამხედრო მინისტრს, რომლის შემწეობითაც წოდებრივი აღზევება მიიღო და გახდა სერ აღმროტ რაიტი. ფრიმენს ახსოვს იმ წერილის შინაარსი, რომლითაც აცნობეს მის პატრონს წოდებრივი ტიტულის მინიჭება. დაახლოებით ასეთი რამ ეწერა თურმე ბარათში: „ძვირფასო რაიტ, ჩვენ უნდა მივალწიოთ, რომ მუცლის ტიფის საწინააღმდეგო აცრა, თქვენს მიერ შემოღებული, სავალდებულოდ იქცეს არმიაში, მაგრამ მე არ ძალმიძს სამედიცინო

სამსახურის უფროსის დარწმუნება. აი რატომ მიმაჩნია აუცილებლად, რომ გიხილოთ წარჩინებულ ოფიციალურ პიროვნებად. პირველი ნაბიჯი ის გახლავთ, რომ თქვენ გენიჭებათ ბარონის ტიტული. ალბათ იუარებთ, მაგრამ ეს აუცილებელია. პოლდენინი“. რაიტი პირველად მართლაც უარს აპირებდა ტიტულის მიღებაზე და ზიზღითაც კი უთქვამს: „ამას ისინი ჩემი სამარის ქვაზეც დააწერენ“. მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ფრიად ნასიამოვნები იყო.

ერთხელ, ჩაის რომ შეეჭყეოდნენ ლაბორატორიაში, ბერნარდ შოლუც იქ იყო, და ლაპარაკი ჩამოვარდა ახალი ავადმყოფის მიღებაზე. ფრიმენმა სთქვა:

— ჩვენ ისედაც გადატვირთულები ვართ.

შოლუ შეეკითხა:

— ვთქვათ და იმდენი ავადმყოფი მოგადგათ, რამდენის მიღებაც არ შეგიძლიათ. რას იზამთ?

რაიტმა უპასუხა:

— მაშინ ავწონ-დავწონით, ვისი სიცოცხლე უფრო ძვირფასია — ჩვენი თუ პაციენტების.

შოლუმ ცხვირზე თითი შეიღო და უთხრა:

— აჰა... ნამდვილი დრამის სუნი მეცა... ლამის მთელი დრამის სიუჟეტი შევიყნოსო...

არ გასულა დიდი ხანი და დოქტორ უილერმა, რომელიც შოუსა და რაიტის ახლო მეგობარი იყო, ამცნო ალმროტს, შოლუმ თავისი პიესის გმირად გამოგიყვანაო. მართლაც ასე იყო: დრამას ეწოდება „ექიმის დილემა“, და ამ პიესის გმირში — სერ კოლენსო რიჯონში — აღვილად იცნობოდა სერ ალმროტ-რაიტი. ერთ-ერთ პირველ სცენაში კოლენსო რიჯონი (იგივე რაიტი) ეკამათებოდა ერთ ძველ, საოცრად სკეპტიკოს ექიმს.

სერ პატრიკი. რა აღმოაჩინეთ?

რიჯონი. მე აღმოვაჩინე, რომ აცრა, რომელმაც უნდა იხსნას ადამიანი, ზოგჯერ კლავს მას.

სერ პატრიკი. ამის თქმა ხომ მეც შემიძლო. მე უკვე გამოცდად ვე თქვენზე შემოღებული აცრები. მათი მეშვეობით ზოგი დავხოცე, ზოგი მართლაც გადავარჩინე. მაგრამ მე უარვყავი მკურნალობის ეს მეთოდი, რადგან არასოდეს არ ვიცი, თუ ამ ორი შესაძლებლობიდან რომელ შედეგს მივიღებ.

რიჭონი (გაუწოდებს ბროშურას). როდესაც გეტყვობთ, წაიკითხეთ და მაშინ მიხვდებით; თუ რატომ ხდება ასე.

სერ პატრიკი. ეშმაკმა დალაზეროს თქვენი ნაჯღაბნი! პრაქტიკული თუ წერია რამე შიგ? (ათვალღერებს ბროშურას) ოპსონინები? ეს კიდევ რაღა უბედურებაა?

რიჭონი. ოპსონინი ის ნივთიერებაა, რომლითაც ახლენთ მიკრობების გაპოხვას, რათა ისინი აღვიღალ შთანთქან თეთრმა ბურთულებმა.

სერ პატრიკი. ეს არაა ახალი ამბავი... თეთრი ბურთულებით... რა გვარია ის კაცი?... ღმერთო, მომაგონე... ჰო, მეჩნიკოვი... ამ ბურთულებს 'ეძახის...

რიჭონი. ფაგოციტებს.

სერ პატრიკი. დიახ, დიახ, ფაგოციტები. ჰოდა უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ თეორიას უფრო ადრე ვიცნობდი, ვიდრე თქვენი მოდა დადგებოდა. სხვათაშორის, ისინი ყოველთვის როდი ნთქავენ მიკრობებს.

რიჭონი. ისინი შთანთქავენ მიკრობებს, თუ ოპსონინით გავპოხავთ.

სერ პატრიკი. ზღაპარია.

რიჭონი. სულაც არა. იცით რა ხდება? ფაგოციტებს არ სურთ მიკრობების შთანთქმა, სანამ ისინი არ გაიპოხებიან. ასეა, ბატონო. პაციენტი გამოიმუშავებს აუცილებელ საპოხს; მე აღმოვაჩინე, რომ ეს საპოხი, რომელსაც ოპსონინები დევიარქვი, ორგანიზმის მიერ სხვადასხვა რაოდენობით გამოიყოფა, ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები. აცრა აძლიერებს ორგანიზმის ამ დადებით ან უარყოფით ტენდენციას. თუ თქვენ აცრას გააკეთებთ უარყოფით პერიოდში, თქვენ კლავთ ავადმყოფს, ხოლო თუ დადებით პერიოდში აუტრით, განკურნაეთ მას

სერ პატრიკი. ერთი ესეც მიბრძანეთ, როგორ უნდა გაიგოთ, დადებით პერიოდშია თქვენი პაციენტი თუ უარყოფითში?

რიჭონი. თქვენი პაციენტის ერთი წვეთი სისხლი გამოიმგზავნეთ ლაბორატორიაში და თხუთმეტ წუთში გეტყვით თუ როგორია მისი ოპსონური ინდექსი.

ბერნარდ შოუმ ზედმეტი ოპტიმიზმი გამოიჩინა; ოპსონური ინდექსის განსაზღვრას თხუთმეტი წუთი კი არა, გაცილებით მეტი ღრო სჭირდებოდა. ხოლო როდესაც ერთბაშად ბევრისბევრს ავადმყოფი მოაწყდებოდა ლაბორატორიას, მეცნიერებისათვის თავგადადებული ახალგაზრდა მორჩილნი გათენებამდე უსხდნენ სამუშაოს.

IV. ფლემინგი რაიტის ლაბორატორიაში

მარმარილოს ქუსტიბულები კი არ
ქმნიან შეცნიერახ ხიდადეს, არამედ
მისი სული და გონება.

ფლემინგი

საინტერესოა წარმოვიდგინოთ ფლემინგი ლაბორატორიის თანამშრომლებში, საინტერესოა შევიტყოთ, თუ როგორ ურთიერთობაში იყო ეს ახალგაზრდა, თავშეკავებული შოტლანდიელი მათთან — გულზიარ ნიჭიერ ამხანაგებთან. ალექი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მათ, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ნაქებ-ნადიდებ სტუდენტს თან მოჰყვა რამდენიმე დიპლომი და მედლები. ეს კია, რომ საოცრად სიტყვაძვირი იყო. „ასე მჭევრმეტყველურად მდღუმარე კაცის მნახველი არა ვარ, — გვიამბობს ფრიმენი. — ალექი ყოველთვის უაღრესად თავშეკავებული იყო. ხანდახან ისე გავბრაზებულვარ, აუცი სიტყვებითაც გამილანძღავს, იდიოტიც მიწოდებია. ფლემინგს კი ნირშეუცვლელად მოუსმენია ჩემი ავსიტყვაობა, მხოლოდ ეგაა სახეზე ჭიოკონდას ძლივშესამჩნევი ღიმილი დაეხატებოდა ხოლმე, და მაშინლა მივხვდებოდი, რომ ეს პაექრობაც მისი გამარჯვებით დამთავრდა“.

ლაბორატორია ძალზე ღარიბულად იყო მოწყობილი. აი მთელი მისი ავლა-დიდება: თერმოსტატი, ავტოკლავი, პეტრის ფინჯნები, სინჯარები, მინის მილაკები და მიკროსკოპი. ფლემინგი რამდენიმე კაპილარულ მილაკსა და საზომ საწვეთებელს ჯერდებოდა. ყოველთვის თვითონ ააწყობდა ხოლმე თავის აპარატურას. იგი „ოჯახის“ დანარჩენ წევრებთან ერთად მონაწილეობდა ჩაის სმაში, რომელიც არა მარტო ღამით, დღისითაც იმართებოდა ერთ პაწაწინა ოთახში, ზრდილობის გულისათვის „ბიბლიოთეკას“ რომ ეძახდნენ, თუმცა იქ არც ერთი წიგნი არ მოიძვევებოდა. ტანძორძობი, თმაბურძნული რაიტი ისე იქდა

თავის სავარძელში, ვითარცა შექვეროდა საღვთო ძმობის მოძღვართ-
მოძღვარს. საწერ მაგიდასთან მიმჯდარი მბრძანებლობდა თავაკურად.
დანარჩენები კი ან დივანზე იყვნენ მიყუყულნი ანდა გარშემო შემო-
უსხდებოდნენ ხოლმე სკამებით. მოწაფენი თვალეში შესცივინებდნენ,
ზეცით მოვლენილ წინამძღვრად თუ არა, ბუნების განსაკუთრებულ
მოვლენად მაინც მიიჩნევდნენ მას. ფრანგი ექიმი რობერ დებრე სენტ-
მერიში ყოფნისას უცნაურ სცენას შესწრებია: რაიტი ლაპარაკობდა,
ამ დროს კათანდარა ფლემინგი უდრტვინელი სახით მიეახლა უფროსს,
სიტყვის უთქმელად მის უწმინდესობას მარჯვედ უჩხელიტა ნემსი თით-
ში და სისხლის წვეთი აიღო საკონტროლოდ. რაიტს აინუნშიც არ ჩაუგ-
დია ეს რიტუალი, ნირშუუცვლელად განაგრძობდა თურმე ქადაგებას.

ასეთი გასაუბრების დროს უპირატესად რაიტი ლაპარაკობდა. ძმო-
ბის წევრები ხარბად ისმენდნენ მის გრძელ მონოლოგებს. ლაპარაკის
დროს ოდნავ წინ გადმოიხრებოდა ხოლმე, მკაცრი ფეოდალივით იქ-
ცეოდა, მაგრამ მის მბრძანებლურ იერში სათნოება გამოსჭვიოდა და
ამით ხიბლავდა ყველას. რომელიმე თემაზე საუბრისას უხვად იშვე-
ლიებდა ციტატებს, ზეპირად, წყალივით ჩაარაკაკებდა კანტს, სოფო-
კლესს, დანტესს, რაბლესს, გოეთესს, თეოფილ გოთიესს, „მადლუაზელ მო-
პენიდანაც“ კი მოჰყავდა ნაწყვეტები. ერთსულოვანი აღიარებით, რაიტს
შეხანიშნავი მეხსიერება ჰქონდა. როდესაც ლაბორატორიას პოლიტი-
კური მოღვაწეები ეწვეოდნენ ხოლმე (ვთქვათ, ბალფური), საუბარში
მხოლოდ რაიტი მონაწილეობდა. იშვიათად ფრიმენიც. ფლემინგი
უმეტესწილად დუმდა. პრველ ხანებში იგიც მოიხიბლა რაიტის დაუდე-
გარი ხასიათითა და უნივერსალური ცოდნით. მაგრამ ფლემინგი ბუნე-
ბამ დააჭილდოვა ერთი ძვირფასი, თუმც კი ფათერაკიანი ნიჭით: იგი
ადვილად უპოვნიდა ადამიანს სუსტ ადგილს. ალექსი მალე მიხვდა, რომ
პატრონის ლამაზი ტირადები ხშირად საკმაოდ მერყევ წინამძღვარზე
იყო დაფუძნებული. როდესაც ღამეული ჩაის სმა მეტაფიზიკურ ორ-
გიას ემსგავსებოდა, იგი დიდხანს ხმის ამოუღებლად უსმენდა რაიტს,
შემდეგ კი, ერთ სიტყვას წარმოთქვამდა და უცებ გადააყირავებდა
გულმოდგინედ აგებულ სისტემას. „Why?“ — იკითხავდა ხოლმე ეშ-
მაკური გულუბრყვილობით. „რატომ?“ ყველა ყურს დაქვეტდა, ერთ-
მანეთს გადახედ-გადმოხედავდნენ. კაცმა რომ თქვას, სწორია, მართ-
ლაცდა, რატომ?

რაიტი აფასებდა ფლემინგს, რადგან კმაყოფილი იყო მისი უმწიკე-

ლო მუშაობით, მართებული დასკვნებით. მაგრამ ფლემინგის მდუმარება გამომწვევად მიაჩნდა და წარამარა აბიაბრუებდა. რატომღაც დარწმუნებული იყო, ჰაბუკი შოტლანდიელი, თუმცა იგი არასოდეს არ ლაპარაკობდა რელიგიაზე, „კოვენანტორი“ და მორწმუნეაო. ამიტომ მის გასაღიზიანებლად მკრეხელობდა კიდევ. მაგალითად, ისე ამოარჩევდა ორ სტროფს სახარების სხვადასხვა ადგილიდან, რომ სრული უაზრობა ან უხამსობა გამოსულიყო. ანდა, ვთქვათ, შეეკითხებოდა:

— ფლემინგ, როგორ შეიძლება, ბითლეემის ვარსკვლავს მხოლოდ ერთი სახლის თავზე ეკაშკაშა? ვარსკვლავი ჩვენგან ხომ ისე შორსაა, რომ გვეჩვენება, თითქოს იგი ყველა სახლს დასცქერის ამა თუ იმ სოფელში. მგონი ასეა, არა?

ფლემინგი. სდუმდა. მან იცოდა, რომ სიტყვაძვირი შოტლანდიელის სახელი ჰქონდა ლაბორატორიაში, და კეთილსინდისიერად ხელს უწყობდა ასეთი შეხედულების განმტკიცებას.

რაიტს უყვარდა გრძელი ლექსების ციტირება. ხშირად, რომელიმე მორიგი ტირადის შემდეგ. მიუბრუნდებოდა ფლემინგს. რომელიც თავისი ლამაზი ცისფერი თვალებით მდუმარედ შესცქეროდა ბერიკაცს, და შეეკითხებოდა: „ვისი ლექსია“? ჰეშმარიტ შოტლანდიელს პირველ ხანებში მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა „ბერნსის“. მაგრამ ფლემინგი მეთოდურად მოაზროვნე იყო და მალე მიხვდა, რომ რაიტი სამი წყაროთი სარგებლობდა: ბიბლიით, მილტონის „დაკარგული სამოთხით“ ანდა შექსპირის პიესებით. ამის შემდეგ რაიტის შეკითხვაზე: „ფლემ, საიდანაა ეს?“ — იგი ყოველთვის პასუხობდა: „დაკარგული სამოთხიდან“ — სამი შესაძლებლიდან ერთხელ ხომ მაინც სწორი გამოდგებოდა მისი პასუხი.

მთელი დღის განმავლობაში დამქანცველი მუშაობის შემდეგ ფლემინგი მხიარული მასლაათით ირთობდა თავს. მას ძალიან მოსწონდა, როცა სერიოზულ ამბავს არასერიოზულად მიიჩნევდნენ. ყველა საქმეში გამოძებნიდა ხოლმე რაიმე თავშესაქცევს, თავის სამუშაოშიც კი. ამხანაგების გაკილვას არ ერიდებოდა, მაგრამ არც ის სწყინდა, როცა მას ჭირდავდნენ. როგორც ყველა სხვა საქმეში, თამაშშიც სხვის ჯობნას ცდილობდა. დინჯად, აუჩქარებლად სწავლობდა ამა თუ იმ თამაშს და გულმოდგინედ ეუფლებოდა მის წესებს. ალბათ ამიტომ ტოლს არ დაუდებდა არავის. მაგრამ თამაში თამაშად, ენაქილიკობა ენაქილიკობად. ყველაზე წარმტაცი და მომხიბვლელი კი მაინც ლაბორატორიული

კვლევა-ძიება იყო. აქაც ყველას სჯობნიდა იგი. რაიტი, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი კოტიტა თითები ჰქონდა, ფაქიზად ატარებდა ყოველგვარ მანიპულაციებს, მაგრამ ფლემინგი, რომელსაც მოფერებით პატარა ფლემს (Little Flem) ეძახდნენ, უფრო გაწაფულად, უფრო ხერხიანად მუშაობდა. მის ხელში მინაც კი საოცრად მორჩილი ხდებოდა. როდესაც ფლემინგი რომელიმე ურთულესი აპარატის აწყობაზე მუშაობდა, ისეთ გამოგონებლობას იჩენდა, ისეთი ჯადოქრული სისწრაფით ასრულებდა ნატიფ სამუშაოს, თვალი ვერ გაძლებოდა მისი ყურებით. ფლემინგი ნამდვილი არტისტი გახლდათ, და როცა მის ნამუშევარზე ლაპარაკობდნენ, ნებაუნებურად ისეთ ტერმინებს ხმარობდნენ, ხელოვნების სფეროს რომ შეეფერება („ფლემის ეს ცდა ჭეშმარიტი შედეგია“). სწორედ ამის მეოხებით შეინარჩუნა მან ბუნებასთან კავშირი, რაიც ესოდენ საჭიროა ისეთი კაცისათვის, ვინც მის შესწავლას აწარმოებს; სამწუხაროდ, ხშირია ხოლმე შემთხვევა, როცა აბსტრაქტულად მოაზროვნე მეცნიერს აღარაფერი აკავშირებს მისი კვლევის მთავარ საგანთან — ბუნებასთან.

რაიტი სქოლასტიკოსი იყო და სწამდა, რომ მხოლოდ გონების ძალით შეიძლება სხვადასხვა მოვლენის კანონების აღმოჩენა. ყოველ შემთხვევაში. საკუთარი ჭკუა-გონების იმედი ჰქონდა. ასე რომ, იგი უფრო ენათესავებოდა თომა აქვინელს, ვიდრე ბეკონს, დეკარტს ან კლოდ ბერნარს. ექსპერიმენტული მეთოდისა რაიტს, რა თქმა უნდა, სჯეროდა: თვითონ ხომ უამრავი შესანიშნავი ცდა ჩაატარა და, რაც კი რამ იცოდა, სწორედ ამ გზით შეიტყო; მაგრამ გაუძალიანებლად არასოდეს არ შეეძლო ბუნებისაგან მიღებული უარყოფითი პასუხის შესმენა. „პოზიტიური გონება, — წერს ფრანგი ფილოსოფოსი ალენი. — ვნებათა ტყვეა... პასუხი, რომელსაც გვაძლევს გარესამყარო ჩვენს მოთხოვნებსა და იმედებზე, ყოველთვის როდია ისე ნათელი და მკაფიო, რომ შეძლოს ჩვენი ჭიმერების დამსხვრევა.“

თუმცა რაიტი დამაჩერებლად და გულწრფელად ჭადავებდა თვითკრიტიკას, მიღებული შედეგების შერჩევისა და ანალიზის დროს აშკარა მიკერძოებას იჩენდა. რაიტი სიტყვის მონა იყო. მსჯელობის დროს ხანდახან ისეთ კორიანტელს დააყენებდა. ახალ-ახალი ტერმინებით, რომელთაგან ზოგი ბერძნული წარმოშობისა იყო, ზოგიც მის მიერ გამოგონებული (კატაფილექსია, ეპიფილაქსია, ექტილაქსია), რომ აუდიტორიას რეალურს მიღმა სამყაროში გადაიყვანდა.

ფლემინგი აღტაცებული იყო მასწავლებლის გენიით, ღიდად აფასებდა მის კეთილსინდისიერებას. იცოდა, რომ თუ ზოგჯერ სცდებოდა რაიტი, მხოლოდ იმიტომ მოსდიოდა ეს, რომ გულწრფელად დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. ფლემინგს ჰბატუკობიდანვე წესად ჰქონდა, არაფითარ შემთხვევაში ჯიუტად არ დაეცვა წინასწარ აკვიატებული აზრი, თუკი ცდით საპირისპირო შედეგი მტკიცდებოდა. მისი მეგობარი, პროფესორი პანეტი, წერს: „ალექს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა; ამიტომ, როდესაც გადაწყვეტდა თავისი მოსაზრების გამოთქმას, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ჰკვიანურს იტყოდა. ფლემინგი ჰეშმარიტად გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი ადამიანი გახლდათ“. როდესაც რაიტს, მშვერმეტყველების მორევში გადაშვებულს, თეორიული დასკვნები გაიტაცებდა, ფლემინგი მშვიდად შეეპასუხებოდა ხოლმე: „არა, ბატონო, ასე არ გამოვა“. რაიტი გაცხარდებოდა და კვლავ თავისას განაგრძობდა. ფლემინგი სიტყვას როდი შეაწყვეტინებდა, ბოლომდე მოისმენდა მის მსჯელობას და ბოლოს მაინც თავისას გაიმეორებდა: „არა, ბატონო, ასე არ გამოვა“. და მართლაც „ასე არ გამოდიოდა“.

თავისი სხარტი, მახვილი რეპლიკებით ფლემინგი უცებ მოცელავდა ხოლმე პატრონის ზედმეტად თამამ ჰიპოთეზას, მაგრამ იგი მაინც აღიარებდა, რომ რაიტის მხურვალე აღფრთოვანება მისთვისაც შთაგონების წყარო იყო. გარეგნულად გულცივი შოტლანდიელი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით იყო აღსავსე ამ დაუცხრომელი, საოცრად მომხიბვლელი, ზოგჯერ კიდევ მძვინვარე ირლანდიელის მიმართ. ფლემინგი, ზოგჯერ მართლაც მწარედ შეეკამათებოდა მასწავლებელს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ალექს ზურგსუკან, უცხო ხალხში, ეჭვი გამოეთქვას პატრონის იდეების სისწორეზე. ალექსმა ძალიან კარგად იცოდა, რომ რაიტის ზოგიერთი თეორია ერთობ სადავო იყო, და ცდილობდა ექსპერიმენტულად დაესაბუთებია მასწავლებლის გაბედული ჰიპოთეზები. თავისი თავდაჯერებულობით, მკვახე გულახდილობით რაიტმა ბევრი მეცნიერი გადაიმტერა. ზოგ ზოგნი იწუნებდნენ მის აპარატურას. ფლემინგი საშური მოთმინებით ცდილობდა მის გაუმჯობესებას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სჯეროდა საექვოლ მიჩნეული თეორიის სისწორე, თავგამოდებით მუშაობდა ამ თემაზე, რათა ურწმუნოთათვის დაემტკიცებინა ბერიკაცის სისწორე.

ფლემინგმა ბევრი რამ ისწავლა რაიტის ლაბორატორიაში. მისთვის მართლაც ბედის წყალობა იყო, ასეთი მეცნიერის სკოლაში რომ მოხვდა, მაგრამ რაიტსაც გაუმართლა, როცა ესოდენ მიუკერძოებელი და უსაზღვროდ ერთგული მკვლევარი მოიწვნა თავის ლაბორატორიაში. რაიტი მიხვედრილი იყო ამას. თუმცა იგი, მსგავსად ბევრი სხვა დიდი მეცნიერისა, მოწაფეთა ჭკუა-გონებას თავისად მიიჩნევდა და მათ ნაშრომებს უბოდიშოდ ჩართავდა ხოლმე საკუთარ ინფორმაციებში, მაინც არაერთგზის მოუხსენებია ფლემინგის სახელი. იგი აღიარებდა, რომ მეცნიერულ მუშაობაში დიდად დავალებული იყო ფლემინგისაგან.

ახალგაზრდა მკვლევარს ბევრი ღირსება ჰქონდა. მათგან ერთი უმთავრესი იყო დაკვირვების საოცარი უნარი, ამიტომ პატარა წვრილმანიც არ გამოეპარებოდა. ფლემინგს შეუძლებლად შეეძლო აგრეთვე ამა თუ იმ მოვლენის მთავარი მიზეზის გამოვლენა. და კიდევ ერთი — იცოდა მთავარის ამორჩევა, რადგან ყოველგვარ ზედმეტს დროზე უკუაგდებდა. ეს კი პრობლემის არსის ამოხსნის საშუალებას აძლევდა. არც უნარს და არც ნიჭს არ იშურებდა, რომ დაეცვა ოპსონური ინდექსი. თავდამსხმელი ბევრი იყო, ჰირდა მათი მოგერიება, მაგრამ ალექი არ თმობდა. ამბობდნენ, ინდექსის სწორად განსაზღვრისათვის მრავალრიცხოვანი გამოთვლების ჩატარებაა საჭირო და ამიტომ, თუნდაც რომ სწორი იყოს ეს მეთოდი, პრაქტიკულად მისი გამოყენება შეუძლებელია. „არა, — პასუხობდა ფლემინგი, — გამოცდილ ბაქტერიოლოგს, გონიერად მომუშავეს, იმდენივე უჭრედის დათვლა როდი მოუწევს, რამდენიც ახალბედა მკვლევარს“. ალექს ყველა საქმე ერთნაირად ემარჯვებოდა. თვით ლაბორატორიაში მომხდარმა ორმა შემთხვევამ თითქოსდა მართლაც დაამტკიცა, რომ მკვლევართა ჯგუფი, რომელსაც რაიტი ედგა სათავეში, ამოდ. არ დაშვრა, როცა ესოდენ დიდი იმედები დაამყარა ამ საკმაოდ განმაურებულ, მაგრამ სადავო თეორიაზე.

ლაბორატორიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა; ჯონ უელსმა, შვებულების დროს სოფელში ყოფნისას, მოიწერა, ინფლუენცა შემეყარაო. რაიტმა შეუთვალა, სანამ სავსებით არ განიკურნები, ნუ ჩამოხვალაო. ორი თვის შემდეგ უელსმა კვლავ მოიწერა: „ინფლუენცა, ალბათ, არასოდეს არ გამივლის და ამიტომ სამოუშაოდ უნდა დავბრუნდე“. იგი მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ ძლივს დაბობლავდა ლაბორატორიაში. აშკარად

ავად იყო; უგუნებობას უჩიოდა, აურჯოლებდა. ერთხელ ფლემინგმა სისხლი აულო, შემდეგ ფრიმენს ორი სასაგნე მინა მიუტანა და თხოვა:

— გეთაყვა, აი ეს ორი ნაცხი, თუ შეიძლება დაითვალეთ.

მეტი არაფერი უთქვამს. ერთ მინას „A“ ეწერა, მეორეს — „B“, ფრიმენმა გულმოდგინედ დაითვალა უჭრედები, და უთხრა:

— „B“ სისხლი ორჯერ ნაკლებად აქტიურია მოცემული მიკრობის მიმართ, ვიდრე „A“, სისხლი.

— მეც იგივე აღმოვაჩინე, — მიუგო ფლემინგმა. — „B“ საკონტროლოა, „A“ — უელსის სისხლი, მიკრობი კი ქოთაოს გამომწვევია... ჯონ უელსს ქოთაო აქვს... გახსოვთ ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პონი მოუყვდა?... უელსი ალბათ გაუფრთხილებლად იქცეოდა დაავადებული ცხოველიდან აღებული მიკრობების კულტურაზე მუშაობისას... როგორც ჩანს, პონი ქოთაოთი იყო ავად და ჯონ უელსი მისი მიზეზით დასნებოვნდა...

თვენახევრის შემდეგ დიაგნოზი დადასტურდა — ჯონ უელსი იმსხვერპლა ქოთაომ, რომელიც მაშინ განუჯურნებელი სენი იყო.

ასევე საგულისხმო იყო მეორე შემთხვევა. ლოყებლავლაჟა, ჯანიანი ირლანდიელი, ექიმი მამი, რომელსაც მეზის ეძახდნენ, სხვა თანამშრომელთა მსგავსად სისხლს აძლევდა საკონტროლო ცდებისათვის — ლაბორატორიაში მუდამ იყო ნორმალური სისხლის მარაგი. ვიღაც დაინტერესდა, საშუალოდ თუ შეესაბამებოდა ეს შერეული სისხლი თვითუფი თანამშრომლის სისხლს? დაადგინეს ოპსონური ინდექსი შერეული სისხლისა ცალკე და თვითუფი დონორისა ცალ-ცალკე. მეიმ შეამჩნია, რომ მისი სისხლი უფრო მეტად განსხვავდებოდა შერეული სისხლისაგან, ვიდრე დანარჩენებისა. რაიტმა განუცხადა:

— თქვენს სისხლს აღარ ავიღებთ. თქვენ ავად ხართ.

მეზი რეგულარულად განაგრძობდა საკუთარი ოპსონური ინდექსის განსაზღვრას და შეამჩნია, რომ მისი სისხლი სულ უფრო და უფრო მეტად შორდებოდა ნორმას. რაიტმა უთხრა:

— თავი უნდა დაანებოთ ლაბორატორიაში მუშაობას, როგორც ჩანს, რომელიღაც ფარული ფორმის ტუბერკულოზი გაქვთ.

მეზიმ გაიცინა. იგი სავსებით ჯანმრთელად გრძნობდა თავს. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა უფროსს. იგი გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში, სადაც უფრო იოლი სამუშაო შესთავაზეს. როდესაც ეს შემთხვევა გახმაურდა მედიკოსების სამყაროში, ბევრი პათოლოგი ამბობდა:

„რაიტი სულ შეიშალა! მის ლაბორატორიაში მუშაობს ერთი ჯან-
ლონით სავსე ახალგაზრდა, ჯანმრთელობის განსახიერება, და რადგან
მას ოპსონური ინდექსი შეცვლილი აღმოაჩნდა, რაიტი ირწმუნება,
ტუბერკულოზითაა დაავადებულიო. ამაზე უფრო სასაცილო რამ ჯერ
არ მოგვეწყობია...“ აფრიკაში ორი თვის ყოფნის შემდეგ მეის ნახველ-
ში მართლაც აღმოაჩინეს კობის ჩხირები. ამრიგად, ოპსონური ინდექსის
მეშვეობით ბაქტერიოლოგიური დიაგნოზი რამდენიმე კვირიან უღრო
ადრე დაისვა, ვიდრე კლინიკური.

როგორც ჩანს, ამოდენა მუშაობა ტყუილ-უბრალოდ არ ტარდებო-
და, მაგრამ ეს კია, რომ რაიტის მოწაფეები დღესა და ღამეს ასწორებდ-
ნენ, სენტ-მერის სტუდენტებმა იცოდნენ, სალამოს წვეულებიდან წა-
მოსულებს, თითო ჭიქა ლუდის დაღვეა თუ მოუნდებოდათ, ღამის ორ
საათზეც შეეძლოთ სტუმრად მისულიყვენ ფლემინგთან, რომელიც
გვიანობამდე უჯდა თავის მიკროსკოპს. მათ უყვარდათ ფლემინგის მო-
ნახულება ლაბორატორიაში. დინჯი, თავშეკავებული, ყელზე ღამა-
ზად მოჭერილი პეპელა-პალსტუხით, ქვედა ტუჩზე მიწებებული განუყ-
რელი სიგარეტით; ლაპარაკის დროსაც რომ არ იშორებდა პირიდან,
რის გამოც მისი ნათქვამი უფრო ძნელი გასაგები ხდებოდა; გულლია
მასპინძელი, მუდამ მზადმყოფი, მოთმინებით მოესმინა ყველაფერი, რა-
საც კი ეტყოდნენ.

ყველა სხვა ღირსებასთან ერთად ფლემინგს იმის განსაცვიფრებელი
ნიჭიც ჰქონდა, რომ უადრესად თანმიმდევრულად გადმოეცა ფაქტები...
მისი პირველი ინფორმაციებიც კი გვაოცებს ბრწყინვალე, მკაფიო მეც-
ნიერული ენით. რაიტი, რომელიც თვითონ უადრესად განათლებული
კაცი იყო, დახვეწილი გემოვნების მქონე და მომთხზვნე, აღიარებდა,
რომ ფლემინგი შესანიშნავად წერდა — მისი ნაწერის მანერა ყოველთ-
ვის გამოირჩეოდა თავშეკავებულობითა და სიზუსტით. „ჩემმა კოლე-
გამ, ექიმმა ალექსანდრე ფლემინგმა, წინამდებარე ნაშრომში, რომელ-
საც წაემძღვარება ეს წინასიტყვაობა, შესანიშნავად აღწერა შედეგები,
რომლებიც მიღებულია სენტ-მერის ვაქცინოთერაპიის განყოფილება-
ში...“ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ხანებში რაიტმა ვაქცინოპროფილაქ-
ტიკიდან ვაქცინოთერაპიაზე გადაინაცვლა. საჭიროდ მიმაჩნია იმის გან-
მარტება, თუ რატომ მოიქცა იგი ასე.

იმუნოზაცია იმას ნიშნავს, რომ დაავადების საფრთხის გაჩენამდე

ადვილურვით ორგანიზმში ამ მოსალოდნელი სწეულების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებით. ჯენერისა და პასტერის აცრები პროფილაქტიკური (დამცველი) იყო. მიუხედავად ამისა, შემდგომში თვითონ პასტერმაც კი ხელი მიჰყო ცოფით უკვე დასენიანებულ ავადმყოფების მკურნალობას, და წარმატებასაც მიაღწია. რატომ? იმიტომ, რომ ცოფიანი ძალის მიერ დაკბენილი ადამიანი მაშინვე ჯიბი ავადდება. საინკუბაციო პერიოდში. ვაქცინის შეყვანის საპასუხოდ ორგანიზმში გამოიშუავენ დასველ ანტისწეულებს ინფექციის მომავალი გააქტიურების პერიოდში ბრძოლის გასაჩაღებლად. მაგრამ ეს მაინც დამცველი აცრის სახეს სხვაობდა.

რაიტმა სწორედ აქედან დაიწყო. ეგებ უფრო შორს წასვლაც შეიძლება? მანამდე „იმუნოზატორები“ დასნებოვნებულ ორგანიზმს ერთიანად, განუყოფლად მიიჩნევდნენ. სწორია თუ არა ეს? საერთოდ, არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ისეთი ადგილობრივი ინფექციები, რომლებიც მთელ ორგანიზმში არ ვრცელდება, არ გენერალიზდება. მუხლის სახსრის ტუბერკულოზის დროს დაავადება შეიძლება არ გადავიდეს ავადმყოფის სხვა ორგანოებზე. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მტერმა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ბუნებრივი ძალების დამარცხება შეძლო, მიკრობებმა მხოლოდ პლაცდარში დაიპყრეს, მეტი კი ვერ მოახერხეს. ამასთან, არც კი მომხდარა ორგანიზმის საერთო დამცველი ძალების მობილიზება საბრძოლო მზადყოფნისათვის.

შეიძლება თუ არა მათი ჩაბმა ბრძოლაში? შეიძლება, ამბობდა რაიტი, აუტოვაქცინით. ადგილობრივი ინფექციის დროს ზუსტად უნდა დადგინდეს ავადმყოფობის გამომწვევის ბუნება, მოკლული მიკრობებისაგან დამზადდეს კულტურა და შეყვანილ იქნას ორგანიზმში. შემდეგ კი უნდა მოწმდებოდეს ოპსონური ინდექსი, რათა გამოირკვეს ვაქცინის მოქმედება. რაიტი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია მედიცინის მრავალრიცხოვანი დარგების გამოკვლევათა გზაზე, და რომ ვაქცინოთერაპია შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ფართოდ, მაგალითად, სეფსისისა და კიბოს თანმზლები ინფექციების დროს. ადამიანს, რომელიც აღფრთოვანებულია ამა თუ იმ იდეით და დღენიდავ მასზე ფიქრობს, ჰგონია, რომ ყველაფერში შეიძლება მისი გამოყენება.

ფლემინგს, ისევე, როგორც მის კოლეგებს, რა თქმა უნდა, სჯეროდა ვაქცინოთერაპიის და, მართლაც, სენ-მერიში ცოტა რიდი იყო ავადმ-

ყოფთა განკურნების შემთხვევები. ამ ახალმა მეთოდმა დიდი ხმაური გამოიწვია. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ ბაქტერიოლოგები რაიტთან, რათა შეესწავლათ აუტოვაქცინები და ოპსონური ინდექსი. ლაბორატორიის ორ პატარა ოთახში, რომლებშიც რაიტის ექვსი თუ შვიდი თანაშემწე მუშაობდა, ძლივძლივობით ეტეოდა ხუთი-ექვსი უცხოელი სტუმარი. მკურნალობის ახალი მეთოდის ამბავს რომ მოჰყრეს ყური, ავადმყოფები ჯარად მოაწყდნენ ლაბორატორიას. ყველასათვის უნდა აეღოთ ნაცხი, ებოვნათ გამომწვევი, დაემზადებინათ ვაქცინა, გაეკეთებინათ აცრა, დაეთვალათ ლეიკოციტების მიერ შთანქმული მიკრობები. ლაბორატორიის თანამშრომლები თავგამოდებით მუშაობდნენ, რომ როგორმე თავი გაერთმიათ ამ მძიმე, მომჭანცველი სამუშაოსათვის. მათ კი არც შესაფერისი ბინა ჰქონდათ, არც ფული.

1907 წელს საავადმყოფოს დირექციამ, რადგან არავითარი სახსარი არ მოეპოვებოდა ცოტა ხნის წინ აშენებული ფლიგელის ზედა სართულების მოსაწყობად (კლარენს ვინგი), რაიტს შესთავაზა ისინი იმ პირობით, თუ იგი სუბსიდიას იშოვნინდა. რაიტს ბევრი ჰყავდა შეძლებული და საკმაოდ გავლენიანი თავყვანისმცემელი; მან დახმარებისათვის მიმართა ლორდ აივიგს, არტურ ჯემს ბალფურს, ლორდ ფლეტჩერ მულტონს, სერ მაქს ბონს, და მათ მოკლე ხანში შეუფროვეს საჭირო თანხა. გარდა ამისა, როგორც კი დამთავრდა ლაბორატორიის მოწყობა, მსხვილმა ფარმაცევტულმა ფირმამ („პარკი, დევისი და კომპანია“) ვაქცინების, შრატების, ოპსონინებისა და ანტიტოქსინების მიწოდება შესთავაზა ბაქტერიოლოგიურ განყოფილებას ასე რომ, ამ ხნიდან მოყოლებული განყოფილებას რეგულარული შემოსავალი გაუჩნდა, მაგრამ მთელი თანხა კლინიკის გაფართოებას ხმარდებოდა, ლაბორატორიის თანამშრომლები კი ძველებურად კაპიკებს დებულობდნენ, დაახლოებით იმდენს, რამდენიც ეძლევათ ახლა ქუჩის დამგველებს.

ბაქტერიოლოგიური განყოფილების სტრუქტურა საბოლოოდ დამტკიცდა 1909 წელს თემთა პალატის სხდომაზე, რომელსაც ბალფური თავმჯდომარეობდა. განყოფილებას სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა. მისი მმართველობა მინდობილი ჰქონდა კომიტეტს, რომელსაც რაიტი თავისი ნება-სურვილით იწვევდა ხოლმე. ქვორუმიდსათვის საკმარისი იყო რაიტისა და კომიტეტის ორი წევრის დასწრება. ბერიკაცის კეთილმოსურნე ტირანია ამიერიდან დაკანონებულად ითვლებოდა.

ლაბორატორიაში ქალებს იშვიათად ნახავდით, გარდა იმ გამონაკ-

ლისისა, როდესაც რაიტი, მისი მეგობრის ერლიხის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბანოვანთათვის განკუთვნილ პროგრამას“ ამზადებდა. ასეთი „პროგრამების“ დროს ლედი ჰორნერს, მისის ბერნარდ შოუსა და სხვა პრივილიგიურებულ ბანოვანთ ეფექტური ცდების მეშვეობით. აცნობდნენ უკანასკნელ აღმოჩენებს. რაიტი არ მალავდა თავის ზიზღს ქალის ინტელექტის მიმართ, და ღამეული ჩაის სმის მონაწილეებს არა-იშვიათად სმენიათ მისგან მწარე პამფლეტები ქალმოდულეობის თემაზე.

„ქალის ჭკუა-გონებაზე გავზიადებული აზრის წყარო, — ამბობდა რაიტი, — უმეტეს შემთხვევაში ქმრების მიკერძოებული. შეხედულება საყოთარ ცოლებზე. ისე კი საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქმრის მოსიყვარულე ცოლი ბრმად ემორჩილება მეუღლის რწმენას... ერთ ქალს უთქვამს თავის ქალიშვილზე: „ისე უყვარს ქმარი, მაჰმადიანობა რომ მიიღოს მან, ისიც იგივეს გააკეთებსო“.

რაიტი ქადაგებდა, სიყვარულს თითქმის ყოველთვის ბაქტერიული ტოქსინები იწვევსო. ბერძნული ტერმინოლოგიით გატაცებამ იქამდე მიიყვანა ბერიკაცი, გაუგონარ ამბავს ამბობდა: ქალსა და კაცს ერთმანეთის მოხვევის სურვილი რომ აქვთ, როცა ისინი ცდილობენ საყვარელ ადამიანს ხელებით შემოეჭდონ და მხარზე თავი დაადონ, ეს აიხსნება „სტერეოტროპული“ ინსტინქტით, ე. ი. რაიმე საიმედოზე დაყრდნობის სურვილითო. რაიტმა წიგნიც კი დაწერა ქალების საარჩევნო უფლების წინააღმდეგ, იმ უფლებისა, რომლის მოპოვებასაც თავგამოდებით ცდილობდნენ მაშინ სუფრაჟისტები. რაიტი აგროვებდა დიდი მწერლების ენამწარე გამოთქმებს ნაზ სქესზე. ამ კოლექციაში ამოიკითხავდით მიშლეს აფორიზმს: „მამაკაცს უყვარს ღმერთი, დედაკაცს უყვარს მამაკაცი“, შერედიტის ნათქვამს: „მე ვფიქრობ, რომ ქალების ცივილიზაცია უკანასკნელი ამოცანა იქნება, რომელსაც დაისახავს მამაკაცი“, დოქტორ ჯონსონის გამქირდავ ფრაზას: „ყოველთვის მოიძევება ისეთი რამ, რასაც ქალი ჭეშმარიტებაზე წინ დააყენებს“.

რაიტის აზრით, ადამიანი, რომელსაც სურს განახორციელოს თავისი დიადი ჩანაფიქრი და შეუსვენებელი იმუშაოს, ქალებისაგან სრულიად განცალკევებით უნდა ცხოვრობდეს. მაგრამ რაიტი განა მხოლოდ სიტყვით ამბობდა ამას, საქმითაც ასე იქცეოდა. თავისი ოჯახი მან ქალაქგარეთ დაასახლა, თვითონ კი ლონდონში ცხოვრობდა. მისი ოჯახური კერა ლაბორატორია იყო. „სანამ ადამიანი რაიმე გადაწყვეტილებას

შიილებდეს ამა თუ იმ საკითხზე, გულმოდგინედ უნდა განიხილოს იგი მცოდნე ადამიანებთან ერთად“, — უთქვამს რაიტს. ამიტომ შემოიკრიბა მან გარშემო მოწაფეები. ერთნი, როგორც იყო, ვთქვით ფრიმენი, თავიანთი გონივრული წინააღმდეგობით კიდევ უფრო აღაფრთოვანებდნენ მას, მეორენი, მაგალითად ფლემინგი, შემწეობას უწევდნენ შეუძცდარი მსჯელობებით, სრულყოფილი ტექნიკით, ნირშუუცვლელო საღი აზროვნებით, ზოგჯერ მდუმარე ამბობებითაც.

ფლემინგი ძალიან მალე შეეთვისა ამ ახალ სამყაროს, სადაც სრულიად შემთხვევით მოხვდა. ლაბორატორიაში შრომა ნამდვილად აქარბებდა ადამიანურ შესაძლებლობებს. დილით ისინი საავადმყოფოს პალატებში მუშაობდნენ, რადგან რაიტი კვლავინდებურად მოითხოვდა, რომ მკვლევარები ამავე დროს კლინიკისტიებიც ყოფილიყვნენ. დღის მეორე ნახევარში მიღებას აწარმოებდნენ კონსულტაციაში, სადაც ისეთი ავადმყოფები მოდიოდნენ, რომელთაც ჩვეულებრივი ექიმები „უიმედოდ“ თვლიდნენ. ამ ავადმყოფებს სისხლს უღებდნენ გამოსაკვლევად. მიღებას დაამთავრებდა თუ არა, ფლემინგი მაშინვე ლაბორატორიას მიაშურებდა და თავის სასაგნე მინებს მიუჯდებოდა. ნავახშმევს ისევ ლაბორატორიაში ბრუნდებოდნენ და სისხლის მრავალრიცხოვანი სინჯების შესწავლას იწყებდნენ. მკვლევარები საკონტროლოდ საკუთარ სისხლს იღებდნენ. „თითები სანემსე ბალიშებს გვიგავდა“, — იგონებს კოლბრუკი. ყველაფერი ორს დასრულებს საფრთხესაც უქადდა მათ.

ასე მომქანცველ სამუშაოს ასრულებდა ფლემინგი და თან ემზადებოდა გამოსაშვები გამოცდებისათვის, რომლებიც 1908 წელს ჩააბარა. როგორც ყოველთვის, ალექსა ამჯერადაც პირველი ადგილი დაიკავა და ლონდონის უნივერსიტეტის ოქროს მედალი მიიღო. იმავედროულად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მონაწილეობა მიიღო კონკურსში სამეფო ქირურგიული კოლეჯის წევრის წოდების მოსაპოვებლად და მართლაც მიაღწია თავისას. გარდა ამისა, სენტ-მერის ფაკულტეტური კონკურსისათვის დაწერა ნაშრომი „მწვავე მიკრობული ინფექციები“ და კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა. სენტ-მერის გაზეთის სარედაქციო სტატიაში, რომელშიც მოთავსებული იყო ცნობა ფლემინგის წარმატებაზე, ეწერა: „მისტერ ფლემინგი, რომელმაც ახლახან ოქროს მედალი მოიპოვა და ამავე დროს თითქოსდა უწვალელად გახდა სამეფო ქირურგიული კოლეჯის წევრი, სერ ალმროტ რაიტის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფეა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას ბრწყინვა-

ლე მომავალი ელის". ამ სტატიის შორსმჭვრეტელი ავტორი გახლდათ ზახარო კობე, რომელმაც შემდგომ ბარონეტის ტიტული მიიღო და სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე ქირურგმა.

ფლემინგის ნაშრომი მიკრობულ ინფექციებზე და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე თითქოსდა მოციქული იყო მისი კვლევითი მოღვაწეობისა, რასაც შესწირა მან მთელი თავისი ცხოვრება. ფლემინგმა სრულად აღწერა მიკრობთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა მთელი იმდროინდელი არსენალი: ქირურგიული ჩარევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ინფექციის კერა ხელმისაწვდომია; ანტისეპტიკა, ზოგადგამამაგრებელი საშუალებანი; გარკვეულ მიკრობებზე ზემოქმედების უნარის მქონე პრეპარატები: ქინაქინი მალარიისას, ვერცხლისწყლის პრეპარატები ათაშანგის დროს და ა. შ; და, რა თქმა უნდა, მრატები და ვაქცინები.

თავის ნაშრომში ფლემინგი საპატიო ადგილს უთმობდა რაიტიესულ ვაქცინოთერაპიას. მეცნიერი მკვლევარის მტრები ირონიულად კითხულობდნენ: „რა აზრი აქვს მოკლული მიკრობების შეყვანას ორგანიზმში, რომელიც იბრძვის ცოცხალი მიკრობების წინააღმდეგ?“ ისინი იმოწმებდნენ ინფექციურ ენდოკარდიტს. ამ დაავადების დროს დაზიანებულია გულის სარქველები, და მიკრობები განუწყვეტლივ ხვდებიან სისხლში. რაიტის თეორიის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ბუნებრივი ვაქცინაცია, სინამდვილეში ამის მსგავსიც კი არაფერი არ აღინიშნება და ორგანიზმი არავითარ ანტისხეულებს არ წარმოქმნის.

ასეთ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ფლემინგმა წამოაყენა შემდეგი პირობები: სისხლში მიკრობის ცირკულაცია, ალბათ, არ შეესატყვისება ვაქცინის შეშხაპუნებას. მაგრამ ამას ექსპერიმენტული დასაბუთება სჭირდებოდა. მას არც შეეძლო და არც სურდა ამ ცდის ჩატარება რომელიმე ავადმყოფზე, ამიტომ ცდის პირად ისევ თავისი თავი აირჩია. მისი თხოვნით, ვენასშიდა გზით შეუყვანეს სტაფილოკოკური ვაქცინა. იმ დროს ვენასშიდა შეშხაპუნება სახიფათო მანიპულაციად მიაჩნდათ, რადგან ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. ასე რომ, ფლემინგმა ამ ცდით პირადი გმირობაც გამოიჩინა. შაბათს მას ვენაში შეუყვანეს ასორმოცდაათი მილიონი მოკლული სტაფილოკოკი. კვირას აუტყდა პირღებინება, ატკივდა თავი, მოუმატა ტემპერატურამ. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი სიმპტომების დროს სისხლს მოემატებოდა წინააღმდეგობანს უნარი — გაჩნდებოდნენ ანტისხეულები. მაგ-

რამ სისხლში ანტისხეულები არ აღმოჩნდა. ხოლო როდესაც იგივე ასორმოცდაათი მილიონი სტაფილოკოკი კანქვეშ შეჰყავდათ, ორგანიზმის წინააღმდეგობა მკვეთრად მატულობდა. მაშასადამე, უშუალოდ სისხლის ნაკადში ინოკულაცია (ენდოკარდიტის დროს კი მიკრობები სისხლში ცირკულირებენ) მკურნალობის არასწორი მეთოდია, რომელიც განაპირობებს მაქსიმალურ ტოქსიკურ მოქმედებას და მინიმალურ იმუნიტეტს. ცდის შედეგმა დაადასტურა ახალგაზრდა ექიმის ვარაუდი.

ფლემინგის ნაშრომი ინფექციათა შესახებ იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მისი ცხოვრების გარიჟრაჟზევე მკაფიოდ წარმოაჩინეს მეცნიერის მთელი შემდგომი მოღვაწეობის საერთო სურათს. ფლემინგი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას მუდამ ერთ მიზანს ისახავდა: ეპოვნა ინფექციათა საწინააღმდეგო საშუალება. ინფექცია მაშინ კაცობრიობის უბოროტესი და დაუჯანბნელი მტერი იყო. ალექი სავესებით მომზადებულად თვლიდა თავის თავს ასეთი ძიების ჩასატარებლად. იგი ბუნების მკვლევარად იყო დაბადებული და, სხვათაშორის, აშკარად გრძნობდა თავის უპირატესობას. ამიტომ სწორი არ იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ამ რჩეულ და ლიტერატურულად უფრო განათლებულ საზოგადოებაში იგი რაიმე უხერხულობას განიცდიდა. არავითარი ამის მსგავსი—არც ღარცხვენა, არც გაღიზიანება. იგი დასანახავად ვერ იტანდა მუდამ მოწუწუწე გაავებულ. გაბოროტებულ ადამიანებს. „ალექი მუდამ კარგ ხასიათზე იყო, მუდამ ხალისიანად, მონდომებით მუშაობდა, — წერს მისი ერთ-ერთი ამხანაგი დოქტორი პოლისი, — ვერასოდეს ვერ შეატყობდით უგუნებობას და დაღლილობას... გვეგონებოდათ იუმორით უყურებს თავის გამოკვლევებსო, მაგრამ ამავე დროს უალრეს სერიოზულობას იჩენდა მუშაობაში. პროფესორი კრუჟშენკი გვამცნობს: „ეტყობამას მოსწონდა აღმროტ რაიტის ფილოსოფიური მსჯელობანი. თუმცა ფლემინგი არ მონაწილეობდა ამ დისკუსიებში და ათასში ურთხელ თუ გამოთქვამდა თავის აზრს, მაგრამ, ჩანს, სწორედ ამით მოიხვეჭა საყოველთაო პატივისცემა“. მას სიამოვნებას ჰგვირიდა სხვისი მოსმენა, და ეს მისი ძლიერების წყარო გახლდათ. რაიტი თავისი მკვეთრი ინდივიდუალობით აშკარად ჩრდილავდა დანარჩენებს, მაგრამ დინჯმა ფლემინგმაც შეძლო სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება.

შეცნიერება გონების ფარ-ხმალია, და გონება თავის ხსნას ჰპოვებს არა ხაკუთარი თავის შემწეობის იმედით, რაც აჩრდილის დადევნება იქნებოდა, არამედ ამოჩემებით ერთი მიზნისა, რომელიც მისთვის დასაყრდენი ბურჯი გახდება.

ალენი

რაიტსა და მის მოწაფეებს სჯეროდათ ვაქცინისა, სჯეროდათ ოპსონური ინდექსისა, და ისინი დღე-ღამეს ასწორებდნენ ამის დასამტკიცებლად. სხვა ქვეყნების მეცნიერები კი სულ სხვა გზით ცდილობდნენ საშიში მიკრობების დამარცხებას. გერმანელი პაულ ერლიხი, რაიტის მეგობარი, კუს ბაქნის ჩარჩოიანი სათვალისა და ანთებული თვალებით რომ იმზირებოდა და მუდამ ხმამაღლა, მხიარულად ლაპარაკობდა, სავსებით დარწმუნებული იყო, რომ მიზანს მიაღწევდა და გულმოდგინედ ეძებდა „მაგიურ ტყვიას“, რომელიც შეძლებდა შემოჭრილი მტრის მოკვლას, პატრონის ორგანიზმს კი არავითარ ზიანს არ მიაყენებდა.

ერლიხი დაიბადა 1854 წელს და იმ დროს მოუწია სწავლამ, როცა გერმანიაში დღითიდღე იზრდებოდა საღებავების ვეებერთელა ქარხნების რიცხვი. იგი ქიმიკოსიც იყო და ექიმიც. ახალგაზრდობაშივე დაინტერესდა ადამიანისა და ცხოველის ქსოვილების შეღებვით. ერლიხმა დაადგინა, რომ შეღებვა ხდება ამორჩევით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული ქსოვილები აფიქსირებენ მხოლოდ გარკვეულ საღებავებს. მკვლევარად, ნერვულ ქსოვილს მხოლოდ და მხოლოდ მეთილენის ლილა ღებავდა. ეს თავისებურება კი ნერვული უჯრედების განლაგების გამოკვლევის შესაძლებლობას იძლეოდა. ერლიხმა ისიც შეამჩნია, რომ სენგამომწვევი პარაზიტები ზოგიერთ საღებავს უფრო უკეთ „ისრუტავენ“, ვიდრე იმ ორგანიზმის უჯრედები, რომელშიც ჩასახლდნენ პარაზიტები.



ლუი პასტერი



ილია ილიას ძე მეჩნიკოვი

რატომ? იმავე მიზეზით, განმარტავდა ერლიხი, რომელიც მიჩვეული იყო ქიმიკოსივით მსჯელობას, რის გამოც დიფთერიული ტოქსინი აზიანებს მხოლოდ და მხოლოდ გულის კუნთს, გაშეშების ტოქსინი კი მხოლოდ და მხოლოდ ნერვულ უჯრედებს; ერთი სიტყვით. იმიტომ, რომ მოლეკულათა შორის ქიმიური ნათესაობა არსებობს მაშასადამე, ის მოლეკულები, რომლებიც, ქიმიურად მონათესავენი აღმოჩნდებიან რა ტოქსინებისა, შეუერთდებიან მათ და გაანეიტრალებენ, სამკურნალო ანტიტოქსინები ყოფილან.

1904 წელს ერლიხმა, რომელიც იმხანად ფრანკფურტის სეროთერაპიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, თავის ასისტენტ, იაპონელ ექიმ შიგასთან ერთად უამრავი ცდა ჩაატარა. საშიში პარაზიტის — ტრიპანოზომის საწინააღმდეგოდ ათასნაირი საღებავი გამოცადა. მორის ნიკოლესა და მენილეს შემდგომ ერლიხმა გამოიყენა განსაკუთრებით აქტიური საღებავები — ტრიპანის წითელი და ტრიპანის ლურჯი — და საკმაოდ დამაიმედებელი შედეგები მიიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ ერლიხმა მოიპოვა თავისი ყველაზე უფრო დიდი გამარჯვება, მაგრამ არა ტრიპანოზომებზე, არამედ მკრთალ ტრეპონემებზე, ანუ სპიროქეტებზე, — ათაშანგის გამომწვევებზე, და თანაც არა საღებავების მეშვეობით, არამედ დარიშხანის ნაერთებით. ვინც თავგამოდებით ეძიებს, რაიმეს მაინც აღმოაჩენს ხოლმე, შეიძლება იმას ვერ მიაკვლიოს, რაც სურდა, მაგრამ სხვა რამეს კი წააწყდეს. ასე დაემართა ერლიხსაც. სხვაგან უმიზნებდა და სულ სხვაგან მოახვედრო მიზანში.

პარაცელსიუსი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცდილობდა დარიშხანის გამოყენებას ათაშანგის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ, როგორც ჩანს, წარუმატებლად, რადგან ექიმებმა მალე უარპყვეს ეს მეთოდი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერცხლისწყლის პრეპარატებით ატარებდნენ მკურნალობას. 1905—1907 წლებში ქიმიკოსებმა დაამზადეს დარიშხანის პრეპარატი ატოქსილი, რომელიც ეფექტურად მოქმედებდა როგორც ტრიპანოზომაზე, ისე სპიროქეტაზე. სამწუხაროდ, სახელწოდებამ ვერ უშველა ამ პრეპარატს — იგი ტოქსიკური აღმოჩნდა. ერლიხმა გადაწყვიტა გარდაექმნა ატოქსილი და მისგან ახალი „მაგიური ტყვია“ დაემზადებინა. მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა ეს, რადგან განსაცვიფრებელი მოთმინება უნდა ჰქონოდა

კაცს, სანამ შედეგს მიაღწევდა. მართლაცდა, ატოქსილის ყოველი ცალკეული წარმოებულის მიღებისას, რასაც ქიმიკოსები ერლიხის მეთაურობით აკეთებდნენ, უპირველეს ყოვლისა უნდა განსაზღვრულიყო C — მინიმალური დოზა, რომელსაც ექნებოდა მიკრობების მოსპობის უნარი; შემდეგ T — მაქსიმალური დოზა, რომლის გაძლება შეეძლო ორგანიზმს. C/T შეფარდებით შეიძლებოდა მსჯელობა მედიკამენტის ეფექტურობასა და ტოქსიკურობაზე. ისეთ შემთხვევაში, როდესაც C მეტი იყო, ვიდრე T, ახალი პრეპარატის გამოყენება, ცხადია, დაუშვებელი იყო. ხანგრძლივი კვლევა-ძიების დროს ათასობით თავი და ზღვის გოჭი ემსხვერპლა მეცნიერებას. 1909 წელს პრეპარატმა „418“-მა იმედის შუქი მოჰფინა მკვლევართ, მაგრამ იმედი იმედად დარჩა. ერლიხი ილაჩგაცლილი იყო, მაგრამ ენთუზიაზმი მაინც არ განელებია და თავგამოდებით განაგრძობდა მუშაობას და უღვთოდ ანადგურებდა თავვებს. მოსახდენი 1909 წლის მაისში მოხდა. პრეპარატმა „606“ ისე მოსპო ყველა ტრიპანოზომა, რომ თავვებიც გადარჩნენ და ზღვის გოჭებიც. გავიდა ხანი და „606“ გამოსცადეს ათაშანგით დასნებოვნებულ ბოცვერებზე. სამ კვირაში ცხოველები სავესებით განიკურნენ. ასე „ჩამოსხა“ კაცობრიობის ერთ-ერთი უბოროტესი მტრის საწინააღმდეგო „მაგიური ტყვია“. ეს ტყვია პირდაპირ მიზანში ხვდებოდა, უცილობლად სპობდა პარაზიტს, პატრონის ქსოვილებს კი არავითარ ზიანს არ აყენებდა. ერლიხმა ამ პრეპარატს „სალვარსანი“ (დარიშხანით გადამრჩენელი) უწოდა.

რაიტს ხიბლავდა ერლიხის დაუშრეტელი ფანტაზია, გულზიარი ხასიათი და დაუზარებელი მოუბარობა. გერმანელი მეცნიერი ლაბორატორიის ახლო მეგობარი გახდა. როდესაც იგი. ლონდონს ეწვია, რათა მოხსენება წაეკითხა ქიმიათერაპიაზე (რაიტი ამოდ რომ ცდილობდა „ფარმაკოთერაპიად“ გადაენათლა), სენტ-მერის ახალგაზრდა მეცნიერთ მან მცირეოდენი სალვარსანი აჩუქა. ფლემინგი მაშინვე დაეუფლა ამ პრეპარატის გამოყენების წესს. სალვარსანით მკურნალობა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. პრეპარატი ძალიან მალე იყანგებოდა ჰაერზე. კუნთებშიდა გზით შეყვანა მწვავე ტყვიის იწვევდა. ერლიხის ახალ ასისტენტს, იაპონელ ხატას მარჯვედ შეჰყავდა ბოცვერის ვენაში სალვარსანი, მაგრამ 1909 წელს თითო-ოროლა კაცს თუ შეეძლო საერთოდ ვენასშიდა გზით სამკურნალწამლო ნივთიერების შემსაპუნება.

ლოქტორი ჯ. უ. ბ. ჯეიმსი იგონებს, რომ 1909 წელს მას ამხანაგთან ერთად უყურებია, თუ როგორ შეუყვანა ფლემმა ავადმყოფს პრეპარატი „ნობ“. ჯეიმსი და მისი მეგობარი, რომლებიც სენტ-მერის სტუდენტები იყვნენ იმჟამად, ახლოს იცნობდნენ ფლემინგს, აღტაცებული იყვნენ მისი ნიჭით და მულამ სალაპარაკოდ ჰქონდათ ალექის მიერ მოპოვებული ოქროს მედალი. „ახლაც თვალწინ მიდგას იგი ავადმყოფის საწოლთან. აი, თეთრ ხალათში გამოწყობილმა ფლემმა დადგა ყვითელი სითხით სავსე ჭურჭელი, ნემსი მარჯვე მოძრაობით შეუყვანა ავადმყოფს ვენაში, რათა პრეპარატი უშუალოდ სისხლში მოხვედრილიყო. უნდა მერწმუნოთ, რომ იმდროინდელი სტუდენტისათვის ვენასშიდა შესხაპუნება მეთისმეტად უცნაური სიახლე იყო. შესაძლოა ამიტომაც მოხდა, რომ ფლემის იერსახე სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ესოდენი დრამატული ძალით. მკურნალობის ასეთი მეთოდით გამოწვეული ეფექტი კიდევ უფრო გაგვიძლიერა პრეპარატ „ნობ“-ის სწრაფმა მოქმედებამ, რითაც იგი არსებითად განსხვავდებოდა ვერცხლისწყლის პრეპარატების ნელი მოქმედებისაგან, რასაც ავადმყოფოს სხვა განყოფილებებში ვნახულობდით.

ისიც მაგონდება, სითამამე რომ გამოვიჩინე და საუბარი გავუბი ფლემს, რადგან ძალიან დამაინტერესა ამ ყვითელმა სითხემ. ალექს მკვეთრი მანერები ჰქონდა. როდესაც შევეკითხე, ეს რა არის-მეთქი, ცისფერი თვალეები მომანათა და მოკლედ მომიჭრა:

— დოქსიდიამინოარსენობენზოლის მარილმკევა მარლი.

ვერაფერს მივხვდი. ახლა იგი შემეკითხა:

— რა გნებაეთ?

— ჩვენ გვინდოდა გვენახა...

— თქვენი აზრით, რა სჭირს მას? — გვკითხა ფლემინგმა და ხელი გაიშვირა ავადმყოფისაკენ, რომელსაც საშინელი ათაზნგისეული წყლულები ჰქონდა.

— მე და ჩემმა ამხანაგმა ერთად ვუპასუხეთ:

— ათაზნგი.

— ჰოდა, თქვენ როგორღა მოიქცეოდით? ვერცხლისწყლით უმკურნალებდით არა? აი, ნახავთ, რომ ეს პრეპარატი გაცილებით უფრო სწრაფად მოქმედებს.

შემდგომში, როცა უფრო ახლოს გავიცანი ფლემი, მივხვდი, რომ ეს გულისმომკვლელი ლაკონიზმი ჩვენდამი მტრული დამოკიდებულ-

ბის გამოვლინება კი არ იყო. ეს გახლდათ „ფლემინგის სტილი“ ისიც მინდა დაეძინო, რომ მან მაშინვე გამოავლინა კეთილგანწყობილება, მიგვიწვია კიბესთან მიყუყულ თავის პაწაწინა ლაბორატორიაში და ვრცლად მოგვითხრო საღვარსანის აღმოჩენის მთელი ისტორია, ამასთან, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტად ენციკლოპედიური ცოდნა გამოავლინა. იგი სულ ოთხი წლით იყო ჩვენზე უფროსი, მაგრამ ჩვენს ასაკში ეს დიდი განსხვავება იყო. ასე გვეგონა, რომ ფლემინგის სახით ჩვენ პირველებმა აღმოვაჩინეთ მანამდე ყველასათვის უცნობი დიდი პიროვნება. ახლაც კი, როცა წარსულს ვიგონებ, მგონია, რომ მან ჭეშმარიტი გულზიარობა გამოიჩინა ცოდნისმოყვარე ორი ახალგაზრდის მიმართ. დამშვიდობებისას ფლემმა გვითხრა: „ხვალაც მოდიო, ერთად ვნახოთ ეს ავადმყოფი“. მეორე დღეს მართლაც ვეწვიეთ. წყლულები სავსებით გასუფთავებულიყო. სახტად დავრჩით. ფლემი კი დიდად ნასიამოვნები იყო ჩვენი განცვიფრებით.

ამის შემდეგ, როცა არ უნდა მივსულიყავით, იგი ყოველთვის ხალისიანად გვეგებებოდა. გეგონებოდათ, მის სამუშაო დღეს დასასრული არა აქვსო. ხანდახან, როცა შუალამისას მოგვინდებოდა დაღევა (ჯაბუკობაში ხდება ხოლმე ასე), სასაუზმეები და სასტუმროები კი დაკეტილი იყო, ჩვენ ვიცოდით, რომ ფლემინგთან მუდამ გველოდა ერთი კათხა ლუდი და საინტერესო საუბარი. ფლემს უყვარდა პაექრობა. მყვირალა ფრაზებს ვერ იტანდა და თუ ვინმე პატივმოყვარე ყოყლოჩინობას დაიწყებდა, მაშინვე ხმას ჩააკმენდინებდა. ვიჭექით და საათობით ვუყუარებდით მის საქმიანობას — ძალიან უყვარდა მანის მილაკებით ჩხირკედელობა — ხან მოსახმარად, ხანაც თავშესაქცევად ხმარობდა მათ. მილაკს ცეცხლზე გაახურებდა და ან პიპეტებს აკეთებდა, ან კიდევ სასაცილო ცხოველებს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ნაოსტატარი კატა; იგი „გამოძერწა“ გავარვარებული მინისაგან, რომელიც გაცივების შემდეგ ნამდვილ ცოცხალ ფისუნისა დაემსგავსა. შემდეგ დაამზადა პატარ-პატარა ცხოველები, რომლებიც, კატისაგან დამფრთხალნი, თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ აქეთ-იქით.

ჩვენ სამუდამოდ დავმეგობრდით. ფლემმა საოცრად ერთგული მეგობრობა იცოდა. შეუძლებელი იყო მისი შეურაცხყოფა: მკვანხე სიტყვა, რომელიც სხვას გადარევედა, ფლემისათვის კედელზე შეყრილი.

ცერცვი იყო. სულაც არ იყო ბუტია. შემდგომში, როცა მე ფსიქიატრიაში დავსაბეციალდი, ხშირად შევებმეივართ ერთმანეთს. მედიცინაში იგი მატერიალისტურ შეხედულებებს იცავდა. ორში ერთი — ან არსებობენ ბაქტერიები, ანდა არა. იგრძნობოდა, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მხედველობაში მიეღო მხოლოდ ხილვადი და განზომილებადი ფაქტები. მაგონდება, თუ როგორ ვცდილობდი ამეხსნა შისტვის ქვეცნობიერების როლი. „რის მაქნისია ქვეცნობიერ აზროვნებაზე ლაპარაკი? — მითხრა მან. — ასეთი რამ არ არსებობს. შეუგნებლად მოქმედებისას ადამიანი არ ფიქრობს“.

ერთხელ, როცა იგი თავგამოდებით იცავდა ასეთ დებულებას, შევეკითხე, თუ იცით აისბერგის მერამდენედი ნაწილი მოჩანს ზღვის ზედაპირზე-მეთქი. მიპასუხა, არ ვიცით. „ერთი მერვედი, — მიუუგე მე, — აისბერგის შვიდი მერვედი კი არ მოჩანს. აი ასეა ქვეცნობიერი აზროვნება“. ფლემმა ეშმაკური ღიმილით შემომხედა. ვერასოდეს ვერ მიხვდებოდით, შესძელით თუ არა მისი გადარწმუნება; პაექრობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. შეეძლო ცხარე კამათი გაემართა თავის იდეოლოგიურ მოწინააღმდეგესთან და ამავე დროს შესანიშნავ მეგობრულ განწყობილებაში ყოფილიყო მასთან. თავის დარგში ვერავენ დაჯანბნიდა. ბაქტერიოლოგიაში ფართო დიაპაზონის საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა“.

ფლემინგს მართლაც უდიდეს სიამოვნებას ჰგვირია „ღრუბლებში აბობლებული“ მეტოქის მიწაზე ჩამოყვანა. ერთ მეგობარს, რომელსაც ერთხელ ცხარედ ეკამათებოდა სამყაროზე, სივრცეზე და დროზე, ბოლოს თავის საათზე მიუთითა და უთხრა: „მე ეს დროც მყოფნის“. არასოდეს ნირი არ შეეცვლებოდა სახეზე, როდესაც რაიმეს დაასკვნიდა, ვერა და ვერ მიხვდებოდით, სერიოზულად ამბობდა ამას თუ არა. ვინც ახლოს იცნობდა, მხოლოდ ის თუ შეატყობდა მრდიმარ ცისფერ თვალებში, რომ ხუმრობდა.

ფლემინგმა და მისმა კოლეგა კოლბრუქმა „ლანცეტში“ გამოაქვეყნეს სტატია — „სალვარსანის გამოყენება ათამანგის დროს“. ამ პრეპარატით მკურნალობამ გასაოცარი შედეგი გამოიღო და ამიტომ ფლემინგი ახლა დიდ იმედებს ამყარებდა ქიმიოთერაპიაზე. რაიტი კი სკეპტიკურად იყო განწყობილი. თავისი კარიერის დასაწყისში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მან განაცხადა: „მომავალში ექიმში იმუნიზა-

ტორი იქნება“. ამავე აზრისა იყო იგი ახლაც. „დადგა ჩემი წინასწარ-მეტყველების აღსრულების დრო. რამდენადაც ვიცი, ადგილობრივი ბაქტერიული ინფექციების დროს ვინც კი გამოიყენა ვაქცინოთერაპია, ყველამ დადებითი შედეგი მიიღო. ახლოვდება ის დღე, როცა ექიმი იმუნიზატორი იქნება“. ამ პატიოსანი, ნათელი გონების კაცს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა ერლიხთან, მაგრამ ქიმიური პრეპარატებით მკურნალობას ექვით უყურებდა. მედიკოსების კლუბში ერთხელ სიტყვა წარმოთქვა და ირწმუნებოდა, რომ „ადამიანის ინფექციურ დაავადებათა ქიმიოთერაპია ახლაც შეუძლებელია და მომავალშიც ასე იქნება“.

რაიტის მოწაფეები უფრო ნაკლებად იყვნენ დოგმატიკოსები. ისინი უკვე აღიარებდნენ, რომ ოპსონური ინდექსი, თუმცა თავისთავად ფრიად საინტერესო რამაა, პრაქტიკულად გამოუყენებელია, რადგან მისი განსაზღვრა ზეადამიანურ შრომას მოითხოვს. რაიტის პირადი მომხიბვლელობა და უდიდესი ავტორიტეტის ხათრი აიძულებდა ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს ყოველდღიურად შუალამემდე მსხდარიყვნენ ლაბორატორიაში და ეთვალათ მიკრობები. ბევრი მათგანი, დილით რომ მოდიოდა საკვადმყოფოში, თვალს ძლივს ახელდა, ისე იყო ქანც-გამოლეული. ფლემი კი, მიკროსკოპთან ღამისთევის შემდეგაც, ენერჯით იყო აღსავსე. ყოველთვის სხეებზე ადრე მოდიოდა სამუშაოდ და ისე ხალისიანად შეუდგებოდა საქმეს, იფიქრებდით ახლახან შვებულება სოფელში გაუტარებიაო. ლაბორატორიის თანამშრომელთაგან ზოგიერთი მკვლევარი, სახელდობრ, ფლემინგი, ნუნი და ბრინტონი იძულებული იყვნენ, გარდა ლაბორატორიაში მუშაობისა, კერძო პრაქტიკისთვისაც მიემართათ, თორემ სხვაგვარად ძნელი იყო თავის რჩენა. ფრიმენმა, რომელსაც დევონშირ-პლაისზე, 30, ჰქონდა სახლი ნაჭირავეები, თავის კოლეგებს კაბინეტები დაუთმო პაციენტების მისაღებად.

იმხანად მთელ ინგლისში თითქმის მხოლოდ ფლემინგი და კოლბრუკი იყენებდნენ სალვარსანს ათაშანგის სამკურნალოდ, და მათ ერლიხის წყალობით მალე გაითქვეს სახელი როგორც მკურნალმა ექიმებმა. პრეპარატი მაშინ შეპყავდათ წყალში ძლიერად განზავებული. ფლემინგმა თვითონ გააკეთა საპროცედურო მარტივი მოწყობილობა, რომელიც შედგებოდა ორი ფლაკონისა, შპრიცისა, ორი რეზინის მილისა

და ორმილყელიანი ორზ ონკანისაგან; სანამ სხეები ერთ ავადმყოფს უკეთებდნენ საღვარსანის შეზაპუნებას, ფლემინგი თავისი აპარატით ოთხ კაცს ისტუმრებდა. ლონდონის შოტლანდიურ პოლკში ფლემმა ბევრი დაიხსნა მკრთალი სპიროქეტის ტყვეობიდან, ამიტომაც შეურქმევიათ მისთვის მეტსახელად „რიგითი ჯარისკაცი 606“. რომელიღაც კარიკატურისტს შარჟიც დაუხატავს მასზე: თოფის ნაცვლად შპრიცი ეკავა ხელში. ალექი აღტაცებული იყო საღვარსანის მაღალფექტურობით.

ფლემინგი კარგი დიაგნოსტიკოსიც გახლდათ. პროფესორი ნიუკომბი აღწერს დამახასიათებელ შემთხვევას: ერთი ავადმყოფი, რომელსაც ტუჩზე წყლული ჰქონდა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში იწვა უნივერსიტეტის კოლეჯის კლინიკაში ტუბერკულოზის დიაგნოზით მკურნალობის რა მეთოდი არ სცადეს, მაგრამ ყველა უშედეგოდ. ბოლოს ავადმყოფი სენტ-მერიში გადაიყვანეს ვაქცინოთერაპიის ჩასატარებლად. წყლული თანდათან დიდდებოდა. ერთხელ ფლემინგი მკურნალი ექიმის შემცვლელად იყო მთელი დღე-ღამის განმავლობაში. საექიმო ეთიკა მოითხოვს, რომ შემცვლელმა ექიმმა არ გამოცვალოს დანიშნული მკურნალობა. მაგრამ ფლემინგი ორთოლოქსი არ იყო და ერთბაშად სამი დანაშაული ჩაიდინა: ავადმყოფს სისხლი აუღო, შეუზაპუნა საღვარსანი და ნიუკომბს გაუგზავნა ქსოვილის ანათალი მიწერილობით: „ტუჩის წყლული... ტუბერკული?“.

„ჰოდა, — გვამბობს ნიუკომბი, — გავიფიქრე: რახან ფლემინგი წერს ტუბერკულიო, მაშასადამე, ასეცაა... მაგრამ მე უამრავი პლაზმოციტი აღმოვაჩინე და პასუხად შევეუთვალე: „ტუჩის ტუბერკულოზური დაზიანება. მრავალრიცხოვანი პლაზმოციტების არსებობა, ალბათ, მეორადი ინფექციით უნდა აიხსნას.“ მეორე დღეს! საუზმის დროს ფლემინგმა მოხეივე იერით გადმომხედა და მითხრა: „უცნაური ტუბერკულოზური წყლული გამოგიგზავნე, არა?“ — მე ვუპასუხე: „მართლაც უცნაურია“. „— დიახ, — კვერი დამიკრა ფლემინგმა, — მეტასმეტად უცნაური. ავადმყოფს საღვარსანი შევეუზაპუნე და იცით რა მოხდა? გამოჯანმრთელდა. რა უცნაური ტუბერკულოზი ჰქონია“. მერე ხშირად მომაგონებდა ხოლმე ამ ამბავს. საკმარისი იყო მასთან კამათის დროს ცოტა გადამეჭარბებინა, რომ მაშინვე ჩამინისკარტებდა: „ტუბერკულოზურ წყლულებზე ხომ არ ვილაპარაკოთ?“

„ფლემინგს შესანიშნავი ხასიათი ჰქონდა;— გვიამბობს დოქტორი ფრაი, — ამის ნათელი დადასტურება ისაა, რომ იგი ყველას უყვარდა, თუმცა იგი ყოველთვის მართალი გამოდგებოდა ხოლმე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, ჩვეულებრივ, არ უყვართ ისეთი ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ ცდებიან. მაგრამ ეს ისე კარგად გამოდიოდა მას, რომ არავის არ აბრაზებდა. რასაკვირველია, ხანდახან მაინც წაცდებოდა ხოლმე ასეთი ფრაზა: „ხომ გეუბნებოდით“, — მაგრამ ეს ბავშვური გულუბრყვილობით მოდიოდა და არა ნიშნისმოგების სურვილით. ლაბორატორიაში, საბედნიეროდ, თითქმის არ მოიპოვებოდა ისეთი თანამშრომელი, რომელსაც იუმორის გრძნობა არ ჰქონოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ისინი ვერ იმუშავებდნენ რაიტთან და ფლემინგთან, რადგან ორივეს ძალიან უყვარდა ქირაობა, თუმცა სხვადასხვა მანერით ენაქილიკობდნენ“.

ზოგჯერ, ბიბლიოთეკაში გამართული მორიგი ჩაის სმის დროს ფლემინგი ანაზღად რაიმე ახალ ამბავს გაამხელდა; მისი მსხვერპლი კი წითლდებოდა და თავის მართლებას იწყებდა ენის ბორძიკით. მაგალითად, უცებ მიუბრუნდებოდა რაიტს და ეტყოდა: „იცით, ჯილესი შეყვარებულია.“ პატრონისა და ლაბორატორიის თანამშრომელთა თანდასწრებით ამგვარი სიტყვების ხმამალა წარმოთქმა ისეოივე შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორსაც ტლაპოში ქვის ჩაგდება. ფლემი კი ისე იჭდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, და თვალს ადევნებდა აუდიტორიის რეაქციას. ფლემინგს ღვარძლიანი ხუმრობა არა სჩვეოდა, უბრალოდ, თავს იქცევდა ხოლმე ამხანაგის შეცბუნებითა და მისი უკბილო თავის მართლებით.

თუმცა საკმაოდ ენაშვარე ოხუნჯობა იცოდა, არავის არ სწყინდა ეს. „ყველას ძალიან გვიყვარდა ფლემი, — მოგვითხრობს ფრიმენი. — დინჯი, თავშეკავებული ადამიანი იყო, მაგრამ გულზიარი. მოკლედ იცოდა პასუხის გაცემა, მაგრამ როგორც კი სხვები ჩაერეოდნენ ლაპარაკში, მაშინვე დადუმდებოდა. ვამბობდით, რომ ის ტიპიური შოტლანდიელია და კი არ ლაპარაკობს, არამედ ბუზღუნებს მხოლოდ. მაგრამ მართლა ასე კი არ იყო საქმე. ეს ჩვენი „ოჯახური“ ხუმრობა იყო და მეტი არაფერი“.

იგი მუდამ მზად იყო ამხანაგის დასახმარებლად. სენტ-მერის ერთ ექიმს ჰაიდენს პოლიომიელიტიზმა დამბლა დაუტოვა. საავადმყოფოში

მუშაობა აღარ შეეძლო; ამან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მით უმეტეს, რომ ოჯახის შენახვა მის კისერზე იყო. „ფეხები არავითარ როლს არ ასრულებენ მეცნიერებაში,— უთხრა მას ფლემინგმა.— თუ ნამდვილი მეცნიერული მოღვაწეობა გწადიათ, ჩვენს ლაბორატორიაში იმუშავეთ“. ფლემინგს დიდი ხვეწნა-მუღარა არ დასჭირვებია, ისე დაიყაბულა რაიტი და მან მართლაც მიიღო სამუშაოდ ეს შესანიშნავი მკვლევარი, რომელიც ამ დღიდან მოყოლებული სიკვდილამდე საგორებელი ურბიკით მიმოდრიოდა ლაბორატორიის ოთახებში. ლაბორატორიის თანამშრომლები მეგობრულად ცხოვრობდნენ, ერთ სვებედნიერ ოჯახად შეკავშირებულნი, და ყოველი საჭიროებისას დახმარების ხელს უწყვდიდნენ ერთმანეთს. როდესაც ჰაიდენი გარდაიცვალა, ლაბორატორიამ, მიუხედავად ხელმოკლეობისა, თავის თავზე აიღო მისი ორივე ვაჟის სწავლა-განათლების საქმე.

მუშაობაშიც ამხანაგურად იყვნენ ისინი და გართობაშიც. ეს ძალდაუტანებელი ურთიერთობა ყოველივეს ალამაზებდა და ეშხს აძლევდა. დოქტორ პორტეუსის აზრით, ლაბორატორიაში უადრესად კეთილსასურველი განწყობილება სუფევდა. პორტეუსი ბაქტერიოლოგიურ განყოფილებაში 1911 წელს მოვიდა და ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო ამ კოლექტივისა. აი რას ამბობს იგი: „ზოგ-ზოგები გულჩახვეულ, გულცივ ადამიანად მიხასიათებდნენ ფლემინგს. მე კი სულაც არ შეჩვენა იგი ასეთი. პირიქით, ძალიან გულთბალი გამოდგა და ყოველთვის მზად იყო რაიმეთი მაინც დამხმარებოდა ახალბედს. ხუმრობა უყვარდა, ზოგჯერ სეირის საყურებლად ოინბაზობდა კიდეც. მიკროსკოპში ამხანაგს ჩუმად ჩაუღებდა „პლასტიცინს“. და მერე გულიანად ერთობოდა ეფექტით. საერთოდ მადლობაც მოხატრებული ადამიანი იყო, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს თავის თავში დარწმუნებული არ ყოფილიყოს. მან იცოდა, რომ იცის, ამიტომ სულიერ სიმშვიდეს განიცდიდა. მაგრამ ფესვგამდგარი შემაკავებელი რეფლექსები გრძნობათა გამოვლინების საშუალებას არ აძლევდა. ეს კია, რომ როცა საქმე პრაქტიკულ პრობლემას შეეხებოდა, თითქოს ხელ-ფეხი გაუხსნესო, ისე ლალად, გულიანად ჩაებმებოდა საკითხის განხილვაში. თუკი რომელიმე ამხანაგი ან თვითონ რაიტი დაიწყებდა რაიმე ტექნიკურ შეუსაბამობის მტკიცებას, ფლემინგი მაშინვე შეეპასუხებოდა და ფრიად დამარწმუნებელ დასკვნებსაც წამოაყენებდა.

მაგრამ საკუთარი განცდების გამხელა, სხვისთვის გაზიარება მას არ ძალუძდა და იმასაც კი ვერ ეგუებოდა, როცა სხვა აკეთებდა ამას. ფლემს გადაამეტებულად და ერთობ გაზვიადებულად ერევნებოდა ისეთი გრძნობები, რომლებსაც შედარებით უფრო ღმობიერი მსაჯული ადამიანურ გამოვლინებად მიიჩნევდა“.

მიუხედავად ამისა, თუ მისი საყვარელი მეგობარი აშკარად გამოამჟღავნებდა მასთან შეხვედრით გამოწვეულ სიხარულს, ფლემინგის საერთოდ ნირმეუცვლელ სახეს ნეტარების შუქი დაეფინებოდა. მაშინვე გაუქრებოდა დაძაბული გამომეტყველება, ცისფერი თვალები საოცრად აუქუქუნდებოდა და მომხიბვლელი ღიმილი გულზიარობას გაამხელინებდა. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, თანაც მეტისმეტად ხანმოკლე იყო გრძნობათა ასეთი უნებლიე გამოვლინება. მიუხედავად იმისა, რომ ფლემინგი ტანდაბალი იყო და განიერი მხრები კიდევ უფრო ადაბლებდა, იგი მაინც გამოირჩეოდა ხალხში, მაგრამ ეს მან არ იცოდა და ძალიან წუხდა თავისი სიდაბლის გამო. ფლემინგს უთქვამს ერთ თავის მეგობრის ვაჟზე, რომელიც გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა: „მას სულაც არ უნდა აშინებდეს გამოცდები. იგი ხომ მაღალია. მძლებს კი ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, რაც მოეხასიათებათ. ისინი, სადაც უნდათ, იქ მოხვდებიან“. ფლემი სიარულის დროს ოდნავ ქანაობდა, თანაც თითქოსდა მედიდურად მხრებს იჩეჩავდა, — ასეთი სიარული შეიძლება იმხნობიდან დასჩემდა, როცა შოტლანდიურ ქვედატანს ატარებდა ლონდონის შოტლანდიურ პოლკში სამსახურის დროს, მაგრამ ცოტა გამომწვევი თავდაჯერებულობაც გამოსჰქვიოდა ამ მოძრაობაში. იგი საოცრად ფლობდა თავის ტანს, ამიტომაც შესანიშნავად ისროდა მიზანში და კროკეტის თამაშში ზებუნებრივ სიმარჯვეს იჩენდა, რაც უზომო ნეტარებას ჰკვირიდა.

ლონდონში ფლემინგმა გარეშე ნაცნობებიც გაიჩინა. ავსტრალიელმა ექიმმა პეჯმა, სენტ-მერიში პრაქტიკაზე მყოფმა, მას გააცნო თავისი მეგობრები — პიგრემები, რომლებიც ვარვიკ-ჰარდენში სახლობდნენ. ფლემინგი კარგად მიიღეს ამ ოჯახში, მიიღეს და შეიყვარეს. განსაკუთრებით შეეთვისა მას თორმეტი წლის მერჯორი პიგრემი. „ალეკი მაშინ ოცდაათი წლისა იქნებოდა, — წერს იგი. — მეტისმეტად სიტყვაძვირი და დინჯი ახალგაზრდა იყო. დიდი თავი, ლამაზი თვალები, მსხვილი და ღონიერი მახვილები ჰქონდა... ჩემთვის იგი იდეალური ამხა-

ნაგი გახლდათ. უადრესად ალაღმართალი კაცი იყო და გოგონასთან თამაში მართლაც სიამოვნებას ჰკვრიდა. როცა რაიმე თამაშობას წამოიწყებდა, ამას გულწრფელი გატაცებით აკეთებდა და არაერთი ასაკობრივი ქედმაღლობა არ იგრძნობოდა მის ქცევაში. მე და ფლეში გოლფს ვთამაშობდით ხოლმე მის მიერვე მოგონებული წესების მიხედვით.

— აი უყურეთ, — მეუბნებოდა იგი, — ამ ხელს თქვენ თამაშებდით მოკლე ჰოკიჯოხით, მე კი ჩვეულებრივით და მაინც მოგიგებთ.

წინასწარ ვიცოდი, რომ მომიგებდა, და მართლაც მუდამ ასე ხდებოდა. ავტარშიც ვთამაშობდით ხოლმე და იგი თვითონვე იგონებდა ნოხზე თამაშის წესებს. განსაკუთრებული სიმარჯვე იყო საჭირო იმისათვის, რომ ბურთი ნოხზე გაჩერებულიყო წინასწარ დათქმულ ნახატთან, ალექი კი ყოველთვის ახერხებდა ამას.

ჩემი მშობლები აღმერთებდნენ მას, დედაჩემი კი ისე ექცეოდა, თითქოს ჩემი ტოლი ბავშვი ყოფილიყოს. „ალექ, ნუ ამბობ სისულელეს“, — გაუჩავრდებოდა ხოლმე, როცა იგი რაღაც უაზრობის მტკიცებას მოჰყვებოდა, რათა გაეხალისებინა საუბარი. მისი ერთ-ერთი საყვარელი „ნომერი“ იყო ამბავის მოყოლა რომელიმე ავადმყოფის სასწაულებრივ გამოჯანმრთელებაზე: „მე არაფერ შუაში ვარ. ავადმყოფი ისედაც მორჩებოდა“. ალექის ასეთი მსჯელობა ყოველთვის აბრაზებდა დედაჩემს. თუ შეეკითხებოდნენ, რა სჭირდა ავადმყოფს, რომელიც გადაარჩინეო, იგი მაშინვე უპასუხებდა: „ემშაკმა დამლაზვროს, თუ ვიცოდე!“

მერჯორი პიგრემის ბიძას, მხატვარ როლანდ გრეის, ერთი მარცხიანი შემთხვევის შემდეგ მუხლის სახსრის ტუმბერკულოში დაემართა. ფლემინგმა ვაქცინოთერაპია ურჩია, გულმოდგინედ უმკურნალა და მოარჩინა.

მაგრამ თვით მერჯორის პიგრემს კი ვერაფერი მოუხერხა. გოგონას ასთმა ჰქონდა და, ცხადია, ძალიან აწუხებდა ზუტეები. ფლემინგმა იმდენნაირი მკურნალობა სცადა მასზე, რომ მშობლებმა „ალექის ზღვის გოჭი“ შეარქვეს. მერჯორის ძალიან უყვარდა ლაბორატორიაში ყოფნა. აქ ყველაფერი იდუმალებით იყო მოცული, ყველაფერი ძალზე საინტერესო და მიმზიდველი. გოგონა აღტაცებით უმზერდა მინის ფირფიტებს, რომლებსაც სხვადასხვა ფერის ლაქები აჩნდა.

„ერთხელ ალექმა მითხრა, აღმოაჩინეს ასთმატიკების მომატებული მგრძობელობის გამოვლინების საშუალებაო. ძალიან გამეხარდა და მაშინვე გავუშვირე ფეხი. ალექმა გამიკეთა რამდენიმე განაკაწრი, რომლებსაც წასცხო სხვადასხვა ნივთიერებები. „ეს კვერცხიო, — ამბობდა, — ეს კიდევ ბუმბული... ცხენის ძუა... წყალმცენარე... თევზი“ — და ასე შემდეგ. ამის შემდეგ სულმოუთქმელად ველოდებოდით, თუ როდის გაწითლდებოდა რომელიმე განაკაწრი. მაგრამ მწარედ გაგვიტყუებდა მოლოდინი: რეაქცია, თანაც ძლივს შესამჩნევია, მხოლოდ წყალმცენარემ გამოიწვია, მაგრამ წყალმცენარე ხომ არ იქნებოდა ჩემი ასთმის მიზეზი. ხელმეორე შეხვედრის დროს ალექმა მკითხა: „გეტკინათ?“ — „ძალიან!“ — მივუგე მე. — „ასეც ვიცოდი, — მხიარულად დასძინა მან, — მე ხომ ისე გკაწრავდით, როგორც მომხვდებოდა“.

ზოგჯერ იგი მანერულად იქცეოდა, და მე უზომოდ მომწონდა ეს. მაგალითად, რამეს რომ შეეკითხებოდნენ, დიდხანს დუმდა და პასუხის გაცემისას თვალებს დახუჭავდა. შოტლანდიურ ხორხისმიერ „ლ“-ს ისე წარმოთქვამდა, როგორც გამოითქმის ფრანგული „რ“. ამიტომ ავადმყოფი, რომელსაც იგი ეუბნებოდა: I must take a specimen of your blood, * — ვერ ხვდებოდა მის ნათქვამს.

როდესაც ფლემინგი როლანდ გრეის მკურნალობდა, მხატვარი ცხოვრობდა მისის ჰამერსლეის, ჰიუ ჰამერსლეის ცოლის ბინაზე. ჰიუ არმიის საბანკო კანტორის „კოკსი და კომპანიის“ ერთ-ერთი კომპანიონი გახლდათ. მისის ჰამერსლეის ჰქონდა XVIII საუკუნის სტილით აგებული შესანიშნავი სახლი, და ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა მხატვრებისა და მწერლების წრეში. მასთან ხშირად სტუმრობდნენ ჯორჯ მური, პ. უ. სტირი, როლანდ გრეი. ისხდნენ, საამოდ მასლაათობდნენ, ენასხარტობდნენ.

როლანდ გრეის საწოლთან ფლემინგი გაეცნო ლამაზ და ელეგანტურ მისის რიჩარდ დევისს, ძველებური ფრანგული ავეჯის მცოდნე ბონდ-სტრიტელი ანტიკვარის რძალს. მისის რიჩარდ დევისი უალრესად გონებაგახსნილი ქალი გახლდათ, ლადბროკ-ტერასზე მშვენიერი სახლი ჰქონდა და მასთანაც ხშირად იკრიბებოდნენ მხატვრები და მწერლები. ფლემინგი ყველამ შეიყვარა. მედიცინაში მისი ღრმა გან-

* სისხლი უნდა ავიღოთ ახალიზისათვის (იხგლ.).

სწავლულობა აღტაცებას იწვევდა. ძალიან მოსწონდათ მისი თავ-
მდაბლობა, სიტყვაძვირობა. როლანდ გრეის მკურნალობის კურსის
ჩასატარებლად კვირაში ორჯერ უხდებოდა სენტ-მერის საავადმყოფო-
ში მისვლა. მას მუდამ თან ახლდა მისის დევისი. სერ ალმროტი, რო-
მელიც დიდად აფასებდა მსახიობთა წრეს, ჭიქა ჩაიზე იწვევდა მათ.
ფლემინგი უკვე გაშინაურებული იყო. მისის დევისს „დევისი“ ეძახდა
და ლაბორატორიაში მისვლისას ასე მიმართავდა: „მოხარული ვაი
თქვენი ხილვით. მეტისმეტად მჭირდება თქვენი შესანიშნავი სისხლი“.

ფლემის ახალმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ მისთვის აუცილე-
ბელი იყო საზოგადოებაში უფრო ხშირად ყოფნა, გართობა, ცეკვის
შესწავლა. მისის დევისს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვერტჰაიმერებ-
თან, საქვეყნოდ განთქმულ მდიდარ ანტიკვარებთან, გულუხვ მეცენა-
ტებთან, რომელთა პორტრეტები სარჟენტს დაუხატავს (ახლა ეს სურ-
ათები ტეიტის გალერეაში ჰქვია). ფლემინგმა, სიამოვნებით შეაღო
კარი მისთვის უცნობ სამყაროში, რომლის არსებობა მანამდე არც
იცოდა. ვერტჰაიმერებს ნამდვილი სასახლე ჰქონდათ: შესანიშნავი
ავეჯი, მშვენიერი სურათები, იშვიათი ფაიფური, უზადო მომსახურება,
უნატიფესი კერძები და ღვინოები. ფლემინგს მოსწონდა ეს წრე, მოს-
წონდა ხელოვანნი, რომელთაც იგი ამ საზოგადოებაში ხვდებოდა. მას
თანდაყოლილი გემოვნება ჰქონდა. შემდგომში, თავის მატერიალურ
შესაძლებლობათა კვალობაზე, ფლემინგი აუქციონებზე დადიოდა და
კოლექციონერობის სურვილით ანტიკვარულ ნივთებს ყიდულობდა.

ვერტჰაიმერები, რომელთაც თავიანთ სასახლეში მშვენიერი სამეჯ-
ლისო დარბაზი ჰქონდათ, კვირაში ერთხელ საცეკვაოდ, ანუ როგორც
მაშინ ინგლისში ამბობდნენ „იიპ“-ზე, იწვევდნენ თავიანთი ქალიშვი-
ლების მეგობრებს. ფლემინგი ყოველთვის ესწრებოდა ამ წვეულებებს,
მაგრამ კარგი ცეკვა ვერა და ვერ ისწავლა. სწორედ ამ ხანებში შეი-
კვრა მან პირველად ფრაკი. შეკვეთის მიცემისას თერძისათვის უთქვამს:
„ისე შემიკერეთ, რომ კარლ ბრისონს კი არ ვგავდე, არამედ დადინჯე-
ბულ მეცნიერს“. კარლ ბრისონი მაშინ მოღურ სალონურ მომღერლად
ითვლებოდა.

როლანდ გრეიმ ფლემინგი შეიყვანა კიდევ ერთ ფრიალ საინტერე-
სო წრეში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში ეს
გახლდათ ჩელსის მხატვართა კლუბი. იგი მოთავსებული იყო ერთ ძვე-

ლებურ სახლში, ქალაქის იმ კვარტალში, რომელიც ძველთაგანვე მხატვრებითა და ლიტერატორებით იყო დასახლებული, ეს კლუბი პრინციპში მხოლოდ ხელოვნების მუშაკთათვის იყო გახსნილი, მაგრამ რამდენიმე საპატიო წევრიც ჰყავდათ, მათ შორის იყო ფლემინგიც. აღსანიშნავია, რომ იგი მუდამ უსასყიდლოდ მკურნალობდა თავის თანაკლუბელებს და საჭიროების შემთხვევაში ახერხებდა მათ მოთავსებას სენტ-მერის საავადმყოფოში. ფლემს ჩვევად გადაექცა, რომ როგორც კი თავისუფალ დროს იშოვნოდა, კლუბში წასულიყო „snooker“-ის სათამაშოდ. ესაა ბილიარდის თამაში, თანაც საკმაოდ ძნელი, რადგან მოგებისათვის საჭიროა თეთრი ბირთვით ბევრი მრავალფეროვანი ბირთვის ჩაგდება ლუზაში. ყველამ შეატყო, რომ ფლემინგი გატაცებით თამაშობდა, თანაც ნაღდი ბირთვების დარტყმას თავს არიდებდა. როცა იგი ბირთვს ლუზაში ჩააგდებდა, თურმე უზომო სიხარულს განიცდიდა... თუ თამაშის დროს ვინმე ურჩევდა, ახლა ასე გიჯობს ითამაშო, იგი მცირე ხანს სდუმდა, მაგიდას აკვირდებოდა, შემდეგ კი სრულიად სხვაგვარად ითამაშებდა და ზოგჯერ წარმატებასაც აღწევდა. ყველაზე მეტად ძნელად ჩასაგდები ბირთვი უყვარდა. მერეი გვიამბობს: „მე ბევრჯერ ვყოფილვარ მისი პარტნიორი. საუკეთესო მოთამაშეთა წინააღმდეგ გვითამაშია და მოგვიგია: როგორც ჰემშარიტ შოტლანდიელებს, მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, რომ აუცილებლად დაგვემარცხებინა ვილაც ინგლისელები“.

ერთხელ გრემი ფლემინგს სთხოვა რაიმე დახატე, რომ ამით გავამართლოთ კლუბში შენი ჩარიცხვაო. ფლემინგმა უპასუხა, სამწუხაროდ, ხატვა არ ვიციო. გრემი მაინც აიძულა იგი დაეხატა სცენა ფერმის ცხოვრებრიდან. ფლემინგმა უხალისოდ მოკიდა ხელი ფუნჯს და რიკვიავგლახით დახატა ძროხა, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ ჰგავდა ძროხას.

— გმადლობთ, — უთხრა როლანდ გრემი. — ნამდვილი შედეგია. ეს სწორედ ისაა, რაც მე მინდოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გრემი ფლემინგი წაიყვანა სამხატვრო გამოფენაზე, სადაც მისი ნაცოდვილარი თვალსაჩინო ადგილზე ეკიდა. „ძროხის პორტრეტის“ ავტორი ამ ამბავმა ძალიან გაამხიარულა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე კრიტიკოსი აქებდა მხატვარს „ოსტატური გულუბრყვილობისათვის“. ფლემინგმა საკუთარი ყურით მოისმინა

ორი ხანშესული კეთილშობილი მანდილოსნის საუბარი მის სურათზე.

— შეიძლება თქვენ მართალი ბრძანდებით, — უთხრა ერთმა მეორეს. — ეს სრულიად ახლებური ხელოვნებაა და იქნებ მასში მართლაც იყოს რაღაც აზრი, მაგრამ მე ვერ ვხვდები.

იმის შიშით, ვაითუ ყოველივე ამან არ იქმაროსო, ფლემინგმა სთხოვა ერთ თავის მეგობარს, ე. წ. სტორერს, შეეძინა სურათი იმ პირობით, რომ საფასურს თვითონ გადაიხდიდა. მაგრამ მერე, როცა იანგარიშა, რომ მას გამოფენის დაარბაზის საკომისიოც ჰქონდა გადასახდელი, გადაიფიქრა. გადაწყვიტეს, სტორერი მხოლოდ შევაჭრებოდა, ყიდვით კი არ იყიდდა, იტყოდა მინდა, მაგრამ ძალიან მეძვირებო. კლუბის კომიტეტი ამ კომედლით დაკმაყოფილდა, და ფლემინგი კლუბის სამისდღეშიო წვერად აირჩიეს. ფლემინგს სიკვდილამდე არ მოუშლია ამ კლუბში სიარული, აქ გაიცნო მან იმდროინდელი ცნობილი მხატვრების უმრავლესობა. ეს საზოგადოება ძალიან მოსწონდა ფლემინგს. ახალმა ნაცნობებმაც გულით შეიყვარეს იგი.

ჩელსის კლუბი კოსტუმირებულ მეჯლისებს აწყობდა ხოლმე. მისი დევისმა და როლანდ გრემი გადაწყვიტეს აქაც არ გამოეტოვებინათ ფლემინგი. მაგრამ საჭირო იყო მისი „დაწყვილება“. საამისოდ, მხატვარ სტირის რჩევით, მეჯლისზე მოიწვიეს მეტად ლამაზი ქალიშვილი, ლილი მონტკომერი, რომლისგანაც პორტრეტს ხატავდა ხოლმე სტირი. ფლემინგი ზანგად დაიგრიმა და ისე გამოცხადდა მეჯლისზე. ძალიან კარგი დრო გაატარა და ფრიად ნასიამოვნები იყო. მეორე წელს მან თავისი მეგობარი, დოქტორი პორტეუსი წაიყვანა მეჯლისზე. წითელი მოკლე ქვედატანი და შავი წინდები ჩაიცვეს და გოგონებად გამოწყობილნი წარსდგნენ წვეულებაზე. ზოგჯერ ბაქტერიოლოგებმაც იცოდნენ თავშექცევა.

ლაბორატორიაში ფლემინგი, გარდა ჩვეულებრივი სამუშაოსი, საკუთარ კვლევა-ძიებასაც ატარებდა. 1909 წელს „ლანცეტში“ გამოაქვეყნა შესანიშნავი სტატია ფერისმკვამელების გაჩენის მიზეზზე. გარდა ამისა, გააუმჯობესა ათაშანგის სადიაგნოსტიკო ვასერმანის რეაქცია — თითიდან აღებული ცოტაოდენი სისხლით შეჰქმნა რეაქცია მინიატურაში. ფლემინგს ძალიან უყვარდა ჩხირკედელაობა, მისი სტიქია იყო ხელსაწყობები; თუ აპარატურას რაიმე ნაკლს აღმოუჩენდა, მაშინვე ცდილობდა მის გამოსწორებას და ამ მიზნით ყველაფერს

იყენებდა, რაც კი ხელთ მოხვდებოდა, მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, რომ ველოსიპედისტის შარვლის ტოტის დამჭერი მოურგია აპარატურაში. ფლემინგმა საკვლევადიებო მუშაობის საკუთარი ფილოსოფია შექმნა. არავითარი მყარი გეგმები. სავსებით საკმარისია განაგრძო ჩვეულებრივი ყოველდღიური მუშაობა, ეცადო მხედველობიდან არ გამოგარჩეს არცერთი უჩვეულო მოვლენა და დროულად შეაფასო მისი მნიშვნელობა.

პატრონი კვლავ გენიოსად მიაჩნდათ და მისი საბრძანებელი კვლავ ოლიმპოს მწვერვალი გახლდათ. რაიტის ღირსება ისიც იყო, რომ მან თავის მოწაფეებს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა მეცნიერული მუშაობის სფეროში, თვითონ კი ისევ და ისევ კვლევის ტექნიკის გაუმჯობესებაზე მუშაობდა. ერთ-ერთი ასეთი რთული სიახლე იყო, მაგალითად, პროცედურა, რომელსაც თვითონ რეცხვასა და გავლებას უწოდებდა. სხვადასხვა ზომის მონაკვეთებად დაყოფილი ძალიან ვრძელი პიპეტის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ინფექციური კულტურის სულ უფრო და უფრო დასუსტებადი ხსნარების მიღება.

როდესაც ფრიმენმა და ნუნმა პროფესორ ეიულ ბორდეს თხოვნით რაიტის ხელსაწყოს დემონსტრირება მოახდინეს პასტერის ინსტიტუტში, მორის ნიკოლს უთქვამს: „ეს მეთოდები ან მეფოკუსუნენისთვისაა მოგონილი ანდა ბავშვების გასართობად.“ იგი სავსებით მართალი იყო. რაიტის მეთოდები საოცარ გაწაფულობას მოითხოვდა. ფლემინგი კი აღტაცებული იყო. მან შესანიშნავად იცოდა, თუ რა ძნელი იყო ამ სიახლის პრაქტიკულად გამოყენება, მაგრამ ეს მას არ აზინებდა, რადგან საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და სჯეროდა, რომ ღღეს არა ხვალ თვითონაც დაეუფლებოდა რაიტისეულ მეთოდებს. სხვა არა იყოს რა, პატრონი მათი დამცველი იყო, ფლემინგს კი გულის ფიცარზე ეწერა მასწავლებლის მიმართ ერთგულება.

დიდად დასაფასებელია ეს ერთგულება, მით უმეტეს, რომ ლაბორატორიის კედლებს გადაღმა თანდათან ძლიერდებოდა მოწინააღმდეგეთა ბანაკი. რაიტის წინააღმდეგ შეტევები თანდათან გახშირდა. ზოგიერთი კოლეგა „Sir Almost Right“ *-ს ეძახდა მას. თვით სენტ-მერის საავადმყოფოში მომუშავე სხვა განყოფილების ექიმებსაც

* სერ თითქმის მართალია (ინგ.).

არ სწამდათ ვაქცინოთერაპია. ვაქცინირება აუადმყოფობის თავიდან აცილების მიზნით კიდევ? ჰო, მაგრამ სამკურნალოდ? სამკურნალო მიზნით მისი გამოყენება ხომ ნამდვილი უაზრობაა, ამბობდნენ ისინი. „რაიტი ყველგან ქარიშხალს იმკიდა, — გვიამბობს პროფესორი ნიუ-კომბი. — ზოგიერთი მეცნიერი ირწმუნებოდა, მთელი მისი მუშაობა აბსურდიაო. ფლემინგი მტკიცედ იცავდა მასწავლებელს და ამ ქარიშხლიან დროს მის მხარეზე იყო“.

პარლემენტის სახელმძღვანელო ექიმები, შეურაცხყოფილი რაიტის ზიზღიანი დამოკიდებულებით „მათი მედიცინისადმი“, რომელსაც „არამეცნიერულს“ უწოდებდა იგი, შურს იძიებდნენ და არაფრად აგდებდნენ სენტ-მერიში მიღებულ შედეგებს. სტატისტიკოსები. რომლებიც ჯერ კიდევ ტიფსაწინააღმდეგო ვაქცინოთერაპიის დროიდან ებრძოდნენ რაიტს, ახლა კვლავ თავს დაესხნენ მას. მათ საპასუხოდ რაიტი ამტკიცებდა, რომ ურთიერთისაგან ისე განსხვავებული ფაქტების გარჩევისას, როგორც სამედიცინო შემთხვევებია, მათემატიკურმა სტატისტიკამ ადგილი უნდა დაუთმოს „ღიაკრიტიკულ მსჯელობას“ (ეს გამოთქმაც რაიტმა თავისი აჩემებული ლინგვისტობით გამოიგონა), ესე იგი გონების ერთ-ერთ უმაღლეს თვისებას, რომელიც საშუალებას იძლევა მოვლენები შეფასდეს მათი ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით და არა ერთმანეთთან მათი შესატყვისობით. დაბოლოს რაიტი დასძენდა: „ასეთი ღიაკრიტიკული მსჯელობა, როგორც ცნობილია, არ შეუძლიათ ქალებს და ბერნარდ შოუს“.

ზოგჯერ რაიტის მოწაფეებსაც ეჭვი ეპარებოდათ მასწავლებლის დებულებებში. კოლბრუკი გვიამბობს: „ენტუზიაზმით აღფრთოვანებული, ჩვენ თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდით *vis medicatrix naturae*“-ს.* ვაქცინოთერაპია თუ თვით ბუნება ჰკურნავდა ადგილობრივ ინფექციას? წყლულები მართლაც ნაწიბურდებოდა, ტუბერკულები ქრებოდა, ფურუნკულები განიწოვებოდა. ცხადია, ხელმოტარვაც გვქონდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვამბობდით, რომ ინფექცია მკურნალობის დაწყებამდე მოედო მთელ ორგანიზმს. სენტ-მერის ლაბორატორიის თანამშრომლებს იმასაც უსაყვედურებ-

* ბუნების მკურნაელი ძალები (ლათ.).

დნენ, რატომ აძლევთ შესასყიდლად ვაქცინებს მსხვილ ფარმაცევტულ ფირმასო. პო, მაგრამ რა იყო ამაში დისაძრახი? ამ გზით მიღებული ფული ხომ ლაბორატორიის გაფართოვებას ხმარდებოდა, თვითონ მეცნიერები კი, რაიტის ჩათვლით, კვლავ გროშებს ლებულობდნენ ხელფასად.

რაიტმა ბევრი მტერი, — თანაც მეტისმეტად გაკაპასებულნი, — შეიძინა აგრეთვე სუფრაჟისტების აბუჩად ავღებით. იგი კვლავ მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე, რომ ქალისა და მამაკაცის გონებას შორის ვეებერთელა უფსკრულიაო. „ჩვენ მათ ვინახავთ და ვკვებავთ, რათა მათ არ შეეძლოთ საკუთარი შეხედულების გამოთქმა“. რაიტმა წიგნიც კი დაწერა ამ თემაზე — „შეუმოკლებელი საბრალდებულო სიტყვა წინააღმდეგ ქალების საარჩევნო უფლებისა“. ამ წიგნში იგი აცხადებდა, რომ სუფრაჟისტები არიან დაუკმაყოფილებელი ქალები, რომლებიც ოცნებობენ „ეპიცენტრულ“ სამყაროზე (ეპიცენი — ბერძნული სიტყვიდან ეპიკუანოს — საერთო, ერთნაირი ორივე სქესისათვის), სადაც მამაკაცი და ქალი თანასწორნი იქნებიან და ერთნაირ სამუშაოს შეასრულებენ, მხარდამხარ იმუშავენ. მაგრამო, ამტკიცებდა რაიტი, როგორც კი შესრულდება ეს პირობები, ქალი ყოველგვარ უპირატესობას მოიპოვებს და ხელს შეუშლის მამაკაცს მთელი ძალითა და ენერგიით მუშაობაში. რაიტს თავის ლაბორატორიაში მართლაც შეეძლო ამ დოქტრინის განხორციელება, მაგრამ იგი საშინელ აღშფოთებას იწვევდა ქალთა სამყაროში, რძემელიც, მართალი ითქვას, მეტისმეტად ძლიერი იყო.

დაბოლოს, რაიტი თავს იქცევდა ცნობილი პოლიტიკით „დაპყავ და იბატონე“. ფრიმენს ეუბნებოდა, შენ ჩემი „შვილი ხარ მეცნიერებაში“ და ჩემს შემდეგ განყოფილებას უხელმძღვანელებო, მაგრამ ამავე დროს ზუსტად იმავეს აღუთქვამდა ფლემინგს. არავინ უწყის, მართლაც უნდოდა თუ არა მას ანტაგონიზმის გაღვივება ამ ორ, სხვადასხვა ბუნების, მაგრამ აქამდე ურთიერთმეგობრულად განწყობილ მეცნიერს შორის. განყოფილების უფროსის პოსტი, ავტორიტეტი, რომელიც მან თავისი შრომებით მოიპოვა, პირადი მომხიბვლელობა და ფინანსური დახმარება, რომელსაც უწყევდა იგი ბაქტერიოლოგიურ განყოფილებას, — ყოველივე ეს სავსებით უზრუნველყოფდა მის ერთმმართველობას. ლეონარდ ნუნმა და ჯონ ფრიმენმა პატარ-პატარა

სამთავროები შემოიმტკიცეს თავიანთთვის და შინაგანი ავტონომიაც მოიპოვეს — ისინი სწავლობდნენ თავისმიერ ცხელებას და საერთოდ ალერგიას, და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს. ფლემინგი კი უშუალოდ პატრონთან მუშაობდა.

ფლემინგი სულაც არ ნანობდა ამას. პირიქით, ეთაყვანებოდა და აღმერთებდა ამ გამოჩენილ მეცნიერს, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობით გამოირჩეოდა. იგი აღფრთოვანებული იყო ამ სწავლული ბერიკაცით, რომელმაც წლები გაატარა თავის სამუშაო მაგიდასთან და, თუმცა „ხელთ ჰქონდა მხოლოდ უმარტივესი მოწყობილობანი: რამდენიმე მილაკი, სასაგნე მინები, საჯომი სწვეთურები, რამდენიმე რეზინის მილი, ერთი დასტა მუყაო, ცოტა პარაფინი და ლუქი — და თუმცა მხოლოდ დაუცხრომელი გამომგონებლობა და საკუთარი მარჯვე ხელები უწყვედნენ შემწეობას, მაინც შესძლო შეექმნა ხელსაწყოთა არსენალი ინფექციათა და იმუნიტეტის შესასწავლად“. ეს მძიმე, ერთფეროვანი, მეცნიერების სამსხვერპლოზე ზეარაკად მიტანილი საკუთარი ცხოვრება ღრმა შინაგან სიხარულს განაცდევინებდა ფლემინგს.

გაუღიმიებდა თუ არა ფლემინგს ბედი, მოახდენდა თუ არა იგი რაიმე დიდ აღმოჩენას, ჯილდოდ და საზღაურად მძიმე ცხოვრებისა, სამაგალითო ზრომისმოყვარეობისა? ლაბორატორიაში კედლის ზეთის არომატი გამდნარი პარაფინის სუნით იყო შეზავებული, და ამ ჰაერით რომ სუნთქავდა ფლემინგი, თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ დაიბადა ამ საოცარ ეპოქაში, როდესაც ხან ერთი და ხან მეორე რევოლუცია ყირამალა აყენებდა მთელ მედიცინას. სულ რაღაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში პასტერმა, რომელიც ფლემინგს მეცნიერის იდეალად მიაჩნდა, ბერინგმა, რუმ და რაიტმა ძირეულად შეცვალეს ინფექციურ სნეულებათა თავიდან აცილებისა და მკურნალობის მეთოდები. ერლიხმა თავისი საღვარსანით ახალი ერა დაიწყო — ერა ქიმიათერაპიისა. მაგრამ რა მოხდება შემდეგ? პრეპარატი „606“ ცოტა მიკრობებს ზოცავდა. უმრავლესობა კი დაუჯანბელი იყო. ფლემინგი ფიქრობდა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ თავდაცვასთან: რაც უფრო ღრმად სწავლობდნენ მისი მექანიზმის დეტალებს, მით უფრო ცხადი ხდებოდა, თუ რაოდენ შესანიშნავადაა იგი მოწყობილი.

ფლემინგი ძაიხც სიფრთხილეს იჩენდა და შეგნებულად თავს არიდებდა რაიმე განზოგადებას. იგი მხოლოდ მწიკლ ფაქტებს აღწესდავდა. თვითონ აკეთებდა ხელსაწყოებს, მთელი დღე მუშაობაში იყო გართული, ლაპარაკის დროც კი არ რჩებოდა. ლაბორატორიის თანამშრომლები ფლემინგის მოსვლის მიხედვით ამოწმებდნენ საათის მუშაობის სიზუსტეს. ოსტატურად შექმნილი აპარატი, ლაბორატორიული გამომგონებლობის შედეგად რომ იბადებოდა, გაცილებით უფრო დიდი წარმატება იყო მისთვის, ვიდრე რომელიმე თეორია. რაიტისა მას გონება კი არ ხიბლავდა, როგორც ადამიანი ისე მოსწონდა იგი. გულის სიღრმეში ფლემინგი მგრძნობიარე და მოსიყვარულე იყო; შესაძლოა ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს ეს, მაგრამ მის სიტყვამკვახეობას მორცხეობა განაპირობებდა. საღამოობით ბიბლიოთეკაში დროდადრო ცხარე კამათი იმართებოდა, მოპაექრენი ზოგჯერ ძირითად იდეას ასცილდებოდნენ და უნაყოფო დავას იწყებდნენ. ფლემინგი ჩუმად იჯდა, გულმოდგინედ თვალყურს ადევნებდა აზრთა ქრდისს და მანამდე არ ჩაერეოდა ლაპარაკში, სანამ მოდავენი სულელურ არგუმენტებს არ გადასწვდებოდნენ მოსაწველიებლად; და როცა დადგებოდა ასეთი კულმინაციური წერტილი, ფლემინგი, თითქოსდა სხვათაშორისო, ერთ-ორ სიტყვას ჩაურთავდა საუბარში და მაშინვე მიწაზე ჩამოაბრძანებდა ზეცაში აღზევებულთ.

ბევრი იყო ისეთი, მეტისმეტად რომ აზორბადიდებდა თავისი ცდების შედეგებს, ფლემინგი კი პირიქით, ხშირად აკნინებდა თავის მონაპოვარს. რაიტმა ერთხელ უთხრა: „კვლევითი მუშაობა თქვენთვის თამაშობაა. თქვენ ერთობით, თავს იქცევთ“. სრული ჭეშმარიტება უთქვამს. იგი მართლაც ერთობოდა. ფრიმენების ოჯახში, სადაც ფლემინგს კაბინეტი ჰქონდა გამოყოფილი ავადმყოფთა მისაღებად, ერთ ავადმყოფს რომ გაისტუმრებდა, თუ მეორის მიღებამდე ცოტა დრო მაინც დარჩებოდა, მაშინვე გასართობს შესთავაზებდა მისის ფრიმენს: სასტუმრო ოთახში იატაკზე გაფენილ ნოხზე ამოარჩევდნენ პატარა კვადრატს და ცდილობდნენ ზუსტად იქ მოეხვედრებინათ ნასროლი მონეტი. ლაბორატორიაში კი მისი „გართობა“ გამომგონებლობითი, ნაყოფიერი და უაღრესად ძვირფასი იყო. ფლემინგი პატარაობიდანვე მიეჩნო დაკვირვებულობას და რასაც ერთხელ ნახავდა, არასოდეს არ ივიწყებდა.

ყველაზე დიდი უგუნურებაა, ტყუილად რაიმე მხოლოდ იმის სურვილთ, ნეტავ ასე იყო, და არ ამიტომ, რიგ შემთხვევა მოუკაცო მართლაც დარწმუნებულიყავით ში არსებობაში.

ბოსიუე

— დაწყებისათვის ურიკაც კმარა.

-- რისი ურიკა? — ჰკითხა ალისაჲ

ლუის კეროლი:

„ალისა სასწაულების ქვეყანაში“

ერთხელ, ეს იყო 1912 წელს, დოქტორმა ჯეიმსმა, მეტადინეობა რომ დაამთავრა და სენტ-მერიში ბრუნდებოდა, კიბის ზედა საფეხურზე დაინახა ლონდონის შოტლანდიური პოლკის სალაშქრო ფორმაში გამოწყობილი მზემოკიდებული ჯარისკაცი. ეს ჯარისკაცი ფლემინგი გახლდათ. ახლახან დაბრუნებულიყო სამხედრო ბანაკიდან. ჯეიმსი განცვიფრებული იყო, რომ ეს გამოცდილი ექიმი, მეცნიერი-ბაქტერიოლოგი უბრალო ჯარისკაცად მსახურობდა ჯარში სასწავლო შეკრების დროს. „მე მაშინ არავეთარი სამხედრო გამოცდილება არ გამაჩნდა,— მოგვითხრობს ჯეიმსი,— შიშით წარმოვიდგენდი, რომ ექვს ან რვა კაცს ერთად უნდა გეძინებოდა კარავში... გავებდე და შევეკითხე ფლემინგს, როგორ მოახერხე, რომ წვიმასა და ტალახში მაინც სუფთად გაქვს ტანსაცმელი, შაშხანაც და ფეხსაცმელიც-მეთქი. ცივად შემომხედა თავისი ცისფერი თვალებით და მისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით მომიჭრა: „აუტანელი შრომა!“...“

ფლემინგს წინათაც შეეხვედრივარ და მუდამ ალტაცებული ვიყავი ამ კაცით. და აი ახლა, როდესაც ჩემი გმირი ჯარისკაცად ვიხილე, ბევრ რამეზე დამაფიქრა ამან. მორწმუნე არ ვყოფილვარ, მაგრამ ბავშვობიდანვე დამაჯერეს, რომ ომი დანაშაულებრივი საქმიანობაა.

და არმიაში მხოლოდ ის მიდის, ვისაც სინიდისი შებღალული აქვს, და რომ ყველა ოფიცერი მეტნაკლებად ჰგავს სამოქალაქო ომის დროინდელ ზნედაცემულ კავალერისტებს, რომლებიც დევნიდნენ პურიტანებს. და რას ვხედავ; ასაკით ჩემზე უფროსი კაცი, ჩემთვის ყველაზე საპატივცემულო პიროვნება, რომელმაც შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია თავის მუშაობაში, უბრალო ჯარისკაცივით მზადაა სიცოცხლის გასაწირავად. ამან მაიძულა გადამესინჯა ჩემი შეხედულებანი ომის წარმოშობის შესახებლობაზე“.

ომი მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაიწყო, ფლემინგმა კი ლონდონის შოტლანდიური პოლკი მიატოვა 1914 წლის აპრილში, რადგან სამხედრო შეკრებები ხელს უშლიდა საავადმყოფოში მის მუშაობას.

ომის პირველსავე თვეებში რაიტმა პოლკოვნიკის წოდება მიიღო და იგი საფრანგეთში გააგზავნეს, რათა ლაბორატორია და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მოეწყო ბულონ-სიურ-მერში. რაიტმა თან წაიყვანა დუგლასი, რომელსაც კაპიტნის ჩინი ჰქონდა, პერი მორგანი და ფლემინგი, რომელიც სამეფო არმიის სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტის ორ ვარსკვლავს ატარებდა. შემდგომში მათ კოლბრუკიც შეუერთდა. ფრიმენი ჯერ რუსეთში გაემგზავრა ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინის დასამზადებლად, შემდეგ კი ისიც ბულონში ჩავიდა. ლაბორატორია მიამაგრეს ინგლისის სამხედრო ჰოსპიტალს, რომელიც ბულონის ყოფილი კაზინოს დარბაზებში განლაგდა. ბაქტერიოლოგებს პირველ-ხანებში ერთი საშინელი სარდაფი მიუჩინეს. სარდაფში გამავალი საკანალიზაციო მილი ისე ამყარებდა იქაურობას, შეუძლებელი იყო იქ გაძლება. მართალია, ყოველდღიურად დილის ექვს საათზე სერჟანტ-ლაბორანტი კრეზოლს ასხამდა მილს, მაგრამ საშველი მაინც არ იყო. სერ აღმროტი აღშფოთდა — საჭიროების შემთხვევაში იგი საკმაოდ უკმეზობდა ხოლმე — და თავისი გაიტანა: მკვლევარებს კაზინოს სხვენში საფარეკაო დარბაზი გამოუყვეს. ცხადია, აქ ლაბორატორიისათვის საჭირო არავითარი მოწყობილობა არ არსებობდა. არც მაგიდები ჰქონდათ, არც წყალსადენი იყო, არც გაზი. ისევ ფლემინგის გამომგონებლობამ იხსნა მკვლევარნი. ბუნზენის სანთურაში დენატურატს ხმარობდნენ; თერმოსტატებს ნავთქურაზე აცხელებდნენ. შინის დასამუშავებლად ფლემინგმა რეზინის მილებისა და ბიდონზე ჩამოცმული საბერველისაგან მშვენიერი სანთურა გააკე-

თა. შემდგომში იგი ამბობდა, ასეთი კარგი ლაბორატორია არასოდეს არ მქონიაო.

მიუხედავად ამისა, ფლემინგი ისე გულმშვიდად იყო, როგორც მშვიდობიანობის დროს. მისი ლაბორანტი ასე აღწერს პირველ შთაბეჭდილებას, რომელიც მოუხდენია მასზე ლეიტენანტ ფლემინგს: „ტანდაბალი, ფერმკრთალი ოფიცერი, რომელიც არასოდეს ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა და მშვიდად და უნაკლოდ ასრულებდა თავის სამუშაოს. ერთხელ, როცა კაპიტანი დუგლასი ავად გახდა, ჩვენს უფროსად დააყენეს კაპიტანი ფლემინგი (იგი დააწინაურეს). როცა კაპიტანი დუგლასი რაიმე სამსახურებრივ საკითხს განიხილავდა ჩემთან ერთად, ან ხუმრობდა, ანდა ილანძღებოდა; კაპიტან ფლემინგს პირველად რომ მივუტანე ქაღალდები ხელმოსაწერად, იგი მიკროსკოპზე იყო დახრილი და მუშაობდა. უსიტყვოდ გავჩერდი და ველოდებოდი, თუ როდის მოიცილიდა ჩემთვის. ბოლოს თავი ასწია, ფანქარი აიღო და არაფერი უკითხავს, ისე მომიწერა ხელი ორდერებზე. წესად გვქონდა, რომ დროდადრო უნდა მომეხსენებინა მისთვის შექმნილ მდგომარეობაზე; იგი გულგრილად მომისმენდა ხოლმე, სინამდვილეში კი თურმე გაცილებით უფრო ახლოს მიჰქონდა გულთან ჩემი ნათქვამი, ვიდრე მე მეგონა. ყველაფერს იმახსოვრებდა, ერთ წუთში გადაწყვეტდა საკითხს და ბოლოს დასძენდა: „ძალიან კარგი, სერჯანტო, ეგ საკითხი შეგიძლიათ თვითონვე მოაგვაროთ“.

ამის წლებში ლაბორატორია უაღრესად სასარგებლო მუშაობას ატარებდა. მკვლევარები მხოლოდ ვაქცინებით როდი კმაყოფილდებოდნენ. რაიტმა, ისევე როგორც ვენსანმა საფრანგეთში, მთელი კამპანია ჩაატარა იმისათვის, რომ ტიფის საწინააღმდეგო აცრები სავალდებულო გაეხადათ არმიაში, და ამ გზით მათ მართლაც ათასობით ჯარისკაცი გადაარჩინეს. მაგრამ, გარდა ამისა, მრავალი მწვავე და გადაუდებელი პრობლემა წარმოიშვა დაჭრილთა დახმარების საქმეში. რაიტსა და მის ასისტენტებს ლაბორატორიაში ასვლისას პოსპიტლის პალატებში გავლა უხდებოდათ და ისინი შემზარავ სურათს უყურებდნენ აქ. ერთი მხრივ საშინელ შედეგს იწვევდა წინა ომებთან შედარებით გაცილებით უფრო ძლიერი საომარი იარაღის გამოყენება, და მეორე მხრივ — ინფექციები, რომლებიც კრილობაში ზეჰქონდა მიწასა და ტანსაცმლის ნაგლეჯებს. ქირურგები სასოწარკვეთილებაში

იყვნენ, როცა უჩვენებდნენ ბაქტერიოლოგებს სეფსისის, გაშეშებისა და განსაკუთრებით განგრენის მრავალრიცხოვან შემთხვევებს. ყოველდღიურად მოჰყავდათ მძიმე დაჭრილები, ზოგს მოტეხილობა ჰქონდა, ზოგს კუნთების ან სისხლძარღვების დაგლეჯა. არ გაივლიდა დიდი დრო და დაჭრილს მიწისფერი დაედებოდა სახეზე, მაჯისცემა დაუსუსტდებოდა, სუნთქვა გაუჭირდებოდა. იწყებოდა გაზოვანი განგრენა, რაც უცილობლად სიკვდილით ბოლოვდებოდა.

როგორ ებრძოლათ ამ საშინელი უბედურების წინააღმდეგ? „ამ ომში, — ამბობდა სერ ალფრედ კიოგი, არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსი, — ჩვენ მივუბრუნდით შუასაუკუნეების ინფექციებს“ ლისტერის დროიდან მოყოლებული, ქირურგები მინდობილი იყვნენ ანტისეპტიკას, განსაკუთრებით ასეპტიკას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტრანსპორტირების დროს დასენიანების იშვიათ შემთხვევებს, მეომართა დაზიანებული ქსოვილები უმეტესწილად სუფთა იყო: თანაც მედიკოსები უკვე დაუფლებული იყვნენ კრილობათა ისე მკურნალობას, რომ თითქმის გამორიცხული იყო ამ გზით დასნებოვნება. ლისტერი ანტისეპტიკური საშუალებებით ამუშავებდა ხალათებს, ხელთათმანებს, ხელსაწყო-იარაღებს. შემდეგში დაუწყეს მაღალ ტემპერატურაზე სტერილიზაცია. სტერილიზაციას უკეთებდნენ ყველაფერს, რაც უნდა შეხებოდა ავადმყოფის კრილობას. „საავადმყოფოსმიერი ინფექცია“ თითქოს დამარცხებულ იქნა. მაგრამ 1914 წლის საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროს ჯარისკაცთა კრილობები სავსე იყო მიკრობებით. ბედშავი დაჭრილი მეომარი გზაზე ან მინდორში დაეცემოდა და აქ მის კრილობაში მაშინვე „შელოღდებოდნენ“ სიკვდილის მთესველი ბაქტერიები. ფლემინგმა გამოიკვლია კრილობაში მოხვედრილი ტანსაცმლის ნაგლეჯები და ათასნაირი მიკრობები აღმოაჩინა მათზე. მინდორში დაყრილი ნაქელიც სავსე იყო მიკრობებით.

რა უნდა ეღონათ? ახალი კრილობების დათვალიერებისას ფლემინგმა აღმოაჩინა უჩვეულო მოვლენა: ფაგოციტოზი აქ ბევრად უფრო აქტიური იყო, ვიდრე მშვიდობიანობის დროინდელ ჩირქოვან კრილობებში. ლეიკოციტები ნთქავდნენ (და სპობდნენ) უამრავ მიკრობს. რატომ ხდებოდა ასე? „მშვიდობიან პირობებში ინფექცია აზიანებს ორგანიზმს, რომლის წინააღმდეგობის უნარი ამა თუ იმ მიზეზით ნაწილობრივ მაინც მოსპობილია, — მსჯელობდა ფლემინ-

გი. — გარდა ამისა, მიკრობებმა, რომლებიც ერთი ავადმყოფიდან მეორეზე გადადიან, შესაძლოა უფრო მეტი გაძლევობა შეიძინოს. ფრონტზე მიღებულ ჭრილობებში კი აი რა ხდება: სავსებით ჭანსაღ ორგანიზმში მექანიკური გზით უეცრად ხვდებიან მიკრობები, რომელთა ვირულენტობა დასუსტებულია, რადგან მანამდე ისინი არახელსაყრელ პირობებში იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ფაგოციტოზი, ბუნებრივია, უფრო აქტიურად მიმდინარეობს. მაშინ რატომაა ფრონტული ჭრილობა უფრო საშინელი? იმიტომ, რომ ნამსხვრევი ან ტყვია იწვევს ქსოვილთა ძლიერ დაზიანებას. ნეკროზული (მკვდარი) ქსოვილები, რომლებიც ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენენ მიკრობთა ზრდა-გამრავლებისათვის, ამავე დროს წინ ეღობებიან „დაზიანებულის ფაგოციტებს და მტრისკენ გაჭრის საშუალებას არ აძლევენ“. აქედან გამომდინარე, პირველი რჩევა ქირურგებს: რამდენადაც შესაძლებელია, მოცილებულ იქნეს ნეკროზული ქსოვილები.

კვლევითი მუშაობის მდიდარმა გამოცდილებამ ფლემინგს ღრმა პატივისცემა შთაუწერა ორგანიზმის დამცველი საშუალებების მიმართ. რა ხდებოდა ჭრილობაში, როცა მას მოაცილებდნენ დანეკროზებულ ქსოვილებს და ბუნების ანაბარად დატოვებდნენ? ლეიკოციტები სისხლძარღვთა კედლებიდან შედიოდნენ ჭრილობაში და, ხოცავდნენ რა მიკრობებს, ასუფთავებდნენ მას. რით იყო გამოწვეული ლეიკოციტების ეს „ღიაპედეზი“, ანუ თეთრი ბურთულების მიგრაცია? თქმა იმისა, რომ „დადებითი ქემოტაქსისი“ იზიდავს ფაგოციტებს ტოქსინებისკენო, იგივე იქნებოდა, თუ განვაცხადებდით, ოპიუმს ძილმომგვრელი თვისება აქვსო. მაგრამ რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტი ფაქტად რჩებოდა. ასე რომ, ორგანიზმის ბუნებრივ დამცველ ძალებს აუცილებლად უნდა მისცემოდათ მიკრობებთან „მისვლის“ საშუალება.

სამხედრო ექიმებს არც მამაცობა აკლდათ და არც თავგანწირვა, მაგრამ მათ წინაშე სრულიად უცნობი პრობლემა წამოიჭრა და, რახან არავითარი მითითება არ ჰქონდათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ასეთ შემთხვევაში, ისინი უხვად ხმარობდნენ ჭრილობებზე ყოველგვარ ანტისეპტიკებს. სტუდენტობისას ასე ასწავლიდნენ მათ. ასე ასწავლიდნენ, რა თქმა უნდა, ფლემინგსაც. „მასსოვს, — იგონებდა ფლემინგი, — მირჩევდნენ, აუცილებელია ნახევრის დადება ანტისეპტიკე-

ბითო. საამისოდ კი გამოიყენებოდა კარბოლის, ბორის მჟავა ან წყალბადის ზეჟანგი. მე ვხედავდი, რომ ეს ანტისეპტიკები ყველა მიკრობს არ ხოცავდნენ, მაგრამ მარწმუნებდნენ, ზოგიერთს ხომ შაინც კლავენ ისინი და ამდენად მკურნალობა. უფრო წარმატებით მიმდინარეობს, ვიდრე ისეთ შემთხვევაში, როცა ანტისეპტიკებს არ ვიყენებთო. მაშინ ჯერ კიდევ არ შექმდლო კრიტიკულად. შემეფასებინა ეს მეთოდი“.

მაგრამ ბულონში ფლემინგი დარწმუნდა, რომ ანტისეპტიკები უძლური გამოდგნენ, მიკრობები განაგრძობდნენ ზრდა-გამრავლებას და დაჭრილები იხოცებოდნენ. მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით ფლემინგმა, არ იკმარა რა აპრიორული მტკიცებანი, ჩაატარა მთელი სერია ცდები — შეამოწმა რამდენიმე ანტისეპტიკური ხსნარის მოქმედება სხვადასხვა ინფექციაზე. მისმა ცდებმა გამოავლინა, რომ ანტისეპტიკები არა თუ აფერხებდნენ განვრენის წარმოშობას, არამედ, როგორც ჩანს, პირიქით, ხელს უწყობდნენ მის განვითარებას.

რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ინფექცია ზედაპირული იყო, გამართლებულად ჩაითვლებოდა ანტისეპტიკების კონცენტრირებული ხსნარების გამოყენება მიკრობთა მოსასობად. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი ხსნარები იმავდროულად ორგანიზმის უჯრედებსაც კლავდა, მაგრამ რადგან ყოველივე ეს ზედაპირზე ხდებოდა, ქირურგს საშუალება ჰქონდა მოეცილებინა მკვდარი ქსოვილები: ესაა, რომ ზედაპირული დაზიანების შემთხვევები ძალზე იშვიათი იყო. თანამედროვე იარაღი დრმა, მძიმე, ნაფლეთ ჭრილობებს აყენებდა მეომართ. ტყვიასთან ან ყუმბარის ნამსხვრევთან ერთად ჭრილობაში. ღრმად შედიოდა საცვლების, ტანსაცმლის ნაგლეჯები და სხვა გაბინძურებული საგნები. ჭრილობის ნაპირები უსწორმასწორო იყო, მრავალრიცხოვანი ჯიბეებისა და ნორვეგიის ფიორდების მაგვარი კლაკნილი მისახვევ-მოსახვევების მქონე. მიკრობები სწორედ ამ „კლაკნილ ჩიხებში“ იყრიდნენ თავს. იმ დროს ხმარებულ ანტისეპტიკებს ქსოვილებში შეღწევის უნარი არ ჰქონდათ, მაშ როგორ უნდა მომხდარიყო ნაფლეთი ჭრილობების სტერილიზაცია? ამ კითხვაზე პასუხის მოსაძებნად ფლემინგმა გადაწყვიტა მინისაგან გაეკეთებინა ჭრილობის მულაჟი. მან გაავარჯარა სინჯარის დახშული ბოლო და

ჭრილობის კლაცნილთა მსგავსად რამდენიმე ღრუოვანი წვეტი გამო-
უჭიმა. ამის შემდეგ სინჯარაში ჩაასხა ფეკალიებით წინასწარ დასენი-
ანებული შრატი. ეს იყო სქემატური, მაგრამ საკმაოდ ზუსტი მოდელი
ომში მიღებული ჭრილობისა.

ფლემინგმა სინჯარა ერთი ღამით თერმოსტატში მოათავსა. მეორე
დღეს მიკრობებით გაჯერებული შრატი ამღვრეული და ამყარებული
დავდა. ფლემინგმა შრატი გადააქცია და სინჯარაში ჩაასხა ანტისეპტი-
კური ხსნარი, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ მიკრობები
უნდა დაეხოცა. დროის გარკვეულ მონაკვეთებში მკვლევარი ცლიდა
სინჯარას და მასში ასხამდა დაუსენიანებელ შრატს. საინკუბაციო პე-
რიოდის გავლის შემდეგ თერმოსტატში ეს სტერილური შრატი ისე-
თივე მღვრიე და მყარალი იყო, როგორც სულ პირველად ჩასხმული.
რამდენჯერაც არ გაიმეორა ფლემინგმა ეს ცდა, ერთნაირი შედეგი
მიიღო. რის მთქმელი იყო ეს? რახან შრატი სინჯარაში ჩასხმისას
დასენიანებული არ იყო, მაშასადამე, სინჯარის კლაცნილებში კვლავ
უზიფათოდ ბინადრობდნენ მიკრობები. ფლემინგმა დაასკვნა, რომ
ფრონტული ჭრილობების სტერილიზაცია შეუძლებელია საერთოდ
ხმარებული ანტისეპტიკების მეშვეობით.

ისევ წამოიჭრა კითხვა: როგორ მოვიქცეთ? მოქმედების თავისუფ-
ლება მივიანიჭოთ ორგანიზმის დამცველ ძალებს, პასუხობდა რაიტი, და
დავეხმაროთ მათ. სისხლძარღვთა კედლებიდან გამოსული ლეიკოცი-
ტები ქმნიან ჩირქს, რომელიც უაღრესად კეთილსასურველად მოქმე-
დებს. რაიტმა და ფლემინგმა ცდებით დაამტკიცეს, რომ ახალ ჩირქს
შეუძლია მიკრობთა კოლონიების მოსპობა. ნორმალური ლეიკოციტე-
ბის ეს ბაქტერიციდული თვისება ზვარდაუღებელია იმ პირობით,
თუ თეთრი ბურთულების რაოდენობა მრავალრიცხოვანია. მაშასადამე,
საუკეთესო შედეგების მიღება შეიძლება, თუკი მიკვლეული იქნება
ლეიკოციტების არმიათა მობილიზებისა და მაქსიმალურად დიდი რაო-
დენობით ახალი ლიმფის გამოყოფის საშუალება. შესანიშნავად
ჩატარებული ლაბორატორიული ცდებით რაიტმა დაამტკიცა, რომ ამ
მიზნით შეიძლება ჰიპერტონიული მარილხსნარის გამოყენება. ფლე-
მინგმა ეს დაადასტურა დაჭრილთა სამკურნალოდ ამ ხსნარის გამო-
ყენებით.

ასევე აიხსნებოდა ის წარმატება, რომელსაც მიაღწია ფრონტზე
კარელიმ დაკენის ხსნარით (ნატრიუმის ჰიდროქლორიდი), რომელიც,

ისევე როგორც ჰიპერტონიული მარილხსნარი, ხელს უწყობდა ასალი ლიმფის ინტენსიურ გამოყოფას. ფლემინგმა იცოდა რა, რომ ანტი-სეპტიკები ჩირქთან და ქსოვილებთან კონტაქტის დროს უმალ კარგავენ თავიანთ ბაქტერიციდულ თვისებას, გადაწყვიტა განესაზღვრა ჭრილობაში დაკენის ხსნარის მოქმედების ხანგრძლიობა, და დაადგინა, რომ ჭრილობაში შეყვანიდან ათი წუთის შემდეგ ეს ანტისეპტიკი უკვე აღარ იყო საშიში მიკრობებისათვის. „დაკენის სითხე, უდავრა, კარგ შედეგს იძლევა, — დაასკვნა ფლემინგმა, — მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მარილხსნარის მსგავსად იგი ეხმარება ორგანიზმის დამცველ ძალებს. თუმცა, ძალიან კარგია, რომ იგი ასე მალე კარგავს თავის ანტისეპტიკურ თვისებებს, — გამჭირდავად დასძინდა იგი — ათი წუთის განმავლობაში ბევრს ვერაფერს გააფუჭებს, ორგანიზმი კი ამის შემდეგ ორ საათს დაისვენებს, სანამ მას ხელს არავინ უშლის და აღიდგენს თავის ძალებს“.

ფლემინგის შემდგომმა აღმოჩენებმა დაჩრდილა მისი ომისდროინდელი მუშაობა, მაგრამ საქმის მკოლნე აღამიანები, მათ შორის დოქტორი ფრიმენი, თვლიან, რომ მის მიერ ჩატარებული შესანიშნავი ცდები, რომელთა მეშვეობითაც დაამტკიცა, თუ რა ზიანს აყენებს ორგანიზმის ქსოვილებს ანტისეპტიკების არასწორი გამოყენება, — ყველაზე დასრულებული და დიდოსტატურია მთელ მის ნამოღვაწარში.

ბერნარდ შოუ ბულონის ხშირი სტუმარი იყო, და იგი გულწრფელად ზეიმობდა. „ჩვენ თავი მივანდეთ ექიმებს, რომელთაც ყურთ ესმათ მიკრობების ამბავი, ვითარცა ისმინა თომა აქვინელმა ანგელოზების თაობაზე, და მათ უცებ დაასკენეს, რომ მკურნალობის მთელი არსი ისაა, რომ იპოვნო მიკრობი და მოჰკლა იგი. ყველაზე ადვილია მიკრობის მოკვლა მდინარეში გადაგდებით ან მზეზე მიფიცებით. მაგრამ ექიმები ინსტინქტურად უგულვებელყოფენ ყველა დამაიმედებელ ფაქტს და გაფაციცებით აგროვებენ იმის დამადასტურებელ საბუთებს, რომ, თუკი ვინმე გადაჩინილა პათოგენური მიკრობებით სავსე ატმოსფეროში, სასწაული მომხდარაო. მათი აზრით, მიკრობები უკვდავნი არიან და მათი მოსპობა შეუძლია მხოლოდ გამოცდილ ექიმს რომელიმე მიკრობმომკვლელი პრეპარატით... მიკრობთა ამ გააფთრებული ხოცვა-ჟლეტის პირველ პერიოდში ქირურგები თავიანთ ინსტრუმენტებს კარბოლის მჟავათი ასუფთავებდნენ, რაც, რასაკვირველია, უკეთესი იყო, ვიდრე ქუჭყიანის გაურეცხავად

ხმარება; მაგრამ ვინაიდან მიკრობებს ისე ჰყვარებიათ კარბოლის მეჯავა, რომ მაშინვე ზრდა-გამრავლებას იწყებენ მასში, ეს მეთოდი მიკრობთა წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით დიდ გამარჯვებად ვერ ჩაითვლება.* შოუმ ან ვერ გაიგო, ანდა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ ესმოდა, თუ რაში იყო საქმე. ინსტრუმენტები ამ გზით მართლაც სტერილდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ძლიერად ნაჯერი ხსნარი მათ ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებდა. სკალპელებს მოწყვლად უჯრედები არა აქვთ.

თუმცა შოუ ხუმრობდა, მეცნიერები მაინც ძალიან აღაშფოთა მისმა ენაქილიკობამ. რაიტი მისთვის დამახასიათებელი მგზნებარებით განაგრძობდა ამ პრობლემაზე მუშაობას, არც ნიქს იშურებდა, არც ენერგიას, რადგან იცოდა, რომ "ამაზე იყო დამოკიდებული პევრის-ბევრი ადამიანის სიცოცხლე. სერ ალმროტმა მრავალი ლექცია წაუკითხა ფრანგ და ინგლისელ მედიკოსებს. 1915 წელს იგი ორჯერ გამოვიდა მოხსენებით ლონდონის სამეფო-სამედიცინო საზოგადოებაში და, თუმცა ეს მისთვის არც თუ ისე იოლი იყო, მაინც შეეცადა არ აცდენოდა ექსპერიმენტულ მონაცემებს, სადავე არ მიეშვა თავისი. ლიტერატურული ნიჭისა და ენისათვის, ამავე დროს თავი შეეკავებინა აგრესიული და ირონიული გამოთქმებისაგან, რათა არ გაელიზიანებინა აუდიტორია და დაერწმუნებინა თავისი დებულებების სისწორეში. მიუხედავად ასეთი მოწადინებისა, რაიტი, როგორც იტყვიან. ამოდ დაშვრა. ჯვად-მყოფური თავმოყვარეობის გამო ადამიანებს შეუძლიათ უგულვებელ-ჰყონ უდავო ფაქტებიც კი. სამეფო ქირურგიული კოლეჯის პრეზიდენტს სერ უილიამ უოტსონ ჩეინს, რომელმაც როგორც ლისტერის მოწაფემ და მეგობარმა ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ ირწმუნა კარბოლის მეჯავა, ეგონა, რომ ფრონტული ქრილობების ქირურგიაში შემოჭრილი ეს ახალი იდეები შეურაცხყოფდა როგორც მის. ისე მისი მასწავლებლის პატივსა და ღირსებას (იგი სცდებოდა: რაიტისა) და ფლემინგიც უდიდეს პატივს სცემდნენ ლისტერს, მაგრამ რა უნდა ექნათ, გარემოება შეიცვალა). ასე რომ, სერ უილიამი, რომელმაც ისარგებლა თავისი მაღალი მდგომარეობით, გამძაფრებით თავს დაესხა რაიტს.

მაგრამ ეს არ იყო გონივრული მოქმედება. რადგან რაიტი, რო-

* ბერნარდ შოუ. წინასიტყვაობა „ექიმის დილემისა“.

დესაც მას აწყენინებდნენ. შეუარაცხოფას მიაყენებდნენ. გააფთრებულ პოლემიკაზე გადადიოდა. 1916 წლის თექვსმეტ სექტემბერს რაიტმა „ლანცეტში“ შესანიშნავი პასუხი, ბრწყინვალე პამფლეტი დაუწერა სერ უოტსონ ჩეინს. აღმროტსაც და მის თანამემწეებსაც უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდათ ფრონტული ჭრილობების მკურნალობაში, ასე რომ რაიტის სტატია ფრიად ავტორიტეტულად და საქმის ცოდნით იყო დაწერილი. ჩეინი აღიარებდა, რომ თუ ინფექციის შეჭრის შემდეგ 10—12 საათი გავიდა, ანტისეპტიკების კეთილსასურველი მოქმედების არავითარი იმედი არ უნდა გვექონდესო. რაიტი პასუხობდა: „ომის დროს კი დაჭრილი დიდხანს გდია საომარ ველზე, შემდეგ იგი აუჩქარებლად გადაჰყავთ ლაზარეთში და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ მოხვდება ქირურგთან თქვენს მიერ დაწესებულ ვადაში. როგორია თქვენი პროგრამა, თუკი ანტისეპტიკები კარგავენ თავიანთ ეფექტურობას? რამდენადაც მე შესძის, თქვენ იგი არ გაგაჩნიათ. თქვენი პოზიცია ასეთია: „მე გაეწი-გამოვწიე ჭრილობის კიდეები, უზრუნველვყავი დრენაჟი, სუსტი ანტისეპტიკური ხსნარით გამოვრეცხე ჭრილობა, დავადევი ნახვევი და ამით მორჩა ყოველივე“.

მე კი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია მიკავია, — წერდა რაიტი. (აქ გადმოცემულია მისი თეზისი) ფრონტული ჭრილობების სტერილიზაციის საკითხში მე ვიზიარებ იმ ექიმების შეხედულებას, რომელთაც საფრანგეთში ისეთივე გამოცდილება მიიღეს, როგორც მე: საომარ ველზე მიღებული მძიმე ჭრილობები ანტისეპტიკებით არ სტერილდება, არც შეიძლება ამ ხსნარებით მათი სტერილიზაცია. ან რატომ ვირწმუნებოდრი მე, რომ მიკრობული ინფექციის დასამარცხებლად ორგანიზმს უნდა დაეცხმაროთ ფიზიოლოგიური მეთოდებით. ლიმფის გამოყოფის ხელოვნური გაძლიერებით ჩვენ ხელს ვუწყობთ სისხლის შრატის ზემოქმედებას ინფიცირებულ ქსოვილებზე. რაც უფრო მეტი რაოდენობით შევუყვანთ დაჭრილს ახალ შრატს, მით უფრო მეტად გავაძლიერებთ ლეიკოციტების მიგრაციას და მით უფრო მეტად დავცხმარებთ ორგანიზმს ინფექციური მიკრობების მოსპობაში... მე მგონია, რომ სერ უილიამ უოტსონ ჩეინი თვალს ხუჭავს ყველა ამ პრობლემაზე... მან კოშკებიც კი ვერ დაინახა იმ ქალაქისა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ...”

საფუძვლიანი დასკვნების მოშველიებით რაიტი ამტკიცებდა:

რომ მის სახელგანთქმულ ოპონენტს, როგორც ჩანს, წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, თუ რა არის ცდა. „ახლა იმ თვისებებსაც მივხედოთ, რომლებიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მკვლევარს...“ სერ უილიამი იმოწმებდა ღია მოტეხილობის შემთხვევებს, როდესაც მართლაც მოხერხდა კრილობის სტერილიზაცია ლისტერიის მეთოდით. „სერ უილიამის სტატის ეს ნაწილი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ყალბი დასკვნები შეიძლება გააკეთოს ადამიანმა კემპარიტი კლინიკური დაკვირვებებიდან, თუ აბდა-უბდა აზრებს აპყვება და არად ჩააგდებს ლოგიკას...“ სერ უილიამს უთხრეს, როგორც ჩანს, სერ ალმროტის მიერ მოწოდებული ფიზიოლოგიური მკურნალობა ეფექტურია, რახან აი უკვე რამდენიმე თვეა, რაც მრავალი ექიმი იყენებს მას ფრონტზეო. „მე არავითარი ურთიერთობა არა მაქვს იმ ადამიანების საქმიანობასთან, რომლებიც ფრონტზე იმყოფებიან, — უპასუხა სერ უილიამმა, — სხვათაშორის, ცნობილია, რომ ფრონტზე წარმატებით გამოიყენება ერთ ცნობილ დილაკზე — დისციპლინის დილაკზე თითონ დაჭერის მეთოდით...“ სხვაგვარად რომ თქვათ: რახან რატი პოლკოვნიკია, არმიაში სიმართლე მუდამ მის მხარეზე იქნება. მაგრამ რატი, პირიქით, მუდამ მოუწოდებდა ფრონტელ ქირურგებს, რა ჩინიც არ უნდა ჰქონდეთ მათ, რომ კარგად აეწონ-დაეწონათ თავიანთი დაკვირვებები და პრაქტიკულად შეემოწმებინათ ბულონის პატარა ლაბორატორიაში ჩატარებული ობიექტური მარტივი და დამაჯერებელი ცდების შედეგები.

მართალია, რატი ინდივიდუალისტი გახლდათ და ამაცობდა იმით, რომ არასოდეს არავითარ ბრძანებას არ ემორჩილებოდა, მას მაინც მიაჩნდა, რომ ესოდენ სერიოზულ, ესოდენ ტრაგიკულ გარემოებათა დროს ყოველ პოლკის ექიმს როდი უნდა მოსცემოდა მკურნალობის საკუთარი მეთოდის გამოყენების უფლება. მშვიდობიან დროს ექიმი ჩვეულ გარემოში მუშაობს; ომის დროს კი იგი უცნობ პრობლემებს აწყდება და იძულებულია სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღოს. აი რატომაა აუცილებელი, რომ უფროსები და სხვა პასუხისმგებელი პირები დაეხმარონ სამხედრო ექიმს და საშუალება მისცენ მას ისარგებლოს სხვა მედიკოსების მიერ ჩატარებული ცდების შედეგებით. მაგალითად, რატი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დაჭრილთა სასწრაფო ევაკუაციისა ინგლისში. გზაში ისინი ძალიან იღლებოდნენ და როდესაც ჰოსპიტალს მიაღწევდნენ, ოპერაციის გადატანა აღარ შეეძლოთ


ადვილზე რომ გაეწიათ ასეთი დახმარება, ალბათ უშედეგოდ არ ჩაივლიდა დასტაქრების მოწადინება. „ჩვენ ქირურგებს ვაგზავნიოთ საფრანგეთში, დაჭრილებს კი ინგლისში... თითქოსდა არმიას მიზნად დაესახოს, რომ ერთ ნაპირზე ერთად არ აღმოჩნდნენ მგელი, თხა და კომბოსტო...“ რაიტი სინანულს გამოსთქვაჲდა, რომ არმიის სამედიცინო სამსახური, რომელიც შესანიშნავად ართმევდა თავს სურსათით დაჭრილთა მომარაგებას და მათ გადაყვან-გადმოყვანას, უძლური იყო გადაეჭრა საარსებო მნიშვნელობის მქონე საკითხები, რომლებიც შეეხებოდა დაჭრილთა მკურნალობას ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდებით.

თვითონ რაიტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიემხრო ადამიანები, თავის სიმართლეში დაერწმუნებინა ისინი. ბულონში მან წაიკითხა მოხსენება „მეთოდებზე, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მკურნალობის სხვადასხვა წესის შეფასებას“. ჩვენი ამოცანაა მივაკვლიოთ ჭეშმარიტება და ვაიძულოთ დანარჩენები ირწმუნონ იგი. ჩვენი არმიის სამედიცინო ორგანიზაცია ისეა მოწყობილი, რომ აუცილებელია ყველა მკურნალი ექიმის ცალ-ცალკე დარწმუნება. არ კმარა მხოლოდ უფროსების დაჯერება. სულერთია, ისინი მაინც არ გასცემენ სათანადო ბრძანებებს...“ რაიტი იმ დასკვნაზე მივიდა, რომ სამხედრო სამინისტროსთან უნდა შექმნილიყო სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა განეხილა ყველა საკითხი; და არა მარტო ჭრილობის მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემები, არამედ აგრეთვე ეპიდემიური სიყვითლის, სანგრისმიერი ცხელების, მფრინავი ფსიქიკური დეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ამ ცენტრის გადაწყვეტილება კანონი უნდა ყოფილიყო ყველასათვის. რაიტს ბევრი მეგობარი ჰყავდა პოლიტიკურ წრეებში და ამიტომ თავისი მოსაზრებების დასაცავად გაემგზავრა ლონდონში, სამხედრო მინისტრ ლორდ დერბისა და არტურ ბალფურთან. მაგრამ ამან უაღრესად მტრული რეაქცია გამოიწვია არმიის სამედიცინო ხელმძღვანელთა შორის. სერ არტურ სლოგეტმა — სამედიცინო სამსახურის მთავარმა დირექტორმა სასტიკი პროტესტი განაცხადა და დასძინა, რაიტი ლაბორატორიაში მუშაობას უნდა დასჯერდესო. მან რაიტის უკან გამოწვევაჲც კი მოითხოვა. სლოგეტმა ეს ვერ შესძლო, მაგრამ ვერც რაიტმა მიაღწია თავის საწადელს.

ლოქტორმა ჩვიმსმა, იმხანად ბატალიონის ექიმმა, შვებულებიდან




პაულ ერლიხი



პენიცილინის კრისტალი

პეტრის ფინჯანი,
რომელშიც ფლემინ-
გი პირველად აკვირ-
დებოდა ბაქტერი-
ებზე პენიცილინის
მოქმედებას.



რომ ბრუნდებოდა, გზად ბულონის ლაბორატორიაში შეიარა, სადაც მას ფლემინგი და კოლბრუკი დახვდნენ. ომის გრუხუნის, ტალახის, სიმყარალისა და ფრონტის სამედიცინო პუნქტების დამქანცველი მუშაობის შემდეგ ლაბორატორიაში გამეფებულმა საშურმა სიჩუმემ პირველად ძალიან გააბრაზა. „თურმე ცუდად როდი ცხოვრობენ ზურგის მედიკოსები!“ --- გაიფიქრა მან. რაიტს ბულონში შესანიშნავი სახლი ჰქონდა დონუს ბულვარზე, თანაც პირველხარისხოვანი ფრანგი მზარეული ქალი ლუსიენა ემსახურებოდა. მაგრამ ჭეიშსმა მალე შეამჩნია, რომ ფლემინგი ძალზე გამხდარიყო და დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა. მასთან საუბრის დროს ჭეიშსი მიხვდა, რომ „ზურგის მედიკოსები“ თავს არ იზოგავდნენ, რათა რაიმე ელონათ ფრონტელთა დასახმარებლად. ფლემინგმა მისთვის უჩვეულო მქვერ-მეტყველებით მოუთხრო ჭეიშს ლაბორატორიის მუშაობაზე, ჩატარებული ცდების შედეგებზე, უამბო იმაზეც, თუ რა იყო საჭირო, მისი აზრით, დაჭრილთა უბოროტეს მტერზე — ინფექციაზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. „ჩვენ ვეძებთ ისეთ ქიმიურ ნივთიერებას, — უთხრა მან, — რომელიც ვნებას არ მიაყენებს ორგანიზმს და სისხლში შეყვანისას კი ისევე მოსპობს ინფექციის გამომწვევეთ, როგორც საღვარსანი სპობს სპიროქეტებს“. ასეთი ნივთიერება ჯერ კიდევ არ აღმოუჩენიათ, მაგრამ მათმა ჯგუფმა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი შეკრიბა. ეს ფაქტები საშუალებას მისცემენ ექიმებს თავიდან აიცილონ ყველაზე უფრო სახიფათო შეცდომები და დახმარება აღმოუჩინონ დაჭრილის ორგანიზმს. ბულონის ლაბორატორიიდან ჭეიშსმა თავის ბატალიონში წაიღო ახალი მკაფიო და სასარგებლო მითითებანი ჭრილობათა მკურნალობაზე.

ლაბორატორიაში ყოველთვის ბევრი სტუმარი იყო. რამდენიმეჯერ ბერნარდ შოუც ეწვია რაიტს. ისხდნენ თურმე ბუხართან და ღამეებს ათენებდნენ ცხარე კამათში იმაზე, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია — მედიცინა თუ ფილოსოფია. ერთ საღამოს ისე გაერთნენ საუბარში, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ წაეკიდა საკვამლეში ცეცხლი მჭვარტლს მთელი ოთახი კვამლით გაივსო. ლუსიენა და ფრიმენი რიგრიგობით გარბოდნენ ქუჩაში, რადგან ეგონათ ალბათ სახურავს უკედია ცეცხლიო. შოუ და რაიტი კი, ვითომც აქ არაფერი იყო, ისე განაგრძობდნენ საუბარს.

ერთხანს რაიტთან ცხოვრობდა სახელგანთქმული ამერიკელი

ნეიროქირურგი ჰარვეი კუშინგი. თუმცა სრულიად სხვადასხვა ხასიათის ადამიანები იყვნენ, მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. კუშინგი ფლემინგის მაგვარად პოზიტიურად მოაზროვნე იყო, მიუხედავად ამისა, იგი უდიდესი სიამოვნებით ისმენდა რაიტის მსჯელობას ქალებზე, კათოლიკურ ეკლესიაზე და კეთილსინდისიერებაზე სულიერი მოღვაწეობის სფეროში. როცა ბუხარში ცეცხლი ჩაქრებოდა, რაიტი გაზეთს შეუკეთებდა ხოლმე სახმილად, და რადგან მას ყოველი პატარა შემთხვევისთვისაც კი თავისი საკუთარი თეორია მოეპოვებოდა, მაშინვე შეუდგებოდა იმის მტკიცებას, რომ გაზეთი არც ააღდებდა და არც საკვამლეში აფრინდებდა, თუ დროულად გავხერგეთ ქალაქის ყველა გაშავებულ ადგილს ცეცხლის საჩხრეკითო. კუშინგი თავს იქცევდა „ცეცხლის ქირურგიით“, რასაც იგი რაიტისეულ „პუნქციას“ ეძახდა.

კუშინგი მთავარ ქირურგად მუშაობდა ამერიკის ჰოსპიტალში, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ იყო ჩამოყალიბებული და ახლახან გადმოეტანათ ბულონის კაზინოში. ამ ჰოსპიტლის მთავარი ექიმი გახლდათ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი როჯერ ლი. მას გაგონილი ჰქონდა რაიტის საკვლევადიებო მუშაობის ამბავი, იცოდა, რომ ამ მეცნიერმა სახელი გაითქვა ტიფის საწინააღმდეგო ვაქცინით. ესპანეთ-ამერიკის ომის დროს თითოეულ მოკლულ ჯარისკაცზე მოდიოდა ათასი მუცლის ტიფისაგან მომკვდარი. როჯერ ლიმ დიდი ლაბორატორიული მუშაობა ჩაატარა ოპსონიმების შესასწავლად. როდესაც ლიმ შეიტყო, რომ სახელგანთქმული რაიტი მისი ჰოსპიტლის შენობაში მუშაობდა, ადფრთოვანებული მაშინვე გაეშურა მის სანახავად. რაიტთან ერთად იმ წუთს იყვნენ ფლემინგი, ფრიმენი, კეიტო და კოლბრუკი. „პირველი ნახვისთანავე მომეწონა ფლემინგი, — გვიამობს იგი. — თუმცა სიტყვა არ დასცდენია, ისე ჩუმად იყო“. ასევე მოსწონებია იგი ფლემინგს. ისინი დამეგობრდნენ.

ლაბორატორიაში მოდიოდნენ აგრეთვე რობერტ უ. ბლისი, პარიზში ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი, და ფრანგებიც: პროფესორი პიერ დიუჟალი, ჟაკ კალვე, დოქტორი ტიუფე. რაიტი ადვილად პოულობდა საერთო ენას ფრანგებთან, მათ ხომ რაიტის მსგავსად უყვარდათ განზოგადება. ფრიმენს მალე მოსწყინდა ბულონში მუშაობა და იგი პარიზში გადავიდა. გამოთხოვებისას ფლემინგისათვის უთქვამს: „ფლემ, მე და თქვენ უფრო პროდუქტიული რამე უნდა გვეკეთებინა“. პასუხად ფლემინგს რაღაც ჩაუბურტყუნია. პირადად იგი

თვლიდა, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელიც ბულონის ლაბორატორიაში ტარდებოდა, ბევრ დაჭირებს გადაარჩენდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ინგლისელები, ფრანგები-საგან განსხვავებით, წმიდათაწმიდა მოვალეობად, საზეიმო მსხვერ-პლშეწირვად როდი მიიჩნევდნენ ომს. თავი ლალად ეკირათ და ისე იქცეოდნენ, თითქოს ბევრი არაფერი ჰქონოდათ გასაკეთებელი. ფრონტის მოწინავე ხაზიდან რამდენიმე კილომეტრზე კალმახზე თევ-ზაობდნენ და ზღვაში ბანაობდნენ. ერთ-ერთი მომსწრე გვიამბობს, რომ კაპიტანი ფლემინგი და ერთი მეცნიერი, რომელიც „გგონებ თვით რაიტი ბრძანდებოდა, ტანის გასავარჯიშებლად ჰიდაობაში გაეჯიბ-რნენ ერთმანეთს. და როცა მოჭიდავენი ატაკზე კოტრილობდნენ, უცებ კარი გაიღო და ლაბორატორიაში შემოვიდა საფრანგეთის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში მაღალი რანგის სამხედრო ექიმები იყვნენ. მოჭიდავენი წამოცვივდნენ და მაშინვე დაიწყეს მეცნიერული დისკუსია. არასოდეს არ დამავიწყდება ამ სცენის მა-ყურებელი ფრანგი გენერლების სახის გამომეტყველება“.

მეცნიერთა ამ პატარა ჯგუფის ცხოვრების ნორი არაფრით არ შე-ესატყვისებოდა მათ სამხედრო ფორმას. რაიტი ისე დაუდევრად ექცეოდა თავის გარეგნულ იერს, რომ ლაბორანტ-სერჟანტი კლაიდენი ყოველ დილით გულმოდგინედ ათვალეირებდა მას და ამოწმებდა, ქამრის გაკეთება ან სხვა რამე ხომ არ დაავიწყდა უფროსსო.

„ერთხელ — გვიამბობს კლაიდენი, — შევამჩნიე, რომ შარვალი გახეოდა უკან და პერანგი მოუჩანდა. უხერხულად ჩავთვალე ამის თქმა. ამიტომ ფლემინგს გავანდე „საიდუმლო“ და თან ვთხოვე:

— როგორმე მიახვედრეთ ჩვენი უფროსი.

კაპიტანმა მიპასუხა:

— მიდიტ და თქვენ თვითონ უთხარით.

რალა გზა მქონდა, მივედი სერ ალმროტთან, გამოვეკვიპე და ფეხი ფეხზე მივაბაკუნე, რაც, სხვათაშორის, ყოველთვის დამცინავ ღიმილს ჰგვრიდა პოლკოვნიკს.

— სერ, — ვუთხარი რაიტს, — უკან განეული გაქვთ შარვალი.

რაიტმა შემომხედა.

— სერჟანტო, საქმე შემოგლევიათ? გგონიათ, რომ ეს შეაცბუ-ნებს სანიტარ ქალებს? რა უნდა მოვიმოქმედო თქვენი აზრით?

კიდევ უფრო გავიჭიმე და მოვახსენე.

— სერ, ჩემი წინადადებაა შოფერი გაგზავნოთ შინ სხვა შარვლის მოსატანად.

რაიტმა მიპასუხა:

— ჭკუის კოლოფი ყოფილხარო!

კაპიტანმა ფლემინგმა და მე გავიღიმეთ, და ჩვენ-ჩვენ საქმეს მივუბრუნდით...“

კვირადღეობით ფლემინგი აიყოლიებდა ხოლმე თავის ორ კოლეგას — ირლანდიელ ტომსონსა და კანადელ ექიმ კაიტონს — და სამივენი გოლფის სათამაშოდ მიდიოდნენ ვიმარში. სათამაშო ბილიკები მოწყობილი იყო სილახხვავებზე, ზოლად რომ გასდევს ლა-მანშის სანაპიროს. გოლფის სათამაშო მოედანი ჩრდილოეთ მხარეს, ბულონიდან ოთხ თუ ხუთ კილომეტრზე იყო, მაგრამ გზის სიშორეს რას დაგიდევდათ ლონდონის შოტლანდიური პოლკის ჯარისკაცი. თუ გზად მიმავალ თავისუფალ საშტაბო მანქანას შეხვდებოდნენ, სამი მუშკეტერი თხოვნას არ თაკილობდა და ზოგჯერ ტრანსპორტით იმოკლებდნენ სავალს, გოლფის სათამაშოდ ხშირად მოდიოდა ხოლმე ერთი მეტისმეტად თავდაჭერილი პოლკოვნიკი. სიტყვაძვირ და მჭირდავ ფლემინგს მისი გათამაშება უყვარდა. სილახხვავს სადმე ამოეფარებოდა და თვითონ ჩააგდებდა პოლკოვნიკის ბურთს ფოსოში, პოლკოვნიკი კი ალტაცებული იყო, რადგან ეგონა, ღმერთმა გადმომხედა და ერთი დარტყმით ჩავაგდე ფოსოში ეს ძნელი ბურთიო.

ფლემინგი ხშირად როდი იგებდა თამაშს. როგორც საერთოდ სჩვეოდა, გოლფის თამაშის დროსაც კიდევ სხვა რამე თამაშს მოიგონებდა თავისთვის. ჩვეულებრივი წესი მოსაწყენად ეჩვენებოდა და მრავალფეროვნებისათვის უჩვეულო ხერხებს მიმართავდა. მაგალითად, ბალახზე დაწვებოდა და დაარტყამდა თავისი პოკიჯოხის მეორე ბოლოთი, თითქოს ბილიარდის კოკი სჭეროდეს ხელში, ანდა ფოსოსკენ ზურგით შებრუნდებოდა და ფეხებს შუა გაიგორებდა ბურთს. ზოგჯერ ამ ხერხით წარმატებასაც აღწევდა. მოთამაშეები თაღლითობას სწამებდნენ, ის კი აინუნშიც არ აგდებდა ამ საყვედურებს.

კანადელი კაიტი ფლემინგის ახლო მეგობარი გახდა. კაიტმა სამედიცინო განათლება ამერიკაში მიიღო, და ინგლისელები „იანკიდ“ თვლიდნენ მას. კაიტს მოსწონდა ფლემინგის პრაქტიკული და საქმიანი ჭკუა-გონება. „ეს სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი ჩვენ განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნდა, რადგან მას მუდმივი კავშირი

ქონდა იმ ექიმებთან და ქირურგებთან, რომლებიც მკურნალობდნენ დაქრილებს, — მოგვითხრობს კაიტი, — დაკვირვებათა შედეგების ურთიერთგაზიარებას ფრიად სასარგებლოდ და საინტერესოდ ვთვლი-
დით. ბულონი ბრიტანეთის საექვედიციო ჯარების სატრანზიტო ნავ-
სადგური იყო, და ჩაის სმის დროს ლაბორატორია მუდამ ხალხით
იყო გაქედილი. იმართებოდა ცხარე კამათი. ფლემინგი, თუმცა საე-
რთოდ სიტყვაძვირობდა, მაგრამ დროდადრო ერთ-ორ გონებამახვი-
ლურ სიტყვას ჩააკერებდა საუბარში, რათა პოლემიკა ძირითად
თემას არ ასცდენოდა. სხვა მკვლევარებზე როცა ლაპარაკობდა, საც-
მად მკვეთრ გამოთქმებს ხმარობდა, მაგრამ ყოველთვის იგრძნობოდა
მისი ჰუმანური კეთილგანწყობილება კოლეგების მიმართ. ფლემინგი
გამოირჩეოდა ფართო დიაპაზონის შეხედულებებით, რომლებიც
ზოგიერთი ჩვენი ამერიკელი მეცნიერის შეხედულებებს მაგონებდა.
ამან დიდი როლი ითამაშა ჩვენს დამეგობრებაში“.

1918 წელს ვიმრეში ჩამოყალიბდა სპეციალური ჰოსპიტალი —
№ 8 სტაციონარული ჰოსპიტალი ბარძაყისა და მენჯის ღია მოტეხი-
ლობათა სამკურნალოდ. კერძოდ, აქ უნდა ჩატარებულიყო სექტიცე-
მიისა და გაზოვანი ჯანგრენის შესწავლა. „ნამდვილად შეამყებოდა,
რომ ამ სტაციონარში მოვეწყე ბაქტერიოლოგად, და რომ მუშაობა
მომიხდებოდა ფლემინგის ხელმძღვანელობით, რომელიც ლაბორა-
ტორიის უფროსად დანიშნეს, — გვიამბობს დოქტორი პორტეუსი. —
მე და ფლემინგი ერთ პატარა ქოხში ვცხოვრობდით, ლაბორატორია
კი ხის ფარდულში იყო გამართული. კედლებზე ჩამოკიდებული
გვექონდა ფაგოციტოზის ამსახველი დიაგრამები, ნახატები, აგრეთვე
ყურნალ „პარიზის ცხოვრებიდან“ ამოჭრილი სურათები. ფლემინგი
განაგრძობდა ანტისექტიკებისა და ქრილობათა მარჩლოვანი მკურნა-
ლობის შესწავლას. იგი იკვლევდა სტრეპტოკოკურ სექტიცემიას და
პორტეუსთან ერთად ცდილობდა ისეთი პირობების შექმნას, როცა
თითქმის შესაძლებელი იქნებოდა მისი თავიდან აცილება. ფლემინ-
გი იყენებდა აგრეთვე მის მიერ გაუმჯობესებულ მეთოდს სისხლის
გადასხმისას. ფლემის მიერ მიღებული შედეგები გამოქვეყნდა „ლან-
ცეტში“. სისხლის გადასხმა იმ ხანად ჯერ კიდევ არ იყო საყოველ-
თაოდ ცნობილი და ჩვეულებრივად მიჩნეული სამკურნალო მეთოდი.

დონორებად იყვნენ მოხალისენი, რომლებსაც წასახალისებლად დამატებით შევებულებას აძლევდნენ. კარგი ფიზიკური ფორმა რომ შეენარჩუნებინა, ფლემინგმა სახლის უკან მდებარე ორი პატარა ორმო ამოთხარა და საღამოობით, სიბნელეში, თუ ქარი არ უბერავდა და არც საჰაერო თავდასხმა იყო, ორმოებში ანთებულ სანთლებს ჩავარკობდით და გოლფის თამაშით ვიქცევდით თავს.

1918 წელს იფეთქა ესპანურას ეპიდემიამ. ექიმები ისეთ დღეში ჩავარდნენ, მართლა რომ ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. რას არ ცდილობდნენ, რა ღონეს არ ხმარობდნენ, საშველი კი არ იყო — ავადმყოფები ისე მოულოდნელად, ისე უცნაურად იხოცებოდნენ, რომ მედიკოსები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სანიტრებსაც დაერია სენი. ზოგჯერ თვით ფლემინგსა და პორტუგუსს უხდებოდათ გვამების წაღება სასაფლაოზე. აქეთ კიდევ გაზოვანი განგრენა ცელავდა ხალხს. და ჰოსპიტალში ისეთი მყრალი სუნი იდგა, კაცი ვერ გაუძლებდა. საოცრად მომრავლდნენ ბუზები. ფლემინგმა ქსილოლით შეუტია მათ, შპრიცით ასხურებდა ხსნარს და ამან გარკვეული შედეგი გამოიღო. ალექი ამ ხანებში იკვლევდა პფაიფერის ბაცილას, რომელიც ამ უჩვეულო გრიპის გამომწვევად მიაჩნდათ.

მართლაცდა, ავადმყოფთა შემოწმებისას პფაიფერის ბაცილას ნახულობდნენ ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში, თუმცა ეს მიკრობი საერთოდ ნაკლებ პათოგენურად მიაჩნდათ. ფლემინგი გაოცებული იყო, ვერა და ვერ ახსნა, თუ უცებ რატომ დაიწყო ამ ბაცილამ მომაკვდინებელი გრიპის გამომწვევა. იგი შეუდგა ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლას და დაადგინა, რომ თურმე არსებობს პფაიფერის ბაცილის რამდენიმე სახესხვაობა და რომ ესპანურათი დაავადებულებში ხან ერთ სახეობას ნახულობდნენ ამ მიკრობისას, ხან მეორეს. ამის საფუძველზე ფლემინგმა დაასკვნა, რომ ესპანური ინფლუენცას გამომწვევი იყო რომელიღაც სხვა მიკრობი, პფაიფერის ბაცილა კი მხოლოდ თანმხლების როლს ასრულებდა.

ფლემინგი მართალი გამოდგა, მაგრამ ამას არ შეეძლო ავადმყოფთა გადარჩენა. მისი ლაბორანტი იგონებს: „ასეთი სურათი ჩამრჩა მეხსიერებაში: არმიის სამედიცინო სამსახურის ტანდაბალ ოფიცერს კარავში შემოაქვს ყუთი, რომელშიც აწყვია პიპეტები, პლასტიკინი, პლატინის მარყუჭი და სპირტნათურა. ზამთრის სუსხიანი დილაა. ირგვლივ ყველაფერი ყინულითა და თოვლითაა დაფარული, კარავში

შეშის ღუმელი ანთია. მე ერთ მაგიდაზე ვაწარმოებ გაკვეთას, მეორე-ზე კი მეორე გვამი ასვენია. იმ დილით ჩვენ ექვსი გვამი გავკვეთეთ! ეს იყო შობის პირველი დღე. კაპიტანი ყველა გვამიდან იღებდა ქსოვილის ანათალებს“.

რა საშუალებას არ ხმარობდნენ ჰოსპიტლის ექიმები, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს დაჭრილების დაცვა გაზოვანი განგრენისაგან. ფლემინგი სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. „როდესაც ვუყურებდი დასენიანებულ კრილობებს,— წერდა იგი,— აღამიანებს, რომლებიც საშინლად იტანჯებოდნენ და იხოცებოდნენ და ჩვენ კი არავითარი დახმარების გაწევა არ შეგვეძლო მათთვის, გაგიჟებით მიხდოდა მეპოვნა რაიმე საშუალება, სალვარსანის მსგავსი, რომელიც დახოცავდა ამ მიკრობებს...“ ამრიგად, ფლემინგი კვლავ დაუბრუნდა იმ პრობლემას, რომელსაც ადრე განიხილავდა თავის ნაშრომში „როგორ დავამარცხოთ ინფექცია?“ მაგრამ ამ დროს მარშალმა ფოშმა რამდენიმე მოულოდნელი და შემმუსვრელი დარტყმა მიაყენა მტერს და 1918 წლის ნოემბერში ომი დამთავრდა. 1919 წლის იანვარში კი ფლემინგი დემობილიზებულ იქნა.

ბავშვები იმით ხიბლავდნენ მას, რომ ისინი სრულიად უბრალო სიამოვნებითაც კი სიხარულს განიცდიან. მას ძალიან უყვარდა ბუნება, ფრინველები, ყვავილები, სეები და კარგად იცნობდა მათ.

პროფესორი კრუკშენკი

ჩემი კიდევ-ომი იყო, ერთ-ერთი შვებულების დროს ფლემინგმა ცოლი რომ შეირთო. ეს მოხდა 1915 წლის 23 დეკემბერს. როდესაც იგი ბულონში დაბრუნდა და რამდენიმე დღის შემდეგ თავისი „ცოლი“ ახსენა, მეგობრებმა ხუმრობაში ჩამოართვეს ეს. ცოლიანი ფლემი ვერა და ვერ წარმოედგინათ მათ. მოთხოვეს მისის ფლემინგის სურათი; ალექმა შეუთვალა და გამოუგზავნეს ფოტოგრაფია, მაგრამ მეცნიერებისათვის ამან არ იკმარა, და მათ გადაწყვიტეს დალოდებოდნენ ომის დამთავრებას, რათა დარწმუნებულიყვნენ ამ დაუჭერებელი ამბის სისწორეში. ფლემინგმა ცოლად შეირთო სარა მარიონ მაკელროი, უფროსი მედდა, რომელსაც კერძო კლინიკა ჰქონდა ლონდონის ცენტრში. იგი მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიული წრის ავადმყოფებს ლებულობდა, და ვინც ერთხელ მაინც იწვა მის საავადმყოფოში, სხვა სამკურნალოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა.

სარა, რომელსაც ყველა სარინს ეძახდა, დაიბადა ირლანდიაში, კილალაში, ბალინის ახლოს, მაიოს საგრაფოში. მამამისი, ბერნარდ მაკელროი, ამ რაიონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფერმის — ლაიგერიტენ-ჰაუზის მფლობელი იყო, შესანიშნავი კაცი გახლდათ, გაგიჟებით უყვარდა სპორტი; ყველაფერში უსიტყვოდ ემორჩილებოდა ცოლს, რომელიც ფერმაშიც მბრძანებლობდა და ოჯახშიც. მაკელროებს ბევრი შვილი ჰყავდათ, მათ შორის ტყუპი გოგონები — ელისაბედი და სარა. ოთხი ქალიშვილი სამედიცინო დების სასწავლებელში მო-

ეწყო. სწავლა რომ დაამთავრა, სარინმა დუბლანის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა. იგი მუშაობდა სახელგანთქმულ ქირურგ სერტორნბი სტოკერთან და მის ოჯახში გაიცნო ცნობილი მწერლები — ჯორჯ მური, უ. ბ. იტსი და არტურ საიმონსი. მაგრამ მას არ იზიდავდა ლიტერატურა, მით უმეტეს მწერლები. სარინს თავისი პროფესია უყვარდა და საერთოდ საქმიანი ქალი იყო.

ფლემინგმა რომ გაიცნო, სარინი მაშინ სახეკათქათა, ლოყაწითელი ქერათმიანი ქალიშვილი იყო. მოციხფრო-მონაციხფრო ირლანდიური თვალეები და მეტყველი სახე ჰქონდა. მომხიბვლელი იყო მისი სიმკვირცხლე, გულკეთილობა, ხალისიანი ხასიათი და თავის თავში დარწმუნებულობა. ამიტომაც გაუმართლა. სარინს მაშინვე მოეწონა ახალგაზრდა შოტლანდიელი ექიმი, დინჯი და სიტყვაძვირი, რომელიც სწორედ ამით სრულიად არ ჰგავდა მას. მან შესძლო დაენახა ამ უღარესად თავმდაბალ და ჩუმ ადამიანში დაფარული გენია და უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი. „ალეკი დიადი ადამიანია, — ამბობდა იგი, — მაგრამ ეს არავენ არ იცის“.

დასაწყისში, როდესაც ფლემინგს მის მიმართ გრძნობა წარმოეშვა, ქალი ალბათ იძულებული იყო ცოტა წაეჭებებინა იგი, ასეა თუ ისე, სარინს სამუდამოდ დაამახსოვრდა მისი გაუბედაობა. ალექს არ ძალუძდა გრძნობის გამომკვლავნება და უყვირდა, როცა გულის ნადებს ვერ მიუხვდებოდნენ. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც სარა მძიმე ავად იყო და იმედი გადაწურული ჰქონდა, ერთმა მეგობარმა ქალმა უთხრა: — არა, არა, თქვენ არ უნდა მოკვდეთ!.. რა ეშველება თქვენს ქმარს?

— რა? სხვას შეირთავს. — უპასუხა სარამ და ღიმილით დასძინა: — მაგრამ მისი მომავალი ცოლი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, იძულებული იქნება, თვითონ თხოვოს მას ხელი.

სარამ მოახერხა დუმილის კედლის გარღვევა, რომლის იქითაც იმალებოდა ამ უცანური ადამიანის მხურვალე გული, მან შეიყვარა ალექსის მშვენიერი ცისფერი თვალეები, რომელთა სიღრმეში კეთილმოსურნე ეშმაკობის ნაპერწკალი კიაფობდა.

სარა კათოლიკე-ირლანდიელი იყო, ამიტომ მებრძოლი ხასიათის რწმენა ჰქონდა. მაგრამ ფლემინგი არასოდეს არ აქილიკებდა მის ღვთისმოსაობას. იგი არა მარტო ითმენდა ამას, არამედ ერთხელ მისი მეგობარი ქალისთვის ისიც კი უთქვამს, რატომ არ დაგყავთ სარა

ეკლესიაში წირვაზეო? ალექს ძალიან მოსწონდა კათოლიკური აღზრდა, განსაკუთრებით ქალიშვილებისათვის; იგი გულწრფელად ირწმუნებოდა, „ქალიშვილები მონასტერში უნდა იზრდებოდნენ, ეს კარგად მოქმედებს მათ ზნეობრიობაზე“.

სარინის დას ელისაბედს ავსტრალიელი ქმარი ჰყავდა და დაქვრივდა. მალე იგი ხელმეორედ გათხოვდა — ცოლად გაჰყვა ჯონ ფლემინგს, ალექისა და ბობის ძმას, შესანიშნავ ადამიანს, მხიარულსა და ენაწყლიანს, რითაც ისე არა ჰგავდა თავის სიტყვაძვირ ძმებს, როგორც ცა დედამიწას. სარა და ელისაბედი ტყუპები იყვნენ, მაგრამ ხასიათით ქმრებისდარად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სარინი სიცოცხლის შემხარე, ხალისიანი ქალი გახლდათ, ელისაბედი კი — დინჯი, შეიძლება ითქვას, ცოტა სევდიანიც. სარა — მგზნებარე მოკამათე, როგორც საერთოდ ყველა ირლანდიელი — მათ შორის შოუ და რაიტი, — პირდაპირ კლავდა მოწინააღმდეგეს, ისე მწარედ იცოდა აბუჩად აგდება. მისგან განსხვავებით ფლემინგი არასოდეს არ გამოთქვამდა ამკარად უკმაყოფილებას, გაბრაზებას. ვინც ახლოს იცნობდა, მხოლოდ ის მიხვდებოდა, გაუხარდა თუ ეწყინა მას რაიმე. ამ მხრივ იგი შოტლანდიელთა უმრავლესობას ჰგავდა. თითქოსდა დევიზად ჰქონოდა: „ყველაფერი ენაცვალოს სიმშვიდეს“. იგი მართლაც მზად იყო მსხვერპლის გასაღებად, თლონდ კი მშვიდად მუშაობის საშუალება ჰქონოდა.

სარინი პატივისცემით ექცეოდა ფლემინგის სამუშაოს, ეხმარებოდა მას. ცოლმა ცოტაოდენი ქონება შემოიტანა ფლემინგის ჰერქვეშ. ქალმა გაჰყიდა თავისი კლინიკა და დაიყოლია ქმარი თავი დაენებებინა კერძო პრაქტიკისათვის, რათა მხოლოდ მეცნიერულ მუშაობას გაჰყოლოდა. ქალბატონმა ფლემინგმა სამაგალითო უანგარობაც გამოიჩინა — შემოსავალი ისე ცოტა ჰქონდათ, რომ მოსამსახურის აყვანა გაუჭირდათ და სარამ თვითონ იკისრა ოჯახის მოვლა-პატრონობა; თანაც ნებაყოფლობით ისე მოაწყო ცხოვრება, რომ, სამწუხაროდ, ახლა უფრო ნაკლებ ხანს იყო ქმართან, რადგან ფლემინგი ყოველ საღამოს ლაბორატორიაში იჯდა. ასე რომ, ცოლი მარტობას განიცდიდა და, თუ წავიდოდა თეატრში, ან მარტო, ანდა მეგობრებთან ერთად.

ქმრის მეგობრებმა ხალისით მიიღეს სარინი თავიანთ წრეში. ადრე ფლემინგი ხშირი სტუმარი იყო სუფოლკის საგრაფოში, პიგრემების

კოტეჯში, მას ძალიან მოსწონდა იქაურობა, რადგან ირგვლივ მართ-
ლაც ლამაზი ბუნება იყო. საავადმყოფო რომ გაჰყიდეს, ამონაგები
ფულის ნაწილით ცოლ-ქმარმა პიგრემების ოჯახის მახლობლად
ლამაზ სოფელში — ბარტონ-მილსში იყიდეს ერთი პატარა სახლი —
„დუნე“. ამ სახლს გარშემო ერთკუადი დიდი საკარმიდამო ნაკვეთი. რომ-
ლის ბოლოშიც მდინარე მოჩუხჩუხებდა. სახელდახელოდ გაკეთებული
ხილით პატარა კუნძულზე გადიოდნენ. მდინარეში ბევრი. თევზი
იყო — ქარიყლაპია, ქორჭილა, ციმორი; და ფლემინგმა, როგორც ეს
დაუცხრომელ დამკვირვებელს შეჰფერის, მალე შეისწავლა ქარი-
ყლაპიას ზნე და მის თავშესაფარსაც მიაგნო.

ფლემინგმა და სარინმა სახლის გარშემო კარგად დაგეგმილი ხე-
ხილის ბაღი გააშენეს და ლამაზი ყვავილნარი მოაწყვეს. ყამირის
ათვისებას რამდენიმე წელიწადი მოუწდა, მაგრამ ორივენი ნიჭიერი
მებაღენი გამოდგნენ, ინგლისელები ასეთ ადამიანებზე ამბობენ
„მწვანე თითები“ აქვთო. ბოსტანიც გააშენეს, ვენახიც, სათბურებიც არ
დავიწყებიათ, მწყრივად დარგეს ატმები. მდინარის პირას პატარა
ფარდული ააგეს თავიანთი ბრტყელძირა ნავისათვის. ორივე მხრიდან
ბუჩქნარით შემოქობილი ბილიკი ჩუქურთმებით მორთული ტალავ-
რისაკენ მიემართებოდა, სადაც ორი ქვის სკამი იდგა.

ცოლ-ქმარი ფლემინგები ყოველი კვირის ბოლოს ჩადიოდნენ
„დუნეში“, შვებულებასაც აქ ატარებდნენ. 1924 წლის 18 მარტს სარინს
ბიჭი შეეძინა, რომელსაც რობერტი დაარქვეს. ამის შემდეგ მისის
ფლემინგი მთელ ზაფხულს „დუნეში“ ატარებდა, თან მიჰყავდა შვილი
და დისწულები. ფლემინგი მარტო ცხოვრობდა ლონდონში, და მხო-
ლოდ შაბათ-კვირას მიდიოდა. ცოლ-შვილის სანახაუად. ზაფხულში
კი მთელი აგვისტო მათთან იყო. ალექს ძალიან უყვარდა შვილი, ხში-
რად შუალამისას ფეხისწვერებით მივიდოდა მის საწოლთან და დახე-
დავდა ძინავს თუ არა, ან საბანი ხომ არ გადაიხდაო. დიდი ხნის
წინ ფერმაში თვითონ მას ხომ ასე დაფუფუნებდა თავს დედამისი.
რობერტი რომ წამოიზარდა, ფლემინგმა გოლფს თავი დაანება და
შვილთან თამაშობდა. ბავშვები იმით ხიბლავდნენ ფლემინგს, რომ მისი
არ იყოს, ისინიც სრულიად უბრალო რამით დიდ სიხარულს განიც-
დიდნენ. მას ძალიან უყვარდა ბუნება, ყვავილები, ფრინველები, ხე-
ები, და სუფოლკის საგრაფოში, საკუთარ კარმიდამოში იგი ხელახლა
განიცდიდა სოფელში გატარებული თავისი ბავშვობის სიხარულს.

აღეკი გატაცებული იყო თევზაობით, უყვარდა ცურვა, განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრილა ბაღში ყოფნა — მიწის ჩიჩქნა, ზეხალის მოვლა. უჩვეულო ყვავილები — მელაკუდა და ტრიტომი მოსწონდა. თავშესაქცევად წელიწადის ისეთ დროს დაიწყებდა თესვას, როცა სპეციალისტების აზრით ეს არ შეიძლებოდა, მაგრამ მას უნდოდა ლაემტკიცებინა, რომ ისინი ცდებოდნენ. „მებაღე მომთმენი უნდა იყოს, — ამბობდა იგი, — ყვავილს დრო სჭირდება, სანამ გაიზრდებოდეს, ხოლო თუ ძალად ააჩქარე ის, სარგებლობას კი არ მოუტანს, ზიანს მიაყენებთ. შეგიძლიათ დაიცვათ იგი ყოველგვარი ხიფათისაგან, შეგიძლიათ ასვათ და აქამოთ, მაგრამ თუ ზედმეტი საჭმელი ანდა მაგარი სასმელი მიეცით, დაღუპავთ. ყვავილი აფასებს კარგ მოპყრობას, მას შეუძლია აიტანოს საშინლად მძიმე პირობები. ერთი სიტყვით, იგი ჰგავს ადამიანს“. უცნაური მებაღე ფლემინგი განსაცვიფრებელ წარმატებებს აღწევდა. „მოტეხავდა რაღაც უბრალო ტოტს, ჩაარკობდა მიწაში და ის მართლაც იკეთებდა ფესვებს“, — იგონებს მერჯორი ჰიგრემი.

სარა ისეთივე ჩხირკედელა იყო, როგორც ფლემინგი, და ქმარით ბუდამ რაღაც-რაღაცეებს იგონებდა. აღეკს ყველაფერი ძალიან მოსწონდა, რაც ცოლის ხელიდან გამოვიდოდა, აღტაცებული იყო მისი გაკეთებული საქმელებით, ბაზარში ნავაჭრით, ბოსტნის მოვლით, მათ ჭეშმარიტად უყვარდათ ერთმანეთი, პატივს სცემდნენ ერთმანეთს, ორივენი გატაცებული იყვნენ ძველებური ლამაზი ნივთებით. საგულდაგულოდ მოიარეს ახლომახლო ქალაქების ანტიკვარები „დუნისათვის“ ავეჯის შესაძენად. ფლემინგები სტუმართმოყვარენი იყვნენ, შაბათ-კვირას მათთან მუდამ იკრიბებოდნენ მეგობრები. სარინი ყველაფერს ასწრებდა. ამ ქალს რაღაც ზეადამიანური ენერჯია ჰქონდა. საკუთარი ხელით კრეჭდა გაზონს, თოხნიდა ბოსტანს, რგავდა ყვავილების ბორდიურს ბილიკების გასწვრივ, აპრილებდა ავეჯს, ამზადებდა სადილს. „სახლი და ლაპარაკი მისი საქმეა“, — ხუმრობით ამბობდა აღეკი.

სარინი ირწმუნებოდა, სწორედ ესაა ჩვენი ცოლქმრული შეხმატკბილების საიდუმლოებაო. ფლემინგი არასოდეს შენიშვას არ აძლევდა ცოლს, არასოდეს არ უბრაზდებოდა. ნაცნობები ღიმილით შესცქეროდნენ მათ და უკვირდით, თუ როგორ შეეწყვნენ ამ ოჯახში შოტლანდიისა და ირლანდიის ესოდენ განსხვავებული ხასიათები. სტუმ-

რები თავს იქცევდნენ თევზის ჰერით ან ნიჩბოსნობით, მასპინძლებს იქვე, სახლის ახლოს გოლფის მოედანიც ჰქონდათ გამართული მათ გასართობად. სადამოობით კროკეტს თამაშობდნენ და თუ დააღამდებოდათ, სანთლის შუქზე განაგრძობდნენ თამაშს, ისე როგორც აკეთებდა ამას ფლემინგი ვიმრეში. მაგრამ ჩვეულებრივი კროკეტი ალექს არ აკმაყოფილებდა. ჩვეულებისამებრ იგი რაიმე დამატებით თამაშობას მოიგონებდა ხოლმე, თანაც ყოველთვის ახალ-ახალი წესი შემოქონდა. რომელსაც ზუსტად იცავდა. „დუნში“ მუდამ მხიარულება იყო.

ცოლი რომ შეირთო და ოჯახის მამა გახდა, ფლემინგი მაინც ძველებურად დინჯი და აუღელვებელი დარჩა. „არასოდეს არ მინახავს იგი აფორიაქებული, — გვიამბობს დოქტორი ჰერარდ უილკოკსი. — ერთხელ მე, ფლემინგი და მისი შვილი სათევზაოდ წავედით ნავით. ანაზღად ალექმა ანკესი ამოჰკრა ქარიყლაპიას. გახარებული ბავშვი წამოხტა, მაგრამ წონასწორობა ვერ დაიცვა და უცებ მდინარეში გადავარდა. ფლემინგი ადგილიდან არ დაძრულა, გულმოდგინედ განაგრძობდა თევზთან ჰიდლის, თან ცალი თვალით მიყურებდა, თუ როგორ ამომყავდა ბავშვი. ანკესი კი ხელიდან არ გაუშვია...“ ერთხელაც, ბაღში მოწყობილი ფოიერვერკის დროს. ფლემინგის ერთმა მეგობარმა განიზრახა შოტლანდიელის ლეგენდარული თავშეკავებულობის შემოწმება და შუშხუნა სწორედ მის ფეხებს შუა გაუშვა. ფლემინგი არც კი შერხეულა და მშვიდად ჩაილაპარაკა: „ჰერარდა აფეთქდა“.

სარინი „დუნში“ საბავშვო დღესასწაულებსაც მართავდა. ფლემინგი თამაშს ხელმძღვანელობდა და თვითონაც გულიანად ერთობოდა. იგი ხშირად იგონებდა სხვადასხვაგვარ შეჯიბრებას, აწესებდა პრიზებს. ინსტინქტურად ხვდებოდა, თუ რა მოეწონებოდათ ბავშვებს. თვითონ იგი სომ დიდი ბავშვი გახლდათ. ფლემინგი ბავშვებთან უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს, ვიდრე დიდებთან. ათმცა მას ხანმოკლე შვებულება ჰქონდა, ყოველ წელიწადს რამდენიმე დღეს მაინც ანდომებდა სოფლის ბავშვებისათვის სადღესასწაულო ზეიმის მოწყობას. ბარტონ-მილსში დღესაც ახსოვთ შესანიშნავი სპორტული შეჯიბრებები, რომლებსაც იგონებდა პროფესორი, და ის ბედნიერი წუთები, რომლებიც გაუტარებიათ ფლემინგთან სტუმრად ყოფნისას.

ლონდონში ფლემინგებმა დაიქირავეს ლამაზი კოტეჯი დანვერს-სტრიტზე, ჩელსის ცენტრში. ამ რაიონთან იგი ადრეც იყო დაკავშირებული მხატვართა კლუბის მეშვეობით. ფლემინგებთან დანვერს-სტრი-

ტის კოტეჯში ხშირად სტუმრობდნენ მეზობლად მცხოვრები მხატვრები. სარინს მოსწონდა მხატვართა საზოგადოება. მას უყვარდა ახალგაზრდობა და თავის ირგვლივ ლამაზ-ლამაზი ქალები შემოიკრიბა. მასპინძელს სულაც არ შურდა მათი სილამაზე, იგი ისე ტკბებოდა მათი ცქერით, თითქოს მის წინ ადამიანები კი არა, ხელოვნების ნიმუშნი ყოფილიყვნენ, მით უმეტეს, რომ სარინმა ისწავლა ამ მხრივ ავისა და კარგის გარჩევა. ფლემინგი ჩვეულებისამებრ ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ მოწყენილობა არ ეტყობოდა, ყურადღებით უსმენდა საუბარს და ტკბებოდა, თუმცა იუმორის გრძნობა მუდამ თან ახლდა. იგი ყველაფერს იმახსოვრებდა. ალექი ვერ იტანდა უწმაწურ ანეგდოტებს (dirty stories), მით უმეტეს, რომ არ ეცინებოდა. როდესაც უხამსი ანეგდოტის მოყოლას დაიწყებდნენ, იგი თვალებს დახუჭავდა და მანამდე არ გაახელდა, სანამ თხრობა არ დამთავრდებოდა. საერთოდ იგი მიაბიძურად ილხენდა, ხალისით მონაწილეობდა ყოველგვარ თამაშში, მათ შორის ბირულკობანაში. გასათვრად ხმარობდა ხელებს, რომლებიც არასოდეს არ აპკანკალებია, ამიტომ ყოველთვის იგებდა.

ბელგიელი პროფესორი გრასია ფლემინგთან სტუმრად ყოფნისას იმის მოწმე გამხდარა, თუ ერთხელ როგორ შეაწყვეტინა მასპინძელმა საუბარი საქვეყნოდ სახელგანთქმულ ბაქტერიოლოგებს და „საცობობანას“* თამაში შესთავაზა, „მე ვიცი, რომ პირქუში ხასიათის ადამიანები დასცინოდნენ მის მომაჯადოებელ ბალლურობას, — წერს გრასია.— ეგებ ეს თვისება იმ ხალხის ძლიერების გამომხატველი იყო, რომელსაც ძალუძს ღიმილით იკისროს მძიმე და საპასუხისმგებლო სამუშაო და ხუმრობისას წარბშეუხრელი სიღინჯე შეინარჩუნოს“.

სარინი ფუფუნებისაკენ არ ისწრაფოდა, მაგრამ, როგორც მის ქმარს, მასაც მოსწონდა ძველებური ნაქარგები, ფაიფური, ბროლი, რომელიც მინის ქვეშ ჰქონდა გამოფენილი თვალდასატკობად. არც ჩაცმაზე გიჟდებოდა მანცდამაინც, თუმცა ტანსაცმლის გადაკეთება უყვარდა და ძალიან უხაროდა, თუ, ვთქვათ, ძველი საგარეო კაბიდან საშინაო ხალათი გამოუვიდოდა. ზოგჯერ ქუდსაც კი თვითონ იკერავდა და მერე მეგობარ ქალებთან ტრაბახობდა, თანაც, ესაყვედურებოდა მათ, ქუდის შეკერვაში ფულს რატომ იხდითო. ვინც კარგად არ იცნობდა სარას, გაკვირვებული იყო მისი მბრძანებლური კილოთი.

* ერთგვარი თამაში — ბოთლზე დადებული საცობების გადაღება.

მაგრამ იგი ერთ წუთში მოინადირებდა ხოლმე ადამიანის გულს თავისი გულკეთილობით. იგი ყაიხათიანი დიასახლისი იყო, ამავე დროს გასაოცარ ხელგამლილობას იჩენდა თავისი დისწულების, მეგობრების. აგრეთვე შინამოსამსახურეების მიმართ. ერთი სიტყვით, ფლემინგები უყვარდათ როგორც ჩელსიში, ისე ბარტონ-მილსში, და ალექი მართლაც რომ ბედნიერი კაცი იყო პირად ცხოვრებაში.

სამსახურში კი ცოტა სხვაგვარად ჰქონდა საქმე. 1921 წელს რაიტმა იგი თავის თანაშემწედ დანიშნა. ფრიმენი, რომელმაც ფლემინგზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო ლაბორატორიაში მუშაობა, ამან ძალიან გაანაწყენა. მართლაცდა, რაიტს ბევრჯერ უთქვამს მისთვის ჩემი „შვილი ხარ მეცნიერებაში“ და ლაბორატორიაში ჩემი მემკვიდრე იქნებიო. შექმნილი ფრიმენი მიხვდა, რომ ზოგჯერ შეცდომებული იყო გზის გაგნება პატრონის გადაწყვეტილებებში. „პერიკაცმა ისევ ოინი ჩაიღინა“, — ამბობდნენ მასზე. მაგრამ მაშინაც და კიდევ კარგა ხანს ფრიმენი ყველაფერში გულწრფელად ფლემინგს ადანაშაულებდა, თუმცა იგი არაფერ შუაში იყო რაიტის გადაწყვეტილების საქმეში. ამ გარემოებამ დაარღვია ლაბორატორიაში მანაქლე არსებული ჰარმონია. ფრიმენი ჯგუფისაგან განცალკევდა და მხოლოდ ალერგიის პრობლემებზე მუშაობდა. ლეონარდ ნუნის სიკვდილის შემდეგ კი სრულიად მარტოს მოუხდა ამ საკითხის კვლევა. აღსანიშნავია, რომ ამ დარგში ფრიმენმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია, ექიმოდ, ყვავილის მტვრის, როგორც ალერგიის, შესწავლისა.

ლაბორატორიაში კლანები გაჩნდა. ოდესღაც მეგობრულად შეხმატკბილებული ოჯახის წევრ მეცნიერთა შორის შავმა კატამ გაიარა. ფლემინგს, რომელიც პატრონის თანაშემწე გახდა, უჭირდა მუშაობა. რაიტმა მთელი ადმინისტრაციული სამუშაო მას დაავალა, მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე დაახლოებულ თანამშრომელს წაეჭებინა და რაიტი მაშინვე აუქმებდა თანაშემწის განკარგულებას. ფლემინგი უსიტყვოდ ცდილობდა მტრული პარტიების შერიგებას, ისე რომ არც უფროსი გაებრაზებინა და არც კოლეგებისათვის მიეყენებინა წყენა. მას უნდოდა, რომ ყველას დავიწყებოდა მისი აღზევების ამბავი, თავმდაბლობდა, ჩუმად, უხმაუროდ, თუმცა პირადი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, იღვევებდა თვალს განყოფილების მუშაობას და, რადგან ბუნებითაც უაღრესად სამართიანი იყო, ცდილობდა, რომ სიმართლე არავის დაკარგვოდა. სამართლიანი საქმის გულისათვის იგი

მზად იყო მოეთმინა ბერიკაცის რისხვა. ხოლო ისინი, ვისაც იგი იცავდა, შემთხვევით თუ შეიტყობდნენ ამას, ანდა ვერც კი გეზულობდნენ. რა მოხდა.

დოქტორი დაისონი გვიამბობს ერთ დამახასიათებელ შემთხვევას. სავსებით საფუძვლიანად იგი ფიქრობდა, რომ რაიტი დაუმსახურებლად და უსამართლოდ მოექცა მას. დაისონმა ფლემინგს შესჩივლა. „დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მეტყოდა: — „თქვენ მართალი ხართ, დაისონ, და ყოველმხრივ მხარს დაგიჭერთ“... მსგავსიც არაფერი წამოსცდენია. უსიტყვოდ მოუსმინა მას და დაისონი აღშფოთებული წავიდა მისგან. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაიგო მან, რომ ფლემინგი თურმე თავგამოდებით იცავდა.

ახლა ფლემინგს ერთი პაწაწინა ლაბორატორია მისცეს, კიბის ახლოს. ფანჯრიდან მოჩანდა ფაუნტინ-ალეაზე მდიბარე სამიკიტნო და პრედ-სტრიტი, ესე იგი ის ქუჩა, რომელზეც ჩამწკრივებული იყო ანტიკვართა პატარ-პატარა ფარდულები. ფლემინგთან ერთად მუშაობდა დოქტორი ტოდი, შესანიშნავი მკვლევარი. მაღალ სულის ადამიანი. მალე მათ შეუერთდათ ახალი თანამშრომელი, ელისონი. აქ, თავის ლაბორატორიაში, ფლემინგს არავითარი კონფლიქტი აღარ ახსენდებოდა და მთელი სულით და გულთ ჩართული იყო თამაშში — სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. დროდადრო კლანებს შორის მეტნაკლები სიმძაფრის ბრძოლა იმართებოდა. ფლემინგი პასიურ წინააღმდეგობას უწევდა მოქიშპეებს. განყოფილების ერთგულ მდივანს კრექსტონს დღემდე ახსოვს, თუ როგორი გაკვირვებითა და სევდიანად უთქვამს მისთვის ფლემინგს: „კრექსტონ, რა მძიმე ხასიათის ადამიანები არსებობენ!“ მაგრამ უგუნებობა მალე გაუვლიდა ხოლმე და ისევე სამუშაოში ჩარგავდა თავს. ელისონს ხშირად სმენია, თუ როგორ ლილინებდა იგი ერთსა და იმავე სიმღერას. „სიტყვები ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ სიმღერას ასეთი შინაარსი ჰქონდა: პატარა ჩიტი ჩუმად ზის თავის ბუდეში, ანაზღად თავს დაესხმის შევარდენი და იწყებს მის წვალებას“. ალბათ იმიტომ უყვარდა ფლემინგს ეს სიმღერა, რომ თავისი თავი მიაჩნდა ჩუმ ჩიტად, რომელსაც ემუქრებოდა შევარდენი, თანაც ერთი კი არა, რამდენიმე. მაგრამ ამაში მაინც არ იგრძნობოდა მწარე სამღურავი. ამ სიმღერას რომ ლილინებდა, უფრო თავის თავს დასცინოდა, და მალე კარგ გუნებაზე დგებოდა.

სენტ-მერის სასწავლებელში სტუდენტი ქალიშვილები პირველად

ომის დროს მიიღეს. ასე რომ, სამედიცინო სასწავლებელი მამაკაცების უყოლობის გამო არ დახურულა. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ქალებს ვეღარ იტანდნენ აქ. სტუდენტი ვაჟების ერთმა ჯგუფმა მოითხოვა მათი გარიცხვა. ზოგიერთმა ექიმმა ეს უსამართლობად მიიჩნია და პროტესტი დაწერა. მათ შორის იყო ფრაი, რომელიც ფლემინგის რეკომენდაციით იქნა მიღებული ლაბორატორიაში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ იგი პასუხისმგებლობას გრძნობდა ფრაის საქციელზე.

— ფრაი, თქვენ დიდ შეცდომას ჩადიხართ. რაიტი ამას არ გაპატიებთ. იგი ვერ იტანს სტუდენტ ქალებს.

— არა მგონია, რომ ამან გააბრაზოს, — უპასუხა ფრაიმ. — ასეთ თუ ისე, მე ჩემს ხელმოწერას ვტოვებ.

ფლემინგმა ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა. რაიტი არ გაბრაზებულა ერეტიკოსზე, პირიქით, გაეხარდა კადეც, რომ შესაძლებლობა მიეცა ლაზათიანად დაეტუქსა და გაემასხარავებინა იგი.

სამედიცინო სასწავლებელს აუცილებლად ესაჭიროებოდა დიდი სუბსიდიის მიღება ლონდონის უნივერსიტეტიდან. შენობა დაძველდა. პროფესორები იმდენად პატარა გასამრჩელოს ღებულობდნენ, რომ საშუალება არ ჰქონდათ დიდი დრო დაეთმოთ სწავლებისათვის. საბედნიეროდ, 1920 წელს დეკანად აირჩიეს ენერგიული კაცი, დოქტორი უილსონი (შემდგომში ლორდი მორანი). მას დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა. უნივერსიტეტის კომისიის წევრები დასათვალისწინებლად ეწვიენ სენტ-მერის. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ისინი პათოლოგიისა და ექსპერიმენტის განყოფილებაში * მოხვდებოდნენ. რაიტმა ირონიული ღიმილით მწარე სიმართლე მიახალა მათ პირში. კომისიის წევრები დაფრთხნენ და შეშინებულებმა სასწრაფოდ აიკრეს გულანაბადი.

ნიჭიერმა დეკანმა მაინც თავისი გაიტანა და დამაჯერებელი საბუთების მოყვანით დაარწმუნა გავლენიანი პირები, რომ ექიმების მომზადება ინგლისისათვის გადაუდებელ ამოცანად იქცა. ერთმა მისმა მეგობარმა, ლორდმა რიველშტოკმა, „ბერინგის“ ბანკის დირექტორმა, სენტ-მერის სკოლას ოცდახუთი ათასი გირვანქა სტერლინგი შესწირა. მისი მეორე პაციენტი და მეგობარი ლორდი ბივერბრუკი ინკოგნი-

* ბაქტერიოლოგიური განყოფილებას ახალი სახელწოდება. — ავტორისეული შენიშვნა.

ტოდ ეწვია საავადმყოფოს. რათა საკუთარი თვალით ენახა ყოველივე. მან მოინახულა პოლიკლინიკური განყოფილება, დისპანსერი, შემდეგ შეიარა სასადილოში, რომელიც მიღებაზე მოსულ ავადმყოფებს გამსახურებოდა.

— რა ღირს ქიშმიშიანი ფუნთუშა? — იკითხა მან.

— ერთნახევარი პენსი, — უპასუხეს მას, — მაგრამ თუ ძალიან გეძვირებათ, შეგვიძლია უფულოდ მოგართვათ.

როგორც ჩანს, ლორდ ბივერბრუკს მოეწონა ასეთი პასუხი. რამდენიმე დღის შემდეგ მან იხმო უილსონი და უთხრა:

— გაგებული მაქვს, რომ სკოლის რემონტს აპირებთ. რამდენი ღაგვირდებათ ამისათვის?

დეკანმა ფანქარი აიღო და კონვერტზე გამოიანგარიშა.

— სამოცდასამი ათასი გირვანქა.

ლორდ ბივერბრუკმა მაშინვე გაუხსნა კრედიტი აღნიშნული თანხის მისაღებად.

ჯერ კიდევ შენობის გადაკეთების დაწყებამდე დეკანმა შეიმუშავა სტუდენტების მიღების ახალი წესი. ფლემინგის ქალაქში შემონახულია შემდეგი ჩანაწერი: „სენტ-მერი. 20-ანი წლები მძიმე პერიოდად ითვლება. მხოლოდ იმ სტუდენტებს ღებულობენ, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდები. ერთადერთი მოთხოვნა: კარგად დაწერონ წერიტი სამუშაო. ვერავინ დაიკვებნდა სტუდენტების მაღალ დონეს ან მათ წარმატებებს. შემდეგ ახალმა დეკანმა შემოიღო სტიპენდიის დანიშვნა ზესილი როდისის მიერ დაფუძნებული ფონდის პრინციპით. მომრავლდნენ კარგი სპორტსმენები და სასწავლებელი ხელად გაუმჯობესდა“. დოქტორი უილსონი თვლიდა, რომ ყველაზე ნიჭიერი სტუდენტების შესარჩევად საჭირო იყო არა გამოცდები, არამედ პირადი გასაუბრება და სკოლის დირექტორების რეკომენდაცია. „ამრიგად — წერს ზახარი კოპე, — სასწავლებელს მოაწყდნენ ნიჭიერი, შესანიშნავი ხასიათის ახალგაზრდები, რომელთაც სპორტის ყველა სახე ემარჯვებოდათ“. ერთი სიტყვით, ისეთი სტუდენტები, როგორც ფლემინგს მოსწონდა.

ლაბორატორიაში ცხოვრება თანდათან ჩადგა ომისწინა კალაპოტში. მაგრამ ოპსონური ინდექსის შემოწმებას თავი მიახებეს. რაიტს მოებზურდა ეს ინდექსი და ახლა ისეთივე თავგამოდებით აკრიტიკებდა მას, როგორადაც იცავდა წინათ. მას კვლავინდებურად აღელვებდა მეტა-

ფიზიკური პრობლემები. „მხოლოდ ორი სატყეარო მაქეს, — ამბობდა იგი, — ჭინჭრის ციება და ფილოსოფიური ეჭვები, ეს უკანასკნელი პირველზე უარესია“. მას უფრო მეტად სჯეროდა, ვიდრე ეს საერთოდ სჩვევიათ მეცნიერებს, რომ ჭეშმარიტების მიკვლევა შეიძლება ლოგიკისა და დასკვნების გზით. მისი აზროვნების ნირი ინგლისელებისათვის უცხო იყო. რაიტი უყვარდათ, მაგრამ მხოლოდ თითო-ორიოლა კაცს სჯეროდა მისი უსაზღვროდ და უკრიტიკოდ. ახალგაზრდა უცხოელ მეცნიერთაგან თითქმის აღარავის აინტერესებდა მისი ლაბორატორია.

ფლემინგთან და კოლბრუკთან ერთად რაიტი ომის შემდეგაც კარგა ხანს იბრძოდა ანტისექტიკების წინააღმდეგ. უდიდესი ქირურგის პუნტერის ხსოვნის აღსანიშნავად სამეფო ქირურგიულ კოლეჯში ყოველწლიურად წარმოითქმოდა საზეიმო სიტყვა. 1919 წელს ეს პატივი ფლემინგს ერგო. თემად მან აირჩია: „ფიზიკური და ფიზიოლოგიური ანტისექტიკების მოქმედება ინფიცირებულ ქრილობაზე“, და მართლაც მშვენიერად გააშუქა ეს საკითხი. „ომის დროს არსებობდა ქრილობათა მკურნალობის ორი სკოლა, — განაცხადა მან, — ფიზიოლოგიური, რომელიც მოწადინებული იყო დახმარებოდა ორგანიზმის ბუნებრივ დამცველ ძალებს, და ანტისექტიკური, რომელიც ცდილობდა თვით ქრილობაში ჩაბუდებული მიკრობების მოსპობას რომელიმე ქიმიური ნივთიერების მეშვეობით...“ მან ამჯერადაც საჭიროდ ჩასთვალა განემარტა, თუ რატომ მიეკუთვნებოდნენ რაიტი და მისი მოწაფეები პირველ სკოლას.

რატომ? იმიტომ რომ; როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ანტისექტიკები, მართალია, შესანიშნავი საშუალებაა ინფექციის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლაში არაფრის მაქნისია. მას აღრეც ბევრჯერ უთქვამს ეს. მაგრამ ამჯერად ისიც დასძინა, რომ ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ ანტისექტიკები არ ვნებენ ორგანიზმს (სინამდვილეში ვნებენ), ისინი მაინც სახიფათონი არიან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. „ქირურგი ვერ დაივიწყებს, რომ მას ჰყავს ძვირფასი მოადგილეები — ანტისექტიკები, ამიტომ შესაძლოა ნაკლები გულმოდგინებით დაამუშაოს ქრილობა. იმის შეგნება კი, რომ უკან დასახვევი გზა მოჭრილია, ყველაზე უფრო კეთილსინდისიერ ქირურგსაც მეტი გულმოდგინებისაკენ უბიძგებს. თუნდაც მართო ამიტომ სჯობს, რომ თავიდანვე უარი ვთქვათ ანტისექტიკების გამოყენებაზე. სამკურნალო ეფექტს ქრილობის ქირურგიული დამუშავება იძლევა

მხოლოდ. რატომ უნდა უწილადოს ქირურგმა თავისი დამსახურება ანტისექტიკებს, რომელთა სარგებლობა ფრიად საეჭვოა“.

ძიუხედავად იმისა, რომ ფლემინგი თავისი მასწავლებლის მსგავსად ფიზიოლოგიურ სკოლას მიეკუთვნებოდა, მან სხვებზე უკეთ იცოდა, რომ მიკროორგანიზმი ხშირად ახერხებს ორგანიზმის ბუნებრივი დამცველი ძალების დაჯახნას. და რომ ქირურგია ზოგჯერ უძლურია, ამიტომ მას, ისევე, როგორც ერლიხსა და მრავალ სხვა მკვლევარს, გულით სწადია მიაკვლიოს ისეთ „მაგიურ ტყვიას“, რომელიც მომავლდინებელი იქნება ორგანიზმში შეჭრილი მტრისათვის და ამავე დროს არავითარ ენებას არ მიაყენებს თვით ორგანიზმს.

VIII. პირველი იმედი: ლიზოციმი

ხდება ხოლმე, რომ ადამიანი აღმოაჩენს რაიმე მოვლენას, რამაც სხვა არ გააკვირვა, ყურადღებას განახვილებს მასზე და ისეთ რამეს იძინახავს, რასაც დანარჩენები ვერ ამჩნევენ.

ლერიში

არასოდეს უყურადღებოდ არ დასტოვით არც ის, რაც გარეგნულად უცნაურად მოგჩვენებათ, არც საერთოდ რაიმე უჩვეულო მოვლენა: ხშირად ტყუილად მოცდებით, მაგრამ შესაძლოა ამან მნიშვნელოვანი ჭეშარიტებისაკენ გაგიკვლიოთ გზა.

ფლემინგი

1922 წელს სენტ-მერიში მოვეწყე, რათა ფლემინგთან მემუშავა ლაბორატორიაში, — წერს დოქტორი ელისონი. — ალექს მაშინვე თვალში მოხვდა ჩემი პედანტური სისუფთავე და გაჭირდვა დამიწყო. ყოველ საღამოს ვალაგებდი ჩემს „მატრიცებს“ და, რაც გამოუსადეგრად მიმაჩნდა, ვყრიდი. ფლემინგმა მისაყვედურა ზედმეტად აკურატული ხართო. თვითონ იგი თავის კულტურებს ორსამ კვირას ინახავდა და, სანამ გადაყრიდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა, რათა შეემოწმებინა, შემთხვევით რაიმე მოულოდნელი და საინტერესო ხომ არ მოხდაო. შემდგომმა ამბებმა დაადასტურა, რომ იგი მართალი იყო და ჩემსავით აკურატული რომ ყოფილიყო, ალბათ ვერაფერს ვერ აღმოაჩენდა.

ერთ საღამოს, ეს მოხდა ლაბორატორიაში ჩემი მოწყობიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ფლემინგმა გადაწყვიტა გადაერჩია გამოუსადეგარი პეტრის ფინჯნები, რომლებსაც რამდენიმე დღე ჰქონდათ უკვე მოთეული. ერთი მათგანი რომ აიღო, დიდხანს ათვალიერა კულტურა, ბოლოს მე მიჩვენა და მითხრა: „აი, ეს საინტერესოა!“ შევხედე კულტურას. აგარი დაფარულია დიდი ყვითელი კოლონიებით. მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ ვრცელი უბანი სრულიად სუფთაა, მის იქით

მეორე ზონა შეიცავს გამჭვირვალე, მინისებურ კოლონიებს, და ბოლოს მოჩანს მესამე ზონა, სადაც კოლონიები ჯერ კიდევ არ გამხდარა. გამჭვირვალე, მაგრამ უტყობა, რომ პიგმენტაცია თანდათან ქრება. ფლემინგმა ამიხსნა, რომ სურდოთი ავადმყოფობის დროს ამ ფინჯანზე დათესა თავისი ცხვირიდან გამონადენი ლორწო. ის ზონა, სადაც ლორწო იყო დათესილი, არავითარ კოლონიას არ შეიცავდა და სტერილური გამხდარიყო. ფლემინგმა მაშინვე დაასკვნა, რომ ლორწოში იყო ისეთი ნივთიერება, რომელმაც გახსნა ანდა დახოცა მეზობლად მყოფი მიკრობები, და გაერცელებისას შემოქმედება მოახდინა უკვე განვითარებულ კოლონიებზე. „ჰო, ეს საინტერესოა,—გაიმეორა ფლემინგმა, — უფრო გულმოდგინედაა საჭირო ამის გამოკვლევა“. უპირველეს ყოვლისა მან შეღება კულტურა და იხილა ყვითელი ფერის დიდი კოკები, არაპათოგენურნი, ალბათ ფანჯრიდან (ქუჩიდან) მოხვედრილნი.

შემდგომ ამისა მან შეამოწმა ცხვირის ლორწოვანი გამონადენის მოქმედება კოკებზე, მაგრამ ამჯერად არა პეტრის ფინჯანზე, არამედ სინჯარაში. ფლემინგმა მოამზადა ამ მიკრობების კულტურა და დაუმატა ცხვირის ლორწო. ორივენი ვანცვიფრებული დავრჩით, როცა ურიცხვი მიკრობებისგან ამღვრეული სითხე რამდენიმე წუთში სრულიად გამჭვირვალდა. „ჯინივით კამკამაა“, — მიიხრა ფლემინგმა. მან მაშინვე გამოსცადა ცრემლის მოქმედება ანალოგიურ პერობებში. ერთი წვეთი ცრემლი რამდენიმე წამში ხსნიდა მიკროორგანიზმებს. განსაცვიფრებელი და თანაც თვალწარმტაცი რამ ხდებოდა.

ამის შემდეგ მთელი რამდენიმე კვირის განმავლობაში კვლევის ძირითად ობიექტს ჩემი და ფლემინგის ცრემლები წარმოადგენდნენ. იცით, რამდენი ლიმონი ვიყიდეთ ამდენი ცრემლის მოსაგვრელად? ლიმონს ცედრას მოვაჭრიდით, მიკროსკოპის სარკეში ჩავიხედავდით და თვალში შევისხურებდით წვეს; ამის შემდეგ პასტერის პიპეტით რომელსაც ბოლო სანათურას ალზე ჰქონდა მომრგვალებული, ავიღებდით ცრემლს და ჩავასხამდით სინჯარაში. ასეთი საშუალებით ხშირად ნახევარი კუბიკური სანტიმეტრი ცრემლი მომიგროვებია ჩვენი ცდებისათვის“. მაგრამ მარტო ჩვენ ორნი როდო ვღვრიდით ცრემლებს... სენტ-მერის გაზეთში მოთავსებულ სურათზე გამოსახული ყვენენ ბავშვები, რომლებიც რამდენიმე პენის საფასურად თავს ალაზინებდნენ ლაბორანტს, მეორე ლაბორანტი კი ამ დროს ცრემ-

ლებს აგროვებდა ქურქელში, რომელსაც ეწერა: „ანტისეპტიკები“. ლაბორატორიის მთელი ტექნიკური პერსონალი ჩაბმული იყო „ლიმონისმიერი ცრემლების“ შეგროვებაში. ასეთ ცრემლდადენაზე ყოველ მათგანს სამ პენსს უხდიდნენ. ცდის პირები გულმოდგინედ აღრიცხავდნენ შემოსავალს და თვის ბოლოს სრულად ღებულობდნენ დაღვრილი ცრემლების საფასურს. ერთხელ ფლემინგმა შეამჩნია, რომ ერთ-ერთ ლაბორანტს ძალიან დაწითლებოდა თვალები და ასე უთხრა მას: „კარგა გვარიანად თუ იტირებთ, სულ მალე შეგეძლება სამსახურიდან გადადგომა“.

ცდებმა გამოავლინა, რომ ცრემლი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებსაც უნარი აქვთ გასაოცრად მალე გახსნან ზოგიერთი მიკრობი. „ამ ნივთიერებას ახასიათებს უჩვეულო აქტივობა, — წერდა ფლემინგი, — აქამდე ჩემს აღტაცებას იწვევდა გაცილებით უფრო ნელი მოქმედება ანტიშრატისა: თუ მას ჩაუშატებთ დასენიანებულ ბულიონში და წყლის აბაზანაში გავაჩერებთ, საკმაოდ დიდი დრო გავა, სანამ მიკრობები გაიხსნებოდნენ, თანაც ყველა მიკრობს როდი ემართება ეს. ამ ნივთიერებას რომ ვიკვლევდი, სინჯარაში ჩავასხი ბაქტერიების სქელი „რძიანი“ სუსპენზია, დაეშატე რამდენიმე წვეთი ცრემლის სითხე და რამდენიმე წამის განმავლობაში სინჯარას ხელში ვათბობდი — სითხე სავსებით გამჭვირვალდა. ამის მსგავსი რამ არასოდეს არ მინახავს“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მართლაც უჩვეულო და გასაოცარი მოვლენა იყო და პირველად იგი ფლემინგმა აღმოაჩინა, ისიც უნდა დავძინო, რომ მას ამ დიდ საქმეში ბედნიერმა შემთხვევითობამ გაუწია შემწეობა: მართლაცდა, ეს იდუმალი ნივთიერება სწორედ იმ მიკრობთან მოხვდა „შეხებაში, რომელიც ყველაზე მეტად მგრძობიარეა მისი ზემოქმედების მიმართ. უფრო ეფექტურად ეს ნივთიერება ხსნიდა და, ესე იგი, ხოცავდა ყვითელ არაპათოგენურ კოკებს, გარდა ამისა, იგი, თუმცა შედარებით უფრო სუსტად. მაგრამ მაინც იწვევდა სხვა მიკრობების, მათ შორის პათოგენური მიკრობების ლიზისს. სერიულად ჩატარებული ცდებით ფლემინგმა დაამტკიცა, რომ ამ ნივთიერებას ახასიათებს ენზიმების (ბუნებრივი ფერმენტების) თვისება.

ნივთიერებას ჭერ კიდევ არ ჰქონდა თავისი საკუთარი სახელი. ნათლობის საკითხი, რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკაში გაირჩა, ჩაის სმის დროს. რაიტი, როგორც ცნობილია, გატაცებული იყო ბერძნული

ფუძეებიდან სახელთა წარმოებით. რადგან ახლად აღმოჩენილი ნივთიერება ფერმენტს (ენზიმს) მოგვაგონებს, მაშასადამე, მისი სახელწოდების დაბოლოება უნდა იყოს „ციმი“, ხოლო რაკი იგი ხსნიდა, ანუ „ლიზირებას“ უკეთებდა, ზოგიერთ მიკრობს, ამიტომ „ლიზოციმი“ დაარქვეს მას. იმ მიკრობს კი, რომელიც ასე იოლად განიცდიდა ლიზისს, რაიტმა უწოდა *micrococcus lysodeicticus* (lysis — გახსნა და deixein — წარმოჩინება), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთი მიკროორგანიზმი, რომელიც ნივთიერების გამხსნელი მოქმედების დანახვის საშუალებას იძლევა.

ფლემინგი გულმოდგინედ განაგრძობდა ლიზოციმის კვლევას. იმ დღეს, როდესაც აღმოაჩინა მან ეს ნივთიერება, თავში გაუელვა ერთმა აზრმა, რომელიც შემდგომში უფრო და უფრო განუმტკიცდა. რატომღაც აღჭურვილი ასეთი ბაქტერიციდული თვისებებით ორგანიზმის ბუნებრივი სეკრეტები? ალბათ ზედაპირის მოწყვლადი ადგილების დასაცავად. ალბათ მართლაც ამიტომ, თორემ ადამიანები ერთბაშად გადაშენდებოდნენ, უკეთეს შემთხვევაში ვერ განვითარდებოდნენ, რადგან ჩვენი ორგანიზმი დაბადებიდანვე კონტაქტშია ურიცხვ მიკრობთან, რომლებიც ჰაერშიცაა, წყალშიც და მიწაშიც. მიკრობები წამდაუწუმ ხედებიან კანზე, შედიან ცხვირში, პირში, ნაწლავებში. ბევრი მათგანი უვნებელია, ზოგიერთი სასარგებლოც კია, მაგალითად, ის მიკრობები, რომლებიც ხელს უწყობენ საჭმლის მონელებას. ორგანიზმი ითმენს ამას, მაგრამ ხელს უშლის მათ ნაწლავთა საზღვრებს იქით გასვლაში, აფერხებს აგრეთვე მათ მეტისმეტად გამრავლებას.

სისხლი ფაგოციტების არმით ნაწილობრივ უზრუნველყოფს ასეთ თავდაცვას. მაგრამ სხეულის ზოგიერთი იოლად ამთვისებელი და ადვილად დაზიანებადი უბანი, როგორიცაა, მაგალითად, თვალის შემაერთებელქსოვილოვანი გარსი, ცხვირისა და სასუნთქი გზების ლორწოვანი ღრუები, არაა დაცული ჰაერიდან მიკრობების მოხვედრისაგან. ამ უბნებში სისხლმიმოქცევა სუსტია, მაგრამ ნუთუ ბუნებამ დაუცველად დატოვა ისინი? ლიზოციმი ერთ-ერთი ასეთი ბუნებრივი დამცველი საშუალება უნდა იყოს, და თუ ასეთი ჰიპოთეზა დადასტურდება, ეს ნივთიერება და თავისი ბუნებით მისი მსგავსი სხვა ნივთიერებები უნდა მოიპოვებოდეს ცხოველის, ადამიანის, ფრინველის, თევზის ორგანიზმის ყველა ნაწილში, აგრეთვე მცენარეულ სამყაროში.

ფლემინგი შეუდგა სერიული ცდების ჩატარებას, რომელთა მიზანი იყო იმის დამტკიცება, რომ ლიზოციმს შეიცავს სხვა სეკრეტები და ქსოვილებიც კი. ასეთივე შესანიშნავ გამხსნელ თვისებას აქვდა ვენება სინჯარაში ჩადებული ფრჩხილის ნატეხი, ქსოვილის ანაფხეკი, წვეთი ნერწყვი. ფლემინგი, ორგანიზმის ბუნებრივი დამცველი ძალების შესახებ რომ კითხულობდა ლექციებს, ახლა თავის სტუდენტებს ნიადაგ იმას ურჩევდა, საკუთარი მოჭრილი ფრჩხილი მიკრობულ სუსპენზიაში მოათავსეთ და გამოიკვლიეთ. სტუდენტები განცვიფრებული იყვნენ კვლევის შედეგით, „მითუმეტეს, — წერდა ფლემინგი, — რომ ფიზიოლოგიის ლექტორი გულმოდგინედ არწმუნებდა მათ, ფრჩხილი მკვდარი ქსოვილია“. ფლემინგი განაგრძობდა კვლევას და ლიზოციმი ყველგან აღმოაჩინა: პირის ღრუში, ყველა ცხოველის სპერმაში, ქარიწყლაპიას ქვირითში, ქალის რძეში, ხის ღეროსა და ფოთლებში.

გამოკველულ იქნა ბალის მცენარეები: ტიტა, ბაია, ჰინჯარი, ტყის ყაყაჩო. ყველა მცენარე შეიცავს ლიზოციმს. ძალიან მცირე რაოდენობით იყო იგი თალგამში. ლიზოციმით ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა კვერცხის ცილა. ფლემინგმა დემონსტრირება მოახდინა: კვერცხის ცილა წყალში გახსნა 1: 60 000 000 შეფარდებით და, მიუხედავად ამისა, მან მაინც შეინარჩუნა ზოგიერთი მიკრობის გახსნის უნარი. მაშასადამე, კვერცხს აქვს ძლიერი ბაქტერიციდული თვისება, რაც უპარესად მნიშვნელოვანია: კვერცხის ცილა და თვით გულიც კი ხომ შესანიშნავი ნიადაგია მიკრობთა ზრდა-გამრავლებისათვის. კვერცხის ნაჭუჭი მათთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კვერცხები რამდენიმე დღის განმავლობაში აწყვერა ხოლმე თაროებზე, სადაც .. ისინი ყოველგვარი მიკროორგანიზმების ზემოქმედებას განიცდიან და მაინც სტერილური რჩებიან. მაშასადამე, ისინი აღჭურვილი არიან დამცველი საშუალებებით: ..როგორც ჩანს, — უთხრა ფლემინგმა თავის კოლეგა რიდლის, — ის ადგილები, რომლებიც უფრო ღიაა ინფექციის შესაჭრელად, ამავე დროს უკეთესა და ცუდი. მაგალითად; ლორწო, რომელსაც გამოჰყოფს ჭიაყელა, უპარესად ბაქტერიციდულია“. ფლემინგმა ლიზოციმი აღმოაჩინა სისხლში, ძირითადად ლეიკოციტების შიგნით და სისხლის შენადეღის ფობრინში. „ღია ჭრილობებს ჩვეულებრივ ლიზოციმით მდიდარი ფობრინისა და ლეიკოციტების ფენა გადაეკვრის ხოლმე. თავდაცვის გამოვლინება ხომ არაა ეს?“ — ამბობდა მკვლევარი.

მართლაც, ლიზოციმი თითქოსდა ბუნებრივი ანტისეპტიკის რბულს ასრულებდა, იგი მიკრობთა შემოჭრის წინააღმდეგ უჯრედის თავდაცვის პირველ ხაზს მოგვაგონებდა. ფლემინგს უფლება ჰქონდა ეამაყა თავისი მუშაობით. მან აღმოაჩინა სრულიად ახალი და უაღრესად ღიბმნიშვნელოვანი გამოვლინება ორგანიზმის დამცველი ძალებისა, რასაც იგი გულმოდგინედ სწავლობდა და რომლის წინაშეც იგი მუდამ ქედს იხრიდა, როგორც შეეფერებოდა ეს რაიტის ერთგულ მოწაფეს. უფრო აღრე მეჩნიკოვმა დაამტკიცა, რომ სპეციალიზებული უჯრედები, ფაგოციტები, იცავენ ორგანიზმს მიკრობთა შემოჭრისაგან. ფლემინგმა დაადგინა, რომ ეს უჯრედები შეიცავენ ლიზოციმს. იმის მანიშნებელი ხომ არაა ეს მოვლენა, რომ ლიზოციმი ერთ-ერთი სახის იარაღია, რომელსაც იყენებენ ლეიკოციტები მიკრობთა წინააღმდეგ?

რაც შეეხება კანსა და ლორწოვანებს, მეჩნიკოვი თვითღდა, რომ ისინი თავს იცავენ მექანიკური გზით. „ბუნება, — ამტკიცებდა იგი, — მათ დასაცავად არ იყენებს ანტისეპტიკებს. სითხეები, რომლებიც პირის ღრუს ლორწოვანსა და სხვა ლორწოვან გარსებზეა, ან სრულიად არ არიან ბაქტერიციდულნი, ანდა მხოლოდ უმნიშვნელოდ არიან აღჭურვილნი ამ თვისებით. ზედაპირული უჯრედების ჩამოფტკენისას მათთან ერთად ცილდება მიკრობებიც. ბუნება იყენებს ამ მექანიკურ საშუალებას, ისევე, როგორც ქირურგები, რომელთაც ანტისეპტიკების ხმარებას მარალწყლით მობანა არჩიეს“. 1921 წელს ასეთ აზრს იზიარებდა ბაქტერიოლოგთა უმრავლესობა.

ფლემინგმა კი დაამტკიცა, რომ მეჩნიკოვის თეორია ამ პუნქტში შესაცვლელი იყო. „აღწერილი ცდები თვალნათლივ გვიჩვენებენ, — ვანაცხადა მან, — რომ ყველა ეს სეკრეტი და ქსოვილთა უმეტესი ნაწილი აღჭურვილია მიკრობთა მოსპობის ძლიერი თვისებით“. ფლემინგმა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოაჩინა, მაგრამ საგულისხმოა, რომ თვითონ იგი არასოდეს არ ხმარობდა სიტყვა „აღმოჩენას“. მას არ უყვარდა მაღალფარდოვანი სიტყვების ხმარება. ნაცვლად ამისა იგი ამბობდა: „ჩემი დაკვირვებები“. მაგრამ მთავარი იყო არა სიტყვა, არამედ ფაქტი, რომელმაც ისეთი კმაყოფილება განაცდევინა ფლემინგს, როგორც არასოდეს არაფრისაგან არ განუცდიდა. თავშეკავებულ ფლემინგს საერთოდ ხომ ნაკლებად უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ თუკი გაბედავდა რაიმეს თქმას, მხოლოდ ფაქტის მოშველიებით იტყოდა და ამით იგი ერთგვარ პროტესტს უცხადებდა

რაიტს, რომელიც ყველაფრის აბსტრაქტიზმს ცდილობდა. ამჯერად კი იგი ისე იყო გაბრუებული, რომ სიფრთხილე გადაავიწყდა და ლიზოციმზე გაკეთებულ პირველსავე სამეცნიერო ინფორმაციაში მწვენიერი პიპოთეზები წამოაყენა.

ლიზოციმის აღმოჩენა ფლემინგის ძველთაძველი ოცნების განხორციელება იყო. დიდი ხნის შემდეგ, გულახდილობის ჟამს, რაც საერთოდ იშვიათად ხდებოდა ხოლმე, აი, რა უთქვამს მას რედისისათვის: „1914 — 1918 წლების ომის დროს, როდესაც მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, ბერიკაცი ძირითადად სწავლობდა ბაქტერიების დახოცვის სისხლისეულ უნარს. მაგრამ მე მჯეროდა, რომ ყოველივე ცოცხალს თავის ყველა უბანზე უნდა ჰქონოდა ქმედითი დამცველი მექანიზმი; წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ იარსებებდა. ბაქტერიები შეიჭრებოდნენ მასში და მოკლავდნენ“. რედლი დასძენს: „ყოველივე ცოცხალი დაცული უნდა იყოს — აი ის გზისგამკაფავი ვარსკვლავი, რომელიც წინ მიუძღოდა ფლემინგს საკვლევადიებო მუშაობაში“.

რომელი მიკრობების წინააღმდეგაა ლიზოციმი ქმედითი? ამ კითხვაზე პასუხის მისაკვლევად ფლემინგმა საინტერესო ცდა ჩაატარა. პეტრის აგარიან ფინჯანზე ამოჭრიდა პატარა ფოსოს ან ღარაკს, რომელსაც შემდეგ ამოავსებდა ლიზოციმიანი აგარით, ამის შემდეგ იგი გარკვეული სახეობის მიკრობებს დათესავდა ღარაკის მიმართ მართი კუთხით მიმართულ სწორ ზოლებად ანდა ფოსოდან რადიალურად გამომავალ ხაზებზე. ზოგიერთი მიკრობი ზრდა-გამრავლებას განიცდიდა უშუალოდ ღარაკთან ანდა ფოსოსთან. აშკარა იყო, რომ ისინი არ იჩენდნენ მგრძობიარობას ლიზოციმის მიმართ. სხვები კი ლიზოციმიდან მეტნაკლებ მანძილზე წყვეტდნენ ზრდა-გამრავლებას, და ამ მანძილის მიხედვით ხდებოდა ლიზოციმის მიმართ მათი მგრძობიარობის განსაზღვრა..

სამწუხაროდ, ლიზოციმი, რომელიც აქტიურად სპობდა არაპათოგენურ მიკრობებს, გაცილებით უფრო ნაკლებ აქტიური იყო სენგამომწვევი, ანუ პათოგენური მიკრობების მიმართ. ფლემინგმა სავსებით გასაგებად მიიჩნია ეს მოვლენა. რომელი მიკრობებია პათოგენური? ისინი, რომელთაც უნარი აქვთ გადალახონ ორგანიზმის დამცველი ძალები, შეიჭრან მასში და გამოიწვიონ ინფექცია. ისინი რომ ისევე მგრძობიარენი იყვნენ ლიზოციმის მიმართ, როგორც ყვითელი კოკები (lysodeicticus), ამ დამცველი ძალების მსხვერპლნი შეიქ-

მნებოდნენ, ფეხს ვერ მოიკიდებდნენ და ამდენად უვნებელნი იქნებოდნენ. რასაც სრულიადაც არ გულსხმობს მათი სახელწოდება.

„შეიძლება სწორედ ეს განასხვავებს პათოგენურ და არაპათოგენურ მიკრობებს? — ფიქრობდა ფლემინგი. — გარკვეულ მიკრობებს შეუძლიათ დაასენიანონ ცხოველთა მხოლოდ გარკვეული სახეები, მხოლოდ გარკვეული ქსოვილები და ისინი არც ასენიანებენ სხვებს. ასეთ არჩევითობას, შეიძლება, განსაზღვრავს ამ ცხოველების ორგანიზმში ან ამ ქსოვილებში ლიზოციმის არსებობა და აქტივობა“. აქეთი ვარაუდის საფუძველზე ფლემინგმა, როგორც ყოველთვის, ახლაც მოიგონა სავსებით მარტივი ცდა, რომელსაც უნდა აეხსნა პრობლემის ძირითადი არსი.

მან გამოსცა ადამიანის ცრემლის მოქმედება მიკროორგანიზმების სამ ჯგუფზე. პირველ ჯგუფში შედიოდა ლაბორატორიის ჰაერიდან გამოყოფილი საპროფიტების ას ოთხი სახე, მეორე ჯგუფში — მიკრობთა რვა სახე, რომლებიც პათოგენური იყვნენ ზოგიერთი ცხოველისათვის, მაგრამ არაპათოგენური იყვნენ ადამიანისათვის; მესამე ჯგუფი შესდგებოდა ადამიანისათვის პათოგენური მიკრობებისაგან. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები სავსებით დაემთხვა მკვლევარის ვარაუდს. ლიზოციმი უაღრესად ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა პირველი ჯგუფის მიკრობების 75 პროცენტზე და მეორე ჯგუფის შვიდ სახეზე (რვიდან). იგი მესამე ჯგუფზეც მოქმედებდა, მაგრამ ძალიან სუსტად. მაშასადამე, თუ მიკვლეული იქნება იმის საშუალება, რომ გაიზარდოს ლიზოციმის შემცველობა ორგანიზმში, შესაძლოა მოხერხდეს ზოგიერთი სენგამომწვევი მიკრობის ზრდა-გამრავლების შეჩერება. თავსატეხი გაუჩნდა ფლემინგს.

ფლემინგმა ამ საკითხზე ერთად მუშაობა შესთავაზა დოქტორ ელისონს, მაგრამ ახალი ცდების დაწყებამდე მან 1921 წელს თავისი შესანიშნავი აღმოჩენა და აქედან გამომდინარე დასკვნები გააცნო სამედიცინო კლუბს — კარგად ცნობილ სამეცნიერო საზოგადოებას, უაღრესად გავლენიანსა და ერთგვარად ტოლდაუდებელს, რომელიც 1891 წელსაა შექმნილი. აუდიტორია ფლემინგს ძალზე ცივად შეხვდა. არც ერთი შეკითხვა არ მიუციათ, არავითარი დისკუსია არ გამართულა მისი გამოსვლის შემდეგ. ასე გულცივად ხვდებოდა ხოლმე მეცნიერთა ფორუმში სავსებით უინტერესო ცნობას, სამეცნიერო ინფორმაციას. სერ ჰენრი დელი, რომელიც ესწრებოდა ფლემინგს გამოსვლას,

წერდა: „ძალიან კარგად მახსოვს მისი საინტერესო გამოხველა, მაგონდება, რომ მაშინ ყველანი ერთსა და იგივეს ვიმეორებდით: „ეს ხომ მომზიბვლელი რამაა! ბუნებისმკვლევარის სწორედ ასეთი დაკვირვებანი უყვარს ფლემინგს...“ ეს იყო და ეს.

თანამომვე მეცნიერთა ასეთი გულცივობა მისი ესოდენ ორიგინალური კვლევის მიმართ ძალიან ეწყინა ფლემინგს, რომელიც მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, უაღრესად მგრძობიარე ადამიანი იყო. მაგრამ მან ფარ-ხმალი არ დაჰყარა. ფლემინგმა ამავე თემაზე მოამზადა ახალი მოხსენება, რომელიც რაიტმა 1922 წლის თებერვალში სამეფო სამედიცინო საზოგადოებას გააცნო. არც აქ გამოეხმაურენ დიდი ინტერესით ახალი აღმოჩენის ამბავს. ალექი მაინც არ მიეცა სასოწარკვეთილებას და ელისონთან ერთად „განაგრძო ლიზოციმის შესწავლა, თუმცა მეცნიერები გულგრილად უყურებდნენ ამ ნივთიერებას და არ იზიარებდნენ ფლემინგის რწმენას. 1922 — 1927 წლებში მან ელისონთან თანავეტორობით კიდევ ხუთი ბრწყინვალე ნაშრომი გამოაქვეყნა ლიზოციმზე. ისინი შეეცადნენ გამოეყოთ ხალასი ლიზოციმი, მაგრამ არც ფლემინგი იყო ქიმიკოსი და არც ელისონი (ფლემინგი ირწმუნებოდა, უადვილეს გამოცდასაც კი ვერ ჩავბარებ ქიმიკოსს), ხოლო ამ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში არც ქიმიკოსი მოიპოვებოდა და არც ბიოქიმიკოსი! მათ ვერ შესძლეს ლიზოციმის გამოყოფა, თუმცა, ფლემინგი იმაში კი დარწმუნდა, რომ სპირტი მას ლეჟაედა, მაგრამ არ შლიდა.

როდესაც დაადგინეს, რომ კვერცხის ცილაში ლიზოციმის კონცენტრაცია ორასჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ცრემლში, ფლემინგი და ელისონი შეუდგნენ მათ გამოყენებას თავიანთ ცდებში და დაასკვნეს, რომ ცრემლში არსებულთან შედარებით ორჯერ მეტი კონცენტრაციის ნივთიერება ბაქტერიციდულ მოქმედებას იჩენს თითქმის ყველა პათოგენურ მიკრობზე და, კერძოდ, სტრეპტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, მენინგოკოკებზე და დიფთერიულ ჩხირზე. მათ ისიც კი ნახეს, თუ როგორ მოქმედებს კვერცხის ცილა ნაწლავთა სტრეპტოკოკებზე. დარწმუნდნენ რა, რომ ეუქის ფერმენტები არ შლის ცილაში შეშავულ ლიზოციმს, მკვლევარებმა ერთ ავადმყოფს, რომელსაც ნაწლავებში ძალიან ბევრი სტრეპტოკოკის არსებობა ჰქონდა დადგენილი, დღეში ოთხი კვერცხის ცილა გამოუწერეს. სტრეპტოკოკების რაოდენობა ნორმის დონემდე შემცირდა; ასეთი სწრაფი წარმატებით

გახალისებულებმა მსგავსი მკურნალობა დაუნიშნეს რამდენიმე სხვა აუადმყოფსაც, რომლებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ და უჩიოდნენ დაღლილობასა და შაკიკს. აუადმყოფთა მდგომარეობა გაუმჯობესდა. სიფრთხილით და მეტისმეტი კეთილსინდისიერებით აიხსნება, რომ ფლემინგმა და ელისონმა თავმდაბლურად განაცხადეს: „შეიძლება ეს გამოწვეული იყოს სტრეპტოკოკებზე ლიზომიციის დროებითი მოქმედებით ანდა ფსიქოლოგიური ფაქტორით“.

ფლემინგი განაგრძობდა ანტისეპტიკების შესწავლას. მიზანი ისევ ძველი იყო — ინფექციის დამარცხება. 1923 წელს ლაბორატორიის რამდენიმე თანამშრომლის ერთობლივი მოწადინებით შეიქმნა ახალი მოწყობილობა, რომელიც ასეთი ხასიათის კვლევა-ძიების ჩატარების შესაძლებლობას იძლეოდა. ელიოტ სტორერმა, ამ მოწყობილობის გამომგონებელმა, slide cell — უჯრედებად დაყოფილი სასაგნე მინა უწოდა მას. მაგრამ ხელსაწყო სრულყოფილი არ გამოდგა. რაიტმა მეთოდი მოიწონა და გააუმჯობესა კიდევ იგი. დაისონმა კიდევ ერთი გაუმჯობესება შეიტანა მასში. ახალი მოწყობილობა ფლემინგს ძალიან მოეწონა. მის მოსახმარად საჭირო იყო ნატიფი ხელმარჯვეობა, და თანაც იგი არავითარ ხარჯს არ მოითხოვდა. გარდა ამისა, მცირე რაოდენობის გამოსაკვლევი მასალაც საკმარისი იყო, ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს, თუ ადამიანის სისხლის გამოკვლევა საჭირო.

მოწყობილობა შედგებოდა ორი მინის ფირფიტისაგან, ისინი დაყოფილი იყო ვაზელინწასმული ხუთი ქაღალდის ზოლით, რომლებიც, გარკვეული მანძილით ერთმანეთისაგან დაშორებულნი, პერპენდიკულარულად იყვნენ განლაგებულნი ფირფიტის სიგრძის მიმართ. ამრიგად, მინებს შორის იქმნებოდა ოთხი ფონო, და თითოეულ მათგანზე შეიძლებოდა სისხლის წვეთის დაცხება (ფლემინგმა დაადგინა, რომ ერთ-ერთი სამედიცინო ჟურნალის ფურცელი თავისი სისქით იდეალური იყო ქაღალდის ზოლებად გამოყენებისათვის. როცა ფლემინგი ლექციების დროს ამ მეთოდს აღწერდა, სავსებით სერიოზული კილოთი ურჩევდა განცვიფრებულ სტუდენტებს: „ქაღალდის ზოლები გამოჭერით ჟურნალ „ექსპერიმენტული პათოლოგიიდან““).

პატარ-პატარა ფოსოებს ავსებდნენ გამოსაკვლევი მიკრობებით დასენიანებული დეფიბრინებული სისხლით, ამის შემდეგ ორივე ლიზომიციის ბოლოში ჩაასხამდნენ პარაფინს და მოწყობილობას შედგამდნენ

თერმოსტატში. მიკრობები მრავლდებოდნენ კოლონიებად, რომელთა დათვლა ადვილი იყო არც თუ ღრმა ფოსოებში. მაგალითად, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ, თუ ფოსოებში, რომლებშიც ნორმალური სისხლი იყო, დაემატებოდა დაახლოებით ასი სტაფილოკოკი, ლეიკოციტები მათგან საშუალოდ ოთხმოცდათვრამეტს კლავდნენ; ამრიგად, თითოეულ ფოსოში მხოლოდ ორი კოლონია იზრდებოდა.

ფლემინგის აზრით, ეს მოწყობილობა ზედგამოჭრილი იყო ლეიკოციტებზე ანტისეპტიკების მოქმედების ყოველმხრივი შესწავლისათვის. მან სისხლი შეურია გამოსაკვლევად ანტისეპტიკების სხვადასხვაგვარი კონცენტრაციის ხსნარებს, ეს სითხეები წასცხო slide cell-ზე და დარწმუნდა, რომ რაც უფრო მაღალი იყო ანტისეპტიკის კონცენტრაცია, მით უფრო მეტი მიკრობთა კოლონია ვითარდებოდა. მაღალი კონცენტრაციის დროს ანტისეპტიკი კლავდა ყველა ლეიკოციტს, ესე იგი ყველა დამცველს, მაშინ როდესაც ყველა სტაფილოკოკი ცოცხალი იყო და მშვენივრად მრავლდებოდა. თითოეულ სექციაში ახლა ასე კოლონია იყო, ანტისეპტიკების გარეშე ჩატარებული ცდების დროს კი მხოლოდ ორი კოლონია ვითარდებოდა. მიღებული შედეგების საფუძველზე ფლემინგმა დაასკვნა: „ჩატარებული ცდები ადასტურებს, რომ არც ერთი ჩვეულებრივ ხმარებული ანტისეპტიკი არ შეიძლება შეყვანილ იქნას სისხლის ნაკადში სექტიცემციის დროს ბაქტერიების მოსპობის მიზნით“. ამ მარტივი და თვალსაჩინო ცდით ფლემინგმა უცილობლად დაამტკიცა, რომ იმ დროს ხმარებული ანტისეპტიკები სპობდნენ ლეიკოციტებს გაცილებით უფრო სუსტი კონცენტრაციების დროს, ვიდრე ისეთი კონცენტრაციებისას, როდესაც მათ შეეძლოთ მიკრობთა გაუვნებლება.

როდესაც ფლემინგმა და ელისონმა slide cell გამოიყენეს ფაგოციტებზე კვერცხის ცილის მოქმედების შესასწავლად, მათ ისიც გამოავლინეს, რომ „კვერცხის ცილა ქიმიური ანტისეპტიკებისაგან განსხვავებით არ სპობს ლეიკოციტებს, ბაქტერიებზე კი ან ზრდა-გამრავლების დამთრგუნველ მოქმედებას იჩენს ანდა საერთოდ სპობს მათ“. მკვლევარებმა ბოცვერს ვენასშიდა შემხაპუნების გზით შეუყვანეს კვერცხის ცილის ხსნარი და შემდეგ შეამოწმეს ცხოველის სისხლის ბაქტერიციდული თვისებები. სისხლის ანტიბაქტერიული თვისებები გაძლიერებული აღმოჩნდა. „ჩანს, — წერდა ფლემინგი, — ისეთ შემთხვევაში, როდესაც საერთო ინფექცია გამოწვეულია ლიზო-


ციმის მიმართ მგრძობიარე მიკრობებით, წარმატებით შეგვიძლია მივმართოთ კვერცხის ცილის ვენასშიდა გზით შეყვანას“. ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფლემინგმა — ანტისეპტიკების გამარჯვებულმა მოწინააღმდეგემ — ამის შემდეგ საქვეყნოდ აღიარა, რომ „ალარას ერჩოდა ქიმიათერაპიას“, ოღონდ იმ პირობით, თუ ხმაირებული პრეპარატი არ სპობდა სისხლის ბუნებრივ დამცველ ფაქტორებს.

მაგრამ იმისათვის, რომ ვენასშიდა შემხაპუნებას ზიანი არ მოეტანა, საჭირო იყო ლიზოციმის გამოყოფა კვერცხის ცილისაგან. ზევით უკვე მოგახსენეთ, მკითხველო, რომ ფლემინგი და ელისონი შეეცადნენ ხალასი ლიზოციმის მიღებას, მაგრამ ხელი მოეცარათ. 1926 წელს ახალგაზრდა ექიმი რიდლი — სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შეუდგა რაიტის ლაბორატორიაში, რიდლი პროფესიონალი ქიმიკოსი არ იყო, მაგრამ სხვებთან შედარებით გაცილებით უკეთ იცოდა ეს მეცნიერება. ფლემინგმა ლიზოციმის გამოყოფა სთხოვა მას. რიდლი შეეცადა; მაგრამ უშედეგოდ. ალექი ამან ძალიან დააღონა. „სამწუხაროა, — უთხრა მან რიდლის, — რომ მოგვეხერხებინა ამ ნივთიერების ხალასი სახით მიღება, ეგებ შეგვძლებოდა ლიზოციმის ასეთი კონცენტრაციის შენარჩუნება ორგანიზმში, რომელიც მომაკვლინებლად იმოქმედებდა ზოგიერთ ბაქტერიაზე“.

სიტყვას დავიწინაურებ და მოგახსენებთ, რომ ერთმა ბიოქიმიკოსმა შემდგომში მაინც შესძლო ლიზოციმის გაწმენდა და კრისტალის სახით მისი მიღება.

ფლემინგი დაუცხრომელი კაცი იყო. იგი ჯიუტად განაგრძობდა სისხლის ბაქტერიციდულ თვისებაზე სხვა პრეპარატების მოქმედების გამოკვლევას *in vitro*. მაგალითად, გადაწყვიტა შეესწავლა მარილხსნარის მოქმედება და დაადგინა, რომ თუ ხსნარის კონცენტრაცია ორგანიზმში არსებულზე მეტი ან ნაკლები იყო, ფაგოციტოზი ქვეითდებოდა.

როგორი იქნება მისი მოქმედება *in vivo*? ამის გამოსარკვევად, მან ბოცვერს ვენაში შეუშხაპუნა ჰიპერტონიული მარილხსნარი. პირველად მკვლევარმა მეტისმეტად ზენაჯერი ხსნარი შეიყვანა. ბოცვერს კრუნჩხვები დაეწყო და იგი რამდენიმე წამს ლამის აგონიაში იყო. ორი



პენიცილინის ნათესი მე-2, მე-4, მე-6, მე-8, მე-10 და მე-12 დღეს.



ალექსანდრე ფლემინგი ლაბორატორიაში

წუთის შემდეგ ცხოველი შოკიდან გამოვიდა. ფლემინგმა შეისწავლა მისი სისხლი და დაადგინა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ბოცვერის სისხლში მარილის კონცენტრაცია ნორმაზე მეტი იყო, ხსნარი ისევე მოქმედებდა, როგორც *in vitro* ცდის დროს, ესე იგი ასუსტებდა სისხლის ბაქტერიციდულ თვისებებს. მაგრამ ორი საათის შემდეგ, როდესაც მარილის კონცენტრაცია ნორმამდე შემცირდა, განკვიფრებულმა ფლემინგმა შენიშნა, რომ სისხლის ბაქტერიციდულობამ მოიმატა და იგი რამდენიმე საათის განმავლობაში არ შემცირებულა.

რაკი ექსპერიმენტული გზით ფლემინგმა დაადგინა მარილხსნარის ისეთი კონცენტრაცია, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოდ აჭარბებდა ნორმალურს და არავითარ ზიანს კი არ აყენებდა ცხოველს, მან ჰიპერტონიული ხსნარი ერთ-ერთ ავადმყოფზე გამოსცადა. ვენაში შეშხაპუნებამ გაზარდა სისხლის ბაქტერიციდულობა და არავითარი გართულება არ გამოიწვია.

როდესაც კოლეგა-კლინიკისტები ნებას აძლევდნენ, იგი ამ ცდას იმეორებდა სხვა ავადმყოფებზეც. საერთოდ მას იშვიათად და ისიც მხოლოდ უიმედო ავადმყოფებს თუ ანდობდნენ. ერთმა-ორმა ექიმმა გაიმეორა მისი ექსპერიმენტები. მათ მართლაც დადებითი შედეგი მიიღეს. მაგრამ შემდგომი გაგრძელება ამ მცდელობას აღარ ჰქონია. ფლემინგი ძალიან აფასებდა თავის პატარა აღმოჩენას და ყოველთვის ნანობდა, რომ რატომღაც ყველა უგულვებელყოფდა მას. ვერა და ვერ მიხვედრილიყო იგი, თუ რატომ არ იყენებდნენ მკურნალობის საესებით უვნებელ და, მისი აზრით, გაცილებით უფრო ქმედით მეთოდს, ვიდრე ვაქცინოთერაპია იყო.

ფლემინგმა შეექვსე ნაშრომი ლიზოციმზე დაწერა 1927 წელს. მასში ლაპარაკია ერთ ფრიად საყურადღებო მოვლენაზე. ისეთი მიკრობების გამოყოფისას, რომლებიც ლიზოციმის ზემოქმედებას არ განიცდიდნენ, ფლემინგმა მიიღო ყვითელი კოკისა და ფეკალური სტრეპტოკოკის შტამები, რომლებიც ახლა ოთხმორცჯერ უფრო გამძლენი იყვნენ, ვიდრე დასაწყისში. გაიზარდა თუ არა ამ მიკრობების გამძლეობა არა მართო ლიზოციმის, არამედ სისხლის ბაქტერიციდული მოქმედების მიმართაც? ცდებმა დადებითი პასუხი მისცა მკვლევარს. რატომ? ზევით უკვე მოგახსენეთ, რომ ფლემინგმა ლიზოციმი აღმოაჩინა ფაგოციტებში. რადგან ლიზოციმის მიმართ წინააღმდეგობის

გაზრდას თან სდევს ფაგოციტოზის მიმართ წინააღმდეგობის მომატება, მაშასადამე, ფაგოციტების მოქმედება ნაწილობრივ აიხსნებოდა, როგორც ფიქრობდა იგი, მათში ლიზოციმის არსებობით.

ამ ნაშრომში, ისევე როგორც თავის პირველ ინფორმაციაში, ფლე-შინგმა რამდენიმე გადასაწყვეტი საკითხი დააყენა. პათოგენური მიკრო-ორგანიზმები ადამიანის საშიში მტრები არიან იმიტომ, რომ ისინი ამარ-ცხებენ მის დამცველ ძალებს. ეგებ ისტორიამდელ ხანაში ლიზოციმი წარმოადგენდა მძლავრ იარაღს, რომლითაც აღჭურვა ბუნებამ პირ-ველყოფილი ადამიანი ყველა მიკრობისაგან თავდასაცავად? იქნებ პათოგენური მიკროორგანიზმები იმ მიკრობთა შთამომავალნი არიან, რომლებიც ლიზოციმთან კიდილში თანდათან გაძლიერდნენ და ბო-ლოს ორგანიზმის დამცველი ძალების დამარცხების უნარით აღიჭურ-ვენ? და თუ ასეა, ხომ არ შეიძლება, რომ გადარჩევის გზით ვირულენ-ტურად ვაქციოთ არაპათოგენური მიკრობი? ასეთი იყო ფლემინგის მეექვსე ნაშრომის თემა.

ჩატომ მოხდა, რომ ფლემინგის ამ შესანიშნავ ნაშრომებს, რომე-ლთაც ახალი ფართო პერსპექტივები დასახეს, გულცივად შეხვდნენ ანგლისელი მეცნიერები? ეგებ იმის ბრალი იყო ეს, რომ რაიტის ერთ დროს მქუხარე სახელს შარავანდები ჩაუქრა და მისი სკოლის მოწინა-აღმდეგენი უნდობლობას უცხადებდნენ მისი ლაბორატორიის მუშა-ობის შედეგებს? ფლემინგმა გულახდილად აღიარა, რომ თვითონ მიუძღოდა ამაში ბრალი — ლიზოციმი მას უნდა გაეცნო არა ექი-მეზისათვის, არამედ ფიზიოლოგებისათვის, რომელთაც ქეშმარტად დაინტერესებდათ ეს საკითხი. და მაინც, ექიმებც გულგრილობამ მისი შრომისადმი, რომელსაც, მიუხედავად თავისი თავმდაბლობისა, დიდმნიშვნელოვნად თვლიდა, კიდევ უფრო გულჩათხრობილი და სიტ-ყვაძვირი გახადა იგი.

მაგრამ კოლეგების გულცივობამ სასოწარკვეთილებაში როდი ჩააგდო, პირიქით, თითქოს მეტი ძალაც კი მისცა, საკუთარი დასკვნე-ბის გაკეთებისას იგი არასოდეს ანგარიშს არ უწევდა სხვის აზრს. არაფერს არ შეეძლო მისი ენთუზიაზმის ჩაქრობა. არასოდეს მიუტო-ვებია კვლევა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი ცხოვრება, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია იმ ნივთიერების ძიება, რომელიც, მოკლავ-და რა მიკრობს, არ დაასუსტებდა ფაგოციტების მოქმედებას. თავის მასწავლებლებთან ერთად იგი მას ვაქცინებში ეძებდა. მას სჯეროდა,

რომ ლიზოციმში მიაკვლია მას. ეს ნივთიერება თვით ორგანიზმისა-
ევის დამახასიათებელ ანტისპეტიკად ყოფნისას შეარჩევბდა ფიზი-
ოლოგიურ და ანტისეპტიკურ სკოლებს. ფლემინგი შეუპოვარი მეცნი-
ერი იყო, სწამდა თავისი დამტკიცებული ფაქტების სისწორე. მას
მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი ლიზოციმი მომავალში დიდ როლს შეას-
რულებდა.

იგი არ შემცდარა. ლიზოციმი დღესაც მრავალრიცხოვან კვლევა-
ძიებათა საგანს წარმოადგენს. ბაქტერიოლოგებს იმით აინტერესებთ,
რომ იგი აღკურვლია. მიკრობებზე გადაკრული მუცინის გახსნის
თვისებით, მრეწველობის მუშაებს — იმით, რომ ლპობისაგან
იცავს კვების პროდუქტებს, რუსები ხიზილალის კონსერვირებისათ-
ვის იყენებენ მას; ექიმებს — იმით, რომ ძროხის რძეში დამატებული
იგი ქალის რძეს წარმოქმნის. გარდა ამისა, ლიზოციმს იყენებენ აგრე-
თვე თვალისა და ნაწლავთა დაავადებების დროს.

კაცობრიობამ ეს იარაღი შეიძინა იმ უბრალო შემთხვევის წყალო-
ბით, რომ ერთხელ ერთმა დაკვირვებულმა მკვლევარმა, სანამ დასენია-
ნებულ კულტურას გადაადგებდა, გულმოდგინედ გამოიკვლია ის და
წარმოთქვა: „ეს საინტერესოა!“ აღმოჩენამ, რომელსაც 1921 წელს
ცივი დუმილით შეხვდნენ ლონდონში, მომდევნო ოცდაათი წლის გან-
მავლობაში განაპირობა ორიათასზე მეტი ახალი გამოკვლევა. „დად-
გება დრო, როცა ლიზოციმი კიდევ იტყვის თავის სათქმელს“, —
ირწმუნებოდა ალექსანდრე ფლემინგი.

ლაბორატორიის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კლანებში არ
იყვნენ გაერთიანებულნი, უადრესად აფასებდნენ ამ სიტყვაძვირ
კოლეგას. ირლანდიელ მარტლის, საამო სახის წვეროსან კაცს, თანდა-
ყოლილი კეთილშობილებით მოსილ პიროვნებას, 1927 წელს უთქვამს
პრაისისათვის: „ფლემინგი ყველაზე ჭკვიანია... ლიზოციმის ცდები ან
მრავალი სხვა მსგავსი ექსპერიმენტი ბერიკაცს რომ ჩაეტარებინა,
იციო, რა ხმაური შეიქმნებოდა!“ 1930 წელს მიკრობიოლოგთა I სა-
ერთაშორისო კონგრესს თავმჯდომარეობდა პასტერის მოწაფე, ზელ-
გიელი მეცნიერი ჟიულ ბორდე. კონგრესს რომ ხსნიდა, თავის სიტყვა-
ში მან აღფრთოვანებით მოიხსენია ფლემინგის ნაშრომები ლიზოციმ-
ზე. ფლემინგი ამას არ მოელოდა და უდიდესი სიხარული განიცადა.

Cod took care to hide that country
 III He judged His people ready,
 Then He chose me for His whisper
 and I've found it, and It's yours.
*Rudyard Kipling.**

უმრავლესობა დიდი მეცნიერული აღმოჩენებისა გა-
 აზრებული ცდების შედეგია, თუმცა ზოგჯერ ბედის წყალობაც ეხმა-
 რება აღამიანს. ლუი პასტერი იშვიათი ნებისყოფის კაცი იყო და ქეშ-
 მარიტებას ლოგიკური მსჯელობითა და ცდებით პოულობდა, მაგრამ
 ბელსაც ვერ დაემდურებოდა, ისე უმართლებდა ხოლმე. პასტერმა შემ-
 თხვევითი კერძო პრობლემების შესწავლა დაიწყო და ამ გზით განზო-
 გადებას მიაღწია. პროფესორად რომ არ დაენიშნათ ლილში, ადგილობ-
 რივი მეღვინეები და ლუდის გამომხდელნი რჩევით რომ არ მისდგო-
 მონენ კარს, დუღილის პროცესი სულაც არ დაინტერესებდა; მაგ-
 რამ იგი გენოსი იყო და ალბათ სხვა რამეს აღმოაჩენდა. ფლემინგი დი-
 დი ხნის განმავლობაში ეძებდა ისეთ ნივთიერებას, რომელიც მოსპობდა
 პათოგენურ მიკრობებს და არ ავნებდა ავადმყოფის უჯრედებს. ეს მა-
 გიური ნივთიერება შემთხვევით შემოფრინდა მის სამუშაო მაგიდაზე.
 მაგრამ იგი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა უცნობ სტუმარს,
 ხუთმეტი წლის განმავლობაში მისი მომლოდინე რომ არ ყოფილიყო.

ისევე როგორც თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში,
 ფლემინგმა ახლაც შეადგინა ნუსხა იმ საშუალებებისა, რომლებიც მოე-
 ბოვებოდათ მედიკოსებს ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

* ღმერთმა ისურვა, რომ ეს ქვეყანა უცნობი დარჩენილიყო, სანამ მისი ხალხი
 მზალ არ იქნებოდა. მაშინ კი მე ამირჩია თავის წარმომადგენლად, და მე აღმოვაჩინე
 ეს ქვეყანა, და იგი ყველამ ისილა (რედიაოდ კიპლინგი).

ეს საშუალებები უკმარი იყო, მაგრამ მკვლევარი იმედს არ კარგავდა. „ახლა, — წერდა იგი, — ალბათ ძნელი მისაკვლევია ისეთი ანტისტეპტიკი, რომელიც ყველა ბაქტერიას მოკლავდა სისხლის ნაკადში, მაგრამ ცოტაოდენი იმედი კიდევ არსებობს, რომ შეიძლება მოხერხდეს ისეთი ქიმიური ნივთიერებების შექმნა, რომლებიც ამორჩევივით იმოქმედებენ გარკვეულ ბაქტერიებზე და დახოცავენ მათ სისხლში, ხელუხლებლად დატოვებენ რა სხვა პათოგენურ მიკრობებს...“

ფლემინგი სწავლობდა ახალ ანტისტეპტიკს — მერკუროქრომს, რომელიც კლავდა სტრეპტოკოკებს, მაგრამ ისეთი კონცენტრაციების დროს, რომელთა გადატანაც ადამიანის ორგანიზმს არ ძალუძდა. ეგებ ვცადოთ და უფრო სუსტი დოზით შევიყვანოთ ეს პრეპარატი სისხლში, ფიქრობდა ფლემინგი, მაშინ შესაძლოა მოიძებნოს ისეთი კონცენტრაცია, რომლის დროსაც არც ადამიანის ორგანიზმის უჯრედები არ დაიღუპებიან, არც სტრეპტოკოკები, სამაგიეროდ ეს უკანასკნელნი ნაკლებ გამძლენი და უფრო მგრძობიარენი გახდებიან ფაგოციტების მოქმედების მიმართ.

ფლემინგის პატარა ლაბორატორიაში ისევე ვიწროობა და სიბნელე იყო... ყველა კუთხე-კუნჭულში კულტურები იდგა, მაგრამ ასეთი გარეგნული უწესრიგობის მიუხედავად, მკვლევარი მაშინვე პოულობდა, რაც კი დასჭირდებოდა. მისი ლაბორატორიის კარი მუდამ ღია იყო, და ოუ რომელიმე ახალგაზრდა მკვლევარს რომელიმე მიკრობი ან რაიმე ხელსაწყო მოუნდებოდა, მყისვე უსრულებდნენ თხოვნას. ფლემინგი სკამიდან არც კი წამოდგებოდა, მხოლოდ ხელს გაიწვდიდა, აიღებდა კულტურას, მიაწვდიდა მთხოვნელს და ერთ სიტყვასაც არ დაჰრავდა, ისე გააგრძელებდა მუშაობას. როდესაც ამ პაწაწინა ოთახში ჰაერში პეტისმეტად შეიხუთებოდა, გამოალებდა ფანჯარას, რომელიც პრედსტრიტზე გადიოდა.

1928 წელს ფლემინგი დათანხმდა სტაფილოკოკებზე სტატიის დაწერას დიდი კრებულისათვის „System of Bacteriology“, რომელსაც სამედიცინო მეცნიერულ-კვლევითი საბჭო აქვეყნებდა. ცოტა უფრო ადრე ფლემინგის კოლეგა მეღვინე პრაისი (აწ პროფესორი პრაისი), რომელიც მასთან მუშაობდა, ამ მიკრობების ინვოლუციურ ფორმებს, „მუტაციებს“ სწავლობდა. ფლემინგს საერთოდ უყვარდა დამწყებ მეცნიერთა დამსახურების აღნიშვნა და ამიტომ გადაწყვიტა თავის სტატიაში პრაისის მოხსენიება. მაგრამ პრაისი, რომელსაც ჯერ კიდევ არ

ჰქონდა დაბოლოვებული თავისი კვლევა, განყოფილებიდან წავიდა. იგი კეთალსინდისიერი მეცნიერი იყო და არ სურდა მიღებული შედეგების გამჟღავნება მანამდე, სანამ კიდევ ერთხელ არ შეამოწმებდა მათ. ახალ საინსახურში კი ამას ჩქარა ვერ გააკეთებდა. ამიტომ ფლემინგი იძულებული გახდა გაემეორებინა პრაისის ნამუშევარი და შედგომოდა სტაფილოკოკების მრავალრიცხოვანი კოლონიების გამოკვლევას. იმისათვის, რომ მიკროსკოპში დაკვირვებოდა ამ კოლონიებს, რომლებიც აგარზე კულტივირდებოდნენ პეტრის ფინჯნებში, საჭირო იყო თავსახურავის მოხდა და საკმაოდ დიდხანს ღიად დატოვება, რაც დასენიანების საფრთხეს ჰქმნიდა.

ერთხელ პრაისი ლაბორატორიაში მივიდა და ფლემინგი მოინახულა. მასპინძელი, როგორც ყოველთვის, „ფინჯნებში იყო ჩამჯდარი“. ფრთხილი შოტლანდიელი მანამდე არ გადაყრიდა თავის კულტურებს, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ახალს ველარაფერს გამორჩებოდა. ლაბორატორიაში ისეთი უწყსრიგობა ჰქონდა, ზშირად დასცინოდნენ კიდევ ამის გამო. მაგრამ ფლემინგმა დაამტკიცა, რომ ზოგჯერ უწყსრიგობაც ნაყოფიერია. მან ხუმრობით წაუბუზღუნა პრაისს, შენი გულისათვის ხელახლა უნდა გავაკეთო ამხელა საქმეო და ამ ლაპარაკში რამდენიმე ჰვიღ კულტურას მოხადა თავსახურავი. ბევრი მათგანი ობისაგან გაფუჭებულიყო. ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავი იყო. „როგორც კი მოვხდი თავს კულტურიან ფინჯანს, - ვიცი, რომ უსიამოვნებას გადავეყრები, - სთქვა ფლემინგმა. — აუცილებლად რაიმე მოხვდება ჰაერიდან“. მკვლევარი უცებ გაჩუმდა, რაღაცას თვალყურება დაუწყო და თავისთვის ჩილაპარაკა: That is funny... ეს ძალიან უცნაურია“. ამ აგარზე, ისევე როგორც სხვებზე, გაზრდილიყო ობი, მაგრამ ამ ფინჯანში სტაფილოკოკების კოლონიები ობის გარშემო გახსნილიყო და ყვეთელი მღვრიე მასის ნაცვლად ცვარის მაგვარი წვეთები მოჩანდა.

პრაისის არაერთხელ უნახავს ამა თუ იმ მიზეზით გახსნილი მიკრობთა ჰველი კოლონიები. პრაისმა დაასკვნა, ცხადია ობი სტაფილოკოკების მომკვლელ რომელიღაც მჟაგას გამოყოფსო. ესეც ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ როდესაც შეამჩნია, რომ ფლემინგი განსაკუთრებით დაინტერესდა ამ მოვლენით, პრაისმა უთხრა: „სწორედ ასე აღმოაჩინეთ თქვენ ლიზოციმი“. ფლემინგმა არ უპასუხა. პლატინის მარყუჯით მცირეოდენი ობი მოხადა და ბულიონიან სინჯარაში ჩადო. ბული-

ონში გაზრდილი კულტურიდან პატარა ნაწილი აიღო, დააჯლოებით ერთი კვადრატული მილიმეტრის ფართობისა. აშკარად ეტყობოდა, რომ აუცილებლად უნდოდა ამ იდუმალი ობის შტამის შენარჩუნება.

„ვაოცებულნი დაერჩი, რომ იგი ნახულით არ დაკმაყოფილდა და მაშინვე დაიწყო მოქმედება, — გვიამბობს პრაისი. — ბევრმა ასე იცის, როდესაც აღმოაჩინეს რაიმე მოვლენას და გული უგრძობს ეს დიდ-მნიშვნელოვანიყო, მხოლოდ გაიკვირვებს და მალე საერთოდ გადაივიწყებს ამ ამბავს. ფლემინგი სხვა კაცი იყო. მასსოვს მეორე შემთხვევა, იმდროინდელი, როცა მე მასთან ვმუშაობდი. ვერა და ვერ მოვახერხებ ერთ-ერთი კულტურის მიღება, იგი კი მარწმუნებდა, წარუმატებლობისა და შეცდომებისაგან რაიმე სასარგებლო უნდა მიიღო. ეს დამახასიათებელი შტრახია ცხოვრებასთან მისი დამოკიდებულებისა“.

ფლემინგმა გვერდით გადადგა პეტრის ეს ფინჯანი და სიკვდილამდე სათუთად ინახავდა მას. ალექსა შემდეგ მეორე კოლეგასაც აჩვენა ფინჯანი: „შესედეთ, საყურადღებო ამბავია. მომწონს ასეთი რამ; ეს შეიძლება საინტერესო გამოდგეს“. კოლეგამ გამოიკვლია ფინჯანი, უკან დაუბრუნა და ზრდილობის გულისათვის მიუგო: „დიახ, ეს ძალზე საინტერესოა“. ფლემინგზე არ იმოქმედა ასეთმა გულგრილობამ, მან დროებით გადადო სტაფილოკოკებზე მუშაობა და უჩვეულო ობის შესწავლას მიჰყო ხელი.

რა არის ობი? იგი პაწაწინა სოკოა. გვხვდება მწვანეც, ყავისფერიც, შავიც კი. ეს ობი იზრდება ნესტიან საკუქნაოში და ძველ ფესხაცემელზე. ეს მცენარეული ორგანიზმები სისხლის წითელ ბურთულებზე უფრო პატარები არიან და მრავლდებიან ჰაერში არსებული სპორების მეოხებით. როდესაც ერთ-ერთი ასეთი სპორი მოხვდება ხელსაყრელ ნიადაგზე. გაიზრდება და გაფუვდება, შემდეგ ყოველმხრივ განიტოტება და გადაიქცევა მთლიან თეჭისებურ მასად.

ფლემინგმა რამდენიმე სპორი გადათესა აგარიან ფინჯანში და ოთხი თუ ხუთი დღე მოათევინა ოთახის ტემპერატურაზე. მალე წამოიზარდა პირველდაწყებითის მსგავსი ობი. ფლემინგმა იგივე აგარზე დათესა სხვადასხვა ბაქტერიები, ზოგი ზოლებად და ზოგიც სხივებად განალაგა ობის გარშემო. კულტურა ერთხანს თერმოსტატში ჰქონდა და როცა გამოიღო, გამოირკვა, რომ ზოგიერთმა მიკრობმა კი გაუძლო სოკოსთან

მეზობლობას, მაგრამ დანარჩენების ზრდა ობისაგან საკმაოდ შორ მანძილზე თუ აღინიშნებოდა. ობი მომაკვდილებელი გამოდგა სტრეპტოკოკებისა, სტაფილოკოკებისა, დიფთერიული ჩხირებისა და ციმბირის წყალულის ბაცილებისათვის; ტიფის ჩხირზე იგი არ მოქმედებდა.

აღმოჩენა ჭეშმარიტად საინტერესო გამოდგა. განსხვავებით ლიზოციმისაგან, რომელიც ეფექტური იყო ძირითადად უვნებელი მიკრობებისადმი, ობი, ალბათ, ისეთ ნივთიერებას გამოყოფდა, რომელიც აჩერებდა ზოგიერთი ყველაზე საშიში სნეულების გამომწვევითა ზრდას. მაშასადამე, იგი შეიძლება გამხდარიყო მძლავრი თერაპიული საშუალება. „ჩვენ აღმოვაჩინეთ ობი, რომელმაც შესაძლოა რაიმე სარგებლობა მოგვცეს“, — ამბობდა ფლემინგი. თავისი „პენიცილიუმი“ მან საკვებ ბულიონიან დიდ ჭურჭულში გაამრავლა. ზედაპირი დაიფარა სქელი თექისებური გოფირიებული მასით, რომელიც ჭერ თეთრი იყო, შემდეგ მწვანე გახდა და ბოლოს გაშავდა. დასაწყისში ბულონი გამკვირვალე იყო, რამდენიმე დღის შემდეგ უაღრესად ინტენსიურ ყვითელ ფერად შეიღება. საჭირო გახდა იმის დადგენა, ახასიათებდა თუ არა ამ სითხეს ობის ბაქტერიციდული თვისებები.

1922 წელს შემუშავებული მეთოდი ლიზოციმის გამოკვლევისა სწორედ ზედგამოჭრილი იყო ამ შემთხვევისათვის. აგარიან ფინჯანზე ფლემინგმა ამოჭრა ღარაკი და ყვითელი სითხით ამოავსო იგი, დათესა სხვადასხვა მიკრობები (სწორი კუთხით ღარაკის მიმართ) ზოლებანდ, რომლებიც ფინჯანის კიდეზე გადიოდა. სითხე ისეთივე აქტიური გამოდგა, როგორც ობი. იგივე მიკრობებმა განიცადეს დაშლა. მაშასადამე, სითხე შეიცავდა იგივე ბაქტერიციდულ (ანუ ბაქტერიოსტატიკურ) ნივთიერებას, რომელსაც ობი გამოჰყოფდა. მაინც რა ძალ-ღონის პატრონი იყო იგი? ფლემინგმა გამოსცადა ოცკერ, ორმოცკერ, ორასკერ და ხუთასკერ განზავებული ხსნარების მოქმედება. ხუთასკერ განზავებული ხსნარიც კი დამორგუნველად მოქმედებდა სტაფილოკოკების ზრდა-გამრავლებაზე. ნარინჯისფერ სითხეში მყოფი იდუმალი ნივთიერება თითქოსდა უჩვეულო აქტივობით იყო აღჭურვილი. ფლემინგს მაშინ შესაძლებლობა არ ჰქონდა დაედგინა, რომ სასარგებლო ნივთიერება ბულიონში იყო ერთ ტონაზე არა უმეტეს ერთი გრამის შეფარდებით. საგულისხმოა, რომ ზღვის წყალში ოქრო მეტი შეფარდებითაა.

ახლა საჭირო იყო ობის სახეობის დადგენა. არსებობს მისი ათასობით სახესხვაობა. მიკოლოგიაში* ფლემინგი დიდი ვერ ერკვეოდა. ამიტომ წიგნებს მიუჯდა და დაადგინა, რომ ეს ობი იყო „პენცილიუმ ქრიზოგენუმ“ (penicillium chrysogenum). იმ ხანებში სენტ-მერიში ფრიმენტან მუშაობდა და ასთმას სწავლობდა ახალგაზრდა ირლანდიელი მიკოლოგი კ. ჯ. ლა ტუში. იგი ფრიმენტანს მოიწვია, რადგან ერთი პოლანდიელი მეცნიერი ირწმუნებოდა, ნესტიან ბინებში მცხოვრებ ადამიანებში ასთმა ხშირ შემთხვევაში ობით არის გამოწვეული. ლა ტუში თავისებური ადამიანი იყო, ადვილად აპყვებოდა ხოლმე შთაბეჭდილებებს, ამიტომ ვერ შეეგუა რაიტის განყოფილებაში არსებულ მოუსვენარ ატმოსფეროს. მაგრამ მან მაინც მოასწრო თავისი კოლეგების დაჯერება ობის დიდმნიშვნელოვანებაში. ამხანაგები მოფერებით Old Mouldy (ძველ ობს) ეძახდნენ.

ფლემინგმა თავისი სოკო აჩვენა ლა ტუშს, რომელმაც გამოიკვლია იგი და „პენცილიუმ რუბრუმად“ (penicilium rubrum) მიიჩნია. ბაქტერიოლოგმა დაუჯერა სპეციალისტს და თავის პირველ ინფორმაციაში სწორედ ამ სახელწოდებით მოიხსენია ეს ობი. ორი წლის შემდეგ კი ცნობილმა ამერიკელმა მიკოლოგმა ტომმა დაადგინა, რომ ეს იყო „პენცილიუმ ნოტატუმ“ (penicilium notatum), სახესხვაობა, ახლომდგომი „პენცილიუმ ქრიზოგენუმთან“, რადაც მიიჩნია იგი პირველად ფლემინგმა. ლა ტუშმა გულთბილი წერილი გამოუგზავნა ფლემინგს და პატიება სთხოვა იმის გამო, რომ უნებურად შეცდა და არასწორი ცნობა მიაწოდა. ტომის წიგნიდან ფლემინგმა შეიტყო, რომ „პენცილიუმ ნოტატუმ“ პირველად შევედმა ფარმაკოლოგმა ვესტლინგმა აღმოაჩინა დამპალ უსუპზე**. „პრესვიტერიანელ“ ფლემინგს გაახსენდა 51-ე ფსალმუნი „Purge me with hyssop and I shall be cleansed“*** — პენცილიონის პირველი ხსენება.

ამ სიტხის ბაქტერიციდული მოქმედების შესასწავლად ჩატარებულმა ცდებმა დაარწმუნეს ფლემინგი, რომ იგი ანტიბიოზის მოკლენას წააწყდა. უმარტივესი ცოცხალი ორგანიზმი—ობი—გამოჰყოფდა ისეთ

* მეცნიერება, რომელიც სოკოებს შეისწავლის.

** ბუჩქოვანი მცენარე, ეთეროვანი ზეთის შემცველი.

მომასხურეთ უსუპი და განვიბანები (ინგლ.).

ნივთიერებას, რომელიც კლავდა სხვა ცოცხალ ორგანიზმებს — მიკრობებს. ამ ორი სახეობის მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია.

ქვეყნიერება სწორედ ისეა მოწყობილი, რომ ყველა ცოცხალი არსება არსებობისათვის ბრძოლაში სასიკვდილო მტრად იქცევა სხვისთვის. თითოეული მათგანი ბრძოლით მოულობს საზრდოს, პაერს, სივრცეს. ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ავსებენ — ერთი ორგანიზმი იკვებება მეორის გადანაყვარით, ასეთ შემთხვევაში კი შესაძლებელია თანაცხოვრება, ანუ სიმბიოზი. ხშირად პირიქით ხდება: ერთი ორგანიზმის თანაქონობლობა მეორისათვის დამლუპველია. 1889 წელს ფრანგმა ვიულმენმა პირველად ისმარა სიტყვა ანტიბიოზი და იგი ასე განსაზღვრა: „როდესაც ორი ცოცხალი სხეული მჭიდროდ დაკავშირდებიან და ერთი მათგანი განანადგურებლად მოქმედებს მეორის დიდ ან მცირე ნაწილზე, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს ანტიბიოზი“.

ასეთი მოვლენის განსაცვიფრებელი მაგალითია პათოგენური მიკრობები, რომლებიც დიდი რაოდენობით ხვდებიან წყალსა და მიწაში. საბედნიეროდ, მათი უმრავლესობა მალე იღუპება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ადამიანები იარსებებდნენ და ვერც ცხოველები. რა სპობს ამ მიკრობებს? ძირითადად მზე, გარდა ამისა უვნებელი ან კიდევ სასარგებლო მიკრობების ზემოქმედებაც. ჯერ კიდევ ძველებერძულ ხელნაწერებში გვხვდება ცნობები, რომ ზოგიერთი ეპიდემიური სნეულება აცხრობს სხვა დაავადებებს.

თაგის სამუშაო რვეულებში (Commonplace Books, რომელიც სამედიცინო ჭირურგიულ კოლეჯში ინახება) ლისტერმა 1871 წლის 25 ნოემბერს აღწერა შემდეგი მოვლენა: თავლიად დატოვებულ შარდიან ჭიქაში აღმოჩნდა უამრავი ბაქტერია, აგრეთვე მარცვლოვანი ძაფები, რომლებიც ობად ამოიციო მან. შეამჩნია რა, რომ ბაქტერიები თითქოსდა დათრგუნვილ მდგომარეობაში იყვნენ, ლისტერმა ჩაატარა ცდები იმის დასადგენად, ხომ არ გადაიქცეოდა სითხე მასში ობის გაზრდის შემდეგ არაკეთილსასურველ გარემოდ ბაქტერიებისათვის. ცდებმა დამარწმუნებელი შედეგი არ მისცა მკვლევარს, ამიტომ მან შეწყვიტა შემდგომი ექსპერიმენტირება. მაგრამ ლისტერმა ის კი დაადგინა, რომ როცა თექისებური მასა, რომელიც მას „პენიცილიუმ გლაუკუმი“ (*penicillium glaucum*) ეგონა, გადაეკეროდა შარდის ზედაპირს, „მიკ-

რობები ადგილზე შეშდებოდნენ და ჯანდავლებოდნენ“*. მისი აზრით, ეს ხდებოდა ქანგბადის უკმარისობის მიზეზით: პენიცილიუმი ბულიონიდან ნთქავდა ქანგბადს და ზედაპირზე გადაეკვროდა რა მას, პაერს აღარ უშვებდა მიკრობებთან.

1877 წელს პასტერმა და ჟუბერმა შეამჩნიეს, რომ თუ ციმბირის წყლულის ბაცილასთან ერთად ცხოველის ორგანიზმში შევიყვანთ ზოგიერთ არაპათოგენურ ბაქტერიას, ავადმყოფობა არ განვითარდება. ასეთ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ანტაგონიზმს, და ციმბირის წყლულის ბაცილა დამარცხებული მდგომარეობაშია.

„დაბალ საფეხურზე მდგომ არსებებში, — წერდა პასტერი, — უფრო მეტად, ვიდრე ცხოველური ან მცენარეული სამეფოს მაღალ საფეხურებზე მდგომ წარმომადგენლებში სიცოცხლე კლავს სიცოცხლეს. ორგანიზებული ფერმენტით ან აერობებით დასენიანებული სითხე ხელს უშლის დაბალ საფეხურზე მდგომი მეორე ორგანიზმის განვითარებას...“ და შემდგომ, აღნიშნავდა რა, რომ ციმბირის წყლულის ბაცილასთან ერთად შარდში დათესილი სავსებით ჩვეულებრივი ბაქტერია განვითარების საშუალებას არ აძლევს მას, პასტერი დასძინდა: „ფაქტი მეტად საგულისხმოა, ასეთივე მოვლენა აღინიშნება ციმბირის წყლულის მიმართ ყველაზე უფრო მკაცრობიარე ცხოველების ორგანიზმში: გამო-

* როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ლორდმა უებ-ჯონსონმა, პრეზიდენტმა სამედიცინო კონგრესის კოლეჯისა, რომლის ოქროს მედალიც ის-ის იყო მიენიჭა ფლეშინგს, გადასცა მას ლისტერის ჩანაწერი, ფლეშინგმა იქცა: „ძალზე სამწუხაროა, რომ 1871 წლის ნოემბერში ჩატარებული ცდები ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ჯერ კიდევ ლისტერი ფიქრობდა პენიცილინზე, მაგრამ იგი ან უხეირო ობს ურდოდა ანდა უხეირო ბაქტერიებს, შეიძლება არც ერთი ვარჯოდა და არც მეორე. მას რომ იღბალი ჰქონოდა, მედიცინის მთელი ისტორია შეიცვლებოდა და ლისტერი თავის სიცოცხლეშივე მოეწარებოდა იმის ნახვას, რასაც გამუდმებით ეძებდა — იგი მოიღებდა არატოქსიკურ ანტისეპტიკს.

ლისტერისა და პასტერის შემდეგ მეცნიერება ცდილობდნენ ერთი მკერობით მეორის მოკვლას. იღუა სწორი იყო, მაგრამ მისი განხორციელებისათვის უნდა დალოდებოდნენ იმ დღეს, როდესაც ფორტუნა მოინდომებდა, რომ ობს სპორებს დაესენიანებინათ ერთ-ერთი ჩემი კულტურა, შემდეგ კი, რამდენიმე წლის უკან, ის დღე დადგა, როცა ქიმიკოსები შეუდგნენ ამ ობს მიერ გამოყოფილი ნივთიერების შესწავლას და ხალას პენიცილინი მოგვეცა.

ლისტერი, უდავოდ, სეპედნიერი კაცი იქნებოდა, წილად რომ ხელიწოდა ასეთი წარმატება“ („სამედიცინო კონგრესის კოლეჯის ანალები“, ტ. VI, 1950 წლის თებერვალი).

ირკვა გასაოცარი ამბავი: თურმე შეიძლება, რომ რამდენიც გენებოთ, იმდენი ბაცილა ციმბირის წყლულისა შეეიყვანოთ ცხოველის ორგანიზმში და იგი მაინც არ დაავადდეს; ამისათვის საკმარისია ციმბირის წყლულის ბაცილის სუსპენზიაში ჩვეულებრივი ბაქტერიების დამატება. ეს ფაქტები. ჩანს, დიდ თერაპიულ შესაძლებლობათა პერსპექტივებს შექმნიან"

1897 წელს ლიონელმა ექიმმა დიუშენმა თავის დისერტაციას ასეთი სათაური მისცა (ეს თემა მას პროფესორმა გაბრიელ რუმ ურჩია): „ახალი ფაქტები მიკროორგანიზმების სასიცოცხლო კონკურენციის შესწავლაში. ანტაგონიზმი ობებსა და მიკრობებს შორის“. თავისი შრომის დასკვნით ნაწილში იგი წერდა: „გაგრძელება რა ობებსა და მიკრობებს შორის ბიოლოგიური კონკურენციის ფაქტების შესწავლა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოვლინდება ახალი ფაქტები, უშუალოდ გამოყენებადნი თერაპიაში“. მაგრამ არც ეს ექსპერიმენტები გაგრძელებულა.

ასე რომ, ანტიბიოზი ცნობილი მოვლენა იყო, მაგრამ 1928 წელს სამეცნიერო წრეებში არ იყო ხელსაყრელი „კლიმატი“ ამ საკითხის დამუშავებისათვის სისტემატური კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად. პირიქით, სრულიად სხვა „ამინდი იღვა“. ყველა ადრინდელმა ცდამ დაადასტურა, რომ ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც სპობდა მიკრობებს, ამავე დროს გამანადგურებლად მოქმედებდა ადამიანის ქსოვილებზე. ეს, თითქოსდა, უცილობელი აქსიომა იყო. რახან ნივთიერება ტოქსიკურია განსაზღვრული ცოცხალი უჯრედებისათვის, რატომ არ იქნება იგი ტოქსიკური სხვა უჯრედებისათვის; რომლებიც ასევე სუსტნი არიან?

„ის ფაქტი, რომ ბაქტერიული ანტაგონიზმი ცნობილი, თანაც კარგად ცნობილი, ფაქტი იყო, თითქოს უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე ესმარებოდა ანტიბიოზის ახალი სახის გამოკვლევას“, — წერდა ფლემინგი. ასეთი მოვლენები ინტერესს არ იწვევდა; ახალი თერაპიის აღმოჩენის არავითარ იმედს არ იძლეოდა. კერძოდ, რაიტის განყოფილებაში მის მიმართ საკმაოდ მტრული ატმოსფერო არსებობდა. პატრონი დარწმუნებული იყო, რომ ორგანიზმის დამცველი ძალების დახმარების აღმოსაჩენად ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა იმუნისაცია. თვით ფლემინგმა რამდენიმე ბრწყინვალე ნაშრომით დაამტკიცა, რომ ყველა ანტი-სეპტიკმა მარცხი განიცადა. მან აღმოაჩინა მანამდე უცნობი ბუნებ-

რევი დაცვა — ლიზოციმი. იგი შეეცადა გაეზარდა ამ ნივთიერებში
კონცენტრაცია სისხლში. მაგრამ ამას ვერ მიაღწია. თუ მხედველობაში
არ მივიღებთ უფრო დიდ პარაზიტებს (ტრიპანოზომი და სპიროქეტა),
„მაგიური ტყვია“, რომელზედაც ოცნებობდა ერლიხი, კვლავ განუზო-
ციელებელ ოცნებად რჩებოდა. რაიტს სრული უფლება ჰქონდა განე-
ცხადებინა, ისევე როგორც 1912 წელს, რომ „ადამიანის დაავადებათა
ქიმიოთერაპია არასოდეს არ იქნება შესაძლებელი...“

მაგრამ ფლემინგს აზრის აკვიატება არ სჩვეოდა, და მან თავისი
ობიანი ბულიონის გაუგებარ მოქმედებაში იმედის სხივი დაინახა. ვინ
იცის, იქნებ სწორედ ესაა ის ნივთიერება, რომელსაც ეძებდა იგი მთე-
ლი ცხოვრების განმავლობაში. და თუმცა ძალზე შორეული და სუსტი
იყო სინათლის საიმედო შუქი, იგი შეეცადა მასთან მისვლას. ყოველ-
გვარი კვლევა-ძიება შეწყვიტა და მხოლოდ ამ საქმეს მოჰყიდა ხელი.
და აი რა მოიმოქმედა მან.

ბედი მხოლოდ მოშხადებულ ვინებს
წყალობს

პასტერი

სპორები კი მაინც არ გაიზარდნენ
აგარზე, რომ ეთქვათ ჩემთვის: „იცო-
დღე, ჩვენ გამოვეყვით ანტიბიოტიკს“.
ფლემინგი

პრედ-სტრიქტიდან შემოტანილი იდუმალი ობი გამო-
ყოფდა ნივთიერებას, რომელიც თრგუნავდა ზოგიერთი პათოგენური
მიკრობის განვითარებას. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო იმის დად-
გენა, სხვა ობებსაც ჰქონდათ თუ არა ეს თვისება? ფლემინგის მეგობ-
რებს ახსოვთ, რომ იმ ხანებში დაობებული საგნის დანახვაზე მკვლე-
ვარს თვალები გაუბრწყინდებოდა ხოლმე, ახსოვთ, რომ ყველას ეხვე-
წებოდა, მწვანე ობმოკიდებული ძველი ფეხსაცმელი გექნებათ სადმე
მიგდებული და მომიტანეთო. მოქანდაკე ჯენინგსი, ჩელსის კლუბის
წევრი, იგონებს, თუ როგორ მიმართა ერთხელ ფლემინგმა მის გარშემო
შემოკრებილ მხატვრებს: „მეგობრებო, თუ რომელიმე თქვენთაგანს
დაობებული ფეხსაცმელი აქვს, დამავალეთ და მაჩუქეთ“. ვილაცამ
პკითხა, რად გინდათო? „ერთი ჩემი ლაბორატორიული სამუშაოსათ-
ვის მჭირდება“, — უპასუხა ფლემინგმა.

ცდებით დადასტურდა, რომ ფლემინგის მიერ გამოკვლეული არც
ერთი სხვა ობი არ გამოჰყოფდა ანტიბაქტერიულ ნივთიერებას. მაშასა-
დამე, მისი „პენიცილიუმი“ მეტი ყურადღების ღირსი ყოფილა კვლევა-
ძიების გასაგრძელებლად ფლემინგს დიდი რაოდენობით სჭირდებოდა
ობიანი ბულიონი.

ერთი ხანი იყო, რაც მასთან მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა ასისტენ-
ტმა სტიუარტ კრადოკმა. ფლემინგმა სთხოვა მას დანხარებოდა მერკუ-
როქრომზე მუშაობაში და გამოერკვია, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ
მცირე დოზების გამოყენებით ამ პრეპარატს კი არ მოეკლა, არამედ

მხოლოდ დაეთრგუნა მიკრობები და ამრიგად გაედილებინა ფაგოციტების მუშაობა. „ფლემინგი წარამარა მეუბნებოდა, რომ ერთ-ერთი ნამდვილი ანტისეპტიკი იქნება ის, რომელიც შეაჩერებს მიკრობთა გამრავლებას და არკი დაარღვევს ქსოვილებს, — გვიამბობს კრადოკი. — იმ დღეს, როდესაც მიკვლეული იქნება ასეთი ნივთიერება, დასძენდა იგი, სრულიად შეიცვლება ინფექციის მკურნალობის მეთოდები“. ეს იყო მკვლევარის მთელი ცხოვრების ლაიტმოტივი.

არ გაუგლია დიდხანს, რომ ფლემინგმა კრადოკს შეაწყვეტინა მერკუროქრომის კვლევა და ობიანი ბულიონის წარმოება დაავალა. პირველ ხანებში ისინი „პენიცილიუმს“ ხორცის ბულიონზე ზრდიდნენ ოცდაჩვიდმეტი გრადუსის პირობებში. მაგრამ მიკოლოგმა ლა ტუმშმა უჩინა, „პენიცილიუმისათვის“ ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურა ოცი გრადუსიაო. კრადოკის სამუშაო ოთახში დადგეს დიდი შავი თერმოსტატი. კრადოკი ობის სპორებს თესავდა ბრტყელ ბოცებში, რომლებიც ვაქცინის დასამზადებლად იყო განკუთვნილი, და ერთი კვირით დგამდა თერმოსტატში. ამრიგად, იგი ყოველდღიურად ორასიდან სამას კუბიკურ სანტიმეტრამდე ღებულობდა იდუმალი ნივთიერების შემცველ ბულიონს. ამ ბულიონს ატარებდა ზაიცის ფილტრში. ამისათვის კი ხმარობდა ველოსიპედის ტუმბოს. ერთი სიტყვით, ძალიან უბრალო და კუსტარულ მეთოდს იყენებდა.

ფლემინგი განაგრძობდა კულტურის შესწავლას. აზუსტებდა, თუ ზრდის დაწყებიდან მერამდენე დღეს, რამდენ გრადუს ტემპერატურაზე და რომელ საკვებ ნიადაგზე შეიძლებოდა ყველაზე უფრო დიდი ეფექტის მიღება მოქმედი საწყისისაგან. აპარატურა, რომელიც საკმაოდ გააუმჯობესა მან ლიზოციმზე მუშაობისას, საშუალებას იძლეოდა გაეზომათ კულტურის აქტივობა და კონცენტრაცია. ფლემინგმა შეამჩნია, რომ თუ ბულიონს შეინახავდა ლაბორატორიის ტემპერატურაზე, იგი სწრაფად კარგავდა ბაქტერიციდულ თვისებას. მაშასადამე, ეს სასწაულმოქმედი ნივთიერება სრულიადაც არ იყო მდგრადი. მკვლევარმა დაადგინა, რომ იგი უფრო გამძლე ხდებოდა, თუკი ბულიონის ტუტოვან რეაქციას (pH 9) მიეუხაზლოვებდით ნეიტრალურს (pH 6 — 8).

დაბოლოს, ფლემინგმა შეძლო თავისი ბულიონის გამოცდა ტოქსიკურობაზე. აღსანიშნავია, რომ ადრე ასეთ გამოცდას ვერც ერთმა ანტისეპტიკმა ვერ გაუძლო. მისდა სასიხარულოდ, რაკ. სხვათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გაუხშიანებია ფლემინგს, გამოირკვა,

რომ ეს ფილტრატი, რომელსაც უდიდესი ანტიბაქტერიული ძალა ჰქონდა ცხოველებისათვის, ჩანს, უმნიშველო ტოქსიკურობას იჩენდა. ბოცგერის ორგანიზმში ვენასშიდა გზით შეყვანისას ოცდახუთი კუბიკური სანტიმეტრი ფილტრატი იმაზე მეტ ტოქსიკურობას არ იწვევდა, რასაც განაპირობებდა ასეთივე რაოდენობის ბულიონის შეყვანა. ოცგრამიანი თავის მუცლის ღრუში შეყვანილმა ნახევარ კუბიკურმა სანტიმეტრმა ბულიონმა ინტოქსიკაციის არავითარი სიმპტომი არ გამოიწვია. ადამიანის კანის ვრცელ უბანზე სისტემატური მოსსურებაც მოშხამვის არავითარ ნიშანს არ იძლეოდა, უფრო მეტიც — მთელი დღის განმავლობაში თვალის კონიუნქტივის ყოველსაათობრივმა დასველებამ გაღიზიანებაც კი არ გამოიწვია. ექვსასჯერ განზავებული ნივთიერება *in vitro* ისევე აჩერებს სტაფილოკოკების ზრდას, როგორც ჩვეულებრივი ბულიონი.

ყოველივე ეს უაღრესად საგულისხმო და საინტერესო იყო. „ბოლოს და ბოლოს მან იპოვნა ისეთი ანტისეპტიკი, რომელზედაც მუდამ ოცნებობდა, — გვიამბობს კრადოკი, — მან აღმოაჩინა ნივთიერება, რომელიც განზავებული სახითაც კი ახდენდა ბაქტერიციდულ, ბაქტერიოსტატიკურ და ბაქტერიოლიზურ მოქმედებას და არ კი ვნებდა ორგანიზმს...“ სწორედ იმ ხანებში კრადოკი ავად იყო სინუსიტით — ცხვირის დანამატი ღრუების ანთებით. ფლემინგმა პენიცილინის ბულიონით გამოურეცხა მას ცხვირის ღრუ. მკვლევარის ლაბორატორიულ ჩანაწერებში აღნიშნულია: „1929 წლის 9 იანვარი. ფილტრატის ანტისეპტიკური მოქმედება კრადოკის დანამატ ღრუებზე:

1. ცხვირიდან გამონაყოფის ნათესი აგარაზე: 100 სტაფილოკოკი, რომლებიც გარშემორტყმული არიან შირიადობით პფაიფერის ჩხირებით. მარჯვენა დანამატ ღრუში შევიყვანე კუბიკური სანტიმეტრი ფილტრატი.

2. ნათესი სამი საათის შემდეგ: სტაფილოკოკების ერთი კოლონია და პფაიფერის ჩხირების რამდენიმე კოლონია. ნაცხი — იმდენივე ბაქტერია, რამდენიც იყო წინათ, მაგრამ თითქმის ყველა ფაგოციტირებულია“.

ამრიგად, ძლიერ განზავებულიც კი ეს ნივთიერება თითქმის ყველა სტაფილოკოს ხოცავდა. პფაიფერის ჩხირებზე რომ არ იმოქმედა ფილტრატი, ეს ფლემინგს არ გააკვირვებდა: ისინი ხომ იმ მიკრობებს ეკუთვნოდნენ, რომლებმაც პირველივე ცდების დროს გამოიჩინეს გამძ-

ლეობა. გაუსუფთავებელი პენიცილინით ადამიანის მკურნალობის პირველმა უბრალო ცდამ უშედეგოდ არ ჩაიარა.

კრადოკმა სცადა პენიცილინის გამრავლება რძეზე. ერთი კვირის შემდეგ რძე მკვადებოდა და ობი მას „სტილტონის“^{*} მაგვარ მასად აქცევდა. ეს ყველი შექამეს კრადოკმა და ერთმა ავადმყოფმა, მაგრამ ამან არც არგო, და არც აწყინა მათ. ფლემინგმა საავადმყოფოში მომუშავე კოლეგებს სთხოვა ნება მიეცათ მისთვის გამოეცადა თავისი ფილტრატი ინფიცირებული ჭრილობის მქონე ავადმყოფებზე. კრადოკის შემდეგ პირველი ადამიანი, რომელსაც ფლემინგმა ბულიონით ჩაუტარა მკურნალობა, ქალი იყო. პადინგტონის ვოჯბლიდან გამოსვლის დროს დაცურებოდა ფეხი და ავტობუსის ქვეშ მოყოლოდა. დაშავებული სენტ-მერიში მოიყვანეს. ფეხზე საშინელი ჭრილობა ჰქონდა. ამპუტაცია გაუკეთეს, მაგრამ სეფსისი დაეწყო და ავადმყოფი განწირული აღმოჩნდა. ფლემინგმა, რომელსაც კონსულტაციისათვის მიმართეს კოლეგებმა, უიმედობა გამოთქვა, მაგრამ მაშინვე დასძინა: „ჩემს ლაბორატორიაში ერთი უცნაური ამბავი მოხდა: მე მაქვს კულტურა სტაფილოკოკებისა, რომლებიც შთანთქა ობმა.“ მან სახვევი დაასველა ობიან ბულიონში და ამპუტირებულ ზედაპირზე დაადო ავადმყოფს. მაინც დაიანც დიდი იმედი არა ჰქონია მკვლევარს თავისი მკვლელობის. ჭერ ერთი, ხსნარი ძალზე სუსტი კონცენტრაციისა იყო და, მეორეც, ავადმყოფობა უკვე მთელ ორგანიზმში იყო მოღებული: როგორც მოსალოდნელი იყო, ფლემინგის მოწადინებას შედეგი არ მოჰყოლია.

მაგრამ ფლემინგი კვლავინდებურად დარწმუნებული იყო, რომ მის აღმოჩენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სერ ალექსანდრ მაკ-კოლი მოგვითხრობს: ერთხელ, ეს იყო 1928 წელს, „ალეკი და მისის ფლემინგი კვირა დღეს სტუმრად მეწვიენ. სახლში შემოსვლისას ფლემინგმა ჭიბიდან მინის ფირფიტა ამოიღო, ჩემს ცოლს უჩვენა და უთხრა: „ამ ფირფიტიდან ჩამოვლენ ნივთიერებანი, რომლებიც მთელ ქვეყნიერებას განაცვიფრებენ“. ჩემმა მეუღლემ გამქირდავად უთხრა: „პო, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ კუჭუყიანი მინაა!“

სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფლემინგმა ობის მიერ ბულიონში გამოყოფილი ნივთიერების მონათვლა. ამ ნივთიერებას მან პენიცილინი

* როკფორის ტიპის ყველი. ეს შედარება არც როკფორისა და არც სტილტონის ყველის მკეთებლებს არ მოეწონებათ.— ავტორისეული შენიშვნა.

უწოდა. ეს სიტყვა „საესებით კანონზომიერადაა ნაწარმოები, — განმარტა მან შემდგომში, — penicillium-დან, ისევე როგორც სწორადაა ნაწარმოები დიგიტალისი digitale-დან“. თუმცა ანტიბაქტერიული მოქმედი საწყისი გამოყოფილი არ ჰქონდა, ფლემინგი გაუსუფთავებელ ფილტრატს მაინც პენიცილინს უწოდებდა, მაგრამ მისი ნალაპარაკებიც და ოფიციალური ინფორმაციებიც მიგვანიშნებს, რომ მკვლევარს, უდავოა, სწორედ ფილტრატში შემავალი ანტიბაქტერიული ნივთიერება აინტერესებდა.

ახლა მოსი ოცნება ამ მოქმედი საწყისის ექსტრაგირება იყო. მინია ჰეგახსენოთ, მკითხველო, რომ ფლემინგი არ იყო ქიმიკოსი, მაგრამ კანყოფილებაშიც არ ჰყავდათ ქიმიკოსი ან ბიოქიმიკოსი. რაიტს ერთხელ ასეთი აფორიზმი წარმოუთქვამს: „ბიოქიმიკოსები იმდენად როდი არიან ჰუმანისტები, რომ სასურველ კოლეგებად მივიჩნიოთ“. მართალია, არ არსებობდა არავითარი ისეთი მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლიდა ბიოქიმიკოსს ჰუმანისტობაში, მაგრამ ასეა თუ ისე, ქიმიას თავისი წარმომადგენელი არ ჰყოლია ლაბორატორიაში, თუ არ ჩავთვლით ახალგაზრდა დოქტორს ფრედერიკ რიდლს, რომელსაც, მართალია, ქიმიკოსობა არ ესწავლა, მაგრამ მაინც საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო ამ დარგში. სწორედ ამიტომ მიმართა მას 1926 წელს ფლემინგმა თხოვნით გამოეყო ხალასი ლიზოციმი. და ახლაც ისევ რიდლის სთხოვა მან კრადოკთან ერთად მოეხდინა ანტიბაქტერიული მოქმედი საწყისის ექსტრაგირება.

„ყველა ჩვენთაგანისათვის ცხადი იყო, — გვიამბობს კრადოკი, — რომ სანამ პენიცილინი ბულონიშია შერეული, არ შეიძლება მისი გამოყენება საინექციოდ. საჭირო იყო მისი გასუფთავება უცხო ცილისაგან“. უცხო ცილის განმეორებით შეყვანას შეიძლება ანაფილაქსია გამოეწვია. სანამ დაიწყებოდა პენიცილინის სერიოზული გამოცდა კლინიკაში, აუცილებელი იყო მისი ექსტრაგირება და კონცენტრირება. „მე ყოველთვის ვთვლიდი, — განაგრძობს კრადოკი, — რომ საჭიროა პენიცილინის ექსტრაგირება და გასუფთავება, რათა იგი საინექციოდ იქნეს გამოყენებული. მერკუროქრომზე მუშაობას რომ მავალეებდა, ფლემინგმა მითხრა, თუ იგი ტოქსიკური არ აღმოჩნდა, შეიძლება როდისმე ვენასშიდა შესხაპუნებისათვის გამოდგესო. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ასეთივე იმედს ამყარებდა პენიცილინზე, მაგრამ იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ ჩვენ შევძლებდით ხალასი და მდგრადი ნივთიერების გამოყოფას ბულონიდან“.

და აი ორმა ახალგაზრდა მეცნიერმა რიღლიმ და კრადოკმა, რომელთაც ახალი დამთავრებული ჰქონდათ სამედიცინო სასწავლებელი, ხელი მოჰკიდეს ამ რთულ საქმეს: ქიმიური ამოცანის გადაწყვეტას, რაც გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. და გასაოცარი ისაა, რომ თვითონაც რომ არ მოელოდნენ, კინალამ ისეთი წარმატება მოიპოვეს. „რიღლის საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა ქიმიაში და იცოდა ამ დარგში მოპოვებული უკანასკნელი წარმატებები, — გვიამბობს კრადოკი, — მაგრამ ექსტრაგირების მეთოდის მანაც წიგნებით ვეცნობოდით. წავიკითხეთ ჩვეულებრივი მეთოდის აღწერა: გამხსნელად იხმარება აცეტონი, ეთერი ან სპირტი. ბულიონის დამდუღვრა საჭირო იყო საკმაოდ დაბალ ტემპერატურაზე, რადგან, უკვე ვიცოდით, რომ სითბო შლიდა ჩვენს ნივთიერებას. მაშასადამე, პროცესი ვაკუუმში უნდა ჩაგვეტარებინა. როდესაც ამ სამუშაოს შევუდექით, თითქმის არაფერი ვიცოდით, და ბოლოში გასულთაც მხოლოდ ჰიტრემკოდნენი დაგვერქმეოდა; მართალი გითხრათ, თვითგანვითარებას ვეწეოდით.“

ისინი მუშაობდნენ ერთ ვიწრო დერეფანში, სადაც წყლის ბაკანი იდგა და, სანამ ლაბორატორია გადმოვიდოდა აქ, სათბურებს რეცხავდნენ და ავსებდნენ, აგრეთვე შარდით სავსე ჭურჭელს ინახავდნენ. ახალგაზრდა მეცნიერები ამ „ვიწროობაში“ მუშაობას იმიტომ დათანხმდნენ, რომ აქ წყალსადენიც იყო და ვაკუუმ-ტუმბოც. მათ თვითონ აწყვეს აპარატურა ლაბორატორიაში არსებული მოწყობილობისაგან. ბულიონს ვაკუუმში მდუღრავენ, რადგან, მოგახსენეთ, რომ პენიცილინი გახურებისას იშლებოდა. დამდუღვრის შემდეგ ბოცის ფსკერზე რჩებოდა სიროფისმაგვარი ყავისფერი მასა, რომელშიც პენიცილინის შემცველობა დაახლოებით ათჯერ მეტი იყო, ვიდრე ბულიონში. მაგრამ ამ „დამდნარი კარამელის“ გამოყენება შეუძლებელი იყო. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ კრისტალის სახით მიეღოთ ხალასი პენიცილინი.

„პირველ ხანებში ოპტიმიზმით ვიყავით აღსაყვანი, — გვიამბობს კრადოკი, — მაგრამ გადიოდა კვირეები და ჩვენ კვლავდაკვლავ მწებვარე მასას ვღებულობდით, რომელიც ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად არამდგრადი იყო. კონცენტრატი თავის თვისებებს მხოლოდ ერთი კვირის მანძილზე ინარჩუნებდა. ორი კვირის შემდეგ კი იგი საბოლოოდ კარგავდა აქტივობას“. შემდგომ, როდესაც ჩაინის დიდი შრომის შედე-

გად მიღებულ იქნა ხალასი პენიცილინი, კრადოკი და რიდლი მიხედნენ, თუ რა ახლოს ყოფილან ისინი მიზანთან. „მაშინ კი, ბუნებრივია, არ შეგვეძლო გვეოდნოდა, რომ მხოლოდ უკანასკნელი დაბრკოლება გვექონდა გადასალახავი. ვინ მოთელის რამდენჯერ დავრჩით ხელმოცარულნი! რამდენჯერ გვეგონებოდა. აი, იგი ჩვენს ხელთააო, შევღვაძდით მაცივარში, და ერთი კვირის შემდეგ იშლებოდა. გამოცდილი ქიმიკოსი რომ მოგვევლინებოდა იმ მომენტში, ჩემი აზრით, იგი დაგვაძლევინებდა ამ უკანასკნელ დაბრკოლებას. და მაშინ აუცილებლად გამოვქვეყნებდით ინფორმაციას ჩვენს მუშაობაზე. მაგრამ სპეციალისტი არსად ჩანდა“. ამრიგად, ხალასი პენიცილინის მისაღებად გამიზნული ცდების ჩატარება შეწყდა.

ახალგაზრდა სპეციალისტებმა თავი დაანებეს პენიცილინზე მუშაობას პირადული მიზეზების გამოც. კრადოკმა ცოლი შეირთო და ლაბორატორია „ველკომში“ გადავიდა სამუშაოდ, რადგან იქ უფრო დიდ ხელფასს აძლევდნენ. რიდლი ფურუნკულოზით ავადმყოფობდა და ამოდ ცდილობდა ვაქცინებით განკურნებას. ამან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. თავი მიანება პენიცილინს და ზღვაზე სამოგზაუროდ გაემგზავრა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ამით განიკურნებოდა. ნამდვილად სასიერო ამბავი ისაა, რომ თუკი მოახერხებდა ხალასი პენიცილინის მიღებას. ეს ხომ უებარი წამალი იყო და მაშინვე მოარჩენდა ფურუნკულოზისაგან. მოგზაურობიდან დაბრუნებული რიდლი ოფთალმოლოგიას გაჰყვა და შემდგომ ამ დარგში მუშაობდა. მართალი მოგახსენოთ, სავსებით ბუნებრივია, რომ რიდლიმ და კრადოკმა ფარხმალი დაჰყარეს და აღარ განაგრძეს თავიანთი კვლევა-ძიება. ისინი ქიმიკოსები არ იყვნენ და რამდენიმე კვირის განმავლობაში არნახულ შრომას ეწეოდნენ ერთი „პარტია“ პენიცილინის მისაღებად, რომელიც მაშინვე განიცდიდა დაშლას. ეს უაღრესად არაპრაქტიკული იყო და შესაძლებელიც რომ ყოფილიყო ავადმყოფის მკურნალობა პენიცილინით, ერთი კაცის ქონება ვერ აუთავდებოდა ამ ხარჯს.

ფლემინგი აქტიურ მონაწილეობას არღებულობდა კრადოკისა და რიდლის მუშაობაში. „მე ბაქტერიოლოგი ვარ, — ამბობდა იგი, — და არა ქიმიკოსი“. მან ამ არაახალგაზრდა ენთუზიასტ ქიმიკოსს მიანდო. ხალასი პენიცილინის მიღება, თვითონ კი, სავსებით დარწმუნებული, უცდიდა შედეგს. ამ ხნის განმავლობაში ფლემინგმა მოამზადა ინფორმაცია პენიცილინზე და 1929 წლის 13 თებერვალს წაიკითხა იგი სამე-

დიცინო მეცნიერულ-კვლევით კლუბში. იქ დამსწრე სერ ჰენრი დელის ახლავს მსმენელთა რეაქცია — იგი დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ლიზოციმის დროს. „ჰო — ვამბობდით ჩვენ. — მშვენიერი დაკვირვებებია, ფლემს რომ უყვარს, სწორედ ისეთი.“ ესეც კია, რომ ფლემინგს სიერთოდ არ ემარჯვებოდა აუდიტორიისათვის თავისი შრომის გაცნობა. „იგი ძალიან მორცხვობდა და მეტისმეტად თავმდაბლურად მოუთხრო მსმენელთ თავის აღმოჩენაზე. უხალისოდ ლაპარაკობდა, მხრებს იწურავდა ხოლმე, თითქოს ცდილობდა დაეჯინებინა იმის მნიშვნელობა, რასაც იტყობინებოდა... მიუხედავად ამისა, მისმა ბრწყინვალე ნატიფმა დაკვირვებებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა“. შესაძლოა ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ აუდიტორიას არაფრით გამოუშეღავნებია თავისი შთაბეჭდილება და საოცარი ქედმალლობით, ლამის მტრული განწყობილებით შეხვდა ახალ მეცნიერულ ამბავს.

ჩვეულებრივ, როცა კლუბის წევრები ინფორმაციას ყურადღების ღირსად ჩათვლიან ხოლმე, შეკითხვებს იძლევიან, და რაც უფრო მეტა შეკითხვა, მით უფრო ცხოველი ინტერესის გამომხატველია ეს. კათედრაზე მდგომი მომხსენებელი ელოდება შეკითხვებს, და, თუ შეკითხვები არაა, საშინლად იტანჯება ამ მდუმარე დარბაზში. ფლემინგს ისეთივე მძიმე განცდა ჰქონდა პენიცილინზე ინფორმაციის გაკეთებისას, როგორც მაშინ, როცა ლიზოციმის შესახებ მოახსენა აუდიტორიას. არც ერთი შეკითხვა, მაშინ როდესაც მომდევნო ინფორმაციამ „ვაქცინაციის დროს წარუმატებლობის ბუნებაზე“ ცხოველი აზრთა გაცვლა გამოცვლა გამოიწვია. ფლემინგი დარწმუნებული იყო, რომ მის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ განცვიფრებული დარჩა ასეთი ცივი მიღებით. 1952 წელს, როდესაც იგი დიდებულ მწვერვალზე ავიდა, ფლემინგი მწარედ იგონებდა ამ „საშინელ წუთებს“. მაგრამ მაშინ, 1929 წელს, მას არაფრით არ გაუშეღავნებია სასომიხიდილება. მან იცოდა თავისი თავის ფასი; ეს კი ძალას მატებდა და საშუალებას აძლევდა გარეგნულად მაინც შეენარჩუნებინა სრული სიმშვიდე.

ამის შემდეგ მეცნიერული ჟურნალისათვის („ექსპერიმენტული პათოლოგია“) ფლემინგმა დაწერა სტატია პენიცილინზე. მისი პირველი ნაშრომი ამ თემაზე ისეთი მკაფიო, შეკუმშული და ზუსტია, რომ ნამდვილად შედეგად ჩაითვლება. სულ რამდენიმე გვერდზე აღწერს ყველა

ფაქტს; სათანადოდ აფასებს რიდლის მოწადინებას ხალასი ნივთიერების ვაქოსაყოფად: ამტკიცებს, რომ რაკი პენიცილინი იხსნება აბსოლუტურ სპირტში, მასთანადამე, იგი არც ფერმენტია და არც ცილა. აღსაცურებს, რომ ეს ნივთიერება სისხლში შეიძლება უხიფათოდ იქნეს შეყვანილი. რომ იგი ყველა სხვა ანტისეპტიკზე უფრო ეფექტურია და შეიძლებოდა გამოყენებულიყო ინფიცირებული უბნების სამკურნალოდ, და რომ იგი ასევე სწავლობს მის მოქმედებას ჩირქოვანი ინფექციების დროს. დასკვნით ნაწილში იგი იმეორებს ძირითად დებულებას, კერძოდ:

1. პენიცილიუმს გარკვეული სახეობა საკვებ ნივთიერებაზე გამოიმუშავებს ძლიერ ანტიბაქტერიულ ნივთიერებას... პენიცილინი უდიდესი დოზებითაც კი არ არის ტოქსიკური ცხოველებისათვის და ამიტომ არ იწვევს მათში გაღიზიანების მოვლენებს... 8. ეფექტური ანტისეპტიკის სახით მოწონებულ უნდა იქნეს მისი გამოყენება გარეგან სახმარ საშუალებად ანდა პენიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკრობებით ინფიცირებული უბნის დასაჩსვლეთად.

ამ დასკვნამ გამოიწვია პირველი და ვგონებ ერთადერთი უთანხმოება ფლემინგსა და მის მასწავლებელს შორის. რაიტმა, სანამ ამ სტატიის დაბეჭდვის ნებართვას მისცემდა, წაიკითხა იგი (ეს „ნებართვა გამოქვეყნებაზე“ მიღებული წესი იყო განყოფილებაში) და მოითხოვა მერვე პარაგრაფის ამოღება. რაიტი ხომ მუდამ იმას ამტკიცებდა, მოქმედი რიანი მხოლოდ დამცველი ძალები ორგანიზმისა და ვაქცინებით და განა მან ფლემინგთან ერთად მტრად არ გამოაცხადა ანტისეპტიკები? მაგრამ ფრთხილი და წინდახედული ფლემინგი, რომელიც ათასჯერ აწონ-დაწონიდა სიტყვას, სანამ წარმოთქვამდა, ფლემინგი, რომელიც ბაქტერიოლოგისათვის ყველაზე უფრო საჭებრად თვლიდა იმ სიტყვებს. რომლებიც შემდგომში ეიულ ბორდზე თქვა: „იმ ხანებში ბევრი ახალი თეორია იქნა გამოყენებული, მაგრამ ხშირად ისინი მოკლებული იყვნენ დამაჯერებელ მეცნიერულ საფუძვლებს. ბორდემ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაობა დაიწყო არა ახალი თეორიების გამოსაგონებლად, არამედ ფაქტების შესაკრებად“, — დიახ, ეს ფლემინგი მტკიცედ იცავდა თავისი დაკვირვებების შედეგებს, და მერვე პარაგრაფი დარჩა სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა 1929 წლის ივნისში.

იმის მოლოდინში, თუ როდის მისცემდნენ საავადმყოფოს ექიმები

და ქირურგები ავადმყოფებზე პენიცილინის გამოყენების შესაძლებლობას (ამ ცდების შედეგები მან დაბეჭდა 1931—1932 წლებში), ფლემინგმა დაამთავრა თავისი ნაშრომი სტაფილოკოკებზე. იგი გამოქვეყნდა „System of Bacteriology“-ში. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დაუბრუნდა ამ თემას „ბანდაბერგის კატასტროფასთან“ დაკავშირებით. 1929 წელს ავსტრალიაში, ბანდაბერგში (კვისლენდი) ბავშვებს გაუყეთეს ღიფთერიის საწინააღმდეგო აცრა, და ოცდაათობმეტი საათის შემდეგ თორმეტი მათგანი დაიღუპა. ვაქცინა დასენიანებული აღმოჩნდა ძალზე ვირულენტური სტაფილოკოკით.

სწორედ ამ ხანებში ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო ქიმიკოსი, პროფესორი პაროლდ რაისტრიკი, რომელიც ბიოქიმიას ასწავლიდა ტროპიკულ სწეულებათა და ჰიგიენის ინსტიტუტში, დაინტერესდა ობების მიერ გამოყოფილი ნივთიერებებით და, კერძოდ, პენიცილინით. მას დაუკავშირდნენ ავრეთვე ბაქტერიოლოგი ლოველი და ახალგაზრდა ქიმიკოსი კლეტერბუკი. მკვლევარებმა შტამები მიიღეს როგორც თვით ფლემინგისაგან, ისე ლისტერის ინსტიტუტიდან. რაისტრიკის ჯგუფმა „პენიცილიუმი“ გამოზარდა არა ბულიონზე, არამედ სინთეზურ ნიადაგზე. რაისტრიკის ასისტენტმა კლეტერბუკმა ბიოქიმიური თვალსაზრისით გამოიკვლია ფილტრატი, ლოველმა — ბაქტერიოლოგიურად.

რაისტრიკმა გამოჰყო სითხის შემღებავი ყვითელი პიგმენტი და დაამტკიცა, რომ იგი არ შეიცავს ანტიბაქტერიულ ნივთიერებებს. მიზანი, რა თქმა უნდა, თვით ამ ნივთიერების გამოყოფა იყო. რაისტრიკმა შესაძლო ეთერში გახსნილი პენიცილინის მიღება. იგი იმედოვნებდა, რომ ააორთქლებდა რა ეთერს, მიიღებდა ხალას პენიცილინს, მაგრამ ამ ოპერაციის დროს არამდგრადი პენიცილინი, როგორც საერთოდ ყოველთვის, ქრებოდა. თვით ფილტრის აქტივობა ყოველკვირეულად მკირდებოდა და ბოლოს იგი საერთოდ კარგავდა თავის ძალას.

ყოველი მეცნიერული მუშაობის წარმატება დამოკიდებულია ადამიანების ბედ-იღბალზე. რაისტრიკს გადაწყვეტილი ჰქონდა განეგრძო პენიცილინის გამოკვლევა, მაგრამ უბედური შემთხვევის დროს დაიღუპა ჯგუფის მიკოლოგი; კლეტერბუკიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. შემდეგ კიდევ ბაქტერიოლოგი ლოველი ინსტიტუტიდან სამეფო ვეტერინარულ კოლეჯში გადავიდა. „მაგრამ მე გადავედი მხოლოდ 1933 წლის ოქტომბერში, — წერს ლოველი, — ჩემი მუშაობა პენიცილინზე კი, ზუსტად არ მახსოვს, თუ რატომ, მაგრამ გაცილებით ადრე შეწყდა.

განზრახული მქონდა პენიცილინის გამოცდა პნევმოკოკებით დასენიანებულ თაგვებზე უშუალოდ მუცლის ღრუში მისი შეყვანით. რაკი დავრწმუნდი, რომ ეს ნივთიერება განსაკვიფრებლად მოქმედებდა პნევმოკოკებზე *in vitro*, მსურდა შემემოწმებინა, ასევე აქტიური იქნებოდა თუ არა ის *in vivo*. დიუბოს ზოგიერთი ნაშრომი ბიძგს მაძლევდა, მაგრამ ყოველგვარს მხოლოდ პროექტად დარჩა და საქმით კი არაფერი გკეთებულა.“ *

„ამ გამოკვლევათა დროს, — განაგრძობს პროფესორი ლოველი, — ფლემინგი ყურადღებით აღევნებდა თვალს ჩვენს მუშაობას და რითაც კი შეეძლო გვეხმარებოდა. რამდენიმეჯერ დაუურეკე იმ სიძნელეთა თაობაზე, რომელსაც ვხვდებოდით „პენიცილიუმის“. აქროლადობასთან დაკავშირებით. ფლემინგი ყოველთვის სიამოვნებით გვიზიარებდა თავის გამოცდილებას. კერძოდ, გაგვაცნო იმ საკვები ნივთების შემადგენლობა, რომელსაც თვითონ იყენებდა. მახსოვს, ისიც კი მითხრა, რაღაც სოლოდს ვუმატებთ, რომელიც სენტ-მერის აფთიაქში ვიშოვნეო. მივხვდი, რომ ამ საკითხზე იგი ისე მუშაობდა, როგორც მხატვარი და არა ქიმიკოსი. პროდუქტის შემადგენლობას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა; მას მხოლოდ ის აინტერესებდა, რომ იგი დადებით შედეგს იძლეოდა. ფლემინგმა ისიც კი შემომთავაზა, ამ სოლოდს აფთიაქში შევეუყვებოთ და გამოგიგზავნითო.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შესაძლებელი იყო ობის კულტივირება სინთეზურ ნივთაგზე და მისი ხანგრძლივად შენახვა მკაფიო რეაქციის წქონე ნივთაგში, დაბოლოს, რომ პენიცილინის მიღება შეიძლებოდა ფილტრატრიდან, ეთერით მისი ექსტრაგირების გზით, — აი რა იყო, ჩემი აზრით. ჩვენი ძირითადი ღვაწლი. მეტისმეტად სამწუხაროა, რომ კლექტრბუკი ასე უდროოდ გარდაიცვალა. იგი, ალბათ, დაადგენდა, რომ თუ განმეორებით გამოვიყენებთ ტუტოვან pH-ს, თითქოსდა გამქრალი პენიცილინი ხელახლა გამოჩნდება. რაც შემდეგში აღმოაჩინა მეცნიერთა სხვა ჯგუფმა, უფრო თავგამოდებულმა და უფრო იღბლიანმა...“

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ რაისტრიკმა და

* ტროპიკულ სენულებათა და ჰაგიენის ინსტიტუტის ჯგუფმა თავისი მუშაობის აღწერა დაბეჭდა ჯერ ეურნალში „ქიმიისა და მრეწველობის კავშირის საზოგადოება“, შემდეგ კი, 1932 წელს, ეურნალში „ბიოქიმია“. — ავტორისეული განმარტება.

მისმა თანაშემწეებმა უაღრესად სასარგებლო მუშაობა ჩაატარეს და თანაც სავსებით სწორი გეზით წარმართავდნენ კვლევას. გასაკვირი არაა, რომ ისევე როგორც ადრე კრადოკი და რიდლი, ისინიც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამ ნივთიერების არამდგრადობამ. „ჩვენ დავრწმუნდით,— ამბობდა რაისტრიკი,— რომ პენიცილინის ეფექტურობა მცირდებოდა როგორც ტუტოვან, ისე მქავა ნიადაგში და ქრებოდა ეთერით ექსტრაგირებისას. ასეთ მოვლენას ჯერ არც ერთი ქიმიკოსი არ შეხვედრია. ამ სიძნელეებმა გვაიძულა უარი გვეთქვა ცდების გაგრძელებაზე და სხვა საქმისათვის მოგვეკიდებინა ხელი“.

ვინც ჰკიცხავს მეცნიერთ იმისათვის, რომ მათ შეწყვიტეს შემდგომი კვლევა-ძიება, ივიწყებს, რომ ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია და აიხსნება ან უნუგეშო შედეგებით ანდა მოულოდნელ გარემოებათა თანადამთხვევით. პენიცილინზე მუშაობაში ერთმაც ითამაშა როლი და მეორემაც. ეს ნივთიერება გასაოცრად არამდგრადი იყო და, გარდა ამისა, მეცნიერთა კოლექტივი, რომელსაც შეეძლო წარმატების მოპოვება, ორჯერ დაიშალა წევრთა გარდაცვალების ან ავადმყოფობის მიზეზით. მეცნიერულ მუშაობაში ბევრი რამ დამოკიდებულია წარმატებასა და წარუმატებლობაზე. ვისაც ბედი აღმოჩენის კარიბჭესთან შეაჩერებს, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში შეხედება ამას გულცივად, თუ იცის, რომ მან ყოველივე გააკეთა, რაც კი ძალუძდა. ასეთი იყო რაისტრიკისა და ლოველის ხვედრი. „მე უაღრესად ბედნიერი ვარ. — წერს ლოველი, — რომ რაც არ უნდა პატარა იყოს იგი, მაინც ჩემი წვლილი შევიტანე პენიცილინის შექმნაში და იმ კეთილ საქმეში, რომელიც მან გააკეთა“.

მეცნიერი კმაყოფილებას განიცდის იმის შეგნებით, რომ იმრომაც და იქათა საერთო კეთილდღეობისათვის და არა პატივმოყვარეობით. ან შურით“. არც ერთი გამოკვლევა არასოდეს არაა საბოლოოდ დასრულებული. კარგად შესრულებული სამუშაოს ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ იგი გზას უკაფავს სხვა, კიდევ უფრო უკეთეს სამუშაოს და ამით სხივოსნობას ართმევს საკუთარი დიდების შარავანდელს. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზანია დაწინაურება არა მეცნიერის. არამედ მეცნიერებისა“.

ფლემინგი საავადმყოფოში კვლავ განაგრძობდა თავის ცდებს პენიცილინის ადგილობრივ გამოყენებაზე. შედეგები საკმაოდ დამაიმედებელი იყო, მაგრამ არა სასწაულმოქმედი. რადგან საჭირო მომენტში

პენიცილინი კარგავდა თავის აქტივობას. „დარწმუნებული ვიყავი, — წერდა ფლემინგი, — რომ პენიცილინის ფართოდ გამოყენებისათვის აუცილებელი იყო მისი მიღება კონცენტრირებული სახით“. 1931 წელს კბილის სამკურნალო სამეფო კლინიკაში გამოსვლისას, მან კვლავ გამოთქვა თავისი რწმენა ამ ნივთიერების მიმართ; 1932 წელს ჟურნალ „პათოლოგია და ბაქტერიოლოგიაში“ ფლემინგმა გამოაქვეყნა ინფიცირებული ჭრილობების პენიცილინით მკურნალობის საკუთარი ცდების შედეგები. იგი ძალიან უკმაყოფილო იყო ქიმიკოსების მარცხით. ფლემინგს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ რაოდენ ძნელია ნივთიერების ექსტრაგირება, და ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ რაისტრიკის მუშაობის დამთავრების შემდეგ ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი იქნებოდა ამ ნივთიერების ხმარება ხალასი სახით. მთელი პომიდევნო წლების მანძილზე ფლემინგი გულში ატარებდა ნაზ სიყვარულს „თავისი შეილობილის“ მიმართ. მომსწრეთა ნაამბობით, მიუხედავად თავისი ჩვეული გულჩათხრობილობისა, ფლემინგი ხშირად ლაპარაკობდა პენიცილინზე და იმედს არ კარგავდა, რომ მოესწრებოდა ხალასი სახით მის ხილვას.

კომპტონი, რომელიც დიდხანს იყო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეგვიპტის ლაბორატორიის დირექტორი, გვიამბობს, რომ 1933 წლის ზაფხულში იგი იყო ფლემინგთან. მან მისცა ფლაკონი „პენიცილიუმ ნოტატუმის“ ფილტრატით და სთხოვა ავადმყოფებზე გამოეცადა ეს ნივთიერება ალექსანდრიაში. მაგრამ იმ ხანებში კომპტონი დიდ იმედებს ამყარებდა მეორე ბაქტერიოციდულ საწყისზე, რომელიც, ასე ეგონა, რომ მან აღმოაჩინა; ფილტრატისანი ფლაკონი კი უქმად და უხმარად იდგა ალექსანდრიის ლაბორატორიის თაროზე. ფლემინგს ბედი არ სწყალობდა.

დოქტორი როჯერსი, რომელიც ამჟამად ბირმინჰამში მუშაობს, სენტ-მერიში სტუდენტობისას, 1932 თუ 1933 წელს პნევმოკოკური კონიუნქტივიტით დაავადდა სწორედ ლონდონის საავადმყოფოეის შორის სროლაში შეჭიბრების წინა დღეებში. იგი შეჭიბრების მონაწილე იყო, ამიტომ გასაგებია, ამ დროს ავად გახდომის სიმწარე. „შაბათს ჯანმრთელი იქნებით“, — უთხრა ფლემინგმა, თვალში რაღაც ყვითელი სითხე ჩაასხა და დაარწმუნა, რომ ყოველ შემთხვევაში ზიანს ეს არ მოგაყენებს. შეჭიბრების დაწყების დღეს როჯერი მართლაც განკურნებული

იყო. მაგრამ მართლაც პენიცილინმა მოარჩინა თუ არა იგი? ეს მან არ იცოდა და ვერც ვერასოდეს ვერ გაიგო.

ფლემინგს აგარაკზე ერთი მეზობელი ჰყავდა, ლორდი აივიგი, რომელიც მეძროხეობას მისდევდა და ამიტომ მისთვის მთელი პრობლემა იყო ბრძოლა მასტიტის წინააღმდეგ, რომელსაც სტრუპტოკოკი იწვევს. ალექსმა აივიგს უამბო ზოგიერთი მიკრობის ზრდა-გამრავლების დამტრავნველი სოკოს ამბავი. „ვინ იცის, ვგებ დადგეს ისეთი დრო, რომ ეს ნივთიერება საქონლის საკვებში შეუტრიოთ და თავი დაიხსნათ მასტიტისაგან, რომელიც თავსატეხად გაგჩენიათ...“

1934 წელს ფლემინგმა ანტოქსილების დასამზადებლად გაშლილ მუშაობაში ჩააბა ბიოქიმიკოსი, დოქტორი ჰოლტი. ფლემინგმა უჩვენა მას ცდები, რომლებიც ახლა კლასიკურადაა აღიარებული, — პენიცილინის მოქმედება სისხლისა და მიკრობების ნეკროზე; მაშინ ცნობილი ანტისეპტიკებისაგან განსხვავებით პენიცილინი ხოცავდა მიკრობებს, ლეიკოციტებს კი არ ვნებდა. „მას შესანიშნავად ესმოდა, — გვიამბობს ჰოლტი, — თუ რა უდიდესი თერაპიული მნიშვნელობა ჰქონდა პენიცილინს, და გატაცებით ოცნებობდა, რომ ხალაი სახით მიეღოთ იგი, რადგან, როგორც ირწმუნებოდა, ეს იყო ერთადერთი ნივთიერება, რომელსაც შეეძლო დაეხოცა ისეთი მართლაც რომ გამძლე მიკრობები, როგორც სტაფილოკოკებია, სისხლის თეთრი ბურთულებისათვის ზიანის მიუყენებლად...“

ჰოლტი განაცვიფრა ეფექტურმა ცდებმა, და პირობა მისცა ფლემინგს, ყოველ ღონეს ვიხმარ ხალასი პენიცილინის მისაღებადო. იგი რაისტრიკის მიერ გავლილი გზის ბოლოში მივიდა, და ჩიხში აღმოჩნდა მან შესძლო პენიცილინის გადაყვანა აცეტატის ხსნარში, სადაც ეს არამდგრადი ნივთიერება ანაზღად სავსებით უჩინარდებოდა. რამდენიმეჯერ ხელმოცარვის შემდეგ ჰოლტმა შეწყვიტა ექსპერიმენტების ჩატარება. ისევ ჩაიფუშა ფლემინგის იმედები. ჰოლტი გვიამბობს, რომ მიუხედავად ამისა, „ყველას, ვინც მაშინ ლაბორატორიაში მუშაობდა, წამდაუწყუმ იმას ეუბნებოდა, რომ პენიცილინის თერაპიული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევსო. იგი დარწმუნებული იყო, რომ როდისმე გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც გადაწყვეტდა ამ ქიმიურ ამოცანას, და მაშინ შესაძლებელი გახდებოდა პენიცილინის კლინიკური გამოკვლევის ჩატარება“.

1935 წლის ოც დეკემბერს ფლემინგის დღიურში, რომელშიც

ზოგჯერ იგი გაზეთში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სტატიების ნაწყვეტებს იწერდა ხოლმე, ჩაწერილია რამდენიმე ფრაზა ლისტერის სიტყვიდან: „უნდა ვაღიარო, რომ რაოდენადაც არ უნდა მსიამოვნებდეს ის პატივი, რომელიც დამდეს, მაინც კიდევ ქვეყანაზე არსებულ ყოველგვარ ჭილდოს არაბად მივიჩნევ იმ იმედთან შედარებით, რომ მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანე ადამიანის ტანჯვის შემსუბუქებაში“. ასეთი იყო ფლემინგის იღუმალის ოცნება. დადგა დღე, როდესაც ეს იმედები განხორციელდა და მის ყოველგვარ მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

ქიმიკოსი სიცოცხლეს აძლევს მდი-
კაძენტს, კეიში კი ფეხს აადამევინებს.
ფურნო

ლორდ ბივერბრუკის, ლორდ აივიგისა და ზოგიერთ სხვათა შემწეობით სენტ-მერის საავადმყოფო გაფართოვდა. 1931 წელს იორკის ჰერცოგინიამ (შემდგომში ინგლისის დედოფალმა, აწ კი დედ-ხელმწიფემ) პირველი ქვა დადო ახალი სამედიცინო სკოლის საძირკველში. 1933 წელს მეფე გიორგი V საზეიმოდ გახსნა პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სამედიცინო სკოლა. ახალ შენობაში ხალვათობა იყო. გულს ახარებდა კონფერენც-დარბაზი, და შესანერუნავი ბიბლიოთეკა, მაგრამ ზოგიერთნი მაინც სინანულით იგონებდნენ იმ ბედნიერ დროს, როცა სივიწროვეში უხდებოდათ მუშაობა. სწორედ ეს პერიოდი იყო მათთვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი. ადათად ქცეული ჩაის სმა ახლა დიდ ბიბლიოთეკაში იმართებოდა, მაგრამ სადღა იყო ის სითბო და მომხიბველლობა, როგორც ახლოვდათ ბაქტერიოლოგიური განყოფილების პაწაწინა ოთახში „სერობის“ მონაწილეებს. თაროებზე იქ თითქმის არც ერთი წიგნი არ მოიძეებოდა „თუ წიგნის კითხვა გინდათ,— ბუზღუნებდა რაიტი, — უნდა დაწეროთ იგი...“ რა თქმა უნდა, ამას რაიტი მოსწრებული სიტყვების ეშხით ამბობდა, თორემ იგი სხვებზე მეტს კითხულობდა კლასიკოსების ნაწარმოებებს.

ახალ ლაბორატორიაში ფლემინგმა მყისვე დააკანონა მისთვის ჩვეული ორგანიზაციული უწესრიგობა. უცებ დაგროვდა თოკები, რეზინის მილები, სიგარეტის ცარიელი კოლოფები. კაცი გაგიჟებას იყო, როცა ვინმეს ხელი წასცდებოდა და მაგიდას დაულაგებდა. მისთვის

საქირო ყველა ინსტრუმენტი, ყველა კოლბი და სინჯარა „გამოსაჩენ ადგილზე“ უნდა ყოფილიყო, სადაც დადებდა, იქ უნდა დახვედროდა. „მტერის გადაწმენდასა და ცოტა მილაგ-მოლაგებას მხოლოდ მაშინ ვახერხებდი, როცა შებულებაში იყო ანდა სადმე გაემგზავრებოდა, — გვიამბობს მისი ერთ-ერთი ლაბორანტი. — მხოლოდ მისი არყოფნის დროს თუ გავბედავდით ლაბორატორიის დალაგებას. თანაც დარწმუნებული ვიყავით, რომ დაბრუნდებოდა თუ არა, მაშინვე იკითხავდა: „ვინ მიალაგ-მოალაგა აქაურობა?“ წარამარა გვეუბნებოდა: „შეინახეთ. შეიძლება გამოგვადგეს“.

აღსრულდა დეკან უილსონისა და ფლემინგის ოცნება: ახლა სპორტი დიდ პარტიზში იყო სენტ-მერიში. 1930 წლის შემდეგ საავადმყოფოში შეადგინეს ხუთი გუნდი რეგბისტებისა, რომელთაც თავი ისახელეს, რამდენიმეჯერ მოიპოვეს რა საავადმყოფოთაშორისო თასი, სენტ-მერის ოთხი მოთამაშე დიდი ბრიტანეთის ნაკრების კაპიტნები გახდნენ. როგორი აედარიც არ უნდა ყოფილიყო, ფლემინგი მაინც არ გამოიტოვებდა რეგბის თასის გათამაშების ფინალს და სხვა სტუდენტებთან ერთად გაპყვიროდა: „მერი!“

სამედიცინო სკოლას ახალ შენობაში საკუთარი აუზიც ჰქონდა. 1935, 1937 და 1938 წლებში სენტ-მერიმ მოიპოვა საავადმყოფოთაშორისო თასი ცურვაში, ხოლო 1938 წელს წყალბურთის თასი. ეს წარმატებები გულით ახარებდა სპორტის ვეტერანს, იმხანად უკვე პროფესორს ბაქტერიოლოგიისას.

თავისთავად ცხადია, რომ მსროლელთა კლუბი ძველ ტრადიციას არ დალატობდა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ყოველწლიურად იმართებოდა მატჩი სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. ისეთი მსროლელები. როგორიც იყვნენ ფლემინგი და ფრიმენი, პროფესურას გამარჯვების შესაძლებლობას აძლევდნენ.

ერთხელ, როცა მასწავლებლები ტარში მივიდნენ, კარებთან დახვდათ სტუდენტი, რომელიც მბრძანებლური კილოთი ეკითხებოდა წლოვანებას და იწერდა ამ მონაცემებს.

— ჰო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— ვინც ორმოცსაა გადაცილებული, ყოველ წელიწადზე ერთ ქუთა ფორას ვაძლევთ, -- მოწყალეობითი ტონით უპასუხა სტუდენტმა.

სტუდენტის ასეთი ქცევა თავხედობად მიიჩნია ფლემინგმა და ისე გაბრაზდა, რომ როცა მისი რიგი მოვიდა, სერიოზულად უთხრა:

— ოთხმოცდაათი წლის.

სტუდენტი შეერთა, მაგრამ თავისი პირობა ველარ დაარღვია და ჩაიწერა: „ჰანდიკაპი — 50“.

ფლემინგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული კაცი იყო, მაგრამ რაიტი ახალ ინსტიტუტშიც მფარველობას იჩენდა მის მიმართ. „ეს ახალგაზრდა ფლემინგი კარგად მუშაობს,“ — მოწყალე კილოთი ეუბნებოდა ხოლმე იგი ლაბორატორიის სტუმრებს. 1928 წელს ფლემინგი დაინიშნა ლონდონის უნივერსიტეტის ბაქტერიოლოგიის პროფესორად. ინსტიტუტში მკურნალობა ისევ თვითნებურად ტარდებოდა და მთლიანად რაიტის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ძირითად სახსრებს ინსტიტუტი წარმოების შემოსავლიდან და ვაქცინების გაყიდვით ღებულობდა. მაგრამ ვაქცინები და შრატები, სამწუხაროდ, ინფექციური პათოლოგიის ყველა პრობლემას როდი წყვეტდა. თვით ფლემინგის თჯახმა მწარედ იწვინია ეს — მოკვდა ალექის ძმა ჯონი. ისინი ერთად იყვნენ მატჩზე, ტრიბუნაზე დასავლეთის სუსხიანმა ქარმა დაგრილა და მეორე ღღეს ჯონის ფილტვების ანთება დაეწყო. რამდენიმე დღის შემდეგ პნევმონიამ სიცოცხლე მოუსწრაფა მას. ორი წლის წინ პნევმოკოკსაწინააღმდეგო შრატმა (3 ტიპის) ისინა იგი ამავე დაავადებისაგან. ამგვარად 3 ტიპის პნევმოკოკით იყო გამოწვეული სნეულება, მაგრამ შრატმა არ იმოქმედა. პნევმოკოკის მომკვლელი „მაგიური ტყვია“ ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. იგი „პენიცილიუმის“ ბულიონში იმალებოდა. მაგრამ არავის ძალუძდა იქიდან მისი ამოღება და გამოყენება.


მას შემდეგ, რაც სალვარსანმა განსაცვიფრებელი გამარჯვება მოიპოვა მკრთალ სპიროქეტაზე, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქიმიკთერაპიის ხაზით კვლავ გრძელდებოდა. ერლინმა დაამტკიცა ორმაგი აზოტოვანი საღებავის ნათესაობა ბაქტერიებთან და გამოავლინა მათი ბაქტერიციდული თვისებები *in vitro*. ფარმაკევტული ფირმის — „ბაიერის“ — ქიმიკოსებმა შეძლეს ასეთი ნივთიერებების დიდი რაოდენობით სინთეზირება: და ერთ-ერთ კოლეგას. დომაგკს. მიანდეს მათი გამოცდა დასენიანებულ თავგებზე. 1932 წელს დომაგკმა აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი წითელი საღებავი შეელოდა სტრუპტოკოკებით დასნებოვნებულ თავგების უმრავლესობას. რატომ? საღებავის ნაწილი მიკრობთან შეერთებისას არღვევდა ქიმიურ წონასწორობას. რაც მიკრობთა დახოცვას იწვევდა. ეს შედეგები მიღებულ იქნა ისეთი დოზების გამოყენებისას, რომლებიც ბევრად ნაკლები იყო უკრძლები-

სათვის საშიშ დოზებთან შედარებით. აღმოჩენა მნიშვნელოვანი გამოდგა.

დომაგკა სასწაულმოქმედ მედიკამენტს „პრონტოზილი“ უწოდა პირველი ავადმყოფი, რომელიც განკურნა მან ამ წამლით, მისი ქალიშვილი გახლდათ; იგი ლაბორატორიაში დასენიანებულიყო სტრეპტოკოკების კულტურაზე მუშაობისას, და პრონტოზილმა იხსნა. გერმანიაში მთელი სამი წლის განმავლობაში უხმაუროდ, თითქმის საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა ახალი წამლის გამოცდა. როგორც იქნა, 1935 წელს მეცნიერთა სამყაროს საზეიმო ვითარებაში გაუმხილეს ეს აღმოჩენა. დომაგკი ინგლისში ჩამოვიდა და სამეფო სამედიცინო საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება ამ თემაზე. ამ სხდომას ფლემინგი და დოქტორი იუნგიც დაესწრნენ; დომაგკის მიერ მოყვანილმა ციფრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იუნგზე. მოხსენების შემდეგ კი ფლემინგმა პოლტს უთხრა: „ეს კი ასეა. მაგრამ პენიცილინი მაინც უკეთესია“. თან დასძინა, თუმცა დომაგკი მეტისმეტად დიდი დოზებით იყენებდა პრეპარატს, მისი შედეგები მაინც უფრო ნაკლებ „ეფექტურია“, ვიდრე ჩემიო. მიუხედავად ამისა, დომაგკის აღმოჩენამ მაინც ძალიან დაინტერესა იგი.

რაიტი კი დომაგკის ინფორმაციის შემდეგაც არ ეშვებოდა თავის აკვიატებულ სკეპტიციზმს, ქიმიათერაპია დაუძლეველ ზიზღს ჰგვრიდა მის. საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ჯადო-სასწაულად მიჩნეული ნივთიერება შემდგომში ან უმოქმედო აღმოჩნდებოდა ანდა მავნე. განა შეიძლება ასე ერთბაშად მოვახერხოთ ბაქტერიული სნეულების დამარცხება შიგნით მიღებული მედიკამენტით? — ამბობდა რაიტი. — რაო? გერმანული სტატისტიკაო? რაიტს არ სწამდა სტატისტიკა.

ლიზოციმისა და პენიცილინის შემდეგ ფლემინგი სავსებით მზად იყო ასეთი აღმოჩენის სწორად შეფასებისათვის. მას არ ჰქონდა აკვიატებული იდეები, და იგი ყოველთვის რწმენით შეჰყურებდა სხვა მკვლევართა ცდებს, თუკი, რასაკვირველია, ისინი უზადოდ იყო ჩატარებული. ფლემინგმა თავისი აზრი გაუზიარა მეგობარ დოქტორ ბრინს: „მე მგონი, რომ ამჯერად მიკვლევულ იქნა ჭეშმარიტად ძვირფასი საშუალება — ბაიერისეული პრეპარატი პრონტოზილი“. ბრინმა უნდობლად ჰკითხა: „ხომ ვერ მიშოვიდით ამ პრეპარატს?“ — „შევეცდები“, აღუთქვა ფლემინგმა და ერთი კვირის შემდეგ ბრინს მართლაც მისცა ცოტაოდენი პრონტოზილი. ბრინმა ეს ახალი წამალი გამოსცადა წითე-



ა. ფლემინგი თავის ლაბორატორიაში



ფლემინგი პროფ. ვაქსმანის (ზის მარცხნივ) ლაბორატორიაში

ლი ქარით შეპყრობილ რამდენიმე ავადმყოფზე და სულაც რომ არ მოელოდა, მართლა განჯურნა ისინი. ფაქტები ადასტურებდნენ, რომ მედიცინამ ამაყვრად მართლაც შეიძინა რალაც ახალი.

საფრანგეთში პასტერის ინსტიტუტის ოთხი მკვლევარი, რომლებიც სახელგანთქმული მეცნიერის ერნესტ ფურნოს ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მისსავე განყოფილებაში. სახელდობრ, ტრეფუელი, მისის ტრეფუელი, ბოვე და ნიტი — გულმოდგინედ სწავლობდნენ პრონტოზილს. მათ ყურადღება მიაქციეს ერთ უცნაურ მოვლენას: ეს მედიკამენტი, რომელიც ძლიერად მოქმედებდა ორგანიზმში, *in vitro* არ კლავდა ბაქტერიებს. ეს კი ალბათ იმის მანიშნებელი იყო, რომ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას პრეპარატი იშლებოდა და ამ დროს გამოიყოფოდა ბაქტერიებისათვის ტოქსიკური რომელიღაც ელემენტი. ატოქსილსაც ხომ იგივე ემართებოდა ერლიხმა დაამტკიცა, რომ ორგანიზმში შეყვანილი ატოქსილი გარდაიქმნებოდა ისეთ ნივთიერებად, რომელიც შეიცავდა ტრიპანოზომისათვის მომაკვდინებელ დარიშხანს.

პრონტოზილთან ახლო მდგომი წარმოებულნი პროდუქტების სისტემატიზებულმა შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ ნივთიერებას ბაქტერიოსტატიკური მოქმედება გაპირობებულია მოლეკულის მხოლოდ ერთ ნაწილით — პარაამინოფენილსულფამილით. პასტერის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განაახლეს რა ცდები მოლეკულის ამ. შედარებით მარტივ ნაწილზე, დაადგინეს, რომ თურმე სწორედ ის განაპირობებს აღნიშნული პრეპარატის მოქმედებას. მათ წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ პრონტოზილი ორგანიზმში იშლება. შემდგომში მართლაც დადასტურდა ასეთი ვარაუდი — პარაამინოფენილსულფამილი აღმოჩენილ იქნა იმ ავადმყოფების სისხლსა და შარდში, რომელთაც პრონტოზილს უყებდნენ.

ამ აღმოჩენამ ძირეულად შეცვალა პრეპარატის ხმარების წესი. პრონტოზილი დააპატენტა ფირმა „ბაიერმა“ და, ამრიგად, დედამიწის ზურგზე მცხოვრები ყველა ავადმყოფი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ამ ფირმაზე, უკვე ცნობილი ნივთიერების — სულფამიდების დამზადება კი ყველა ქიმიურ ქარხანას შეეძლო. სულფამიდებს კარგა ხნის „სტაჟი“ ჰქონდათ, — მათ იყენებდნენ საღებავების წარმოებაში, რადგან მათი უაღრესად მედეგი მოლეკულები გამძლეობას მატებდნენ იმ საღებავ ნივთიერებებს, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ. ისინი ისევე „ებლაუქებოდნენ“ სტრეპტოკოკებს, როგორც შეღებილ საგნებს.

ინგლისისა და საფრანგეთის მედიკოსებმა „ამუშავეს“ ეს ახალი იარაღი ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ქიმიკოსი, — წერდა პროფესორი ფურნო, — სიცოცხლეს აძლევს მედიკამენტს, ექიმი კი ფეხს აადგმევინებს“. საფრანგეთში, პასტერის ინსტიტუტში, რენე მარტენმა და ალბერ დელონემ ისეთ წარმატებას მიაღწიეს, რომ ექიმები განცვიფრებული იყვნენ. ინგლისში ახალმა პრეპარატმა იმის მეოხებით კპოჯა აღიარება, რომ ლეონარდ კოლბრუკმა და მივ კენიმ გულმოდგინედ შეისწავლეს მისი მოქმედება მელოგინის ცხელებისას. ეს მკვლევარები დედოფალ შარლოტას საავადმყოფოში მუშაობდნენ (როგორც უკვე მოგახსენეთ, დოქტორმა კოლბრუკმა 1930 წელს თავი დაანება სენტ-მერიში მუშაობას). თუმცა ადრე ლისტერმა სამშობიარო დახმარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ასეპტიკით, მიუხედავად ამისა ლონდონის შემდგომი ინფექცია მაინც ხშირი მოვლენა იყო ლონდონის საავადმყოფოებში და სიკვდილიანობა ასეთი შემთხვევების დროს დაახლოებით ოც პროცენტს აღწევდა. 1936 წელს კოლბრუკსა და კენის მელოგინის ცხელების მკურნალობის სამოცდაოთხი შემთხვევის შედეგების საფუძველზე სრული უფლება ჰქონდათ განეცხადებინათ, რომ სიკვდილიანობის პროცენტი 4,7-მდე შემცირდა. საკონტროლოდ იყენებდნენ ლონდონის დანარჩენ სამშობიარო სახლებს, სადაც სიკვდილიანობის პროცენტი კვლავინდებურად ოცს უდრიდა. დასკვნის გამოსატანად თითქოსდა სავსებით უცილობელი პირობა არსებობდა.

სულ მალე სულფამიდი (1162ფ) ყველა ქვეყანაში იქნა აღიარებული ეფექტურ საშუალებად არა მარტო სტრეპტოკოკების, არამედ აგრეთვე მენინგოკოკების, პნევმოკოკების, გონოკოკებისა და ფილტრატში გამავალი ზოგიერთი ვირუსის წინააღმდეგაც კი. საკვლევადიებო საქმიანობის არე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ქიმიკოსებმა გააუმჯობესეს ეს „მაგნიტური ტყვია“, უფრო შეამკირეს რა სულფამიდების ტოქსიკურობა (ზოგიერთი ორგანიზმი ძნელად იტანდა მათ) და შეჰქმნეს ახალი ნაერთები, რომლებსაც უნდა ემოქმედათ სხვა მიკრობებზე.

ფურნომ და მისმა სკოლამ შესანიშნავი მითითება მისცეს მკვლევარებს იმით, რომ გამოავლინეს თვისება ერთი ჯგუფი ატომებისა, რომლებიც ებლაუჭებოდნენ რა ბაქტერიებს, თერაპიულ მოქმედებას იჩენდნენ. სულფამიდების რიცხვი თანდათან მატულობდა და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ექიმები მეტისმეტად გაიტაცა ამ პრეპარატმა. ყოველგვარი სასწაული აღტაცებას იწვევს, სულფამიდების გამოყენება

კი მართლაც რომ შესანიშნავ შედეგს იძლეოდა. ცერებროსპინალური ჩენინგიტის დროს სიკვდილიანობა ოცდაათიდან სამ პროცენტამდე შემცირდა. სუსუნატით დაავადებულნი ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში იკურნებოდნენ ათ დღეში. ამრიგად, თამამად შეიძლება ითხროს თქმა, რომ ერლიხის ანტიპარაზიტული ქიმიათერაპიის შემდეგ ფეხი აიღვა ანტობაქტერიულმა ქიმიათერაპიამ. მაგრამ ზოგიერთი მიკრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სულფამიდები უძლური აღმოჩნდნენ და კლინიკისტები ასეთ შემთხვევაში კვლავ უღონონი იყვნენ.

გარდა ამისა, როდესაც ბაქტერიები ნეკროზულ ქსოვილში ან ჩირქში შეიჭრებოდნენ, სულფამიდები ველარაფერს აკლებდა მათ. ისინი ისეთ დამცველ ნივთიერებას გამოყოფდნენ, რომელიც ამუხრუჭებდა სულფამიდების მოქმედებას. ფლემინგი, ძველი სკოლის ბაქტერიოლოგი, რომელიც, ასე ვთქვათ, შეზრდილი იყო ბაქტერიებთან და კარგად იცნობდა მათ „ოინებს“, სულფამიდების ხმარებაში შემოღებისთანავე აფრთხილებდა მედიკოსებს, თუ გონოკოკების წინააღმდეგ გამოყენებული იქნება, ვთქვათ, ისეთი დოზები, რომლებიც მათ არ დახოცავს, გამძლე შტამები გაჩნდებათ. და მართლაც ასე მოხდა. არ გაუელია დიდ ხანს და „უშაშარმა“ გონოკოკებმა წინააღმდეგობის გაწევა დაუწყეს სულფამიდებს. „ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ორი მიზეზით. — განმარტავდა ფლემინგი, — ან მედიკამენტმა მოსპო მხოლოდ ყველაზე უფრო ამთვისებელი მიკროორგანიზმები, ხოლო ნაქლებმგრძნობიარენი გადარჩნენ, განაგრძეს ზრდა-გამრავლება და გამძლე ახალი თაობა წარმოშვეს, ანდა მკურნალობა არასაკმარისი ენერგიულობით ტარდებოდა და პირველ ხანებში მგრძნობიარე მიკრობმა გამძლეობა შეიძინა“.

მუდამ თავშეკავებული და სიტყვაძვირი ფლემინგი რწმენას არ კარგავდა, რომ მის შვილობილ პენიცილინსაც დაუდგებოდა თავისი დრო და დღეს თუ ხვალ ეფექტური წამლის ადგილს დაიკავებდა თერაპიის არსენალში. იგი გულმოდგინედ ეძებდა ქიმიკოსს, რომელიც შეძლებდა ზალასი პენიცილინის გამოყოფას. გინეკოლოგი დუგლას მაკ-ლეოდი იგონებს 1935 წელს, როცა მას და ფლემინგს ერთად უსადილიათ სენტ-მერის სასადილოში. ისინი საუბრობდნენ პრონტოზილით მელოგინის ცხელების მკურნალობის განსაკვიფრებელ შედეგებზე. ფლემინგმა შეაქო ახალი წამალი, მაგრამ უცებ მიუბრუნდა თურმე მას და უთხრა: — იციო, მაკ, პრონტოზილზე გაცილებით უკეთეს ნივთიერებას მივაკვლიე. მაგრამ არავინ ყურს არ მიგდებს, და ვერ ვიპოვე ისეთი

ექიმი, რომელიც დაინტერესებულიყო ამ აღმოჩენით, არც ქიმიკოსი გამოჩნდა ვინმე, რომ გაესუფთაებინა ზეს ნივთიერება.

„შევეკითხე, რა ნივთიერება აღმოაჩინე-მეთქი, — მოგვითხრობს მაკ-ლეოდი. — პენიცილინი დავარქვე სახელად, მიპასუხა მან. იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ პირველად მესმოდა ეს ამბავი. ფლემინგმა თავის ლაბორატორიაში მიმიწვია. დავეყვი მის ნებას. ალექსმა მიჩვენა და შემდეგ მომცა კიდევ ობის ნიმუში, რომელსაც დღემდე ვინახავ. ერთად განვიხილეთ გინეკოლოგიაში პენიცილინის გამოყენების შესაძლებლობის საკითხი. მე გამოვთქვი აზრი, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ზოგიერთი ინფექციის საწინააღმდეგო საშოსშიდა ტამპონებისათვის. შევთანხმდით, რომ ჩავატარებდი ასეთ ექსპერიმენტს, მაგრამ ცდამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, რადგან ფილტრბი სწრაფად გაანეიტრალა საშოს გამონაყოფებმა“. მაკ-ლეოდი დასძინს, ფლემინგმა მკითხა, ღომ არ გეგულება ისეთი ბიოქიმიკოსი, რომელიც შეძლებს პენიცილინის გამოყოფასო. „მე ვუპასუხე, რომ ვიცნობ ერთ ძალზე ნიჭიერ ქიმიკოსს, დოქტორ უორენს, მაგრამ იმ ხანად მე და იგი ერთად ვმუშაობდით მუცლად მყოფი ნაყოფის სქესის გამორკვევაზე, და ამდენად ჩვენი განზრახვა განუხორციელებელი დარჩა“.

დოქტორი ბრინი გვიამბობს, რომ ერთ შაბათს ჩელსის მხატვართა კლუბში მას უთქვამს ფლემინგისათვის:

— სადღაც წავეკითხე, რომ ფარმაკოლოგების კრებაზე გილაპარაკიათ თქვენი აღმოჩენის შესახებ... აი, იმ ნივთიერებაზე... რას ეძახით მას?

— პენიცილინზე მეკითხებით?

— დიახ, — უპასუხნია ბრინს, — ნუთუ მას მართლაც შეუძლია ყოველივე იმის გაკეთება, რასაც თქვენ ამტკიცებთ?

ფლემინგი აღშფოთებულა:

— რასაკვირველია. მე არ ვილაპარაკებდი იმაზე, რაც არ არის.

ბრინს მეგობრულად ხელი დაუბრტყამს ბეჭზე:

— ძალიან კარგად იცით, მე ამას არ ვგულისხმობდი. მე მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა თქვენთვის: პრაქტიკულად თუ გამოიყენება თქვენი ნივთიერება. შემიძლია თუ არა ვინმეარო იგი?

ფლემინგს ერთხანს არაფერი უპასუხია, სივრცეს გაჰყურებდა თურმე, შემდეგ კი უთქვამს:

— არა მგონი. იგი მეტისმეტად არამდგრადია. საჭიროა მისი გამოყოფა ხალასი სახით, მარტო მე კი ამის გაკეთება არ შემძლია

სენტ-მერის საავადმყოფოს ვენეროლოგი დოქტორი მაკ-ელიგოტი ბევრად უფრო ახალგაზრდა იყო ფლემინგზე, მაგრამ ანლო მეგობრობა ჰქონდა მკვლევართან, ხშირად მოდიოდა მასთან რჩევისათვის: და არა მარტო ბაქტერიოლოგიის, არამედ კლინიკური და ადმინისტრაციული საკითხების შესახებაც ეკითხებოდა ხოლმე. ფლემინგი ხომ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც წარმატებით გამოიყენა ათაშანგის წინააღმდეგ ერლიხისეული პრეპარატი „606“, და თანაც ისეთ დროს, როდესაც ეს მეთოდი მეტისმეტად რევოლუციურად მიაჩნდათ. იგი ახლაც განაგრძობდა დაკვირვებას ზოგიერთ თავის ყოფილ პაციენტზე და სიამაყით ამტკიცებდა, რომ სავსებით განკურნა ისინი.

ფლემინგმა, ცხადია, უჩვენა მაკ-ელიგოტს თავისი უცნაური კულტურა „პენიცილიუმი“.

— ამ ნივთიერებას შეეძლო ბევრი თქვენი ავადმყოფის მორჩენა.

ისინი დიდხანს მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა საშუალებით მიეყვანათ პენიცილინი გონოკოკებამდე. მაგრამ ვინ გაბედავდა ობის შეყვანას ურეთრაში, ვაი თუ კიდევ ერთი ინფექცია დაემატებინა სუსუნატისათვის?

„დროდადრო, — იგონებს მაკ-ელიგოტი, — იგი ჩაის სასმელად შეპატიყვებოდა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, რათა საშუალება მომცემოდა მომესმინა ალმროტ რაიტისათვის — იმუნიზაციის თავგამოდებული მქადაგებლისათვის. მაგონდება, რომ ერთხელ ვილაპარაკე სულფამიდებით სუსუნატის მკურნალობისას მიღებულ პირველ შედეგებზე. მახსოვს, თუ როგორი უნდობლობა გამოიჩინა ჩემი წარმატებების მიმართ რაიტმა. აშკარა უკმაყოფილება ეტყობოდა, აბრაზებდა, ანტიბაქტერიული პრეპარატი ესოდენ მძლავრი საშუალება რომ აღმოჩნდა...“

რა შეხედულებისა იყო სულფამიდებზე ფლემინგი? მას თავისი ნაცადი ხერხები გააჩნდა ანტიბაქტერიული პრეპარატის ქმედითობის შესამოწმებლად და საკუთარი მტკიცე აზრი ჰქონდა შემუშავებული ორგანიზმის ბუნებრივი დაცვის დიდმნიშვნელოვანებაზე. ფლემინგმა გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ რამდენად მტკიცე კავშირს ჰქმნიდნენ ლეიკოციტები სულფამიდებთან მიკრობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განსხვავებით წინათ ხმარებული ანტისექტივებისაგან, რომელთა წინააღმდეგაც ხმას იმაღლებდა იგი ომამდე და ომის შემდეგაც, სულფამიდეები ტოქსიკურად არ მოქმედებდნენ ლეიკოციტებზე, უფრო სწორად, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში იქნებოდნენ ისინი ტოქსიკურნი, თუ გამოყენებული იქნებოდა იმაზე ბევრად უფრო ძლიერი კონცენტრაცია, როგორც საჭირო იყო მიკრობებთან ბრძოლისათვის. შეუდგა თუ არა სულფამიდების შესწავლას, ფლემინგი მაშინვე კეთილსასურველად განეწყო მათ მიმართ.

მთელ რიგ ინფორმაციებში, რომლებიც გააკეთა მან სამეფო სამედიცინო საზოგადოებაში, ფლემინგმა დაადასტურა, რომ:

1. სულფამიდებს ახასიათებთ სპეციფიკა (ესე იგი ისინი ხოცავენ გარკვეულ მიკრობებს და არაავითარ ზემოქმედებას არ ახდენენ დანარჩენებზე).

2. დიდი რაოდენობით მიკრობების არსებობისას სულფამიდები ან სუსტად მოქმედებენ ანდა საერთოდ არაავითარ მოქმედებას არ იჩენენ.

3. მათი მოქმედება ძირითადად ბაქტერიოსტატიკურია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი აჩერებენ მიკრობთა გამრავლებას და ამით საშუალებას აძლევენ ლეიკოციტებს შეასრულონ თავიანთი ბაქტერიციდული როლი.

თავისი ცდების ჩასატარებლად ფლემინგმა გამოიყენა slide cells, პეტრის ფინჯები, ლარაკები აგარზე. ამოკრა რა. ორი პარალელურა ლარაკი, ერთი მათგანი სულფამიდური პრეპარატით აავსო, მეორე — პენიცილინით, პერპენდიკულარულად კი განალაგა სტრეპტოკოკების კულტურები სხვადასხვაგვარი განზავებით. გამოიკვია, რომ პენიცილინი მოქმედებდა ყველა შემთხვევაში, მაშინ როდესაც სულფამიდებს, ძალზე ეფექტურთ მიკრობთა სუსტი კონცენტრაციების წინააღმდეგ, არ ძალუძდათ განუზავებელი კულტურების ზრდის შეჩერება. მაშასადამე, პენიცილინი გაცილებით უფრო ძლიერი საშუალება იყო, მაგრამ ესაა, რომ სულფამიდები გასუფთავებული და გამძლენი იყვნენ. უპირატესობა ჯერჯერობით სულფამიდების მხარეზე იყო.

ვაქცინები? სენტ-მერის მეცნიერთა ჩვეუფი განაგრძობდა მათ ხმარებას, და არც თუ უშედეგოდ. „ბრიტანეთის სამედიცინო უურნალში“ დაბეჭდილ სტატიაში ფლემინგმა აღწერა შემთხვევები, როდესაც განკურნება მიღწეულ იქნა აუტოვაქცინებით. იგი ცდილობდა დაემზადებინა ვაქცინა პთაიფერის ჩხირისა და გრიპის ვირუსის წინააღმდეგ.

ფლემინგს მიაჩნდა, რომ სურდო, თუმცა მას უმეტესწილად ისეთი ვირუსი იწვევს, რომლის წინააღმდეგაც ექიმები უძლურნი არიან, ხშირ შემთხვევაში კიდევ უფრო ძლიერდება ბაქტერიული ინფექციით. ზოგჯერ გაციებაც კი, რომელიც წმინდა ბაქტერიული დაავადებაა, ქრონიკული ინფექციური მდგომარეობის დროებით გამწვავებად ჩაითვლება, და ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება განიკურნოს აუტოვაცი-ნით.

ფლემინგს მიზანშეწონილად მიაჩნდა ვაქცინებისა და სულფამიდების კომბინირება მისი აზრით. „ისეთი სულფამიდები: მოქმედება, როგორცაა 693-მ და 693-ბ, ბაქტერიოსტატიკურია. ისინი ბრძოლას უადვილებენ ლეიკოციტებს. მაგრამ ლეიკოციტებს დახმარებას უწევს აგრეთვე ანტისხეულების არსებობა. ეგებ ვაქცინების შემწეობით გამოვიწვიოთ ანტისხეულების გაჩენა? მაშინ სულფამიდები უფრო მეტ ეფექტს მოგვცემენ. „თავის კოლეგებთან მაკ-ლინთან და როჯერსთან ერთად ფლემინგმა დასენიანებული თავგების ერთ ჯგუფს შეუყვანა 693-მ და 693-ბ პრეპარატები უვაქცინოდ, მეორე ჯგუფს — მხოლოდ ვაქცინა, 693-მ და 693-ბ პრეპარატების გარეშე, მესამე ჯგუფს — ვაქცინაც და 693-მ და 693-ბ პრეპარატებიც, და ერთმანეთს შეუდარა სიკვდილიანობა ამ სამ ჯგუფში. მკვლევარმა სავსებით ნათელი პასუხი მიიღო ასეთი ექსპერიმენტით. ცოცხალი გადაჩინენ მხოლოდ მესამე ჯგუფის თავგები, ესე იგი, ისინი, რომელთაც ვაქცინაც შეუყვანეს და 693-მ და 693-ბ პრეპარატებიც. —

ასეთი ცდები დიდად ახარებდა აღმროტ რაიტს. ეს ხომ იმის დადასტურება იყო, რომ იმუნოთერაპია ინარჩუნებდა თავის ფასს. ბერიკაცი საუცხოვო დამოკიდებულებაში იყო Little Flem-თან და განაგრძობდა მათ ქირდვას. ფლემინგი უწყინარი სიმშვიდით ითმენდა პატრონის დაცინვას და თავი ისე ექირა, თითქოს მართლაც ისეთი ყოფილიყოს, როგორიც სხვებს უნდოდათ. თავის მხრივ იგიც ქირდავდა ხოლმე ახალბედებს. ახალგაზრდებს კი მისგან არათფერი წყინდათ, რადგან ხედავდნენ, რომ იგი მუდამ მზად აყო მათ დასახმარებლად, და კიდევ იმიტომ უყვარდათ, რომ ფლემინგს ახალი ორიგინალური და ერთი შეხედვით ექსტრავაგანტური იდეები ჰქონდა. მებაღეობაშიც კი ყოველად უცნაური მეთოდების დანერგვას ცდილობდა. ერთხელ, „დუნში“ გამგზავრების წინ, ყვავილების ბოლქვები იყიდა და თავისი მეგობარი

მფრინავი დაარწმუნა, ძალიან კარგი იქნება, თუ ამ ბოლქვებს თვითმფრინავიდან გადმომიყრი გაფხვიერებულ მიწაზე, ზოგი სად ჩაითესება და ზოგი სად, ამიტომ უფრო ბუნებრივი ყვავილნარი გაიზრდებაო.

როდესაც იგი ასევე უცნაურად აწყობდა თავისი ლაბორატორიული მუშაობის გეგმებს, მისი კოლეგები იცინოდნენ: „ახარებული კაცია ეს ფლემი!“ ფლემინგი კი, ვითომც არაფერი გაეგონოს, იჯდა თავის ნაგიდასთან და გულმოდგინედ განაგრძობდა მუშაობას, იცოდა რა, რომ ყოველი სიახლე პირველ ხანებში დაცინვას იწვევს. „თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ბოლოს და ბოლოს ეს გაიმარჯვებს“, — ამბობდა იგი. უშეტეს შემთხვევაში მართლაც ასე ხდებოდა — გაივლიდა გარკვეული დრო და გამართლდებოდა მისი ნათქვამი.

თუმცა იგი თვლიდა, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა დაკვირვებას ჰქონდა, რაციონალური ახსნა-განმარტება მაინც უყვარდა, მაგრამ იმ აუცილებელი წინაპირობით, რომ ფაქტები ყოფილიყო ყოველგვან პირველწყარო და დამადასტურებელი. ფლემინგს ძალიან მოსწონებოდა ფილესის საკმაოდ „მიმზიდველი“ თეორია, რომელიც თავისებურად ხსნიდა ქიმიური სამკურნალწამლო პრეპარატების მოქმედებას. ფილესის საეარაუდო მოსაზრებით, ქიმიათერაპიული ნივთიერებები თავისი ქიმიური სტრუქტურით იმდენად წააგვანან მიკრობის უჯრედის კვებისათვის აუცილებელ ნივთიერებებს, რომ „შეცდომაში შეყვანილი“ მიკრობი საკვებად მიიჩნევს სულფამიდებს და სიამოვნებით „შეექცევა“ მათ. კარგად „გამოძლება“ და ამდენად აღარ ძალუძს მიიღოს ის საკვები ნივთიერებანი, რომლებიც აუცილებელია მისი ზრდა-გამრავლებისათვის. ამიტომ იგი ან იღუპება ანდა იმდენად სუსტდება, რომ ორგანიზმის ბუნებრივი დამცველი ძალები ადვილად ამარცხებენ. ბრწყინვალე თეორია გახლდათ, თუმცა მეტისმეტად უჩვეულოც!

1936 წელს ჩატარდა მიკრობიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესი. ფლემინგმა კონგრესის შიგნით პენიცილინის შესახებ და თავისი კოლეგების თვალწინ ჩაატარა ცდა აგარაზე ამოჭრილი ღარაკით, რომელსაც ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ მიკრობები. მაგრამ ამჯერადაც გულცივად შეხვდნენ გამომგონებელს. ფლემინგმა თერთმეტი წლის შემდეგ გაიხსენა ეს მიკრობიოლოგთა IV კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში:

„პენიცილინზე მე მოგახსენეთ ჯერ კიდევ 1936 წელს... მაგრამ მკვერმეტყველურად არ მილაპარაკია, და ამიტომ ყურადღება არავინ მიაქ-

ცია ჩემს ნათქვამს... ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა 1929 წელს, იგი დემონსტრირებულ იქნა კონგრესზე 1936 წელს, მიუხედავად ამისა მრავალმა წელმა ისე გაიარა, რომ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ამბისათვის. ვინ იცის, ეგებ ამ კონგრესზეც მოვისმინოთ ამისდაგვარი რამ; ვეცადოთ, რომ არაფერი გამოგვჩინეს საყურადღებო“.

იმავე კონგრესზე 1936 წელს ფლემინგმა საჯაროდ ჩაატარა რამდენიმე ცდა. მათ არავითარი საგანგებო მნიშვნელობა არა ჰქონიათ და თავშესაქცევ სანახაობას უფრო მიაგვანდნენ, ვიდრე მეცნიერულ ექსპერიმენტს. მაგრამ, ასე ეწადა ფლემინგს. აბა თუ მოსვლია აზრად რომელიმე ბაქტერიოლოგს, რომ სახატავად საღებავების ნაცულად მიკრობების სეგმენტები ეხმაროს? ფლემინგისათვის კი ასეთი პროფესიონალური გართობა სავსებით ბუნებრივი რამ იყო. მიკრობთა ერთი ნაწილი მკვეთრი ფერადოვნებით გამოირჩევა. სტაფილოკოკი ყვითელია; bacillus prodigiosus — წითელი; bacillus violaceus — ცისფერი. ფლემინგი სწორედ ამ ცოცხალ პალიტრას იყენებდა. აიღებდა საშრობ ქალაღს, დახატავდა ზედ რაიმეს — მოცეკვავე ქალს, მანდარინს, გრუნადერს ან დროშას. ფურცელზე აგარს წასცხებდა, რათა ქალაღი საკვებ ნიადაგად გადაქცეულიყო, და შემდეგ თავის ნახატს შესაბამისი კულტურებით შეაფერადებდა. ბოლოს ამ საშრობ ქალაღს თერმოსტატში მოათავსებდა. სითბოში მიკრობები იზრდებოდნენ და ნახატს მართლაც აფერადებდნენ. ზოგჯერ პაწაწინა „ბაღ-ყვავილნარს“ გააშენებდა — „მიწაზე“ დაგებული იყო ხავსის მკერივი თეჭისებური ხალიჩა — „პენიცილიუმი“, — რომელიც მორთულ-მოკაზმულიყო ლამაზი ყვავილებით — მიკრობთა კოლონიებით.

ერთხელ, როცა საავადმყოფო დედოფალ მარიამს ელოდებოდა სტუმრად, ფლემინგმა მიაშხადა თავისი ბაქტერიული ფანტაზიების პატარა გამოფენა. ექსპონატებს შორის „ფრილენდა“ კულტურებით მოთესილ-მოხატული ეროვნული დროშა ბრიტანეთისა. დედოფალს, ჩანს, არაფრად ექაშნიკა ეს უჩვეულო გამოფენა და სწრაფად ჩაუარა გვერდით. შესაძლო ფექსავატობად მიიჩნია ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერის ასეთი. „ხელგარჯილობა“, ანდა ეგებ იწყინა კიდევ ბრიტანეთის ეროვნული დროშის მოხატვა მიკრობებით. მაგრამ ფლემინგი

ბავშვურად იყო გატაცებული ამ უჩვეულო ხელოვნებით და შემდეგაც განაგრძობდა ბაღების, ვინიეტების „გამოზრდას“, მუყაოზე აწებებდა ხოლმე მათ, ჩარჩოში ჩასვამდა და მეგობრებს ურჩევდა სამახსოვრო საჩუქრებად.

დაახლოებით ამავე ხანებში ფლემინგმა კვლავ სთხოვა ფარმაკოლოგიის პროფესორ გ. ბერის (ამჟამად ფარმაცევტული ინსტიტუტის დეკანი) შეცდილიყო პენიცილინის ექსტრაგირებას. „სამწუხაროდ, — წერს პროფესორი გ. ბერი, — მე არც კი შევცდილვარ ამას, და დღემდე ვნანობ, მაგრამ მაშინ არ მესმოდა, თუ რატომ აძლევდა ფლემინგი ამას ესოდენ დიდ მნიშვნელობას... ძალიან კარგად მახსოვს ჩვენი საუბარი. იგი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ მის აღმოჩენას დიდი მომავალი ჰქონდა. მახსოვს, როგორ იწინასწარმეტყველა მაშინ, თუკი შეეძლებოდა ამ ნივთიერების გასუფთავებას მინარევეებისაგან, შესაძლებელი იქნება მრავალი შეყვანა ადამიანის ორგანიზმში“.

რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ 1937 წელს, ფლემინგმა პენიცილინის შესახებ კვლავ მოუთხრო ლაბორატორიის ყოფილ თანამშრომელს, დოქტორ ჯ. გ. ლაიდლაუს, როცა იგი მოსანახულებლად ეწვია მას. „არასოდეს არ დამავიწყდება მისი დინჯი აღფრთოვანება. დადგება დრო, მითხრა მან, როდესაც მოახერხებენ აქტიური ნივთიერების გამოყოფას და მის დამზადებას მასობრივი მასშტაბებით. მაშინ ჩვენ იმის მოწმენი გავხდებით, რომ ამ ნივთიერებას ფართოდ გამოიყენებენ იმ მიკროორგანიზმებით გამოწვეული სნეულებების წინააღმდეგ, რომლებსაც, რამდენადაც ვიცი, იგი სპობს“.

ბევრის ბევრი რამ შეგვიძლია დავიმოწმოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ფლემინგს მტკიცედ სწამდა პენიცილინის ძალა და მომავალი. ხომ უაღრესად თავშეკავებული კაცი გახლდათ იგი, და მაინც მრავალჯერ უცდია თავისი აღმოჩენის პრაქტიკაში დანერგვა. რამდენ ახალ საკვლევადიებო საგანს არ მოჰკიდა ხელი, იგი მაინც ვერ ივიწყებდა საიმედო „პირმშოს“ და კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა იმ სამუშაოს, რომელიც პირველად 1929 წელს ჩაატარა. როგორ შეიძლება არ აღვლდე, როცა შეიტყობ, რომ ეს მორცხვი ადამიანი, ღრმად დარწმუნებული თავისი შესანიშნავი აღმოჩენის დიდმნიშვნელოვანებაში, ვერა და ვერ ახერხებდა დახმარებაზე დაეყაბულებინა ის სპეციალისტები, რომელთაც საშუალება ჰქონდათ წარმატებით დაებოლოგებინათ მისი შრომა. მაგრამ ალბათ არც ისინი არიან გასაკიცხნი. ყოველ მეცნიერს

თავისი ამოცანა აქვს, და ძნელად, რომ სხვისი ამოცანის ამოხსნის გულისათვის საკუთარზე უარი თქვას. სამჭერ იხილა ფლემინგმა იმედის შუქი და სამივეჯერ ჩაუქრა იგი.

თავისთავად ცხადია, რომ ფლემინგი ვერ მიმართავდა თავის მასწავლებელ ალმროტ რაიტს და ვერ სთხოვდა სახსრებსა და თანაშემწეებს ამ საქმისათვის. „ასე მგონია,— წერს სერ ჰენრი დელი,— ალექსანდრე ფლემინგს ისეთ ინსტიტუტში რომ ემუშავა, სადაც ანტიბაქტერიული ქიმიათერაპია უგულვებელყოფილი არ იქნება; და და განყოფილების უფროსის მხარდაჭერას ჰპოვებდა, ყოველივე გაცილებით უფრო სწრაფად წავიდოდა წინ. რაიტის ბიოგრაფიამ კოლბრუჯი ამჟამად ამბობს, რომ ბერიკაცს გაგონებაც კი არ უნდოდა, სულფამიდებისა; მან ზურგა შეაქცია ამ აღმოჩენას და ისე იქცეოდა, თითქოს არც კი აღმოეჩინათ ეს ნივთიერებები“. რაიტი თავისი რწმენით იყო პენიცილინის მოწინააღმდეგე. მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ მის სკოლაში რომ არ მიეღო წრთობა ფლემინგს, იგი მთელ თავის ცხოვრებას არ შეწირავდა ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლას; შესაძლოა არც ანტისეპტიკების კვლევით არ დაინტერესებულყო და არც ორგანიზმის ბუნებრივი დამცველი ძალების შესწავლით, და იქნებ არც პენიცილინი არ აღმოეჩინა.

მწარე იმედგაცრუების დროსაც კი არ ივიწყებდა ფლემინგი. თუ რაოდენ დავალებული იყო იგი თავისი მასწავლებლისაგან. ერთხელ დოქტორმა ჯ. ტეილორმა უთხრა ფლემინგს: „თქვენთვის ადვილი იყო საკუთარი იდეების განხორციელება. თქვენ მხარს ვიჭერდათ რაიტი“. ფლემინგმა ხმადაბლა ჩაულაპარაკა: „არა. პირიქით“. მაგრამ იგი მაშინვე გაჩუმდა და ყოვლად შემწყნარებლად და ალერსიანად გაუღიმა მოხუც მასწავლებელს. ამ უთქმელ კაცს დაუსრულებლად შეეძლო ლოდინი და უკან კი არ დაიხევდა.

და ასე, უკან არ იხევდა და ელოდებოდა. სავსებით ცხადი არ გუმენტაციით თავგამოდებით განუმარტავდა ყველას, თუ როგორ უნდა შემოწმებულიყო ქიმიათერაპიული წამლეულის ღირსება. „ახალი მედიკამენტის შემოწმება — ამბობდა იგი, — იმ გამოცდას ჰგავს, რომელიც სტუდენტობისას ყველას უნდა ჩაგვებარებინა, სანამ ადამიანის მკურნალობის ნებას მოგვცემდნენ. მე მგონი, რომ მედიკამენტმა სამი გამოცდა უნდა ჩააბაროს.

პირველი გამოცდა: გამოკვლეულ იქნას, აქვს თუ არა მოცემულ

პრეპარატს ამის უნარი, რომ ადამიანის ორგანიზმში დახოცოს მიკრობები. ამისათვის საუკეთესო მეთოდაა slide cell...

მეორე გამოცდა: გაკეთებულ იქნეს პრეპარატის ინექცია ანდა რომელიმე სხვა გზით იქნას იგი ორგანიზმში შეყვანილი და დროდადრო შემოწმდეს სისხლის ანტიბაქტერიული თვისება...

მესამე, გამოსაშვები გამოცდა: ჩატარდეს ინფექციური დაავადებების მკურნალობა ჯერ ლაბორატორიის საცდელ ცხოველებში, ხოლო შემდეგ ადამიანებში, და განისაზღვროს პრეპარატის ტოქსიკურობა მთელი ორგანიზმისათვის..."

სულთამედების აღმოჩენის შემდეგ მთელი მსოფლიოს მეცნიერები ცდილობდნენ ეპოვნათ ისეთი ნივთიერება, რომელიც გარკვეულ მიკრობებს დახოცავდა ადამიანის ორგანიზმში. როკფელერის ინსტიტუტში დოქტორი დიუბო საკვლევადიებო მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა ჩირქბადი მიკრობების საწინააღმდეგო ანტიბიოტიკის მისაღებად. დიუბომ უაღრესად მახვილგანიერი ხერხი მოიგონა: მიწის პატარა ნაკვეთი დაასენიანა ამ მიკრობებით, რადგან ფიქრობდა, რომ არსებობისათვის ბრძოლის პროცესში გადარჩევის გზით მიწაში რომელიღაც მიკროორგანიზმები განვითარდებიან.

ამ დასენიანებული მიწიდან მან გამოკყო კულტურა და მასში მართლაც აღმოაჩინა ბაქტერია bacillus brevis-^{3/4}, რომელიც მძლავრ ბაქტერიციდულ მოქმედებას იჩენს სხვადასხვა პათოგენურ მიკრობებზე. დიუბომ შესძლო გამოეყო საჭირო ნივთიერება და უწოდა მას „ტიროტრიცინი“; რომელშიც როგორც შემდეგ შეიტყო მკვლევარმა, შედიოდა ორი ანტიბიოტიკი: გრამიციდინი და ტიროციდინი. სამწუხაროდ, ერთიცა და მეორეც ტოქსიკური გამოდგა თირკმლებისათვის, თუმცა გარკვევან სახმარად წარმატებით გამოიყენება ადგილობრივი მკურნალობისათვის.

მეცნიერების ჩირაღდანი კონტინენტიდან კონტინენტზე გადადიოდა. მეცნიერნი სწორი გეზით მიემართებოდნენ წინ.

1939 წელს ფლემინგს, ბაქტერიოლოგიის პროფესორს, ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწეს, თავისი დარგის მეცნიერებაში საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი უკავია: მაგრამ ამ დროს იგი უკვე ორმოცდათექვსმეტი წლისაა და საეჭვოა, რომ სამსახურისათვის თავის დანებებამდე კიდევ მოასწროს რაიმე უჩვეულოს აღმოჩენა. მართალია, არსე-

ბობს პენიცილინი, და ლევივის მისი მომავალი გამარჯვების რწმენა, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მცირდება იმის იმედი, რომ იგი მოესწრება გასუფთავებული ნივთიერების ხალვას...

1938 წელს მსოფლიომ მრისხანე და ავისმომასწავებელი გაფრთხილება მიიღო * და ამის შემდეგ ყველა შორსმკვრეტელი ადამიანი მიხვდა, რომ მალე იფეთქებდა ომის ხანძარი. 1939 წლის დასაწყისში ფლემინგი სენტ-მერის დერეფანში შეხვდა ერთ თავის ლაბორანტს, პიტერ ფლულდს. გააჩერა და ღიმილით უთხრა:

— იცით, რა ბედი გვეწვევა ჩვენ, ომი რომ დაიწყოს?

— არა, — გაოცებით უპასუხა ფლულდა.

— რა და... უმრავლესობას მიამაგრებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე. დანარჩენები კი, მათ შორის მე და თქვენ. აქ დავრჩებით. ერთი მუქა ხალხი ვიქნებით, მაგრამ მანამდე განვაგრძობთ ლაბორატორიაში მუშაობას, სანამ ყუმბარები არ გაგვრეკავენ აქედან.

ფლულდა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— ნუ წუხნართ, — განაგრძო ფლემინგმა. — სამუშაო ადგილს მაინც ვიშოვით სადმე და ყველანი ერთად ვიმრომებთ.

ფლულდა უთხრა. რომ ეს სავსებით ხელს აძლევს მას. ფლემინგს ღიმილმა სახე გაუცისკროვნა.

— სხვა პასუხს არც მოველოდი თქვენგან, — მიუგო ფლემინგმა.

ფლემინგს არ აშინებდა იმის პერსპექტივა. რომ, მშვიდად დაასრულებდა რა თავის კარიერას ლაბორატორიაში, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა, სამოცდახუთი წლის ასაკში გადასახლდებოდა ბარტონ-მილსში, თავის ბაღში მიწის ჩიჩქნით შეიქცევედა თავს და ასე იცხოვრებდა პატივისცემითა და სიყვარულით გარშემორტყმული, თუმცა დიდების გვირგვინის გარეშე. მაგრამ ესეც კია, რომ ზოგიერთი მისი ნაცნობის, მათ შორის დოქტორ დაისონის სიტყვით, ამ კაცს რაღაც იღუმალი ნაღველი ჰქონდა და თავისი ლაკონიზმით და მახვილი იუმორით ცდილობდა დაეთარა სევდა, რომელიც ეგებ იმით იყო გამოწვეული, რომ არ ძალუძდა თავისი გრძნობების გამხელა, თავისი განცდების გაზიარება. უმრავლესობა კი ფიქრობს, რომ ფლემინგი თავისებურად ბედნიერი ადამიანი იყო. პროფესორ პრაისს ერთხელ თურმე უთხრა, ვერაფრით ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა „თავისი ლა-

* 1938 წელს პიტლერელები ავსტრიაში შექარნენ .

ბორატორიული უსიამოვნებანი შინ წაიღოსო. რაც არ უნდა წყენოდა, ძილი არ გაუკრთებოდა. მხოლოდ ერთი რამ ტანჯავდა და აწამებდა მას — არ შეეძლო გულის გადაშლა“. ასეთი იყო იგი ბუნებით, ასეთი დაიბადა. ასეთად გაზარდა შოტლანდიაში და კვლევითმა მუშაობამ. და იგი იძულებული იყო შერიგებოდა თავის ხვედრს.

დოქტორი კრადოკი, რომელიც ახლო იცნობდა მას, ასე აღწერს ფლემინგის თავისებურ ბედნიერებას. „თავის მუშაობაში იგი რამდენადმე დილექტანტი იყო. იგი არ ჰგავდა იმ მეცნიერთ, რომელნიც თვეების მანძილზე ასეულობით კულტურას ზრდიან და ერთ ადგილს ტყეპნიან, გამოავლენენ რაღაც უმნიშვნელო სიახლეს და ხუთი წლის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად შეადგენენ ერთი და იგივე ორგანიზმის ვარიანტთა კლასიფიკაციას. ფლემინგი უფრო ეფექტური და უფრო საინტერესო შედეგებისაკენ მიილტვოდა. მას სურდა, რომ სიამოვნება განეცადა სამუშაოსაგან. ლიზოციმმა ალტაცებაში მოიყვანა, პენიცილინიმა ხომ მთლად აღაფრთოვანა. ეს იყო ახალი სამყარო და იგი ნეტარებით ყურყუმალაობდა შიგ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, უცნაური და საინტერესო რაც იყო, სწორედ ის იზიდავდა. მაგონდება, ერთხელ მანქანით მივდიოდით და შარავნაზე ყურადღება მიაქცია უჩვეულო ხელის ურიკას, სოფლელი მკედლის მიერ გაკეთებულს. ამ ურიკით რძით სავსე მძიმე ბილონებს ეზიდებოდნენ ფერმიდან გზატკეცილამდე, სადაც სპეციალურ სატვირთო მანქანაში ხდებოდა მათი გადატვირთვა. ფლემინგმა მანქანა გამაჩერებინა, და იქვე ნატურიდან დახატა ურიკა, რომელმაც ხერხიანი მოწყობილობის გამო მიიქცია მისი ყურადღება... ჩემმა ათი წლის ბიჭუნამ თავისი კონსტრუქციის დეტალებიდან ამწე გააკეთა, ფლემინგს მოეწონა ბავშვის ნახელავი, აზრიანადაა მოფიქრებულო, თქვა და სურათი გადაუღო ამ ნაკეთობას... იგი მუდამ გაფაციცებით ათვალიერებდა ხოლმე თიხის ღუმელებს, რომლებსაც ახლაც იყენებენ ჩვენს ძველებურ ფერმებში. ამ ღუმელებს ბურბუშელით ახურებენ. როდესაც ღუმელის კედელი თეთრად გავარვარდება, ნაცარს გამოხვეტავენ და შიგ ხორცს შედებენ შესაწავად. გახურებულ კედლებში ხორცი მართლაც რომ შესანიშნავად იწეება. ფლემინგი ალტაცებული იყო ამ მეთოდით, რომელიც სათბობის დასაზოგად გამოეგონათ.

დილექტანტი რომ ვუწოდე მას, არავინ იფიქროს, თითქოს იმ პეპელას შევადარე, ერთი ლამაზი ყვავილიდან მეორეზე რომ გადაფრინ-

დებდა, მეორედან კიდევ მესამეზე. მხოლოდ ამის უკმა მწადდა, რომ იგი გულმოდგინედ ირჩევდა საინტერესო თემას. რაიმეზე რომ გაამახვილებდა ყურადღებას, გულდაჭერებით და სხვებთან შედარებით გაცილებით უფრო მალე გაიკათავდა გზას პრობლემის არსისაკენ. იგი უნაკლოდ მუშაობდა უსარგებლოს არაფერს აკეთებდა. საოცრად ხელმარჯვე კაცი იყო, ყველაფერი ეადვილებოდა. სენტ-მერიში ჰყვებოდნენ, რომ იმ ხანებში, როდესაც სისხლის გადასხმა ჯერ კიდევ ახალი საქმე იყო, ერთმა ქირურგმა ვერაფრით ვერ მოუძებნა თურმე ავადმყოფ ბავშვს ვენა და ფლემინგის გამოძახება ითხოვა; და მართლაც, მან უწვალებლად გადაუსხა პატარა პაციენტს სისხლი გარეთა საუღლე ვენაში...

ლაბორატორიაში რეგულარულად მუშაობდა დღეში ექვს-შვიდ საათს, იგი იმ კატეგორიის თანამშრომლებს არ მიეკუთვნებოდა. რომლებიც მზად არიან მთელი თორმეტი საათი იმუშაონ. ასეთ რეჟიმზე იგი მხოლოდ ახალგაზრდობაში თანხმდებოდა, როდესაც ოპსონური ინდექსის გამოთვლა წარმოებდა; საბედნიეროდ, ახლა ეს აღარ იყო საქმე. ფლემინგს უსაქმურად ვერ ნახავდით და ექვსი საათის განმავლობაში იგი იმდენი საქმის გაკეთებას ასწრებდა, რასაც სხვები თორმეტ საათს ანდომებდნენ. ზაფხულობით ძალიან უყვარდა თავის საგარეუბნო სახლში ყოფნა, ბაღში მიწის ჩიჩქნა. ყოველ პარასკევს საღამოს ხალისით მიემგზავრებოდა ქალაქგარეთ. ორშაბათ დილით ენერგიით სავსე ბრუნდებოდა უკან და კიდევ უფრო დიდი ხალისით იწყებდა მუშაობას“

ასე გადიოდა წლები.

1939 წლის აგვისტოში ფლემინგი მეუღლესთან ერთად ნიუ-იორკში გაემგზავრა მიკრობიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებად. ფლემინგმა იქ გაიცნო დოქტორი დიუბო, რომლის შრომებითაც იგი აღფრთოვანებული იყო. დიუბო დაინტერესდა პენიცილინის ბედით, რადგან ეს ნივთიერება მისი აზრითაც ბევრისაღმტკმელი იყო. ფლემინგმა უამბო, რომ ერთ სახელგანთქმულ ლონდონელ ქიმიკოსს მისცა პენიცილინი და სთხოვა მისი გასუფთავება, მაგრამ, მეცნიერის აზრით, ეს ნივთიერება მეტისმეტად არამედვი აღმოჩნდა და თანაც თურმე ქიმიური თვალსაზრისით „არაფრითაა საყურადღებო“.

ამერიკაში დოქტორმა როჯერ რიდმა, რომელიც პენსილვანიის სა-

სოფლო-სამეურნეო კოლექში მუშაობდა, წაიკითხა რა ფლემინგის ინფორმაცია პენიცილინზე, გადაწყვიტა თავისი დისერტაციის თემად სწორედ ეს ნივთიერება აერჩია. კოლექის ხელმძღვანელობას მან ასი დოლარი სთხოვა ცდების ჩასატარებლად: როჯერ რიდს გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეცადა ობიანი ბულიონი პნევმოკოკებით დასნებოვნებულ თავგებზე, და დაედგინა პენიცილინის შეყვანის გავლენა მასტიტით დაავადებულ ძროხებზე. როჯერ რიდს სუბსიდიასზე უარი უთხრეს, ხოლო პროფესორს, რომელმაც ცდების ფინანსირება შესთავაზა, მოხსნით დაემუქრენ! ამავე კონგრესზე ფლემინგი შეხვდა აგრეთვე ერთ ამერიკელ მედიკოსს ელვინ ფ. კობიერნს, რომელიც უაღრესად დაინტერესებული იყო ლიზოციმით და ჩახის მიკრობებით, გამძლეობას რომ იქნდნენ ნერწყვის მიმართ.

ფლემინგმა ნამდვილი ბედნიერება განიცადა, როცა შეიტყო, რომ სენტ-მერის პაწაწინა ლაბორატორიაში გულმოდგინედ ჩატარებული მისი შრომის შედეგები ოკეანის გაღმაც გახმაურებულა და ამერიკელი მეცნიერების დაინტერესება გამოუწვევია. აგვისტო ნოტიო და ცხელი გამოდგა, რაგორც სჩვევია ეს ნიუ-იორკს. ჭექა-ქუხილის მომასწავებელი ამინდები დაიჭირა. მაგრამ საშინელების მაუწყებელი იყო სხვა, მეორე აედარი, რომელიც ცენტრალურ ევროპას ემუქრებოდა. სამ სექტემბერს ომი გამოცხადდა. ფლემინგი თავის ცოლთან ერთად გემ „მანჰეტენით“ ინგლისისაკენ გაემართა.

XII. ოქსფორდის ჯგუფი

ახალ თემას მეცნიერი მარტო აღ-
წიარენს ხოლმე. მაგრამ რაც უფრო
რთული ბღება სამყარო. მით უფრო
მეტირს წარმატებით დაჯბრლო-
ვით რაიმე სხეებთან თანამშრო-
ბის გარეშე

ფლემინგი

დიდი აღმოჩენის გზას როტული მოკლენების გრძელი
ჩაჭვი გასდევს. ფლემინგმა აღმოაჩინა პენიცილინი. მან გამოაღწა-
გაუსუფთავებელი ნივთიერების ბაქტერიციდული თვისება, დაამტკიცა
მისი უვნებლობა. მანვე მოგვაწოდა აზრი პენიცილინის მიმართ მგრამ-
ბიარე მიკრობებით დასენიანებული კრილობების სამკურნალოდ მის
გამოყენებაზე, აღწერა ამ ნივთიერების ხმარების კეთილსაიმედო შე-
დეგები. ყოველნაირად ცდილობდა, რომ ქიმიკოსებს გამოეყოთ ხა-
ლასი პენიცილინი. მაგრამ მკვლევარებს ათასი დაბრკოლება გადაულო-
ბათ წინ, ზან კიდევ უბედურმა შემთხვევებმა შეუშალეს ხელი. ამიტომ
ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა საქმის ბოლომდე მიყვანა. მაგრამ
უკვე 1935 წელს დედამიწის ორი წერტილიდან, ერთმანეთისაგან საკ-
მარ მანძილით დაშორებული ორი ადგილიდან ორი კაცი გამოემართა
ოქსფორდისაკენ. სწორედ მათ არგუნა ბედმა ამ ამოცანის ერთობ-
ლივად გადაწყვეტა და, ესე იგი, დიდი აღმოჩენის დაგვირგვინება.

დოქტორი ჰოვარდ ფლორი ავსტრალიელი იყო, დაიბადა 1898 წელს
ადელაიდაში. ფლორი ბავშვობიდანვე ცხოველ ინტერესს იჩენდა მეც-
ნიერებისადმი, კერძოდ, ძალიან მოსწონდა ქიმიკა. სამედიცინო კოლეჯში
სწავლისას ცოლად შეიერთო სტუდენტი ქალიშვილი ეტელ რიდი. ცოლს
კლინიცისტობა უნდოდა, ქმარს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იზი-
დავდა. ფლორის დაუნიშნეს სესილი როდსის სტიპენდია და ამან ოქს-
ფორდის უნივერსიტეტში ჩასვლის შესაძლებლობა მისცა. აქ მან ფი-

ზიოლოგიას მოჰყრდა ხელი, შემდეგ კი კემბრიჯში პათოლოგიის შესწავლა დაიწყო. ფლორის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა აინტერესებდა და, რადგან უაღრესად ჰკვირავდა და მახვოლოგონიერი იყო, თანაც ძლიერი ნებისყოფის მქონე, ყველა დარგში ერთნაირად აღწევდა წარმატებას.

1925 წელს როკფელერის ფონდმა იგი შეერთებულ შტატებში გაგზავნა, სადაც სხვადასხვა ლაბორატორიაში იმუშავა. აქ მან ბევრი მეგობარი შეიძინა, მათ შორის პენსილვანიის უნივერსიტეტის თანამშრომელი დოქტორი ა. ნ. რიჩარდსი. უნდა მოგახსენოთ, რომ რიჩარდსმაც შეასრულა თავისი როლი პენიცილინის ისტორიაში.

1929 წელს ფლორი ინგლისში დაბრუნდა და გაეცნო ფლემინგის ნაშრომებს ლიზოციმზე. იგი ძალიან დააინტერესა ამ უცნაურმა ნივთიერებამ, რომელიც შედის ადამიანის ცრემლისა და ფრჩხილის შემადგენლობაში და თვალის დახამხამებაში სპობს ზოგიერთ მიკრობს. 1935 წელს ფლორი პათოლოგიის პროფესორად დაინიშნა უილიამ დენის ოქსფორდის ინსტიტუტში. ეს სამაგალითო მეცნიერული დაწესებულება მდებარეობდა ვეებერთელა შესანიშნავ პარკში. ინსტიტუტი მშვენივრად იყო მოწყობილი, და აქ გაცილებით მეტი მეცნიერი მუშაობდა, ვიდრე სენტ-მერიში. უილიამ დენის ინსტიტუტში სამი ლაბორატორია იყო: ექსპერიმენტული პათოლოგიის, ბიოქიმიისა და ბაქტერიოლოგიის. ფლორიმ აქ ლიზოციმის შესწავლა განაგრძო. იგი ყოველმხრივ განათლებული მეცნიერი გახლდათ და ამიტომ სხვებთან შედარებით უკეთ შეეძლო მკვლევართა ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა და კოორდინირება. მან დოქტორ რობერტსს მიანდო ხალასი ლიზოციმის გამოყოფა. 1937 წელს რობერტსმა და ერთმა ახალგაზრდა ქიმიკოსმა, დოქტორმა აბრაჰამმა, მართლაც შეძლეს გასუფთავებული ლიზოციმის მიღება. როდესაც ფლორის კათედრა ჩააბარეს, მან სამუშაოდ მოიწვია დოქტორი ე. ბ. ჩეინი, რათა მას ბიოქიმიის სექცია ჩამოეყალიბებინა და სათავეში ჩადგომოდა მის მუშაობას.

ჩეინი დაიბადა ბერლინში 1906 წელს. მამამისი რუსეთიდან იყო ჩამოსული, დედა გერმანელი ჰყავდა. მამამისს ქიმიური ქარხანა ჰქონია, და ჩეინმა ბავშვობიდანვე გადაწყვიტა ქიმიკოსად გახლომა. იგი ბერლინის უნივერსიტეტში შევიდა სასწავლებლად. ჩეინს განსაკუთრებით იზიდავდა ცოცხალი ორგანიზმების ქიმია (ბიოქიმია), მეორე დისციპლინად კი ფიზიოლოგია აირჩია. სადოქტორო დისერტაცია და-

იყვა, მაგრამ 1933 წელს ხელისუფლებას ნაცისტები ჩაუდგნენ სათავეში და რადგან ჩეინი ებრაელი იყო, ინგლისში გადასახლდა. იგი ჯერ ლონდონში მუშაობდა, შემდეგ კემბრიჯში. აქ ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი იყო სერ ფრედერიკ გაულენდ ჰოპკინსი, რომელიც ხელად მიხვდა ახალგაზრდა მეცნიერის მაღალგონიერებას და ცხოველი ინტერესი გამოიჩინა მისი მეცნიერული ნაშრომებისადმი. ერთხელ სერ ფრედერიკი სარდაფში ჩავიდა, სადაც ჩეინს თავისი ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი, და ჰკითხა მეცნიერს, ხომ არ ინდომებდი ოქსფორდში გადასვლას, იქ ერთი კაცი, პათოლოგიის ახალი პროფესორი, ბიოქიმიკოსს ეძებსო.

ჩეინმა აღტაცებით მიიღო ეს წინადადება. ინგლისში კარგი ადგილის შოვნის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ კანადაში ან ავსტრალიაში აპირებდა წასვლას. იგი ახალგაზრდა იყო მაშინ, სულ ოცდაცხრა წლისა გახლდათ. შავთმიანი, თვალბანთებული და ცოცხალი ჰკუა-გონების კაცი სულაც არ ჰგავდა ინგლისელს, მაგრამ მათ გენიად მიიჩნიეს იგი, და არცთუ უსაფუძვლოდ. სერ ფრედერიკ გაულენდ ჰოპკინსმა, რომელიც განცვიფრებული იყო ჩეინის ნიჭითა და უნარით, რეკომენდაცია გაუწია მას ფლორისთან.

ჩეინი ფლორისთან გადავიდა. პროფესორმა ახალ თანამშრომელს თავიდანვე განუმარტა, რომ ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბიოქიმიას, რადგან ყოველგვარი პათოლოგიური პროცესის საფუძველი ბიოქიმიური მოვლენებიაო. ფლორიმ სრული თავისუფლება აღუთქვა ჩეინს და ნება მისცა საკუთარი შეხედულებისამებრ აერჩია საკვლევა-ძიებო მუშაობის თემები. თუმცა თავის მხრივ მაინც ურჩია შესწავლა ბაქტერიათა გამხსნელი ნივთიერება — ლიზოციმი, რომელიც, ფლორის სიტყვით, გარკვეულ როლს ასრულებს ბაქტერიებისაგან ორგანიზმის დაცვაში და შესაძლოა კუჭის წყლულის შეხორცებასაც კი უწყობს ხელსო.

1936 წელს ჩეინმა და ეპშტეინმა, რომელსაც როდის სტიპენდია ჰქონდათ დანიშნული, ხელი მიჰყვეს ამ საკითხის შესწავლას; იმავე დროულად ისინი სწავლობდნენ გველის შხამის ბიოქიმიურ მოქმედებას. უპირველეს ყოვლისა უნდა შეემოწმებინათ ფლემინგის მტკიცება, ესე იგი დაედგინათ ლიზოციმი მართლაც თუ იყო ფერმენტი, ანუ ისეთი ნივთიერება, რომელიც აძლიერებს ზოგიერთ რეაქციას და ზღუდს ზოგიერთ მოლეკულას. თუ ეს ასეა, მაშინ ბაქტერიულ უჯრედ-

ში ყოფილა ისეთი სუბსტრატი, რომელზედაც მოქმედებს ლიზოციმი, რადგან ფერმენტები და სუბსტრატები ისე არიან ერთმანეთთან მორგებულნი, როგორც კლიტე და ბოქლომი. რითაც აიხსნება სწორედ ფერმენტების სპეციფიკური თავისებურებანი. ცდებმა მკვლევარებს დადებითი პასუხი მისცა. ჩეინმა შეძლო ყვითელი კოკისაგან (*micrococcus lysodeiicticus*) გამოეყო ნივთიერება (პოლისაქარიდი), რომელიც ლიზოციმის გავლენით იშლებოდა და მოცემულ კერძო შემთხვევაში თითქოსდა ბოქლომის როლს ასრულებდა.

წარმატებით შეასრულეს რა ეს სამუშაო, მეცნიერებმა, ბუნებრივია, გადაწყვიტეს გულმოდგინედ შეესწავლათ ამ საკითხზე არსებული მთელი ლიტერატურა, გადაეთვალიერებინათ ყველა ძველი პუბლიკაცია და გამოერკვიათ, თუ რა არის უკვე გაკეთებული ამ სფეროში. ჩეინმა მიაკვლია ორასამდე მეცნიერულ ინფორმაციას სხვადასხვა ანტიბაქტერიულ ნივთიერებებზე. ამ ნივთიერებათაგან ზოგიერთნი, ლიზოციმის მსგავსად, გამხსნელად მოქმედებდნენ მიკრობებზე, დანარჩენები კი სხვადასხვა საშუალებით კლავდნენ ამა თუ იმ მიკრობს. ჩეინის წინ გადაიშალა ვრცელი არე საკვლევადიებო მუშაობისათვის: მიკრობული ანტაგონიზმი. ფლორიმ და ჩეინმა გულმოდგინედ განიხილეს ეს თემა.

ამ საკითხზე არსებული ლიტერატურიდან ჩეინს ყველაზე საინტერესოდ ეჩვენა ფლემინგის მეცნიერული ინფორმაცია პენიცილინზე, რომელიც მან 1929 წელს გააყვია. ამ ნაშრომიდან ჩეინმა შეიტყო, რომ არსებობენ ისეთი ნივთიერებები, რომლებიც „აღჭურვილი არიან მრავლისაღმტკეპელი ანტიბაქტერიული თვისებებით“ ამ ნივთიერებას ის უპირატესობა ჰქონდა ლიზოციმთან შედარებით, რომ იგი სპობდა სენგამომწვევ მიკრობებს და ამავე დროს, ფლემინგის მტკიცებით, ტოქსიკურად არ მოქმედებდა ორგანიზმზე. განაგრძო რა ლიტერატურის შესწავლა, ჩეინი დარწმუნდა, რომ მეცნიერები მრავალგზის შეცდილან გამოეყოთ და გაესუფთაებინათ პენიცილინი, ასეთი გულმოდგინე მცდელობა სხვა ნივთიერებათა მიმართ არ აღინიშნებოდა. მაგრამ მიუხედავად სერიოზული მოწადინებისა შედეგი არ ჩანდა.

ჩეინი მზად იყო ხელი მოეკიდებინა ამ საქმისათვის. მაგრამ ამისათვის ბევრი ფული იყო საჭირო. ფული კი არ ჰქონდათ. ერთხელ, უნივერსიტეტის თვალწარმტაც პარკში რომ მისეირნობდა, ჩეინმა ჰკითხა თავის ხელმძღვანელს, ხომ არ მოხერხდება როკფელერის ფონ-

დიდან რამდენიმე ათასი დოლარის მიღებამ. მართალია, ინგლისის სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი საბჭო მცირეოდენ სუბსიდიას — ორმოცდაათ-ას გირვანქა სტერლინგს — იძლეოდა, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში. ფლორიმ შეკითხვა გააგზავნა სადაც ჯერ იყო, და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩეინს აცნობა. რომ თუ წარადგენდნენ საკვლევა-ობებო ბიოქაიმიური მუშაობის საინტერესო გეგმას, ალბათ, მოხერხდებოდა დოტაციის მიღება. ჩეინმა უპასუხა, ამაზე იოლი არაფერიაო და მაშინვე დაწერა მემორანდუმი. იგი სამ თემას სთავაზობდა როკფელერის ფონდს. ერთი რყო გველის შხამი, მეორე — დიფუზიის ფაქტორები * და მესამე — ბაქტერიული ანტაგონიზმი. გეგმა ათი წლის სავარაუდო ვადით იყო შედგენილი.

ფლორიმ მოიწონა მემორანდუმი და რამდენიმე თვის შემდეგ სიხარულით აცნობა ჩეინს, რომ როკფელერის ფონდმა დაამტკიცა სუბსიდიდია ხუთი ათასი დოლარის რაოდენობით. აი, სწორედ ამას ეთქმოდა სასინარულო ამბავი. ახლა ბიოქაიმიის ლაბორატორიის მუშაობას აღარ ემუქრებოდა უქმად ყოფნა აპარატურის შესაძენად საჭირო თითო-ორთა კაპიკის უქონლობის გამო.

ჩეინი 1939 წლის დამდეგს შეუდგა პენიცილინის კვლევას; ზაფხულში შევებულება აიღო და ბელგიაში გაემგზავრა. უკან რომ დაბრუნდა, უკვე ომი იყო გამოცხადებული.

რატომ სწორედ პენიცილინის შესწავლას მიჰყო ხელი პირველ რიგში? ფლორიმ და ჩეინმა გადაწყვიტეს, რომ შეისწავლიდნენ სამ ნივთიერებას: ერთ-ერთ ფერმენტს — პიოცინაზს; ანტიბაქტერიულ ნივთიერებებს, რომელთაც აქტინომიციტები გამოჰყოფენ (ამ ნივთიერებათა კვლევა შემდგომში დაგვირგვინდა ძლიერი ანტიბიოტიკების, მათ შორის სტრეპტომიციინის აღმოჩენით), და პენიცილინს. სხვა ნივთიერებებთან შედარებით პენიცილინს ბევრი უპირატესობა ჰქონდა. ახლა მას მრავალი სხვადასხვა ასპექტით იკვლევდნენ და დადგენილად ჩაითვლებოდა, რომ იგი არ არის ტოქსიკური, და, თუმცა არამედვეგია და

* ელემენტები (მათი ბუნება მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო). რომლებიც იწვევენ კონიუნქტივის თუძის ზოგიერთი ქიმიური შემადგენელი ნაწილის დაშლას. ამ ფაქტორთაგან ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი აღმოაჩინა ჩეინმა 1939 წელს. — ავტორისეული განმარტება.

ხალასი სასით მისი მიღება არ ხერხდება. ადვილი მოსაპოვებელი მაინცაა.

დენის ინსტიტუტში ჰქონდათ „პენიცილიუმის“ შტამი. საინტერესოა. თუ როგორ მოხვდა იგი აქ. 1935 წელს, ჩეინი მაშინ ახალი ჩამოსული იყო ოქსფორდში. ერთხელ დერეფანში შემთხვევით შეხვდა ლაბორანტ ქალს, რომელსაც ბულიონიანი რუს ბოცები მოჰქონდა. ჩეინმა ყურადღება არ მიაქცია ამ კულტურებს, მაგრამ ფლემინგის აღმოჩენა გაახსენდა და იფიქრა, ეგებ ამ ბულიონს რაიმე კავშირი ჰქონდეს პენიცილინთან. იგი გამოესაუბრა ქალს, რომელმაც უამბო, რომ ადრე დრეიერის, ფლორის წინამორბედის. ლაბორანტად მუშაობდა, რომ დრეიერი დაინტერესებული იყო ბაქტეროფაგებით — ბაქტერიათა მოსპობის უნარის მქონე ვირუსებით — და სურდა გამოეკვლია, ასეთი ფაგი ხომ არ არის პენიცილინი. ამიტომ თხოვნით მიმართა ფლემინგს გამოეგზავნა „პენიცილიუმის“ შტამი. ფლემინგს გაუხარდა, როცა შეიტყო, რომ პენიცილინით დაინტერესდნენ და თხოვნა შეუსრულა. დრეიერი მალე დარწმუნდა, რომ პენიცილინი არ იყო ფაგი, მაგრამ სხვა გამოკვლევებისათვის შეინახა იგი. ლაბორანტი ქალის ნაამბობი რომ მოისმინა, ჩეინმა შტამი სთხოვა მას.

მაშინ ჩეინმა არაფერი არ იცოდა ობზე, და რის ვაი-ვაგლახით შეისწავლა ამ ჭირვეული კოლონიების მოვლა. პირველ ხანებში ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა მკვლევარს, რომ შეუძლებელი იყო გარკვეული შედეგის მიღება. „პენიცილიუმი“ ხან გამოჰყოფდა პენიცილინს, ხან არა. საქმე ისაა, რომ ფლემინგის შტამმა ცვლილება განიცადა. ჩეინი დარწმუნდა, რომ ეს ანტიბაქტერიული ნივთიერება მეტისმეტად არამედეგი იყო, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაულღივა ცნობისმოყვარეობა. ქიმიკოსები, რომლებმაც ჩეინამდე სცადეს ხალასი პენიცილინის გამოყოფა, ლაპარაკობდნენ, ეს ნივთიერება „თვალის დახამხამებაში ქრება“. ჩეინმა გადაწყვიტა გამოერკვია ამ არამედეგობის მიზეზი: თავისი გამოკვლევების დროს იგი სარგებლობდა გაცილებით უფრო ნატიფი მეთოდებით, რომელთაც ჩვეულებრივ იყენებდნენ მისთვის კარგად ცნობილი ფერმენტების ქიმიური ბუნების შესწავლისას.

გადაწყდა, რომ როდესაც ჩეინი გამოჰყოფდა პენიცილინს და შეისწავლიდა მის სტრუქტურას, ბიოლოგიური ცდა ჩაეტარებინათ ამ ნივთიერებით. ჩეინი შეუდგა პენიცილინზე მუშაობას, ხოლო პიოციანაზის შესწავლა მეორე თანამშრომელს — მისის შენტალს — მიახლო.

ჩეინის ვარაუდით, პენიცილინი არამედვეი ფერმენტი იყო. როგორც ცნობილია, განზავებული ფერმენტები აორთქლებით კონცენტრირებისას ხშირად კარგავენ ზოლმე თავის აქტივობას, რადგან მანამდე არააქტიური ნივთიერებები ფერმენტებთან ერთად კონცენტრირების დროს აქტივობას იძენენ და შლიან მათ. მაგრამ ჩეინს შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა ახალი მეთოდით, რომელსაც არ იცნობდნენ რიდლი და რაისტრიკი, სახელდობრ ლიოფილიზაციის მეთოდით, რომელიც 1935 — 1939 წლებში ფართოდ გამოიყენებოდა ლაბორატორიებში, ჯერძოდ სისხლის პლაზმის კონსერვირებისათვის.

ლიოფილიზაციის მეთოდი ემყარება უმარტივეს პრინციპს: გაყინული წყალხსნარები ვაკუუმში მყარი მდგომარეობიდან ერთბაშად გადადიან აიროვან მდგომარეობაში. ასეთი მოვლენა აღინიშნება მაღალმთიან ადგილებში, სადაც ყინული ისე „სუბლიმირდება“ (ორთქლად იქცევა), რომ გადნობას ვერ ასწრებს. როდესაც სხვადასხვა ნივთიერების შემცველი წყალხსნარი იყინება, ეს ნივთიერებები მყარ მდგომარეობაში აღარ მოქმედებენ ურთიერთზე (*corpora non agunt nisi fluida*). თუ ამის შემდეგ სუბლიმაციით წყალს გამოვაცლით, მყარი ნივთიერებები, რომლებიც შშრალ ნალექს შეჰქმნიან, დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ აქტივობას. ასეთი საშუალებით შესაძლებელი იყო პენიცილინის დაცვა დაშლისაგან.

თხიერი კულტურის ლიოფიზილებით ჩეინმა მიიღო ყავისფერი ფხვნილი, რომელიც პენიცილინთან ერთად სხვა მინარევებსაც (ცოლეზი, მარილები) შეიცავდა, ასე რომ, საინექციოდ არ გამოდგებოდა. ჩეინის წინამორბედთ იმედი ჰქონდათ, რომ აბსოლუტურ სპირტში გახსნის გზით შეიძლებოდა პენიცილინის გამოყოფა. შესაძლებელი იყო თუ არა ეს? მკვლევარმა ჩაატარა ასეთი ცდა, მაგრამ უშედეგოდ. და არც გაკვირვებია ეს: იგი პენიცილინს მიიჩნევდა ფერმენტად, მაშასადამე, ისეთ ნივთიერებად, რომელიც სპირტში არ იხსნება. მიუხედავად ამისა, ჩეინმა მაინც სცადა მეთილის სპირტის (ანუ მეთალონის) მოქმედების შემოწმება, და სრულიად მოულოდნელად წარმატებას მიაღწია. გამოსაკვლევ ნივთიერებას მინარევის ნაწილი მოსცილდა. მაგრამ მეთალონში გახსნილი პენიცილინი კვლავ არამედვეი გამოდგა. ერთი გამოცვლილი იყო: წყალში განეზავებინა ხსნარი და კვლავ ჩატარებინა ლიოფილიზაცია.

ამრიგად, ჩეინმა მიიღო ნაწილობრივ გასუფთავებული პენიცილინი,

და ახლა, ბუნებრივია, გულს აღარ უთმენდა, ისე ეჩქარებოდა მისი გამოცდა. ფლორი ამ დროს ძალზე დატვირთული იყო სხვა ნივთიერებათა კვლევა-ძიებით. და ამიტომ ჩეინმა მიმართა ცნობილ ესპანელ ქირურგს ხოსე ტრუეტას, რომელიც ოქსფორდის ინსტიტუტშივე, ზედა სართულზე, მუშაობდა მეორე თანამშრომელ. ახალგაზრდა ინგლისელ ჯონ ბარნესთან ერთად, ჩეინის სთხოვნით ბარნესმა ოცდაათი მილიგრამი კონცენტრირებული პენიცილინი შეუყვანა თავის ვენაში. არავითარი ტოქსიკური რეაქცია არ აღინიშნა. ტრუეტა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ ცდას, გაოცებული იყო, ჩეინი კი ზვიმობდა.

ფლორი დაინტერესდა ასეთი შედეგით და მეორე თავზე გაიმეორა ჩეინის ცდა. იგივე შედეგი: ინტოქსიკაციის არავითარი მოვლენა. ფლორი იმდენად ვააოცა ამან, რომ ისიც კი იფიქრა, ალბათ ვენაში ვერ შევიყვანე პენიცილინიო. ამიტომ ჩეინს სთხოვა: „თუ შეიძლება კიდევ ერთი დოზა მომეცით“. პენიცილინის მიღება მაშინ საკმაოდ ძნელი საქმე იყო და ჩეინმა დიდი გაჭირვებით ძლივს მოახერხა ოცი მილიგრამის მოგროვება. და კიდევ ერთხელ დარწმუნდა ფლორი, რომ პენიცილინი არავითარ ტოქსიკურ მოქმედებას არ იჩენდა. მაშასადამე, ისევე როგორც ფლემინგის გაუსუფთაებელი პენიცილინი, ჩეინის მიერ მინარევთაგან ნაწილობრივ გაწმენდილი ეს ნივთიერებაც ცხოველის ორგანიზმისათვის ტოქსიკური არ იყო და მძლავრ ანტიბაქტერიულ თვისებას კი იჩენდა.

ოქსფორდელმა მეცნიერებმა ბოლოს და ბოლოს შეძლეს კონცენტრირებული სახით მიეღოთ გამძლე და ნაწილობრივ გასუფთაებული სასწაულმოქმედი ნივთიერება; რომელსაც განსჯციფრებული თვისება ჰქონდა: ვლავდა მკერობებს და არავითარ ზიანს, არ აყენებდა ორგანიზმის უჭრედებს. ფლორიმ ჩეინს სთხოვა თანამემწეოდ აეყვანა პიტლი — კოპენჰაგენიდან ახლახან დაბრუნებული მეცნიერი. ფრიად ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა. ჩეინმა და პიტლიმ შეიმუშავეს პენიცილინის მიღებისა და გასუფთაების პრაქტიკული მეთოდი.

მკვთველის ყურადღებას არ დავდლით იმის თხრობით, თუ რამდენი სიძნელის გადალახვა მოუხდათ მათ. ძირითადი მოთხოვნები ის იყო, რომ: 1. ემუშავათ დაბალ ტემპერატურაზე; 2. ემუშავათ ნეიტრალურ pH პირობებში; 3. ნეიტრალური წყალხსნარის ლიოფილიზაციის გზით ფხვნილის სახით მიეღოთ პენიცილინის მარილი. უნდა მოგახსენ-

ნოთ, რომ ჩეინისა და ჰიტლის მიერ შემუშავებული მეთოდი 1946 წლამდე გამოიყენებოდა პენიცილინის სამრეწველო წარმოებაში. პენიცილინის მასობრივი წარმოება ლიოფილიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო. ჩეინმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ეს მეთოდი ფერმენტების შესასწავლად.

ფლორიმ ჰიტლის დაავალა ბიოლოგიური კვლევის ჩატარება. ჰიტლიმ პენიცილინის ანტიბაქტერიული მოქმედების განსასაზღვრად ჯერ ფლემინგის მეთოდი გამოიყენა (პეტრის ფინჩანის აგარზე ამოჭრილი ღარაკი ივსებოდა პენიცილინით და, მის გარშემო ყველა მგრძობიარე მიკრობი ქრებოდა). შემდეგ ღარაკის ნაცვლად იყენებდა აგარში ჩაყოფილ მინის ან ქაშანურის პატარა ცილინდრს. პირველმავე ცდებმა გამოავლანა, რომ ნაწილობრივ გასუფთავებული ნივთიერება ათასჯერ უფრო აქტიური იყო, ვიდრე სრულად გასუფთავებული, და ათასჯერ უფრო ძლიერი ყველაზე უფრო აქტიურ სულფამიდებთან შედარებით (როდესაც მიღებულ იქნა სავსებით ხალასი პენიცილინი, იგი ათასჯერ უფრო აქტიური აღმოჩნდა ჩეინის მიერ მიღებულ პირველ ნიმუშებთან შედარებით, ესე იგი მილიონჯერ უფრო აქტიური, ვიდრე ფლემინგის მიერ გამოყოფილი ნივთიერება).

ფლორიმ და მისმა კოლეგებმა პენიცილინი ტოქსიკურობაზე გამოიკვლიეს ვენაში ერთჯერადი შემხაპუნებისას. ამის შემდეგ მათ ვითარებებზე განაგრძეს ცდის ჩატარება კუნთებშიდა გზით პენიცილინის შეყვანაზე. ყოველ სამ საათში ერთხელ ათ-ათ მილიგრამს უკეთებდნენ მთელი ორმოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში. ამას არც ერთი ლეტალური შემთხვევა არ მოჰყოლია. შეისწავლეს აგრეთვე პრეპარატის მოქმედება კატების სისხლის წნევაზე და სუნთქვაზე. გაიმეორეს ფლემინგის ცდები ლეიკოციტებზე. „ყველა ჩვენი გამოკვლევა, — წერდნენ ისინი, — ნათლად ადასტურებს, რომ ამ ნივთიერებას ახასიათებს ისეთი თვისებები, რომლებიც სამკურნალოდ მისი გამოცდის უფლებას გვაძლევს“.

და აი, დადგა გადამწყვეტი გამოცდის მომენტი. ეს ცდა ჩატარდა 1940 წლის 25 მაისს თავგების სამ ჯგუფზე. ერთი ჯგუფის ცხოველები დასნებოვნებული იყვნენ სტაფილოკოკებით, მეორე — სტრეპტოკოკებით და მესამე — *clostridium septicum*-ით. ჰიტლი მღელვარებით იგონებს იმ დამეს, რომელიც გაატარა მან ლაბორატორიაში, როცა აკვირდებოდა ცხოველების რეაქციას და საკუთარი თვალით იხილა, თუ

ერთიმეორის მიყოლებით როგორ დაიხონენ საკონტროლო ცხოველები, ხოლო ისინი კი, რომელთაც პენიცილინი შეუყვანეს, გადაარჩენენ.

ფლორი და ჩეინი მეორე დილითვე მივიდნენ შედეგების შესატყობად. ჩეინი ახლაც კი ალღევებით გვიამბობს იმდროინდელ ამბავს.

1940 წლის ივნისია. გერმანელები უტევენ. დიუნკერკში ცხარე ბრძოლებია. მოახერხებენ თუ არა ფაშისტები ინგლისში შეჭრას? და თუ ასე მოხდა, რა იქნება მაშინ? ოქსფორდის ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, გადაერჩინა სასწაულმოქმედი ობი. რომლის უდიდესი მნიშვნელობა ახლა აღარავითარ ექვს არ იწვევდა. მკვლევარებმა ამ ყავესფერი სიზხით გაუღინთეს თავიანთი პიჯაკებისა და ჯიბეების სარჩულები. ერთი მათგანი მაინც თუ გადაარჩებოდა, გადაარჩებოდა სპორებიც და ესე იგი შესაძლებელი იქნებოდა ახალი კულტურის გაზრდა. თვის ბოლოს ოქსფორდში ისეთი რაოდენობით დაგროვდა პენიცილინი, რომ შეიძლებოდა დამამწყვეტი ცდის ჩატარება. ეს ექსპერიმენტი ჩატარდა 1 ივლისს ორმოცდაათ თეთრ თავგზე. თითოეულ მათგანს სასიკვდილოზე უფრო დიდი დოზით (ნახევარ-ნახევარი კუბიკური სანტიმეტრი) შეუყვანეს ვირულენტური სტრეპტოკოკები. ოცდახუთი თეთრი თავვი საკონტროლოდ დატოვეს, დანარჩენებს კი ჩაუტარდათ მკურნალობა პენიცილინით, რომელიც ყოველ სამ საათში ერთხელ შეჰყავდათ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ფლორისა და მის ასისტენტ კენტს ლაბორატორიაში ეძინათ, და მალევე ისრა საათი ყოველ სამ საათში თავის საქმეს აკეთებდა. თექვსმეტი საათის შემდეგ ოცდახუთივე საკონტროლო თავვი მოკვდა, ოცდაათნი ცხოველი, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარეს, გადაარჩა.

ყოველივე ეს სასწაულს ჰგავდა. ექსპერიმენტატორებმა მეტისმეტი სიფრთხილით აღნიშნეს ეს მოვლენა „ლანცეტში“ დაბეჭდილ სტატი-აში. ინფორმაციას ხელს აწერდნენ ფლორი, ჩეინი და ჰიტლი, რომელთაც გამოჰყვეს პენიცილინი და პირველებმა გამოსცადეს ის ცხოველებზე, აგრეთვე ჯენინგსონი. აბრაჰამი, ორ-იუვინგი, სანდერსი და ჰარდნერი, რომლებიც ფლორიმ იმ მიზნით მოიწვია ოქსფორდის ჯგუფის წევრებად, რომ უფრო სწრაფად და გულმოდგინედ შეესწავლათ ეს მაგიური ნივთიერება. ჰარდნერმა ბაქტერიოლოგიური კვლევა-ჩიება ჩაატარა და არა მარტო დაადასტურა ფლემინგის მიერ მიღებული შედეგები, არამედ გამოავლინა პენიცილინის მიმართ მგრძნობიარე

სხვა მიკრობებიც, მათ შორის აიროვანი განგერკენის წარმომშობი მიკრობი, რასაც ომის დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ასე დაკომპლექტდა მეცნიერთა ოქსფორდის ჯგუფი. ფლემინგს არასოდეს არ ჰყოლია ჯგუფი, რომელშიც ამდენი სპეციალისტი ყოფილიყოს გაერთიანებული. ქეშმარიტება კი ქეშმარიტებად რჩება: ამ აღმოჩენისათვის ჯერ საჭირო გახდა ერთი მეცნიერის შრომა. შემდეგ კი მთელი ჯგუფისა. ჩეინი წერდა: „კოლექტიურ შრომა: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რომელიმე უკვე ცნობილი იდეის გასავეითარებლად, მაგრამ მე მგონი, რომ არც ერთ ჯგუფს არასოდეს არ წარმოუშვია რაიმე ახალი იდეა“. ფლემინგი წერს: „იმისათვის, რომ დაიბადოს რაიმე სავსებით ახალი, აუცილებელია შემთხვევა. ნიუტონმა დაინახა, თუ როგორ ვარდებოდა დაბლა ვაშლი. ჟივს უატი ჩაიდანს აკვირდებოდა. რენტგენს ფოტოგრაფიული ფირფიტები შეერია ერთმანეთში. მაგრამ ეს ადამიანები საფუძვლიანი ცოდნით იყვნენ აღჭურვილნი და შეძლეს ახლებურად გაეშუქებინათ სავსებით ჩვეულებრივი მოვლენები“. თვითონ ფლემინგმა კი დაინახა, რომ ობმა მოსპო მიკრობები და იგიც „საფუძვლიანი ცოდნით იყო აღჭურვილი“, რათა ამ დაკვირვების საფუძველზე დასკვნები გაეკეთებინა და მიხვედრილიყო მის პრაქტიკულ შესაძლებლობებს. ოქსფორდის ჯგუფმა გზა გაკაფა და მიაკვლია ამ შესაძლებლობების პრაქტიკული განხორციელების საშუალებებს.

„ლანცეტში“ გამოქვეყნებული პირველი საინფორმაციო ცნობა ოქსფორდის ჯგუფისა ფლემინგისათვის ყველაზე უფრო სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ასეთი სიხარული ალბათ მას არასოდეს არ განუცდია. მას ხომ მუდამ სჯეროდა და დღენიადაც იმეორებდა, დადგება დრო, როდესაც მოხერხდება პენიცილინის კონცენტრირება, გაწმენდა და საერთო ინფექციების სამკურნალოდ მისი გამოყენება. ახლა კი დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, საკუთარი თვალთ ენახა თავისი საწუკვარი ნივთიერება, გასუფთავებული, ხალასი სახით მიღებული.

ფლორისა და ჩეინის სანახავად ფლემინგი ოქსფორდს ეწვია. ჩეინი გაოცებული დარჩა. მას ეგონა, ფლემინგი დიდი ხნის მკვდარიყო. „ჩემზე ისეთი ადამიანის შთიბეჭდილება მოახდინა ფლემინგმა, რომელსაც ალბათ არ ძალუძს საკუთარი გრძნობების გამომჟღავნება, და თუმცა იგი ყოველნაირად ცდილობდა გულგრილი გვიჩვენებოდა, მაინც იგრძნობოდა მისი მგზნებარე გულის აჩქარებული ტემპი“, — გვიამბობს

ჩენი. ფლემინგს, რასაკვირველია, არ უნდოდა თავისი სიხარულის გამხელა, რადგან წესად ჰქონდა დადებული, რომ თავისი გრძნობები არ გაეხშიანებინა. ამიტომ მხოლოდ ეს უთხრა ჩენს: „თქვენ შესძელით ჩემი ნივთიერების დამუშავება“. კრადოკს, რომელსაც უნახავს ოქსფორდიდან მობრუნებული ფლემინგი, ახსოვს, თუ რა თქვა მან მკვლევართა ამ ჯგუფზე: „სწორედ ასეთ მეცნიერ-ქიმიკოსებთან მუშაობა მქონდა ოცნებად 1929 წელს“.

ფლემინგი — ფლორს, 1940 წლის 15 ნოემბერი

ძალზე ვწუხებარ, რომ დავავიანე და აქაღვე ვერ გამოგიგზავნეთ „პენიცილიუმის“ კულტურა, რომელიც უფრო ნაკლებად გამოჰყოფს ყვითელ საღებავს. თქვენგან რომ მოვბზუნდი, ბულიონზე უხვად დაეთესე ჩემი ძველი შტამები და მათგან რეჟები აფარჩე, რომლებიც საკმარის რაოდენობით გამოჰყოფენ პენიცილინს, ჰვარამ ნაკლება ინტენსივობით ლებავენ სითხეს ყვიოლად. გიგზავნით მათ და ვამედოვნებ, რომ გამოვადგებთ.

მე სულფამიდები შევეუდარე მშრალ პენიცილინს, რომელიც თქვენ მომეცათ. და ერთნაირი წონის დროსაც კი იგი გაცილებით უფრო ძლიერ მოქმედებას რჩენს სეფსისურ მიკრობებზე, ვიდრე ყველაზე უფრო აქტიური სულფამიდი. თქვენს კოლეგა ქიმიკოსებს იღდა დარჩენიათ, რომ გაასუფთაონ მისი მოქმედი საწყისი, შუქდევ მოახდინონ მასი სინთეზირება და მაშინ სულფამიდების კრახი გარდუვალია..

დოქტორი ე. უ. ჯ ტოდი—ფლემინგს. ბელმონტის ლაბორატორია, 1940 წლის 23 აგვისტო

ძვირფასო ფლემ, ალტაცებული დავარჩი, დღეს დილით „ლანცეტში“ სტატია რომ წავიკითხე პენიცილინზე. როდის შევძლებთ მისი წარმოების დაწყებას? მე აქ გულმოდგინედ ვმუშაობ ანტარტოქსინებზე, რომლებიც აიროვანს განგერენია წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამოვდგეს, პენიცილინი კი, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო მარტივი რამაა.

ემბიძლია ვიამაყო, რომ თქვენს ლაბორატორიაში ვმუშაობდი; რადგანაც სწვენ ეს დიადი აღმოჩენა გააკეთეთ. როგორ ფიქრობთ, ხომ არ მაძლევს ეს იმის უფლებას, რომ იმედი ვიქონიო ბარონტობის მიღებისა, როდესაც თქვენ პერად აღვადგე-ვებენ?

ახლა ავადმყოფებზე უნდა გამოვეცადათ ახალი პრეპარატი, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ძალიან ბევრი გასუფთავებული პენიცილინი. იბი კი მეტისმეტად ჭირვეულობდა და ამიტომ ძალიან სწრაფად უნდა წარმოებულყოფიყო მისი დამუშავება. ჰიტლიმ პენიცილინის გამოყოფა ითავა, ჩენიმა და აბრაჰამმა მისი გასუფთავება იკისრეს. არ მინდა ბევ-

რისბევრი ტექნიკური ახსნა-განმარტებებით გადაგლალთ იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენი სიძნელე დახვდათ წინ მკვლევარებს, რამდენჯერ გაუცრუვდათ იმედი. ეს კი მაინც სათქმელია. რომ ექსპერიმენტატორებმა უჩვეულო გულმოდგინება და განსაკვიფრებელი გამოგონებლობა გამოიჩინეს. ჯგუფი ყოველ საღამოს იკრიბებოდა ჩაისსასმელად, ნალექიანად უზიარებდნენ ხოლმე ერთმანეთს წარუმატებლობის დარდს, მაგრამ სასოწარკვეთილებას ერთხელაც არ მისცემიან. ისეთი მიზანი ჰქონდათ დასახული, რომ ღირდა თავგანწირულ მუშაობად.

მრავალრიცხოვანი გარეცხვების, მანიპულაციების, ფილტრაციის შემდეგ მკვლევარებმა მიიღეს ყვითელი ფხვნილი — ბარიუმის მარლი, რომელიც შეიცავდა დაახლოებით ხუთ ერთეულ * პენიცილინს ერთ მილიგრამზე. მეცნიერებმა საკმაოდ კარგი შედეგები მიიღეს: ერთი მილიგრამი სითხე შეიცავდა ნახევარ ერთეულ პენიცილინს. მაგრამ საჭირო იყო აგრეთვე ყვითელი პიგმენტის დაღეკვა. და კიდევ უფრო დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული უკანასკნელი ოპერაცია — წყლის აორთქლება შშრალი ფხვნილის მიღების მიზნით იმისათვის, რომ წყალი ორთქლად გადაიქცეს, ჩვეულებრივ, დუღილს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ გახურება შლის პენიცილინს. ამიტომ უნდა ეხმარათ სხვა სერხი: შეემცირობინათ ატმოსფერული წნევა, რათა დაბლა დაეწიათ წყლის დუღილის წერტილი. ვაკუუმ-ტუმბომ შესაძლებელი გახადა წყლის აორთქლება ძალზე დაბალი ტემპერატურის დროს. ძვირფასი ყვითელი ფხვნილი ჰურტლის ფსკერზე დარჩა. ხელით მოსინჯვისას ფხვნილი ჩვეულებრივ ფქვილს ჰგავდა. და მაინც ეს პენიცილინი ჯერჯერობით მხოლოდ სანახევრად იყო გაწმენდილი. მაგრამ, როდესაც ფლორიმ შეამოწმა მისი ბაქტერიოლოგიური უნარიანობა, გამოიჩინა, რომ ოცდაათ მილიონჯერ განზავებული ფხვნილის ხსნარი მაინც აჩერებდა სტაფილოკოკების ზრდას.

თითქოსდა, უკვე დრო იყო ადამიანზეც შეემოწმებინათ ეს ნივთიერება. ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გამოცდა სეპტიცემიის

* პენიცილინის ოქსფორდისეულ ერთეულს უწოდებენ ამ ნივთიერებას მინიმალურ რაოდენობას, რომელსაც ერთ კუბიკურ სანტიმეტრ წყალში გახსნილს შეუძლია შეაჩეროს ნარინჯისფერი სტაფილოკოკის განვითარება და შექმნას სტერალური ლაქა 2—5 სანტიმეტრის დიამეტრით. — ავტორისეული განმარტება.

დროს, მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი საქმე გახლდათ. ჯერ ერთი, მეცნიერებს ძალზე მცირე რაოდენობით ჰქონდათ პენიცილინი და ამიტომ მძლავრ დოზას ვერ შეიყვანდნენ. გარდა ამისა, ეს პრეპარატი ძალზე მალე გამოიყოფოდა, ესე იგი, დიდხანს არ ჩერდებოდა ორგანიზმში. ორგანიზმში შეყვანილი პენიცილინი სწრაფად გამოიდევნება უკან თირკმლების გზით. მართალაა, შესაძლებელი იყო მისი აღმოჩენა და გამოყოფა შარდიდან, ხელშეორედ გამოყენების მიზნით, მაგრამ ეს საქმოდ ხანგრძლივი ოპერაციაა და ამასობაში ავადმყოფი ხელიდან გამოეცილებოდათ. პირის გზით პენიცილინის მიღება კი არაეფექტურია: კუჭის წვენი მაშინვე შლის ამ პრეპარატს. ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იყო განმეორებადი ინექციების გზით ნივთიერების ისეთი კონცენტრაციის შენარჩუნება სისხლში, რომელიც ორგანიზმის ბუნებრივ დამცველ ძალებს საშუალებას მისცემდა დაეხოცათ მიკრობები, რომლებიც პენიცილინის მოქმედების წყალობით არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იქნებოდნენ. ერთი სიტყვით — ან მრავალჯერადი ინექცია, ანდა წვეთოვანი შესხმა.

საჭირო რაოდენობით პენიცილინის უქონლობამ კიდევ უფრო გააძლიერა შიში, რომელსაც მკვლევარები ჩვეულებრივ განიცდიან ხოლმე ავადმყოფებზე პარველი ცდის ჩატარებისას. რეალურად არსებობდა იმის საფრთხე, რომ ვერ შეძლებდნენ დაწყებული მკურნალობის დამთავრებას. ფლორი შეხვდა ერთი დიდი ქიმიური ქარხნის ხელმძღვანელს, ამცნო მათ, რომ აქვს სასწაულმოქმედი სამკურნალო თვისებების მქონე ნივთიერება, გულახდილად უთხრა, საერთოდ ეს წამოწყება ძნელა საქმეაო, და ჰკითხა, ხომ ვერ შეძლებდით პენიცილინის მასობრივი წარმოების მოწყობასო. ქარხნის ქიმიკოსები დაფიქრდნენ და უარი უთხრეს. ნუ გავკიცხავთ მათ ამის გულისათვის. ქარხანას მაშინ სასელმწიფოსაგან სამხედრო შეკვეთების შესრულება ჰქონდა დავალებული. გარდა ამისა, პენიცილინის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც რის ვაი-ვაგლანით შეიმუშავა ოქსფორდის ჯგუფმა, მეტისმეტად რთული იყო. წარმოებას იმის საფრთხე ემუქრებოდა, რომ შეიძლება ფუჭად დაეხარჯა დიდი სახსრები მოწყობილობაზე და ამასობაში რომელიმე მეცნიერს ეგებ სინთეზირების გზით მოეხერხებინა პენიცილინის მიღება და ამით ერაბამად შეემცირებინა მისი თვითღირებულება.

ასე რომ, ოქსფორდის ჯგუფს მხოლოდ საკუთარი თავის იმედითა დარჩა. ფლორიმ ჰიტლის დაავალა, რომ თითო კვირის განმავლობაში

მიედო კულტურის ასი ლიტრი ხსნარი და მისგან გამოეყო პენიცილინი. 1941 წლის თებერვლის დამდეგიდან ლაბორატორიის მაცივარში ინახებოდა ყვითელი ფხვნილის მცირეოდენი მარაგი. სწორედ ამ დროს მკვლევარებს შემთხვევა მიეცათ გაბედულად ჩაეტარებინათ ცდა. ერთი მძიმე ავადმყოფი სრულიად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა და მეცნიერებს მორალური უფლება მიეცათ ექსპერიმენტირებისათვის. ოქსფორდში სეპტიცემიისაგან კვდებოდა პოლიციელი. ტუჩთან კრილობა დასენიანებოდა, შემდეგ ამას ზედ დაერთო ოქროსფერი სკაფილოკოკებით, ესე იგი პენიცილინისადმი მგრძობიარე მიკრობებით, სისხლის საერთო მოწამვლა. ავადმყოფს მკურნალობდნენ სულფამიდებით, მაგრამ უშედეგოდ. პოლიციელს მთელი ტანი დაუჩირქდა. ინექცია ფილტვებსაც მოედო. ექიმების აზრით, იგი განწირული იყო. თუ მას იხსნიდა პენიცილინი, ეს იქნებოდა ამ პრეპარატის სამკურნალო თვისებათა ბრწყინვალე დადასტურება.


1941 წლის თორმეტ თებერვალს მომაკვდავს ვენაში შეუყვანეს 200 მილიონი პენიცილინი. შემდეგ ყოველ სამ საათში ერთხელ 100—100 მილიონი. ერთი დღე-ღამის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ახალი ჩირქოვანი კერები აღარ გაჩენია. ჩანდა, რომ სასიკვდილოდ გადადებულმა ავადმყოფმა პირი იბრუნა გამოჯანმრთელებისაკენ. ინექციასთან ერთად მკურნალმა ექიმებმა სისხლის გადასხმაც ჩაუტარეს. სამწუხაროდ, პენიცილინის მარაგი კატასტროფულად მცირდებოდა. მცირეოდენი რაოდენობით მოახერხეს ამ ნივთიერების გამოყოფა ავადმყოფის შარდიდან. პოლიციელის მდგომარეობა კვლავ უმჯობესდებოდა. ახლა იგი გაცილებით უკეთ გრძობდა თავს, დაიწყო საქმლის ჰამა, ტემპერატურა დაეცა. აშკარა გახდა ერთმანეთის მიმართ ტრაგიკულად დაპირისპირებული ორი რამ: პენიცილინით მკურნალობა, თუ იგი კვლავაც გაგრძელდებოდა, გადაარჩინდა ავადმყოფს, მაგრამ მკურნალობის გაგრძელება შეუძლებელი იყო პრეპარატის უკმარისობის გამო. ჰიტლი უდიდეს თავგანწირულობას იჩენდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, უნდა დალოდებოდა კულტურის ახალ მოსავალს. მალე იძულებული გახდნენ სავსებით შეეწყვიტათ ინექცია; ავადმყოფმა კიდევ რამდენიმე დღეს იცოცხლა, შემდეგ კი „თავაშვებულმა“ მიკრობებმა თავისი გაიტანეს და 15 მარტს პოლიციელი გარდაიცვალა.

ფლორი დარწმუნდა, საკმარისი რაოდენობით რომ ჰქონოდა პე-


ნიცილინი, ადამიანი სიკვდილს გადაარჩებოდა. მაგრამ მას არ შეეძლო დაემტკიცებინა ის. რასაც ვარაუდობდა. გარდა ამისა, ავადმყოფს სისხლის გადასმაც ხომ ჩაუტარეს. სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებს კი შეეძლოთ ამით აეხსნათ ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამრიგად, პირველმა ცდამ ნაწილობრივ წარუმატებლად ჩაიარა. ყვითელი ფხვნილი, ესოდენ დაძაბული შრომის ნაყოფი, უშედეგოდ დაიხარჯა. ოქსფორდის ჯგუფის მეცნიერები გულნატკენნი იყვნენ, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემიან. და როდესაც კვლავ დააგროვეს პენიცილინის გარკვეული რაოდენობა, ისევ გამოსცადეს პრეპარატი. პენიცილინი ამჯერად სამ ავადმყოფს გაუყეთეს. ორი მათგანი სავსებით განიკურნა მესამე — ბავშვი — კი პენიცილინის წყალობით გონს მოვიდა და უკეთ გახდა. მაგრამ უცებ დაიღუპა მოულოდნელი სისხლდენისაგან. ახლა ყველაზე მკაცრმა მსაჯულებმაც კი ირწმუნეს, რომ მედიცინამ შეიძინა არაჩვეულებრივი ძალის ახალი ჭიმიათურაპიული არატოქსიკური პრეპარატი. პირველი ინექციები შემცირებებს იწვევდა, რაც აიხსნება იმ მინარევებით, რომლებსაც მაშინ ჯერ კიდევ შეიცავდა პრეპარატი, მაგრამ ასეთი მოვლენები უმალ შეწყდა, როგორც კი შეძლეს პენიცილინის სავსებით გასუფთავება.


წარმატებით დამთავრებული ამ პირველი ცდების შემდეგ უნდა გამოერკვიათ, შეძლებდნენ თუ არა ბრიტანეთის მთავრობის დაყაბულეობას პრეპარატის სამრეწველო წარმოების მოსაწყობად ენერჯიული ზოქების მისაღებად? ფლორი მალე დარწმუნდა, რომ ამის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. 1941 წელს ინგლისი განუწყვეტლივ ბომბარდირებას განიცდიდა. ქვეყანა ომობდა და ყველა ფრონტზე ბრძოლისათვის ემზადებოდა. ყოველდღიური პრობლემები იმდენად გადაუდებელი იყო, რომ ყოველივე დანარჩენი განზე რჩებოდა. ადამიანებისათვის, რომელთაც ყოველ დამე საკუთარი სახლის ნანგრევებში დამარხვის საფრთხე ემუქრებოდათ, მიკრობების წინააღმდეგ ბრძოლა პირველხარისხოვან ამბავს არ წარმოადგენდა. ფლორის შეეძლო განესაზღვრა, თუ რაოდენ ეფექტურ შედეგს გამოიღებდა პენიცილინის გამოყენება მასობრივი მასშტაბებით, იგი ხვდებოდა, თუ რაოდენ დიდ როლს შეასრულებდა ეს წამალი მკურნალობაში, ამიტომ მას ღრმად სწამდა, რომ პენიცილინის სამრეწველო წარმოებას სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა.

ოქსფორდელმა მეცნიერებმა მოიარეს თითქმის ყველა მსხვილი ქიმიური საწარმო და ყველგან ერთნაირი პასუხი მიიღეს: „რასაკვირვე-



პენიცილინის მოქმედება ბაქტერი-
ების კულტურებზე





პენიცილინის მოქმედება
ბაქტერიების
კულტურებზე



პენიცილინის
კოლონია

პენიცილინისგან
დათრგუნული
სტრეპტოკოკები

ნორმალური
სტრეპტოკოკები

ლია, ექიმო, თქვენს დაკვირვებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ თქვენი მეთოდის პროდუქტიულობა ძალზე დაბალია, და ამიტომ მაგ პრეპარატის წარმოება კომერციული თვალსაზრისით ხელსაყრელი არ იქნება“. მართლაცდა, ერთი ავადმყოფის სამკურნალოდ ათასი ლიტრი კულტურა იყო საჭირო. პრაქტიკულად ამის განხორციელება არც კი შეიძლებოდა. ერთადერთი გამოსავალი იყო ნაყოფიერების გაზრდა, სახსრების გამოყოფა ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად. მაგრამ ომის მძიმე პერიოდში ინგლისის ქარხნებს ასეთი ხარჯის გაწევა არ შეეძლოთ. სხვა გზა არ იყო, ამერიკისათვის უნდა მიემართათ.

1941 წლის ივნისში ფლორი და ჰიტლი გაემგზავრნენ ლისაბონში, იქიდან კი შეერთებულ შტატებში. „პენიცილიუმის“ შტამები, რასაკვირველია, თან წაიღეს. გზაში ცხელოდა და მკვლევარები საშინლად ღელავდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ სასწაულმოქმედი ობი მაღალ ტემპერატურას ვერ იტანს. ნიუ-იორკში ფლორი შეხვდა თავის ამერიკელ მეგობარს, რომელმაც იგი მაშინვე გააგზავნა კომპენტენტურ კაცთან, სწორედ იმ ჩარლზ ტომთან, რომელმაც დაადგინა, რომ სამკურნალო თვისების მქონე ობი „პენიცილიუმ ნოტატუმი“ იყო. ახლა იგი ჩრდილოეთის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიკოლოგიის განყოფილების უფროსად მუშაობდა პეორიაში (ილინოისის შტატი). ეს ლაბორატორია ჩამოყალიბდა იმ ორგანული სასოფლო-სამეურნეო სუბპროდუქტების გამოყენების საშუალებათა მისაკვლევად, რომლებიც აბინძურებდნენ შუა დასავლეთის ტერიტორიის მდინარეებს. ეს გადანაყარები სასარგებლო დუდილის პროდუქტად სურდათ გარდაქმნათ. ამ ლაბორატორიის ქიმიკოსები ძირითადად მუშაობდნენ გლუკონმეავას წარმოების შესაქმნელად და ამ მიზნით იყენებდნენ ობის — *penicillium chrysogenum*-ის მოქმედებას ნედლეულზე. აზოტის წყაროდ მკვლევარები ხმარობდნენ *corn steep liquor**-ს. სიმინდის სახამებლის წარმოებისან მიღებულ თანაურ პროდუქტს. შუა დასავლეთის რაიონებში ეს ექსტრაქტი დიდი რაოდენობით გროვდებოდა და უქმად იყარებოდა ქიმიკოსებმა მოახერხეს ამ პროდუქტიდან გლუკონმეავას მიღება ღრმა დუდილის მეშვეობით.

ფლორის ხან ერთ მეცნიერთან მოუხდა მოლაპარაკება, ხან მეორეს-

* სიმინდის ექსტრაქტი — ავტორისეული განმარტება.

თან. ბოლოს იგი გააგზავნეს დოქტორ კოკილთან, პეორიის ფერმენტაციის განყოფილების ხელმძღვანელთან. ფლორიმ ახლა მას მოუთხორო პენიცილინის პრობლემის ამბავი. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელ მეცნიერებს (ეს ითქმის ფლემინგზეც, ფლორიზეც, ჩეინზეც, პიტლზე და აბრაჰამზეც) არავითარი პატენტი არ აუღიათ თავიანთ გამოგონებაზე. ისინი თვლიდნენ, რომ ნივთიერება, რომელსაც შეეძლო ესოდენ დიდი სარგებლობის მოტანა კაცობრიობისათვის, არ უნდა გამხდარიყო შემოსავლის წყარო. ეს უანგარობა განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს და დაფასდეს. მათ ამერიკელებს ამცნეს თავისი ხანგრძლივი კვლევები და შედეგები, გააცნეს წარმოების საკუთარი მეთოდები და ყოველივე ამის სანაცვლოდ მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ ოქეანისგალმელებს მოეწყობათ პენიცილინის წარმოება, რათა საშუალება მისცემოდათ გაეგრძელებინათ თავისი კლინიკური დაკვირვებები.

პიტლი პეორიაში დარჩა, რათა მონაწილეობა მიეღო მუშაობაში. პირველი ამოცანა ის იყო, რომ გაეზარდათ პროდუქტიულობა, ესე იგი აღმოეჩინათ უფრო კეთილსასურველი ნიადაგი ობის სოკოს კულტურისათვის. ამერიკელებმა შესთავაზეს სიმინდის ექსტრაქტი, რომელიც მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი და რომელსაც საკვებ ნიადაგად ხმარობდნენ მსგავსი კულტურებისათვის. სულ მოკლე დროში ამ გზით მათ მართლაც შესძლეს პროდუქტიულობის გაზრდა ოცქერ მეტად ოქსფორდის ჯგუფის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. ასე რომ, ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტას ბევრი აღარც აკლდა. ახლა უკვე შეიძლებოდა პენიცილინის დამზადება თუნდაც მარტო სამხედრო საჭიროებისათვის. ცოტა ხნის შემდეგ გლუკოზა ლაქტოზითი შეცვალეს და ამით კიდევ უფრო გააღიძვს პენიცილინის გამოსავლიანობა.

საოცარია, რომ კვლავ ბედნიერი შემთხვევითობა დაეხმარა მკვლევარებს. მართლაცდა, ამერიკელებს რომ თავზე საყრელი არ ჰქონოდათ სიმინდის ექსტრაქტი, ისინი არ შექმნიდნენ ლაბორატორიას პეორიაში, ხოლო თუ არა ეს ლაბორატორია, არავის აზრად არ მოუვიდოდა პენიცილინის კულტურის გაზრდა სიმინდის ექსტრაქტზე და ლაქტოზაზე და. ამდენად, ვინ იცის რამდენი ხნით გადაიდებოდა პენიცილინის კომერციული წარმოება. მეორე მხრივ კი ამერიკის ლაბორატორიამ ინგლისელი მეცნიერების წყალობით შეძლო მასზე დაკისრებული ამოცანის გადაწყვეტა: სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გამოყენება. გლუ-

კონსტრუქციას წარმოება ვერა და ვერ ამოწურავდა სიმინდის ექსტრაქტის უზარმაზარ მარაგს, პენიცილინის წარმოებამ კი ფასი დასდო მას და მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ღირებულება.

მაგრამ პეორიის ლაბორატორიამ არა მარტო იმით შეიტანა თავისი წვლილი ამ საქმეში, რომ ახალი საკვები ნივთიერება გამოიყენა პენიცილინის მისაღებად; ამ ლაბორატორიაში მომუშავე მიკოლოგები გულმოდგინედ ეძებდნენ ობის უფრო პროდუქტიულ შტამებს. საყურადღებოა, რომ პენიცილინი როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში, მიღებული იყო პირველი შტამიდან, ესე იგი სწორედ იმიდან, რომელიც ერთხელ ქარმა შემთხვევით შემოიტანა ფლემინგის ლაბორატორიაში. 1943 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ გულმოდგინედ ტარდებოდა ობების გამოკვლევები, სხვა უკეთესი შტამი არ ყოფილა მიკვლეული. არადა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ შეუჩრჩველად ხელთ მოხვედრილი ეს პირველივე სოკო იყო სწორედ ყველაზე უფრო პროდუქტიული. ამერიკელი მკვლევარების თხოვნით და სამხედრო ხელისუფალთა დახმარებით, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა უგზავნიდა ობის ნიმუშებს პეორიის ლაბორატორიას. მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ ივარგა. ლაბორატორიამ სპეციალურად დაიჭირა ერთი ქალი, რომელსაც ევალებოდა დაობებული პროდუქტების შესყიდვა ბაზარში. მალე მას მეტსახელიც შეარქვეს -- Mouldy Mary -- დაობებული მერი. ერთხელ, ეს მოხდა 1943 წელს, მერამ ლაბორატორიაში მოიტანა „ნავაჭრი“ *penicillium chrysogenum*-ის ტიპის ობი, რომელიც დამპალ ნესეს გასჩენოდა. ეს ობი გაცილებით უფრო მაღალპროდუქტიული გამოდგა. თანდათანობითი შერჩევის მეთოდით გამოყოფილ იქნა ყველაზე უფრო ძვირფასი შტამები, და უმრავლესობა იმ შტამებისა, რომელთაც ახლა იყენებენ, წარმოშობილია (გადარჩევის შემდეგ) პეორიის დამპალი ნესის ობისაგან. მეცნიერთა ცხვირწინ იზრდებოდა თურმე ის. რასაც ისინი ამოდ ეძებდნენ მთელ მსოფლიოში. ხშირად ხდება ხოლმე ასეთი რამ.

სანამ პიტლი პეორიის ქიმიკოსებთან მუშაობდა, ფლორიმ, ვითარცა მლოცვარემ, მთელი შეერთებული შტატები და კანადა მოიარა, უამრავი ქიმიური ქარხანა მოინახულა და ცდილობდა, რომელიმე მათგანი მაინც დაეყოლიებინა პენიცილინის მასობრივ წარმოებაზე. ამერიკაში, რასაკვირველია. გაცილებით უფრო ნაკლებ დაძაბული ვითარება იყო. ვიდრე ინგლისში. 1941 წელს შეერთებული შტატები ჭერ კიდევ არ

ჩაბმულიყო ომში. მაგრამ ქარხნებს უამრავი შეკვეთები ჰქონდათ, და უმრავლესობა მრეწველებისა, რომელთაც ესაუბრა ფლორი, უგულოდ შეხვდნენ მის წინადადებას, რადგან ფრიად საეკვოდ მიიჩნიეს ამ ძნელი საქმის განხორციელება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანი მაინც კეთილსასურველად გამოენმაურა ფლორის გეგმებს. ბოლოს და ბოლოს ორმა დიდმა ფირმამ იკისრა ათ-ათი ათასი ლიტრი კულტურის დამზადება. მიღებულ პენიცილინს ისინი ოქსფორდში გაგზავნიდნენ კლინიკური გამოცდისათვის. ინგლისში დაბრუნების წინ ფლორი შეხვდა თავის მეგობარს, დოქტორ ა. ნ. რიჩარდსს, რომელსაც პენსილვანიის უნივერსიტეტიდან იცნობდა. რიჩარდსი ის-ის იყო დაენიშნათ სამეცნიერო-კვლევითი სამედიცინო საბჭოს პრეზიდენტად. ამ თანამდებობის წყალობით დოქტორ რიჩარდსს დიდი გავლენა ჰქონდა და ამიტომ შეეძლო დაეინტერესებინა ამერიკის მთავრობა პენიცილინის წარმოებით. ფლორის მოგზაურობა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა.

XIII. ომი და დიდება

თუ დამარცხების შემდეგ შეგიძლია
იზეიმო განარჯვება და ერთნაირად
შიილო ეს ორი მატყუარა
რედიარდ კიპლინგი

1939 წლის სექტემბერში ფლემინგი ლივერპულელ ბაქტერიოლოგ ალენ უ. დაუნისთან ერთად ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა „მანჰეტენით“. ორივე მეცნიერი ყოველ სალამოს თამბაქოს მოსაწევ დარბაზში ისხდნენ, ლუდს შეექცეოდნენ და საუბრობდნენ თავიანთ მუშაობაზე, ომზე, ჭრილობებზე, ინფექციებზე. დაუნი დარწმუნდა, რომ ფლემინგი სულაც არ ყოფილა გულჩახვეული ადამიანი, როგორც ამას ზოგიერთები ირწმუნებოდნენ. პირიქით, თუკი ისეთ მოსაუბრეს შეხვდებოდა, რომელთანაც საერთო ენას გამოძებნიდა, ესე იგი თუ მასაც იგივე პრობლემები აინტერესებდა, რაც ფლემინგს, ალექი მაშინვე გულზიარი საუბრის ხასიათზე დგებოდა. სენტ-მერის კედლებს რომ გასცილდებოდა, უცნაურად გარდაიქმნებოდა ხოლმე. სენტ-მერიში კი ისე იქცეოდა, როგორც შეესატყვისებოდა კოლეგების მიერ მასზე შექმნილ შეხედულებას. ფლემინგი და დაუნი ღამეებს ათენებდნენ საუბარში, ცოლებს ეს არ მოსწონდათ და საყვედურობდნენ.

ინგლისში ფლემინგმა შეიტყო, რომ მიდლსექსის საგრაფოში დაენიშნათ და, სანამ ომი იქნებოდა, პათოლოგად უნდა ემუშავა ჰარფილდში. მაგრამ ფლემინგი თავს ვერ ანებებდა სენტ-მერის, სჯეროდა, რომ გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანდა, თუ იგივე თემას მიუბრუნდებოდა, რომელიც შესანიშნავად შეისწავლა წინა ომის დროს. მას, რასაკვირველია, მხედველობაში ჰქონდა საფრონტო ჭრილობების თანმხლები ინფექციები. ახალგაზრდა მედიკოსებს აღარ ახსოვდათ ანდა

შეიძლება არც კი იცოდნენ ის, რაც უკვე დადგენილი იყო რაიტისა და ფლემინგის მიერ. სენტ-მერიში დაჭრილების მოყვანა დაიწყო, და ფლემინგმა მოითხოვა, რომ ჩირქოვან ჭრილობებზე ჩატარებული ყოველი ქირურგიული ოპერაციის შემდეგ მისთვის მიეცათ ქსოვილის ანათლები. ანათლებს იგი მიკროსკოპით იკვლევდა და ძვირფას რჩევადარიგებას აძლევდა ქირურგებს. სულფამიდების წყალობით ქირურგები ახლა გაცილებით უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი, ვიდრე წინა ომის დროს. ლექციების დროს ფლემინგი ხშირად ელაპარაკებოდა სტუდენტებს პენიცილინზე, მაგრამ მსმენელებს ეგონათ, რომ ეს ნივთიერება მხოლოდ ლაბორატორიული თვალსაზრისით იყო საინტერესო. „აი ნახავთ, ჭრილობების მკურნალობაში პენიცილინი სულფამიდებს გამოაძევეს“, — უთხრა მან ერთხელ დოქტორ რეჯინალდ ჰადსონს.

დროდადრო ფლემინგი ჰარფილდში ჩადიოდა და თავის მოადგილე ნიუკომბთან ერთად (აწ იგი პროფესორია) ათვალიერებდა ლაბორატორიას. ჰარფილდში შესანიშნავი ხეივანი იყო და ფლემინგი, რომელსაც საერთოდ ძალიან უყვარდა მებაღეობა, ნამდვილ ნეტარებას განიცდიდა. პროფესორი დ. მ. პრაისი, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა, მოგვითხრობს, რომ ფლემინგი წინასწარ არ შეგვატყობინებდა, ისე გვეწვეოდა ხოლმე და ყველას ახარებდა მისი ჩამოსვლა. გონიერ რჩევა-დარიგებას იძლეოდა, ყველას ეხმარებოდა და გულს არაფერზე იტეხდა. როგორც განყოფილების უფროსი, ყველა ლაბორატორიას ჩამოვილიდა, მოუსმენდა თავის ხელქვეითებს, მათ თხოვნას ჩაიწერდა ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე, რომელსაც შარვლის ჯიბეში ჩაიდებდა და დაიმედებული იყო, გამახსენდება და თხოვნას შეეუხსრულებო. თურმე რაიტსაც ასე სჩვეოდა.

ომის დაწყებისას ფლემინგი თავის ოჯახთან ერთად ჩელსიში ცხოვრობდა. 1940 წლის სექტემბერში მისი სახლის გვერდით ბომბი გასკდა და ჰაერის ტალღამ ყველა ფანჯარაში ჩაამსხვრია მინები. ნოემბერში სახლს ცეცხლგამჩენი ბომბები დაეცა. რობერტი ამ დროს კოლეჯში იყო, ალექი და სარინი მეგობრებთან სადილობდნენ. როდესაც შინ დაბრუნდნენ, მესანძრეებს უკვე დაეტბორათ მათი ბინა. იძულებული გახდნენ სხვაგან ეძებნათ თავშესაფარი. ფლემინგის ოჯახი დროებით რიჩმონდსვორტში გადასახლდა პროფესორ პრაისის სახლში. 1941 წლის მარტში ისევ საკუთარ ბინას დაუბრუნდნენ, მაგრამ ერთხელ, აპრილში, დამის ორ საათზე ოლდ ჩერჩ-სტრიტისა და ჩეინვოკის კუთხეში მღე-

ბარე ეკლესიასა და ფლემინგების სახლს შუა ვეებერთელა ნაღმი დაეცა და საშინელი ძალით აფეთქდა. ალექს, სარინს, რობერტს, მის ბიძაშვილს და სარინის დას ელისაბედს ეძინათ. უცებ გაელვით და დაინახეს, რომ კარ-ფანჯრები თავზე ემზობოდათ, ჩამოინგრა ქერი. ერთი კარი ალექსის საწოლს დაეცა და ალბათ იქვე გაათავებდა, მაგრამ ბედზე საწოლის ზურგს წამოედო.

მეორე დღეს ფლემინგმა ჩელსიში ერთ-ერთი ლაბორანტი დენ სტრეტფორდი წაიყვანა ნანგრევებიდან საჭირო ნივთების ამოკრებაში საშველად. აი რას გვიამბობს დენ სტრეტფორდი. „ჩელსიში რომ მივედი, დავინახე, ამ ქუჩაზე მდებარე სახლები ძალიან დაზიანებულიყო. ფლემინგის ბინაში ყველაფერს კირი და ქერიდან ჩამონგრეული ბათქაში ეყარა. საწოლ ოთახში უარესი მდგომარეობა იყო... გახვრეტილი ქერი, მობრეცილი ფანჯარა... გეგონებოდათ ბრძოლა ყოფილა აქო... პროფესორს ვკითხე:..

— ალბათ საშინელება იყო, ნაღმი რომ გასკდა?

დასტურის ნიშნად თავი დამიქნია და ღიმილით მიპასუხა:

— როდესაც დავინახე, რომ ფანჯრის ჩარჩოები ჩემსკენ მოქროდნენ, ლოგინიდან ადგომა გადავწყვიტე.

ბევრი ბარგი გადავიხიდე ინსტიტუტში, ფლემინგს ბნელ საკუქნაოში დაუდგი საწოლი. ალექმა რადიომიმღები იყიდა და სავსებით კმაყოფილი ათევედა ღამეს ახალ ბინაში“.

ფლემინგის ოჯახი ჭერ რედლეტში გადასახლდა ალექის ძმა რობერტ ფლემინგთან. ცოტა ხნის შემდეგ კი დოქტორმა ელისონმა, რომელსაც მეორე რაიონში აგზავნიდნენ, ფლემინგებს შესთავაზა თავისი სახლი და ალექის ცოლ-შვილმა ახლა ჰაიგეტში შეაფარა თავი; სახლს გვერდით მიწის პატარა ნაკვეთი ეკვროდა. მებაღეობის მოყვარულმა ცოლქმარმა ბოსტანი გააშენა, ყვავილები და კენკრა დარგო. როდესაც ომის შემდეგ ელისონი შინ დაბრუნდა, გაოცებული დარჩა, როცა დაინახა, რომ მთელი ნაკვეთი ყვავილებითა და კენკრით იყო მოფარული, სულ რომ არ იფიქრებდა კაცი, ისეთ ადგილებშიც კი ყვავილობდა მცენარეულობა. ფლემინგის სამებაღეო „ექსპერიმენტი“ შედეგიანი გამოდგა. ალექი თითქმის ყოველ ღამეს საავადმყოფოში იყო. ბომბარდირების დროს სახურავზე მორიგეობა უწყევდა. ამ სახიფათო სადარაჯოზე მხოლოდ ერთ კაცს უნდა ემორიგევა, მაგრამ ფლემინგს ისე უყვარდა ყო-

ველგვარი სანახაობა, რომ როგორც კი განგაშის ხმას გაიგონებდა, მაშინვე სახურავზე აძვრებოდა.

ბევრი ექიმი და სტუდენტი სარდაფში ათევდა ღამეს, მათი საწოლები ცხელი წყლის მილებთან იდგა, იქვე კიდებდნენ ტანსაცმელს, საკმელს სასწავლებლის სასადილოში ჭამდნენ. არც პროფესორი ფლემინგი ერიდებოდა გაჭირვებას. ფარულად მგონი სიამოვნებდა კიდევ მართხვლა კაცივით ცხოვრება. „მას ძალიან უყვარდა მართო კაცებთან ყოფნა. ხშირად წამოადგებოდა ხოლმე თავზე ლაბორატორიაში გვიანობამდე დარჩენილ რომელიმე თანამშრომელს, ჭკვედა ტუჩზე მუდამ მიწებებული ჰქონდა სიგარეტი, პეპელა-ჰალსტუხსაც არასოდეს არ იცილებდა. „ერთი ჭიქა ლუდი ხომ არ დაგველია?“ — ჰკითხავდა იგი და თან თვალებში იმედის ნაპერწკალი აუკიაფდებოდა. მკვლევარი თავს მიღწებებდა მიკროსკოპს და სიამოვნებით გაჰყვებოდა ფლემინგს „ფაუნტენში“ — მეზობელ სასაუზნეოში, სადაც უკვე ისხდნენ სენტ-მერის დანარჩენი მეცნიერები“.

ფლემინგს მოსწონდა ახალგაზრდებთან ყოფნა, რომლებიც პარტივისტებითა და სიყვარულით ექცეოდნენ მას. კაფეში მუდამ რუზრუზი იყო, რიტმულად ხმაურობდნენ ფულის ავტომატები, გაისმოდა ჩამოყრილი ხურდა ფულის ჩხრიალი, როცა ვინმეს ბედი გაუღიმებდა და მოიგებდა. ფლემინგი ხან ჩვეულებრივ ლუდს სვამდა, ხანაც „M and B“ — ორი სხვადასხვა ხარისხის ლუდის ნარეგს — mild bitter-ს; ბაქტერიოლოგებს ეს ასოები „მეი და ბეკერს“ ახსენებდათ. ფლემინგს ძალიან მოსწონდა კაფეში ყოფნა, აქ იგი მართლაც ისვენებდა, ერთი საათის შემდეგ კი ან საავადმყოფოში ბრუნდებოდა ანდა შინ მიდიოდა ელისონთან ერთად, რომელსაც ცალკე ოთახი ჰქონდა იმ სახლში, სადაც ცხოვრობდნენ მაშინ ფლემინგები.

სანამ ფლორი ამერიკაში იყო და საქმეებს აგვარებდა, ოქსფორდში მეცნიერთა ჯგუფი ჩეინის ხელმძღვანელობით თავგამოდებულ მუშაობას განაგრძობდა და თანდათან აუმჯობესებდა ექსტრაგირების მეთოდს. ახლა მათ უკვე ნამდვილი ქარხანა ჰქონდათ, რომელსაც ლოქტორი სენდერსი ხელმძღვანელობდა. ცივ საკნებში მომუშავე, ქალიშვილებს, რომელთაც Penicillin girls-ს ეძახდნენ, შალის თბილი

ტანსაცმელი და ხელთათმანები ეცვათ. ყველაზე ძნელი იყო კულტურის დაცვა დასენიანებისაგან.

Penicillin girls-ები ცდილობდნენ ერთი ზედმეტი მოძრაობაც კი არ გაეკეთებინათ, რომ მტვერი არ აეშალათ, ორპირ ქაქს ხომ ერიდებოდნენ და ერიდებოდნენ, რატაკსა და სკამებს მცენარეულ ზეთს უსვამდნენ, გოგონებს პირზე ნიღაბი ეკეთათ; კარებზე ჩამოფარებული ჰქონდათ ფარდები, რომლებსაც ყოველდღე ასუფთავებდნენ ვაკუუმში. მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ზოგჯერ მაინც განიცდიდნენ მარცხს. ერთი მიკრობიც კმაროდა პენიცილინის მთელი პარტიის გასაფუჭებლად.

ასეა თუ ისე, მაინც მატულობდა მაცივარში შენახული ძვირფასი ფხვილის მარაგი, რომელსაც აგროვებდნენ კლინიკაში გამოსაყენებლად. ფლორი ამერიკიდან ელოდებოდა დაპირებულ ათი ათას ლიტრს, მაგრამ დრო გადიოდა, პენიცილინი კი არ ჩანდა. მიუხედავად ამისა, მან უყოყმანოდ გასცა თავისი მარაგის ნაწილი სისხლმწამლელი დაქრილების სამკურნალოდ. პენიცილინით პირველად უმკურნალეს ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებს, რომელთაც მძიმე დამწვრობა ჰქონდათ მიღებული ლონდონის თავდაცვის დროს. შემდეგ ოქსფორდის ჯგუფმა ცოტაოდენი პენიცილინი „უღაბნოს არმიისათვის“ ეგვიპტეში გაუგზავნა ბაქტერიოლოგიის პროფესორ პალვერტატს (მაშინ იგი პოდპოლკოვნიკი იყო).

პალვერტატე გვიამბობს: „იმ ხანებში უამრავი შემთხვევა გვქონდა ინფექციური ჰრილობებისა — ზოგს დამწვრობა ჰქონდა, ზოგს სტრეპტოკოკებით დასენიანებული მოტეხილობა. სამედიცინო გაზეთები ვვარწმუნებდნენ, რომ სულფამიდებზე წარმატებით გამოიყენება ინფექციების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნდი, რომ ასეთ შემთხვევებში სულფამიდები, ისევე როგორც ამერიკიდან გამოგზავნილი სხვა ახალი პრეპარატები, არავითარ მოქმედებას არ იჩენდნენ. პრეპარატებიდან ბოლოს პენიცილინი ვცადე. ძალიან ცოტა კი მქონდა, სულ ათი ათასი ერთეული, შეიქლება ცოტა ნაკლებიც. ამ პრეპარატით მკურნალობა დავუწყე ერთ ახალგაზრდა ახალზელანდიელ ოფიცერს, გვარად იგი ნიუტონი იყო. ორივე ფეხზე მრავლობითი მოტეხილობა ჰქონდა და მთელი ექვსი თვე უშედეგოდ იწვა ჩვენთან. მისი საწოლის ზეწარი დღენიადაგ ჩირქით იყო გასვრილი და, ქაიროს სიცხე ხომ იცით, მის საწოლთან მისვლა არ

შეიძლებოდა, ისეთი მყარალი სუნი იდგა. ისე დაიტანჯა ბიჭი, ძვალი და ტყავი იყო. ვერ იქნა და ტემპერატურა ვერ დავუწიეთ. ერთა სიტყვით, იმდროინდელი პირობების კვალობაზე დღეები ჰქონდა დათვლილი. ასეთი იყო მაშინ ქრონიკული ინფექციის უცილობელი დაბოლოება.

პენიცილინის სუსტი ხსნარი — ერთ კუბიკურ სანტიმეტრზე რამდენიმე ასეული ერთეული, რადგან ძალიან ცოტა გვქონდა პრეპარატი, — დრენაჟების მეშვეობით შეგვყავდა მარცხენა ფეხის ქრილობებში. დღეში სამჯერ ვიმეორებდი ამას და მიკროსკოპის ქვეშ ვაკვირდებოდი შედეგებს. განცვიფრებული დავრჩი, როცა დავინახე, რომ პირველივე ინექციის შემდეგ სტრეპტოკოკები ლეიკოციტების შიგნით აღმოჩნდნენ. ვიმეორებ, ამან გამაოგნა. ქაიროში მყოფმა არაღერი ვიცოდი ინგლისში წარმატებით ჩატარებულ ცდებზე და ამიტომ სასწაულად მივიჩნე მომხდარი ამბავი. ათ დღეში შეხორცდა მარცხენა ფეხის ქრილობები. ახლა მარჯვენა ფეხის მკურნალობა დავიწყე, და ერთ თვეში ჭაბუკი საესებით განიკურნა. კიდევ ათი ავადმყოფის სამყოფი მქონდა პრეპარატი. ამ ათიდან ცხრა მოვარჩინეთ. ახლა ყველანი დარწმუნებული ვიყავით ჰოსპიტალში, რომ გამოგონებულ იქნა ახალი და უაღრესად ეფექტური პრეპარატი. ინგლისიდან შტამებიც კი გამოვიწერეთ, რათა თვითონვე დაგვეშაადებინა პენიცილინი. ქაიროს ძველ ციტადელში თავისებური პატარა ქარხანა გაჩნდა. მაგრამ, ბუნებრივია, ნივთიერების კონცენტრირების საშუალება არ გვქონდა...”

1940-დან 1942 წლამდე ალექსანდრე ფლემინგს თითქმის არ ახსენებდნენ. მისი შრომები დავიწყებას მიეცა. მეკლევარები ბეჭდავდნენ სტატიებს და ინფორმაციებს აღმოჩენებზე, რომელთაც საესებით გულწრფელად თავისად მიიჩნევდნენ, მაშინ როდესაც ეს ფაქტები ადრე აღწერილი ჰქონდა ფლემინგს. 1942 წლის აგვისტოში თვით ფლემინგმა უაღრესად დრამატულ ვითარებაში პირველად გამოსცა და ოქსფორდში გასუფთავებული პენიცილინი თავის ახლო მეგობარზე, რომელიც უიმედო მდგომარეობაში იყო. ეს პაციენტი გახლდათ რობერტ ფლემინგის ობტიკური ხელსაწყოების ქარხნის ერთ-ერთი დირექტორი. ავადმყოფი ორმოცდათორმეტი წლისა იყო. იგი ივნისის შუარიცხვებში მოიყვანეს სენტ-მერიში, სასიკვდილოდ იყო გადადებული. დიაგნოზის დასმა კი ჰქონდა. ავადმყოფს მენინგიტის ნიშნები ჰქონდა, მაგრამ ზურგტვინის სითხის გამოკვლევებისას მენინგოკოკები ვერ

ნახეს. ფლემინგმა გულმოდგინედ შეისწავლა ეს მძიმე შემთხვევა და ბოლოს სტრუქტოკოკები აღმოაჩინა. სულფამიდები იხმარა ამ მიკრობთა წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ, შემდეგ პენიცილინს მიმართა (უფრო სწორად, გამოიყენა გაუსუფთავებელი ფილტრატი — სხვა მას არაფერი ჰქონდა). პენიცილინი აგარზე ამ მიკრობებს თერმული მილიმეტრის რადიუსით სპობდა ირგვლივ. მაგრამ ინგლისში ხალასი პენიცილინი, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით, მხოლოდ ოქსფორდში მოიპოვებოდა.

ექვს აგვისტოს ფლემინგმა ტელეფონით გამოიძახა ფლორი და ავადმჯობის მძიმე მდგომარეობის ამბავი მოუყვა მას.

— თუ ცოტა მაინც გაქვთ პენიცილინი, ვცდიდი მის გამოყენებას. ფლორიმ უპასუხა, რომ იმ პირობით გაუგზავნიდა პენიცილინს, თუ ეს შემთხვევა ოქსფორდის ჯგუფის დაკვირვებად ჩაითვლებოდა.

„მე დავეუკავშირდი ფლორის, — წერს ფლემინგი, — და მან ისეთი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ მთელი მარაგი მომცა, რაც კი ჰქონდა. 1942 წლის 5 აგვისტოს ღამით ავადმყოფი ხან უგონოდ იყო, ხან ბოდავდა. მთელი ათი დღის განმავლობაში აწამებდა შეუჩერებელი სლოკინი. 6 აგვისტოს საღამოს დავიწყეთ პენიცილინის შეყვანა კუნთებში და ვზით (თხუთმეტ-თხუთმეტი ათასი თითო ინექციაზე). ერთი დღე-ღამის შემდეგ მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესდა. ცნობიერება დაეწმინდა, სლოკინმა გაუარა, შემცირდა კეფის რიგილობა. ტემპერატურა დაეცა. მაგრამ ზურგტვინის სითხის გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ მასში ან სულ არ იყო პენიცილინი ანდა თუ იყო, ძალზე მცირე რაოდენობით.

აზრად მომივიდა პენიცილინის უშუალოდ შეყვანა ზურგტვინის არხში, და ამის შესახებ ტელეფონით მოვეთათბირე ფლორის. მას ჯერ არასოდეს არ გაეკეთებინა ასეთი რამ, მაგრამ ვინაიდან ავადმყოფი უიმედო მდგომარეობაში იყო და თანაც ვიცოდი, რომ პენიცილინი არ ვნებდა ორგანიზმის უჯრედებს, ხუთი ათასი ერთეული შევიყვანე ზურგტვინის არხში. იმავე დღეს გვიან ფლორიმ დამირეკა და მითხრა, რომ პენიცილინი კატისთვის შეუყვანია ზურგტვინის არხში და ცხოველი მომკვდარა. ჩემი ავადმყოფი კი არ მოკვდა. ინექციამ არავითარ ენება არ მიაყენა, პირიქით. ამის შემდეგ ძალიან მალე გამომჯობინდა. 28 აგვისტოს წამოდგომაც კი შესძლო. მენინგიტის სიმპტომები

გაქრა. ცხრა სექტემბერს კი სავსებით ჯანმრთელი გაეწერა საავადმყოფოდან.

უიმედო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი პენიცილინით მკურნალობის შედეგად რამდენიმე დღეში სიკვდილის გადაარჩა. არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევას ძლიერი შთაბეჭდილება არ მოეხდინა.

და მართლაც, ამ სასწაულებრივმა ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც სენტ-მერიში, ისე საერთოდ ყველა სამედიცინო წრეში. 1942 წლის 27 აგვისტოს „ტაიმსმა“ დაბეჭდა სარედაქციო სტატია სათაურით: „პენიცილიუმი“. გაზეთი ლაპარაკობდა დიდ იმედებზე, რომელსაც იძლეოდა ეს ნივთიერება, ასჯერ უფრო აქტიური რომ აღმოჩნდა სულფამიდებზე. ჯერ შეუძლებელია, წერდა სტატიის ანონიმი ავტორი, სინთეზური პრეპარატის შექმნა, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან თვით ობი ხომ სავსებით ხელმისაწვდომი მასალაა. „ყველა დაეთანხმება „ლანცეტს“ — განაგრძობდა „ტაიმსი“, — რომ რახან ასეთი ძვირფასი თვისებები აღმოაჩნდა პენიცილინს, აუცილებელია რაც შეიძლება ჩქარა გამოიყენოს დიდი რაოდენობით მისი მიღების წესი...“ ეს იყო რჩევა, თითქმის ბრძანებაც კი, მიმართული ბრიტანეთის მთავრობისადმი.

სტატიაში არც ფლემინგი იყო ნახსენები, არც ოქსფორდის ჯგუფი, მაგრამ აი, 31 აგვისტოს „ტაიმსში“ დაიბეჭდა სერ ალმროტ რაიტის წერილი.

„ტაიმსის“ რედაქტორს

სერ, თქვენს გუშინდელ სარედაქციო სტატიაში, რომელიც პენიცილინს მიეძღვნა არავის არგუნეთ დაფნის გვარგვინი, რომელიც დაიმსახურა იმ ადამიანმა, რომელმაც აღმოაჩინა იგი. მე მსურს, თქვენი ნებართვით, შევავსო თქვენი სტატია და მოგახსენოთ, რომ, თუ გვიხსენებთ ერთ გამოთქმას — „Palmam qui meruit ferat“ — გვარგვინი უნდა მიეკუთვნოს პროფესორ ალექსანდრე ფლემინგს, რომელიც ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში მუშაობს. სწორედ მან აღმოაჩინა პირველი პენიცილინი და მანვე პირველად იწინასწარმეტყველა, რომ ეს ნივთიერება ფართო გამოყენებას კპოვებდა მედიცინაში.

დაეშთები თქვენი ერთგული ალმროტ რაიტი.

ბაქტერიოლოგიური განყოფილება,
სენტ-მერის საავადმყოფო,
პაღინგტონ, B. 2.

28 აგვისტო

* პალმა ვინც დაიმსახურა, მას ერგო იგი (ლათ.).

მოხუცი მასწავლებელი თავისი მოწათის დამსახურების აღიარებამ მოითხოვდა. უდავოა, რომ რაიტს უდიდესი მიუყვარძობლობა და უზომო პატიოსნება უნდა გამოეჩინა (და მან ეს შესანიშნავი გულწრფელობით გააკეთა), რათა საჯაროდ აღეარებინა ქიმიათერაპიის წარმატება. მაგრამ მას მაინც სჯეროდა, ყოველ შემთხვევაში, იმედოვნებდა, რომ ბოლოს და ბოლოს იმუნიზაცია გაიმარჯვებდა. მისი მხრიდან ეს სახსებით ბუნებრივი იყო.

რაიტი უკვე ოთხმოცდაერთი წლისა იყო, იგი გადასახლდა ქალაქ-გარეთ, ფარნჰემ კომონში, და კვირაში სამჯერ თუ ჩამოდიოდა ლონდონის ლაბორატორიაში. საპაეო ბომბარდირების გამო მატარებლები ხშირად იგვიანებდნენ, და რაიტს მანქანით შეეძლო მგზავრობა, მაგრამ მამაკაცები ფრონტზე იყვნენ და საქვს ქალები მართავდნენ, „ისინი კი მთელი გზა იქაქანებენ“, — ამბობდა რაიტი. აი რატომ ამჯობინებდა იგი მატარებლით მგზავრობას, თუმცა ეს დაპლელი იყო და სახიფათოც.

თუ როგორები იყვნენ იმ პერიოდში რაიტი და ფლემინგი, მოგვითხრობს მისის ბეკლი, ფლემინგის პირველი და ერთადერთი მდივანი. „გაოცებული ვიყავი, ისე არა ჰგავდნენ ერთმანეთს ისინი — დიდებული მასწავლებელი და დიდებული მოწათე. სერ ალმროტი, კაცი უადრესად ინტელექტუალური, ზრდილობიანი და მეტისმეტად აკადემიური იყო, ხოლო პროფესორი ფლემინგი, აგრეთვე უადრესად გონიერი, ყველაფერს, თავის სამუშაოსაც კი ბავშვურად ექცეოდა. ყველაფერს უბრალოდ უყურებდა, და მე მგონია, რომ სწორედ ამ უბრალოებამ ბევრჯერ მიიყვანა იგი სწორ გადაწყვეტილებამდე. დიახ, ისინი სრულიად სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ საგნებს, მაგრამ პროფესორი ყოველთვის უერთგულესი მოწათე იყო სერ ალმროტისა“.

რაიტს ძველებურად უყვარდა მასლაათი. „მხსოვს, ერთხელ ჩაის შევექცეოდით მასთან, — გვიამბობს პროფესორი პალვერტაფტი. — რაიტმა დიდი მონოლოგი წარმოთქვა შექსპირზე, რომელიც არა და არ უყვარდა მას. ალმროტი ირწმუნებოდა, შექსპირი მეტისმეტად თავდაჯერებულია. ჰემმარტი ხელოვანი კი უნდა ეჭვობდესო. შექსპირს არა ჰყავს ისეთი გმირი, რომელსაც ეჭვი სტანჯავდეს. ამ დროს მე ეშმაკურად ჩავილაპარაკე: „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის“. პასუხად რაიტმა ფშვინვა დაიწყო და სხვა საგანზე გადაიტანა ლაპარაკი“.

1942 წელს ჩატარებული სასწაულებრივი მკურნალობის დროს ფლემინგმა და ფლორმა მიმოწერა დაიწყეს ერთმანეთთან. მიმოწერა შემდეგაც გრძელდებოდა. ორივე იმ აზრისა იყო, რომ დადგა დრო, როდესაც უნდა დაწყებულიყო ამ სასწაულმოქმედი ნივთიერების მასობრივი წარმოება. 1942 წლის აგვისტოში ფლემინგმა უთხრა თავის მეგობარ ელისონს, რომელთანაც ცხოვრობდა იმ ხანებში: „ამ შემთხვევამ შეიძლება ძალიან გვიშველოს... მე მივალ მომარაგების მინისტრ სერ ენდრიუ დუნკანთან. იგი შოტლანდიელია და მეგობრულ განწყობილებაშია ჩემთან. თქვენ კი მოელაპარაკეთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომ მხარი დაგვიჭიროს პენიცილინის სამრეწველო წარმოების მოწყობაში“. ფლემინგი მართლაც ეწვია სერ ენდრიუსს და უთხრა: „ახლა ჩვენ პენიცილინის გამოშვება უნდა დაიწყოს. რით შეგვიძლია წავეშველოთ ამ საქმეს?“ სერ ენდრიუსზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პენიცილინის გამოყენების შესანიშნავმა შედეგებმა. დუნკანმა უპასუხა: „მე შეექმნი სპეციალურ კომიტეტს, რომლის ხელმძღვანელადაც დავნიშნავთ უაღრესად ენერგიულ კაცს. მერწმუნეთ იგი შეძლებს ამ საქმის მოვლას“.

სერ ენდრიუმ გამოიძახა სესილ ვეირი, მოწყობილობათა განყოფილების გენერალური დირექტორი, შესანიშნავი ორგანიზატორი.

— ფლემინგი მელაპარაკა პენიცილინზე, — უთხრა მინისტრმა, — იგი ფიქრობს, და მეც ვეთანხმები, რომ პენიცილინი ქმნის ჭრილობებისა და მრავალი სხვა დაავადების მკურნალობის უდიდეს შესაძლებლობებს. მე გთხოვთ ყოველივე იღონოთ, რაც კი ძალგითხ. რათა მოწყოს ამ პრეპარატის მასობრივი წარმოება.

1942 წლის 25 სექტემბერს სესილ ვეირმა პორტლენდ ჰაუზში სათათბიროდ გამოიძახა ფლემინგი, ფლორი, რაისტრიკი, არტურ მორტიმერი (თავისი თანაშემწე), აგრეთვე ქიმიური და ფარმაცევტული საწარმოების წარმომადგენლები — ერთი სიტყვით, ყველა, ვინც კი შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო პენიცილინის წარმოებით.

ხუთმა მსხვილმა ფირმამ: „მეი და ბეკერმა“, „გლასკომ“, „ველკომმა“, „ბრიტიშ დრაგ ჰაუზისმა“ და „ბრუტსმა“ ჯერ კიდევ 1941 წელს შექმნეს სამეცნიერო-კვლევითი თერაპიული საზოგადოება, რომელსაც აღუთქვეს, რომ უმაღლესად უნდა ყოველგვარ მონაცემებს პენიცილინზე. მკვლევართა ოქსფორდის ჯგუფთან კავშირი ჰქონდა დამყარებული იმპერიულ ქემიკლ ინდასტრისს“, „კემბლს“ და „ბიშოპს“. ბი-

შობის ქარხანამ კომიტეტის ხხლომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სავსებით უსასყიდლოდ გადასცა ფლორის პენიცილინის ერთი პარტია.

ესილ ვეირმა განაცხადა, რომ ყველამ უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი მონაცემები პენიცილინზე და მის წარმოებაზე; მკვლევარებსაც და მრეწველებსაც ერთი მიზანი აქვთ: სწრაფად და დიდი რაოდენობით დაამზადონ პენიცილინი. მისი წინადადება ერთსულოვნად და ერთუზიანებით მოიწონეს. პირობა დადეს, რომ ერთმანეთს გაუზიარებდნენ მიღწევებს და არც ცოდნასა და არც ნიქს არ დაიშურებდნენ საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურისათვის. ფლორამ თათბირზე განაცხადა, რომ მან ამერიკის ფირმებს გააცნო ოქსფორდში შემუშავებული მეთოდები. თან დასძინა, აუცილებელია სრული თანაზიარობა, ამავ დროს მან ერთგვარი შიშხ გამოთქვა წარმოების წესებზე ამერიკელი მკვლევარების მიერ აღებული პატენტების გამო. სამეცნიერო-კვლევითი თერაპიული საზოგადოება დაპირდა თათბირის მონაწილეებს, რომ ამერიკიდან მიღებული ყოველგვარ ცნობა მაშინვე გადაეცემოდა ინგლისელ მეცნიერებს.

აქვე შეთანხმდნენ, რომ სხვადასხვა ლაბორატორიის მუშაობა არ იქნებოდა ცენტრალიზებული. საპაერო ბომბარდირების გამო არაგონივრული იყო ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნა. წარმოების მასშტაბების საკითხი არ განუხილავთ, ეს ჯერ ნაადრევი იყო. ფლორამ შეკრებილთ აცნობა, რომ თუ მენინგიტით ან სეპტიცემიით შეპყრობილი ერთი ავადმყოფის სამკურნალოდ დიდი რაოდენობითაა პრეპარატი საჭირო, ადგილობრივი ინფექციების შემთხვევაში გაცილებით ნაკლები კმარაო. მაგალითად, დამწვრობის მკურნალობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თვეში ათი გრამი პრეპარატი ეყოფა ყველი ინფიცირებული დამწვრობის მკურნალობას მოელ შუა აღმოსავლეთის არმიაში. დოქტორმა დაკსუელმა განაცხადა, სამეცნიერო-კვლევით თერაპიულ საზოგადოებას განზრახული აქვს ააგოს ქარხანა, რომლის მწარმოებელურობა წელიწადში მილიონი ლიტრი პენიცილინი იქნება. „იმპერიალ ქემიკლ ინდასტრიზსაც“ ჰქონდა შემუშავებული საწარმოო პროექტი. ფლორამ აზრი გამოთქვა, რომ მზა პროდუქციის განაწილება მომხდარიყო ბიოლოგების კონტროლქვეშ, რათა თავიდან აეცილებინათ ბოროტად გამოყენება, რაც საშიშროებას შექმნის და საერთოდ კი ხშირად აღინიშნება ახალი მედიკამენტის გამოჩენისას.

თათბირის დასასრულს არტურ მორტიმერმა ყურში წასჩურჩულა თავის უფროსს: „შეიძლება თქვენ წარმოდგენილიც არა გაქვთ, მაგრამ, მეჩნდეთ, ეს იქნება ღირსახსოვარი შეკრება, და არა მარტო მედიცინის ისტორიაში, არამედ შეიძლება მსოფლიოს ისტორიაშიც. პირველად მოხდება, რომ ყველა, ვისაც კი ეხება წამლის წარმოება, მთელ თავის ცოდნასა და შრომას მოახმაროს ამ საქმეს არა ფულისა და არა დიდების გულისათვის...“

წარმოება ძალიან სწრაფად აითვისეს. ოპერაციებს ხელმძღვანელობდა პენიცილინის საერთო კომიტეტი არტურ მორტიმერის თავმჯდომარეობით (შემდგომში იგი სერ პენრი დელმა შეცვალა). პროფესორი რაისტრიკი დაინიშნა ტექნიკურ კონსულტანტად და უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ამ საქმის პიონერთ. მსხვილი ქიმიური ფირმების ინჟინრებთან ერთად იგი ამერიკაში გაემგზავრა, რათა გაცნობოდა ამერიკის მრეწველობის მიღწევებს.

პენიცილინის მასობრივი წარმოება ერთბაშად როდი დაიწყო ამერიკაში*. ქიმიკოსები ცდილობდნენ პენიცილინის მიღებას ღრმა ფერმენტაციის მეთოდით, პენიცილიუმში კი საკვები ნიადაგის ზედაპირზე ცხოვრებას „ამჯობინებდა“... გარდა ამისა, მეტისმეტად ძნელი იყო საკვები ნიადაგის დაცვა დასენიანებისაგან. პენიცილინის წარმოებაში დიდი წვლილი შეიტანა ფირმამ „ჩარლზ ჰუაიციერი და K^o“. ამ კომპანიის ქარხანა ადრე ფარმაცევტულ პროდუქციას არ უშვებდა, მაგრამ მის სპეციალისტებს დიდი გამოცდილება ჰქონდათ ფერმენტაციის დარგში. ქარხნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯონ ლ. სმიტი ჭაღარა, ტანდაბალი კაცი იყო, სახეზე მუდამ ცივი გამომეტყველება ეხატა. თავის ქიმიკოსებთან ერთად გულმოწადინებით ცდილობდა პენიცილინის სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიის შემუშავებას, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია. სმიტი მოწმე გახდა ერთი პატარა გოგონას მკვდრეთით აღდგომისა. ამ გოგონას სეფსისი ჰქონდა და ამქვეყნიური პირი აღარ ჰქონდა. ექიმები სრულიად უიმედოდ თვლიდნენ ასეთი ინფექციის შემთხვევას.

ბავშვს ინფექციური ენდოკარდიტი ჰქონდა და სიკვდილის პირას

* Paul de Kruif, Life among the doctors, Harcourt Brace, 1949. (პოლ დე კრიუი. „ცხოვრება ექიმებს შორის“).

იყო. 1943 წლის ივნისში ბრუკლინის ებრაელთა საავადმყოფოს ექიმი ლევე სმიტთან მივიდა და პენიცილინი სთხოვა ამ ავადმყოფი გოგონასთვის*. სმიტმა უარა უთხრა, რადგან ამ იშვიათი პრეპარატის განაწილება მხოლოდ ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით საბჭოს შეეძლო და, გარდა ამისა, დასძინა მან, ეს ნივთიერება ენდოკარდიტის დროს დადებით შედეგს არ იძლევაო. ლევე არ დაეთანხმა. მისი აზრით, თუ პენიცილინს ჰეპარინთან ერთად შეიყვანდნენ, ეფექტი უზრუნველყოფილი იქნებოდა. სმიტი ავადმყოფი გოგონას გამოსაკვლევად წავიდა. მართალი გითხრათ, გასაოცარია სმიტის მოქმედება; სხვა მის ადგილზე შეიძლება ასე არ მოქცეულიყო. წარმოებას ხელმძღვანელი, საქმით ყელამდე დატვირთული, და აი იგი ავადმყოფის სანახავად და გამოსაკვლევად მიდის. გოგონას უმწეო მდგომარეობამ თურმე ისე შეაძრწუნა ეს კაცი, რომ წესი დაარღვია და ლევეს მაინც მისტა პენიცილინი. ოქროსფერი სითხე სამი დღის განმავლობაში წვეთ-წვეთად ჩაედინებოდა ავადმყოფი გოგონას ვენაში. ქარხანაში მომქანცველი მუშაობის შემდეგ სმიტი მაინც ყოველდღიურად მიდიოდა პატარა პაციენტის სანახავად. როდესაც ავადმყოფის მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, ლევემ კუნთებშიდა შეშხაპუნება იკმარა. ერთი თვის შემდეგ ბავშვი განიკურნა.

ამის შემდეგ ლევემ დაიწყო სხვა უიმედო ავადმყოფების მკურნალობა. სმიტი კვლავ ხელს უმართავდა პენიცილინით. პრეპარატი ტოქსიკური არ იყო და ამიტომ ექიმმა სადღელამისო დოზა ორასი ათას ერთეულამდე გაზარდა. მაგრამ ამ ხანებში ეროვნულმა სამეცნიერო-კვლევითმა საბჭომ კიდევ უფრო მკაცრი წესები შემოიღო. აიკრძალა ენდოკარდიტის მკურნალობა პენიცილინით. სტატისტიკური მონაცემებით, ეს „გაუმართლებელიაო“, ირწმუნებოდა საბჭო. ავადმყოფები კი იკურნებოდნენ. თუ გაუგებდნენ, სმიტს უსიამოვნება შეხვდებოდა, მაგრამ იგი ამას არ უფრთხობდა და კვლავინდებურად ამარაგებდა ლევეს პენიცილინით. 1943 წლის ოქტომბერში საბჭომ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ბრუკლინში. მას უნდა გამოეკვლია ის ავადმყოფები, რომლებიც პენიცილინმა კუბოდან წამოაყენა. „აბა შემომხედეთ, განა მე ცოცხალი არა ვარ? — უთხრა საბჭოს წარმომადგენელს ერთმა ქალმა, რომელსაც ამ ლაპარაკის დროს აღმასებრ

* Paul de Kraif

უბრწყინავდა თვალები.—სტატისტიკას რომ ვკითხვოთ, მე უკვე დიდი ხნის მიცვალებული უნდა ვიყო“. — დასძინა მკვდრეთით აღმდგარმა.

საავადმყოფოში ყოფნის შემდეგ სმიტი სავსებით გადახალისებული ბრუნდებოდა ქარხანაში. „თქვენ კიდევ ერთი სიცოცხლე გადაარჩინეთ“, — ეუბნებოდა იგი თავის ინჟინრებს, ბაქტერიოლოგებს, მიკოლოგებს, და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სიდიადით აღტაცებული ადამიანები არც დროს იშურებდნენ, არც მძიმე შრომას ერიდებოდნენ. ბევრი, ბევრის-ბევრი ცდის შემდეგ როგორც იქნა მოახერხეს ღრმა ფერმენტაცია ღიდ როფებში ჰაერის სტერილიზაციით. და ამ დღიდან ბაქტერიოლოგია გოლიათების სამყაროში დამკვიდრდა.

ყველა საამქროში გამოკრული იყო წარწერები: „მუშაობისას დაცვით სიფრთხილე... დასენიანებულ პენიცილინს შეუძლია დახოცოს ადამიანები... პენიცილინი აბსოლუტურად სტერილური უნდა იყოს. ყველაფერს თუ აკეთებთ ამის მისაღწევად? ავადმყოფები იმედოვნებენ, რომ თქვენ გადაარჩინოთ მათ, ისინი თქვენ იმედზე არიან“. ასეთ მოწოდებებს ყოველთვის ეხმაურებიან ამერიკაში. სულ მალე ნიაღვარივით წამოვიდა პენიცილინი. დაიწყო ერა ინფიცირებული ქსოვილების გასუფთავებისა.

არტურ მორტიმერი გვიამბობს, რომ შეერთებულ შტატებში ზოგიერთმა სპეციალისტმა მოიწადინა გასამრჩელოს მიღება წარმოების ახალი წესების გამოგონებისათვის. „ჩვენ მათ ვუპასუხებთ, რომ შეუძლიათ მოიხიზონ რამდენიც კი მოესურვებათ. გაოცდნენ და შეგვეკითხნენ, რით არის გამოწვეული თქვენი ასეთი გულუხვობაო. ამის პასუხად მიეუგეთ, რომ როგორც კი წარმოადგენდნენ თავიანთ მოთხოვნებს, მაშინვე დაუპირისპირებლით ჩვენს უფლებებს პენიცილინის მთელ პროდუქციაზე, რადგან ეს პრეპარატი აღმოჩენილ იქნა ინგლისში, და ჩვენ მიერ მიღებული თანხა ორჯერ მეტი იქნებოდა იმასთან შედარებით, რასაც ისინი მიიღებდნენ მათ მიერ გამოგონებული მეთოდების გამოყენებაში. ამ საუბრის შემდეგ ლაპარაკიც კი აღარ ყოფილა რაიმე უფლებებზე. ბუნებრივია, რომ თმის შემდეგ გაიცა პატენტები ახალ მეთოდებზე, და ამას, რა თქმა უნდა, ანგარიშს უწყევდნენ, მაგრამ თვით პენიცილინი უპატენტოდ დარჩა და არავის განუცხადებია თავისი უფლება“.

დავა წარმოიშვა „პენიცილინის“ სახელწოდებაზე; ზოგიერთი ფირ-

მა მოითხოვდა, რომ მის გარდა არავის გაეყიდა ეს პრეპარატი ამ სახელწოდებით. ფლემინგი იძულებული გახდა ჩარეულიყო ამ დავაში. 1929 წელს მან შექმნა ეს სიტყვა, რომელიც მეცნიერულ ტერმინად იქცა და ყველამ მიიღო. ამდენად, არავის შეეძლო მისი მითვისება. ფლემინგს მხარი დაუჭირეს რამდენიმე ქვეყნის მთავრობებმა, და საკითხი დადებითად გადაწყდა. მიუხედავად ამისა საჭირო იყო, თვით ინგლისშიაც კი, თვალყურის დევნება ამ სიტყვის ხმარებაზე. როგორც კი ხმა დაირხა სასწაულმოქმედი წამლის აღმოჩენაზე, მაშინვე გაჩნდნენ „თანამგზავრები“ — პენიცილინის ათასგვარი საცხი. თვალის წვეთები, ლოსიონები, აბები, პენიცილინიანი კოსმეტიკური კრემები. ფლემინგი გულიანად ერთობოდა ამ ამბით, და ერთხელ მორტიმერს უთხრა: „ვერ წარმომიდგენია, კიდევ რა შეუძლიათ გამოიგონონ. სულაც არ გამოკვირდება, პენიცილინიანი ტუჩის პომადა რომ გამოუშვან გასაყიდად“. მორტიმერმა უპასუხა: „ადვილი შესაძლებელია, რეკლამა კი ასეთი იქნება: „აკოცეთ ვისაც გინდათ, სადაც გინდათ, როგორც გინდათ, და თქვენ დაზღვეული იქნებით უსიამოვნო შედეგებისაგან (გარდა ქორწინებისა), თუ იხმართ ჩვენს პენიცილინიან ტუჩის პომადას“. ფლემინგმა გაიღმა და მიუგო, რომ ეს კარგი აზრია, მაგრამ ურავო არ იქნებოდა პენიცილინზეც გავრცელებულიყო თერაპიული პრეპარატების შესახებ არსებული კანონი, რათა თავიდან აგვეცილებინა მისი ბოროტად გამოყენება.

1943 წელს ქარხნებმა დაიწყეს პენიცილინის მასობრივი წარმოება. და ახლა იგი ისეთი რაოდენობით მზადდებოდა, რომ შეიძლებოდა არმიისათვის მიწოდება. სამხედრო სამინისტროსთან არსებული პათოლოგიის განყოფილების დირექტორმა, გენერალ-მაიორმა პულმა ორი სპეციალისტი მიავლინა ჩრდილოეთ აფრიკაში. ისინი ალჟირში ჩავიდნენ 1943 წლის მაისში, ბონის კონცხთან მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ, და მაშინვე შეუდგნენ დაჭრილთა მკურნალობას პენიცილინით. აღსანიშნავია, რომ კამპანიის დროს შიღებული ჭრილობები განსაკუთრებით მძიმე იყო. თანაც ტუნისში მტერზე მეტ ზიანს ბუზები აყენებდნენ მეომრებს. დღე ფხვნილითაც კი ვერ სპობდნენ ბუზების ურდოებს: ისინი მიკრობებით ასენიანებდნენ ჭრილობებს, დებდნენ შიგ კვერცხებს, რომლებიდანაც მერე მატლები იჩეკებოდნენ. ასეთი ჭრილობების დამუშავებისათვის უამრავი პენიცილინი იყო საჭირო.

მალე ფლორი თვითონ ჩავიდა ალჟირში. მას დიდი გამოცდილება ჰქონდა და შეეძლო სასარგებლო რჩევა-დარიგებანი მიეცა ქირურგებისათვის. პირველივე შედეგებმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ექიმებზე, რომ საშიში იყო, ამის შემდეგ ყველა დაქრილზე და ყველა ავადმყოფზე არ ეხმარათ პენიცილინი. ფლორი წამდაუწყუმ იმეორებდა, რომ პენიცილინი არ არის პანაცეა, რომელიც ყველასნეულებას კურნავდესო. ზოგიერთი მიკრობი მგრძობელობას იჩენს მის მიმართ, ზოგი კი — არა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა აუცილებლად უნდა მივიღოთ იმ მიკრობის კულტურა, რომლითაც დასნებოვნებულია ავადმყოფი, და გამოვიკვლიოთ არის თუ არა იგი მგრძობიარე პენიცილინის მიმართ, — ამბობდა იგი. დადებითი პასუხის შემთხვევაში შეიძლება პენიცილინის შეყვანა და ნაკერების დადება. ქირურგებმა კრიტიკულად უნდა შეაფასონ თავიანთი ცოდნა და ძველი მეთოდები. ბევრმა მათგანმა უყოყმანოდ მიიღო მკურნალობის ახალი წესი, მაგრამ ზოგ-ზოგები მაინც წინააღმდეგნი იყვნენ. ხდება ხოლმე, რომ კრილობაში რჩება ჩირქი, კამათობდნენ ისინი. მართლაცდა, პენიცილინი არ სპობდა ჩირქმბად ბაცილებს, მაგრამ სამაგიეროდ ფაგოციტებს, სხვა მიკრობებისაგან თავდასხნილებს, შეეძლოთ დაეძლიათ ეს ბაცილები.

მცირეოდენი პენიცილინი სამხედრო ქარხნების მუშებსაც ეძლეოდათ. ექიმმა ეტელ ფლორმა და ბირმინჰემის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში მომუშავე მისმა კოლეგებმა დაამტკიცეს, რომ პენიცილინის ნახვევები ფრიად ეფექტური იყო ხელის ღია ტრავმებისას, რაც საერთოდ ხშირი შემთხვევაა ქარხნის მუშებში. პენიცილინი განსაკვიფრებელ შედეგებს იძლეოდა სუსუნატისას, რომელსაც იგი თორმეტ საათში კურნავდა. ჰოსპიტლები სავსე იყო ვენერული სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფებით, და პრეპარატის ამ თვისებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არმიაში.

დიდების ღვთაებამ ანაზღად თავისი კალთა გულუხვად დააბერტყა სიტყვაძვირ შოტლანდიელს. წერილების ნაკადი დღითიდღე იზრდებოდა და გეგონებოდათ მალე წალეკავს ადრესატსო. დილიდან საღამომდე განუწყვეტილვ რეკავდა ტელეფონი. ფლემინგთან საუბარი უნდოდათ მინისტრებს, გენერლებს, ყველა ქვეყნის უჭრნალისტებს.

მოულოდნელი დიდება ცოტა აოცებდა კიდევ ფლემინგს, იგი ზოგჯერ თავს იქცევდა ამით, სიამოვნებდა, უდავოდ სიამოვნებდა ეს დამსახურებული ქება-დიდება, თან კიდევ არასოდეს არ ავიწყლებოდა იმ წვლილის აღნიშვნა, რომელიც შეიტანეს ამ საქმეში ფლორიმ და ჩეინმა.

ეს თავმდაბალი და საკმაოდ ორიგინალური კაცი ჟურნალისტებისა და ფართო მასების საყვარელ პიროვნებად გადაიქცა. პენიცილინის მთელი ისტორია რაღაც რომანტულ ამბავს ჰგავდა. სპორა, რომელიც ჭარმა შემოაფრინა ფანჯარაში და კულტურაზე დაასკუპა; აღმოჩენა, რომელიც ომის გახურებული ქარ-ცეცხლის დროს გაახსენეს, როდესაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას; შესანიშნავი ცნობები, რომლებიც არმიიდან მოდიოდა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ლეგენდის დაბადებას, რომელშიც, სხვათაშორის, ყველაფერი მართალი იყო. დაფასება, აღიარება, ქება-დიდება; ბოლო არ უჩანდა საპატიო აღზევებას. 1943 წელს იგი არჩეულ იქნა სამეფო საზოგადოების, დიდი ბრიტანეთის ამ ყველაზე უფრო ძველი და დაფასებული სამეცნიერო საზოგადოების წევრად. იგი ხომ 1660 წელს ჩამოყალიბდა ოქსფორდის „უხილავი კოლეგიიდან“, რომელშიც ფილოსოფოსები იკრიბებოდნენ. 1703-დან 1727 წლამდე ამ საზოგადოების პრეზიდენტი იყო ნიუტონი. რაიტი საზოგადოების წევრად ითვლებოდა. ამ საზოგადოების წევრად არჩევაზე უფრო დიდ პატივსა და დაფასებას თავისი კოლეგებისგან ვერც ერთი მეცნიერი ვერ ინატრებდა.

ამ მოვლენის აღსანიშნავად სენტ-მერიელმა მეგობრებმა — პროფესორებმა და სტუდენტებმა ფლემინგს საჩუქრად მიართვეს ვერცხლის ლარნაკი, XVIII საუკუნის ხელოვნების იუველირული ნაწარმოები. საავადმყოფოს ერთ-ერთმა სახელოვანმა ქირურგმა სერ აღმროტ რაიტის თანდასწრებით სიტყვით მიმართა ფლემინგს. „ჩვენს თანამეგობრობას არა ჰყავს სხვა ისეთი წევრი, რომელსაც პროფესორ ფლემინგზე მეტად ვაფასებდეთ. იგი ყოველთვის გამსჭვალული იყო ამ სახლის სულით, მუდამ ჩვენთან ერთად იყო; ზოგჯერ იგი თავისი მაღალი კვარცხლბეკიდანაც კი ჩამოდის და ჭიქა ლუდს მიირთმევს „ფაუნტენში“.

ფლემინგმა პასუხად უთხრა: „მე წილად მხვდა ცოტაოდენი წარმატებანი, რომელთაც სიამე მომგვარეს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ,

რომ დღევანდელი დღე ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია ჩემს ცხოვრებაში, რადგან თქვენ, ჩემო მასწავლებლო, თქვენ, ჩემო თანამედროვენო და სტუდენტებო, თავი მოიყარეთ აქ ჩემს პატივსაცემად". შემდეგ მან დასძინა, რომ ძალიან უჭირს დალაგებულად ლაპარაკი, როცა ასე აღელვებულია. „ბევრი რამ შემქმლო მემამბნა თქვენთვის სტაფილოკოკებზე, სპიროქეტებზე, პენიცილინზეც, მაგრამ ახლა ჩემზეა ლაპარაკი, ეს კი სულ სხვა რამაა...“

იგი მართლაც მთელი დღის განმავლობაში შიშით ფიქრობდა იმაზე, რომ სამადლობელი სიტყვა უნდა ეთქვა მქვერმეტყველი ჰენდფილდ ჯონსისათვის. დოქტორ მაკ-ლეოდთან ერთად რომ სადილობდა, თავისი შიში გაუზიარა მას. დოქტორმა მაკ-ლეოდმა კი მათი თანამემამულე რობერტ ბერნსის ლექსიდან გაახსენა ორი სტრიქონი, რომლებიც გამოხატავდნენ ასეთ შემთხვევაში შესაფერ თავმდაბლობას, სტრიქონები, რომლებიც შეიძლებოდა სიტყვის დასკვნით ნაწილში გამოდგომოდა მას.

ეს ლექსი ძალიან მოეწონა ფლემინგს, მართლაც გადასწყვიტა მათი ციტირება და ამასთან დაკავშირებული სათქმელიც მოიფიქრა: „მე შოტლანდიელი ვარ, ერშირიდან. ერშირის სახელოვანმა მკვიდრმა რობერტ ბერნსმა ამ ასორმოცდაათი წლის წინ დაწერა:

ნეტავ ვხედავდე ყველაფერს,
რასაც სხვა ხედავს ჩემში...“

თუ სხვებს ისეთად მივაჩნევართ, როგორადაც დამხატა ახლა ჰენდფილდ ჯონსმა, მაშასადამე, სულაც არ მცოდნია ჩემი თავის ფასი, მაგრამ შოტლანდიურმა აღზრდამ, რომელიც მე მივიღე, სიფრთხილე შთაბინერგა, და ძალიან კარგად ვიცი, რომ ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც ნეკროლოგებში, სავსებით დასაშვებია გადაჭარბებული ქება“:

ასე აპირებდა თავისი სიტყვის დამთავრებას ფლემინგი. აპირებდა ერთია, მაგრამ დაიბნა, და ამის ნაცვლად აი რა თქვა: „ოდესღაც აქ, სენტ-მერიში, სამი სტუდენტი ვიყავით. ახლა სამივენი სამეფო საზოგადოების წევრები ვართ. განა მაშინ შეგვეძლო იმაზე ფიქრი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა? ბერნსი წერდა:

* ბერნსის ლექსიდან უმწერს, რომელიც პოეტმა კობტად გამოწყობილი ბანოვანის ქულზე დაინახა ეკლესიაში წირვის დროს“.

„ნეტავ ვხედავდნე ყველაფერს,
რასაც სხვა ხედავს ჩემში...“

ასეთ კონტექსტში ბერნსის ლექსს სულ სხვა აზრი მიეცა, სრულიად საპირისპირო იმისა, რასაც მასში მაკ-ლეოდი ხედავდა, და ეს სტრიქონები არა თავმდაბლობის, არამედ მეტისმეტა სიამაყის შინაარსით აღედრდა, მაგრამ დამსწრეთ პირველად იხილეს ფლემინგის სახეზე ზღელეფარება, და ლექსის აზრის ამ უნებლიე დამახინჭებას კეთილგანწყობილების სიცილით გამოეპასუხნენ.

ალექსანდრე ფლემინგი — რონალდ ტრევის

მთელმა საავადმყოფომ მოიყარა თავი, ძალიან ლამაზი ვერცხლის ლარნაკი მომართვეს. ეს კი მესიამოვნა, მაგრამ რაც შეეხება სტენაზე ჯდომას და სიტყვის წარმოთქმას, ამისა კი რა მოგახსენოთ. ვინძლო არ ვიყავ სასაცილო; ასეთ საქმეებში გაწაფული არა ვარ... გაზთები კვლავ წერენ პენიცილინზე. ამერიკიდან მთხოვევენ/გაუფლებენ ავტოგრაფები და მუნიციპალური საბჭოს მოსალოცი ადრესი, რომელიც მივიღე დარველიდან, იმ ქალაქიდან, სადაც მე დავიბადე. მოსამართლეს (იგი ამავე დროს მერიცაა) პენიცილინის შესახებ ჭაიროში შეუტყვი. მომავალ ხუთშაბათს, რვა საათზე რადიოთი უნდა გამოვიღე შედეგისათვის. აქ ყველაფერი ძველაპურადაა ჩვენ განვაგრძობთ, ეგაა და ეგ.

1943 წლის სამ ივლისს იგი წერს თავის მეგობარს, ბაქტერიოლოგ კომპტონს, რომელიც იმხანად ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო ალექსანდრიაში:

რა თქმა უნდა, ნეამა-სამეფო საზოგადოებაში რომ ამიჩიხეს. და ისიც მსიამოვნებს, რომ ჩემს მეგობრებსაც გაეხარდათ...

ახლა ბევრი სამუშაო მაქვს ჩემი ჭიმიათერაპიულა შეიღობილის გამოცდის გამო ჩანს, ეს ნავთიერება საოცარი ძალისაა. როდესაც საქმარისი რაოდენობით გვექნება ეს პრეპარატი, იგი დაჩრდილავს სულფამიდებს. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე სუბტიცემით შეპყრობილი ორი ავადმყოფი გამოვლოცეთ საკვდილის ბრქვალბებს. ერთი სუსუნატიანი დღე-ღამის განმავლობაში ვანიკურა, გარეგანმა ხმარებამაც შესანიშნავი შედეგი მოგვცა. ვფიქრობ, რომ კიდევ ექვს თვეს მოვუნდები ამ სამუშაოზე... შეიძლება მეტი დროც დამჭირდეს.

ყველანი ველოდებით დიდ მოვლენებს; მაგრამ თქვენი არ იყოს, არც ჩვენ ერთობით, რა მოხდება. შესაძლოა, როცა ჩემს წერილს მიიღებთ, ხმელთაშუა ზღვაში მფრთხილება უნდა გარკვეული იყო.

ჩემი მეუღლე კარგადაა. ძალიან დატვირთულია. რომერტი სენტ-მერიში სწავ-

ლობს. ჩვენ ყველანი კეთილ სურვილებს გითვლით და წინასწარ ეხარობთ თქვენთან შეხვედრას, როდესაც ჰიტლერს გაანადგურებენ.

გულწრფელად თქვენი ალექსანდრე ფლემინგი.

ქარის მიერ მოტანილმა სპორამ დასაბამი მისცა ყოველდღიურად განვითარებად მრეწველობას როგორც ამერიკაში, ისე ინგლისში. და უკვე 1943 წლის მაისში ამერიკის არმიამ ასოცი მილიონი ერთეული პენიცილინი შეუქვეთა მრეწველობას. ინგლისმა სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღო პენიცილინის დამზადებაზე.

1944 წელს დოქტორმა კოგკილმმა, რომელიც პეორიის ლაბორატორიაში მუშაობდა, ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოებას წარუდგინა ბრწყინვალე მოხსენება, რომელშიც ლაპარაკი იყო პენიცილინის სამრეწველო წარმოების უჩვეულოდ სწრაფ განვითარებაზე შეერთებულ შტატებში. „ცოტა რამ მოიძებნება ისეთი, პენიცილინის მსგავსად რომ გამოეწვიოს ასეთი ცხოველი ინტერესი როგორც მეცნიერთა შორის, ისე საქმეში ჩაუხედავ ხალხში. აი უკვე ორი წელიწადია, შეიძლება ცოტა მეტიც, რაც ყველა ანგლოსაქსური ქვეყნის მიკოლოგებს, ქიმიკოსებსა და ინჟინრებს იგი ზღაპრულ გერიად მიაჩნიათ. ამ ნივთიერებამ, გამოყოფილმა საზიზღარი შესახედაობის ობის მიერ, რომლის კულტივირებაზე აღრე ვინ იფიქრებდა, პირიქით სადაც კი წაეწეოდნენ; მაშინვე სპობდნენ, უცებ სასწაულებრივად გარდაქმნა ქარხნები, რომლებიც ოც მილიონ დოლარადაა შეფასებული, ახლა მას ასობით ლაქია ემსახურება, ბუკითა და ნალარით ხედებიან მის გამოჩენას. პენიცილინმა დაჩრდილა თავისი დები — სულფამილური პრეპარატები. ორი წლის წინ ჩვენ, ვისაც ამ მეჯლისოს მოწყობა დაგვაეალეს, შუალამით გაგვეღვიძებოდა ხოლმე და მაშინვე შევეკითხებოდით საკუთარ თავს, ხომ არ გაქრებაო ეს მომხიბვლელი ზმანება, როს თორმეტჯერ დაჰკრავს საათი, და ხელში ხომ არ შეგვკრებაო ბროლის ქოში, როცა უკვე ამდენი ქარხანა-სასახლე აუფშენეთ? მაგრამ აი საათმა შუალამე გვამცნო და გაიყარნენ სინამდვილე და ზღაპარი: ჩვენი გერია არსად არ გაქცეულა. იგი ჩვენთანაა და სასწაულებს ახდენს“.

ამ მეცნიერს კალამი უჭრიდა, ზღაპრული გერიას მითიც ზედმიწევნით მიესადაგა თვით ფლემინგის ისტორიას.

VIV სპრ ალექსანდრე ფლემინგი

ამ ბოლო ხანებში ძალიან ძნელი
ცხოვრება შემექმნა.

ფლემინგი

1944 წლის ზაფხულში ლონდონის თავზე სეტყვა-სავით ცვიოდა ფაუ-ყუმბარები და მფრინავი ჭურვები; მათ ხმელეთიდან ისროდნენ. შემადრწუნებელი, ხანგამოშვებითი ღრიალით მოემართებოდნენ, თანაც ისე ნელა მოფრინავდნენ, რომ ადვილად გააყოლებდა კაცი თვალს. გაისმოდა თუ არა სირენის ხმა, როგორც სხვაგან, ისე სენტ-მერის სახურავზეც მორიგე ადიოდა და, თუ დაინახავდა, რომ ერთ-ერთი doodle bugs * საავადმყოფოს მიმართულებით მოფრინავდა, განგაშის ნიშანს მისცემდა. მეორე ზარი „უშუალო საფრთხეს“ ნიშნავდა, მესამე კი იუწყებოდა: „ჩადით ბომბსაფარში“.

ფლემინგი და მისი მეგობარი პროფესორი პანეტი ხშირად პირველივე განგაშზე ადიოდნენ სახურავზე, ღურბინდით თვალს ადევნებდნენ მფრინავ ჭურვებს და მსჯელობდნენ თუ სად დაეცემოდა იგი. ერთხელ, როდესაც სახურავზე კლაიდენი მორიგეობდა, ფლემინგს უთხრა:

— რის მაქნისია ეს კომედია? თქვენ აქ იმისათვის მაგზავნით, რომ არაფერ არ ამოვუშვა სახურავზე, თვითონ კი ამოღინართ... ხომ იცით, რომ თქვენ და პროფესორი პანეტი იშვიათი პიროვნებები ბრძანდებით და უთქვენოდ ძალიან გაგვიჭირდება.

— ეგ არაფერია, — შეეპასუსა ფლემინგი. — თუ ვინმე რამეს გეცხვით, უპასუხეთ, რომ ჩვენ სადარაჯობს ვამოწმებთ.

* თვითმფრინავ-ჭურვი ფაუ-1.

ზოგჯერ ფლემინგი ლაბორატორიაში ისე გაერთობოდა თურმე თავისი სამუშაოთი, რომ განგაშსაც კი ვერ გებულობდა. მისი მდივანი ქალი, მისის ელენ ბეკლი, გვიამბობს, რომ ერთხელ დილით ფლემინგი რაღაც მნიშვნელოვან წერილს კარნახობდა თურმე მას, როცა განგაშის პირველი სიგნალი გაისმა.

„ოდნავ შევეკრთი და თავი ავწვიე. გაისმა მეორე ზარი, და შორიდან ზოისმა ურჩხულის გუგუნა. გუგუნა თანდათან მატულობდა. მისცეს მესამე სიგნალი. ხმა კიდევ უფრო გაძლიერდა. ფანჯრიდან რაკეტა დაეინახე. შუბლზე გამონადენა სიმწრის ოფლი ბლოკნოტს ეწვეთებოდა, ფანჯარი ძლივს მეჭირა ხელში. ცალი თვალით პროფესორისაკენ გავიჭვრიტე. იგი გამოსათქმელ აზრს ალაგებდა 'და ამქვეყნიური სხვა რამ საზრუნავი არ აწუხებდა. ურჩხულმა თავზე გადაგვიქროლა და მთელი სახლი შეაზანზარა. გაისმა მეოთხე სიგნალი, რომელიც ნიშნავდა: „განგაში დამთავრებულია“. პროფესორი ფიქრებიდან გამოერკვა და უცებ დამიძახა: „დისკი! თავი დახარეთ!“ მას არც პირველი სამი სიგნალი გაუგონია. არც რაკეტის ღმუილი“.

სამხედრო ხელისუფლებამ ნება დართო სამოქალაქო მოსახლეობის სამკურნალოდ პენიცილინის გამოყენებაზე. ბერნარდ შოუს პიესა „ექიმის დიღება“ სინამდვილედ იქცა. და მაინც საჭირო იყო ყოველი ცალკეული შემთხვევის უაღრესად გულმოდგინე შესწავლა: თუ პენიცილინს, რომელიც ჯერ კიდევ არ მზადდება საკმარისი რაოდენობით, გამოვიყენებთ ისეთი ავადმყოფისათვის, რომლის განკურნება სხვა წამლითაც შეიძლება, ეს ძვირფასი პრეპარატი შეიძლება არ გვეყოს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ მას შეეძლება ავადმყოფის გადარჩენა.

ექიმის გადაწყვეტილებაზე ზოგჯერ გავლენას ახდენდა ავადმყოფის პიროვნება. მაგალითად, მწერალ ფილიპ ჰედალუს მკურნალობისას საერთო წესი განზე გადადეს. „მე ერთი იმ ცხოველთაგანი ვარ, — ამბობდა იგი შემდგომში, — რომელსაც შეუშხაპუნეს მხსნელი ნივთიერება. ასე მგონია, მე ისეთი შემთხვევა ვიყავი, როდესაც გვამის გაცოცხლება მოიწადინეს, და გვამი მართლაც აღდგა მკვდრეთით. მხოლოდ და მხოლოდ ფლემინგის ბრწყინვალე აღმოჩენის წყალობითაა, დღეს თქვენთან ერთად რომ ვარ აქ. მსურს ჩემი თავმდაბალი მადლიერებით

დავდასტურო იმ მკურნალობის ეფექტურობა, რომელმაც თვენახევარში შეძლო აჩრდილთა სამყაროდან აღამიანის დახსნა და თანაც იმდენი ძალ-ღონე მისცა მას, რომ წინააღმდეგობა გაეწია სამი სამინისტროს უწყებებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ აეძულებინათ იგი, რათა შესწორებები შეეტანა საკუთარ წიგნში".

ფლემინგი უამრავ წერილს ღებულობდა — ავადმყოფთა ჰირსულად ან თვით ავადმყოფნი ემუდარებოდნენ, რათა იგი დახმარებოდა მათ ტუბერკულოზისაგან. ან სხვა რომელიმე სნეულებისაგან განკურნებაში, ფლემინგი ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო. ასეულობით წერილი მოდიოდა და იგი თითოეულ მათგანს პასუხობდა, წერდა ლამაზად, მკაფიოდ. ზოგიერთი თხოვნის გულუბრყვილობა გულს ტკენდა. „მე არასოდეს არ მითქვამს, რომ პენიცილინს შეუძლია ყველაფრის განკურნება; ამას გაზეთები ირწმუნებოდნენ... იგი განსაკუთრებულად მოქმედებს ზოგიერთი დაავადების დროს, მაშინ როდესაც სხვა დაავადებებზე არავითარ გავლენას არ ახდენს“. რეკლამამ, რომელიც სერთოდ არც სჭირდებოდა მას, ობივატელებისათვის პენიცილინი „სასწაულმოქმედ წაშლად“ გადააქცია. ფლემინგმა იცოდა, რომ ამ პრეპარატს, ისევე როგორც სხვა მედიკამენტებს, ახასიათებდა საკუთარი სპეციფიკა, ესე იგი იგი მხოლოდ განსაზღვრულ მიკრობებზე მოქმედებდა.

„ეს თვისება საქმეს ურთულებს ექიმს. რასაკვირველია, მას ერჩია ისეთი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ყოველგვარი ინფექციის წინააღმდეგ იქნებოდა გამოსადეგი. მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, ფუჭად რად უნდა დაკარგოს თავისი ან ავადმყოფის დრო და ხმაროს ისეთი პრეპარატი, რომლის მიმართაც არაა მგრძობიარე მოცემული მიკრობი. ეს ნიშნავს, რომ ამას იქით ექიმებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბაქტერიოლოგიას, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. პენიცილინი ლაბორატორიაში იშვა, ლაბორატორიაში გაიზარდა და ამ პრეპარატით მკურნალობა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ კლინიკა მუდმივ კავშირს დაამყარებს ლაბორატორიასთან“.

ფლემინგი დაჟინებით მოითხოვდა რამდენიმე ძირითადი პრინციპის აღიარებას. პენიცილინი მოქმედებს მიკრობთან უშუალო კონტაქტისას, ადგილობრივ ხმარების ანდა სისხლის ნაკადში შეშხაპუნების დროს. „საკმარისია ჩემპიონი რინგზე გამოუშვათ, მერე ის თვითონ მოუვლის თავის მოწინააღმდეგეს“. მაგრამ არ შეიძლება ფურთნკულის მორჩენა

პენიცილინით, პენიცილინის საცხის გარეგანი ხმარებით. პენიცილინი არ შედის ინფექციის კერაში. არ უნდა ვინმეგან პენიცილინი აგრეთვე მსუბუქი დაავადებების, მაგალითად, ყელის ანთების დროს, რადგან შეიძლება განვითარდნენ პენიცილინის მიმართ გამძლე მიკრობები. ამავე მიზეზის გამო, ფლემინგის აზრით, მძიმე დაავადებათა დროს უყოყმანოდ უნდა მიემართათ პენიცილინის შეყვანისათვის ძალიან დიდი დოზებით. ეს არაა საშიში, რადგან პრეპარატი არატოქსიკურია და საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ გამძლე შტამების გადარჩენა. მიკრობების წინააღმდეგ საჭიროა ელვისებური ომი — ბლიცკრიგი.

ისეთი პატივი ერგო ამ კაცს, სხვა ვერც კი იოცნებებდა, მას კი არც არასოდეს უფიქრია, არც არასოდეს მოუწადინებია რაიმე აღზევება; მაგრამ ისეთივე სიამოვნებას განიცდიდა ახლა, როგორც ახალგაზრდობაში, როცა სხვაზე უკეთ ჩაატარებდა რომელიმე ცდას, ანდა სროლაში გაიმარჯვებდა. სახელის მოხვეჭამ თავბრუ როდი დაასხა მას. კლავინდებურად თავმდაბალი და თავაზიანი იყო. ინსტიტუტში მის მოსალოცად მოსული სახელოვანი უცხოელები გაკვირვებულნი იყვნენ: „რომ? ნუთუ ესაა საქვეყნოდ სახელგანთქმული ფლემინგი?“ ერთმა ახალგაზრდა ამერიკელმა სამხედრო ექიმმა, რომელიც მთელი ნახევარი დღე მის გვერდით იჯდა ფეხბურთის მატჩზე, ვერა და ვერ მოიგონა თუ ვინ იყო ეს დაბალ-დაბალი, კობლებიანი პეპელა-ჰალსტუხიანი კაცი, გულმოწადინებით, სერიოზულად რომ უხსნიდა მას რეგბის თამაშის წესებს. თითქოს სადღაც ენახა, თითქოს გეარაც უნდა სცოდნოდა მისი იქნებ სამეფო სამედიცინო საზოგადოებაში? მანქანით ლონდონში რომ ბრუნდებოდა და ბომბარდირებისაგან დანგრეულ ქუჩებს რომ უყურებდა, კონტრასტული ასოციაციით რატომღაც მოაგონდა მატჩზე მის გვერდით მჯდომი ხალისიანი პროფესორი, რომელიც ესოდენ შფოთიან დროს გატაცებით უყურებდა თამაშს. და იგი მანქანის საქესთან მჯდომ ამზანავს შეეკითხა:

— დევ, ვინ იყო ის პროფესორი, ჩემს გვერდით რომ იჯდა? დამავიწყდა მისი გვარი.

— ვინ? ფლემინგი, სენტ-მერის ბაქტერიოლოგი! მაგან არ აღმოაჩინა პენიცილინი?

ახალგაზრდა ამერიკელი ექიმი, რომლის თვალწინაც პენიცილინი

ბოლოს უღებდა ვირჟულენტურ სეპტიცემიას, ისე განაცვიფრა ამ ამბავ-
მა, თითქოს ანაზღად კარი გაღებულიყოს და რომელიმე ლეგენდარული
გმირი დაენახოს ზღურბლზე. „დიდხანს ვფიქრობდი ამ კეთილმოსურნე
ბროფესორზე, მაგრამ ახლა სრულიად სხვაგვარად წარმოვიდგენდი
მას. ბრბოში უჩინრად გარეული, ისე იქცეოდა, რომ, რაკი ვერავინ
ცნობდა, არავის ყურადღება არ მიექცია, გულითადი და უაღრესად
ადამიანური — აი ასეთად წარმომიდგა იგი — ადამიანი, რომლის სახე-
ლიც ისეთივე ქება-დიდებათ ამალღდება ზეცად ყველა იმ სიკეთისა-
თვის, რაც მან მოიმოქმედა, როგორადაც მუღამ ზიზღით იქნება მოსახ-
სენებელი პატლერის სახელი მისგან ჩადენილ ბოროტებისათვის. საკუ-
თარი თვალით ვიხილე, თუ როგორ თამაშობდნენ ინგლისელები ბურთს
ომის ყველაზე მძიმე დროს, და მეც ვეზიარე მათს სულიერ სიდი-
დეს“.

1944 წლის ივლისში გაზეთებში გამოქვეყნდა იმ პირთა სია, რომ-
ლებიც ტიტულებით დააჯილდოვა მეფემ. სენტ-მერიელი ბაქტერიო-
ლოგი სერ ალექსანდრე ფლემინგად აღზევდა. მისი მეუღლე — ლედი
ფლემინგად. ცოლმა უფრო გაახშიანა სიხარული, ვიდრე მან. მაგრამ
არა იმიტომ, რომ ამ პატივმა კმაყოფილება არ განაცდევინა, არამედ
იმიტომ, რომ ამ ადამიანს საერთოდ არ ძალუძდა საკუთარი გრძნობე-
ბის გამომჟღავნება. „ზოგჯერ ლამის ვნანობ კიდევ, ირლანდიელად რომ
არ დავიბადე, — ამბობდა იგი, — მაშინ ხომ შევძლებდი ყოველივე ამით
დატკობბას“. საჩინის მაგალითით უკვე კარგა ხანია დაჭერებული იყო,
რომ „ირლანდიელებს პატარა კომპლიმენტიც კი აღაფრთოვანებთ, დამ-
სახურებულ პატივსა და ჯილდოზე რომ არაფერი ვთქვათ...“ იგი, რა
თქმა უნდა, გახარებული იყო ასეთი დაფასებით, ამას ყველა ხედავდა,
მაგრამ იმის თქმა სურდა, რომ სრულად ვერ ტკებობდა სიხარუ-
ლით.

ახალ Knight bachelor-ს ნაბოძები წოდება ბუკინჰემის სასახლეში
უნდა მიეღო. წინა დღეს ფლემინგმა წინადადება მისცა კლაი-
დენს:

— იქნებ ხვალ საღამოს მიღება მოგვეწყო აქ?

— რით გავუმასპინძლდეთ სტუმრებს? — შეეკითხა კლაიდენი. —
არაფერი არ იშოვება.

— აი იქ, — უთხრა ფლემინგმა და სიგარეტით მეზობელ კარზე მიუთითა... — გვაქვს ხუთი ბოთლი ჯინი. იშოვეთ ლუდი და დანარჩენი რამერუმეები, ყველაფერი, რაც კი საჭიროა. როდესაც დავბრუნდები, ლხინი მოვაწყობ.

ცერემონია სასახლეში გაიმართა, მაგრამ უშიშროების მიზნით სარდაფში გადაიტანეს. სარინს გული დაწყდა. ფლემინგი ჩაის სმის დროს დაბრუნდა ინსტიტუტში. ბიბლიოთეკაში სულ რვა კაცმა მოიყარა თავი ექიმების დიდი ნაწილი არმიაში იყო. სწორედ იმ დღეს რაიტი რამდენიმე საათით ჩამოვიდა ლონდონში, და როგორც მთელი ორმოცი წლის მანძილზე, ახლაც იგი თავმჯდომარეობდა ამ შეკრებილობას. ეტყობოდა, უგუნებოდ იყო, მძიმედ ჩაქდა სავარძელში, და ფლემინგის მოსვლამდე ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ერთ ხანს უხერხული სიჩუმე სუფევდა: შემდეგ კი მან დემონსტრაციულად ზურგი შეაქცია ფლემინგს და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა იმუნეზაციის ღარსებებზე, მიწასთან გასწორა ქიმათერაპია — ცრუმეცნიერება უწოდა მას, მედიცინის დარგში ჰემარატი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის დამლუპველია იგიო, — განაცხადა.

დოქტორი ჰიუგსი ფლემინგის პირდაპირ იჭდა და თვალს ადევნებდა მას. იგი მოელოდა, რომ რაიტის სიტყვა ან გაართობდა. ანდა გააბრაზებდა ფლემინგს, მაგრამ მას სახზე არაფერი გამოხატვია. ბერიკაცს ბოლოს ქოშინი აუვარდა და გაჩუმდა. ინსტიტუტის მდივანი კრეკსტონი დაძაბულობის შენელებას შეეცადა და სერ ალმროტს ზოგიერთი ადმინისტრაციული განკარგულების გაცემა სთხოვა. რაიტმა პასუხად დაიქუხა:

— ნუ შემომიჩნდით თქვენი უხამსი საქმეებით. მაგას დოქტორი ფლემინგი გააკეთებს.

პროფესორმა სერ ალექსანდრე ფლემინგმა ქალაქისაკენ გაიწვიინა ხელი, წამოდგა და სიტყვის უთქმელად მოსცილდა მაგიდას.

რაიტი ქალაქგარეთ გაემგზავრა. საღამომ კარგად ჩააჩრა. პოლიტიკის მთელი გენერალური შტაბი მოვიდა. ბევრი სადღეგრძელო ითქვა სერ ალექსანდრე ფლემინგის მისამართით. ცნობილმა ქირურგმა ზახარი კოპემ, რომელიც ფლემთან ერთად სწავლობდა, ახალგაზრდობაში, წაიკითხა პოემა „ბარონეტ ალექსანდრე ფლემინგს“:

To achieve an outstanding success
 In one's chosen career.
 To become a world-famous F. R. S.
 With a merit so clear;
 On a pedestal high to be raised,
 With no fear of fall;
 By the Commons and Lords to be praised,
 To be talked of by all;
 Just to take in a leisurely stride
 The physician's top rank,
 And to dream that Americans vie
 To put cash in one's bank;
 To be praised by the authors who write
 And the poets who sing;
 To be given the title of Knight
 By Our Most Gracious King;
 To know well that while still in one's prime
 One has not lived in vain,
 And that none has done more in his time
 To alleviate pain;
 To imagine these Castles in Spain
 Is a dream of one's youth,
 But for you — one needs hardly explain—
 It is less than the truth*.

* უდიადეს წარმატებას შენ ნიღწიე,
 რომელიმე ასპარეზზე რაც შეიძლება.
 სამეფო საზოგადოების წევრი გახდი
 სრული და აშკარა აღიარებით.
 მაღალ კვარცხლბეკზე ახვედი,
 შიში ქვედანარცხების არა გაქვს.
 ლორდთა პალატამ ქება გიძლენა,
 თენთა პალატამ ხობთა შეგასხა.
 იოლად მოიპოვე გვირგვინი მედიცინის.
 შენს ანგარიშზე ბანკში დოლარები მიიჩქარიან.
 მწერლები ქება-დიდებათ გიმღერიან,
 და პოეტები გუნდრუკს გიკმევენ.
 შეფემან ჩვენმა, ძლიერმა და გულმოწყალემან
 ბარონეტობის ტიტული გიწყალობა.
 სიბერე ჭერაც არ დაგდგომია.
 მაგრამ იცი, რომ ფუჰკადაც არ გიცხოვრია.
 და იცი, რომ შენამდე არავის გაუყეთებია ამდენი

სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, ოთახში ფლემინგი და კლაიდენი დარჩნენ, ორი ომის თანამებრძოლნი და ახლო მეგობრები. სერ ალექსანდრე მადლობის სათქმელად მიუახლოვდა კლაიდენს, ამ სალამო-წვეულების ორგანიზატორს. კლაიდენმა ფლემინგს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— ძალიან მიხარია, სერ.

— ეგ ყველაზე კარგი სიტყვაა, რაც კი რამ დღეს სალამოს მოვისმინე აქ, — უპასუხა ფლემინგმა.

ცოტაოდენი ლუდი კიდევ დარჩენილიყო და მეგობრები კიდევ ერთ საათს იხსდნენ ერთად, იგონებდნენ ბულონს, ვიმრს, ძველი დროის ამბებს. ეს იყო სამახსოვრო სალამო.

1944 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს პარიზი, სექტემბერში კი — ბრიუსელი. ფლემინგმა წერილი გაუგზავნა თავის მეგობარ ბორდეს:

1944 წლის 4 სექტემბერი

ქირფასო პროფესორო ბორდე, დღეს დიდებული ახალი ამბავი შევიტყე: გერმანელებმა როგორც იქნა დატოვეს ბრიუსელი და თქვენ თავისუფალი ხარო ნაციტური ტირანთისაგან. ყველა ინგლისელი ბაქტერიოლოგი იმედოვნებს, რომ თქვენს ამ მეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ეჟუაკურად გადაიტანეთ ეს მწუხარე წლები და რომ წინ კიდევ ბევრზე ბევრი დრო გაქვთ ნაყოფიერი მუშაობისათვის. ჩვენ მოხარული ვართ თქვენს ქვეყნის ნანატრი განთავისუფლებით...

ფლემინგმა ურიცხვი მოწვევა მიიღო არა მარტო ინგლისის სხვადასხვა ქალაქიდან, არამედ ამერიკიდან და ევროპიდან. იგი ლონდონის ერთ-ერთი რაიონის, პადინგტონის, საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. იგა ხომ სწორედ აქ მუშაობდა მთელი ცხოვრების მანძილზე. 1945 წლის დასაწყისში იგი დაინიშნა ზოგადი მიკრობიოლოგიის ახლახან შექმნილი საზოგადოების პრეზიდენტად. საზოგადოების გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში ფლემინგმა განაცხადა:

ტანჯვა-ვაების გასაქარებლად


ზღაპრული ოქროს კოშკები

მეოცნებე კაბუკობის აგებულია

შენ არ გკირდება თქმა იმისა,

ქეშმარიტება ყველაფერზე ქირფასია.

(ინგ.).



ჩეინი (მარჯვნივ) და კრუქსი აყენებენ ცდებს პენიცი-
ლინზე

ბ. ფლორი





ა. ფლემინგი — ინსტიტუტის დირექტორი

ბ. ფლორი და ზ. ვ. ერმოლევა ლაბორატორიაში



— თქვენ ამ პოსტს სხვა მეცნიერებს სთავაზობდათ, ჩემზე უფრო დამსახურებულთ. მათ ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს და უარი თქვეს, მაგრამ მე შოტლანდიურ ტრადიციას მკვდე და არასოდეს არ აფერხებ არ ვამბობ უარს. ამიტომ, როცა ჩემი ჯერი დადგა, თანხმობა ვთქვი. და მანამდე მიხაროდა ეს, სანამ არ მივიღე თქვენი მდიენის წერილი, რომლითაც მატყობინებდა, რომ შესავალი სიტყვა უნდა წარმომეთქვა...

ფლემინგმა თავისი სიტყვა ასევე ნახევრად-ეროზული, ნახევრად-სახუმარო კილოთი განაგრძო. მან სთქვა, რომ ეს საზოგადოება სხვა საზოგადოებათაგან განსხვავებით, არ უნდა იქცეს ტრიბუნად, საიდანაც მეცნიერები ინფორმაციებს აკეთებენ მხოლოდ „თვითრეკლამის“ მიზნით, იგი უნდა გადაიქცეს ისეთ ადგილად, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ბაქტერიოლოგები, მედიკოსები, მრეწველნი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მიკოლოგები და ბიოქიმიკოსები, და ინფორმაციას გაუცვლიან ურთიერთს. უბრალო საუბარმაც კი შეიძლება განაპირობოს დიდი აღმოჩენა.

„მე მგონი, — წერს დოქტორი კლეგო, — ბევრმა არც კი იცის. თუ რაოდენ ბრწყინვალე ელზი ბრიტანეთისა იყო ფლემინგი საზღვარგარეთ. ცერემონიათა დროს იგი თავმდაბლურად იქცეოდა, თითქმის მორცხვობდა კიდევ; ფლემინგი ენამჭევრი არ გახლდათ და მანც შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი უბრალოებითა და განსაკუთრებული თვინიერობით. ამავე დროს, მოწაფესავით, პატარა რამეც კი ძალიან ახარებდა.

— შევიტყვე, რომ შეერთებულ შტატებში აპირებთ გამგზავრებას, — ვუთხარი ერთ საღამოს კლუბში შეხვედრისას.

— დიახ, — მომიგო მან. — კარგია არა? იცით რა სიამოვნება იქნება „ბრუკლინ დოჯერსის“ ნახვა.

ვინმეს გაუკვირდეს იქნებ, მაგრამ ასეა: ბეისბოლის გუნდი ამ ვეცბერთელა ქვეყნის ყველა სასწაულზე ნაკლებ როდი აინტერესებდა მას.

ამერიკაში გამგზავრებას წინ, 1945 წლის ივნისში, ბებ დანიელსმა ინტერვიუ სთხოვა რადიოსათვის.

აი, რას გვიამბობს იგი: „ბი-ბი-სიში ვიკითხე, იქნებ გავესაუბრო სერ ალექსანდრე ფლემინგს-მეთქი.

— არა და არა! — მიბასუხეს. — სერ ალექსანდრე არავითარ შემთხვევაში არ გამოვა რადიოთი.

— მე მაინც დავურეკავ.

— სერ ალექსანდრე სათოფედ არ ეკარება ტელეფონს.

უცნაურად მეჩვენა ეს. დავწერე წერილი და ჩემს მდივანს ჯონ მერის ვთხოვე წაეღო საავადმყოფოში და პირადად გადაეცა სერ ალექსანდრესათვის. როდესაც ჯონი უკან დაბრუნდა, ვკითხე:

— მაამბე რა მოხდა?

— მიმიყვანეს სერ ალექსანდრესთან, და მან მკითხა: „ვინ გამოგაგზავნათ? მასტერ ჩერჩილმა?“ მე ვუპასუხე: „არა, ბებ დანიელსმა“.

ჯონ მერიმ გადასცა მას ჩემი წერილი. ნახევარი საათის შემდეგ თვითონ ფლემინგმა დამირეკა და მიიხრა:

— ხვალ, დღის პირველ საათზე მოდიო ჩემთან სენტ-მერიში.

დანიშნულ დროს მივედი. მე მეგონა, რომ დამხვდებოდა ერთი ოცდაათი მდივანი, რვა მცველი და ათასი სხვა ვინმე. სინამდვილეში კი დერეფანში ერთ თეთრხალათიან ლაბორანტ ქალს შევეხებე და ვკითხე:

— სად შემიძლია ვნახო სერ ალექსანდრე ფლემინგი?

— დერეფნის ბოლოში. ჩაის იმზადებს თავისთვის.

ფლემინგს სახელოები აეკაპაწებინა და წყალს ადუღებდა ბუნზენის სანთურაზე. „ჩაის ხომ არ მიირთმევთ?“ — შემომთავაზა, და სანამ პასუხს მიიღებდა, ფინჯანი მომაჩეჩა ხელში. შემდეგ კი მიიხრა:

— ჰო, მაინტერესებს რადიოთი გამოსვლა... გინდათ პირველი კულტურა გაჩვენოთ?

— ამაზე უკეთეს რას ვინატრებდი.

ფლემინგი ქილებს იქეთ მიიშალა, მოძებნა ძვირფასი კულტურა და მიჩვენა.

— როგორი გეგმა გაქვთ? — მკითხა მან. — რაზე გინდათ რომ ვილაპარაკო?

— სერ, თქვენ სრული თავისუფლება გეჩვენათ.

— მოველოდი, რომ სწორედ მაგას მეტყობოდი... აი, ნახეთ, რა მოემზადე.

და მან წამიკითხა რადიოთი გამოსვლის ტექსტი; შესანიშნავი რამ იყო. სერ ალექსანდრეს ბრწყინვალე იუმორი ჰქონდა“.

1945 წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ფლემინგმა ტრიუმფალურად იმოგზაურა შეერთებულ შტატებში. „ამერიკაში, უცილობ-

ლად მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ პენიცილინს, ვიდრე ინგლისში, — წერდა იგი თავის საანგარიშო ბარათში: მისი გიდი იყო ბრიტანეთის მისიაში მომუშავე ჯონ კაჩერონი და სთხოვა მას უარი არ ეთქვა არც ერთ პრეს-კონფერენციაზე, ან რადიოთი გამოსვლაზე, თუ უნივერსიტეტში სიტყვის წარმოთქმაზე, რადგან ყოველივე ეს შესანიშნავი პროპაგანდა იქნება დიდი ბრიტანეთისთვისო. სიმართლე რომ ითქვას, ფლემინგს მოსწონდა ასეთი საქმიანობა და ყველაფერს კარგად ვაართვა თავი.

იგი იყო პენიცილინის ქარხნებში, მოინახულა აგრეთვე პეორის ლაბორატორია, რომლის მეოხებითაც მოეწყო სწორედ პენიცილინის წარმოება. ამერიკის ტექნიკამ ალაფრთოვანა ფლემინგი. პეორიაში იგი ცხოვრობდა დოქტორ რობერტ დ. კოგპილთან. აქ მან პენიცილიუმის სახესხვაობათა ნამდვილი მუზეუმი ნახა. ყველა თავის გამოსვლაში იმეორებდა იგი, რომ მთელი ეს მძლავრი მრეწველობა პენიცილინისა შექმნილი იყო ინგლისელი მეცნიერების წყალობით, რომ ფლორიდ გა-აცნო პეორიის ლაბორატორიას პენიცილინის წარმოების მეთოდი, ამერიკამ კი ამის შემდეგ გააუმჯობესა ტექნოლოგია და ამის მერე შეძლო ამ პრეპარატის მიწოდება ინგლისისათვის. ეს იყო ორი ქვეყნის ურთიერთდახმარების მკაფიო მაგალითი.

ნათ-იორკში პენიცილინის ფაბრიკანტებმა ბანკეტი მოაწვევეს „უოლ-ლორფში“, „რათა პატივი ეცათ და მადლობა ეთქვათ მისთვის, — თქვა თავმჯდომარემ, — ვინც განგებამ აირჩია თავის რჩეულად და დააეალა სამყაროსათვის აღმოეჩინა სნეულებათა წინააღმდეგ საბრძოლველი ყველაზე მძლავრი იარაღის არსებობა და მისი თვისებები... ფლემინგამდე ვერავინ ვერ შეძლო ქიმიათერაპიის ოცნების ახდენა: ისეთი ნივთიერების მიკვლევა, რომელიც წარმოუდგენელი ძალით იმოქმედებდა ორგანიზმში შეჭრილ მიკრობებზე და ამავე დროს ვნებას არ მიაყენებდა მიკრობთაგან დალაშქრულ ქსოვილებს“. სიტყვა ფლემინგს რომ გადასცა, თავმჯდომარემ ციტატი მოიყვანა იოანეს სახარე-ბიდან:

„და არს იერუსალიმს ცხოვართა-საბანელსა მას ტბა, რომელსა პრქვან ებრაელებრ ბითეზდა*, და ხუთ სტოვა იყო.

* მოწყალეების სახლი.

ამას შინა ისხა სიმრავლე უძლურთა, ბრმები, მკელობლები, განხმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის აღმრღვევასა.

რამეთუ ანგელოსი წლითიწლად გარდამოვიდოდა საბანელსა მას და აღამღერის წყალი იგი; და რომელიცა პირველ შთავიდის აღმრღვევასა მას წყლისასა, განიკურნოს, რომლითაცა შეპყრობილ არიან სნეულებითა“.

— როდესაც სერ ალექსანდრე ფლემინგმა პირველად იხილა, თუ როგორი მოქმედება გამოიჩინა ბაქტერიულ კულტურაზე შემთხვევით მოხვედრილმა ობმა, მისი გონება, უეჭველია, „აღამღერის“ ანგელოზმა, იმიტომ რომ აღმღერეულმა საბანელმა განკურნა არა ერთი ავადმყოფი, არამედ მილიარდობით სნეული, — ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა თავმჯდომარემ.

ფლემინგს გაჰოსვლის შემდეგ ზოგჯერ მეტისმეტად პირდაპირ შეკითხვებს აძლევდნენ. ბრუკლინში, მაგალითად, ჯონ სმიტი, მეთაური ფირმისა „ჰფაიცერი და K°“, იმ დროს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მწარმოებელი რომ იყო პენიცილინისა, შეეკითხა ფლემინგს:

— რატომ არ აიღეთ პატენტი? თქვენცა და თქვენი ახლობლებიც ხომ უზრუნველყოფილი იქნებოდით და ისე იცხოვრებდით, როგორც შეფერის მეცნიერს, რომელმაც ასეთი ამაგი დასდო კაცობრიობას?

— არასოდეს არ მიფიქრია ამაზე, — უპასუხა ფლემინგმა.

ჰფაიცერში მისი მისვლა წინასწარ იყო გამოცხადებული. სასწრაფოდ გააპრიალეს მაგიდები, გააკრიალეს მთელი აპარატურა. ვრცელ დარბაზებს რომ ათვალიერებდა, სადაც ყველაფერი ისე ბზინავდა, რომ მტერის ნატამალს ვერსად იპოვიდა კაცი, ფლემინგმა მასპინძლებს უთხრა:

— ასეთ პირობებში რომ მემუშავა, ვერასოდეს ვერ ვიპოვნიდი პენიცილინს.

ერთ-ერთ უნივერსიტეტში რომელილაც პროფესორი შეეკითხა:

— რატომ არ განაგრძეთ მუშაობა და არ გაასუფთავეთ თქვენი ნივთიერება?

— თქვენ კი რატომ არ გააკეთეთ ეს? — მოუჭრა ფლემინგმა. — განა ყველა ინფორმაცია არ დაიბეჭდა?

ვაშინგტონში მოწყობილმა პრეს-კონფერენციამ. მოთმინებიდან გამოიყვანა მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო აუღელვებელი ადამიანი.

— მოკრივე იყავით ახალგაზრდობაში?.. თუ არა, მაშ ცხვირი რატომ გაქვთ გატეხილი?.. ვინ იხდიდა ლონდონში თქვენი სწავლის ფულს?

ჩვეულებრივ ფლემინგი სიმშვიდეს ინარჩუნებდა ხოლმე. ასეთი შეხვედრების დროს ხომ პირდაპირ წამალივით შველოდა თავისი სიტყვაძვირობა. როდესაც პასუხის გაცემა არ სურდა, ხვნეშას დაიწყებდა და განზე გაიხედავდა. მაგრამ ამ პრეს-კონფერენციას, ეტყობა, მაინც ვერ გაუძლო და ბოლოს კამერონს უთხრა:

— მომბეზრდა.. წავიდეთ...

და ფლემინგი მართლაც წავიდა.

ნიუ-იორკში, სასტუმრო „ბალტიმორის“ პოლში ორი დადარაჯებული რეპორტიორი დახვდა კაფეტერიაში სასაუბროდ მიმავალს.

— რაზე ფიქრობთ ახლა? ჩვენ გვაინტერესებს შევიტყოთ, თუ რაზე ფიქრობს დიდი მეცნიერი დილით სასაუბროდ მიმავალი?

ფლემინგმა სავსებით სერიოზული კილოთი უპასუხა.

— საგულისხმოა, რომ სწორედ ახლა მეკითხებით მაგას. მე ხომ მართლაც უადრესად თავისებურ საგანზე ვფიქრობდი.

— რაზე? — აფორიაქდნენ უურნალისტები.

— Well, ვფიქრობდი, ორი კვერცხი შევეუკვეთო, თუ ერთი-მეთქი.

შოტლანდიელი ჯონ კამერონი ალტაცებული იყო თავისი თანამემამულით. მოსწონდა მისი ფარული და ლაკონიური იუმორი, მისი თავმდაბლობა, გულკეთილობა (როდესაც იელის უნივერსიტეტში ერთმა ქალბატონმა, რომელსაც იგი ესტუმრა, უთხრა, ჩემი მოახლე შოტლანდიელია და სამშობლოს სევდა აწუხებსო, ფლემინგმა კამერონს მისი მონახულება შესთავაზა: „წავიდეთ, ვნახოთ, ეგებ ცოტა მაინც გავუქარვოთ დარდი“). ამერიკის შეერთებულ შტატებში ფლემინგის ყოფნისას ქიმიური პროდუქტების მწარმოებელმა მსხვილმა ამერიკულმა ფირმებმა ასი ათასი დოლარი დადეს და მადლიერების ნიშნად მიართვეს სახელოვან მეცნიერს. ფლემინგმა განაცხადა, რომ ფულს ვერ გამოართმევდა, მაგრამ, დასძინა, კარგი იქნება, თუ ამ ვეებერთელა თანხას სენტ-მერის პათოლოგიის განყოფილებას გადასცემთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვისო. ასეც მოიქცნენ. შეიქმნა ალექსანდრე ფლემინგის ფონდი, კაპიტალიცა და პროცენტებიც მკვლევარებს უნდა მოხმარებოდათ.

ფლემინგის ავალში მისი მოგზაურობის კულმინაციური წერტილი

იყო Commencement Day * ჰარვარდის უნივერსიტეტში, როდესაც მას მიენიჭა დოქტორის საპატიო ხარისხი. ამ უნივერსიტეტთან მას აკავშირებდა ძვირფასი მოგონებები — 1916 — 1917 წლებში ბულონში მასთან ერთად მუშაობდნენ ჰარვარდელი მეცნიერები: დოქტორი როჯერ ლი, დოქტორი ჰარვეი კუშინგი და სხვ.

უზარმაზარ ეზოში, სადაც მიმდინარეობდა ცერემონია, ექვსი ათასმა კაცმა მოიყარა თავი. როდესაც ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, დოქტორმა კონანტმა წარმოთქვა: „მე წილად მსვდა დიდი პატივი წარმოგიდგინოთ სერ ალექსანდრე ფლემინგი, პენიცილინის გამომგონებელი“, — ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ოვაცია სამ წუთს გრძელდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ფლემინგი აუღელვებლად იდგა მიკროფონთან, თავი დაეხარა და მალულად უღიმოდა კამერონს. როდესაც ტაში დაცხრა, ფლემინგმა მშვიდი კილოთი წარმოთქვა:

— მე მინდა გიამბოთ ამბავი იმისა, თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა ბედისწერამ ამ ისტორიაში. ჩვენს ცხოვრებაში იმდენი რამ არის ხოლმე დამოკიდებული შემთხვევითობაზე, რომ განცვიფრდება კაცი გადაწყვეტილებებმა, რომელთაც ჩვენ ან სხვები ხშირად უსაფუძვლოდაც კი ვღებულობთ. შეიძლება უდიდესი გავლენა მოახდინონ ჩვენა ცხოვრების გზაზე. ვინ იცის, იქნებ ჩვენ უბრალო პაიკები ვართ, რომლებიც გადაადგილდებიან ცხოვრებას საჭადრაკო დაფაზე, და ჩვენ კი გვგონია, რომ თვითონვე ვწყვეტთ ბედ-იღბლის საკითხს... აი, თუნდაც ჩემი ცხოვრება: მე დავიბადე შოტლანდიის ფერმაში...

და ფლემინგმა დამსწრეთ უამბო, რომ იგი ფერმერი იქნებოდა, ახლობლებს — დედასა და ძმებს — ლონდონში რომ არ გაეგზავნათ; წერილი მოხელე გახდებოდა, მცირეოდენ შემკვადრეობას სწავლის სახსარი რომ არ გაეჩინა მისთვის; სენტ-მერიში ვერ მოხვდებოდა, კარგი ცურვა რომ არ სცოდნოდა; და რომ, სენტ-მერიის დამთავრების შემდეგ, სხვების მსვავსად, უბრალო ექიმი იქნებოდა, ალმროტ რაიტი რომ არ შეეთავაზებინა მისთვის თავის ლაბორატორიაში მუშაობა.

— ალმროტ რაიტი, — დასძინა ფლემინგმა, — ჩვენი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებაა. მიკრობიოლოგიის ამ სახელოვანი პი-

* უნივერსიტეტის ხარისხების მინიჭების დღე (ინჩ).

ონერის უზარმაზარი მუშაობა სანახევროდაც კი არაა ისე დაფასებული, როგორც შეფერის მას.

შემდეგ ფლემინგმა შეკრებილთ მოუთხრო ლიზოციმისა და პენიცილინის აღმოჩენაზე. კუთვნილი პატივი მიუზღო „უდიდეს ქიმიკოსს“ რაისტრიკს, მერე ფლორის, ჩეინს და მათ ოქსფორდელ კოლეგებს, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდა პენიცილინის გამოყენება სამკურნალო პრეპარატად.

— მე შევეცადე მეჩვენებინა თქვენთვის, — მიმართა ფლემინგმა სტუდენტებს, — რომ შემთხვევითმა გარემოებებმა შესაძლოა უცნაური გავლენა მოახდინონ თქვენს ცხოვრებაზე. მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ ვურჩიო ყველა ახალგაზრდა მკვლევარს, უყურადღებოდ არ დატოვოთ არაფერი, რაც კი უჩვეულოდ მოგეჩვენებათ. შეიძლება ამ მოვლენიდან ვერავითარი სარგებლობა ვერ ნახოთ, მაგრამ ხანდახან ის აღმოჩენამდე მიგიყვანთ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გულბელდაკრეფილნი ვისხდეთ და ველოდოთ, თუ თავის ფეხით როდის გვეახლება ბედნიერი შემთხვევა. უნდა ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ თავდადებით, საქმის ცოდნით. სავსებით სწორია პასტერის ნათქვამი, რომელსაც ხშირად იმეორებენ: ბ ე დ ი მ ხ ო ლ ო დ მ ო მ ზ ა დ ე ბ უ ლ გ ო ნ ე ბ ა ს წ ყ ა ლ ო ბ ს; მართლაცდა, მოუწინაღებელი ადამიანი ვერც კი დაინახავს ბედის გამოწვედილ ხელს. ახალი რა უნდა გირჩიოთ ახალბედებს: იმუშავეთ გულმოდგინედ, იმუშავეთ კარგად; თავს ნუ გაიცხელებთ ძველი თეორიებით და მზად იყავით ბედნიერია შემთხვევის შესახვედრად, რომელსაც ღმერთები მოგივლენენ...

ფლემინგმა სიტყვა დაამთავრა და ატყდა მქუხარე ტაში. პარვარდის პროფესორმა როჯერ ლიმ გააცნო ისინი ერთმანეთს. პრეზიდენტმა მათ, როჯერ ლისთან მიიღებინა და სთხოვა:

— როჯერ, ფლემინგი ერშირელია, მეც ერშირელი ვარ. თქვენ მას იცნობთ. გააცანით ჩემი თავი.

პროფესორმა როჯერ ლიმ გააცნო ისინი ერთმანეთს. პრეზიდენტმა ნილსონმა ფლემინგს უთხრა:

— მე წარმოშობით ერშირიდან ვარ, თქვენ წარმოშობით ერშირიდან ხართ.

— Aye*, — უპასუხა ფლემინგმა.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. მეტი არაფერი უთქვამთ. შოტლანდიელები ლაკონიურნი არიან, ოკეანის გადაღმა რომ ხვდებიან ერთ-ერთს, მაშინაც კი.

რა სარგებლობა მოუტანა ფლემინგს ამ მოგზაურობამ? რა დასკვნები გააკეთა მან?

ა) მკვლევარებს შეერთებულ შტატებში გაცილებით მეტი უფლებები და თანხები ეძლეოდათ, ვიდრე ევროპაში, ამიტომ მათ დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. „ლაბორატორიის ხარჯი, — წერდა ფლემინგი თავის საანგარიშო მოხსენებაში, — საესეებით უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც იგი მრეწველობასა და მედიცინას აძლევს“.

ბ) ერთმა ამერიკელმა, ვინმე კაპიტანმა რომანსკიმ მოგვაწოდა უფრო ხანგრძლივი მოქმედების მქონე პენიცილინი (პენიცილინის კალციუმის მარილის ნარევი თავლის სანთელთან და არაქისის ზეთთან). ეს მეთოდი ძალიან ძვირფასია, რადგან საჭირო კონცენტრაციის შენარჩუნების საშუალებას იძლევა და ამდენად აუცილებელი აღარ იქნება ყოველ სამ საათში ინექცია.

გ) ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი ფართო მასშტაბებით ტარდება მუშაობა, რომ ნიადაგი უმზადდება ახალი ანტიბიოტიკების აღმოჩენას, ერთ-ერთი მათგანი, სტრეპტომიცინი, უცილობლად ძალზე ეფექტური იქნება.

ჯონ კამერონი, რომელიც ამ ორი თვის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია ფლემინგს, წერს: „ფლემინგმა საბოლოოდ მომხიბლა ისეთი მეგობრობის გულისათვის, როგორაც ჩვენ გვაკავშირებს, ღირს სიცოცხლე... ნამდვილად გავიცანი იგი და ღრმა პატივისცემით განვიმსჯეალე მის მიმართ“.

* დიას (ინგლ.).

XV. ნოველის პრემია

თუკი სწორია, რომ დიადი ცხოვრება — მოწიფელ ასაკში განხორციელებული ოცნებაა სიკვამლისა, მაშინ ფლემინგა ისტორიაში დარჩება იმ ზედნიერ ადამიანად, რომელმაც განახორციელა თავისი ოცნება.

დოქტორი გრ. სია.

1945 წლის სექტემბერში საფრანგეთის მთავრობის მიწვევით ფლემინგი საფრანგეთში ჩავიდა. ეს იყო მისი ომის შემდგომი პირველი მოგზაურობა ევროპაში. ფრანგი მედიკოსები და მეკვლევაგები ოცნებობდნენ მის გაცნობაზე. პენიცილინი ომის დროს საფრანგეთში ესპანეთიდან და ჰოლანდიიდან მოხვდა. ფრანგ მეცნიერ პენოს, რომელიც 1942 წელს მადრიდში ჩავიდა, ესპანელმა კოლეგამ მისცა „British Medical Journal“. რომელშიც დაბეჭდილი იყო სტატია პენიცილინით მკურნალობის შესანიშნავ შედეგებზე, და აჩუქა ამ ოჯის შტამი. ერთი შტამი მიღებულ იქნა აგრეთვე ჰოლანდიიდან. საფრანგეთის არმიაში სცადეს პენიცილინის მიღება, მაგრამ მეთოდი მეტისმეტად დაბალპროდუქტიული იყო ამ პრეპარატის სამრეწველო წარმოებისათვის.

პარიზი საზეიმოდ შეხვედრას უმზადებდა ფლემინგს. იგი 3 სექტემბერს გაფრინდა ლონდონიდან და შუადღის 12 საათსა და 15 წუთზე დაეშვა ბურჟეში. საპატიო სტუმარს აეროდრომზე დახვდნენ პროფესორები პასტერ ვალერი-რადო. ტრეფუელი (პასტერის ინსტიტუტის დირექტორი), პიერ ლეპინი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და არმიის წარმომადგენლები.

თვითმფრინავიდან რომ გამოვიდა, ფლემინგმა დაინახა ორმოცდაათიოდე ფოტორეპორტიორი, რომელთაც ფოტოაპარატები მოემარჯვებინათ; როგორც წესად ჰქონდა, იგი ამჯერადაც ყველაზე ბოლოს გამოჰყვა სხვა მგზავრებს. ერთ-ერთი რეპორტიორი მასთან მივიდა და რაღაც ჰკითხა. ფლემინგმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ თავის გვარს რომ მოჰკრა ყურ, იფიქრა, ჩემს ვინაობას მეკითხებაო, და დასტურის ნიშ-

ნად თავი დაუქნია. ფოტოგრაფები მაშინვე გადას...ლებად ეცნენ ერთ წარმოსადეგი შესახედობას წვეროსანა, რომელიც, როგორც შემდეგ ფლემინგი წერდა, „ჩემზე უფრო ჰგავდა მეცნიერს“. რეპორტიორები განცეფრებული და აღშფოთებული დარჩნენ, როდესაც ოფიციალური წამომადგენლები საპატიო სტუმარს შეეგებნენ. თურმე ნუ რტყვით და, ფრანგ რეპორტიორს ფლემინგისათვის უკითხავს: „ის წვერიანი კაცია ფლემინგი?“ გონს რომ მოეგნენ, მერე კი გადაიღეს რეპორტიორებმა ნამდვილი ფლემინგი, თან გულნიანად იცინეს სეირზე.

ფლემინგის დღიური

1945 წლის 3 სექტემბერი. კრილინიდან აფერინდით 10 საათსა და 30 წუთზე. საფრანგეთის სანაპიროს მივალწიეთ 11 საათსა და 30 წუთზე. ჩაველით 2 საათს და 15 წუთზე. გრანდიოზული შეხვედრა. მომიწია რალიოთი გამოსვლა. წამიყვანეს „რიკში“. ლენჩო. საკრე-კერი. პანთონი, ნოტ-დამი ვამზადებდი სიტყვას.

4 სექტემბერი. სიტყვის მომზადება დავამთავრე. საუბზე (ბარათებია არაა, ამიტომ უკარაქოდ). გობელუნება მიჩუქეს პატარა ნოხი. საუბზე კამინკერთან (თარქიშანი). შილება სამედიცინო აქადემიაში. ყველაფი უბზე წამოდგნენ. სიტყვა. შემდეგ შამპანრა და მამცხვარი, როგორც ქორწილში. წამოქელისას ოვაცია.

სამედიცინო აქადემიაში ფლემინგმა განაცხადა, ბედნიერი ვარ იმის შეგნებით, რომ ამ მალად კორპორაციას მივეკუთვნებიაო. „მე ბრალი დამდეს იმაში, რომ გამოვიგონე პენიცილინი. არც ერთ ადამიანს არ შეეძლო პენიცილინის გამოგონება, რადგან ჯერ კიდევ უხსოვარ დროს ამ ნივთიერებას ბუნების ნებით გამოჰყოფდა ობი... არა, მე არ გამომიგონებია პენიცილინის ნივთიერება, მაგრამ მე ყურადღება მივაქციე-ვინეთ მისთვის და სახელიც დავანათლე“.

ფლემინგის დღიური

1945 წლის 5 სექტემბერი. საფრანგეთში დღეში სულ 10000 რულ როფი პენიცილინი მზადდება. ინგლისს შესაძლებლობა აქვს იაფად მოუწყოს დიდი ქარხანა ანლა. დებზმაროს ტექნიკური რჩევა-დარიგებებით. გამოიგზავნოს რაისტრიკი ან სხვა ვინმე „ბუტსიდან“, „გლაკსოდან“, ფრანგული ენისა და წარმოების მკოდნე. ამათ ქარხნებში საინტერესო მეთოდები აქვთ, მაგრამ ზედამირი ნელა იფარება. საჩუქარი — 100 000 ერთეული.

11 საათსა და 30 წუთზე უნდა ვწვეოდი დე გოლს. მაგრამ გადაიღო 4 საათისა და 30 წუთისათვის, ლუერში თვით დირექტორი დამხვდა, გამაცნო ფერწერა და სკულპტურა.

1 საათსა და 37 წუთზე სადღის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ვიქტი მინისტრის მოვლებზე. ძალიან კარგი იყო ლენინი: ნესვი, დამარილებული თევზი, წიწილა, სალათა, ენდო, ჩაროზი და ყავა. შაბლი, ბორდო, შამპანური, კონიაკი. სიტყვები: საგარეო საქმეთა მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი. იძულებული ვიყავი შემასუხა... 1066 წელა* — ომიანობის საუკუნეები — შესდეგ მოკავშირეები ირ ოში — ქრილობათა მოშუშება... პენიკლინი. მადლობა მოვახსენე.

4 საათსა და 30 წუთზე გენერალ დე გოლთან, სენ-დომინიკის ქეჩა, 14. ვესტიბულში. ტრეფუელი, ვალერი-რადო და კიდეც თორმეტიოდე მეცნიერი. ათწეთიანი საუბარი. შემდეგ წამიყენეს დე გოლთან, რომელმაც დამაჯილოდა საპატიო ლეგიონის ორდენით (ყელზე ჩამომიკიდა და ლოყაზე მკოცა). მადლობა მოვახსენე და წამოვედი. 5 საათზე არმიის საპენიცილინო ცენტრში (ინვალიდთა სახლის მახლობლად). გზად, პალე-როიალში კამინკერმა ორდენის ლენტები მიყიდა...

8 საათსა და 15 წუთზე — საუბრე დიუამელთან, კაფეში სენ-მიშელის ბულვარზე. ორმოციოდე კაცი: ექიმები, მწერლები, პოლიტიკური და პროფკავშირული მოღვაწენი. კარგი ვახშამი. გრძელი სიტყვები: დიუამელი, დოქტორი, შემდეგ პროფკავშირული მოღვაწე. კვლავ მომიხდა გამოსვლა (შესანიშნავად ითარგმნა). დებრუნდი შეუღამისას.

ამ ვახშამზე, რომელზედაც უორე დიუამელი თავმჯდომარეობდა, გარდა მრავალრიცხოვანი მედიკოსებისა, ესწრებოდნენ აგრეთვე ეიუ-ლენ ბენდა, პოლ ელიუარი, კლოდ მორგანი, ალბერტ ბაიე, კორბიუზე. დაუმალი იგონებს, რომ თავის სიტყვაში ფლემინგისათვის უთქვამს: მოსიე, თქვენ პასტერს აჯობებთ...“ ინგლისელი მეცნიერი კი მაშინვე შეეპასუხა თურმე: „პასტერი რომ არა, ვერაფერსაც ვერ გავაკეთებდი!“

ფლემინგის დღიური

5. სექტემბერი, ხუთშაბათი. მიღება პასტერის ინსტიტუტში. ლენჩი: დაჯ კუპერი. ბიუ. ვიქტი ქალბატონ ტრეფუელის ხელმარჯნივ. ვალერი-რადოს სიტყვა (ინგლისურად). ჩემი საპასუხო: 1) პასტერის საქებარი სიტყვა. 2) რაიტის საქებარი სიტყვა. 3) პენიცილინი. როგორ ინმარონ ის. წარმოება, სისწრაფე. მადლობა მოვახსენე. მივიღე პასტერის მედალი. დავათვალიერე პასტერის საავადმყოფო. დოქტორი მარტენი... მშვენიერი მეუღლე პყავს, ლაპარაკობს ინგლისურად. დავესწარი ფურუნკულის ადგილობრივ მკურნალობას. საშინელი ტანჯვაა. ვიყავი ვაზში რამონი ჟიუტად მეჩვენა. როგორც ჩანს, რამონი აქ შაოლოდ კვლევით მუშაობას ეწევა და ხელმძღვანელობას თავს არიდებს. ვილაც წვეტროსანი კაცი მიკროვალელებს აწარმოებს. ვნახე გვარიანი ფილმი ფაგოციტოზზე. ჩაი სენ-კლუს გოლფ-კლუბში.

* ხორშანების მიერ ინგლისის დაპყრობის წელი.

7 სექტემბერი. 9 საათი. ბავშვთა საავადმყოფო. პრ. ოესორი დებრე. იკა მელაპარაკებოდა. მე ვპასუხობდი. ვნახე პენიცილინით მკურნალობის მრავალი შემთხვევა. მენინგიტები — კარგი. პნევმონიები — ოთხში ერთი კვდება. ოსტეო-მიელიტი — კარგი. თუ აბსცესი გაიხსნა და ჩირქმა გამოსვლა დაიწყო, ქროილობა კერავენ და შიგ ტოვებენ ნემსს, რომლიდანაც შეჰყავთ პენიცილინი. 11 საათი. ელოდ ბერნარის საავადმყოფოში: დოქტორი ლაპორტი. ფილტვის აბსცესის მკურნალობა ადგილობრივი ინექციების მეშვეობით. ენდოკარდიტები ცოტაა.

5 საათი და 30 წუთი. მიღება რატუშაში მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თქვა, რომ მე გავხდები აკადემიკოსი.

8 სექტემბერი. შაბათი. უკან დაბრუნდა. დებრემ მაჩუქა საინჰალაციო აპარატი და წიგნი ფერწერაზე. გამოფერინდი 2 საათზე. შინ ვარ.

საინტერესოა ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ ვიზიტმა დაამახსოვრა ფრანგ ექიმს, პროფესორ დებრეს. „ფლემინგმა მოგვხიბლა მსჯელობის დროს უკიდურესი სიფრთხილის გამოჩენით. მეტისმეტად თავმდაბლობდაო, ვერ იტყოდა კაცი. მან იცოდა, რაოდენ სახელოვან პიროვნებად იქცა და ნეტარებას განიცდიდა. მაგრამ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ეშინოდა თავისი დასკვნების გაღრმავებისა. იგი ყოველ მოვლენას იმით შემოსაზღვრავდა ხოლმე, რასაც ხ ე დ ა ვ დ ა. როდესაც ვანახვეთ პენიცილინის ხმარების მეოხებით საფრანგეთში მიღებულ შედეგები; წარმატებაზე მეტად წარუმატებლობის შემთხვევებით დაინტერესდა. „აბა კიდევ მიაძებთ ოსტეომიელიტის იმ შემთხვევაზე, რომლის განკურნებაც ვერ შესძელით. „მას მიწაზე დაჩრენა სურდა“.

ფლემინგი სწერდა მისის დევისს, რომელთანაც ახალგაზრდობაში მეგობრობდა (იმჟამად იგი საფრანგეთში ცხოვრობდა):

პარიზში გატარებული ერთი კვირა ქეშმარიტად უჩვეულო რამ იყო... რაოდენი ცვლილება მოხდა იმ გულბრყვილო ქაბუქში, რომელსაც დაეხმარეთ თქვენ აღზდაში,—და მინც ასე მგონია, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ახლა მე ვხვდები ამა ქვეყნის ძლიერ, მაგრამ გულწრფელად რომ ვაღიარო. ჩვეულებრივ ადამიანებთან შეხვედრაზე უფრო საინტერესო როლია ეს.

პარიზში მოწყობილი საზეიმო შეხვედრა, მცირეოდენი ცვლილებით, განმეორდა იტალიაში, დანიასა და ნორვეგიაში. ფლემინგი ინგლისური მეცნიერების მოგზაურ ელჩად იქცა. აი რას წერდა იგი როჯერლის:

ვწუხვარ, რომ ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე შფოთიანი ცხოვრების წიკს, მაგრამ ბო-
ლის და ბილოს აღბათ ამასაც შევეგუები. ეს კია, რომ როცა ყველაფერი დამ-
თავრდება ხოლმე, ძალიან სასიამოვნო მოგონებები მჩჩება. მაგრამ ასეთი მოგზაუ-
რობის, ამდენი მისვლა-მოსვლის დროს თავს ისე ვგრძობ, თოქოს მწვევარდადღე-
სებული კურდღელი ვიყო.

ჩანს, ყოველივე, ეს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. მას, მაგ-
რამ იგი მაინც ახერხებდა თავისი გრძნობების დაფარვას და გარეგნუ-
ლი სიმშვიდით იფერებდა მოზღვავეებულ პატივსა და დიდებას. იგი
უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რომ გაუძლო ამ უდიდეს გამოცდას —
დიდებას. ვეებერთელა მანძილი ჩანდა შოტლანდიის ფერმიდან თუ პა-
ტარა ლაბორატორიიდან აკადემიამდე და სამეფო საზოგადოებამდე,
რომლის ტრიბუნიდანაც ლაპარაკობდა ახლა იგი. მაგრამ პირადად მისი
აზრით, მთელი ეს რამდენადმე დამღლევი ხმაური ყოველდღიური მუ-
შაობის ნაწილი იყო. იგი აღიარებდა, რომ მუდამ გულმოდგინედ მუ-
შაობდა და ყველაფერი გააკეთა, რაც კი ძალუძდა, ამიტომ ჭილდოც
ბუნებრივად მიიჩნდა. და იგი სავსებით შეგნებულად, მორჩილად და
კმაყოფილების გრძნობით ითვისებდა მისთვის მანამდე უცხო ჩვევებს.

იმ ხანებში მიღებული მრავალრიცხოვანი წერილებიდან ყველაზე
დიდი სიხარული განაცდევინა ფლემინგს პატარა შოტლანდიური სკო-
ლის მასწავლებლისაგან მიღებულმა ბარათმა. წერილი დერბენიდან
(ნატელი) მოვიდა. ხელს აწერდა: მ ა რ ი ო ნ ს ტ ი რ ლ ი ნ გ ი. აი რო-
გორ იწყებოდა ეს სამახსოვრო ბარათი:

ჩემი ძვირფასო პატარა ალკე,

ბოღაშს ვიხდი, ასე რომ მოგმართავთ. მაგრამ როდესაც მე თქვენ გიკნობდით,
რე თუ ცხრა წლისა იყავით, მეოცნებე ცისფეროვლებიანი კეთილი ბიჭუნა. .
მხოლოდ იმიტომ ვწერ ამ ბარათს, რომ ჩემს ძვირფას პატარა, ძველთაძველ მე-
გობარს მოვეულოო და ვუთხრა, რომ მე მუდამ თვალს ვადევნებდი მისი ცხოვრე-
ბის გზას და მახარებდა მისი წარმატებანი. ახლახან წავიკითხე მშვენიერი ამბავი
პენიცილინისა, და ასე მგონია, რომ მეც მიმიძღვის ცოტაოდენი წელილი ამ ამბავში.
სხვათა შორის, თქვენმა სასწაულქმოქმედმა შესაბუნებამ მოარჩინა ჩემი დის შვილი-
შვილი — პატარა პეიზელ სტერლინგი, რომელიც მძიმე ავად იყო. გისურვებთ ყო-
ველივე კარგს, გააგრძელეთ ამვე გზით წინსვლა. წავიკითხე, თუ როგორა ზარ-
ზეიმით შეგხვდათ საფრანგეთი, მე მგონი, რომ ეს ქვეშაპრიტად მშვენიერი ქვე-
ყანაა.

ბელგიაში (1945 წლის ნოემბერში) ფლემინგმა საკუთარ რეკორდ-საც კი გადააჭარბა: ორი დღის მანძილზე სამჯერ მიიღო honoris causa დოქტორის წოდება ბრიუსელში, ლუვენსა და ლიეჟში. ლუვენში ფლემინგს ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს. ამ უნივერსიტეტმა ომის შემდეგ სამ ინგლისელს მიანიჭა დოქტორის წოდება: ჩერჩილს, მონტგომერის და ფლემინგს. „მე ვფიქრობდი, — განაცხადა ფლემინგმა, — რომ სამივე ერთად ჩამოვიდოდით აქ, და მე საშუალება მომეცემოდა მომესმინა სახელმწიფო მოღვაწისა და გენერლისათვის. ისინი ორივენი კარგი ორატორები არიან, ორივენი ხელმძღვანელობენ ადამიანებს, ორივეს დამსახურებულად პატივსა სცემენ სამშობლოში. თუ ეს ასე მოხდებოდა, თქვენ დიდ იმედებს აღარ დაამყარებდით ჩემზე, უბრალო ლაბორატორიულ მკვლევარზე. რომელიც თეთრ ხალატში გამოწყობილა და მიკრობებითა და სინჯარებით ირთობს თავს. მაგრამ ყოველივე სხვაგვარად წარიმარაა. უინსტონ ჩერჩილი უკვე იყო აქ და უკან გაბრუნდა. მონტგომერიც იყო და წავიდა. დავრჩი მარტო. მე კი ძალიან უბრალო პროფესია მაქვს. როგორც მოგახსენეთ, მიკრობებთან თამაშით ვეკცევ თავს. ამ თამაშს, რასაკვირველია, თავისი წესები აქვს. საინტერესოა ამ წესების დარღვევა და იმის მტკიცება, რომ ზოგიერთა მათგანი არაა მართებული, საინტერესოა იმის შიკვლევა, რაზედაც ჭერ არავის არ უფიქრია...“

ფლემინგი — ჯონ კამერონს
(ფლემინგის კიდს შეერთებულ შტატებში)

უნდა ვიკამბოთ ჩემი თავგადასავალი. ნოემბერში ბელგიაში მიმიწვიეს, ჩანს, მთავრობის სტუმრად. რადგან ბილეთიცა და სასტუმროც მათ გამინადღეს. იმ საღამოს, რა დღესაც ჩამოვედი, ჩვენს ელჩთან ვიჯახშმე მეორე დღეს ვისადილე პრინცი-რეგენტთან, ვიყავი უნივერსიტეტში, სადაც მომანიჭეს honoris causa-ს წოდება ცერემონია მხოლოდ ჩემი გულისათვის ჩატარდა. მთელი დარბაზი გაქედილი იყო. პირველ რიგში განცალკევებით იღვა სავარჯიშო დედოფალ ელისაბედისათვის. გვერდით — ორადგილიანი სამეფო ტახტი ჩემთვის და ელჩისათვის. ხომ წარმოგდევნიათ, რა შესახედავი ვიქნებოდი.

25 ოქტომბერს ფლემინგმა სტოკჰოლმიდან მიიღო ტელეგრამა, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ მას, ფლორისა და ჩეინს მიენიჭათ ნობელის პრემია მედიცინის დარგში. ნობელის პრემიათა სამეცნიერო საბჭოს პირვანდელი ვარაუდით პრემიის ერთი ნახევარი უნდა მისცემოდა ფლემინგს, მეორე ნახევარი კი — სერ პოვარდ ფლორისა და ჩეინს.

მაგრამ საერთო საბჭომ გადაწყვიტა, რომ უფრო სამათლიანი იქნებო-
და, თუ პრემიას ტოლად გაუყოფდნენ სამივე მეცნიერს.

ექვს დეკემბერს ფლემინგი სტოკჰოლმს გაფრანდა.

ფლემინგი — ჯონ კამერონს

სტოკჰოლმში ჩავედი საღამოს 10 საათზე. დაეწევი დასაძინებლად. დილის 8
საათზე გავემგზავრე უპსალაში. დავბრუნდი ღამით. მეორე დღეს ოფიციალური
ვიზიტები. შუალედებში ცოტაოდენი დრო დამრჩა საყიდლებისათვის (სტოკჰოლმში
რამდენიც გინდათ, იმდენს იშოვით პარკერის კალმისტრებს-57 და ნეილონ-ს წინ-
დებს). შემდეგ ვივახშმე ჩვენს ელჩთან (თანდათან ვეჩვევი ამას). სვალ ნობელის პრე-
მიის გაღმოცემაა. ფრაკი და ორდენები (ძლიერდებით შემოვიყარი ყელზე საპატრო
ლეგიონის ორდენი, ამ ორდენის მეტი არაფერი მკეცთა); 16 საათსა და 30 წუთზე
თანფარებისა და საყვირების სიმ სენისაყენ გვრსმო. სენებაზე ჩვენს გვერდით
მთელი სამეფო გვარეულობა იჯდა. ორკესტრი, სიმღერა, სიტყვები, პრემია თვით
მეფემ დაგვირიგა საკუთარი ხელით... შემდეგ 700-კაციანი ბანკეტი. ვიჭევი შემ-
კედრე პრინცივსას გვერდით. ყველას მოგვიწია სიტყვის თქმა (მე ვილაპარაკე
წამრებაზე). ბანკეტის შემდეგ კი სტუდენტთა გუნდი და ეკეები. სახლში და-
ვბრუნდი ღამის 3 საათზე. მეორე დღეს — კონფერენცია და მეფესთან ვახშიმი სასახ-
ლეში. შემძლო აღრე დავწოლილიყავ, მაგრამ სასტუმროში რომ მოვბრუნდი, ყვე-
ლანი ბარში გავეშურეთ და დიდხანს შევექცეოდით შეედურ ლედს. ჩვენთან ერთად
იყო ერთი არგენტინელი პოეტი ქალი. მანაც მიიღო ნობელის პრემია, მაგრამ სა-
მელს არც გაპარებათ.

ერთმა ამბავმა განსაკუთრებით გაახარა ფლემინგი: საპატრო მოქა-
ლაქის წოდება მიანიჭა დარველმა, პატარა შოტლანდიურმა ქალაქმა, სა-
დაც სკოლაში სწავლობდა იგი. მართლაცდა, რა უნდა იყოს იმაზე სასი-
ამოვნო, როდესაც საკუთარი სამშობლო გცნობს წინასწარმეტყველად.
ლონდონიდან გლაზგოში ფლემინგი მატარებლით გაემგზავრა, ასლდ-
ნენ მეუღლე, ვაჟიშვილი რობერტი; ძმა ბობი და რძალი. მოგზაურო-
ბისას, უკეთ რომ გაეტარებინათ დრო, ფლემინგმა ბანქოს ახალი თამა-
ში მოიგონა. დარველის სახლები დროშებით იყო მორთული. ქუჩებში
დადიოდნენ მუსიკოსები, რომელთაც შოტლანდიური ქვედატანი ეც-
ვათ, და სტვირზე უკრავდნენ. ქალაქის მერი და მისი მრჩეველები,
აგრეთვე რეპორტიორები და კინოოპერატორები ქალაქის კარიბჭესთან
შეეგებნენ ფლემინგს. „ლოცვები. სიტყვები. დაუსრულებელი ავტო-
გრაფები. ბევრი მოდიოდა იმის სათქმელად, რომ ჩემთან ერთად უს-
წაველია სკოლაში...“ ფლემინგმა ცთუნებას ვერ გაუძლო და მაინც

წაუქირდავა თავის თანამემამულეთ: მხოლოდ მაშინ შეიტყვეთ ჩემი ამბავი, დარველის მერი ქაიროში რომ გაემგზავრაო. „როდესაც თქვენი მერი ქაიროში იყო, გაიგო, რომ სახელი მომიხვეჭია. და აი, უკან დაბრუნებისას თქვენს მუნიციპალურ საბჭოს ურჩია მოსალოცი ბარათის გამოგზავნა ჩემთვის. ამ წერიალმა ღიდად გამახარა, დარველიდან ჩემი წასვლის შემდეგ თქვენ ხომ პირველად მაშინ დაინტერესდით ჩემი არსებობით“.

საყოველთაო თაყვანისცემამ, საქვეყნო დიდებამ ხასიათი როდი შეუცვალა ფლემინგს, იგი საერთოდ ყოველთვის გამოირჩეოდა გულითადი თავაზიანობით, მაგრამ თუკი ცოტაოდენი უკმეხობა მაინც ახასიათებდა ადრე, ახლა უფრო ნაკლებად ამჟღავნებდა ამას. ხშირმა საჯარო გამოსვლებმა მიაჩვია ძალდაუტანებელ, ბუნებრივ ქცევას. ერთხელ ფლემინგს მეგობარ ზახარი კოპეს ფრიად. გონივრული სიტყვა მოუშენინა მისი და დარბაზიდან გამოსვლისას უთქვამს:

— ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვით.

— ჰო, — უპასუხნია ფლემინგს, — ვიცი.

მან ძალიან კარგად ილაპარაკა იმ დღესაც. როდესაც მისმა მეგობარმა ლორდ უებ ჯონსონმა, სამეფო ქირურგიული კოლეჯის პრეზიდენტმა, გადასცა კოლეჯის ოქროს მედალი — უმაღლესი და იშვიათი ჯილდო, რომელიც მთელი ასორმოდათხი წლის განმავლობაში მხოლოდ ოცჯერ იქნა მინიჭებული. მედლის გადაცემა მოხდა ვაზშამზე. რომელსაც ესწრებოდნენ მეფის გვარეულობის წევრები, პრემიერ-მინისტრი და ლორდ-კანცლერი. მისალმებათა შემდეგ ფლემინგთან მისალოცად მივიდა მისი ძველი მეგობარი და კოლეგა, დოქტორი ბრინი.

„ჩემდა გასაოცრად, სიტყვა არ დამაძვრევინა, — წერს ბრინი

— თუ ღმერთი გწამს, არ გინდა! — მითხრა მან. — უკეთესია ერთი სული ბილიარდი ვითამაშოთ.

— მერედა აქ არის ბილიარდი?

— რა თქმა უნდა არა! — წამოიძახა ფლემინგმა. — კლუბში წავიდეთ.

მისი აზრით, ამქვეყნად არსებობდა მხოლოდ ერთი კლუბი — მხატვართა კლუბი ჩელსიში. ჩვენი მანქანებით მართლაც წავედით ოლდ ჩერჩ-სტრიტზე. ომი მაშინ ახალი დამთავრებული იყო და თავს არავინ იწუხებდა სალამოსათვის საგარეო ტანსაცმლის ჩაცმაზე, და როდესაც ფრანკმა გამოწყობილი ფლემინგი, თეთრი ჰალსტუხით მორთული, კი-

სერზე ჩამოკიდებული საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტით და უამრავი ორდენით მკერდდამშვენებული, შუალამით ეწვია კლუბს. ამან ყველა განაცვიფრა. ერთი პარტია ბოლიარდა მაინც ვითამაშეთ და ღამის ორ თუ სამ საათზე დაებრუნდით შან“.

ფლემინგს კვლავ ძველებურად უყვარდა ამ კლუბში ყოფნა, მოსწონდა ღია მწვანე ფერის დიდი დარბაზი, სადაც ბილიარდის ორი მაგიდა იდგა, მოსწონდა მხატვრებისა და მოქანდაკეების ძალდაუტანებელი მანერები. თითქმის ყოველ საღამოს, ექვს საათზე მოდიოდა აქ. ნეტარებით ჩაერთვებოდა ხოლმე შანაურულ გარემოში, თამაშობდა ბილიარდს, იგონებდა (ისე როგორც ყველა სხვა თამაშში) ახლებურ და უჩვეულო დარტყმებს. ზოგჯერ ზრდილობის გულისათვის პოზაში უდგებოდა რომელიმე მხატვარს, მაგრამ არასოდეს არ აქებდა თავის პორტრეტს: ეს ხომ Lowlanders-ის დაუწერელი კანონის დარღვევა იქნებოდა. კლუბის წევრები გაოგნებული იყვნენ იმით, რომ მათმა სიტყვაძუნწმა თანაკლუბელმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. როდესაც იგი ყელამდე აავსეს პატივითა და ღირსებით, კლუბის წევრები გულწრფელად ულოცავდნენ ესოდენ დიდ წარმატებას

— ეგ არაფერი, — იტყოდა ხოლმე იგი და სიტყვას ბანზე აუგდებდა მოსაუბრეს.

ფლემინგისათვის ნობელის პრემიის მინიჭებამ მსწრაფლ გადაწყვიტა საკითხი, რომელიც ბოლო წლებში მწვავედ იდგა სენტ-მერიში, საკითხი რაიტის მემკვიდრისა. ფლემინგი გახდა ინსტიტუტის პრინციპალი (ასე ეწოდებოდა ახლა დირექტორს). 1946 წელს რაიტმა სამსახურს თავი დაანება. მაგრამ მანამდე, ფლემინგის საზღვარგარეთ ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, ბერიკაცმა ყველა განყოფილებას ცალკე ხელმძღვანელი დაუნიშნა. ასე რომ, ფლემინგი ჯგუფის გარეშე აღმოჩნდა. ალბათ ძალიანაც გულნატყენი იყო თავისი მოხუცი მასწავლებლის უკანასკნელი დიქტატორული მოქცევის გამო, მაგრამ ერთხელაც არ დაუჩივლია.

— რას იზამ. ქვეყანა ასეა მოწყობილი, — ამბობდა იგი.

მას საერთო ლაბორატორიაში მუშაობა ერჩია. აქ ხომ მაშინვე შექლო მეზობლისათვის ერგვნებინა რომელიმე უცნაურა კულტურა. „აბა

შეხედეთ... მე გეტყვით, თუ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება“. ძლიერ-ძლიობით დაიყუბულეს, რომ, როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ცალკე ოთახში ემუშავა, სადაც შესაძლებლობა ექნებოდა ჩაეტარებინა დიდმნიშვნელოვანი კონფიდენციალური საუბრები. „ანლა, სერალექსანდრე, — უთხრა მას კრეკსტონმა, თქვენ ინსტიტუტის მეთაური ბრძანდებით, და თქვენთვის აუცილებელია საკუთარი ლაბორატორია“. ფლემინგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, მაგრამ ჭიუტად უარობდა თავისი ოთახის კაბინეტურად მოწყობას.

„არა, — ამბობდა იგი, — ჩემი ცხოვრება ლაბორატორიაშია“.

იგი შესანიშნავად ხელმძღვანელობდა მკვლევარების მუშაობას. საკმარისი იყო, რომელიმე კოლეგას დაეკავუნებინა მასთან — მისი ოთახის კარი კი ყოველთვის ფართოდ იყო გაღებული, — იგი მაშინვე უპასუხებდა: „მობრძანდით!“ — და მაშინვე მოუსმენდა მომსვლელს; ზოგი რაღაც სიძნელეებზე მოუყვებოდა, ზოგი ახალ აღმოჩენაზე. ფლემინგს ერთი უძვირფასესი თვისება ჰქონდა: რა საქმითაც არ უნდა ყოფილიყო გართული, რაზედაც არ უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული, მაშინვე შეეძლო სხვა საგანზე გადაეტანა გონების თვალი და უცებ ამოეცნო მის წინაშე დაყენებული პრობლემის მთავარი არსი. ორი-სამი სიტყვით განმარტავდა მას და მიუთითებდა შემდგომი კვლევის მიმართულებას, შემდეგ კი ისევ თავის მიკროსკოპს მიუბრუნდებოდა. გაცილოდა რამდენიმე წუთი და ახლა მეორე ახალგაზრდა მეცნიერი დაუკავუნებდა კარზე, და ახლა მას მოუსმენდა ყურადღებით. ზოგჯერ, რჩევას რომ მისცემდა სხვას, დასძენდა: „თქვენ მე მიაბებთ თქვენს სიძნელეებზე, ახლა კი მითხარით, რას ფიქრობთ ამაზე?“ და აჩვენებდა რაიმეს, რასაც მისი ინტერესი გამოეწვია. ფლემინგის კოლეგები არც უფროსი თაობის წარმომადგენლები და არც ახალგაზრდები, არ გრძნობდნენ, რომ ისინი მისი ხელმძღვანელი მუშაობდნენ; ისინი მუშაობდნენ მასთან ერთად, და მისი გამოცდილება ეხმარებოდა მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. დოქტორი ოპილვი გვიამბობს, რომ ერთხელ სერალექსანდრეს იგი წაუყვანია თავისი ძმის რობერტ ფლემინგის ფაბრიკაში, რათა აეცრა იმ ორასი მუშისათვის; რომლებიც ინფლუენციით იყვნენ ავად. „და თუმცა მე ახალგაზრდა ასისტენტი ვიყავი, — იგონებს ოპილვი, — არ დამანება და ნახევარი საქმე — შპრიცების სტერილიზაცია, ინექცია — თვითონ გააკეთა“.

ფლემინგს იშვიათად რომ ვინმე შეექო. „გგონი, არა უშავს“ — აი

ყველაზე დიდი კომპლომენტი, რომლის გამეტებაც შეეძლო მას. თუკი ვინმეს რამეს მოუწონებდა, მაშინვე მხარს დაუჭერდა და დაეხმარებოდა. იგი ეხმარებოდა თავის კოლეგებს სამეცნიერო ინფორმაციების შედგენაში; აწყობდა პათოლოგთა საზოგადოების ან მეცნიერთა სხვა ორგანიზაციების კრებებს, რათა ეჩვენებინა მათთვის მისი რრმელიმე ახალგაზრდა თანამშრომლის მიერ გამოგონებული ესა თუ ის აპარატი. თუ, მისი აზრით, რომელიმე ახალი იდეა საყურადღებო იყო, იგი თავგამოდებით იცავდა მას, ხოლო თუ ყურადღების ღირსად არ ჩათვლიდა, მაშინვე გააბიარებდა. „საზიზღრობაა“, — იტყოდა და ამ საკითხზე მსჯელობა სამუდამოდ შეწყდებოდა ხოლმე.

ზოგიერთი ამბობდნენ, ფლემინგთან ლაპარაკი მეტისმეტად ძნელიაო. ელოდები პასუხს, იგი კი ჩაიფრუტუნებს, ან გაუგებრად წაიბურტყუნებს რამეს ანდა საერთოდ ხმასაც არ ამოიღებსო. „საგონებელში ჩაეარდებით, სიტყვა შეგაცივდებათ პირზე და არ იცით, გააგრძელოთ საუბარი თუ უნდა ადგეთ და წახვიდეთ. სხვა დროს კი შეიძლება ძალიან თავაზიანად შეგხვდეთ, მაგრამ მაინც ყოველთვის მოულოდნელია ხოლმე მისი მოქცევა“. ფლემინგი გაცილებით უფრო გულლიად ხვდებოდა უბრალო ადამიანებს, ვიდრე წარჩინებულ პიროვნებებს. არაჩვეულებრივ გულისხმიერებასა და კეთილგანწყობილებას გამოიჩენდა ხოლმე რომელიმე ახალგაზრდა მედღას მიმართ, რომელიც შემთხვევით შეაღებდა მისი კაბინეტის კარს და დარეტიანებულივით გაშეშდებოდა უფროსის დანახვაზე; გამოესაუბრებოდა მას, დერეფანში გამოყვებოდა, რომელიმე ლაბორატორიამდე მიაცილებდა, ერთი სიტყვით. ისე მოხიბლავდა ასეთი თავაზიანობით, რომ გოგონა განცვიფრებული იყო. მაგრამ წინასწარგანზრახულად როდი იქცეოდა ასე, სტიქიურად. მოეხასიათებოდა და, როგორც იტყვიან, თან გადაყვებოდა ვინმეს.

ფლემინგს სიზუსტე და მოკლესიტყვაობა უყვარდა. ინსტიტუტის მდივანი კრეკსტონი წერს: „ყოველთვის ენთუზიაზმს მგვრიდა შემოწირულებანი, რომელთაც დროდადრო ლებულობდა ხოლმე ჩვენი სამეცნიერო ლაბორატორია. ერთხელ ფლემინგს ეუამბე მორიგ შემოწირულებაზე და ვაჩვენე ჩემი დაწერილი სამადლობელი წერილი, რომელშიც დაახლოებით ასი სიტყვა იქნებოდა. წაიკითხა და ღიმილით ზითხრა:

-- ბევრი გიმუშავიათ. კრეკსტონ, მაგრამ თავი და თავი ამბავი ხომ ისაა, რომ მადლობელნი ვართ შემოწირულებისათვის?

-- დიახ, -- მიუხედავად მე.

-- ჰოდა, რატომ არ იკმარეთ ეს და ზედმეტად გაისარჩეთ?"

განსაკუთრებით აფასებდა იგი გაწაფულ ლაბორანტებს. „ბაქტერიოლოგს ჩვენს დროში, -- ამბობდა იგი, -- სრულიად უბრალო ტექნიკური ოპერაციების შესრულებაც კი აღარ ძალუძს“. თვითონ იგი კი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ლაბორანტებზე უკეთესად აკეთებდა ამ ტექნიკურ ოპერაციებს და ამიტომ ისინი განსაკუთრებით პატივს სცემდნენ მას. იგი კიცხავდა იმ ექსპერიმენტატორებს, რომლებიც ფიზიკურ შრომას უკადრისობენ.

ინსტიტუტში ბევრი მეცნიერული თემა მისი რჩევით ან უშუალო ხელმძღვანელობით მუშავდებოდა. და იგი მაინც უარობდა მეცნიერულ ინფორმაციაზე ხელის მოწერას, თუმცა ამ ცნობაში მთავარი წვლილი მისი იყო. მხოლოდ სამაგალითო კეთილშობილებით აიხსნება ასეთი თავმდაბლობა. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც თანხმდებოდა, რომ მისი გვარიც მოხსენიებულიყო ინფორმაციის ავტორთა შორის, ფლემინგი ამბობდა: „ჩემი გვარი ბოლოში მიაწერეთ, და მაშინ ისინი იძულებული იქნებიან ყველანი მოიხსენიონ. წინ რომ დაწეროთ ჩემი გვარი, იტყვიან „ფლემინგისა და სხვათა ინფორმაცია“, მე კი სულაც არ მპირდება ეს“.

ისეთ დიდებას რომ მიაღწია, როგორზედაც არც კი უოცნებია, ფლემინგი ახლა თავისი კოლეგების წარმოჩინებას, დაწინაურებას ცდილობდა.

თანამშრომელნი აღფრთოვანებული იყვნენ ფლემინგით, როგორც მეცნიერი ხომ მოსწონდათ, მისი ხელმძღვანელობაც ხიბლავდათ. აი ადმინისტრატორობას კი ზოგჯერ უწუნებდნენ. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ მას ბრძოლა აშინებს და ყოველთვის ნაკლები დაბრკოლების გზას არჩევს. მაგრამ სრულიად სხვაგვარი აზრისა იყო კრეკსტონი, ინსტიტუტის მდივანი, რომელმაც ყველა კონფლიქტის თავი და ბოლო იყოდა. „მაგონდება ერთი შემთხვევა, როდესაც იგი უმრავლესობის ნებას დაჰყვა და ისეთი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც თვითონ სწორად არ მიაჩნდა. მერე რამდენიმე კვირა წუხდა ამაზე და მხოლოდ მაშინ მოისვენა, როცა ძველი გადაწყვეტი-

ლება შესცვალა და ისე მოიქცა, როგორც საკუთარი სინდისი უკარნახებდა“.

ლოქტორი ბრუკსი წერს: „როდესაც მისი და ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, იგი საშიშ მოწინააღმდეგედ გადაიქცეოდა. თუკი თავის სიმართლეში დარწმუნებული იყო, არავითარ შემთხვევაში არ დაგვიტოვებდა“. როცა შეატყობდა, რომ მეტისმეტად უძალიანდებოდნენ, საკითხის გადაწყვეტას გადადებდა. „ამ საკითხს ვადროვოთ, დაღვინდეს, დაიწმინდოს და მერე თავისით გადაწყდება“, — ამბობდა ფლემინგი.

არასოდეს არ ჩქარობდა, თავშეკავებით იქცეოდა და არც სხვის სიჩქარეს აჰყვებოდა. ერთობლივი მუშაობის დროს გვერდაუვლელ აზრთა სხვადასხვაობას, კინკლაობას გულთან არ იკარებდა. „ხომ იცით, — ამბობს მისი მდივანი ელენე ბეკლი, — რომ ერთი პროფესიის ადამიანებს, თანაც ერთ შენობაში მომუშავეთ, შეიძლება შურდეთ ერთმანეთის, ებრძოდნენ ერთმანეთს. მაგრაჲ პროფესორ ფლემინგისათვის არასოდეს არ შემიტყვია შურიანობის ნატამალიც კი. შური მის ირგვლავ დაეხეტებოდა, მასთან მიახლოვებას კი ვერ ბედავდა. თავისი ბუნებით იგი, უდავოა, უფრო მაღალი სულის და უფრო კეთილშობილი იყო, ვიდრე უმრავლესობა ადამიანებისა. წვრილმანობა, მდაბალი ეგოიზმი, მზაკვრული აზრები და ქცევები იოტისოდნავადაც არ ახსიათებდა ამ კაცს“.

ელენე ბეკლი აღწერს, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ფლემინგი ინსტიტუტს. „მოსაუბრე გვერდით მიუჯდებოდა და ფლემინგი, რომელსაც უეჭველად სიგარეტი ეკავა პირში, ეტყოდა: „აბა, დაიწყეთ!“ იგი გულმოდგინედ უსმენდა მოსაუბრეს და თან თავის საქმეს აკეთებდა. ახლა სხვა მიუჯდებოდა მეორე მხრიდან და თავის საკითხს გააცნობდა. ფლემინგს თავისუფლად შეეძლო ერთდროულად ორი-სამი საქმის კეთება, თანაც კარგად აწონ-დაწონიდა პასუხს და თითოეულს გონივრულ რჩევას მისცემდა“.

ლოქტორი ბობ მეი წერს: „მოუზრიდებლად შეიძლებოდა მასთან პირადი საქმეების განჯსაც. დარწმუნებული ვიყავით, რომ გულისყურით მოგვისმენდა და შეძლებიდა კვალობაზე დაგვეხმარებოდა“. მისი დაჯინებითი მოთხოვნით კომიტეტში შეიყვანეს ერთი მეცნიერი, რომელსაც ახალი გადატანილი ჰქონდა ნერვული დეპრესიის შეტევა. „ეს მას დაეხმარება სულიერი წონასწორობის აღდგენაში, დაუბრუნებს საკუ-

თარა თავის რწმენას; იგი დაინახავს, რომ ადამიანებს სწამთ მისი, და რომ იგი ჯერ კიდევ სასარგებლო კაცია“. მაგრამ ასეთი მოქმედებას ფლემინგი მორცხვად უმალავდა ყველას, და სწორედ ამ მორცხვობის გამო ზედმეტად ცივი, თავშეკავებული, მკვახე ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა

უცნაურ სიამოვნებას ჰგვრიდა მას საკუთარი თავის უკუღმართულად წარმოჩინება; ნაწილობრივ სწორედ ამით აიხსნება, რომ გარდა თანამშრომლებისა, სხვები არც კი იცნობდნენ მის პიროვნებას. ლეგენდა, რომელიც მასზე იქმნებოდა, თავშესაქცევად, გასართობად გაეხადა ფლემინგს. ყოველგვარი მონაჭორი, რაც კი გაზეთში დაბეჭდილია მასზე, ამოკრილი და შენახული ჰქონდა, თითქოსდა სიმართლე წერებულიყოს მათში. ფლემინგის განკარგულებით, მის მდივანსა და დოქტორ ჰიუგს მინდობილი ჰქონდათ ერთი საქალაღდე, რომელშიც უნდა შეენახათ ყველა მასალა ამ თემაზე. ამ საქალაღდეს ერქვა „მითი ფლემინგზე“. ალეკი თვითონვე ჰყვებოდა ხოლმე ამ მონაჭორ ამბებს, თანაც ცდილობდა, რომ დავიწყებას არ მისცემოდა ისინი.

იგი დარწმუნებული იყო თავისუფალი, შეუზღუდავი კვლევა-ძიების ნაყოფიერებაში და ამას მტკიცედ იცავდა ინსტრუქტში. „მკვლევარი თავისუფალი უნდა იყოს გზის არჩევისას. რომელი გზითაც უკარხახებს წასვლას აღმოჩენა, იქით უნდა გაემართოს... ყველა მკვლევარს უნდა ჰქონდეს ცოტაოდენი მაინც თავისუფალი დრო, რათა განახორციელოს საკუთარი ჩანაფიქრი ისე, რომ არაფერს გააგებინოს ეს (თუკი ასე სურს მას). აი ასეთ თავისუფალ დროს შეიძლება დიდმნიშვნელოვანი რამის აღმოჩენა“. იგი ირონიით ჰყვებოდა ერთ ამბავს პატარა ჭიმიური ფაბრიკისას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ნამდვილი მკვლევარის აყვანა სამსახურში. მკვლევარმა ორშაბათ დღით დაიწყო მუშაობა. დირექტორის კაბინეტისაგან მინით გატიხრულ ოთახში მოუწყვეს ლაბორატორია. ფაბრიკის ხელმძღვანელები მთელი დღია იდგნენ და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს თეთრხალათიანი მეცნიერის მუშაობას. შუაღდე რომ დადგა, ვეღარ მოითმინეს, შევიდნენ და ჰკითხეს: „როგორაა საქმე, აღმოაჩინეთ რამე?“

„ადამიანებისათვის დამახასიათებელია სულსწრაფი წადილი, რომ მაშინვე მოაღწიონ შედეგს, — ამბობდა ფლემინგი, — მაგრამ ამას მხო-

ლოდ ზიანი მოაქვს. ჭეშმარიტი სარგებლობა შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ხანგრძლივ საკვლევადიებში მუშაობას. ხდება ხოლმე, რომ ლაბორატორია მთელი რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერს იძლევა: პრაქტიკულად გამოსაყენებელს. და აი, უცებ, სავსებით მოულოდნელად მეცნიერები რაიმეს აღმოაჩენენ — შეიძლება არა იმას, რისი იმედიც ჰქონდათ, არამედ სრულიად სხვას. მაგრამ ეს სხვა ისი წლით წინასწარ აანაზღაურებს ლაბორატორიაზე გაწეულ ხარჯებს“. ამის მაგალითად იგი პასტერს ასახელებდა. „ხალხი ლაპარაკობდა: „რატომ ასტეხენ ასეთი ხმაური პაწაწინა კრისტალების მცირეოდენ ასიმეტრიაზე? ვის რაში ჰქრდება ეს?“ შეიძლება ვუპასუხოთ ფრანკლინის სიტყვებით: „რის მაქნისია ახალშობილი ბავშვი?“

= ფლემინგი საფრანგეთს კვლავ ეწვია 1946 წელს, როდესაც აღნიშნავდნენ ასორბოცდაათ წელს პასტერის გარდაცვალებიდან. ყველა მეცნიერი, ვინც კი მოწვეული იყო ამ ზეიმზე დასასწრებად, სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა. „მატარებელში, — იგონებს დოქტორი ვან ჰეინინგერი, — ჩვენთან მოვიდა ფრანგი სტუდენტების ჯგუფი. მათ გეითხრეს, რომ თარჯიმანებად და გიდებად მოგვემსახურებოდნენ. სტუდენტები პირდაპირ მუხლს იდრეკდნენ ფლემინგის წინაშე და ხველა დროის უდიდეს მეცნიერად აღიარებდნენ მას. „ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე მე, — ალბათ როგორ უხერხულ მდგომარეობაშია ფლემინგი. მით უმეტეს, რომ გვერდით კოლეგა უზის. მძიმე გამოცდაა, ვნახოთ, როგორ დაიძვრენს თავს...“ წარმოიდგინეთ, რომ მშვენიერად გამოვიდა ამ საჩოთირო მდგომარეობიდან, და მე ვფიქრობ, რომ უკვე მარტო ამითაც შეიძლება აღამიანზე მსჯელობა. სრულიად არ იბღინებოდა, სავსებით ბუნებრივად იქცეოდა, ხალისიანად, და როგორც ხანდახან სჩვეოდა, ენამოსწრებულად ელაპარაკებოდა მათ“. ახალგაზრდებს უამბო იმდროინდელ თავის მუშაობაზე, რომელიც გაცილებით უფრო აინტერესებდა, ვიდრე თავისი აღრინდელი აღმოჩენები. ფლემინგს სიამოვნებდა სახელმძხვვეკილობა, მაგრამ იგი ოდნავადაც არ ამაყობდა ამით. იგი ისეთი გატაცებით აგროვებდა ორდენების კოლექციას, როგორც მოწაფე აგროვებს მარკებს, და ბავშვივით უხაროდა ხოლმე, როცა რომელიმე იშვიათ ეგზემპლარს მისცემდნენ.

პრეს-კონფერენციაზე ფლემინგმა დამსწრეთ მოაგონა, პასტერმა

ჯერ კიდევ 1877 წელს შენიშნა, რომ მისი კულტურის რომელიღაც ობი სპობდა ციმბირის წყლულის ბაცილას, და იგი ჯერ კიდევ მაშინ წინასწარ გრძნობდა, რომ რომელიღაც ნავთიერება, მსგავსი პენიცილინისა, ოდესმე შეიძლება გამოყენებულ იქნას ინფექციურ სნეულებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. „აი უკვე ერთი კვირაა, რაც საფრანგეთში ვარ, — ამბობდა ფლემინგი, — მლოცვარესავით დავიარე ის ადგილები, სადაც ლუი პასტერის სული მეფობს: დოლე, სადაც დაიბადა იგი; არბუა, სადაც ჰაბუკობა გაატარა მან; პარიზი. სადაც დაკრძალულია იგი. მისი ცხედარი პარიზში, პასტერის ინსტიტუტში განისვენებს. მაგრამ მისი გენია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადაფრთოვანებს მეცნიერებს, ბიძგს აძლევს მთელ საკვლევადიებო მუშაობას მიკრობიოლოგიაში — მეცნიერებაში, რომელსაც სწორედ მან ჩაუყარა საძირკველი. ეს საძირკველი ისე მკვრივადაა ნაგები, რომ ახლა თავისუფლად ზადულობს შენობას, რომელიც თავისი მასშტაბებითაც და დიდებითაც ბევრად აღემატება ყოველივე იმას, რაზედაც წინასწარმეტყველებდა თვით პასტერის სწორუბოვარი გენია“.

მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოსდიოდა მოპატიყება ფლემინგს. ყველგან საზეიმო მიღებას უწყობდნენ. მაგრამ ყველაზე დიდ, ჰემმარიტ სიხარულს იგი განიცდიდა თავის ახლობლებში ყოფნისას, სუფოლკის საგრაფოში, თავის ბაღში მიწის ჩიჩქნისას. იგი ნამდვილი მეოჯახე კაცი იყო. „ყველაზე კარგ გუნებაზე მაშინ იყო, როცა ყველანი თავს მოიყრიდნენ, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა ხოლმე“, — გვიამბობს მისის მკამილანი. ფლემინგს ძალიან უყვარდა თავისი ვაჟი შვილი, რომელიც შემდგომ ექიმი გახდა. მისი ცოლი ლედის ტიტულის მიღების შემდეგაც კი ძველებურად თავმდაბლობდა და ძველებურად ერთგული დარჩა თავისი ადრინდელი მეგობრებისა; დიდებამ თავბრუ როდი დაახვია მა!.. საჩინი ისე კარგად იცნობდა თავის ქმარს, რომ სულაც არ წუხნდა, როცა ანაზღად აუხსნელი მღუმარების ხასიათზე დადგებოდა იგი. „მაგონდება, — წერს პროფესორი კრუიკმენკი, — ერთხელ დავესწარი მის დაბრუნებას მორიგი ტრიუმფალური მოგზაურობიდან. სახლში შემოვიდა, ჩემოდანი დადგა და სიტყვაც არ დაუძრავს. ცოლმა უთხრა, საქმელი მზადააო, დაჯდა და ხმისამოუღებლად ივახშმა. ერთი სიტყვა არ დასცდენია. ძალიანაც უნდოდა ალბათ ეამბნა თავის მოგზაურობაზე, მაგრამ ხელს უშლიდა აუხსნელი შებოჭილობა“.

სარინი ლონდონის სახლშიც და „ღუნშიც“ საოჯახო საქმიანობას დამხმარის გარეშე ეწეოდა, თუმცა მეგობრების სტუმრიანობას ბოლო არ უჩანდა. „ღუნში“ ყოფნის დროს ბევრი მოულოდნელი თავშესაქცევი ამბავი ხდებოდა ხოლმე მათ ცხოვრებაში და ფლემს ეს ძალიან მოსწონდა. ერთ ორშაბათს ფლემინგს თავისი მანქანით ვაგზალზე მიჰყავდა შაბათ-კვირას მათთან სტუმრად ნამყოფი მეგობრები. მაგრამ გვიან აიბარგნენ და მატარებელს ვეღარ უსწრებდნენ. „აბა ენახოთ!“ — წამოიძახა უცებ მასპინძელმა და მეზობელ სადგურაქდე მანქანით სდია ორთქლმავალს. საცოდავი მგზავრები აქეთ-იქით ეხეტქებოდნენ და თან აქეზებდნენ მხიარული შეძახილებით: „დააქირე, ფლემ, დააქირე!“ და აი ფლემმა მკეთრად დაამუხზრუქა, მანქანა საშინელი ხრქიალით გაჩერდა ვაგზალთან. მატარებელი კი ის იყო სადგურს უახლოვდებოდა. მეგობრებმა მხიარული ყიჟინა დასცეს: „ვაშა! ყოჩაღ, ფლემ!“ — და ვაგონში შეცვივდნენ.

ძველი ტრფიალება, უბრალო სოფლური სიხარული — აი რა განაცდევინებდა ფლემინგს ნამდვილ ბედნიერებას. სხვა რამ არც კი უნდოდა. ერთ მეგობარს უთქვამს მისთვის ერთხელ: „თავის მოსაქრელი ამბავია, რომ სამშობლომ დღემდე ვერ გადაგიხადათ იმის სანაცვლო, რაც თქვენ კაცობრიობისათვის გააკეთეთ, პენიცილინი რომ მიეცათ მას. ხომ შეიძლებოდა მოეცათ ხელშესახები ჯილდო, მაგალითად, ასი ათასი გირვანქა, რომის დამთავრების შემდეგ რომ აძლევენ ხოლმე გამარჯვებულ გენერლებს“. — „მერე და რად შინდა ასი ათასი გირვანქა? — შეეკითხა ფლემინგი. — მე ყველაფერი მაქვს, რაც კი მჭირდება“. იშვიათი გამონაკლისია ადამიანი, რომელიც ასე არ გაეფუჭებინოს დიდებას. „ფლემი ხშირად მათეებდა ხოლმე, — წერს დოქტორი სტიუარტი. — იგი ნამდვილი განსახიერება იყო წმინდასისხლიანი ჯიშის ადამიანისა, ჩვენს დროში რომ ეგზომ იშვიათი მოვლენაა, ორჭოფულის, არაბუნებრივის ნატამალღე არაფერი ჰქონდა ამ კაცს. მიუხედავად უამრავი მოგზაურობისა, საზეიმო შეხვედრებისა, მიუხედავად ყველაფრისა, იგი სიცოცხლის ბოლომდე ისეთივე ჭაბუკად დარჩა, როგორიც ჩამოვიდა ოდესღაც ლონდონში თავისი მშობლიური შოტლანდილიდან.

ერთხელ შემთხვევით გავიცანი ერთი ფრანგი ქალი, რომელიც მე-ძალღეობას მისდევდა. როდესაც შეიტყო, რომ მე შოტლანდიელი ვარ,

მიტხრა. ერთი კარგი შეგობარი მყავს; ალექსანდრე ფლემინგი, ისიც შოტლანდიელიაო. ქალი რამდენიმე წლის წინ შეხვედრია ფლემინგს, და როგორც ადამიანი, ძალიან მოსწონებია, თუმცა სულაც არ იცოდა, რომ იგი სახელოვანი მეცნიერი იყო. „ეს იმიტომ, რომ თქვენ გიყვართ წმინდა ჭიშის ძაღლები“, — წამომცდა უცებ. ქალმა ჯერ გაიკვირვა, შემდეგ კი დასძინა: „თქვენ მართალი ხართ“.

XVI. საბანგეო დისკანი

წიგნული შეცნობა არ არსებობს.
ესევე როგორც არ არსებობს ურთიერთ-
განმარების ცხრილი.

ჩემო

1946 წელს ბრიტანეთის საბჭომ, ისევე როგორც ეს
ომამდე ხდებოდა, რამდენიმე სტიპენდია გამოჰყო უცხოელი მკვლევარებისათვის. პრეტენდენტთა შორის იყო ერთი ახალგაზრდა ბერძენი
ქალი: ექიმი ამალია კუცურის-ვურეკა. მამამისი, რომელსაც პარიზსა
და ათენში ჰქონდა მიღებული საექიმო განათლება, 1914 წელს საექი-
მო პრაქტიკას მისდევდა კონსტანტინოპოლში. ომის დაწყების შემდეგ
იგი იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო და საბერძნეთში დაბრუნდა.
სახლიცა და კლინიკაც კონფისკებული დახვდა. მისი ქალიშვილი ამალია
კუცურისი, მედიკოსი-სტუდენტი, ცოლად გაჰყვა თავისი ძმის კოლე-
გას, არქიტექტორ მანოლი ვურეკას. მეორე მსოფლიო ომის დროს
ამალია ვურეკა და მისი ქმარი აქტიურად მონაწილეობდნენ ბერძენი
ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობაში და ოკუპანტებმა ორივენი ციხე-
ში ჩაყარეს. ომის დამთავრების შემდეგ ყველაფერი განადგურებული
დახვდათ — სახლიც, არქიტექტორის სახელოსნოც, ლაბორატორიაც,
სადაც ცოლი მუშაობდა. ამალია უარაფროდ დარჩა. რადგან ომის
დროს მას საშუალება არ ჰქონდა თვალი ეღვენებინა მეცნიერების გან-
ვითარებისათვის, ძალიან გაუხარდა, როცა ინგლისში სასწავლებლად
წასვლის შესაძლებლობა მიეცა. საბერძნეთში ახლა მას აღარაფერი
აკავებდა, უკვე თითქმის ათა წელი გავიდა, რაც იგი ფაქტიურად გა-
შორებული იყო ქმარს, თუმცა მაინც უყვარდა იგი.

ბრიტანეთის საბჭოს სტიპენდიების მინიჭება უგამოცდოდ ხდებო-

და. კანდიდატებს უნდა წარედგინათ თავიანთი დიპლომები, პროფესორების შეფასება და ცნობა იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა, როგორ იქცეოდა ომის დროს. გაცხრილვის შემდეგ დაჩენილ კანდიდატებს გაესაუბრებოდა დირექტორი, ისტორიკოსი სტივ რენჩმენი. უმაღლესი ქულა მიენიჭა ახალგაზრდა ბერძენ ქალს, რომელმაც შეკითხვაზე: „რატომ მოგწონთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა?“ — უბრალო და გულწრფელი პასუხი გასცა. მასწავლებლებიც კარგ რეკომენდაციას აძლევდნენ, და, ამრიგად, იგი პირველი აღმოჩნდა სიაში. დაამთავრა რა სამედიცინო ფაკულტეტი, იგი ბაქტერიოლოგიაში დასპეციალდა.

ოკუპანტებისაგან განთავისუფლებამდე საბერძნეთში უცნაური ხმები ჩადიოდა პენიცილინზე. ამბობდნენ, რომ ინგლისელებმა იპოვეს ერთი პატარა მედღუზა, რომელსაც შესანიშნავი სამკურნალო თვისება აღმოაჩნდაო. თითქოს ამ მედღუზას აყლაპებდნენ ავადმყოფებს, და იგი, მონელებამდე, ასწრებდა ისეთი ნივთიერების გამოყოფას, რომელიც კურნავდა სეპტიცემიას. მედღუზაზე შექმნილი მითი ომის შემდეგ შეცვალა უფრო სერიოზულმა ცნობებმა. ამალიას პროფესორი ბერძენი ალივიზატოსი, ანტიბიოზს აღმოაჩინა, კარგად იცნობდა ფლემინგის შრომებს და აღფრთოვანებული იყო. მან თავის ყოფილ სტუდენტს ურჩია შეცდილიყო ამ შოტლანდიელი მეცნიერის განყოფილებაში მოწყობას. შეკითხვა გაუგზავნეს ფლემინგს და მან უპასუხა, რომ თანახმა იყო ექვსი თვით აეყვანა იგი პრაქტიკაზე. ამალია ვურეკა ლონდონს გაემგზავრა.

სენტ-მერიში იგი პირველად 1946 წლის 1 ოქტომბერს მივიდა: ფლემინგმა პრაქტიკანტი ერთ პაწაწინა კაბინეტში მიიღო და ჰკითხა, რა თემაზე გსურთ მუშაობაო. ქალმა უპასუხა „ვირუსებზე“. ფლემინგმა მიუგო, ვირუსოლოგიის განყოფილებაში თავისუფალი ადგილი არა გვაქვს, და იქნებ ალერგიამ დაგაინტერესოთ? ფლემინგს დაბალი ხმა ჰქონდა, თანაც შოტლანდიური აქცენტით ლაპარაკობდა, ბაგეებს არ ხსნიდა, სიგარეტი ხომ მოუცილებლად პირში ეღო. ბერძენმა ქალმა ინგლისური კარგად არ იცოდა და ზიტყვა „ალერგია“ ვერ გაიგო, მიიუხმეტეს, რომ პროფესორმა იგი „რ“-ს გარეშე წარმოთქვა.

ფლემინგმა ქალს ორჰოფობა შეატყო და იფიქრა, ალბათ არ სურს ალერგიის შესწავლაო. სახეზე კეთილი ღიმილი დაეფინა და ჰკითხა: ჩემთან მუშაობას ხომ არ ისურვებდით? თანაც ისეთი კილოთი წარმოთქვა ეს, თითქოს თხოვდა ქალს, პატივი დამდეთ და ნუ მეტყვიით

უარსო. პრაქტიკანტი ხელად დათანხმდა, რათა ბოლო მოღებოდა მისთვის მტანჯველ საუბარს, თან კიდევ ერთბაშად მოიხიბლა ფლემინგის მუდარაინი მზერითა და შუქმფინარე ღიმილით. ამ კაცს თითქოს უცებ ჩამოეხსნა სახიდან ცივი ნიღაბი და უსაზღვრო კეთილმოსურნეობამ გამოაშუქა მისი არსებიდან. „თავიდან რატომღა აიფარა ეს ნიღაბი, — გაიფიქრა ამალიამ. — თავშეკავებულობაა ეს, უბრალო თავაზიანობა, სიფრთხილე თუ ეშმაკობა?“

ქალი მიხვდა, რომ მისმა დაბნეულობამ ფლემინგს დახმარების სურვილი გაუღვიძა და ამიტომ კიდევ უფრო მეტი მადლიერებით განიმსჭვალა მის მიმართ, რადგან ეულად თვლიდა თავს ამ უცხო ქვეყანაში, სრულებით რომ არაფრით ჰგავდა მის სამშობლოს. როდესაც ამალია კაბინეტში შევიდა, ერთი ტანდაბალი, უკარება და მკაცრი კაცი დაინახა. შემდეგ კი საოცარი გარდაქმნა მოხდა და ქალმა ანაზღად სხვა ადამიანი იხილა. ახლა მის წინ იყო უჩვეულო, ცოცხალი, ქვეიანური, ადამიანური თვალების მქონე კეთილი კაცი. იქნებ ორი პირი ვეღვაძე შეხვედრას შეეძინა ფლემინგის ამ გაორებულობით.

როდესაც ამალია მუშაობას შეუდგა, ფლემინგმა იგი წარუდგინა სერ ალმროტ რაიტს, რომელიც თუმცა ვადამდგარი იყო სამსახურიდან, კვირაში ორ-სამჯერ მაინც ჩამოდოდა, რათა „ლაბორატორიის პანერი შეეყნოსა“. ახალგაზრდა უცხოელ ქალზე რაიტმა ისტორიამდელი მამონტის შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო გარეგნული იერით, არამედ იმიტომაც, რომ ამ კაცის გვარი მას ენახა სახელმძღვანელოების გარეკანზე ძველი დროის ისეთ მეცნიერთა გვერდით, როგორიც იყვნენ პასტერი, კოხი, ერლიხი. ამალია ვურეკა იყო პირველი ქალი, რომელიც მიიღეს ამ განყოფილებაში, სადაც კვლავ ბატონობდა რაიტისეული ქალმოდულეობის სული. სხვათა შორის, მხოლოდ ბერიკაციის სიკვდილის შემდეგ მისცეს მას ნება ესადილა საავადმყოფოს სასადილოში და დასწრებოდა ჩაის სმას ბიბლიოთეკაში. ფლემინგმა ერთ ახალგაზრდა ექიმს დაავალა ლაბორატორიის მოწყობილობა გაეცნო „ახლისათვის“. ლაბორატორიაში აპარატურა მეტისმეტად ფაქიზი, აღვილად მტკრევალია და განსაკუთრებით ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს. ამავე დროს მათ გამოუყენებას ოსტატური ხელმარჯვეობა სჭირდება. ფლემინგი ძველებურად ამაყობდა იმით, რომ სხვებზე მარჯველ

შეეძლო მათი ხმარება. ამალიამ თავის გულში გაიფიქრა, ამ კაცს ბიკური თვისებები შერჩენიაო. და იგი მართალი იყო.

ფლემინგი ხშირად იწვევდა მას ლაბორანტების ოთახში და მიკრო-პპეტების გაკეთებას ასწავლიდა გაზის სანათურზე. ქალს ეს ძალიან უძნელდებოდა, იგი კი სიამოვნებდა ახალბედას წარუმატებლობის შემხედვარე და იცინოდა.

ფლემინგმა გადაწყვიტა ერთი მეცნიერული პრობლემის დამუშავება ამალია ვურეკასა და რობერტ მეისთან ერთად. განსაზღვრა თემა (სტრეპტომიცინის ტიტრირება), შეადგინა ცდების გეგმა და შემდეგ თვითონვე დაწერა მეცნიერული ინფორმაცია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოითხოვა, რომ მისი გვარი ბოლოში ყოფილიყო მოხსენიებული. „თქვენთვის ასე აჯობებს, მე კი ამით არაფერი დამაკლდება“. ასეთმა მოქცევამ, ურთიერთობაში უბრალოებამ, გულკეთილობამ, თავისი თავის ბევრად არაფრად ჩაგდება, განსაკუთრებულმა ჭკუაგონებამ, სიტყვაძვირობამ — ყოველივე ამან გმირის შარავანდელით შემოსა იგი ბერძენი ქალის თვალში.

იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა მასწავლებლის კარი მუდამ ღიაა მოწაფეებისათვის, როცა ყოველთვის შეიძლება მასთან შესვლა და რჩევის კითხვა. თავისი მბრუნავი სკამით შემოტრიალდებოდა თქვენკენ. ცხოველი ინტერესი და სასიამოვნო მოლოდინი ეხატა სახეზე. შეეკითხებოდით, ხელი ხომ არ შეგიშაღეთო. „არა, არა, — გეტყობათ მაშინვე, — მე ხომ არაფერი საქმე არა მაქვს“. უამბობდით რაიმე საკითხზე. რომლის გადასაწყვეტად რამდენიმე დღე თავს იმტკრევდით იმწასვე გიპასუხებდით. „ყოველთვის შეეძლო ახლებურად გაეშუქებინა თქვენი პრობლემა, მოეძებნა ისეთი ამოხსნა, ერთხელაც რომ არ მოგსვლიათ აზრად, შეეძლო ერჩია სრულიად ახალი ცდების ჩატარება“. ისეთი თემაც კი რომ ყოფილიყო, რომელსაც თითქოს არაფერა ჰქონდა საერთო იმ საკითხებთან, რომელზედაც თვითონ მუშაობდა, მაინც ხელად გაიზარებდა და სწორად ჩაწვდებოდა მის არსს. რჩევას რომ მოგცემდათ, შემდეგ შემოტრიალდებოდა სკამზე და თავის სამუშაოს მიუბრუნდებოდა. შეეძლო ერთდროულად რამდენიმე საქმე ეკეთებინა, თანაც ძალიან კარგად. უცებ მიაგნებდა ხოლმე სათანადო ამოხსნას. ამ მხრივ მან კარგად იცოდა თავისი ფასი და ამაცობდა ასეთი უნარით.

ამალია ვურეკამ ერთხელ მოისმინა მისი საუბარი ერთ-ერთ კოლე-

გასთან კობისა და პასტერის დამსახურებაზე. კოლეგა თურმე კოსს უფრო აფასებდა.

პასტერი, — კამათობდა კოლეგა, — ძალიან ცოტას ატარებდა საკონტროლო ცდებს.

— პასტერი გენია იყო, — უპასუხნია ფლემინგს. — იგი აკვირდებოდა მოვლენებს და, რაც კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია, ახდენდა მათ შეფასებას, განსაზღვრავდა მათ რაობას. პასტერის ყოველი ცდა საბოლოო იყო და ას სხვა ცდას უტოლდებოდა მნიშვნელობით. ამის დადასტურება კი ისაა, რომ მას შეეძლო უთვალავჯერ გაემეორებინა იგი, და ყოველთვის ერთნაირი წარმატებით.

„მაშინ გავიფიქრე, — წერს ამალია, — პასტერის მსგავსად იგიც მადლცხებულა ნიჭით სწორედ ისეთი ცდა ჩაატაროს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, და დიდმნიშვნელოვანი დასკვნები გააეთოს შემთხვევითი დაკვირვებების შედეგად. ნაპერწყლებივით ანთებულ თვალბზე შევატყვეე მაშინ, რომ თვითონაც ძალიან კარგად იცოდა ეს. რაოდენ სხვადასხვაგვარად აფასებენ ეს მეცნიერნი საკუთარ თავს, გავიფიქრე ჩემს გულში. პასტერი აღიარებდა, რომ გენიალური იყო, კვლევა-ძიების მეტი ამ ქვეყნად არაფერი აინტერესებდა; და ამ მუშაობის შეწყვეტა მართლაც დანაშაული იქნებოდა: ფლემინგისათვის კი ლაბორატორიის მიღმაც არსებობდა სამყარო. საკუთარ ბაღში ახალი ყვავილის ამოსვლა ისევე აინტერესებდა, როგორც თავისი მეცნიერული მუშაობა. ყველაფერს ერთნაირად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. მის თვალბსაც კი შერჩენოდათ ის გაოცებული გამომეტყველება, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა, როცა ალტაცებით უმზერდა ლანდების უკიდვანო სივრცეებს, როცა ტკბებოდა მშობლიური ლოკფილდის ბორცვების, ხეობებისა და მდინარეების სილამაზით. იგი ახლაც ისევე, როგორც ოდესღაც, მოწაფეობისას, თავის თავს ბუნების ერთ პაწაწინა ნაწილაკად მიიჩნევდა. სწორედ ამის მიზეზით იყო, რომ არ სურდა თავისი თავის წარმოჩინება, და ეზიზღებოდა მყვირალა ფრაზები. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ იგი გენია იყო ძალაუნებურად, საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ“.


ხშირად უწყვედა შორეული მოგზაურობანი და, უკან დაბრუნებულნი, თავის კოლექციას ამდიდრებდა მედლებით, ჯვრებით, დოქტორის წოდებებით. რობერტ მეთუსა და ამალია ვურეკას თვალბგაბრწყინებული უამბობდა სასაცილო თავგადასავალს, რომელიც გადახდენოდა მოგ-

ზურაბაში. მათი კეთილმოსურნე, ცხოველი ყურადღება იძლეხად სი-
ამოვნებდა და ისე ცვლიდა ამ ადამიანს, რომ თავშეკავებული მორცხ-
ვობის ნატამალიც აღარ ეტყობოდა. ამალის ყოველ დილით ესმოდა
ლაბორატორიაში მოსული ფლემინგის ახალგაზრდული ნაბიჯის ხმა,
და სხარულს განაცდევინებდა ეს, სიმხნევეს მატებდა და ამშვიდებდა,
ბედნიერებას ჰგვრიდა.

1947 წლის ცამეტ აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარ-
დაიცვალა სერ ალმროტ რაიტი. ფლემინგს დიდი მწუხარება მიაყენა ამ
ამბავმა. ძნელად მოიძებნებოდა ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებუ-
ლი ორი ადამიანი. დოქტორ ფილიპ გ. უოლკოკსის სიტყვით, „ფლე-
მინგთან იოლი იყო საერთო ენის გამონახვა. იგი მუდამ მშვიდი იყო,
არასოდეს არ ამეღვენებდა ნერვულ დაძაბულობას. თვინიერი და დინ-
ჯი ფლემი არასოდეს არ იყო გარე სამყაროსაგან განკერძოებული და
მხოლოდ თვისი მუშაობით შემოზღუდული. ამ მხრივ იგი გაცილებით
უფრო კაცური კაცი იყო სერ ალმროტ რაიტთან შედარებით, რომე-
ლიც ბუმბერაზული ჰკუა-გონების მქონე მეცნიერის მთაბეჭდილებას
ახდენდა, რომელიც ბაქტერიების სამყაროში იყო ჩაფლული და სუ-
ლაც არ აინტერესებდა სპორტი ან სხვა რამ გასართობი“. სრული
ქეშმარიტებაა. რაიტი ასკეტი და ესთეტი იყო, მკაცრი ფილოსოფოსი,
საკუთარი თავის გვემით დამტყბარი; ყოველგვარი ფუფუნება ეზიზღე-
ბოდა. ნუთუ არაფერი სიამოვნებდა ამ კაცს? როგორ არა — კულტუ-
რით მის დონეზე მდგომ ადამიანებთან საუბარი, მუსიკა, მეცნიერება
და პოეზია. მაგრამ სხვა არაფერი.


მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში კოლბრუკმა გაიხსენა, რომ
თავისი მოწაფეებისათვის რაიტი იყო არა მარტო მეცნიერი, არამედ
მეგობარიც და სახელოვანი ადამიანიც.

„ყველას გვახსოვს, როგორ მშვიდად შემოდრიოდა იგი ლაბორატო-
რიაში, რათა შედგომოდა თავის ყოველდღიურ მუშაობას. ყველას გვახ-
სოვს მისი სალამი: „რას იტყვით, ჩემო მეგობარო, რა ისწავლეთ დღეს
ჩვენი დედა-მეცნიერებისაგან?“ ჩვენ გვახსოვს მისი ცხოვრების მკაც-
რი და სადა ნირი, მისი განუზომელი სიკეთე და გულუხვობა, რასაც
ბევრის მიმართ იჩენდა, თუმცა ცოტამ თუ იცის ეს, გვაგონდება, თუ
თავისუფალ დროს როგორ შემოუვლიდა ხოლმე თავის ბაღს თოხით
ხელში; გვახსოვს ქალის ჰკუა-გონების არასრულყოფილობაზე რომ
მოიყვანდა ახალ დამადასტურებელ საბუთს ან რომელიმე ახალ სიტყ-



პენიცილინის წარ-
მოება (ზემოთ—სა-
ამქროში, ქვემოთ—
ქარხნის ლაბორა-
ტორიაში)





ალექსანდრე ფლემინგი ლაბორატორიაში

ვას როცა იგონებდა, თვალის ხამხამს მოჰყევბოდა. გვახსოვს, რა ბრწყინვალედ იცოდა რაიმეს მოყოლა, გვახსოვს მისი სიყვარული პოეზიის საგანძურისადმი, რომელიც ამდიდრებდა მის დიდ გონებას მთელი ამ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე“.

ფლემინგისათვის რაიტის სიკვდილით მთელი ეპოქა დამთავრდა. მართალია, მასწავლებელი ზოგჯერ აწვალებდა მას. მაგრამ ფლემინგს მხოლოდ ის ახსოვდა, თუ რაოდენ დავალებული იყო მისგან. ფლემინგი ახალბედებს რაიმე აპარატს აჩვენებდა ხოლმე და თან დასძენდა, ეს რაიტმა გამოიგონა და მის ღსოვნასთანაა სამუდამოდ დაკავშირებულიო. მარტოდმარტო რომ აღმოჩნდა ინსტიტუტის სათავეში, ფლემინგს ალბათ ისეთი განცდა ჰქონდა, როგორიც ექნებოდა შვილს, რომელმაც მ-მა დაჰქარგა და უცებ ოჯახის დასაყრდენად და ახალი თაობის მეთაურად იქცა.

როდესაც საჭირო გახდა ვურეკას სტიპენდიის ვადის გაგრძელება, ბრიტანეთის საბჭომ ფლემინგს გამოუგზავნა გრძელი ანკეტა, რომელიც მან მაშინვე თავშესაქცევად გამოიყენა. რატომღაც სიამოვნებდა ახალგაზრდა ქალის უბოროტო გაქიაქება, წარამარა შედოდა ლაზორატორიაში და ეკოთხებოდა: „რა უნდა ვუპასუხო ამ კითხვაზე? მიიღწიეთ თუ არა რაიმეს ამ დარგში?“ საექვოა...“ და, როგორც სჩვეოდა, ყოველივე ამას საკსებით სერიოზული კილოთი ამბობდა. შეუძლებელი იყო იმის მიხვედრა, ხუმრობდა თუ არა. ასეა თუ ისე, ფლემინგმა ფრიად საქებარი დახასიათება დაწერა, და ამალიას სტიპენდია გაუგრძელეს.

დაახლოებით იმ ხანებში ფლემინგმა წერილი მიიღო ელზასელა წარმოშობის ერთი ამერიკელისაგან, რომელიც საკმაოდ გულუხვად წყალობდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას როგორც ამერიკაში, ისე ინგლისსა და საფრანგეთში. ეს შესანიშნავი აღამიანი გახლავთ ბენ მეი. თავისი კარიერის დასაწყისში სამ დოლარს აკეთებდა კვირაში, შემდეგ ალაბამაში ხე-ტყის გასაღების წარმოება შეჰქმნა და გამდიდრდა. თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ამერიკასა და ევროპაში მედიცინის დარგში მომუშავე მკვლევართა დახმარებაზე ხარჯავდა. და აი, 1947 წლის ნოემბერში იგი წერს ფლემინგს:

„თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ მე ერთი იმათგანი ვარ. ვინც თქვენგან დავალებულად თვლის თავს. ჩემი მაღლობა მინდა გამოვხატო რაიმე უფრო არსებითით, ვიდრე ლიტონი სიტყვებია... თუ გაქვთ

თავისუფალი დრო, მაცნობეთ, რამდენი კარგი მკვლევარია ინგლისში, ხელმოკლეობის გამო სიძნელეებს რომ განიცდის მუშაობაში... რა მდგომარეობაა საფრანგეთში?... მე, მაგალითად, მგონია, რომ პარიზის პასტერის ინსტიტუტსაც კი არა აქვს ყოველივე აუცილებელი... თუ შეიძლება, გთხოვთ შემატყობინოთ, გაქვთ თუ არა სტერეოსკოპული მიკროსკოპი?... ნუ მოგერიდებათ, მაცნობეთ, რაც გჭირდებათ. თუ ამას გააკეთებთ, დიდ პატივს დამდებთ. მე ვერ გამოვიგონე რაიმე ჰერბი საიქიოში ფულის წასაღებად და არც იმის გარანტია მაქვს, რომ მათ გასაჯალი ჰქონდეთ სტიქსის გაღმა. ამიტომ უფრო დიდ სიამოვნებას მგვრას მათა ხარჯვა სასარგებლო საქმისათვის..." ბენ მეი ფლემინგს სთავაზობდა სტიპენდიას რომელიმე მკვლევარისათვის. არჩევანს კი თვით ფლემინგს ანდობდა.

ფლემინგმა უპასუხა, რომ სტერეოსკოპული მიკროსკოპი დადასტურდა და დაეხმარებოდა. და სტიპენდიანტის კანდიდატად კი ამალია ვურეკა წარადგინა, თუმცა ქალს არც თანხმობა ჰქონდა და საერთოდ არც კი გააგებინა ეს ამბავი. როდესაც ყველაფერი მოგვარდა, მომხდარა დაქტის წინაშე დააყენა იგი, თანაც ურჩია უარი ეთქვა ბრიტანეთის საბჭოს სტიპენდიასზე და მუშაობა განეგრძო ბენ მეის სუბსიდიით, რომელიც უფრო ხანგრძლივი ვადით დაენიშნა.

ამალია ხშირად დადიოდა სტუმრად ფლემინგებთან ჩელსიში. ქალს ძალიან მოსწონდა ეს რაიონი, რომელიც დაკავშირებული იყო ბევრი მწიროლის სახელთან. მოსწონდა ეს მყუდრო სახლიც. ტკებებოდა ლამაზი ავეჯის მხერით, ძველებური მინის ჭურჭლით და იშვიათი ფაიფურით, შემწულ თაროებზე რომ ელაგა, ნატიფი გემოვნებით შეგროვებული ანტიკვარული ნივთებით. მაგრამ ყველაზე მეტად ხიბლავდა ალექსანდრის ჩაირკედელაობა. ალექი საკუთარ სახლში ისეთი აყო, როგორც ლაბორატორიაში, მუდამ რაღაცეებს იგონებდა, აკოწიწებდა, საგნებსა და ნივთებს ახლებურად იყენებდა. ერთხელ თურმე მოუხდა, რომ საწირ მაგიდაზეც ჰქონოდა ელექტრონათურა: აიღო გრძელი ზონარი, უყოყმანოდ შეუერთა საწოლი ოთახის ქალს, ჩამოუშვა რატაკზე. გააძვრინა კარქვეშ და გაჭიმა მაგიდისაკენ. ზონარი ყველას ფეხებში ებლანდებოდა. დეკორატორი დაუშვებელ, აღმამუთობებელ სიმანანჯედ ჩაფვლიდა ასეთ „მორთულობას“. მაგრამ ფლემინგი ამყობდა თავისი გამოგონებული მოწყობილობით, ამალია კი იმით იყო აღტაცებული, რომ ამ

ქვეყნად სხვას არავის შეეძლო მოეგონებინა საკითხის ესოდენ პრიმიტიული გადაწყვეტა და ეს ეკმარა.

ამალია ზოგჯერ თარჯიმნობას უწევდა ფლემინგსა და მის მრავალრიცხოვან უცხოელ სტუმრებს. იგი თავისუფლად ლაპარაკობდა სამ ენაზე და ფლემინგს ეს არაჩვეულებრივ მიღწევად მიაჩნდა. ერთ საღამოს ამალია ფლემს უთარჯმნიდა ესპანეთიდან ჩამოსული ერთი ბერძენის ლაპარაკს; სტუმარმა ალექს ფოტოსურათი სთხოვა ავტოგრაფით. ამალიამ ისარგებლა ამით და თვითონაც სთხოვა სურათი. ფლემინგს ვითომ არც კი გაუგონია თხოვნა. საქმეში მისი ცოლი ჩაჯერია. „ალექ, მიეცით თქვენი ფოტოგრაფია“. ფლემმა არაფერი უპასუხა. სარინი ამალიასაკენ დაიხარა და უაღრესად კეთილმისურნე კალოთი უთხრა: ჩემი ქმარი ხშირად ლაპარაკობს თქვენზეო. ფლემინგი შეეცა. სარინი კი მინც განაგრძობდა: „ფლემ, გაუმეორეთ, რასაც მე მცუბნებოდით“. ალექმა რაღაც ჩაიბურტყუნა, სურათი ამოიღო, ხელი მოაწერა და ამალიას გაუწოდა. ქალმა სასთუშაღთან დაიდო ფლემინგის პორტრეტი. მეგობრები ექილიკებოდნენ: „ხედავთ, ნამღვილი, ვიკანგია, ქერთმიანი, ხუჭუჭი კულულებით...“ ამალიას არ წყინდა ასეთი ოქუნჯობა, თავისი მასწავლებლის მიმართ იგი უდიდესი საყვარულით იყო გამსჭვალული და აღტაცებული იყო მისი პიროვნებით.

ფლემინგს კი მოდიოდა და მოდიოდა მიწვევები სხვადასხვა ქვეყნიდან. 1948 წელს იგი კვლავ გაემგზავრა პარიზში, ალექი არჩიეს ჩრდილოეთის აკადემიის წევრად, რომლის პრეზიდენტიც იმ ხანად ჯორჯ გიუისმანი იყო.

ფლემინგის დღიური

1948 წ. 23 აპრილი, პარასკევი. ბურჟში არავითარი დაბრკოლება არ ყოფილა, არც საბაჟოში, არც სხვაგან. მიმიღეს მისმა უსამღელღოესობამ დეტრეზმა, ჩრდილოეთის აკადემიის პრეზიდენტის ცოლმა მადამ გიუისმანმა „ლუტეციამდე“ ნაქანით ვიმგზავრეთ. ვისეირნეთ სინის ნაპირებზე. ჭიხურებში ბევრი ლამაზი რამ იკვდება, განსაკუთრებით ძველებური ნივთები, მაგრამ მეტისმეტად ძვირს აჯახებენ. ტაქსით რესტორან „ლუდოვიკო XIV“-მდე ვიქტუარას მოვდანზე. შოფერმა ვერ მიიგნო რესტორანს, რომელიც ძალიან პატარა ყოფილა. მეორე სართულზე აკადემიის თხოვთმეტი წევრი. მღვდელმსახურები, ლიტერატორები, არც ერთი მღვდისი. შესანიშნავი ვახშამი... იძულებული ვიყავი წარმომეთქვა სიტყვა. საუბარში „ცივი წყალი გადავასხი“ ერთ დრამატურგს, რომელსაც ერთ-ერთი ჩემი პატყვა წაეკითხა

და ირწმუნებოდა, მე ამოვიცანი ფლემინგიო, ვუთხარი, ფუქად იქებთ თავს, რადგან ჩემმა ცოლმა ავრ ოცდაათი წელია ჭერ ვერ მოახერხა ეს-მეთქი.

24 აპრილი, შაბათი. ერთი საათი ვისეირნე ლუქსემბურგის პალში. დიდი მხარულეზა. დედოფლის ყვაილები, ალისუმები და იაყუენები. ჰუკვის წაბლი. წამიყვანეს კარმელიტებთან შეფერის ქუჩაზე. აკადემიკოსები და კარმელიტები. ყრუ მოხუცი პოლ კლოდელი. აღმიარალი დ'არქანდე, ინგლისში მყოფი საფრანგეთის ფლოტის ყოფილი სარდალი, აწ — ბერად აღკვეცილა. ვიჭქი პრენიდენტ გიუ-ისმანსა (სახელმწიფო მრჩეველი. მიუეტენის ქუჩა, 1, XVI ოლქი) და აღმიარალს შორჩ, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობს. გრანდიოზული საუზმე დაიწყო 1 საათსა და 15 წუთზე და დამთავრდა 5 საათზე. წარმოითქვა უამრავი სიტყვა. ბევრი სასიამოვნო რამ ითქვა ჩემზე, მაგრამ ვერაფერი გავიგე

პარიზში ყოფნისას ფლემინგი პოზაში უდგა მოქანდაკე ბარონს, რომელსაც ფლემინგის პორტრეტიანი მედალი უნდა გამოეჭედა ზარაფხანისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ ალექმა ბარონისაგან წერილი და მედლის ფოტოგრაფია მიიღო.

ჟუჩენე ისინი 1) პიუგს. მითხრა: მკაცრი გამომეტყველება გაქვსო. 2) მკე-ლინს, მითხრა: მოკრივე ხარო. 3) შადამ ეურეკას. მიხრა: ველურს ჰგავხარო. 4) მემილანს და კენინგს. მიხრეს: ქალიან კარგიაო თან ახლდა საფრანგეთის ზარაფხანის დირექტორის წერილი, მთხოვდა მედლის კედვის ნებართვას

უუპასუხე: „კარგი“.

1948 წლის მაისის ბოლოს ფლემინგი და მისი ცოლი მიწვევით მადრიდს გაემგზავრნენ. სახელგანთქმულმა ესპანელმა მეცნიერებმა — ზუსტინსმა (მადრიდიდან) და ტრიასმა (ბარსელონიდან) — მოაწყვეს ეს მოგზაურობა, რომელიც ტრიუმფალურ მსვლელობად გადაიქცა. სადაც კი მივიდა ფლემინგი, ყველგან პატივი და დიდება დაახვედრეს. ასეთი რამ მისი ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბარსელონისა და მადრიდის უნივერსიტეტებში ფლემინგს მიანიჭეს დოქტორის საპატიო წოდება, აირჩიეს აკადემიკოსად, უმართავდნენ მიღებებს, აჯილდოვებდნენ ორდენებით. იგი არაად არ შეხვედრია ასეთ სახალხრო ენთუზიანზს, ასეთ მხურვალე მადლიერებას ავადმყოფებისას, რომლებიც გადაარჩინა მან პენიცილინით, მუხლს იყრიდნენ მის წინაშე, ხელებს უკოცნიდნენ, საჩუქრებს უძღვნიდნენ. ფლემინგებისათვის ეს იქნებოდა ყველაზე ტკბილად მოსაგონარი მოგზაურობა, სარანი რომ არ გამხდარიყო ავად, თანაც ისე მძიმედ, რომ მესასთუმლე უჭდა საწოლთან. ფლემინგის დღიურიდან ჩანს, რომ თავისი ჩვეულებებისამებრ მას ყველაფერი აინტერესებდა და ყველაფროთ ძალიან კმაყოფილი იყო.

პარსელონა, 1948 წლის 27 მაისი. საპაილოდ მეტრო გავიარეთ სუვი-
ლების ბაზარში. მიცნეს. მქუხარე ტაში მეყვავილე ქალებმა მომართვეს ვარდებო
დ, მიხაკები... ვიყავი რატუშაში, რათა დაესწრებოდი საიდუმლო წმინდა ზიარების
საპტივემულოდ გამართულ პროცესიას. შერი და მრჩეველები ფრაკებში, თეთრი
პალტუხებით ჩვენთვის გამოყოფილ იქნა ლოჯა. ოჯაიები და მისალმებარს შეა-
ხილები. მეტისმეტად უხერხულად ვიგარჩენი თავი. პროცესიის შემდეგ მისალმე-
ბები სასტუმროსაკენ მიმავალ მთელ გზაზე. ასე მგონია, რომ უინსტონი ვარ ანდა
პრინცესა ელისაბედი. ეს ჩემთვის სიახლეა. ჩვენს ღობურში ყვავილებს ვებერ-
თელა თაიგულები... გენერალური კონსული ამბობს, რომ ძალიან გახარებულია ჩემი
ჩამოსვლით. ეს მრავალმხრივ ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაუმჯობესებას. მე
მგონი, რომ უფრო დესპანის როლს ვასრულებ, ვიდრე მედიკოსი ლექტორისას...
ვიკონტ გუელი, მეცენატი (ედუარდ VII-ის პავს).

29 მაისი. ინტერვიუ გამომართვეს ერთი დიდი გაზეთისათვის. იძულებული
გავხდი შეპასუხა შეკითხვებზე: „ფექტურია თუ არა ბოგომოლეცის შრატო?...“,
„დაიწყება თუ არა ახალი ომი?...“. „რატომ ჩამორჩა ესპანეთის მეცნიერება?...“ ენ-
ქარტალა რომ ვიყო. აუცილებლად უსიამოვნებას გადავეყრებოდი. 11 საათზე გავემ-
გზავრე მონსერატში... ბერებმა ხმისამოულებლად მოგვართვეს სადილი, მხოლოდ
ერთი მათგანი მღეროდა რადაცას ლათინურად. წინამძღვარმა გამაცნო მოხუცი ბერი,
რომელიც პენიცილინით განკურნებულა (სეპტიცემიისაგან)... ბერი, ყავა, ბენედიქტინი.
მონასტერში დამზადებული ბენედიქტინი ცოტათი განსხვავდება ჩვეულებრივი-
საგან, კიბეში მქონდა მედალიონში შენახული პენიცილინის კულტურა. ვაჩქე
წინამძღვარს. სიხარულით გადაირია, წილო მონასტრის განმსაყვეში... ვაზაში რეს-
ტორანში. მეპატრონემ ფული არ გამოგვართვა. ესპანეთში ისეთი შთაბეჭდილება,
თიქოს გმირი ვიყო.

30 მაისი. ხარების ბრძოლა. სამ ტორეადორთან ერთად გადავიღე სურათი.
ჩემს ადგილს რომ დაეუბრუნდი. მაყურებლებმა ტრიბუნებიდან ოვაცია გამომართვა.
მისობრივი ისტერია. დაეწყვი დამის სამ საათზე.

საჩუქრების ნაკადს ბოლო არ უჩანდა. ხარაზმა, რომელიც პენიცი-
ლინით გადარჩა, ორი წყვილი ფეხსაცმელი აჩუქა, ერთი ნიანგის ტყა-
ვისა — ფლემინგს, მეორე შავი, ოქროსფრად გაწყობილი — ლედი
ფლემინგს; თერძმა — ორი კოსტუმი; განკურნებულმა ესპანელმა ქალ-
მა სიასამურის პალანტინი აჩუქა; მადლიერმა ობტოკოსმა — ოქროს
ჩარჩოიანი სათვალე. „შემთხვევითი ნივთების“ კოლექციონერის თვალ-
საზრახით ეს იყო განსაცვიფრებელი მოგზაურობა. მავრამ ამავე მოგ-
ზაურობის დროს ათასობით ავტოგრაფი დაარჩია, უამრავჯერ წარმო-
თქვა სიტყვა, რომლებსაც თარჯიმანი ესპანურად თარგმნიდა; საავად-
მყოფოებში წაიკითხა ლექციები პენიცილინის გამოყენებაზე; ივანშმა

ლია ცისქვეშ როზალიდში, რადგან იტალიის დედოფალმა მარი-ჟოზეფინამ სწორედ აქ ინდომა ფლემინგთან შეხვედრა.

სევილია. მიღება მერთან. ლამაზმა ქალიშვილებმა შეასრულეს ანდლუ-ზიურა ცეკვები; ძალიან გრაციოზულად. საინტერესო სრინწინი სიმღერა. აღმოსავლურის მსგავსი. ამირიეს სევილიას სამედიცინო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად. დღის 11 საათსა და 30 წუთზე ფრაქში გამოვეყვებე აკადემიაში გამართულ ცერემონიალზე დასასწრებად. ზღვა ხალხი — „God save the King“.* პრეზიდენტის სიტყვა. ოქროს მედალი. შემდეგ ესპანურად წაიკითხეს ჩემი ლექცია პენიცილინის ისტორიაზე. ეს გაგრძელდა თხუთმეტ წუთს, კინალამ არ დამეძინა.

სევილიაში ფლემინგს სხვა საჩუქრებთან ერთად სომბრეროც მიართვეს, რომელიც პატარა გამოადგა. გაუცვალეს დიდში.

ტოლედო. გრეკო, გოია... მანქანით მარანიონის სახლამდე. ტოლედოს ხედი. შესანიშნავი სახლი და შვენიერი ოჯახი. საუბზე ღია ცის ქვეშ. ძალიან სასიამოვნოა. მორიგი საჩუქრები: წიგნის გასაჭრელი დანა (პირი გაკეთებულია ტოლედოში); თოჯინა; ვეებერთელა სიგარა; წიგნები, მათ შორის სკოტის ლექსები...

კორდოვასა და ხერესში ყოფნის შემდეგ ფლემინგი როგორც იქნა მადრიდს ეწვია. დედაქალაქმა, ბუნებრივია, მოინდომა ბარსელონაზე უკეთესი შეხვედრის მოწყობა. უამრავი ყვავილები. სამეფო აპარტამენტები ოტელ „რიცში“. გოლფ-კლუბში ვასშამი ჰერცოგ ალბასთან, „რომელიც მომხიბვლელი იყო და ირწმუნებოდა, თითქოს ჩემთან ერთად ევანშემოს ოქსფორდში, მაგრამ ცდება“.

ფლემინგი დაჯილდოებულ იქნა ალფონს X ბრძენის დიდი ჯვრით და მენიჭა მადრიდის უნივერსიტეტის დოქტორის წოდება. გამოაწყვეს ცისფერ ტოგაში, ლაბადაში, დაახურეს უცნაური ქუდი, თითზე ბეჭედი წამოაცვეს, მიართვეს თეთრი ხელთათმანები, კვერთხიან კაცს აჰყვა კათედრაზე და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მისმა მეგობარმა ბუსტანსამ ესპანურად გადათარგმნა. როდესაც ფლემინგი ლონდონში დაბრუნდა და ჰიუჯმა ჰკითხა, დოქტორის წოდებათაგან რომელმა უფრო გაგახარაო, ალექმა უყოყმანოდ უპასუხა: „მადრიდისამ... იქ მე ტოგა და ლაბადა მაჩუქეს“.

ერთი სიტყვით, ეს იყო მოგზაურობა „ათას ერთი ღამიდან“ მაგრამ ძალიან დამღლევი, რადგან ერთი წუთითაც არ ჰქონიათ მოსვენება.

* ინგლისის ეროვნული ჰიმნი.

ფლემინგის მეუღლე ლონდონიდან წამოსვლის დროსაც შეუძლოდ იყო, ნადრიდში კი უარესად გახდა. ლონდონში ისინი 14 ივნისს დაბრუნდნენ თვითმფრინავით. სარინის მდგომარეობა თვედათვე უარესდებოდა. მას უკვე აღარ შეეძლო გაჰყოლოდა ქმარს მოგზაურობაში. ფლემინგი კი იძულებული იყო შეესრულებინა დაპირებები.

ალექსანდრე ფლემინგი აირჩიეს ჩელსის საპატიო მოქალაქედ და ამან ძალიან გაახარა. თავის სიტყვაში მან ილაპარაკა უისტლერზე*, ტერნერზე***, თავის საყვარელ მხატვრების კლუბზე. „ჩელსი არ არსებობს მხატვართა გარეშე... ხელოვნება, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მიეკუთვნება ჰუმანიტად დიდმნიშვნელოვან, მაგრამ მცირერიცხოვან მოვლენებს. პრემიერ-მინისტრებსა და ფინანსთა მინისტრებს ღიდი ადგილი ეთმობათ ვაწეუბებში, მაგრამ როგორც კი ჩამოსცილდებიან ხელისუფლებას, მათ მაშინვე ივიწყებენ. მხოლოდ ხელოვანი ადამიანია უკვდავი“.

1949 წელს ფლემინგი არჩეულ იქნა პაპის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. იგი გაემგზავრა რომში და იყო პაპთან მიღებაზე. ლონდონში შობრუნდა და ახლა „კუინ ელისაბედით“ შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, რადგან შეპირებული იყო, რომ დაესწრებოდა ოკლახომას ფონდის შექმნას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ჯერ კი უარის თქმას აპირებდა, უკვე ხანში ვარ შესული და ოკლახომა ძალიან შორსააო, მაგრამ ბოლოს მაინც დაყაბულდა, რადგან ეს თავის მოვალეობად მიიჩნია. არც უნანია, ასე რომ მოიქცა — ოკლახომაში შეხვდა თავის „ძველ თანამეგობარს“ მეგობრებს“, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ინდიელთა ბელადმა kiowa-დ აკურთხა. ფონდის გახსნისას ფლემინგმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა.

„მკვლევარებისათვის უცხო ხილი არაა იმედგაცრუება; თვეობით მუშაობა არასწორი მიმართულებით. მარცხი. მაგრამ მარცხსაც მოაქვს ხოლმე სარგებლობა; თუ მას კარგად გავარჩევთ, შეიძლება წარმატების მიღწევაში გამოგვადგეს. მკვლევარისათვის კი ყველაზე უფრო სა-

* უისტლერი (1834 — 1903) — ამერიკელი მხატვარი.

** ტერნერი (1775 — 1851) — ინგლისელი მხატვარი.

სიხარულოა რაიმეს აღმოჩენა, თუნდაც სულ პატარა რამისა. ეს მას გამბედაობას აძლევს კვლავაც გააგრძელოს კვლევა. „

შემდეგ იგი შეეხო სამეცნიერო დაწესებულებათა მეტისმეტად კეთილმოწყობილ შენობებს. იგი პირველად როდი ლაპარაკობდა ზედმეტი მორთულობებისა და მარმარილოს სასახლეების უმაქნისობაზე.

„ჩვეულებრივ ლაბორატორიაში მუშაობას შეჩვეული მკვლევარი ვადაზვანეთ მარმარილოს დარბაზში და ორიდან ერთი მოხდება: ან იგი დასჯაბნის სასახლეს ანდა სასახლე დათრგუნავს მას. თუ გამარჯვება მკვლევარს დარჩა, სასახლე სახელოსნოდ გადაიქცევა და ჩვეულებრივ ლაბორატორიას დაემსგავსება; მაგრამ თუ გამარჯვება სასახლეს ერგო -- დაიღუპება მკვლევარი.

გავიხსენოთ, თუ რაოდენ ბრწყინვალე სამუშაო შეასრულა ახლგაზრდა პასტერმა პარიზის ერთ-ერთ სხვენში, სადაც ზაფხულობით აუტანელი სიცხე იდგა შუადღის ხანს. მე თვითონ მინახავს, თუ ამ საუკუნის დასაწყისში როგორ მუშაობდა ალმროტ რაიტი თავის ჭკუფთან ერთად სენტ-მერის ორ პატარა ოთახში; თუმცა მისი მუშაობის გასაცნობად ამ პაწაწინა ლაბორატორიაში ხშირად ჩამოდიოდნენ ბაქტერიოლოგები ნიუ-იორკიდან, კოლორადოდან, კალიფორნიიდან, ორეგონიდან, კანადიდან. პირადად ჩემი ლაბორატორიის შესახებ ერთი ამერიკული გაზეთი წერდა, „ძველი აფთიაქის საკუჭნაოს ჰგავსო“, მე კი ვერ შეველეოდი მას, თუნდაც მორთულ-მოკაზმული ვეებერთელა შენობა რომ შემოეთავაზებინათ სანაცვლოდ... იმის მოწმე ვყოფილვარ, თუ როგორ თრგუნავს და უმწეოს ხდის მკვლევარებს ბრწყინვალე და ურთულესი აპარატურა, რადგან მათ მთელი დრო ამ მოწყობილობების მანიპულირებაზე ეხარჯებოდათ. მანქანამ დაიმორჩილა ადამიანი, და არა ადამიანმა მანქანა“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლევარს ესაჭიროება სასარგებლო, ეფექტური მოწყობილობა და არა ფუფუნება.

„მაგრამ გულს ნუ მატკენტ და ნუ იფიქრებთ, — დასძინა ფლემინგმა, — თითქოს მე კარგი მოწყობილობის წინააღმდეგი ვიყო. ლაბორატორიული ხელსაწყოები მკვლევარისათვის შრომის იარაღია, კარგ მუშას კი კარგი იარაღი უნდა ჰქონდეს“.

ფლემინგმა დიდ წარმატებებს მიაღწია ორატორულ ხელოვნებაში, და ახლა მისი ხადა, დამაჯერებელი ლაპარაკი შთაბეჭდილებას ახდენ-

და მსმენელებზე. ფლემინგი მისთვის დამახასიათებელი იუმორით ალამაზებდა სიტყვას. „ზოგჯერ ისეთ რამეს იბოვი, რასაც სულაც არ ეძებდი, — ამბობდა იგი, — მაგალითად, ერთი ინჟინერი ცდილობდა ხრახნის ფრთის მოძრაობის სინქრონიზებას ტყვიამფრქვევის სროლასთან და ძროხის ბლავილის იმიტირების მშვენიერი საშუალება აღმოაჩინა“. ანდა: „სენტ-მერიში გატარებული ორმოცდარვა წლის განმავლობაში ფრიად სასარგებლო სახელი გავითქვი, როგორც ამ ქვეყნად ყველაზე უფრო უნიჭო ორატორმა, აღიარებული იყო, რომ საზეიმო ვახშამზე სიტყვას ვერ წარმოვთქვამდი, ამიტომ არც არავინ მახოვდა ამას. ერთი წლის წინ გაზეთმა „ობსერვერმა“ დაწერა თითქოს მე იმდენად მიყვარს სიმართლე, რომ ჩემგან კარგი ორატორი არ გამოვა. კარგი იქნება ღრმად თუ ჩაუფიქრდებიან ამ სიტყვებს, ის ბრწყინვალე ორატორები, რომელთა გამოსვლებიც ახლახან მოვისმინეთ აქ“.

ოკლახომაში ხმა გავრცელდა, თითქოს ერთ ხანში შესულ მანდილოსანს, რომელმაც დიდი თანხა შესწირა ფონდს, სერ ალექსანდრესთან გაცნობისას ეკითხოს მისთვის, რით უნდა აიხსნას თქვენი წარმატებაო. ფლემინგს კი თითქოს ეპასუხოს: „მე მგონი, ღმერთმა ინება პენიცილინის მიღება; ამიტომ მან შეჰქმნა ალექსანდრე ფლემინგი“. როდესაც ალექს ეს ანეკდოტი უამბეს, მას არაფერი არ უთქვამს. მაგრამ არც იმ საქალაქო შეხვედრაში, რომელსაც ეწოდებოდა „მითები ფლემინგზე“; ჩანს, ეს ნამდვილი ამბავი იყო და არა მონაქორი. ოკლახომიდან დაბრუნებისას მრავალი ლაბორატორია მოინახულა გზადაგზა. უჩვენეს ახალი წამლეულები — აურეომიცინი და ქლორომიცეტინი. ანტიბიოტიკების ოჯახს ახალ-ახლი წევრები ემატებოდა.

ლონდონში დაბრუნებულს, ცოლი მძიმე მდგომარეობაში დახვდა. თავის საავადმყოფოელ მეგობრებს დარდიანად ეუბნებოდა: „ველარ წამოღებოდა ფეხზე“. ერთხელ სარინის სანახავად მისის მაკმილანი მოვიდა. ფლემინგმა თვითონ გაუღო კარი. „არასოდეს არ დამავიწყდება, — წერს მაკმილანი, — მისი სახის გამომეტყველება, როცა მითხრა: ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ პენიცილინი ვერ უშველის... ჯერ კიდევ არ ვიცოდით მისი წარმოება, როცა ჯონი გარდაიცვალა, ახლა მას აწარმოებენ, მაგრამ სარინისათვის ეს უსარგებლოა“. ფლემინგი უსაზღვრო სინაზით უვლიდა ცოლს. 1949 წლის ნოემბერში იგი გარდაიცვალა. მისი სიკვდილი მძიმე ლახვარი იყო ფლემინგისათ-

ვის. თავის ძველთაძველ და საყვარელ მეგობარს, დოქტორ იუნგს ალექმა ასე გაუზიარა თავისი დარდი: „ჩემი ცხოვრება დაიღუპა“. მთელი ოცდაათობითი წლის განმავლობაში სარინი მისი გულითადი მეგობარი იყო, გაჭირვებისას მუდამ ამხნევებდა, მასთან ერთად მუშაობდა ბაღში, ყველაფერში მხარში ედგა. წარმატებების სიხარულის გადატანაშიც შველოდა, როდესაც დიდების გვირგვინი დაადგეს თავზე.

ცოლი რომ დაასაფლავა, ფლემინგი იმავე დღეს მივიდა ლაბორატორიაში და, როგორც ყოველთვის, ბიბლიოთეკაში ჩაის სმის დროს მაგიდის თავში დაჯდა თავის ადგილზე. სიტყვაც არ დასცდენია თავის უბედურებაზე. მხოლოდ ეგაა, რომ ოციოდ წლით დაბერდა უცებ: თვალები გაწითლებული ჰქონდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ხელებჯანკალა გულისამაჩუყებელ ბებერს ჰგავდა. უფრო გვიანობამდე რჩებოდა სამუშაოდ და კარჩაკეტილი იქდა ლაბორატორიაში. თუმცა ადრე არასოდეს არ აკეთებდა ამას.

კვლავინდებურად ყოველ საღამოს დადიოდა მხატვრების კლუბში და ადრინდელზე უფრო დიდხანს იყო იქ. გამოცარიელებულ სახლში მარტოობას განიცდიდა, სევდა აწვებოდა გულზე. კლუბიდან დაბრუნებულს, სურათების გადაკიდ-გადმოკიდებით გაჰყავდა დრო, ჯავრს იკლავდა უქმი საქმიანობით. ზედა სართულზე ცხოვრობდა სარინის და — ელისაბედი, ჯონ ფლემინგის ქვრივი. ტყუპი დები გარეგნულად ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხასიათი სრულიად სხვადასხვაგვარი ჰქონდათ. ავად გახდომამდე სარინი მხიარული, ხმაურა, სიცოცხლისმოყვარული იყო, ელისაბედი კი — მელანქოლიური, მით უმეტეს ქმრის სიკვდილის შემდეგ. სარინის სიკვდილმა ხომ მთლად მოუღო ბოლო და დეპრესიის მდგომარეობაში ჩაავდო. ნათესაების მოყვარულმა და ბუნებით კეთილმა ფლემინგმა ერთად სადილობა შესთავაზა, ცოლისდას. ერთხანს მათთან ცხოვრობდნენ აგრეთვე ვაჟიშვილი რობერტი და დისწული, რომლებიც იმხანად სენტ-მერის სტუდენტები იყვნენ. მაგრამ შემდეგ რობერტი საავადმყოფოში გაიგზავნა პრაქტიკაზე. უფრო გვიან, 1951 წელს კი კოლონიაში გაემგზავრა სამხედრო ვალდებულების მოსახდელად. სერ ალექსანდრე მარტონმარტო დარჩა შაბათ-კვირას რედლეტში მიდიოდა, თავის მასთან, მაგრამ ეს ჯერ კიდევ დაუბერებელი და ახალგაზრდული

სულის მქონე კაცი მთელი კვირის მანძილზე ავადმყოფ მოხუც ქალთან ატარებდა ყოველ საღამოს. საბედნიეროდ, გონიერი და ერთგული ალისა მარშალი, რომელმაც სარინის ლოგინად ჩავარდნის შემდეგ თავის თავზე აიღო ოქახის მოვლა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა, რაზდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო, მშვიდი ცხოვრება შეექმნა ფლემინგისათვის.

მხოლოდ ერთი რამ მატებდა მას ძალას, მხოლოდ ერთი რამ იყო მისი საყრდენი ბურჯი — მუშაობა. ფლემინგმა ექიმ ვურეკასთან, ექიმ ჰიუგთან და ექიმ კრემერთან ერთად ხელი მოჰკიდა *proleus vulgaris*-ზე პენიცილინის მოქმედების შესწავლას. მცირე რაოდენობის პენიცილინის თანაარსებობის პირობებში გამოზრდილი პროთეუსი უჩვეულო გადაგვარებას განიცდიდა, ფანტასტიკურ ფორმებს ღებულობდა. პროთეუსს აქვს წამწამები, რომლებიც მას ადგილგადანაცვლების საშუალებას აძლევენ. ნორმალურ მიკრობს უხილავი წამწამები აქვს, „მანონჯ“ სახესხვაობას კი მოუჩანს, კარგად მოჩანს პროთეუსის წამწამები აგრეთვე სტრეფოსკოპულ მიკროსკოპში. ფლემინგი დიდი ინტერესით სწავლობდა მათ მოძრაობას, მითუმეტეს, რომ ცნობილი ბაქტერიოლოგი პიჯერი ამტკიცებდა, ეს წამწამები იმ ლორწოს ძაღუბია. რომლისაც გამოჰყოფს მიკრობი, როდესაც სწრაფად მოძრაობს, და სულაც არაა ის მისთვის ადგილგადანაცვლების საშუალებათ.

ერთხელ ფლემინგმა აშალია ვურეკას მიკროსკოპის ქვეშ უჩვენა პროთეუსის განსაცვიფრებელი სახესხვაობა, რომელიც „ძალუმად იქნედა“ დიდ „გაშლილ ფრთებს“. რათა იმ ადგილს მოსცილებოდა, სადაც იმყამად იმყოფებოდა. რამდენიმე წამის შემდეგ ფრთები ა მოძრაობა შეწყდა. ფლემინგს ეწყინა ეს და შეეცადა ისევ აემოძრაებინა მიკრობი. „ჰო, ჰო, აბა, გაინძერი!“ ბუნებრივია, ამან შედეგი არ გამოიღო. ამ დროს იგი მეზობელ ლაბორატორიაში გამოიძახეს. წასვლისას ვურეკას უთხრა: „აიძულეთ, რომ ამოძრავდეს“.

ვურეკას აზრად მოუვიდა გადაეადგილებინა სარკე, რომელიც შუქს ანათებდა შესასწავლ საგანს. წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება და სიხარული, როცა სინათლის გავლენით მიკრობი მართლაც ამოძრავდა. ხელისგულით უჩრდილავდა სარკეს, შემდეგ ისევ მიანათებდა შუქს და ამის მიხედვით მიკრობი ხან უძრავად იყო, ხან კიდევ ფრთების ქნევას მოჰყვებოდა.

უკან დაბრუნებული ფლემინგი ძალიან გაახარა ამ პატარა აღმო-

ჩენამ. რამდენიმე კვირის განმავლობაში იგი გულიანად „ერთობოდა“ ამ მოვლენით, თანაც ითვლიდა, თუ რამდენ ხანს იქნებოდა ფრთებს მიკრობი და რამდენ ხანს ისვენებდა. ფლემინგს აჩუქეს მაგნიტოფონი, რომელიც ასისტენტობას უწყევდა მას. მკვლევარი ხმამაღლა ითვლიდა წამებს, ჰყვებოდა ყველაფერს, რაც კი ხდებოდა, და აპარატი სიტყვა-სიტყვით იწერდა მის ნათქვამს. მოგახსენეთ, სარინის სიკვდილით დამგლოვობადი, პირველ თვეებში ხშირად იკეტებოდა თავის ლაბორატორიაში, თუმცა ადრე ასეთი რამ არა სჩვეოდა. ვესტიბიულში გამვლელთ ესმოდათ, თუ როგორ ითვლიდა იგი თავისი ხრინწიანი და დაღლილი ხმით. საშინლად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა თურმე ეს ყველაზე, ვინც მას იცნობდა, ვისაც იგი უყვარდა.

მაგრამ მალე მას კვლავ დაუბრუნდა იმის სურვილი, რომ საკუთარი დაკვირვების შედეგები კოლეგებისათვის გაეზიარებინა. ერთხელ ინსტიტუტის ახალმა თანამშრომელმა ექიმმა სტიუარტმა უცებ დაინახა, რომ მისმა პატრონმა კარი გამოაღო, გარეთ გამოიხედა და ჰკითხა:

— რაიმე გადაუდებელ საქმეს ხომ არ აკეთებთ?

— არა, სერ, რა თქმა უნდა, არა.

— პროთეუსის შესახებ რაიმე იცით?

— ძალიან ცოტა.

— Well, შემობრძანდით ჩემთან ლაბორატორიაში.

ფლემინგის ლაბორატორიაში სტიუარტმა სამი მიკროსკოპი დაინახა. ამ სამი მიკროსკოპსა და შუქის სხვადასხვაგვარ წყაროებს შორის ჩადგმული იყო ფილტრები. ფლემინგი ერთი მიკროსკოპიდან მეორესთან მირბოდა, ფილტრებს ცვლიდა, მომხდარ ცვლილებებს თვალყურს ადევნებდა და მაგნიტოფონზე კარნახობდა დაკვირვების შედეგებს. ალექსა სტიუარტს დახმარება სთხოვა და მთელი ეს ამბავი „საბაციკო ნომერს“ დაემსგავსა. სტიუარტი გვიამბობს, რომ ისინი დარბოდნენ ერთი მიკროსკოპიდან მეორესთან, ჩქარობდნენ, ერთმანეთს ეჩახებოდნენ. „ბაციკლები ხან ზევით ამოდიოდნენ. ხან დაბლა ჩადგოდნენ... ჩვენ ვმბრძანებლობდით: „ზევით! ქვევით! იქით, აქეთ! სდექ! იარ!“ ისე ვიყავით ჩვენი საშუალოთი გართულნი, რომ ვერც კი შევამჩნიეთ თუ როდის შემოვიდა ლაბორატორიაში ერთი საკმაოდ საპატივცემულო პიროვნება. კარი რომ შემოაღო და დაინახა, თუ როგორ დახტოდნენ და ყვიროდნენ ფლემინგი და მისი ასისტენტი, ამ კაცმა იფიქრა, გაგიყებულანო“.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ერთადერთი პატარა სამუშაო, როძლის შესრულებაც კი შეშეძლო, იმაში გამოხატებოდა, რომ სტერიოს ოთელი მიკროსკოპით დაკვირვებას ვაწარმოებდნე პართეუსზე, რომელიც გამოზრდული იყო მინის ფრაგმენტზე პენიცილინიან აგარზე. იგი საათის ზამბარასავით ბრუნავს მიკროსკოპის მხედველობის არეში. მთელი დღე ისე ტრიალებს, როგორც უოიერვერკის ცეცხლოვანი წიკი. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ქრონომეტრით აღენუსხოთ მისი მოძრაობები, შევიძლია ავამოძრაოთ, გვაჩეროთ და თვალური ვადევნოთ მიკრობის წმენკების იმპულსურ მოძრაობას. მშენიერად რეაგირებს გამლიზიანებულზე. და ასე მეჩვენება, რომ თვით მაკროზსაც კი აქვს პრიმიტიული ნერვული სისტემა.

1949 წლის სექტემბერში გულუხვმა ამერიკელმა ბენ მეიმ ინსტიტუტს აჩუქა ორი განსაცვიფრებელი აპარატი, რათა ექიმ ვურეკას შესაძლებლობა მისცემოდა დამატებითი კვლევა-ძიება ჩაეტარებინა თავისი სამუშაოს ხაზით, — მიკრომანიპულატორი და მიკროსანათური, რომლებიც ფრანგ მეცნიერს, ექიმ ფონბრიუნს გამოეგონებინა. ეს აპარატურა შეუთიარაღებელი თვალით უხილავი ინსტრუმენტებოთ მიკრობთა ადგილგადანაცვლების საშუალებას იძლეოდა. ექიმმა ვურეკამ მშენიერად იცოდა ფრანგული ენა. ფლემინგმა იგი პასტერის ინსტიტუტში მიავლინა, რათა იქ ახალი მოწყობილობებით მუშაობის მეთოდებს დაეფლებოდა.

ექიმ ვურეკა — ბენ მისი, 1949 წლის 14 სექტემბერი.

მე ვიზიარებ თქვენს აღფრთოვანებას ფრანგული მანიპულატორით შესანიშნავი აპარატია. ზოგჯერ არც კი მჭერა, რომ ჩვენ ვაკეთებთ ასეთ პაწაწარა ინსტრუმენტებს და ვაწარმოებთ ასეთ ნატიფ ოპერაციებს ეს ჯადოქრობას ჰგავს. მუსიე ფრებრიენი ძალიან შეხმარება. ყოველდღიურად ორიდან საღამოს შუდ საათამდე მამეცადინებს, მაცნობს თავისი ფანტასტიკური აპარატების ტექნიკას და მამარაგებს ჩემთვის საჭირო ბაქტერიებით. საოცარია, ხომ იყო დრო, როცა გიუბნებოდი: „ოჰ, ამის აღება რომ შეშეძლოს“ ახლა კი მყისვე ვაკეთებ ამას. სიზმარში მგონია ჩემი თავი. . . სავსებით გეთანხმებით, რომ ფრანგული ხელსაწყოები სხვა აპარატებთან შედარებით უფრო ვრცელი და უფრო ნატიფი დაკვირვებებს ჩატარების საშუალებას იძლევა...

ბენ მეი — სერ ალექსანდრე ფლემინგს

ექიმმა ფონბრიუნმა მაცნობა, რომ ექიმ ვურეკა განსხვავდება ჩვეულებრივ მეცნიერი ქალებისაგან, რომლებსაც იგი იცნობს. და რომ იგი არა მარტო მეცნიერი არამედ გამორჩეული აღმზრდელი და პიროვნებაა...

ბიკაფასო მისტერ მეი, არ ვიცი, შეიძლება თუ არა ლედი ფლემინგის გარდაცვალების ამბავი? მეცნიერი, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა კაცობრიობისათვის, ასეთი დიდი მწუხარების ღირსი არ იყო. მაგრამ ვაქცაუტრად უკლებს და ჩვეულებრივ მუშაობა, განაგრძობს. გუშინ მივიღეთ ჟრანგული მოწყობილობა უსომოდ შახარია, რომ სერ ალექსანდრე ალტაცებულაია... კარგია, რომ სწორედ ახლა მივიღეთ აპარატურა, ეს მას დარდს უქარავებს...

საბედნიეროდ, ფლემინგს კვლავინდებურად უყვარდა კარგი სათამაშოები. და თუმცა ოკლანომში სხვაგვარად ილაპარაკა, სტერეოსკოპული მიკროსკოპიც ძალიან მოსწონდა, მიკრომანიპულატორიც და მაგნიტოფონიც.

გარდა საკვლევი მუშაობისა, დაუსრულებელი მოგზაურობებიც უქარავებდა დარდს. თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს იგი ახლა თვითმფრინავში ან გემზე ატარებდა. 1950 წლის იანვარი: დუბლინი. თებერვალი: ლიდსი, სადაც მას ედინჰემის მედალი გადასცეს. მარტი: შეერთებული შტატები, „კუინ მერიზე“. ივნისი: მილანი, სადაც მან მოხსენება წაიკითხა ახალ ანტიბიოტიკებზე. ავვისტო: ბრაზილია. სექტემბერი: რომი. ნოემბერი: ბრიუსელი, სადაც უცხოელ მეცნიერთა სახელით სიტყვა უნდა წარმოეთქვა მისთვის უაღრესად საყვარელი ბელგიელი ბაქტერიოლოგის ჟიულ ბორდეს ოთხმოცე წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე. ბორდესათვის რომ ესაზოვნებინა, ფლემინგმა გადაწყვიტა ფრანგულად წარმოეთქვა სიტყვა. მისი თხოვნით, ამალიამ სიტყვა გადათარგმნა და ფირზე ჩაწერა. საქმეში ყელამდე ჩაფლული ფლემინგი საათობით იჯდა და იზებირებდა თავის სიტყვას ფრანგულ ენაზე, რომელიც მან არ იცოდა, თანაც გულმოდგინედ ცდილობდა, რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოეთქვა ყოველი სიტყვა. ბრიუსელის უნივერსიტეტში, დედოფალ ელისაბედის თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვაში ფლემინგი ქება-დიდებას ასხამდა ბორდეს იმ თვისებებს, რომლებიც მის ალტაცებას იწვევდა:

„ბორდეს მუშაობაში მთავარია უბრალოება. საკითხისადმი მიდგომის უბრალოება, ტექნიკის უბრალოება... იგი ყოველთვის სკეპტიკურად ეკიდებოდა ფანტასტიკურ თეორიებს, რომლებიც არასაკმარისად იყო დასაბუთებული ცდებით. მან უაღრესად დიდი მუშაობა ჩატარა და აღმოაჩინა ახალი მოვლენები, რომლებიც ყველას ძალიან

გამოვადგა. მეცნიერებაში ყველა როდი ინარჩუნებს ასე ხანგრძლივად მსოფლიო სახელს. დიდებამ ვერ გამოცვალა ჟიულ ბორდე. იგი ისეთივე თავმდაბალ მკვლევარად დარჩა, როგორც წინათ იყო. ბორდე ბელგიელია, მაგრამ მედიცინას ეროვნება არ გააჩნია. საბედნიეროდ, მედიცინის დარგში შეზღუდული არაა ცოდნის ურთიერთგაზიარება, ჟიულ ბორდე კი საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერია“.

როდესაც ფლემინგი ლონდონში ცხოვრობდა, იგი ზოგჯერ „თავის პატარა ბერძენ მეგობარს“ სთხოვდა თან ხლებოდა სადამოს წვეულებაზე სამეფო აკადემიაში, რომელიმე საზეიმო ვახშამზე ან ცერემონიაზე. სახლი, რომელშიც ამალია ვურეკა ცხოვრობდა, ლაბორატორიიდან დანვერს-სტრიტისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ფლემინგს ყოველ სადამოს თავისი მანქანით მიჰყავდა ამალია სახლში. სენტ-მერიდან იგი ექვსის ნახევარზე გამოდიოდა, ვურეკას სახლში მიიყვანდა და თვითონ კი ჩელსის კლუბში მიდიოდა. ორივეს ძალიან სიამოვნებდა ერთად ყოფნა, გზად ჰაიდ-პარკი უნდა გაევილით, ისტდენ მანქანაში და ტკბილად მასლაათობდნენ.

1950 წლის ოქტომბერში ფლემინგმა ვურეკა მიიწვია მღებავების კომპანიის მიერ მოწყობილ ვახშამზე. ამ ძველთაძველ კორპორაციას ეკუთვნოდა ტემზის გედების ერთი მესამედი, ძეორე მესამედი მეფის საკუთრება იყო, მესამე კი — სირაჯების კომპანიისა. ყოველწლიურად იმართება. საზეიმო ვახშამი, და სუფრაზე ვერცხლის სინით შემოაქვთ ახალგაზრდა გედები. ამალიამ აქ პირველად ნახა, თუ როგორ შემოატარეს წრიულად „სიყვარულის თასი“. ყოველივე ეს უჩვეულო და მომხიბვლელი სანახავი იყო. ვურეკას უკვე დიდი ხანი იყო არ ენახა მზიარული ფლემინგი. ქალი ალბათ იმითაც იყო ნასიამოვნები, რომ ფლემინგის გვერდით იჯდა.

დეკემბერში, როდესაც ფლემინგი სტოკჰოლმში მიიწვიეს ნობელის პრემიების კომიტეტის სწდომაზე, ამალია საბერძნეთში გაემგზავრა საშობაო არდადეგებზე.

ეიმი ვურეკა — მენ მვის.

მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ შორს ვიქნები ჩემთვის ძვირფასი სენტ-მერის ლაბორატორიიდან.

საბერძნეთში ვურეკას შესთავაზეს სათავეში ჩასდგომოდა ათენის კვანგელიკურ საავადმყოფოსთან არსებულ ლაბორატორიას. ეს იყო

ქალაქის ყველაზე უფრო დიდი საავადმყოფო, ვურეკა სწორედ აქ იყო პრაქტიკაზე და ახლა, როცა განყოფილების უფროსობა შესთავაზეს, ძალიან ესიამოვნა. ცდუნება დიდი იყო. ამალიამ ამის თაობაზე წერილი მისწერა ფლემინგს. მალე მიიღო პასუხიც:

ძვირფასო ექიმო ვურეკა, ძალიან გამეხარდა თქვენგან წერილის მიღება და თქვენი ამბების გაგება. გილოცავთ ახალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობას. ვიცი, რომ სადმე დაგნიშნავდნენ, კარგზე კარგია, მთელი ინსტიტუტი რომ გეყოლებათ მფლობელობაში. ალბათ უკვე მიიღეთ „ლანცეტი“. იქ თქვენი ქებაა. ერთი ნომერი ბენ მების გავუგზავნე იმის დასადასტურებლად, რომ ფულები წყალში არ გადაუყრია.

და მაინც გელოდებით თქვენი სამუშაო მაგიდა.

თქვენი ერთგული ალექსანდრე ფლემინგი.

მსხვილმა სამედიცინო ჟურნალმა „ლანცეტმა“ მართლაც ის-ის იყო დაბეჭდა ექიმ ამალია ვურეკას შრომა ზოგიერთი მიკრობის მუტაციაზე და სარედაქციო სტატიაც მიუძღვნა ამ ნაშრომს. ფლემინგის წერილმა ცოტა გული კი დაწყვიტა ამალიას. სერ ალექსანდრე არაფერს არ ურჩევდა მას. ამალიამ იფიქრა, რომ „მთელი ინსტიტუტი“ ირონიით იყო ნათქვამი, იგი თავის წერილში ხომ მხოლოდ ერთ ლაბორატორიაზე წერდა. მაშ რაღას ნიშნავდა: „და მაინც გელოდებით თქვენი სამუშაო მაგიდა?“ რით იყო ნაკარნახევი ეს სიტყვები? სინაწულით? ამალიას უკან დაბრუნების სურვილით? პირველად მართლაც ასე ეგონა. მერე კი მეტისმეტად გაზვიადებულად ჩათვალა ასეთი ახსნა. ასე იყო, თუ ისე. საბერძნეთის საავადმყოფოში მისი დანიშვნის საქმე უნდა გადაეწყვიტა საბჭოს, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შეიკრიბებოდა. ამიტომ სანამ საბჭოს გადაწყვეტილებას შეიტყობდა. ამალია ლონდონში დაბრუნდა და თავისი ჩვეულებრივი მუშაობა განაგრძო.

1951 წლის აპრილში ფლემინგი პაკისტანში გაემგზავრა „იუნესკოს“ კონფერენციაზე დასასწრებლად. კარაჩში, ისევე როგორც ეს სხვაგანაც ხდებოდა, სერ ალექსანდრეს სთხოვეს საჯარო ლექციის წაკითხვა თემაზე: „როგორ შეუძლიათ პაკისტანელ ბავშვებს მკვლევარებად გახდომა“. ფლემინგმა გამოსვლის კონსპექტი შეადგინა.

ჩაზედაც არ უნდა ემუშაობდეთ, ჩვენ ყველა შეგუძლია კვლევები ჩატარება, თუკი კრიტიკული თვალთ შევხედავთ ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება თუ უჩვეულო რამ შევამჩნიეთ, უურადლება უნდა მიექციოთ ამას და გამოეარკიოთ, რას ნიშნავს ეს. კაცობრიობის მომავალი, უდაუოა, დიდადაა დამოკიდებული მკვლევარისათვის მიხიკებულ თავისუფლებაზე. თუ მკვლევარი დიდებისაკენ მიიღტვის, ეს სულელურ პატივმოყვარობად არ ჩაითვლება, მაგრამ თუ იგი შეცნიერულ მუშაობას ფულის ან ძალაუფლების გულისხმების ეწევა, იგი ლაბორატორიაში გასაჩერებელი არაა. ყველა პაკისტანელი ბავშვი ვერ გახდება მკვლევარი, მაგრამ თუ მათ მივაჩვენებთ დაკვირვებულობას, მითუმეტეს პატარაობიდანვე, ბევრი მათგანი დაიშასახურებს ამ საპატიო წოდებას.

ყლებინგმა დაათვალიერა მეჩეთები, ვარდის ბუჩქები: მოფენილი პარკები; თვითმფრინავით ავლანეთის საზღვარზე იყო: ყელზე ჰკიდებდნენ ყვავილწნულებს; აქლემზე შესვეს და ისე გადაულეს ხურათი. მაგრამ ყველაზე მეტად ესიამოვნა ლონდონის შოტლანდიური პოლკის ყოფილ ამხანაგებთან ვახშამი, აგრეთვე ის, რომ აეროდრომზე მესტვირებმა გააცილეს.

XVII. სიტყვაჰმირი პროფესორი ფლემინგო

We spoke to each other about each other,
Though neither of us spoke

*Emily Dickinson**

თავისი მორიგი მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, ფლემინგმა ერთხელ, ეს იყო ივნისში, პირველად შესთავაზა ამალია ვურეკას შაბათ-კვირის ერთად გატარება ბარტონ-მილსში. ძველმა სოფელმა, ყვავილებმა, მდინარემ, ირგვლივ გამეფებულმა სიმშვიდემ და სიჩუმემ მოხიბლეს ვურეკა. ფლემინგმა დაათვალიერებინა ბაღში მოწყობილი სახელოსნო, რომელსაც ლაბორატორიად იყენებდა. უცნაური დგამ-ავეჯი იდგა აქ: დანჭლრეული ძველთაძველი კარადები, ჩაგლეჯილი ჩალის სკამები, ორ-სამ შილინგად ნაყიდი აუქციონებზე. მაგიდებზე ელაგა შესანიშნავი, ძვირფასი აპარატები — მისი თაყვანისმცემლების საჩუქრები, რომლებსაც მხარს „უმშვენებდა“ თვითნაკეთი მოწყობილობანი, რომლებიც ფლემინგს საკუთარი ხელით გაეკეთებინა თუნუქის ქილებისა და მავთულებისაგან. ფიცრის კედლებზე ეკრდა ფრინველების გამოსახულებიანი ძველებური ესტამპები, რომლებიც თვითონ გაელაქა. ანკესები ჭერის დირეებზე მიეყუდებინა, კართან კი გროვად ეყარა ნამიან მინდვრებში სასიარულო კალოშები და ჩექმები. ლაბორატორიიდან ორმოცდაათ მეტრზე, ფარდულში იდგა სსტერილიზაციო ქვაბი, რომელსაც ელექტრობით ახურებდნენ — სახლიდან მავთულები პირდაპირ გაზონზე გადიოდა. განიერი ფან-

* ჩვენ ველაპარაკებოდით ერთმანეთს და ერთმანეთზე, თუმცა ორივენი ვდუმდით. ემილი დიკინსონი.

ჯრებიდან აფერადებული ბალი მოჩანდა. და ყოველივე ეს — ერთად აღებული, ზუსტად ასახავდა „დუნის“ შემქმნელი კაცის ხასიათს.

სტუმარ ქალს ძალიან მოეწონა მშვიდი და მყუდრო სახლი. ამალიამ ფლემინგს უთხრა, თუ ოდესმე, როცა სამსახურს დაანებებთ თავს, აქ გადმოსასლდებით, მაშინ ჩემს თავს წამოვაყენებ ლაბორანტიისა და მზარეულის თანამდებობაზე. ფლემინგმა გამოაჩავრა, რომ თქვენ ახლა გაცილებით უფრო სავატიო და მაღალი პოსტის მფლობელი ბრძანდებითო (ადმინისტრაციულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა მისი დანიშვნა ევანგელიკურ სააქადემიოფოში), და ბოლოს უთხრა: „ასეთი საქმიანობა რაღა საკადრისი იქნება თქვენთვის“. ამალია კი გულში სხვაგვარად ფიქრობდა: იგი სიამოვნებით დათმობდა ყოველგვარ პოსტს, ოღონდ ნება მიეცათ ეცხოვრა და ემუშავა აქ, ამ ლამაზ ბაღში მოწყობილ პატარა ლაბორატორიაში. ისეთი კაცის გვერდით, რომელსაც, მინაი აზრით, შეიძლებოდა სავსებით მინდობოდა ადამიანი. ქალის წარმოდგენით, აქ გამეფებული სიმშვიდე ს. მოთხის განსახიერება იყო.

ფლემინგს განზრახული ჰქონდა „დუნში“ გაეტარებინა მთელი აგვისტო. ერთი კვირით მესტუმრეთო, შესთავაზა მან ქალს. ამალიამ უპასუხა, რამდენიმე ცდა მაქვს დაყენებული. „მერე რა, თქვენი კულტურებიც თან ჩამოიტანეთ, — შეეპასუხა იგი, — და ჩემს ლაბორატორიაში იმუშავეთ“. ამალია მართლაც ჩამოაყვია მას მანქანით და მშვენივრად გაატარა რამდენიმე დღე „დუნში“. ვურეკამ გულმოდგინედ დაალაგა ფლემინგის პატარა ლაბორატორია, რაც მანამდე არავის არ გაუკეთებია, ფლემინგს მიეშველა ჭინჭრისა და სარეკელას მოთიბვაში ახალი მანქანით, რომლითაც ძალიან ამაყობდა მასპინძელი, მდინარეში თევზს იჭერდა ანკესით, დაათვალიერა პავოდა, რომელიც ფლემინგს საკუთარი ხელით აეშენებინა ბაღში, გარაჟი, რომლის სიღრმეშიც სახელოსნო ჰქონდა გამართული. წვიმიან ამინდში ფლემინგი საათობით იჯდა ხოლმე აქ და ელექტროხერხითა და სხვა ხელსაწყოებით რაღაც-რაღაცეებს აჩხიკიდელავებდა. სტუმარ-მასპინძელი ერთად იყვნენ სოფლის ბაზრობაზეც, სადაც ყველაფერი იყიდებოდა — დაწყებული რკინის ჭართით და დამთავრებული ფაიფურით. როდესაც ქალი ლაბორატორიაში მუშაობდა, ფლემინგი წამდაუწუმ აკითხავდა, ხან იმას მოიმიზნებდა. მაინტერესებს როგორ მიღის შენი საქმეებიო, ხან თავისი დაკვირვების შედეგებს ვააცნობდა.

ხოვჯერ კი, ვითომცდა სასხვათაშორისოდ, ეტყოდა: „ვითომ რა მოხ-
დება, მთელი თვით რომ დარჩეთ აქ?“ მაგრამ ქალი ამას ხუმრობით
ნათქვამად მიიჩნევდა. კვირის ბოლოს, მსიახი დღე რომ დაღამდა და
მღვარემ გაანათა არე-მარე, ამაღია მასპინძელს გამოეთხოვა და ლონ-
დონში დაბრუნდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ფლემინგის წერილი
იიღო.

ძვირფასო ამალი (sic!), ვგონებ ასე იწერება თქვენი სახელი, თუმცა მთლად
დარწმუნებული არა ვარ ძალიან მოწყენილი ვართ უთქვენოდ. თქვენ წამს ლონდონში
შემოგვკონდათ აქ. ახლა კი აღარავინ მეხმარება ჰინტონის მოთხოვნაში. მარწმუნებ-
დით, რომ წარმატებით იმუშავებ ჩემს პარტია ლაბორატორიაში: ამიტომ ყველაზე
უკეთესი იქნება, თუ თქვენს კულტურებს წამოიღებთ და ისევე ჩამოხვალთ ჩვენ-
თან. ლობიერება გამოიჩინეთ თავების მიმართ

თქვენი ფ.

ქალმა მეგობრული და მხიარული საპასუხო წერილი გაუგზავნა,
მაგრამ მან არავითარი ლობიერება არ გამოიჩინა თავგების მიმართ
და თვრამეტივე დახოცა. მისი ცდები მარცხით დამთავრდა.

გაბზარული გულით დროებით ვეთხოვები ჩემს ენტეროკოკებს... შვებულების
დამთავრებამდე, ერთხელ მაინც თუ ჩამოხვალთ ლონდონში? საუკეთესო სურ-
ვილებით.

თქვენი ა. ვუ რეკა

ჩემი სახელი ასე იწერება: ამალია.

ამალიამ გადაწყვიტა, რომ მიპატიჟებაზე თანხმობისაგან თავი უნ-
და შეეკავებინა, რადგან იფიქრა, იქნებ ზრდილობის გულისათვის
მითხრა ეს, თანაც მკაფიოდ არ გამოუთქვამს თავისი სურვილი. მაგ-
რამ აი ფოსტამ ახალი წერილი მოუტანა.

ძვირფასო ამალია. ახლახან მივღე თქვენი წერილი მადლობელი ვარ ლაბო-
რატორია ცარიელია. საჭიროა ლაბორანტი. რამელიც წესრიგში მოაყვანს აქ-
ღრობას. გუშინ გამომიგზავნეს ნაეი, დღეს ღილით უკვე მოვასწარი მდინარეზე
გასეირნება... იქნათ სამშაბათს ბიორი სენტ-ედმენდსში ბაზრობა გაიმართება... გიგ-
ზავნით კატალოგს. თქვენე დარწმუნდებით. რომ ბევრი ძველებური ნაკვირვალ
იქნება გამოტანილი გასაყიდად. ეგებ ამან შეგაცდინოთ? თუ სულმა წაგვძლია.
ჩამოვდივარ. და მთელი დღე ვეცატაროთ საინტერესო ნივთების ძებნაში თუ ჩა-
მოხვალთ, დღეს საღამოს ტელეფონით გამოვიძახებ და ყველაფერზე მოვილაპა-
რავით. ზოლოთ თუ არ ჩამოხვალთ, უკანვე გამომიგზავნეთ კატალოგი. ორშაბათს
საღამოს რამდენიმე კაცი მყავს მოპატრიებული კოკტეილზე. თუ ჩამოხვალთ,
ერთად დავლევთ კოკტეილს. უთქვენობა ძალიან გვაძლია.

თქვენი ფ.

ქალი აღარ ეჭვობდა: აშკარა იყო, რომ ავღმინგს ენატრებოდა მისი ნახვა. და იგი სწორედ ორშაბათ საღამოს ჩავიდა „დუნ-ში“, სადაც მართლაც დახვდნენ ფლემინგის მიპატიჟებული სტუმრები.

სანამ ფლემინგი კოქტელს უსხამდა თავის მეზობლებსა და მეგობრებს, ალისა მარშალმა ცალკე განხმო ამალია და უთხრა, სერ ალექსანდრე უთქვენოდ ძალიან მოწყენილი იყო. „თქვენი აქ ყოფნისას სულ გამოიცვალა ეს კაცი“. და უცებ დასძინა: „სწორედ ეს ესაჭიროება მას; სახლში უნდა იყოს ახალგაზრდა ქალი.“ ამალია გააკვირვა და ააღელვა ამ სიტყვებმა. „ჰო, მაგრამ იგი მოხუცია, სამოცდაათი წლისაა“, — ჩაილაპარაკა მან. მისის მარშალი მოჰყვა იმის მტკიცებას, რომ სასიცოცხლო ძალები ასაკზე არაა დამოკიდებული და რომ სერ ალექსანდრე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. ამალია საოცრად შეაცბუნა და დააბნია ამ ამბავმა. და ახლა უცებ მიხვდა იმას, რასაც თვითონაც და ფლემინგიც, აი უკვე მთელი წელიწადი იყო, უთქმელი სიტყვების სამყაროში მალავდნენ მორცხვობის გამო.

მეორე დღეს ფლემინგმა ამალია ულამაზეს სოფელ ტიუდორ დე ლავენჰემში გამართულ აუქციონზე წაიყვანა, მშვენიერი ძველებური ეზო აჩუქა და ძველ ტავერნაში მიიპატიჟა. სადილის დროს ამალიას მისი ოჯახური ამბები გამოჰკითხა. ქალმა თავისი გულგატეხილობა გაუმჟღავნა. თხუთმეტი წლის წინ იგი ქმარს გაშორდა, თუმცა მათ ხალასი გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი, ახლა კი სამუდამოდ გაეყარა მას. საღამო ხანს, ჩაიხს რომ შეექცეოდნენ, ფლემინგი გაზეთს კითხულობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ამალიამ იფიქრა, ალბათ თავი მოვაბეზრე ჩემი პირადული უსიამოვნო ამბების მოყოლით, ალისა მარშალი კი რომანტიკული ბუნების ქალია. ჩემი არ იყოს. და რაღაცეები მოეჩვენაო. ბარტონ-მილსში რომ ბრუნდებოდნენ, ფლემინგმა გზიდან გადაუხვია და ჩალით დახურული კოაში სახლები დაანახვა სტუმარს. ალექსა გზაში გაიხსენა რომელიღაც წიგნი. რომელშიც აღწერილი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ღმერთებმა ადამიანებზეთ ცხოვრება დაიწყეს. „ქანდაკებებსაც კი ადამიანური გრძნობები გაუჩნდათ“, — დასძინა მან. ამალიამ თავს ძალა დაატანა, რომ გულთან ახლოს არ შეიტანა ფლემინგის გადაკრული სიტყვები, და ერთი კვირის შემდეგ ლონდონში გაემგზავრა.

3 სექტემბერს ფლემინგიც დაბრუნდა შვეებულებიდან. ჩვიდმეტ სექტემბერს ამალია ვურეკას მეცნიერული ინფორმაცია უნდა გაეკეთებინა მანჩესტერის მიკრობიოლოგიურ საზოგადოებაში. ფლემინგი მანჩანით მიდიოდა იქ და ამალიაც თან წაიყვანა. მანამდე კი თავის ვაჟთან რობერტთან და ძმისწულთან ერთად ვახშმად დააბატოდა. სწორედ ის-ის იყო მიღებული ჰქონდა პოლივეუდში შედგენილი ჰოროსკოპი, რომელიც გამოუგზავნა მარლენ ლიტრიხმა (იგი მას რამდენიმეჯერ შეხვდა, ქალი მისი თავგამოდებული თაყვანისმცემელი იყო). ფლემინგი, ბუნებრივია, სერიოზულად არ ეკიდებოდა ასეთ საქმეებს, მაგრამ რომელიღაც გვერდზე რომ გადაშალა ბროშურა, ამალიას სთხოვა ერთი ადგილის წაკითხვა. ქალმა მხოლოდ პირველ სტრიქონებს გადაავლო თვალი და სწორედ ამ დროს მოახსენეს, ვახშამი მზად არისო. ამალიამ ჰოროსკოპი დახურა და ფლემინგს ამაზე აღარასოდეს არაფერი არ უთქვამს.

დიდი ხნის უკან, ფლემინგის გარდაცვალების შემდეგ, ამალიამ, რომელიც საერთოდ ხშირად იგონებდა ხოლმე წარსულს, ერთხელ ეს ეპიზოდი გაიხსენა და გადაწყვიტა შეეტყო, თუ რა მისცა მაშინ ალექსანდრე წასაკითხად. იპოვა ბროშურა და იმ გვერდსაც მიაგნო. აი რა ეწერა იქ: „თქვენი გრძნობები სულიერი სიმშვიდის, ოჯახური კერის მოთხოვნილების ნაყოფია, და ამიტომ ერთგული და საიმედოა თქვენი სიყვარული. ამ სფეროში თქვენ მომეტებული მგრძნობელობა გაქვთ. იმედი, რომ ის, რისკენაც თქვენ ილტვით, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა თქვენთვის; თქვენ ცდილობთ დამალოთ თქვენი ნატურის ეს მხარე იმის მოლოდინში, თუ როდის იპოვით თქვენი სიყვარულის ღირსეულ ობიექტს“. ...უდავოა, რომ ფლემინგს სწორედ ამის თქმა სურდა ამალიასათვის, მაგრამ უბრალო შემთხვევამ შეუშალა ხელი: ვახშამი მოართვეს, და ამალიამ ვერ მოასწრო ამის წაკითხვა.

მანჩესტერში რომ მიდიოდნენ, ფლემინგმა გზაში ჰკითხა მას, მეორედ ხომ არ გათხოვდებითო. ქალმა უპასუხა (ახლა იგი ამ პასუხს „სულელურს“ უწოდებს), მე ქმარი მყავსო. ფლემინგი დადუმდა. მანჩესტერში, სანამ ფლემინგი რომელიღაც კომიტეტში საქმიანობდა, ერთმა ექიმმა ხუმრობით ჰკითხა ამალიას: „ამ საღამოს ვინ არის თქვენი ამორჩეული ღმერთი?“ ამ დროს ოთახში ფლემინგი შემოვიდა, და ამალიამ ექიმს უპასუხა: „აი თვითონ ღმერთიც გვეახლა“. ლონდონში რომ დაბრუნდნენ, ფლემინგმა ვინძორის მახლობ-

ლად -სადილად მიიპატიჟა იგი რესტორანში, შემდეგ კი ისინი ერთად ქწვიენ ზოლოგიურ ბაღს. ალექმა ლომის გალიის წინ სურათი გადა-
ულო ამალიას. ეს სურათი შემდეგ მან თავის საწოლ ოთახში დადო
და სახელად შეარქვა: „ის და ლომი“.

მხატვართა აკადემიის ვერნისაჟზე ამალია ალაფრთოვანა ფლემინ-
გის პორტრეტმა, რომელიც მხატვარ ჯონ უიტლის დაეხატა. ალექს
ქლისათვის არაფერი უთქვამს, მაგრამ უიტლის კი მისწერა:

აკადემიის ბოლო გამოფენაზე თქვენ მიერ დახატული ჩემი პატარა პორტრეტი
ენახე. კიდევ თქვენ გაქვთ, თუ არა ის? ხომ არ მომყიდით, და თუ მომყიდო,
ჩაძღენი ეღირება? პორტრეტი მომეწონა, მაგრამ მე არა ვარ საკუთარ თავში შე-
ყვარებული ადამიანი, საქმე ისაა, რომ ჩემთვის ძვირფას ერთ ადამიანსაც მოეწონა
ჩგი და. თუ სურათი ძალიან ძვირი არ ღირს, ვიყიდი იმ ადამიანისათვის...

შემდგომში ფლემინგმა ეს პორტრეტი გამოსათხოვარ საჩუქრად
გააგზავნა ათენში.

საბერძნეთში ამალია 15 დეკემბერს უნდა გამგზავრებულყო. წინა
დღეს ფლემინგმა ვახშამზე დაპატიჟა იგი. იმ დღეს მან ქალს თავისი
ფოტოსურათი აჩუქა და ზედ წაუწერა: „ამალია ვურეკას. ერთგულ
და ძალიან საყვარელ კოლეგას. ყველას ძალიან დაგვეტყობა უთქვე-
ნობა“. მერე ადგა, ბერტონ-მილსის დათოვლილი ლაბორატორიის
სურათი გამოუტანა და უთხრა: „მე მინდა, რომ ეს სურათიც თან წაი-
ლოთ; ნუ დაივიწყებთ პატარა ლაბორატორიას“. სურათზე კი დააწე-
რა: „პატარა ლაბორატორია, რომელიც თქვენ გიყვარდათ და რომელ-
საც თქვენ უყვარდით, რადგან თქვენ ერთადერთი არსება ხართ. მის
სისუფთავეზე რომ ზრუნავდით“.

გამოსათხოვარი ვახშამი გაიმართა შოტლანდიურ კლუბ „კალე-
დონიენში“. ფლემინგი შამპანურით გაუმასპინძლდა ამალიას, მოი-
გონა ერთად გატარებული ხუთი წელიწადი, ლაპარაკობდა საბერძნეთ-
ში მის მომავალ მუშაობაზე. შემდეგ ყავის სასმელად სასტუმრო
ოთახში მიიპატიჟა. ბუხართან დასხდნენ. ჯერ ამალიას გვერდით დაჯ-
და სავარძელში, მაგრამ მალე ადგა და მის წინ დადგმულ სავარძელში
გადაჯდა. „მინდა გიყუროთ, რათა კარგად დაგიმახსოვროთ“. ჩამდე-
ნიმე წუთს უსიტყვოდ შესტკეპროდა, შემდეგ კი უთხრა: „სამწუხაროა,
რომ ამ წლებმა უკვე გაიარა...“ კარგა ხნის შემდეგ მანქანით წაიყვანა
სახლში სტუმარი ქალი. ამალიამ გაიფიქრა, ერთადერთი წინადადება,

რომ ამ კაცს გავყოლოდი ცოლად, ალისა მარშალმა მომცა „დუნზიო“.

როდესაც ამალია ათენში ჩაფრინდა, იქ უკვე მიღებული ჰქონდათ ფლემინგის დეპეშა. სურვილები და შოგონებები. ორ-სამ დღეში წერილიც მოვიდა. „№ 2 ლაბორატორიაში სიცარიელეა. ეპ, ჩვენ კი ვიცით ამის მიზეზი. თქვენ გვაკლიხართ“. შემდეგ მეორე წერილი მიიღო. „ჩვენ ყველანი ძალიან განვიცდით უთქვენობას. № 2 სულ სხვანაირია ახლა“. და მესამე წერილი: „ასლა მარტოდმარტო დავდივარ პარკში. ხმის გამცემი არავინ მყავს. კვლავ განვიცდით უთქვენობას“. თვის ბოლოს მოვიდა კიდევ ერთი წერილი. რომელშიც ბედთან შერიგება გამოსტკვიოდა: „უთქვენობას კვლავ განვიცდით, მაგრამ მიკეჩვიეთ ამას“.

მაგრამ მან, ვისაც ადამიანში ხასია-
თის კეთილშობილება უყვარს, სამუ-
ღანოდ შეიყვარა, რადგან რაღაც
ურჯუვი შეიყვარა

ქლატონი. ნაღიმი 183.

თავისი ბერძენი მოწაფე-ქალის გამგზავრების შემდეგ ფლემინგი დაბნეულივით იქცეოდა. არავის არ უზიარებდა თავის განცდებს, თუმცა ხანდახან მაინც წამოცდებოდა სინანულის გამომხატველი ბუნდოვანი სიტყვები, რასაც სხვა დროს არასოდეს არ აკეთებდა. ერთ-ერთი მისი მეგობარი, დ. ჯ. ფაიფი ასე აღწერს მასთან შეხვედრას იმ პერიოდში:

„მე და ჩემი ცოლი საღამოს წვეულებაზე ვიყავით სამეფო აკადემიაში. უფრო მეტი მოწყენილობა იყო, ვიდრე ჩვეულებრივ. სასმელებიც კი არ მოგვიტანეს. როდესაც ხალხში ფლემინგი დავინახეთ, ძალიან გაგვეხარდა. მანაც დაგვინახა და ჩვენსკენ გამოეშურა.

— უგემური სღამოა, — ვკითხრა მან, — სახლში მივდივარ.

ჩიგნთან წავიდეთ და იქ გვაეტაროთ ეს საღამო-მეთქი, შეეთავაზე. ფლემინგმა თავისი მანქანით წაგვიყვანა. საღღაც შემპანური გამოვძებნე: ცოლმა ერბოკვეერცხიანი ბეკონი გააკეთა და სავანშმოდ დავესხედით. ჩვენთან ფლემინგი ყოველთვის ლალად გრძნობდა თავს, შინაურულად იქცეოდა, ალბათ იმიტომ. ჩვენც შოტლანდიელები ვართ. გავაბით მასლაათი, იგი ჩვეულებრივზე უფრო გულლიაობდა.

გვიამბო თავისი პირველი ნაბიჯების შესახებ და დასძინა, მუდამ საოცრად მწყალობდა ცხოვრებაში ბედით. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. რამდენადაც მახსოვს, ფლემინგს პაპის იშვიათი ორდენი ეკეთა, რონით მოვიხსენიე მისი კოსმოპოლიტური ჭილდოები. უცებ გუნება გამოეცვალა და სახეზე ნაღვლიანი ფიქრი დაემჩნა.

მთელი ეს „ქება-დიდება“ მეტისმეტად დაგვიანებულია, ამიტომ ისეთ სიამეს ვერ მანიჭებს, როგორც საჭიროა, თქვა მან. ადრე რომ მომხდარიყო ყოველივე ეს, საზოგადოებაში ცხოვრების ნირს შევისწავლიდი, რაც ძალიან მაკლია. ავითვისებდი სათანადო „მანერებსაც“, თორემ ხანდახან არც კი ვიცო, როგორ მოვიქცეო. ფლემინგმა იცოდა, რომ თავისი მკვახე ლაპარაკით გულს ტყენდა ადამიანებს, იცოდა და გულწრფელად ნანობდა ამას. იგი ნაღვლიანი კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ ნათელი გონების კაცი იყო და ურცხვებოდა სინამდვილეს, თავისი მძიმე შრომითი ცხოვრებოც ხვედრს“.

ოფიციალური მოგზაურობები სევდიან ფიქრებს უქარებდა ფლემინგს. იგი წევრად დაინიშნა „იუნესკოს“ ერთ-ერთ კომისიაში, კერძოდ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კომისიაში, რომელსაც ევალეობდა საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციების მოწყობა. ფლემინგი სიამოვნებით ჩადიოდა პარიზში სხდომებზე დასასწრებად. ადვილად პოულობდა საერთო ენას ყველა უცხოელ კოლეგასთან, მათ შორის განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა პროფესორ დებრესთან.

ფლემინგს არ უყვარდა საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა. „ისინი მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ ჩემს სიტყვებს; ამიტომ სიფრთხილე მმართვებს ლაპარაკში“. ადამიანებზე სავსებით სალად მსჯელობდა. „ა. ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ისე, რომ გაიძულეებს უსმინო. ბ. ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მის ნათქვამს აინუნშიც არ აგდებენ. კ. ახალგაზრდა, ენერგიული, მიზანსწრაფულია. ც. სათნო ადამიანია, მაგრამ უიდეო; მეტისმეტად უგერგილო, უღიმღამო“.

ფლემინგის დღიური (1951 წლის სესია).

ხუთშაბათი, 1951 წლის 27 სექტემბერი, სასტუმრო „ნაპოლეონი“. გავედი ელისეს მინდვრებზე გასასეირნებლად. „სელექტში“ დავლიე ვერმუტო, ისე კი მხოლოდ დასაჯდომად შევედი. კაფეში ცხელი კერძებია. გადავწყვიტე, რომ აქვე ვიჯანსაღობდი, რად უნდა წავსულიყავი სხვაგან. ძალიან კარგი იყო ვახშამი, მაგრამ ჩემს მაგიდასთან მოვიდნენ მეტრდოტელი და მეპატრონე და ბრალო დამდეს, თითქოს მე აღმომეჩინოს პენიცილინი. ამიტომ იძულებული გავხდი ერთი კიპა ელზასური ჟოლოს ნაყენი დამეღია. ძალიან მაგარი და ძალიან გემრიელი სასმელია. ელისეს მინდვრებზე ყველა ვიტრინა განათებულია. სად აქაურობა და სად ლონდონი ქუჩაში ხშირად ისმის ინგლისური ლაპარაკი. დაახლოებით ათი საათი იქნებოდა. სასტუმროში რომ დავბრუნდი...

1951 წლის ოცდაათ ოქტომბერს, როდესაც იგი სხდომას ესწრებოდა სენტ-მერიში, ტელეფონთან გამოიძახეს და შემდეგი ტელეფონო-გრამა გადასცეს: „თანახმა იქნებით თუ არა, ედნბურგის უნივერსიტეტის რექტორად რომ დაინიშნოთ? პასუხი სასწრაფოდ გვაკნობეთ“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ზოტლანდიაში რექტორს თვითონ სტუდენტები ირჩევენ და, რაკი ეს თანამდებობა ძირითადად საპატიოა, ამიტომ მუდმივად ადგილზე ყოფნაც არაა სავალდებულო. მაგრამ ეს კია, რომ რექტორი თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის სენატში — უმაღლეს ადმინისტრაციულ და საფინანსო ორგანოში. ედინბურგელ სტუდენტებს პრივილეგია აქვთ, კერძოდ შეუძლიათ აირჩიონ ის, ვისაც მართლა სცემენ პატივს და თავის მასწავლებლად თვლიან. ამ უფლებით რომ სარგებლობენ, ისინი გამოხატავენ თავიანთ პატივისცემას იმ სახელოვანი ადამიანების მიმართ, რომლებსაც განსაკუთრებით აფასებენ ამა თუ იმ მიზეზის გამო. სტუდენტების ერთი ნაწილი რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს უჭერს მხარს, მეორე ნაწილი — მწერალს, მეცნიერს ან ცნობილ მსახიობს. მძაფრ წინასაარჩევნო ბრძოლას სამხიარულო, კომიკური ხასიათი აქვს.

თითოეულ კანდიდატს მხარს უნდა უჭერდეს არანაკლებ ოცი სტუდენტისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც გააფთრებულ კამპანიას ატარებს თავისი რჩეულის დასაცავად, ავრცელებს პლაკატებსა და ლოზუნგებს; დამით. აფიშების გაკერის დროს ორგანიზებული ბრძოლებიც კი იმართება ხოლმე. ფლემინგის ფრაქცია პირველ ხანებში ძირითადად შედგებოდა მედიკოსი სტუდენტებისაგან, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ ედინბურგში — სახელოვანი და ძველთაძველი სამედიცინო ტრადიციების ქალაქში. არაფერს არ შეეძლო ისე გაეხარებინა ჭაბუკი ზოტლანდიელის სული, რომელიც ჯერაც ცოცხლობდა ამ საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერის არსებაში, როგორც ედინბურგის უნივერსიტეტის რექტორად არჩევას.

ფლემინგის დღიური

ვუპასუხე „თანახმა ვარ“, და, როცა თათბირზე დავბრუნდი და ლორდ მაკ-პოუენის გვერდით დაჯექი, მან სულითა და გულით მომიწონა გადაწყვეტილება. მეორე დღით ჩამოვიდა სტუდენტი (ჯენ სალივანი). რათა წერილობით მიეღო ჩემი თანხმობა. იმ დღეს მანუფაქტურისტების სააქციონერო საზოგადოების მიერ მოწყობილ ვახშამზე ვიყავი. სახლში რომ დავბრუნდი, პარიოდმა მოთხრა, ედნბურგიდან

დარკეს და შიშობენ. მგონი მათი მოციქული მოუტაცნიათ და ამიტომ ზედმეორე წერადობით თანხმობის გაგზავნას გთხოვენო მე ძალიან გვიან დაებრუნდი, მაგრამ, ჩანს, მოციქული მშვედობით ჩავიდა ედინბურგში და ჩემი კანდიდატურა ყოველგვარი ფორმალბის დაცვით იქნა წამოყენებული.

ფლემინგის ყველაზე უფრო საშიში მეტოქე (რვა კანდიდატიდან) იყო ალა ხანი, უამრავი ტიტულის მქონე დიდებული, უმდიდრესი კაცი, ძლიერი და ცბიერი პიროვნება. ალა ხანის პარტიამ გადაწყვიტა ფლემინგის მომხრეთა მოციქულის მოტაცება სადგურ ვეივერლიზე. მაგრამ ფლემინგის პარტიამ შეიტყო მოწინააღმდეგეების განზრახვა და პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა ისინი—თავისი ემისარი მატარებლიდან ჩამოსვა და მანქანით ჩამოიყვანა ედინბურგში.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოშვებული აფიშიდან ყველაზე დიდი წარმატება ახვდა იმას, რომელზედაც ეწერა ერთადერთი სიტყვა — ფლემინგი. ეს იყო ყველაზე უფრო მკვევრმეტყველური და ლაკონიური. სერ ალექსანდრემ მიიღო 1096 ხმა: ალა ხანმა — 660; დანარჩენი კანდიდატები ბევრად ჩამორჩნენ მათ. ფლემინგი ალტაცებული იყო, რომ ხმების დიდი უმრავლესობით იქნა არჩეული. სერ ალექსანდრე ედინბურგში გაემგზავრა რექტორის თანამდებობის დაკავების ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად. პაროლდ სტიუარტი. რომელიც თან ახლდა მას, გვამბობს: „ძალიან სასიამოვნო მოგზაურობა იყო. კინგ-კროსის ვოგზალზე ფლემინგმა დამიძახა: „Hello!“ — და ჩვენ ერთად შევედით კუბეში; შემდეგ თქვა: „Good bye“ ედინბურგს“. *Rectoria brevitat* *.

მოიპოვა რა გამარჯვება, ფლემინგმა წარმოთქვა თავისი პირველი „რექტორული სიტყვა“, რომელსაც წესისამებრ ხშირად აწყვეტინებდნენ წამოძახილებით, ყვირილით, სიმღერით.

სერ ალექსანდრე ფლემინგი — ჯონ მაკ-კინს, ნიუ-იორკის „აფაივერ და კლინიკის“ პრეზიდენტი.

ეს იყო ამაღლებული გამოცდა. მაგრამ სამოცდაათს რომ გადააბიჯებს კაცი; მაინც და მაინც ალა რგებს მღელვარება. მახსოვს, თუ როგორ წაგიკიოზე ჩემი პირველი ნაშრომი ერთ სამედიცინო საზოგადოებაში. ეს იყო 1907 წელს. მუხლები მოკნალდბდა. მაგრამ კიდევ კარგი, რომ კათედრა მეფარებოდა წინ, სახეზე კი არაფერი არ მეტყობოდა. ამიტომ ვერაფერ ვერ მიხედა ჩემს მღელვარებას. ამის

* რექტორული ლაკონიურობა (ლ.ს.).

შემდეგ არასოდეს არ ამკანკალებია მუსლები იმ წუთადღე. როცა ედინბურგში ჩავედი და იქ ატეხილ ორომტრიალში სიტყვის წარმოქმნა მომიხდა. მაგრამ ამჟერად გრძელი მანტია მეცვა და კვლავ ვერაინ ვერაფერი შემატყო. ხმაურობას მალე შევეჩვიე, და როდესაც ყვირილი ჩემს ხმას ახშობდა, ვჩუმდებოდა და იმაზე ვფიქრობდი, თუ რომელი ადგილი ამომელო უმტკივნეულოდ ჩემი სიტყვიდან. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ფლემინგს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ აეძულებინა აუდიტორია მოესმინა მისი სიტყვა, და კიდევ მიაღწია ამას თავისი სიმშვიდით და კეთილგანწყობილებით. მისი სიტყვის მოსმენა კი მართლაც ღირდა. სალაპარაკო თემად მან წარმატება აირჩია.

„რა არის წარმატება? შეიძლება ადამიანის ოცნებათა განხორციელებისათვის გვეწოდებინა ეს სიტყვა. თუ მივიღებთ ასეთ განსაზღვრას, მაშინ ყველა ადამიანი მეტნაკლებად აღწევს წარმატებას და ვერც ერთი ადამიანი ვერ აღწევს სრულ წარმატებას. თქვენ ყველამ განახორციელეთ თქვენი მისწრაფება და მოეწყვეთ ედინბურგის უნივერსიტეტში. მაგრამ გარდა ამისა თქვენ სხვა მისწრაფებებიც გაქვთ. ყოველგვარი წარმატება ახალ სურვილს ბადებს...“

შედეგ მან მოუთხრო იმათ ბედზე, ვინც, მისი აზრით, ყველაზე მეტი წარმატება მოიპოვა კაცობრიობის ისტორიაში — მოუთხრო პასტერზე და ლისტერზე, — და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წარმატებას აღწევს გენიალური ადამიანი, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ბედმაც გაუმართლოს. ფლემინგი პასტერს ყველაზე უფრო ღირსეულ მეცნიერად თვლიდა. მაგრამ იგი შემთხვევით რომ არ მოხვედრილიყო ქალაქ ლილში და რჩევა რომ არ ეკითხათ მისთვის დუდილის პროცესის შესახებ, პასტერის ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა. მართალია, მაინც ბრწყინვალე იქნებოდა მისი ცხოვრება, მაგრამ იქნებ სულ სხვა რამ აღმოეჩინა ამ კაცს.

„ლუი პასტერმა უჩვეულო წარმატებას მიაღწია. როგორ შეძლო მან ეს? ჩემი აზრით, ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს: იგი თავგამოდებით შრომობდა. გულმოდგინედ ატარებდა დაკვირვებებს; ამ კაცს ნათელი გონება ჰქონდა, ერთუზიანში ახასიათებდა და ცოტა ბედიც წყალობდა. ბევრნი შრომობენ თავგამოდებით, ზოგიერთი მათგანი გულმოდგინე დაკვირვებებს ატარებს, მაგრამ ამ ადამიანებს არა აქვთ ნათელი გონება, მათ არ შეუძლიათ სწორად შეაფასონ საკუთარი დაკვირვების შედეგები და ამიტომ ხელმოკარულნი რჩებიან“.

საქუთარი ცხოვრების გზაზე რომ ლაპარაკობდა, ფლემინგმა ჩვეულებსამებრ გაიხსენა, სენტ-მერი იმიტომ ავირჩიე, რომ ამ კლინიკასთან მოცურავეთა ძალზე აქტიური კლუბი არსებობდაო. სამხედრო ხელისუფლებთან კონფლიქტის შემდეგ სწორედ ამ დროს დაიწყო ამ მუშაობა აღმროტ რაიტმა, უდიდესმა ინგლისელმა ბაქტერიოლოგმა. და შემთხვევით რომ არ დამთხვეოდა ერთმანეთს ეს ორი გარემოება, ესე იგი ცურვისადაც მისი მისწრაფება და აღმროტ რაიტის წაჩხუბება სამხედრო სამინისტროსთან, იგი მედიცინის სხვა დარგში იმუშაებდა და პენიცილინს ვერ აღმოაჩენდა.

რაც შეეხება თვით აღმოაჩენას, ამას იგი ნაწილობრივ ბედისწერით ხსნის. პენიცილინის ობი შემთხვევით შემოფრინდა ფანჯარაში, მან გახსნა და გააქრო ბაქტერიები. ფლემინგმა ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას, განაგრძო ცდები და აღმოაჩინა ისეთი ნივთიერება, რომელსაც უჩვეულო თვისებები ახასიათებს. აბა წარმოვიდგინოთ, რამდენი შემთხვევითობაა! ჩვენთვის ცნობილი ათასობით ობიდან მხოლოდ ერთი წარმოშობს პენიცილინს, და ქვეყნიერებაზე მილიონობით არსებული ბაქტერიებიდან მხოლოდ ზოგიერთია მგრძნობიარე პენიცილინის მიმართ. იმავე მიკრობზე სხვა ობი რომ მოხვედრილიყო, არაფერიც არ მოხდებოდა. თვით ეს ობიც კი რომ მოხვედრილიყო შესაბამის ბაქტერიაზე, მაგრამ არახელსაყრელ მომენტში, ესეც უკვალოდ ჩაივლიდა. გარდა ამისა, ფლემინგს ამ დროს სხვა საქმე რომ ეკეთებინა, ხელიდან გაუსხლტებოდა იშვიათი შემთხვევა. ცუდგუნებაზე რომ ყოფილიყო, შეიძლება ისე გადაეგდო გაფუჭებული კულტურა, რომ ზედაც არ შეეხება.

„აჲ რომ მოვქცეულიყავი, დღეს მე აქ არ ვიქნებოდი. ასე რომ, თქვენს რექტორად ჩემი არჩევა სინამდვილეში გაპირობებულ იქნა იმ გარემოებით, რომ მე კარგ გუნებაზე ვიყავი იმ დღით — 1928 წლის სექტემბერში, როდესაც ბევრი თქვენგანი ჯერ კიდევ არ იყო მოვლენილი ამ ქვეყნად. მაგრამ ბედის განგებით ყოველივე ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო, და იშვა პენიცილინი“.

როგორც ყოველთვის, ფლემინგმა ამჯერადაც ილაპარაკა კოლექტიური მუშაობის უპირატესობაზე. სენტ-მერიში მკვლევართა ჯგუფს რომ ემუშავა მასთან, ისინი შეძლებდნენ ხალასი პენიცილინის გამოყოფას, რაც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოახერხა მეცნიერთა ოქს-

ფორდის ჯგუფმა. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი რამ შეიძლება ითქვას ეულად მომუშავე მეკლევარის სასარგებლოდაც.

„რომელი საკითხიც არ უნდა იყოს შესასწავლი, მეკლევარი პირველ ნაბიჯებს მარტო გადადგამს ზოლზე. და მხოლოდ შემდგომ შეუერთდებიან მას სხვები. პირველი იდეა ერთი მეცნიერის პირმოა... როდესაც პენიცილინი შემთხვევით შემოფრინდა ჩემს ფანჯარაში, იმ დროს რომ ჯგუფთან მემუშავა, ალბათ არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი ან შემთხვევით მოვლენას, რომელსაც არაფერი საერთო არ ექნებოდა ჩვენს შესასწავლ პრობლემასთან. საბედნიეროდ, მე მაშინ არავითარ ჯგუფში არ ვიყავი გაერთიანებული და შესაძლებლობა მქონდა თამამად გაეყოლოდი ჩემს წინ მოულოდნელად გამოჩენილ გზას“.

ლაპარაკი რომ დაამთავრა, სტუდენტები გარს შემოეხვივნენ ფლემინგს, ხელში აიყვანეს და საშინელი ხმაურით—ყვირილით, სიმღერით, დოლის დაკვრით, გარმონიკების ჭიჭყინით და ტრომბონების გუგუნით წაიყვანეს სტუდენტების პოლში, სადაც ჩათ გაუმასპინძლდნენ ყველას. სტუდენტების აღიარებით, ფლემინგმა ვაჟაკურად და მხიარულად გადაიტანა ეს მძიმე განსაცდელი. იგი უაღრესად პოპულარული რექტორი იყო.

ტრიუმფალური მოგზაურობანი გრძელდებოდა. 1952 წელს ფლემინგმა მონაწილეობა მიიღო ჟენევაში გამართულ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე დღეს ისვენებდა ლოზანაში. გრიუიერში ისეთი სადილი გაუმართეს, ყველა კერძი ყველისაგან იყო დამზადებული. ფლემინგს ძალიან მოეწონა უცნაური სადილი. ჟენევაში ყოფნისას სერ ალექსანდრემ შეიტყო, რომ ოქტომბერში ათენში შედგებოდა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის სხდომა, რომელსაც უნდა დასწრებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მომწყობი კომისიის წევრი. ფლემინგმა სურვილი გამოთქვა, რომ იგი გაეგზავნათ კონფერენციაზე, „რადგან ათენში ისედაც საქმეები ჰქონდა“. „იუნესკო“ მაშინვე დათანხმდა საბერძნეთში მის გაგზავნაზე. სერ ალექსანდრე შვეიცარიიდან მანქანით გაემგზავრა იუბის გავლით, დოლში მცირე ხანს გაჩერდა და არბუასული ღვინო დალია პასტერის მფსაგონებლად.

ექვს ოქტომბერს ფლემინგი ათენში გაფრინდა და ოცდათექვსმეტი საათის დაგვიანებით ჩავიდა იქ ღამის სამ საათზე. ალექი ცოტა უზუ-ნებოდ იყო, რადგან ისიც კი არ იცოდა, თუ რომელ სასტუმროს მიდ-გომოდა ამ შუალამეს. თვითმფრინავის კარი რომ გაიღო, ფლემინგმა უცებ თვალი მოჰკრა ამალიას, რომელიც მეგობრებთან ერთად მოსუ-ლიყო მის შესახვედრად. ფლემმა შევებით ამოისუნთქა და თავისი ჩვეულებისამებრ თვალები დახუჭა; ასე იდგა ერთ ხანს და სხვა მგზავ-რებსაც უღობავდა გზას. ამ წუთიდან მას არავითარი საზრუნავი არ ჰქონდა: საბერძნეთში მისი სტუმრობა გულმოდგინედ და უდიდესი სიყვარულით იყო წინასწარ დაგეგმილი. ათენის უნივერსიტეტმა ამა-ლია ვურეკას დაავალა ყოველივეს ორგანიზება — ლექციების, კრებე-ბის. ვიზიტების, ექსკურსიების მოწყობა. ამალია თავს ბედნიერად რაცხდა, რადგან გიღობასაც უწევდა ფლემინგს და თარჯიმნობასაც. ქა-ლი ამაყობდა ფლემინგით. ამაყობდა იმითაც, რომ საშუალება მიეცა თავისი სამშობლო გაეცნო მისთვის. საბერძნეთმა მოხიბლა სერ ალექ-სანდრე. აი რა ჩაიწერა მან თავის უბის წაგნაკში პირველსავე დილას:


მზე კაშკაშებს... ფართო აივნინი ოთახი გამომიყვეს. ცხელოდა. ჩაუტყველად გამოვედი აივანზე... ჩემს პირდაპირ მოჩანდა აკროპოლი, ათენში ჩემი პირველი დილის პირველივე სისარულა... ჭეშმარიტად დაუვიწყარი რამაა...

საბერძნეთს მისთვის ისეთივე მიმზიდველი ძალა ჰქონდა, როგორც დასავლეთის ყველა მცხოვრებისათვის. გარდა ამისა. წლების განმავ-ლობაში იმდენი რამ ეამბნა მისთვის ამალიას თავისი სამშობლოს სილამაზეზე, რომ ამან კიდევ უფრო გაუცხოველა ინტერესი ამ ქვეყ-ნისადმი. „იგი მიაშობდა ფირუზისფერ ცაზე, მოკაშკაშე მზეზე, ათასნაირად აფერადებულ მთებზე. ასე რომ, ბეირის მოლოდინი მქონ-და, და თუმცა ოქტომბერში მომიწია ჩამოსვლამ, მაინც დავრწმუნდი, რომ სრული სიმართლე უთქვამს საბერძნეთის სილამაზესა და მოხიბ-ველლობაზე“.

ეს იყო ტრიუმფალური მოგზაურობა. პირველი ლექცია ფლემინ-გმა ათენის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წაიკითხა: დარბაზი ისე იყო გაკვდილი. რომ ბევრი ელჩი და სხვა ოფიციალური პირებიც კი გარეთ დარჩნენ. ფლემინგის მოსასმენად მოვიდნენ არქივისკო-პოსი, პრემიერ-მინისტრი. სახელგანთქმული მეცნიერები და მოჩი-თულ-მოხატულქუდიანი მოხუცი გლეხი ქალები. როდესაც ამ ქალებს



პენიცილის ინექცია საცდელი თავისათვის



„ჩვენი მუშაობა დაეხმარება დაჭრილებს“ (სარეკლამო პროსპექტი, რომელსაც გზავნიდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს).



ნობელის პრემიის გადაცემა

ლექცია. 1952 წელი. ათენი. ამალია აკეთებს ლექციის ჩანაწერს.



ზრდილობიანად აუხსნეს, რომ ფლემინგის ნათქვამს მაინც ვერ გაიგებთ, რადგან ინგლისურად ილაპარაკებთ, მათ უპასუხეს, იმიტომ ჩამოვედით სოფლებიდან, რომ შეეხედოთ მას.

ფლემინგს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა იმის შეგვარება, რომ საშუალება მისცა თავის თანამშრომელსა და მეგობარს ესოდენ გულთბილი შეხვედრა მოეწყო მისთვის თავის სამშობლოში. ფლემინგმა და ამალიამ ერთად ისაძლიერეს ზღვის ნაპირას. ალმასის ფარლულს ჰგავდა საღამო ხანს ნაპირი. ამალია და ფლემინგი სალონოკში გაფრინდნენ. ვურეკამ უთხრა, სადარბაზო ბარათი უნდა გაუგზავნო არქიეპისკოპოსსო და თუმცა ფლემინგს ერთი ცალიც არ აღმოაჩნდა თან, მაშინვე თეთრი მუყაო მოითხოვა და ისე მკაფიოდ დაწერა ზედ თავისი გვარი, რომ სტამბურად დაბეჭდილისაგან ვერ გაარჩევდით.

ჩრდილოეთ საბერძნეთში სამოგზაუროდ ფლემინგს ავტომანქანა გამოუყვეს პირად სარგებლობაში. ამ მშვენიერ, ველურ მთებში მგზავრობისას თან ახლდა ქეშმარიტად მეფუფრი ექსკორტი მოტოციკლეტისტებისა. კასტორიაში იგი ქალაქის ერთ წარჩინებულ მოქალაქესთან მიიწვიეს და ბერძნული სტუმართმოყვარეობის წესისამებრ ფინჯანი ყავა, ერთი კოვზი მურაბა, ჭიქა წყალი და ძალიან მაგარი ადგილობრივი სასმელი „ტსიპურო“ მიართვეს. სტუმარს პატივისცემის გამოსახატავად წარუდგნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები: მერი, ეპისკოპოსი, პოლიციის უფროსი და სამედიცინო საზოგადოების პრეზიდენტი. ყოველი ახალი პატივისცემელის შემოსვლისას ხელახლა შემოჰქონდათ ლარნაკი, რომელზედაც იდგა ყავა, მურაბა, „ტსიპურო“, და ღიასახლისი ზრდილობის გულისათვის ყოველ ჭერზე თავიდან უმასპინძლდებოდა ფლემინგს. მას კი ეგონა, ეს ალბათ აუცილებელი რიტუალიაო და უარს არაფერზე არ ეუბნებოდა მასპინძლებს. შემდეგ ვიზიტად ეწვია ეპისკოპოსს, იქაც დააღევიანეს „ტსიპურო“. ამის შემდეგ კი მართლაც ფეხი აერია შეზარხოშებულ სტუმარს.

ფლემინგი ბავშვივით ერთობოდა, ტბებში თევზაობდა, მოინახულა სამი სახელმწიფოს — საბერძნეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის — საზღვრების გადაკვეთის ადგილი. ისეთ ქალაქს რომ ჩაუვლიდა, სადაც არ იყო დაგეგმილი გაჩერება, მოსახლეობა მაინც გზაზე ხვდებოდა, აჩერებდნენ მანქანას და თავიანთ პატივისცემას გამოხატავდნენ იმ ადამიანის მიმართ, „რომელმაც აღმოაჩინა პენიცილინი“. ბოლოს ათენში

დაბრუნდა; აქ იგი ათენის აკადემიის წევრად აირჩიეს. ძლივს მოასწრო სიტყვის დაწერა, რომელიც, სხვა გზა რომ იყო, ვურეკამ მანქანაზე გადათარგმნა, ცერემონიალზე რომ მიდიოდნენ. „მე იმ ქალაქის აკადემიაში მიმიღეს, სადაც მეცნიერება იშვა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩემი ქვეყნის მცხოვრებნი ველურები და ბარბაროსები იყვნენ, — იგონებდა შემდგომში ფლემინგი. — ეს იყო ჩემი ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი წუთი. კიდევ უფრო მეტად ავლელდი, როცა მომართვეს იმ ზეთისხილის ხის ტოტი, რომლის ქვეშაც ასწავლიდა თავის მოწაფეებს პლატონი. წმიდათაწმიდასავით ვინახავ ამ ტოტს“.

ამ ზეიმის შემდეგ იგი კვლავ გაემგზავრა საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში, მოინახულა კორინთი, დაათვალიერა ესკულაპის ტაძარი ეპიდორეში, არგოსი და მიქენა, ოლიმპია და დელფო. ამ ქალაქის ექვსიათასწლოვანმა ისტორიამ, იქაურმა ტაძრებმა, ორაკულებმა და დიდებით მოსილმა ზეთისხილის ქალამ ალაფრთოვანა იგი. თავის დღიურში კი მხოლოდ ეს ჩაწერა სიტყვაძვირმა ფლემინგმა:

დავათვალიერე ტაძარი. მშვენივრადაა განლაგებული... ვნახე ორაკულის ნანგრევები და ტაძრის ის ადგილი, სადაც წინასწარმეტყველი იჯდა ხოლმე. ვიყავი შალრევანთან. აქ წინასწარ განიბანებოდნენ ხოლმე და მერე მიდიოდნენ ორაკულთან A. ევის საკითხავად. მე კი ვიჯექი და ლუღს შევექცეოდი.

ფლემინგმა ითხოვა კიდევ ერთი დღით გაეგრძელებინათ მისი ყოფნა დელფოში. „კვლავ ვიყავი ტაძარში. მეორედ ნახვისას გაცილებით უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა“. პითიას დასაჯდომ ქვას რომ ათვალიერებდა, ფლემინგმა მასპინძლებს სთხოვა ეამბნათ მისთვის, თუ როგორ წინასწარმეტყველებდა გრძნეული ქურუმი ქალი, და უცებ წარმოთქვა: „დელფოს ორაკული...“ მაგრამ ამალიამ სიტყვა შეაწყვეტინა. სწორედ იმ წუთს მზემ მორცხვად გამოიჭვრიტა დრუბლებში და თავისი ცხოველმოქმედი სხივებით გაანათა ზეთისხილის ხეობა. ქალმა აღტაცებით წამოიყვირა: „შეხედეთ, შეხედეთ, რა თვალწარმტაცი სილამაზეა!“ მერე უცებ გაახსენდა, რომ ფლემინგს სიტყვა შეაწყვეტინა და სტუმარს შეეკითხა: „რალაციის თქმას აპირებდით?“ — „არა, არა“, — უპასუხა ფლემინგმა.

შემდეგში კი აღიარა, რომ დელფოს ორაკულმა თანმხლები ქალის ცოლად შერთვა ურჩია. „ეს მოიმოქმედა თქვენმა ბებერმა პითიამ, რომელიც ქვაზე იყო წამოსკუპებული და იმტკიცებოდა ბრძენი ვარკო

თავის დროზე ხომ ბევრი ვნება მიაყენა ადამიანებს, ახლაც იგივეს განაგრძობს“. ორაკული შეეცადა დახმარებოდა მორცხვ შოტლანდიელს გულისნადების გამოთქმაში. მაგრამ რომელიღაც სხვა ღმერთი ექვიანობის ნიადაგზე წინ აღუდგა ამას.

ათენში რომ დაბრუნდა, ფლემინგმა ევანგელიკურ საავადმყოფოსთან არსებულ ლაბორატორიაში (სწორედ იმ ლაბორატორიაში, რომელსაც ვურეკა ხელმძღვანელობდა) მთელი სერია ცდები ჩაატარა ფაგოციტოზსა და ოპსონურ ინდექსზე. სერ ალექსანდრეს ხანგრძლივი მეცნიერული საუბარი ჰქონდა პროფესორ იაკიმოლლუსთან. მის პატარა ძმისწულ ნორას კი ფრიად სერიოზული კილოთი ელაპარაკა სათამაშო თოჯინებზე. უბის წიგნაკში, რომელშიც დღის ბოლოს ყველა მნიშვნელოვან მოვლენას იწერდა, ვკითხულობთ: „მერულას ეშინია ჩემი“. ორი დღის შემდეგ კი: „მერულა უკვე მეგობრულად მექცევა“. მერულა ამალიას დისწული გახლდათ, ორად-ორი წლის ბავშვი.

მეფემ და დედოფალმა ფლემინგი არაოფიციალურ სადილზე მიიწვიეს.

ფლემინგის დღიური

ორის ნახევარზე მანქანით წავედი საზაფხულო სასახლეში. მიმიღო დედოფალმა ფრედერიკამ. სანდომიანი ახალგაზრდა ქალია, ხალისიანი. მალე მეფე შემოვიდა. აპერიტივი, შემდეგ სადილი. ოთხნი ვიყავით: ექვიმი ვურეკა, მეფე, დედოფალი, ალექსანდრე ფლემინგი. ჩვეულებრივი მასლაათი... ოთხს თხუთმეტი უკლდა. სადილიდან რომ ავდექით. დედოფალს პენიცილიუმის კულტურა ვაჩუქე. მგონი გაეხარდა.

რამდენიმე დღე როდოსზე ისვენებდა. შემდეგ ათენის საპატრო მოქალაქის წოდება მიანიჭეს და ქალაქის მედალი უბოძეს. მედლის გადაცემის ცერემონიალი მოეწყო რატუშაში, რომელიც ინგლისისა და საბერძნეთის აღმებით იყო მორთული. ამით დამთავრდა ეს დაუვიწყარი მოგზაურობა. ფლემინგმა საბერძნეთში უბრალო ადამიანების გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა იგრძნო; ამალიას ერთგულებამ ხომ კიდევ უფრო მეტად მოხიბლა. სწორედ მისი მეოხებით მოეწყო ასე. სასიამოვნოდ და მომხიბვლელად ფლემინგის მოგზაურობა საბერძნეთში. ათ ნოემბერს ფლემინგი ლონდონში. უნდა დაბრუნებულიყო.

9 ნოემბერს საღამოს იგი ვურეკასთან მივიდა; რათა გამოსათხოვარი წერილები დაეწერა და მადლობა გადაეხადა ყველასათვის ასეთი კარგი მიღების მოწყობისათვის, თან კიდევ თავისი ქაღალდები უნდა შეეგროვებინა და წესრიგში მოეყვანა ჩანაწერები. ამალიას დაქანცულობა ეტყობოდა სახეზე და საერთოდ სევდიან გუნებაზე იყო. მთელი თვის განმავლობაში დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ ახლა უწია დაღლილობამ. რატომღაც იმასაც ფიქრობდა, ეგებ აწი ველარც ვნახო ჩემი მასწავლებელიო. მარტოობის გრძობა დაეუფლა. ერთად ივანშემს უჯანასკნელად, ჩუმად და ნაღვლიანად გაატარეს საღამო. გამოთხოვებისას ფლემინგმა, რალაც ჩაილაპარაკა, მაგრამ ამალიამ სიტყვები ვერ გაიგონა. მკირე ხნის დუმილის შემდეგ სერ ალექსანდრემ ჰკითხა:

— თქვენ მე არ მიპასუხეთ.

ლონემინდილმა ქალმა ძლივს ამოიღო ხმა:

— მკითხეთ რამე?

ფლემინგმა ძლივს გასაგონად ჩაიბურტყუნა:

— მე გთხოვეთ ცოლად გამომყოლოდით.

ამალიამ უცებ ვერც კი გაიგო, რას ეკითხებოდნენ და გაოცებული თვალებით შეხედა ალექს. მაგრამ მერე და მერე თანდათან გამოერკვა და როგორც იქნა მიუხედა საწადელს. მიუხედა და უპასუხა „კარგით“.

ფლემინგის უბის წიგნაკში 1952 წლის-9 ნოემბერს წმინდა ტექნიკური ჩანაწერების შემდეგ ცალკე ფურცელზე ერთადერთი სიტყვა წერია: „კარგით“.

10 ნოემბერს ფლემინგი ათენიდან გაფრინდა. ასე რომ, დროც არ ეყო ხეირიანად დალაპარაკებოდა ქალს, ვინც ეს სიტყვა წარმოთქვა და მისი საცოლე გახდა. მთელი დილა გამოთხოვებას მოუნდა, გამოსამშვიდობებლად მოდიოდნენ ექიმები, მოდიოდნენ სტუდენტები. თვითმფრინავში მან პირველი წერილი დაწერა თავისი მომავალი ცოლის სახელზე.

თვითმფრინავიდან, 1952 წლის 10 ნოემბერი

ახლახან გადაუფრინეთ საბერძნეთის უჯანასკნელ კუნძულს. მალე გამოჩნდება იტალია. მოგზაურობამ საბერძნეთში ძალიან კარგად ჩააარა ჩემი გიღის, ჩემი თანმხლების წყალობით, რომელსაც ყველგან ჰყავს მეგობრები. კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამოც ეს თვე განუყოფელია ჩემთვის. წითელი მელნით ვწერ, რადგან დიდ სიმაღლეზე ჩვეულებრივი კალმისტრიდან მელანი ეზნავს. ქვევით ლურჯი ზღვა მოჩანს, მაგრამ არა ისეთი, როგორც საბერძნეთშია.

ახლა, თქვენ დაბრუნდებით ევანგელიურ საავადმყოფოში და შეეცდებით აინახაუროთ გაუდენილი ოცდაცამეტი დღე. თქვენი ახალგაზრდა თანამშრომლები შეეცდებიან შეგამსუბუქონ ფიქრი თქვენი თანმხლები დაკარგვაზე. ძალიან მესიამეუნა, თქვენთან ერთად რომ მოვიარე თქვენი სამშობლო. შეიძლება სხვა ადგილებზეც მოვინახულოთ ერთად. ძალიან გამეხარდა დღეს დილით თქვენი ღიმილის დანახვა (ნაწერზე ბოდიშს ვიხდი, წარამარა საპაერო ქები გვხვდება). ხალისიანი ღიმილე გქონდათ, წუხელ საღამოს კი ერთხანს ნაღვლიანობა გეტყობოდათ.

შემდეგი წერილები აღსავსეა სიყვარულით და წუხილით — ფლემინგმა არაფერი იცოდა ამალიაზე. ქალმა კი, განცვიფრებულმა და აღელვებულმა ფლემინგის მეტისმეტი ლაკონიურობით, რაც მან ხელის თხოვნის დროს გამოიჩინა, გადაწყვიტა... მანამდე არ მიეწერა, სანამ მის წერილს არ მიიღებდა.

1952 წლის 17 ნოემბერი.

ჩემო მისანო, ჩემო კეთილო მისანო კვლავ არაფერს იწერები. ნუთუ ასე მალე დამივიწყეთ. უკვე უამბუთ ვინმეს? მე ჯერ არავისთვის არ მოიქვამს. ერთად უნდა გადაწყვიტოთ, თუ როდის გამოვაცხადებთ ამას, თანაც ორივემ ერთდროულად უნდა გავამხილოთ. გინდათ, რომ ათენში მოხდეს ეს? თუ პო, მაცნობეთ, რა უნდა მოვიმოქმედო... დრო ცოტა გვაქვს. პირველ თებერვალს ინდოეთში მივემგზავრება, დაბრუნდები პირველ აპრილს. თექვსმეტ აპრილს კუბაზე მიწევს გამგზავრება. დაბრუნდები ათ ივნისს, განსაჯეთ და მოიფიქრეთ.

და უცებ ერთბაშად ორი წერილი მოვიდა საბერძნეთიდან; შევბიძგამოისუნთქა, და საქმიანი წერილი გაუგზავნა ამალიას: — მისი აზრით, ცერემონია უნდა მოწყობილიყო 1953 წლის ივნისის მეორე ნახევარში, კუბიდან და შეერთებული შტატებიდან მისი დაბრუნების შემდეგ.

სერ ალექსანდრე ფლემინგი — პროფესორი და მისის როჯერ ლის,

1953 წლის 6 იანვარი

ძვირფასო მეგობრებო.

დიდი მადლობა საშობაო მოლოცვისათვის... თორმეტ მაისს ლექცია უნდა წავიკითხო ზოსტონში და ალბათ ორი-სამი დღე დავჩრები იქ. მაშინ ალბათ შევძლებლა წაჭმოგიდგინოთ ჩემი ცოლი, მაგრამ მანამდე კი გთხოვთ ნურავის ეტყვით ამას. ცოტა გვიან კი გადაწყვიტე კვლავ ცოლის შერთვა, მაგრამ მე მგონი მაინც საჭირო იყო ამის გაკეთება...

1953 წლის დასაწყისში ფლემინგი ინდოეთში გაფრინდა მედიკოსების ჯგუფთან ერთად, მათ შორის იყო ფრანგი პროფესორი, ბორდოელი ეორე პორტმანი, რომელსაც მალე დაუმეგობრდა. თანამგზავრებმა ხე

ლად შეიყვარეს სერ ალექსანდრე. მათ მოსწონდათ მისი უბრალოება, მისი შოტლანდიური ოხუნჯობანი, მოსწონდათ მისი მანერა — ხუმრობის დროს ოდნავადაც რომ არ ეცვლებოდა სახის იერი. სიყვარულით ყველანი ფლემს ეძახდნენ. მისი თანამგზავრები და პირველ რიგში კი თვითონ იგი განცვიფრებული იყვნენ ინდოელთა შეხვედრით. ჯერ ბომბეიში, შემდეგ მადრასში ხალხი რელიგიური თავყვანისცემით ეგებებოდა. ფლემინგის გამოსვლისას დარბაზი მუდამ გაჰყვლილი იყო. ყველგან მქუხარე ოვაციებს უმართავდნენ. ჰოლივუდის ვარსკვლავი მგონია ჩემი თავიო, ამბობდა იგი, „მაგრამ ინტონაციაზე ეტყობოდა, რომ ალბათ არც იტყოდა უარს ვარსკვლავობაზე“.

არც ერთ დამქანცველ მოგზაურობაზე არ უთქვამს უარი, პირიქით, ერთხელ ძალიან ეწყინა, როცა ოთხმა მეზარგულმა ხელში აიყვანა და ისე აატარა ერთ-ერთი ტაძრის ძალიან გრძელი კიბე. ყოველთვის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჯერ კიდევ ჩანიანი მამაკაცი იყო. მედიცინის სწავლების შესახებ წაკითხულ თავის მოხსენებაში ინდოელებს ურჩევდა ლექციების კითხვისას თავი შეეკავებინათ „flim flamm“ისაგან (მისი საყვარელი გამოთქმა, რაც წყლის ნაყვას ნიშნავს). მისი აზრით, სწავლა პატარ-პატარა ჯგუფებად სჯობდა. მეცნიერული მუშაობა კი ინდივიდუალური წესით. საერთოდ კი ყოფილი ბაქტერიოლოგიური განყოფილება კვლავ მის იდეალად რჩებოდა. საღამოობით სასტუმროში თავის მეგობრებს პატიუებდა friz-ზე (ვისკის ეძახდა ასე), ეს სასმელი ხომ მუდამ ჰქონდა მაცივარში.

იმ ხანებში რომელიღაც სხვა კონგრესზე დასასწრებად ინდოეთში ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის ლეიბორისტი დეპუტატი ენოურ ბივენი. ბივენი მშვენიერი ორატორი იყო და რამდენიმე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ინგლისში სოციალური მედიცინის მდგომარეობაზე. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პირველ რიგში ფლემინგი დაინახა. გაუკვირდა კი იმიტომ, რომ იცოდა ფლემინგი წინააღმდეგი იყო ამ საქმეში სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევისა. ფლემინგმა სიტყვა ითხოვა და განაცხადა, გამოსვლას არ ვაპირებდი, რადგან ერთმა ინგლისელმა უკვე ილაპარაკა ჩემს წინ, თანაც მას ის უპირატესობა აქვს, რომ კარგი ორატორიაო. „გარდა ამისა, მე თქვენ მოგახსენებთ მხოლოდ სიმართლეს. ბივენი კი თავის წარმოსახვებს იყენებს, რაც აგრეთვე უპირატესობას ანიჭებს ჩემთან შედარებით“. შემდეგ ფლემინგმა აუდიტორიას მოუთხრო პენიცილინის ისტორია და დამსწრეთ

გაუზიარა თავისი მოსაზრებანი კვლევითი მუშაობის პრინციპებზე. უკვე იმდენჯერ ჰქონდა ნალაპარაკევი ამ თემაზე, რომ მჭევრმეტყველურიც კი გამოუვიდა სიტყვა. სტუდენტებმა ოვაცია გაუმართეს, გარს შემოეხვიენ და ავტოგრაფებს სთხოვედნენ.

ეს ხანშესული კაცი ძველებურად იჩენდა ინტერესს ყოველივე ახლისა და ლამაზისადმი, უდიდესი სიამოვნებით ათვალეირებდა ტაძრებსა და მღვიმეებს, ესწრებოდა ზეიმებს, ტკებოდა ცეკვებით. ათასობით სურათი გადაიღო. ყველაფრის ნახვა უნდოდა, ყველაფრის გაგება და, როგორც ყოველთვის, ახლაც სურდა, რომ თვითონ დარწმუნებულიყო ყველაფერში.

მთელი ამ მოგზაურობის დროს სერ ალექსანდრე ყიდულობდა სარებს *, შალებს და ქალის სხვადასხვა სამკაულებს. ისეთი გულმოდგინებითა და სიყვარულით არჩევდა ამ ნივთებს, რომ ჰკითხეს, ვისთვის ყიდულობთო. „დისთვის“, — უპასუხა მან. არ დაუჯერეს, მაგრამ მეტი ვერაფერი აბქმევიენეს. პირადი გრძნობები ისე წმიდათაწმიდად მიიჩნდა მას, რომ მათზე ლაპარაკს მკრეხლობად თვლიდა. მაგრამ როცა ამ საჩუქრებს ყიდულობდა, მაინც ყველა ამჩნევდა უჩვეულო მღელვარებას.

ფლემინგმა მონაწილეობა მიიღო ლეოპარდზე ნადირობაში, აგრეთვე სიარულში გამართულ შეჯიბრებაში. ყოველივე ამის შესახებ იგი დაწვრილებით წერდა თავის მომავალ ცოლს.

როგორც ვაძკობ, აი უკვე ნახევარი საათია, რაც წერაღს გწერთ. თქვენს ნორმას გადავკარბე. განუბიერებო. ახლა შეიღის ნახევარია. გარიჟრაჟი იწყება, და ჩემს ფანჯარასთან ქლურტულუბენ ხეებზე გუნდგუნდად შეფენილი ბელურები.

საბერძნეთიდან გამგზავრების შემდეგ იგი ყოველდღიურად, ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი უგზავნიდა წერილებს ამალიას.

ინდოეთში, მოგზაურობის დროს ფლემინგს ძალიან შეეჩვივნენ და დაუახლოვედნენ მისი თანამგზავრები. მათი შეხედულებით, ფლემინგმა „თავისი სიმშვიდით, აუღელვებლობით, თავშეკავებული მანერებით საუკეთესო ადამიანური თვისებები გამოამჟღავნა“. ამერიკელი ექიმი ლეო რიგლერი (დიუარტიდან, კალიფორნია), რომელმაც მასთან ერთად იმოგზაურა, წერს: „ახლაც თვალწინ მიდგას იგი: ტუჩზე მიკრული გა-

* საზოგადოებად მოსაძლეთის ქვეყნებში (ინდოეთში და სხვ.): ქალის სამოსი—გრძელი (4—5 მეტრამდე) ქსოვილი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევენ ტანზე (მთარგმნ.).

ნუყრელი სიგარეტით, მოკრძალებით, ბუნებრივად რომ იქცეოდა საყოველთაო თაყვანისცემის წინაშე“.

31 მარტს იგი ლონდონში ჩაფრინდა. პირობის თანახმად, ამალია მისი დაბრუნებისთანავე ჩავიდოდა ლონდონში, იქ იქორწინებდნენ და შემდეგ ერთად გაემგზავრებოდნენ კუბაზე და შეერთებულ შტატებში. პირვანდელ გემასთან შედარებით ქალი სამ თვეს იგებდა.

იგი 3 აპრილს, წითელ პარასკევს. თვითმფრინავიდან ჩამოვიდა ლონდონის აეროდრომზე, და თავის მომავალ მეუღლეს დაუწყო თვალებით ძებნა, მაგრამ იგი არსად ჩანდა. როცა ფლემინგი ჩავიდა საბერძნეთში, ამალიამ ისიც კი მოახერხა, რომ საფრენ მინდორზე დახვედროდა მას... მაგრამ ფლემინგი სხვანაირი ბუნების კაცი იყო, არ უყვარდა ხალხის შეწუხება, მუდამ რიდითა და კრძალვით იქცეოდა ყველასთან: საბაჟოდან რომ გამოვიდა, ამალიამ მხოლოდ მაშინ დაინახა იგი. დამხვდურთა შორის ფლემინგი ყველაზე ბოლოს იდგა. ქალი სიხარულით გაექანა მისკენ, მაგრამ მის გაქვავებულ სახეს რომ შეხედა, შეცბა. ფლემინგს გვერდში ედგა სევდიანი ელისაბედი, სარინის საცოდავი და. ამალია დაიბნა, ფეხები დაებოკა და ადგილზე გაქვავდა, ისეთი ცივი გამომეტყველებით შესცქეროდნენ მას ამ ორი ადამიანის თვალები. მხოლოდ შემდეგში ისწავლა მან ქმრის ძლივსშესამჩნევი ექსტების ამოხსნა და მიაგნო მისი გამოუცნობი ქცევის გასაღებს; იგი მიხვდა, რომ ზოგჯერ საშინელი მღელვარება იფარებოდა მისი სახის ცივი ნიღბის ქვეშ, როდესაც მის არსებაში ბობქარი ბრძოლა წარმოებდა სულიერ მოთხოვნილებასა და მოვალეობის შეგნებას შორის.

შემდგომში ქალი იმასაც მიხვდა, რომ როდესაც ფლემინგმა აეროდრომზე თავისი ცოლისდა მოიყვანა, ეს მისი უსაზღვრო სიკეთის გამოხატულება იყო, ამით ხომ დაერდომილ მოხუც ქალს ის აგრძნობინა, არაფერი არ შეიცვლებო. სათნოებით განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანები ხშირად სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებენ და მეტიმეტრი, ზომიერადსული მორიდებულობის გამო უმიზეზოდ ტკივილს აყენებენ უაღრესად საყვარელ პიროვნებებს. ფლემინგს ისეთი ნაკლოვანებები ჰქონდა, რომლებიც მისი ღირსებებით იყო გაპირობებული. იგი მეტიმეტრად პატიოსანი იყო და ცდილობდა ასეთი ყოფილიყო ყველას მიმართ. ეს ზედმეტად მგრძნობიარე კაცი გულჩახვეულობით იცავდა თავს. იგი ძალიან გონიერი და ძალიან მომთმენი იყო, ზედმეტი მომთმენობა კი ზოგჯერ საშიშ თვისებაში გადაიზრდება ხოლმე. წრესგადასული თავ-

მდაბლობის გამო არც კი სჯეროდან, რომ ვინმეს შეეძლო მისი სიყვარული. უღარესად სამართლიანი კაცი, ესაა და მიუყვარძობა მმართვებსო, ხანდახან უსამართლობას იჩენდა საკუთარი თავის მიმართ, იმათ მიმართაც, ვინც უზომოდ უყვარდა.

მეორე დღეს, შაბათს. ფლემინგი თავის მომავალ ცოლთან ერთად ჩელსის მერიამი გაემგზავრა ქორწინების ნებართვის მისაღებად. (ინგლისში ეს აუცილებელი ფორმალობაა; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განცხადების გამოქვეყნება პრესაში). მდივანმა გულცივად, ისე რომ ერთხელაც არ აუწევია თავი ზევით, ჩაიწერა მისი გვარი და მისამართი. იფიქრებდით, ამ კაცს ირასოდეს არ სმენია სერ ალექსანდრე ფლემინგის სახელიო. წერა დაამთავრა თუ არა (თავი არც ახლა აუწევია). ოფიციალური კილოთი მიმართა ფლემინგს: „სერ, ჩემი აზრით, გაუხმაურებლად გირჩევნიათ ალბათ ეს საქმე. ამიტომ განცხადებას დღის ბოლოს გადავცემ. ჟურნალისტები. მხოლოდ სამშაბათს. მრმდევნო სამუშაო დღეს წაიკითხავენ მას“. ფლემინგმა უპასუხა „გმადლობთ“. ერთმაც და მეორემაც უდიდესი თავშეკავებულობა და ტაქტი გამოჩინეს. მდივანმა ლამის აჩოხა კიდეც ფლემინგს.

ჟურნალისტები, რომელთაც ყური მოჰკრეს ამ ამბავს, სამშაბათსა და ოთხშაბათს მოსვენებას არ აძლევდნენ მოძვეალ ცოლ-ქმარს. რათა შეეტყოთ, თუ როდის და სად ჩატარდებოდა ცერემონია. ოთხშაბათს, საღამოს ექვს საათზე ფლემინგი ჩვეულებისამებრ კლუბში წავიდა ბოლიარდის სათამაშოდ. მეგობრებისათვის არც კი გაუმხელია თავისი მომავალი ქორწინების ამბავი, და წასვლისას მხოლოდ ეს ჩაიბურტყუნა: „ხვალ ალბათ ვერ მოვალ; და საერთოდ ზოგეერთ ჩემს ჩვეულებას უნდა გამოვეთხოვო“.

მისმა ბიჩუის მაკლერმა და მეგობარმა რიჩიმ იმ დღეს პატარა ბარათი მიიღო, რომელშიც ფლემინგი წერდა, რომ მას სერიოზული საქმეები გამოუჩნდა: „გაზეთებიდან შეიტყობთ ჩემს ამბავს“. რიჩიმ დაურეკა, რათა გაეგო, თუ რა საქმეს გულისხმობდა იგი; ფლემინგი პასუხს აერიდა და მხოლოდ ეს უთხრა: „ნაეახშმევს მობრძანდით ჩემთან“.

„მისი ქორწინების ამბავი, — განაგრძობს რიჩი, — ალბათ საღამოს ბოლო გამოშვების გაზეთში იყო გამოცხადებული, და არა იმაში, რომელიც მე წავიკითხე. ამიტომ, როცა მასთან მივედი, არაფერი არ ვიცოდი. პირველად უხერხულ მდგომარეობაში აღმოვიჩნდი, როცა შევეკითხე, რაშია-მეთქი საქმე, ფლემინგმა იფიქრა, იცის ყველაფერი, მაგ-

რამ დამცინისო. ბოლოს ყოველივე გაირკვა. მერე კი ტკბილად ვიმას-
ლაათეთ ერთხანს, სოლიან ეისკის შევექცეოდით და სიგარეტს ვეწეო-
დით. იგი ბედნიერად მეჩვენა, სახეზე აშკარად ეტყობოდა კმაყოფილე-
ბა, რაც ბოლო წლებში უჩვეულო გახდა“.

9 აპრილს, ხუთშაბათს, თერთმეტ საათზე ჩელსის მერიასში მოეწყო
სამოქალაქო ქორწინება, რომელსაც სულ ორი კაცი ესწრებოდა: რე-
ლიგიური ცერემონია შუადღით გაიმართა წმინდა სოფიოს ბერძნულ
ეკლესიაში, მოსკოუ-როდზე. ჯერისწერას დაესწრნენ ნათესაეები და
რამდენიმე მეგობარი. შემდეგ „კლერიჯში“ პატარა ბანკეტი გამართეს.
ფლემინგს გადაწყვეტილი ჰქონდა ერთი კვირა ამ სასტუმროში ეცხოვ-
რათ და შემდეგ გამგზავრებულყვნენ კუბაზე.

XIX. მეტიხმეტად ხანმოკლე ბედნიერება

ვინაც შექმნა და გამოზარდა ქვე-
მარტი ხათნობა, ღმერთებს უნდა
აუჯარდეთ იგი, და თუ ეს შესაძლებე-
ლია ადამიანისათვის, თვითონაც უკე-
დავი უნდა გახდეს

ქალატონი, ნადიმი 212 ა.

ქალღმერთი ფორტუნა ხშირად ყო-
ფილა კეთილგანწყობილი ჩემს მიმართ,
და მე შევეცადე კარგი შემთხვევით გა-
დამეხსადა სამადლობელი.

ფლემინგი

მეგობრებმა ფლემინგს მოუწონეს ცოლის შერთვა.
ბენ მეიმ ამერიკიდან მოიწერა: „ექიმ ვურეკას ჩამოყალიბებული ხასია-
თი აქვს — ესე იგი მამაცია, გულწრფელი და კეთილი. ძალიან ჰკვიანს
და განათლებული ქალია“.

ვურეკა მანამდეც თავყვანს სცემდა ფლემინგს, სანამ მისი ცოლი
გახდებოდა: ერთად ცხოვრების დროს ხომ კიდევ უფრო ვანუმტკიცდა
და გაუცხოველდა მისი პატივისცემა. ფლემინგი უალრესად ადამიანური
კაცი იყო, ადამიანური — ამ სიტყვის ყველაზე უკეთესი გაგებით. მან
საკუთარი ხელით გადაწერა კიპლინგის პოემა „თუკი“, რომლის ყოვე-
ლი სტრიქონი პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო ფლემინგისათვის. მას-
ზე უკეთ ვის შეეძლო „დამარცხების შემდეგ გამარჯვების ზეიმი და ამ
ორივე მატყუარას ერთნაირად მიღება“. სასიხარულო გაკვირვებით
და ამავდროულად სწავლით გულცივობით შეხვდა იგი დიდების დაუს-
რულებელ ნაკადს, რომელიც ძალუმად შემოიჭრა მის უბრალო ცხოვ-
რებაში. მსოფლიო დიდების მწვერვალზე მკაფიოდ გამოვლანდა მისი
ყველა სულიერი თვისება, თგი ძველებურად თავმდაბალი და მორცხვი
იყო.

არც შეეძლო და არც იცოდა თავისი სანუკვარი გრძობების გა-
მომქლავნება, ეს იყო მისი ერთადერთი ნაკლი. და სწორედ ამ ერთადერ-
თი ნაკლის გამო პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა ამალიას. მაგრამ
ერთხელ ქალს უნებლიეთ წამოსცდა საალერსო სიტყვა და ეს ისე მოუ-
ლოდნელი აღმოჩნდა ფლემინგისათვის, რომ ჭერ შეეცა და მერე კი

სახე გაებადრა უზომო სიხარულით. ასე ვეგონებოდათ, წიაღისეულმა წყალმა ყინული ამოამსხვრია და ზედაპირზე ამოჩქეფაო: ათასში ერთხელ, როდესაც ფლემინგს მისთვის დამახასიათებელი ცივი გამომეტყველება ჩამოშორდებოდა, ისეთი წრფელი და ძლიერი გრძნობა აესახებოდა სახეზე, რომ ამალიას მაშინვე გაუქრებოდა ქმრის შემაშფოთებელი დუმილითა და მეტისმეტი თავშეკავებულობით გამოწვეული ექვიანი ფიქრები. განა ტყუილად ეძახდა იგი თავის ცოლს შეუძლებელის შემძლე მისანს“; ამალიამ მართლაც შეუძლებელი შეძლო. ქალმა ყინულის საფარველი გაარღვია და როგორც იქნა დაიხსნა იგი იმ ავბედითი უკულმართობიდან, რომლის მიზეზითაც ამ უღარესად გულზიარმა და თანამგრძნობმა ადამიანმა ისე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე, რომ ვერა და ვერ გამოავლინა თავისი ნამდვილი ბუნება.

თექვსმეტ აპრილს ისინი ერთად გაფრინდნენ კუბაზე. ჰავანის აეროდრომზე სტუმრებს ოფიციალური პირები დახვდნენ, მათ შორის ახალგაზრდა ქალიშვილი მარგარიტა ტამარგო, რომელიც ერთ ხანს ბრიტანეთის საბჭოს სტიპენდიანტი იყო რაიტ-ფლემინგის ინსტიტუტში. კუბაზე იგი გიდობასა და თარჯიმნობას უწევდა ფლემინგს, ესე იგი იგივე როლს ასრულებდა, რასაც ამალია საბერძნეთში. უღარესად უშუალო, აღტაცებული, მბრძანებლობას ჩვეული, და ამავე დროს მეტისმეტად კეთილი ბუნების ქალიშვილი მუდამ პირველობდა და უფროსობდა და ყველას უყვარდა.

სენტ-მერიში იგი ფლემინგის თავგამოდებული თავყვანისმცემელი იყო. ერთხელ მარგარიტა ვურეკასთან იყო ვანშმად ინსტიტუტელ მეგობრებთან ერთად. მომავალმა ლედი ფლემინგმა სტუმრებს უთხრა, ფრანგულ ენაზე ვთარგმნი ფლემინგის ერთ-ერთ ლექციასო. მარგარიტა ტამანგომ მლოცველევით დაიკრიფა გულზე ხელები და აღტაცებით წამოიძახა: „ნეტავ იმას ველირსებოდე; რომ რამე მომცეს ესპანურად გადასათარგმნი... ყველაფერს გავაკეთებდი მისთვის, ყველაფერს გავაკეთებდი შუალამემდე!“ ამ „ყველაფერს გავაკეთებდი შუალამემდე“-მ გულიანად აცინა ყველა.

მარგარიტა ტამარგოს გულწრფელად ახარებდა თავისი მეგობრების ბედნიერება, სიყვარულით თავს ეკლებოდა მათ. დიდი ბრიტანეთის საელჩომ საპატიო სტუმრებს ნომრები დაუჭირა და „კაუნტრი კლაბში“,

გოლფის მოედნის გვერდით, რადგან პაეანის სასტუმროთა შორის იგი ყველაზე უფრო ჰგავდა ინგლისურს. სერ ალექსანდრე, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ხელისუფალთა გადაწყვეტილებებს, თანახმა იყო „კაუნტრი კლაბში“ დარჩენაზე, თუმცა ამ სასტუმროში, რომელიც ზღვიდან საკმაოდ დაშორებული იყო. აუტანელი სიცხე იდგა. მაგრამ ლედი ფლემინგმა და მარგარიტამ მაშინვე მოითათბირეს და სხვაგან გადასვლა გადაწყვიტეს. ორ საათში მათ სამი სასტუმრო ჩამოიარეს და ერთ-ერთ მათგანში იშოვნეს მშვენიერი ოთახი, რომელიც ოკეანეს გადაჰყურებდა. საელჩოს თანამშრომლები გაოგნებული იყვნენ, რადგან ფლემინგის ადგილსამყოფელს ვეღარ მიაგნეს. ფოსტას, ყვავილებს, წარჩინებულ მოხელეებს ხან ერთ სასტუმროში ავზავნიდნენ, ხან მეორეში. ფლემინგს აოცებდა და აშინებდა, თანაც ართობდა მოუსვენარი მარგარიტასა და საქმიანი ამალიას გამბედაობა. აბრაზებდა ოფიციალურ განკარგულებათა აბუჩად აგდება და ამავე დროს სიამეს გვირღია ატლგაზრდული მხიარულების ატმოსფერო, რომელიც უფრო მეტად შეეფერებოდა მას, ვიდრე ისეთი გარემო, რომელშიც ცხოვრობენ ხოლმე საერთოდ მისი ხნის ადამიანები.

კუბაზე მოგზაურობამ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ფლემინგმა რამდენიმე ბრწყინვალე ლექცია წაიკითხა უნივერსიტეტში. ზოგჯერ იმპროვიზირებულად უამბობდა აუდიტორიას არა მარტო იმაზე, რაც უკვე გააკეთა. არამედ იმაზეც, თუ რას აპირებდა მომავალში, ლაპარაკობდა თავის საკვლევადიებო მუშაობაზე, რომელსაც, მისი ღრმა ჩრმენით, სხვები დააბოლოვებდნენ. სტუდენტები მოხიბლა მისმა თავმდაბლობამ. ფლემინგმა გააცნო მათ ლაბორატორიული ტექნიკა. სიამოვნებით პასუხობდა ყველა შეკითხვას. სტუმარს დაათვალიერებინეს საავადმყოფო და აჩვენეს ბაქტერიოლოგთა წმიდათაწმიდა ადგილი — კარავი. სადაც ერთ ხანს ცხოვრობდნენ უოლტერ რიდი და ფინლი იმ პიზნით, რომ კოლოებს დაეკბინათ და ამ გზით შეესწავლათ ყვითელი ცხელება.

„იგი სრულიადაც არ იყო პატივმოყვარე, — იგონებს მარგარიტა ტამარგო. — მაგრამ რაღაც ისეთი ახასიათებდა ამ კაცს, რასაც სახელს ვერ მოვუძებნი. ყველაფერი ახარებდა, რასაც მისი გულისათვის აკეთებდნენ, რასაც ეუბნებოდნენ, ახარებდა საყოველთაო პატივისცემა. განსაკუთრებით აფასებდა იგი სიყვარულს, რომელიც გამოსკვიოდა მისი თავყვანისმცემლების თვალებში. ერთხელ „ტროპიკანაში“ (ღამის

სამიკიტნოში) წავედით და ისე იქცეოდა, როგორც პატარა ბიჭი... ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, როდესაც იცნეს და ოვაცია გაუმართეს.

ბოლო სამი დღე ფლემინგებმა ვარადეროში, ალბერტო სანჩი დელ მონტეს ვილაში გაატარეს მარგარიტას ბიძასთან და ბიცოლასთან. ფლემინგი ცურაობდა, ყვინთავდა, თევზაობდა. სტუმარს საჩუქრად მიართვეს ჩალის დიდი ქუდი და guayabera — კუბელების ეროვნული ხალათი. დაათვალიერა სტალაგმიტური და სტალაქტიტური გამოქვაბულები, და, ისევე როგორც ერთხელ ინდოეთის ტაძარში, ახლაც სულმოუთქმელად უნდოდა აერბინა გრძელი კიბე, მაგრამ დაუშალეს. ფლემინგს კი იმის დამტკიცება უნდოდა, რომ მისი ახალგაზრდა თანმხლები ქალები ვერ გაუძლებდნენ მასთან შეჯიბრს. საერთოდ სერ ალექსანდრე ისეთ ბედნეურებას განიცდიდა ამ მოგზაურობის დროს, რომ მარგარიტა ტამარგომ კიდევ რამდენიმე ხნით დარჩენა შესთავაზა. „ჰო, მარგარიტა, მაგრამ თავის საჩივნი ფული ხომ უნდა ვიშოვნო“, — უპასუხა ფლემინგმა. მართლაც რომ ასე იყო.

ოცდაათ აპრილს ფლემინგები ნიუ-იორკში გაემგზავრნენ. მათ თან წაიღეს ერთი ყუთი სიგარები, რომლებიც საჩუქრად მიართვეს კუბაში. ფლემინგი მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა, მაგრამ საერთოდ არაფრის გადაგდება არ იცოდა, მით უმეტეს ვერ გაიმეტებდა ასეთ ძვირფას ძღვენს. ამიტომ ერთხანს სიგარებს ეწეოდა.

შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას, ისევე როგორც საერთოდ ყველგან, მომქანცველი განრიგი ჰქონდა. ლექციები, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლები, ინტერვიუ. მაგალითისათვის აღწეროთ ერთი დღე: დილით იგი მანქანით გაემგზავრა დიულუტრიდან. ჩავიდა სენ-პოლში, სადაც გაუმართეს დიდ სადილი, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა; სადილის დამთავრებისთანავე გაემგზავრა როჩესტერში თავისი მეგობრის კეიტის სანახავად, რომელთანაც ერთად მუშაობდა ბულონში; დაათვალიერა მაიოს კლინიკა, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა კოლეგებთან; შემდეგ იეახშმა კეიტების ოჯახში და ღამით დაბრუნდა სენ-პოლში. ლედი ფლემინგი ფეხზე ძლივს იდგა დაღლილობისაგან, სერ ალექსანდრე კი ისე მხნედ გამოიყურებოდა, 'გეგონებოდათ მთელი ამ ხნის განმავლობაში სავარძელში იჯდა მოსვენებულიო.

ფლემინგი მოხარული იყო, რომ შეეძლო თავისი ახალგაზრდა ცოლი გაეცნო ამერიკელი მეგობრებისათვის, კერძოდ კი ჰარვარდის უნივერ-

სიტეტის პროფესორ როჯერ ლისთვის. „ალეკი დროდადრო დაჯდებოდა, — წერს როჯერ ლი, — ამოიხვნეშებდა და იტყოდა, მე არც კაბინეტური მეცნიერი არა ვარ და არც მოგზაური, არამედ ლაბორატორიული სამუშაოსათვის გამაჩინა ბუნებამ და იმაზე ვოცნებობ, თუ როდის დაეუბრუნდები ჩემს კულტურებსო. ამიტომ ძალიან მიყვირს, როგორ დაყაბულდა იგი, რომ ამდენი ემოგზაურა და ამდენი სიტყვა წარმოეთქვა. ფლემინგი უაღრესად ზრდილი კაცი იყო და იგი ყველას უყვარდა. მრავალი წლის განმავლობაში პირადი მიმოწერა მქონდა მასთან, მაგრამ ყოველთვის მოკლე წერილებს მიგზავნიდა... მხოლოდ ისეთ შემთხვევაში სიტყვაუხვობდა, როცა ამალიაზე მწერდა“.

რაც უფრო უკეთ ეცნობოდა ამალია მას, მით უფრო მეტ ალტაცებას განიცდიდა მისი შრომისმოყვარეობით, მისი თავაზიანობით და შესანიშნავი ხასიათით. ფლემინგს წუწუნი არ უყვარდა. ერთხელაც არ დაიჩივლებდა რამეზე. ხშირად, როცა სადმე იწვევდნენ ხოლმე, სამი დღის დასვენებას და ულამაზეს ტბაში თევზაობას აღუთქვამდნენ. და თუმცა მწარე გამოცდილება არ აკლდა და კარგად იცოდა, რომ ასეთი დაპირებანი დაპირებად რჩებოდა, მაინც ყოველთვის სჯეროდა, რომ დაწაპირებს შეუსრულებდნენ. მაგრამ, როგორც კი ჩავიდოდა დასასვენებლად, მაშინვე შეუჩნდებოდნენ და სთხოვდნენ ერთი ათიოდ ლექციის წაკითხვას („ეს ხომ დიდ სარგებლობას მოუტანს სტუდენტებს“), რამდენიმე კლინიკის მონახულებას („ავადმყოფებს ძალიან გაეხარდებათ“) და რადიოთი გამოსვლას. თავაზიანობის გულისათვის, აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს ამოვნებინა მთხოვნელებისათვის, ყველაფერზე თანხმდებოდა და ამიტომ ერთი წუთიც კი არ რჩებოდა თავისუფალი.

ამერიკაში მოგზაურობის დროს ამალიამ, რომელიც გვერდიდან არ მოცილებია მას, შეატყო, რომ საზღვარგარეთ იგი უფრო თამამობდა. ინგლისში კი მისი მეტისმეტი თავშეკავებულობა თითქოსდა იმის შიშით იყო გამოწვეული, ვაი თუ სხვაგვარი ქვევა არც კი მომიწონონ ირგვლივ მყოფებმაო. მომხიბვლელი ღიმილი. რომელიც ამალიამ მისი გაცნობის პირველ დღეს შეამჩნია, მისი ცხრაკლიტული შინაგანი სამყაროს ერთადერთი სარკმელი იყო. და ეს ღიმილი, ახლა მისი სახის მუდმივ სამკაულად გადაიქცა.

თითქმის ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო, იშვიათად თუ მოიწყენდა. მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც ძალიან აღაშფოთებდა ხოლმე. ფლემინგი უზომოდ თავმდაბალი იყო, მაგრამ საშინლად ბრაზდებოდა, როდესაც

უპატივემულოდ ექცეოდნენ, თუნდაც უნებლიე ყოფილიყოს ეს. ხმას კი არ ამოიღებდა ამ დროს, ოდნავ წამოწითლდებოდა, თვალები გაეყინებოდა და საშინელი ზიზღი აესახებოდა გამომეტყველებაში.

ინგლისში ისინი „კუინ ელისაბედით“ ჩავიდნენ. ორივენი უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ იმიტ, რომ ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდნენ თავიანთ ლაბორატორიას. ინსტიტუტის მართვა კვლავ ათასგვარ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ჟანდაცვის შესახებ ახალი კანონის გამოსვლასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ან სამედიცინო სკოლასთან შეერთება ანდა ჟანდაცვის სამინისტროს გამგებლობაში შესვლა. ფლემინგი, ისევე როგორც ერთხანს რაიტი, შიშობდა, რომ ასეთი გაერთიანების შედეგად ინსტიტუტი დაკარგავდა თავის ავტონომიას. ფლემინგი ისე ჭიუტობდა, ისე თავგამოდებით ცდილობდა ცოტაოდენი დამოუკიდებლობა მაინც შეენარჩუნებინა, რომ სენტ-მერის დირექციას მოთმინების ფიალა აევსო. მაგრამ სერ ალექსანდრე დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და არ უთმობდა. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ კომპრომისულ გადაწყვეტილებაზე: რაიტ-ფლემინგის ინსტიტუტი სამედიცინო სკოლას კი შეუერთდებოდა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნებდა ავტონომიას.

ცოლ-ქმარი დანვერს-სტრიტზე ცხოვრობდნენ, ფლემინგის ბინაში, რომელიც ამალიამ ცოტა გადააკეთ-გადმოაკეთა. დილით ორივენი ინსტიტუტში მიდიოდნენ სამუშაოდ. საღამოს ფლემინგი ცოლს სახლში მოიყვანდა და თვითონ კი ბილიარდის სათამაშოდ მიდიოდა კლუბში, რომელიც იქვე, სახლის გვერდით იყო და ფლემინგი მაშინაც კი არ გამოტოვებდა დღეს იქ წაუსვლელად, როცა საღამოს წვეულებაზე იყვნენ მიპატივებულნი და ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა. „არა უშავს, მოგასწრებთ“, — იტყოდა ხოლმე მშვიდად. შეიძს რომ ათი წუთი უკლდა, მაშინ ბრუნდებოდა კლუბიდან და წამდაუწუმ „აყვედრიდა“ ცოლს: წინათ რვის ნახევარზე მოვდიოდიო. ეს ორმოცი წუთი ამალიას საჩუქარი იყო.

ყოველ საღამოს ან სადმე მიდიოდნენ ფლემინგები ანდა თვითონ ჰყავდათ სტუმრები. და თუ რაიმე შემთხვევის გამო მარტონი დარჩებოდნენ სახლში, სერ ალექსანდრე სავარძელში მოიკალათებდა, ფეხთით კი პატარა სკამზე ცოლი მიუჯდებოდა და იყვნენ განცხრომაში. თუ ამალია რაიმე საქებას ეტყოდა ქმარს, იგი სასტიკად უხარობდა. მაგის ღირსი არა ვარო. თვითონ კი ერთხელაც არ ეტყოდა ცოლს კომპლი-

მენტს; და თუმცა მეგობრები აშკარად ამჩნევდნენ, რომ იგი აღტაცებით შესცქეროდა ხოლმე ამალიას, მაგრამ როგორც კი შეხედავდა ქალი, იგი მაშინვე თვალებს დახუჭავდა, რათა სასწრაფოდ დაემალა თავისი გრძნობა.

ზოგჯერ ცოლს თავზე ხელს დაადებდა და იქდა ხმისამოუღებლად. ან კი რა საჭირო იყო სიტყვები, როცა ამ დროს ქალი უთქმელადაც გრძნობდა მის მხურვალე სიყვარულს. ბედნიერების, სიხარულის, სიმშვიდის განცდა დაეუფლა ამალიას. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ გონებითაც და გულითაც თანაზიარი გაუხდა სათაყვანებელი არსება, რომ ესოდენ „საიმედო“ და ერთგული გამოადგა ქმარი; ბოლო მოელო ქალის ეჭვებსა და შიშს. ახლა, როცა ისინი ერთად იყვნენ, ყველაფერი გაიოლდა და გალამაზდა მის ცხოვრებაში. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ ეს კეთილი, გონიერი და ბრძენი ადამიანი მას გვერდით მიაბიჯებდა ცხოვრების გზაზე და რომ ეს ნეტარება დიდხანს გაგრძელდებოდა, სულ ბოლომდე ასე იქნებოდა. აბა, მაშ რატომ შეახვედრა ბედისწერამ ერთმანეთს სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა წრის ეს ორი ადამიანი? ფლემინგი მუდამ იმას ამბობდა, რომ იღბლიანი კაცი იყო. ახლა ხომ ამალიასაც შეეძლო იმედლიანად მინდობოდა. თავის ბედ-იღბალს?

ფლემინგი გაახალგაზრდავდა. „მხოლოდ მაშინ დავბერდები, — ამბობდა იგი, — როცა შუქი დააკლდება სიცოცხლეს“. ის კი სულაც არ იყო შუქნაკლული. ქალაქგარეთ, „ღუნში“. სადაც ისინი შაბათ-კვირასა და აგვისტოს ნაწილს ატარებდნენ, ფლემინგი არაქათს აცლიდა სტუმრებს თავისი დაუშრეტელი ენერგიით. თუმცა ბევრი მათგანი ოცდაათისაც არ იყო. მოსვენებას არავის აძლევდა: აი, ნახეთ რა შესანიშნავი ხენდრო მოვიყვანეთ გაუქმებული აუზის ფსკერზეო: აი, ნახეთ ახალ სათბურს ვაშენებთ პამიდორებისათვის; ეს კორპსაძრობი გავვიტყუდა, და გარაჟში კონსტრუირებულ დაზგაზე შევაკეთეთ. ამ დაზგას ხერხვაც შეუძლია, ჩარხვაც და ხეხაცო; ახლა ბაღში წავიდეთ და ჭიყყელეობო: მოვაგროვოთ სათევზაოდო. რა თქმა უნდა, შეუცდომლად აგნებდა მათ სამყოფელს; ფლემინგმა ხომ შესანიშნავად შეისწავლა ჭიყყელების ჩვევები. ამიტომ მაშინვე იმ ადგილისაკენ გაეშურებოდა, სადაც ხენდრო იზრდებოდა, ჩაარჭობდა მიწაში ორთითს და გიყვარდეს სიხარული — იქაურობა სავსე იყო ჭიებით.

„ასეთი ჰიპოთეზები ბალში სხვაგან არსადაა, — სიამაყით იტყოდა ხოლმე. — ყველაზე უკეთესები სწორედ აქ იყრიან თავს“.

ასლა მდინარეზე წაიყვანდა სტუმრებს სათევზაოდ ან კიდევ-ნიჩბიანი ნავით სასეირნოდ მიიპატიებდა. თუ არა და კროკეტის ან შაშის თამაშით ართობდა. ისევე როგორც წინათ, ახლაც ფლემინგი ყოველთვის იგებდა თამაშს და ბავშვივით ახარებდა ეს. ერთი სიტყვით, „დუნში“ უსაქმოდ ვერავის ნახავდით — ვერც მასპინძლებს, ვერც სტუმრებს. „მოდით, სათაურებს მაინც გადავხედოთ, — გადაშლიდა გაზეთს რომელიმე სტუმარი, — თორემ საცაა სერ ალექი წამოგვადგება თავზე და ისევ რაიმე თამაშში ჩაგვაბამს“.

1953 წლის ოქტომბერში ფლემინგს სიტყვა უნდა წარმოეთქვა „სამედიცინო დღეების“ გახსნაზე ნიცაში. ორი დღით ადრე დილით ძლიერად შეამცივნა. ალექმა თვითონვე დაუსვა თავის თავს დიაგნოზი: პნევმონია. ექიმმა დაადასტურა დიაგნოზის სისწორე და მაშინვე შეუყვანა პენიცილინი. დღის განმავლობაში ტემპერატურა დაეცა. წამლის სწრაფმა მოქმედებამ ალაფრთოვანა ფლემინგი. „არც კი ვიცოდი, ასე კარგი თუ იყო,“ — თქვა მან. მაგრამ ნიცაში წასვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ლედი ფლემინგმა ამის შესახებ დაურეკა კონგრესის ორგანიზატორებს, რომლებმაც, ბუნებრივია, ერთი ვაიუშველებელი ატეხეს. მათ უკვე გამოცხადებული ჰქონდათ ფლემინგის გამოსვლა. მათთვის აუცილებელი იყო ფლემინგი.

— ეს შეუძლებელია, — უთხრა ამალიამ.

— მაშინ, ქალბატონო, თქვენ ჩამობრძანდით.

ფლემინგმა სთხოვა დათანხმებულიყო. „გამომიყვანეთ ამ უხერხული მდგომარეობიდან!“ ქალი ისევ უარობდა. და მოხდა უცნაური და არგაჯონილი ამბავი: ფლემინგმა კომპლიმენტი უთხრა ცოლს: „ვერც ერთი ქალი ვერ გაუწევდა ასეთ სამსახურს თავის ქმარს“.

ამალია გაფრინდა ნიცაში, კონფერენციაზე ფლემინგის სიტყვა წაიკითხა და ყვავილების თაიგულით დაბრუნდა უკან. მაგრამ როცა ნიცაში შეყრილმა რეპორტიორებმა შეიტყვეს, რომ იგი ქმრის მაგივრად ჩამოვიდა, განმარტება მოითხოვეს. ქალი იძულებული გახდა ყველაფერი ეამბნა მათთვის. აფორიაქებულმა ჟურნალისტებმა მაშინვე დარეკეს ლონდონში, დანვერს-სტრეიტში. ტელეფონთან ფლემინგი მივიდა:

— კაცს იმის უფლება არა აქვს, რომ მშვიდად იავადმყოფოს?

მოულოდნელად ავად გავხდი პნევმონიით. ფილტვების ანთება წინათ საშიში დაავადება იყო. თორმეტი საათის განმავლობაში მალაღი ტემპერატურა მქონდა, პენიცილინის შემდეგ კი ყველაფერმა გაშიარა. მაგრამ ექიმებმა ლოგინიდან ადგომის უფლება არ მომცეს. გაზეთებში არაფერი არ დაიწერებოდა, ნიცაში გამართულ კონგრესზე გამოსვლის პირობა რომ არ მქონოდა მიცემული... ჩემს ავადმყოფობას, ალბათ, ორი დადებითი შედეგი აქვს. აი უკვე თვენახევარია, რაც თამბაქოს არ ვეწევი. ქერკერობით ვთვლი, რომ ეს სასარგებლოა ჭანმრთელობისათვის, გუნებ-განწყობისათვის კი რა მოგახსენოთ. მეორე კიდევ ის, რომ ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა მომეცა მენახა განსხვავება ჩემი სტუდენტობის დროინდელ ძველ პნევმონიასა და ახლანდელს შორის (მოხუცებშიც კი).

ალექმა ორი კვირა გაატარა ლოგინში და მაინც ნაადრევად წამოდგა ფეხზე. მას, როგორც ედინბურგის უნივერსიტეტის რექტორს, კანცლერობა უნდა ჩაებარებინა ამ თანამდებობაზე ახლად დანიშნული ედინბურგელი ჰერცოგისათვის. შემდგომში, 1954 წელს, სწორედ ეს ჰერცოგი თავმჯდომარეობდა სენტ-მერის საავადმყოფოში ფლემინგის საპატივცემულოდ გამართულ ზეიმს. 1929 წლის ათ მაისს „British Journal of Experimental Pathology“-ში დაიბეჭდა პირველი ინფორმაცია პენიცილინზე. 1954 წლის 29 მაისს სენტ-მერის ბიბლიოთეკაში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა აწ მოვლენის ოცდახუთი წლისთავი. კოლეგებმა ფლემინგს საჩუქრად წაართვეს ვერცხლის ძველებური საწვინები. ედინბურგელმა ჰერცოგმა განაცხადა, ასეთ აუდიტორიას არ სჭირდება იმის მოსმენა, თუ რა დამსახურება აქვს სერ ალექსანდრე ფლემინგს, ამიტომ ვუსურვებ მას, ნუ გახდება იძულებული, რომ საკუთარ თავზე გამოიყენოს თავისი აღმოჩენაო. შემდეგ ჰერცოგმა დასძინა, რომ „საწვინე ყველაზე უფრო შესაფერისი საჩუქარია ბულიონის მოსაგონებლად“. ფლემინგმა საპასუხო სიტყვაში მოიყვანა ანდაზა: „ვევება მუხა პაწაწინა რკო-აგან იბადება“. პაწაწინა სპორისაგან მძლავრი მრეწველობა გაჩნდა.

ზეიმის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ფლემინგის ცოლმა შეამჩნია რომ ქმარს მანქანებში საკინძების გაკეთება დავიწყებოდა. ქალი-მამინვე გაიქცა „ვეულვორტში“ და რამდენიმე პენსად იყიდა საკინძები. ფლემინგს არ უყვარდა, როცა მის საპატივცემულოდ ცერემონია ტარდებოდა და უხერხულობისაგან ხანდახან ავიწყდებოდა თავისი როლი. რამდენიმე ხნის შემდეგ სენტ-მერიში დედა-ხელმწიფა ჩამოვიდა ახალ ფლიველში პირველი ქვის დასადგებად, მასვე მარმარილოს

ფილაში უნდა ჩაედო პენიცილინის კულტურა, სერ ზახარი კოპეს წიგნი საავადმყოფოზე და ქრონომეტრი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ის დრო, რომელიც მოანდომა სენტ-მერის სტუდენტმა როჯერ ბანისტერმა ერთი მილის გარბენას. დედა-ხელმწიფამ. რომელიც ამაღლებულ ადგილზე როგა პროფესორებით გარშემორტყმული, თავის სიტყვაში ფლემინგის დამსახურება აღნიშნა. ყველამ ტაში დაუკრა. ტაში დაუკრა ფლემინგ-მაც, — ალბათ ფიქრებმა გაიტაცეს და თავისი გვიარი ვერ გაიგონა.

ავისტო ფლემინგებმა ბარტონ-მილსში გაატარეს, თავიანთ ბალ-ბოსტანს უვლიდნენ და ისვენებდნენ. ნოემბერში სერ ალექსანდრე და-პირებისამებრ ბორდოში წავიდა, სადაც მისი მეგობარი, პროფესორი პორტმანი იყო დეკანად. პორტმანმა ნიცაში მოუსმინა ლედი ფლემინგს და სთხოვა გადაეთარგმნა ქმრის სიტყვა და მისი სახელით წაეკითხა.

ფლემინგის დღიური

1954 წლის 13 ნოემბერი. შაბათი, ბორდოში ვიყავი დოქტორ და მადამ პორტმანებთან. ქალაქის მეორე ბოლოში წამოყვანეს თავისთან. გამაცნეს ოჯახის წევრები. ახალგაზრდა მადამ პორტმანი ძალიან კარგი ქალია. მადამ ყოფი პორტმანიც რომხიბვლელია, არაჩვეულებრივად ილიმება. წინათ ამ სახლში ბენედიქტინს ამზადებდნენ.

კვირა. 14 ნოემბერი. 9 საათსა და 30 წუთზე გავემგზავრეთ სენტ-ემილიონში. რამდენიმე კლომეტრზე გადაქიმულია ვენახები. შემოდგომის ათასნაირი ფერები: ინტენსიური ბრინჯაოს ფერიდან დაწყებული და მიმქრალი მწვანეთი დამთავრებული... შეწამულ მოაასხამებში გამოწყობილი მუნიციპალური პრჩეველები. მერა კითხულობს გრძელ სიტყვას. მაცმევს შეწამულ მანტიას და მანიკებს პრჩეველის წოდებას. რამდენიმე სიტყვა ვთქვი... შემდეგ ჰოიკი, სადაც მიმიღეს „ძველი მედოკის მეგობართა“ ორდენში. რატული: უნდა მომეთხოვა ღვინო. გამომეცნო მისი მარკა და მეთქვა რომელი წლისაა. ჩავფლავდო, თუმცა პორტმანი მკარანახობდა. მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, „მედოკია“-მეთქი.. სადილი მუტონ-როტშილდში. შარშან მათ მომწერეს კერცხის ცილისა და ლიზოციმის შესახებ... ისევ უნდა მივუბრუნდე ამის კვლევას. ბრწყინვალე სადილი, შესანიშნავი ღვინოები. ერთი მათგანი 1881 წლის— ჩემი დაბადების დროინდელი.

ორ შაბათი, 15 ნოემბერი. სადილი მერიაში. მერმა ბორდოს საპატიო მოქალაქეობა მომანიჭა, გადმოცა დიპლომი და მედალი. სადილმა 4 საათამდე გასტანა ხანმოკლე შესვენება, რადგან 5 საათზე გრანდ-თეატრში დანიშნული იყო ჩემთვის დოქტორის ხარისხის მონიჭების ცერემონია... საფრანგეთისა და ინგლისის ალმები. მარსელოზა და „God save the Queen“. პორტმანის სიტყვა. რეპტორის სიტყვა. მეც წარმოვთქვი მოკლე სიტყვა ფრანგულად.

შემდეგ ამაღლამ წაიკითხა ლექცია ანტიბიოტიკებზე. ბრწყინვალე წარმატება. ვახ-შაში უნივერსიტეტის საბჭოს მონაწილეობით.

ფლემინგი უკვე დიდი ხანია ოცნებობდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობიდან განთავისუფლებაზე. მისი მოწოდება უფრო თავისუფალი საკვლევადიებო მუშაობა იყო, ვიდრე ასეთი ხასიათის მოღვაწეობა. სხვათაშორის, მისი ხასიათის დადებითი თვისებები ზოგჯერ საქმეს ურთულებდა. ინსტიტუტის მდივანი კრეესტონი გვიამბობს: „ისე ვერ იტანდა იგი თავის ადმინისტრაციულ მოვალეობას, რომ დარწმუნებული ვარ, უფრო ადრე რომ გაეთავისუფლებიათ ამ საქმიდან, ახლაც ცოცხალი იქნებოდა. გამოცდილებით ვიცოდი, თუ როგორ მძიმე ტვირთად აწევა ეს, და ამიტომ ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლები მელაბარაკა საქმეებზე. როგორც კი მივიდოდი ინსტიტუტში, თუ რამე გადაუდებელი საქმე მქონდა; მაშინვე შევუთანხმებდი, რომ მერე აღარ მომეცდინა კვლევითი მუშაობისაგან. უმეტესწილად ღიმილით მხედებოდა, მაგრამ ვატყობდი, რომ სწორედ ამ ღიმილით სურდა უსიამოვნო გარდობის დამალვა. „გამარჯვებთ, კრეესტონ. — მეტყობდა ხოლმე. — ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?“. — და როცა ვეტყოდი, ყველაფერი წესრიგშია-მეთქი, შვებით ამოისუნთქავდა და სახე გაუბრწყინდებოდა... არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი კიდევ ერთი უდავო ღირსება — იგი უაღრესად სამართლიანი მმართველი იყო. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს უფრო სამართლიანი კაცი, და ხშირად მიფიქრია, საკვლევადიებო მუშაობას რომ არ გაჰყოლოდა და იურისტი გამოსულიყო. ნაკლებ სახელს როდი მოიხვეჭდა-მეთქი“. ფლემინგი სულ იმის ფიქრში იყო, თუ ვისთვის ჩაებარებინა ინსტიტუტის მმართველობის სადავეები. 1954 წელს ლედი ფლემინგი წერდა ბენ მეის:

1954 წლის 4 დეკემბერი

ალეკი ძალიან კარგადაა. მე მგონი მას კარგი ცოლი ჰყავს! ამ თვის ბოლდს თავს დააღწევს თავის ადმინისტრაციულ თანამდებობას და მეტი დრო დარჩება მეცნიერული მუშაობისათვის. მე ახლა ემუშაობ პრაქტიკაზე, რომელიც ძალიან მიტაცებს. ყველა ჩემი ცდა მარცხით დამთავრდა. მაგრამ წარუმატებლობასაც ხომ უნდა ჰქონდეს ბოლო.

1955 წლის იანვარში ფლემინგმა თავი დაანება ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტს, მაგრამ ლაბორატორია მაინც მის გამგებლობაში დარჩა. სენტ-მერიში გამართულ პატარა ვახშამზე ფლემინგმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა: „მე არსად არ მივდივარ; მე ვრჩები საავადმყოფოში. ეს არაა გამთხოვება. არა ერთი და ორი წელიწადი ვიქნები კიდევ

აქ არ გეგონოთ, რომ თავი დაიხსენით ჩემგან“. ინსტიტუტის საბჭოსა და თანამშრომლების სახელით კრესტონმა წარწერებიანი ალბომი გადასცა მას და უთხრა: „ჩვენი კოლექტივის ყველა წევრი გულწრფელად გისურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას. ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ლედი ფლემინგი და თქვენ განაგრძობთ მეცნიერულ მუშაობას ინსტიტუტში. დაე კეთილმა გენიამ გაგიკვალოთ გზა ახალ დიდ აღმოჩენამდე“.

1955 წლის 15 იანვარს მიკრობიოლოგთა საზოგადოებამ ვახშამი გამართა ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტიდან სერ ალექსანდრეს გადადგომასთან დაკავშირებით. მისალმებათა საპასუხოდ ფლემინგმა სიტყვა წარმოთქვა: „არავინ იფიქროს, თითქოს სოფელში გადაბარგებას ვაპირებდე კომბოსტოს მოსაყვანად. მე მიკრობების თესვა და გამრავლება მირჩევნია და ჯერაც არ დამიკარგავს იმის იმედი, რომ თქვენს ერთ-ერთ შეკრებაზე ახალ ინფორმაციას წავიკითხავ“.

ფლემინგი განარებული იყო იმით, რომ დაეხსნა ადმინისტრაციულ მოვალეობას და თავიდან აიცილა ათასი სადავიდარაბო საქმე, მაგრამ მომსვლელთა ნაკადმა იმატა. ზოგი იმის სათქმელად მოდიოდა, უმჯობესი იქნება დაუბრუნდეთ ინსტიტუტის ხელმძღვანელობასო, ზოგს პირადი საქმე ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ამდენი ხალხის მიღება და საუბარი ძალიან ღლიდა. ერთხელ, თებერვალში, მისი გადადგომის შესახებ რომ მსჯელობდნენ, უქეიფოდ შეიქნა; პირლებინება აუვარდა და ცოტა სიცხეც მისცა. ყველაფერი ეს თითქოს უმიზეზოდ მოხდა. დიაგნოზი კი ასეთი დაუსვეს — კუჭის ფორმის გრიპი. კვირადღეს უარესად გახდა, მაგრამ მეგობარი ექიმების შეწუხება არ ინდობა.

„ამ დღიდან მოყოლებული, — გვიამბობს ლედი ფლემინგი, — ძალიან გამოიცივალა, თითქოს უცებ მოტყდა კაცი“.

მაგრამ იგი მაინც ყოველდღიურად დადიოდა ლაბორატორიაში და ხშირად ელაპარაკებოდა თავის ცოლს ერთობლივ შრომაზე, რომელსაც ორივენი მოაწერდნენ ხელს: „ა. და ა. ფლემინგები“. 17 მარტს ცოლქმარი სტამბოლში, ანკარასა და ბეირუთში უნდა გამგზავრებულიყვნენ, გზად საბერძნეთში უნდა გაეკლოთ. ამალიას იმის იმედი ჰქონდა, რომ მზე ჩანმრთელობას აღუდგენდა ქმარს.

1955 წლის 3 მარტი

ამ ზამთარს ალექს ძალიან გაუჭირდა. გაყინულ, უმზეო ლონდონში ზველება და აწყვანა. დარწმუნებული ვარ, რომ საბერძნეთი სახის მშვენიერ ფერს აღუდგენს მას.

ამალიას ძალიან ახარებდა ათენში გამგზავრება და წინასწარ ყოველდღიური მარშრუტიც კი შეადგინა. ფლემინგი ეკითხებოდა ცოლს: „ოცდასამში სად ვიქნებით?“. ამალია მაშინვე პასუხობდა და ალექი გულიანად იცინოდა.

მარტის დასაწყისში, შაბათ დღეს ისინი ბარტონ-ჩილსში წავიდნენ დასასვენებლად. შუალამით უცებ ტელეფონის ზარმა დარეკა. ფლემინგმა ყურმილი აიღო და ამალიამ გაიგონა მისი ნათქვამი:

— ჰოო? მერე ისინი?.. გმადლობთ... დიდად გმადლობთ... მე ხვალ ჩამოვალ.

ფლემინგი უაღრესად თავზიანი კილოთი ლაპარაკობდა. საწოლ ოთახში რომ დაბრუნდა, ცოლს უთხრა:

— პოლისმენმა დარეკა. დარვენ-სტრიტიდან რეკავდა, ჩვენი ბინიდან... გაგვქურდეს.

ამალია შეეკითხა:

— რა წაიღეს?

— არ ვიცი, — უპასუხა მან. — არ მიკითხავს.

დილით ისინი ლონდონში დაბრუნდნენ. „დუნიდან“ წასვლისას უკანასკნელად შეავლეს თვალი თავიანთ სამფლობელოს. თოვლის თეთრ ფონზე ხეებს შორის შავად მოჩანდა სახელოსნო, რომელშიც ფლემინგს პატარა ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი. ამალიამ უცებ გაიფიქრა, დღეს ჩვენი ბაღი ზუსტად ისეთია, როგორც იმ ფოტოგრაფიაზე, საბერძნეთში წასვლისას რომ მაჩუქა ფლემინგმა და თან რომ დასძინა: „ნუ დაივიწყებთ პატარა ლაბორატორიას“.

შარაგზა მოეყინა. თოვდა. ირგვლივ ყველაფერი მოწყენილი იყო. სასაფლაოს რომ ჩაუარეს გვერდით, ფლემინგი უცებ შეეკითხა ნაცნობ ქალს, რომელიც მათთან ერთად იჯდა მანქანაში, კრემატორიუმის დათვალიერება ხომ არ გასურთო. ქალმა უარა უთხრა. ალექმა ყრუდ ჩაილაპარაკა: „მე კი მინდა, რომ დამწვან“. ჩელსიში ჩამოსვლისას შეიტყვეს, რომ განგაში აუტეხია მეზობელს იმ მომენტში, როდესაც ქურდებს სეიფი გაუტეხავთ და მერე საშინელი ხმაურით გადაუგდიათ ქუჩაში. მძარცველები მიიმაღნენ და თან წაიღეს ლედი ფლემინგის ძვირფასეულობა, რამდენიმე სამშვენისი და ფოტოაპარატი. უცებ თავი მოიყარეს ჟურნალისტებმა. ამალიამ ყველაფერი მოუთხრო, რაც იცოდა, და დასძინა, ყველაზე მეტად გული გვწყდება ჩემოდნების გასაღებების დაკარგვაზე. ეს გასაღებები აცმული გვექონდა ბეჭედზე, რომელიც ერთი ჩვენი გარ-

დაცვლილი მეგობარი: ქალის მოსაგონებლად გვქონდა შენახულიო. და-
კარგული ბეჭდისა და გასაღებების ამბავი მაშინვე დაბეჭდა. ერთმა სა-
ლამოს გაზეთმა. ვახშობის დროს ლედი ფლემინგი ტელეფონთან გამო-
იძახეს. ვილაც უცნობმა მამაკაცმა დაბალი და უსიამოვნო, „საზიზლარი
ხმით“ უთხრა ქალს:

— ძალიან გინდათ, ბეჭედი რომ დაგიბრუნდეთ?

— დიახ, — უპასუხა მან ყოყმანითა და ზიზლით.

— სად შემიძლია გნახოთ მარტო? — ჰკითხეს ამალიას.

— მარტო თქვენ მე ვერსად ვერ მნახავთ. გქონდეთ ეგ ბეჭედი ანდა
ფოსტით გამოგიგზავნეთ.

იმ „საზიზლარმა ხმამ“ რამდენიმეჯერ გაიმეორა:

— გამოგიგზავნით... გამოგიგზავნით...

ამალიამ ყურმილი ჩამოკიდა და ყველაფერი უამბო ქმარს.

— შევატყობინოთ პოლიციას? — ჰკითხა ქალმა.

ფლემინგი ამ დროს აპარატს ამოწმებდა, რომლის საშუალებითაც
შეიძლებოდა სტერეოსკოპული ფოტოგრაფიების პროექცირება სტე-
რეოეკრანზე.

— უყურეთ, — უთხრა ფლემინგმა ცოლს, — გასაოცარი რამაა.
ცოტა უკან თუ გაიწევით, ყვავილები ეკრანიდან ჩამოდიან და პირდა-
პირ თქვენსკენ მოდიან.

ეს ახალი სათამაშო ფლემინგმა ის-ის იყო მიიღო ოკლაპომელი მე-
გობრებისაგან. ჩვეულებისამებრ ჯერ ლაბორატორიის თანამშრომლებს
უჩვენა აპარატი, შემდეგ კი მანქანით სახლში წამოიღო, რათა, მისი
სიტყვით რომ ვთქვათ, „სალამოს ეთამაშა და თავი შეექცია“.

— ყური დამიგდეთ, — უთხრა ცოლმა, — მე ხომ სერიოზულ ამ-
ბავზე შეგეკითხეთ. მითხარით, როგორ მოვიქცე?

ფლემინგი, ვითომც არაფერი გაეგონოს, თავის საქმეს განაგრძობდა.
აჩით დრო მოიგო და პასუხი მოიფიქრა. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ, თუ
ქურდი „წესიერად“ მოიქცეოდა, ბეჭდის დაბრუნებისას მახე არ დაე-
გოთ მისთვის.

ბოლო დღეებში ფლემინგი ახელებდა ამალიას შუა აღმოსავლეთში
მომავალი მგზავრობის გამო.

— თქვენ გინდათ, რომ წავიდეთ, არა? ეგრე იყოს. მე იქ ტიფი შე-
გეყრება და მოვეკვლები.

ამალია ეხვეწებოდა, გაეკეთებინა ტიფსაწინააღმდეგო აცრა, მაგრამ ალექი უარობდა.

ხუთშაბათს კომპტონმა ლედი ფლემინგს აცნობა, რომ მან, როგორც იქნა, მოახერხა აცრა სერ ალექსანდრესათვის.

— არ ჩამოდიოდა ჩემს განყოფილებაში, ამიტომ მე თვითონ ვეახელი ლაბორატორიაში და ავეუცერი, — კმაყოფილებით თქვა კომპტონმა.

ფლემინგმა მთელი დღე იმუშავა ინსტიტუტში. საუბარში ფრიმენს უთხრა, მოვისვენე საპასუხისმგებლო მოვალეობებიდან რომ დავიხსენი თავი და კვლავ ნამდვილ საქმეს მოვკიდე ხელი, „მუშა დაზგასთან დავდექი“. თათქოსდა კარგად იყო, მშვენიერ გუნებაზე იდგა და ხალისით ემზადებოდა ახალი საკვლევადიებო მუშაობისათვის. საავადმყოფოს შემდეგ, როგორც ყოველთვის, ჩელსის კლუბს მიაშურა ერთი პარტია ბილიარდის სათამაშოდ. კლუბში ძველი მეგობარი, ექიმი ბრინი შეხვდა და უთხრა ძალიან კარგად გამოიყურებიო. ფლემინგმა უპასუხა, ისე მხნედ ვარ, როგორც არასდროს, და ძალიან მიხარია ცოლთან ერთად საბერძნეთში რომ მიწვევს წასვლაო.

კლუბიდან ფლემინგმა ამალიას გაუარა და ისინი ერთად წავიდნენ სადღაც სტუმრად. ნავანშმევს სერ ალექსანდრეს ვაიშვილი რობერტი ეწვია თავის საცოლესთან ერთად. ფლემინგმა საპროექციო აპარატის დემონსტრირება მოაწყო მათ საპატივეკემულოდ. ამალია ფეხზე ძლივს იდგა დაღლილობისაგან; ფლემინგი ხალისიან გუნებაზე იყო. თავგამოდებით აწონებდა სტუმრებს თავის შესანიშნავ სათამაშოს და მხოლოდ დროდადრო იჭაეებდა ხელს, რომელიც ცოტათი სტკიოდა აცრის შემდეგ.

11 მარტს, პარასკევს, ფლემინგმა ძალიან მზიარულ გუნებაზე გაიღვიძა, და როცა დაინახა, რომ ამალია გაფაციცებით ათვალერებდა ფოსტას, გაეცინა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ბექედს გამოგიგზავნიან? თქვენ მას ვერ მიიღებთ.

ის დღე ძალიან დატვირთული ჰქონდათ, მაგრამ ბევრ სიამოვნებასაც მოელოდნენ: სადილი „სავოიში“, ვახშამი ღუგლას ფერბენკს-უმცროსთან, სადაც ელეონორა რუზველტიც იყო მიწვეული.

ფლემინგი ადგა, სააბაზანოში გავიდა. მაგრამ საშინლად გაფითრებული მობრუნდა, და გული მერევაო, თქვა. შეშინებული ამალია მაშინვე

ტლემონს მივარდა ექიმის გამოსაძახებლად. ფლემინგმა საშინელი პროტესტი განაცხადა:

— სასაცილოა, ასეთი უბრალო ამბისათვის როგორ შეიძლება ექიმის შეწუხება.

მაგრამ ამალიამ უკვე აკრიფა ნომერი და ექიმმა ჯონ ჰენტმა უპასუხა:

— ერთ საათში მოვალ.

— ერთ საათში! — შიშით წამოიძახა ქალმა.

ფლემინგი ირწმუნებოდა, რომ უბრალოდ გული ამერია და შენი შიში სასაცილოაო. საერთოდ, რა თქმა უნდა, მართალი იყო, და ამალიამ გაიფიქრა, ურიგო არ იქნება სიმშვიდე ვისწავლო ჩემი ქმრისაგან და ყოველ პატარა ამბავზე არ გადავირიოო. დუგლას ფერბენკსთან ვახშმად წასვლა რომ გაახსენდა, უნდოდა დაერეკა და ეთქვა, სერ ალექსანდრე შეუძლოდა და ამიტომ ვერ მოვალთო.

— დაიცადეთ, — შეაჩერა იგი ალექმა. — შეიძლება ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

ფლემინგმა ცხელი წყალი მოითხოვა და სოდა დალია. შემდეგ ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მისი ჯანსაღი ძლიერი ორგანიზმი არ ნებდებოდა და ცდილობდა დაეძლია მოულოდნელი ავადმყოფობა. მაგრამ მაინც იძულებული გახდა დაწოლილიყო.

ამალია მეორე ოთახში გავიდა ჩასაცმელად და ცოტა ხნით მოახლე ქალი დატოვა ქმართან. ექიმ ჰენტს ლედი ფლემინგის შესწოთებული ხმა არ მოსწონებია და ახლა თვითონვე დარეკა. ფლემინგმა დაიჟინა, მე დაველაპარაკებო.

— გადაუდებელია? თუ ეგრეა, ჩემს პაციენტებს ვთხოვ დამელოდონ და ახლავე მოვალ.

— არაფერია საჩქარო, — უპასუხა ფლემინგმა, — ჯერ თქვენს ავადმყოფებს მიხედეთ.

საწოლ ოთახში რომ შემობრუნდა ამალია, ქმარი მშვიდად იწვა. ქალმა იფიქრა, ალბათ ყველაფერმა გაუარაო. მერე გაახსენდა, რომ წინააღმდეგ აუცრეს და ამიტომ ჰკითხა: პირღებინება ეგებ დაგვიანებული რეაქციით იყოს გამოწვეული?

— არა, — უპასუხა ფლემინგმა მეტისმეტად სერიოზული კილოთი. მცირე ხანს იყუჩა და მერე ცოლს სთხოვა:

— დამვარცხნეთ.

როდესაც ამალიამ თმა დაუვარცხნა, ფლემინგმა უთხრა:

— ახლა მომწონს ჩემი თავი.

ამალიას მაჯის გასინჯვა უნდოდა. ალექს ხელი ყინულივით გაცივებოდა.

— ჰო, — თქვა მან. — მართლაც გაყინული ვარ და თან ოფლში ვიწურები. ვერ მივხვედრილვარ, თუ რატომ მტკივა გულ-მკერდი.

ამალიამ შიშით ჰკითხა:

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს გული არაა?

— არა. არაა გული, — მიუგო მან. — ტკივილი საყლაპავს ჩასდევს და კუჭში ჩადის.

საოცრად მშვიდი და სერიოზული ხმით ლაპარაკობდა. გეგონებოდათ, ღრმად ჩაფიქრებულა და რალაციის გაგებას ლამობსო.

ანაზღად პირქვე დაემხო. ალექსანდრე ფლემინგი გარდაიცვალა თავისი უკიდურესი თავმდაბლობის გამო, იმის გამო, რომ არავის შეწუხება არ უნდოდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არასოდეს არ ესარგებლა რაიმე უპირატესობით, ადამიანი, რომელმაც მედიცინა აღჭურვა სნეულებათა საწინააღმდეგო ყველაზე მძლავრი იარაღით, ისე გარდაიცვალა ლონდონის ცენტრში, რომ სამედიცინო დახმარებამ ვერც კი მოუსწრო. იგი ისე გამოეთხოვა ამ წუთისოფელს, როგორც უნდოდა ალბათ, — ბედნიერი, ჯან-ღონით აღსავსე, ჯერაც ბრწყინვალე გონებრივ შესაძლებლობათა მქონე. ისე მოკვდა, როგორც იცხოვრა, — მოკრძალებულად, ვაჟკაცურად, ჩუმად.

განსაკუთრებული გარემოებანი სა-
ჭირო. მეცნიერის სახელი მეცნიერები-
დან ისტორიაში რომ მოხვდეს.
ბალზაკი.

იგი წმ. პავლეს ტაძარში დაკრძალეს. ასეთი პატივი მხოლოდ განსაკუთრებით სახელგანთქმულ რამდენიმე ინგლისელს ერგო. საპატიო ყარაულში იდგნენ სენტ-მერის სტუდენტები და სამედიცინო დები. საფლავზე სამახსოვრო სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა პანეტმა, ფლემინგის მეგობარმა და თანამშრომელმა — ისინი ერთად გამოვიდნენ სამედიცინო ასპარეზზე.

„ორმოცდათერთმეტი წლის წინ, — თქვა მან, — სენტ-მერის სამედიცინო სკოლაში რამდენიმე სტუდენტი შეხვდა ერთმანეთს... იმ დღეს გავიცანი ილექსანდრე ფლემინგი. იგი ჩვენზე ცოტა უფროსი და უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება იყო. ამ მშვიდ ადამიანს, ცისფერთვალეებიანს, გამქოლი და შეუპოვარი გამოზიდვია ჰქონდა... პირველ წლებში ჩვენ მეტოქენი ვიყავით, შემდეგ კი გაიყარა ჩვენი გზები. მაგრამ მაინც სამუდამო შეგობრებად დავრჩით, რადგან ფლემინგს ურჯევი და ძლიერი ხასიათი ჰქონდა — ეს კი საიმედო მეგობრობის საწინდარია... იგი გასაოცრად მტკიცე ბუნების ადამიანი იყო. მეგობრებს სჯეროდათ მისი, და იგი ამართლებდა მათ ნდობას.

იმ შემოდგომის დილით, როდესაც ჩვენ პირველად შეხვდით ერთმანეთს, არავის არ მოუფიქროდა აზრად, რომ ჩვენს შორის იმყოფებოდა ამ საუკუნის ერთ-ერთი უდიადესი ადამიანი. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ერთ დღეს ფლემინგის დასატირებლად უამრავი ხალხი მოიყრიდა თავს ამ შესანიშნავ ტაძარში, რათა პატივი ეცა მთელი დედამიწის მიერ აღიარებული ჰეცნიერების გენიის ხსოვნისათვის... საყოველთაოდ ცნობი-

ლია, რომ თავისი ნაღვანით მან მეტი ადამიანი გადაარჩინა და მეტი ტანჯვა შეამსუბუქა, ვიდრე ამჟამად, ან იქნებ წარსულშიც, დედამიწაზე მცხოვრებმა რომელიმე სხვა ადამიანმა. მარტო ამასაც კი შეუძლია მთელი გადატრიალება მოახდინოს კაცობრიობის ისტორიაში.

მე არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რამდენჯერ გაუნათა ფლემინგს სასოების სხივმა, რამდენი იშრომა, რამდენჯერ გაუმტყუნდა იმედი, მოეცარა ხელი... ეს გზა ყველამ მეცნიერისათვის კარგადაა ცნობილი, და ამავე გზით მიეშურებოდა ფლემინგი... მაგრამ მის ბედისწერას ერთი, ნაკლებად ცნობილი თავისებურება ახასიათებს. თვალი რომ გადაევალოთ მის მიერ გავლილ მთელ გზას, შეეამჩნევთ, რომ მის ცხოვრებაში ბევრი იყო შემთხვევითობა, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს სულაც არაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ თუნდ ერთი მათგანიც კი რომ არ ყოფილიყო, ფლემინგის ცხოვრება ასეთ აპოთეოზს ვერ მიაღწევდა. თუკაც მეტისმეტად ბევრი იყო ასეთი შემთხვევითობანი, ვეველა ისინი მიმართული არიან ერთი მიზნისაკენ, ამიტომ ნება-უნებურად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ არ შეიძლება ყველაფერი ეს მხოლოდ იღბლიანობით აიხსნას.

პროფესიის, საავადმყოფოს, ბაქტერიოლოგიის სფეროში სპეციალიზაციის არჩევა; ალმროტ რაიტთან მოხვედრა; მასთან მუშაობის ხასიათი; ცრემლის მოულოდნელი ზემოქმედება; შემთხვევით შემოფრენილი სპორა — განა ყოველივე ეს მხოლოდ იღბლიანობით შეიძლება აიხსნას? მისი ცხოვრების გზის ყოველ მოსახვევში განგება სწორ მიმართულებას მიანიშნებდა“.

ნელსონისა და ველინგტონის მონუმენტური საფლავების გვერდით ერთი სადა ფილაა, რომელსაც აწერია ინიციალები ა. ფ. — აქ განისვენებს ფლემინგის ნეშტი. იქვე კედელზე მიმაგრებულია ბერძნული მარმარილოს ფილა, რომელზედაც ორი ემბლემაა — ნარშავი — შოტლანდიის, და შროშანი — სენტ-მერის. ეს ძეგლი ფლემინგის სამი წმიდათაწმიდის ღალადისია.

როდესაც კუბო ნეფიდან ასწიეს და აკლდამაში უშვებდნენ, ცოლს მოეჩვენა, თითქოს ალექსანდრე ბიჭურად გადმოხედა და წაიჭურჩულა: „ხედავთ, რა ხდება! მე ნელსონის გვერდით მასაფლავებენ აკლდამაში!“.

ფლემინგის უეცარმა სიკვდილმა არა მარტო ინგლისსა და შოტლანდიას დასცა თავზარი. მსოფლიოს ყველა ქვეყანამ გამოგზავნა ოფიციალური სამძიმარი. კერძო პირთაგან გამოგზავნილი ამაღელვებელი წე-

რილების ნაკადი საერთო-სახალხო გლოვის ნიშანი იყო. ბარსელონაში მეყვავილე ქალები მივიდნენ ამ ქალაქში ფლემინგის ყოფნის აღსანიშნავად გაკეთებულ მემორიალურ დაფასთან და, რაც კი ყვავილები ჰქონდათ კალათებში, მიწაზე მიმოაპნიეს. ბოლონიაში ორი გოგონა თურმე მთელი წელიწადი აგროვებდა ფულს თავიანთი მამის დაბადების დღეზე საჩუქრის საყიდლად. ახლა მათ ამ ფულით ყვავილები იყიდეს და ლონდონში გააგზავნეს ფლემინგის ხსოვნის პატივსაცემად. ქალაქებში მისი სახელი მიაკუთვნეს ქუჩებსა და მოედნებს. უნივერსიტეტებში ფულს აგროვებდნენ მისთვის ძეგლის ასაგებად. საბერძნეთში სამგლოვიარო დროშები გამოკიდეს. ორი მოგზაური, რომლებიც მანქანით დასეირნობდნენ საბერძნეთში, გაცეხული დარჩა, როცა გზად ყველა ქალაქსა და ყველა სოფელში დახრილი ალმები დაინახეს. ბოლოს, დელფოს მახლობლად ერთ მოხუც მწყემსს ჰკითხეს:

— ვის გლოვობთ? *

— როგორ? — გაუკვირდა ბერიკაცს. — განა არ იცით, რომ ფლემინგი მოკვდა?

ფლემინგის გარდაცვალებისთანავე გამოსულ „British Medical Journal“-ის სარედაქციო სტატიაში ნათქვამი იყო:

„ამ ცოტა ხანში ისე სწრაფად გაკეთდა რამდენიმე აღმოჩენა, რომ ჩვენ, ალბათ, სრულად ვერ შევაფასებთ იმ გადატრიალებას მედიცინაში, რომელიც მრახდინა და რომელსაც ახლაც ახდენს ალექსანდრე ფლემინგის აღმოჩენა. მედიცინის პროგრესზე მსოფლიო, ბუნებრივია, სწეულებათა მკურნალობის წარმატებებით მსჯელობს. მარტო ამ თვალსაზრისითაც კი ალექსანდრე ფლემინგს უკვდავი უფლება აქვს. მის შემდეგ დიდების გვირგვინი ეკუთვნით სერ ჰოვარდ ფლორის და ექიმ ერნესტ ჩეინს, რომლებმაც ფლემინგის აღმოჩენიდან ათი წლის შემდეგ მიაკვლიეს პენიცილინის გამოყოფის ხერხს და პრაქტიკულად განახორციელეს ის იმედები, რომლებსაც ამყარებდა მასზე ფლემინგი ჯერ კიდევ 1929 წელს. ფლემინგს ახასიათებდა ჰუმანიტატი ბუნებისმკვლევარის დაკვირვებულობა და მეცნიერული წარმოსახვის უნარი, რაც მას ეხმარებოდა დასკვნების გაკეთებაში — შემჩნეულ მოვლენათა საფუძველზე, — დაკვირვებულობა და წარმოსახვის უნარი, რომლებიც მხოლოდ მეცნიერული მუშაობისათვის მოწოდებულ ადამიანს ახა-

სიათებს. აღმოჩენა, რომლის შესახებაც გვამცნო ფლემინგმა თავის ინფორმაციაში, — ეს მთელი ეტაპია მედიცინის ისტორიაში. „პენიცილინი“, რომელიც მან აღმოაჩინა და რომელიც თვითონვე მონათლა, ყველა სხვა მედიკამენტთან შედარებით უფრო ახლოსაა ერლიხის იდეალთან: „therapia sterilisans magna“.*

პენიცილინის აღმოჩენამ ახალი ერა დაიწყო ავადმყოფთან მკურნალობის საქმეში. თანამედროვე ექიმები ვერც კი წარმოიდგენენ, თუ რაოდენ უძლურნი იყვნენ მათი წინამორბედნი ზოგიერთ ინფექციასთან ბრძოლაში. მათ არ იციან, რა არის ძველი დროის ექიმების სასომინდილება, როცა ისეთ ავადმყოფობასთან უხდებოდათ ჭიდილი, რომელიც მაშინ მომაკვდინებელი იყო, ახლა კი განკურნებადია. ზოგიერთი ამ სნეულებათაგანი ამჟამად აღარც კი არსებობს. პენიცილინი და მის შემდეგ აღმოჩენილი ყველა ანტიბიოტიკი ისეთი ოპერაციის გაკეთების საშუალებას აძლევს ქირურგს, რომელსაც წინათ ვერავინ ვერ ბედავდა. ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ისე გაიზარდა, რომ მთელი საზოგადოებრივი სტრუქტურა შეიცვალა. მხოლოდ აინშტაინმა — მაგრამ მან სხვა სფეროში — და კიდევ პასტერმა მოახდინეს ისეთივე გავლენა, როგორც ფლემინგმა, კაცობრიობის თანამედროვე ისტორიაზე. სახელმწიფო მოღვაწეები ყოველდღიურად ზრუნავენ მსოფლიოს მოწყობაზე, მაგრამ მხოლოდ მეცნიერნი ჰქმნიან თავიანთი აღმოჩენებით პირობებს მათი მოღვაწეობისათვის.

ასე უხვად რატომ დააბერტყა თავისი კალთა ბედისწერამ ამ თავმდაბალ და სიტყვაძვირ მკვლევარს? იმიტომ, რომ იგი მოთმინებით ემზადებოდა ჭეშმარიტების მისაღებად, ემზადებოდა იმ დღისათვის, როდესაც კარზე მოადგებოდა ბედი. „მეცნიერებაში ყველაზე უბრალო რამაა გუშინდელი მონაპოვარი და ყველაზე ძნელი ის, რაც ხვალ უნდა იქნეს მიკვლეული“, — ამბობდა ბიოტი.** ფლემინგის დაკვირვებები სხვებსაც შეეძლოთ ჩაეტარებინათ, მაგრამ არავის არ გაუკეთებია ეს, — იმიტომ, რომ მას განსაკუთრებით ახასიათებდა თანაზომიერების გრძნობა.

ყვავილი, რომელიც ოდნავ სხვანაირად იზრდებოდა, მისთვის ისეთივე ამაღელვებელი მოვლენა იყო, როგორც რომელიმე სხვა, უფრო

* დიდი მასტერილებელი თერაპია (ლათ.)

** ბიოტი — XIX საუკუნის ფრანგი ფიზიკოსი და ასტრონომი.

მკაფიოდ გამოხატული უჩვეულო ამბავი. კიანჭველები სორობს რომ იშენებდნენ, ფლემინგს ეს სასწაულად მიაჩნდა და გულმოდგინედ აკვირდებოდა მათ საქმიანობას. შოტლანდიის ლანდებში გატარებული ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იგი ბუნების ყველა მოვლენისადმი. Public school*-ში რომ ესწავლა, ალბათ ასე მორცხვი არ იქნებოდა. ენამზიანად ეცოდინებოდა თავისი აზრების გადმოცემა, თავისი წარმატებების აღწერა, და უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა ირგვლივ მყოფებზე მაგრამ საკითხავია, თუ შეინარჩუნებდა იგი აღქმის ესოდენ გასაოცარ სიფაქიზეს?


რას მატებს უაღრესად გონიერ ადამიანს ენამჭვევრობა, აპლომბი, გარეგნული პეწი? ეს თვისებები მას მართლაც გამოადგება პირადი ბედნიერებისათვის, მატერიალური კეთილდღეობის, პრესტიჟის მოსაპოვებლად. მაგრამ განა ამაზეა დამოკიდებული მეცნიერის მიერ მოპოვებული რეალური შედეგების დიდმნიშვნელოვანება? აი. ჩვენს წინ ორი ადამიანია: რაიტი და ფლემინგი. ორივენი ერთნაირად იყვნენ თავდადებულნი მეცნიერებისათვის. მაგრამ ფლემინგი არ ფლობდა ორატორულ ხელოვნებას, მას არ შეეძლო მსმენელთა განცვიფრება მკვევრმეტყველებით, რასაც ბრწყინვალედ აკეთებდა რაიტი. რაიტი ბევრს არ უყვარდა, მაგრამ თვით მტრებიც კი, როდესაც მის მკვეთრ ინდივიდუალობას და უპირისპირდებოდნენ, აღიარებდნენ მის სიდიადეს. ყველამ იცოდა, რომ თუ საკამათოდ გახდოდა რაიტის შრომების ღირებულებას, მზად უნდა ყოფილიყო ბრწყინვალე და სარკაზმული არგუმენტების მოსაგერიებლად. განა უფრო მაცდუნებელი არაა გჯეროდეს შენი უპირატესობა ამ ტანდაბალ, გულად და თავშეკავებულ ადამიანთან შედარებით, რომელიც არაფერს არ გააკეთებს შენი მცდარი აზრის გასაბათილებლად! სწავებით უხიფათოდ შეგიძლია საექვოდ მიიჩნიო მისი შრომა, იგი ხომ მაინც არ ამოიღებს ხმას ამ, მისი აზრით, უმნიშვნელო ამბავზე.

„გენიალური ადამიანი ხშირად ეგოისტია, — წერდა ლორდ ბივერბრუკი. — ხოლო თუ იგი თავმდაბალი და მოკრძალებულია. რაც, საერთოდ, იშვიათად ხდება. ხოლმე, ადამიანები არც კი აფასებენ მას. სერ ალექსანდრე ფლემინგი ასეთი იშვიათი კატეგორიის გენიოსი იყო. მაგრამ მისი დამსახურებანი ძლივძლივობით აღიარეს მის საკუთარ სამშობლოშიც კი“. ვინ იცის, ეგებ მართლაც უფრო ადრე დაეფასებინ-

* ვაჟთა დახურული საშუალო სკოლა.



ა. ფლემინგი ამალიასთან ერთად აკროპოლში.



საბერძნეთში.

ნათ ეს ადამიანი, ნაკლებ თავშეკავებული და მეტისმეტად სიტყვა-
უთქმელი რომ არ ყოფილიყო. და მერე რა: განა სწორედ ამ სიტყვა-
ძვირმა კაცმა არ მიაღწია მიზანს?

კიდევ ერთი აზრი მინდა გაგაცნოთ ამ მეცნიერზე. „იგი უდიდეს
მკვლევარად დაბადებული ადამიანი იყო, — თქვა ფლემინგზე კიბოს
ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ჰედოუმ. — მან იცოდა, რომ
აუცილებელია მუშაობა, და ცოტა ძალ-ღონე როდი დახარჯა იმისათვის,
რომ განეხორციელებინა დიდი ჩანაფიქრი, მაგრამ მისი ჰეშმარიტი სი-
დიადე ის იყო, რომ უნარი ჰქონდა მაშინვე „დაეჭირა“ უჩვეულო მოვ-
ლენა და გამოეცნო ისეთ მომენტში, როცა მისი ჰეშმარიტი მნიშვნე-
ლობა ხელიდან უსხლტებოდა ჩვეულებრივ მოკვდავს... მოკლედ რომ
მოგახსენოთ, მას უნარი შესწევდა გამოველინებინა ძირეული მოვლე-
ნები... თუმცა მის სახელს მთელი მსოფლიო პენიცილინს უკავშირებს,
არ შეიძლება უგულვებელვყოთ ფლემინგის სხვა წვლილიც მეცნიერე-
ბაში, არ შეიძლება დუმლით გვერდი ავუაროთ იმ ძვირფას დაკვირვე-
ბებს, რომლებსაც იგი პენიცილინზე ნაკლებ კი არა, მეტადაც აფასებდა.
ესეც კი კმარა იმის საფუძვლად, რომ უდიადესი ადამიანი ვუწოდოთ
მას მაგრამ ყველაზე მაღლა მე ვაყენებ მის განსაცვიფრებელ, დადინ-
ჯებულ სიბრძნეს როგორც სამყაროსადმი, ისე საკვლევადიებო მუშაო-
ბის არსისადმი მის დამოკიდებულებაში. მისი სიბრძნე ისე მოკრძალე-
ბული და მშვიდი იყო, რომ ადამიანთა უმრავლესობა ვერც კი ამჩნევდა
ამას, ვერ ამჩნევდნენ ისინი, ვინც შორიდან იცნობდა ფლემინგს... პე-
რადად მე სამი რამ მათვალებდა ამ კაცში. მან იცოდა, რომ მთავარია მუ-
შაობა და არა ლაპარაკი. მას შეეძლო შეემჩნია მოულოდნელი რამ და
არასოდეს გვერდს არ აუვლიდა ასეთ მოვლენას. და მესამე — მისი ფი-
ლოსოფია, რომელიც გამოხატავდა დამოკიდებულებას მეცნიერების
არსისადმი, აგრეთვე (და ამაზე მე ხშირად მიფიქრია) ის, რომ სამყაროს
ფლემინგისეული აღქმა მთლიანობაში და ადამიანის შესწავლა დაფუძ-
ნებული იყო უაღრესად ბრძნულ და ფარულ პრინციპებზე, რომელთა
შესახებ იგი არასოდეს არ ლაპარაკობდა და ამიტომ მხოლოდ თვითონ
თუ მიხვდებოდა კაცი“.

ყველაზე მეტად აუჩვილდებოდა გული ფლემინგს, რომ შესძლებო-
და იმის დანახვა, თუ როგორ სცეს პატივი მის ხსოვნას 1957 წლის 10
ოქტომბერს მის სამშობლოში, ერშირის საგრაფოში. ამ დღეს ლოკ-

ფილდ-ფარმის კარიბჭის გვერდით გაიხსნა ძალიან უბრალო ძეგლი —
გრანიტის მაღალ ქვაზე ამოკვეთილია სადა წარწერა:

სმრ ალექსანდრე ფლემინგი,
პენიცილინის გამომგონებელი,
დაიბადა აქ, ლოკფილდში,
1881 წლის 6 აგვისტოს.

დარველიდან მომავალი გზით, რომელიც ლანდებში მოიკლავნება, ძეგლის საზეიმო გახსნაზე რამდენიმე მანქანა და უამრავი ხალხი ჩამოვიდა, რომელთაც ფეხით გაიარეს ოთხი მილი ქალაქიდან ფერმამდე — ესე იგი ის გზა, რომელსაც გადიოდა ალექსანდრე ფლემინგი სკოლიდან შინ დაბრუნებისას. როდესაც ქვას წმინდა ანდრიას ჯვრიანი დროშები ჩამოსხნეს, provost *-მა დამსწრეთ მოუთხრო ალექ ფლემინგის ბავშვობაზე, რომელმაც ამ ფერმაში გაიარა. მისმა მშობლებმა, ჰიუ და გრეის ფლემინგებმა, ამ შესანიშნავმა ადამიანებმა, ისე აღზარდეს. თავიანთი შვილი, რომ ამან სამუდამო კვალი დაამჩნია მის ცხოვრებას. ამ ხეობებში და ფერმის ირგვლივ გარშემორტყმულ ბორცვებზე თამაშობისა და მუშაობისას ალექმა ისწავლა ბუნების გაგება და სიყვარული. ფლემინგის ცოლი უმზერდა შემოდგომის მშვენიერ ცას, გასცქეროდა უკიდევანო სივრცეებს, ბორცვების ლამაზ დამრეც ფერდობებს და ფიქრობდა, რომ ცხოვრების მოუსვენარი ფუსფუსის ზეამაღლებული უგულვებელყოფა, რომელიც ხიბლავდა მას ქმარში, ალბათ გაპირობებული იყო სამყაროს სიდიადითა და საკუთარი თავის უსუსურობით, რასაც ვანიცდის ბუნებასთან მარტოდმარტო დარჩენილი ადამიანი.

„იმ დღეს, 1881 წლის 6 აგვისტოს, — განაგრძობდა მერი, — ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, რომ უმწეო, ჰყიპინა ჩეილი იმისთვის გაჩნდა ამ ქვეყნად, რომ მთელი თავისი ცხოვრება კაცობრიობისათვის შეეწირა“. თვით ფლემინგი ერთხელ წერდა: „ხშირად გვგონია, რომ თვითვე ვართ ჩვენი ბედის განმგებელნი, მაგრამ შესაძლოა უფრო ჰკვიანი იყო შექსპირი, როცა თქვა:

ბედი განაგებს ჩვენს ცხოვრებას.

თუმც სულ სხვაგვარად ჩავიფიქრეთ ჩვენ იგი.

* მერი შოტლანდიაში (ინგლ.).

ყოველ ჩვენგანს შეუძლია უკან მოხედოს განვლილ გზას და საკუთარ თავს შეეკითხოს: რა მოხდებოდა, ის რომ არ ეკეთებინა, რასაც აკეთებდა, — ხშირად ყოველად უსაფუძვლოდ. ჩვენს წინაშე ყოველთვის ორი გზაა; უნდა ავირჩიოთ ერთი მათგანი და არ კი ვიციტო, თუ მეორე საით მიემართებოდა. შესაძლოა მათგან უკეთესი ამოვირჩიოთ, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ვერასოდეს ვერ მივხვდეთ, თუ რომელ გზას უნდა დაედგომოდით“.

ფლემინგმა სწორი გზა აირჩია და, ასე თუ ისე, ბედიც შეეწია.

აღეკსანდრე ფლემინგზე, პენიცილინის აღმოჩენზე, გაუზვიადებულად შეიძლება ითქვას: მან დაამარცხა არა მარტო სნეულეზი, არამედ სიკედილიც. მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი მედიკოსი თუ გამხდარა ესოდენ დიადი ისტორიული დიდების ღირსი. „განსაკუთრებული გარემოებანი საჭირო მეცნიერის სახელი მეცნიერებიდან კაცობრიობის ისტორიაში რომ მოხვედეს“ (ბ ა ლ ზ ა კ ი). ფლემინგის სახელი მედიცინის ოქროს წიგნში დაბეჭდილია კაცობრიობის გაჯანსაღებისათვის მებრძოლი ისეთი დიადი სახელების გვერდით, როგორცაა პასტერი, ერლიჩი, კოხი, შეჩნიკოვი, ლისტერი, პიროგოვი, პავლოვი, რენტგენი, ბანტინგი და ბესტა, შაინოტი და სხვ.

თუთუელმა მათგანმა გადატრიალება მოახდინა მედიცინის მეცნიერებაში: პასტერმა აღმოაჩინა მიკრობთა საშუალო, რამაც განაპირობა ინფექციური სნეულეზების მიზეზთა დადგენა. მათი თავიდან აცილება და მკურნალობა: ერლიჩმა მოახდინა პირველი ანტიმეკრობული ქიმიკატის სინთეზირება და ამით საფუძველი ჩაუყარა უდაღეს მეცნიერებას — ინფექციურ სნეულეზთა ქიმიკატების; თავისი ნატიფი დაკვირვებულობის მეოხებით მანვე აღმოაჩინა სისხლის წვეთები და თავის მოწაფე ლანდშტაინერს მიანდო ამ პრობლემის დეტალური დამუშავება: კონმა აღმოაჩინა ტუბერკულოზის მიკობაქტერია; მეჩნიკოვმა პირველად გამოავლინა მეცნიერულად იმუნიტეტის მატერიალური სუბსტრატები — მანამდე კი ინფექციასთან ორგანიზმის ბრძოლის რაობა აბსტრაქტული, რეალურად ხელშეუხებელი ეგონათ; ლისტერმა უშიშარყო ქირურგიული ოპერაციები ინფექციური გართულებებისაგან, რომლებიც ანტისეპტიკურამდელ ერაში ათეულ ათასობით ადამიანს მუსკს ავლებდა; პიროგოვმა ჩამოაყალიბა კლინიკური და სამხედრო-საველე ქირურგიის კლასიკური საფუძვლები, პავლოვმა საფუძველი ჩაუყარა ახალი, ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის უზუსტეს მეთოდოლოგიას და ააგო თანამედროვე ფიზიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მოხდენილი და კაპიტალური შენობა — მოძღვრება. ნერვული სისტემის ყველა უბნის ფუნქციებზე, უმაღლესი ნერვული მოქმედების ჩათვლით; რენტგენმა ბევრ სნეულეზს ახადა იდუმალების ფარდა და ამით დაუფასებელი ამაგი დასდო სნეულ ადამიანს; შაინოტმა აღმოაჩინა პერნიციოზული ანემიის,

რომელიც შემთხვევათა 100 პროცენტში სიკვდილს იწვევდა, განკურნების საშუალება, ხოლო ბანტინგმა და ბესტმა აღმოაჩინეს ინსულინი, რომელმაც დიაბეტით დაავადებულთა მილიონებს შეუშუბუქა მწარე ხვედრი. სწორად წერდა ფლემინგის გარდაცვალების შემდეგ გამოსული „British Medical Journal“ თავის საჩრდილო სტატიაში, რომ „მედიცინის პროგრესზე მსოფლიო, ბუნებრივია, ავადმყოფობათა მკურნალობის წარმატებებით მსჯელობს“. მთელი მსოფლიო იცნობს ადამიანის სიცოცხლისათვის ამ დიდ მებძოლთ; მათი სახელები კაცობრიობის ისტორიაში მოიხსენიება დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა, მხედართმთავართა, გენიალურ პოეტთა გვერდით, რადგან მათი ნამოღვაწარის მასშტაბები ნაკლებ გლობალური როდია; ვიდრე დიდი პოლიტიკოსების, მხედართმთავრებისა და ლიტერატურის ეროვნულ გენიოსთა მოღვაწეობის მასშტაბები. მართლაცდა, პასტერის, ერლიხის, ლისტერისა და მეჩნიკოვის გონებითა და ხელით შექმნილი მეცნიერული მადლი ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს იცავს სიკვდილისაგან.

მედიცინის ამ ტიტანების პლეადას შეუერთდა ალექსანდრე ფლემინგიც. უკვე ათეულ მილიონობით ადამიანს შეუნარჩუნა მან სიცოცხლე. კაცობრიობის სასიკეთო მადლის „მასშტაბურობით“ ფლემინგი ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას მედიცინის დიდ მოღვაწეთა შორის.

ვცადოთ ამის დადასტურება ფაქტებით. ფლემინგმა აღმოაჩინა პენიცილინი, რომელიც სამართლიანად ითვლება ანტიბიოტიკების მეფედ. მაგალითისათვის რომ ავიღოთ თუნდაც მხოლოდ ერთი სნეულება — პნევმონია, რომლითაც ყოველწლიურად 15 მილიონი ადამიანი ავადმყოფობს დედამიწაზე, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პენიცილინმა 20 წლის მანძილზე, ე. ი. მისი გამოყენების პირველი დღიდან ჩვენს დრომდე, უკვე მილიონობით ადამიანი, ფილტვების ანთებით დაავადებული გადაარჩინა აუცილებელ სიკვდილს. ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა სიკვდილიანობის უპრეცედენტო შემცირება მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია იმით, რომ თითქმის სრულიად ლიკვიდირებულია სიკვდილიანობა კატარული პნევმონიით, რომელიც ბავშვთა ინფექციების ხშირი გართულებაა. როგორც ინგლის-ამერიკის პრესა წერს, ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ბავშვები ახლა ინფექციურ სნეულებებზე უფრო ხშირად უბედურა შემთხვევების მსხვერპლნი ხდებიან.

პენიცილინმა ინფექციებთან ბრძოლაში მიკრობთა ვირულენტობის დასუსტება გამოიწვია. მხოლოდ მათი ცალკეული შტამები თუ განაგრობენ წინააღმდეგობას და აძლიერებენ თავიანთ ვირულენტობას, ძირითადი რაზმები კი უკვე ვაცამტვერებულია. ბევრი სნეულება, როგორცაა მაგალითად პნევმონია, მენინგიტი, ახლა უფრო მსუბუქი ფორმებით მიმდინარეობს.

პენიცილინის ამჟღავნებით შეიარაღებულ ექიმებს აღარ აშინებთ სისხლის მოწამვლა და მუცლის აპქის ჩირქოვანი ანთება (პერიტონიტი), რომლებიც წინათ ყველა შემთხვევაში სიკვდილით მთავრდებოდა.

ადამიანის გონება ისეა მოწყობილი, რომ მიუღწეველისაკენ მიილტვის, უკვე მოპოვებული კი ჩვეულებრივ ამაღლ მიაჩნია, თითქოსდა ცხოვრების კანონად, აქსიომად ჰიჩჩნევს მას. ასეთ „ჩვეულებრივ აქსიომად“ იქცა სხვადასხვა მომაკიდინებელი სნეულებებისაგან, და პირველ რიგში სისხლის მოწამვლისა და პერიტონიტისაგან, განკურნება.

არსებობს ერთი სნეულება, უფრო ხშირად ბავშვებს რომ ემართებათ ხოლმე... მწვავე ქემატრავენტური ოსტეომიელიტი (ძვლის ტენის სეფსისური ჩირქოვანი ანთება). პენიცილინის აღმოჩენამდე რამდენიმე თვის წინ ჩემს თვალწინ დაიხოცნენ პატარა ბავშვები ამ საშინელი სენისაგან, რომელსაც ანაზღეულად იწვევს ბავშვის ჩვილ ორგანიზმში მოხვედრილი სტაფილოკოკი. ბავშვების გადარჩენის არავითარი საშუალება არ არსებობდა; ძვლების მრავლობითი ტრეპანაციები და ჩირქის გარეთ გამოშვებაც კი ათიდან ცხრა შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდებოდა. მერედა როგორ იტანჯებოდნენ ბავშვები ამ ოპერაციის დროს! და მაინც ამ 10-პროცენტიანი იმედით ექიმები ყველა ღონეს ხმარობდნენ, ყველა საშუალებას მიმართავდნენ.

და აი რამდენიმე თვის შემდეგ გაჩნდა პენიცილინი.

ახლაც კი მაგონდება იმ საცოდავი ბავშვების დატანჯული სახეები. თურმე შეიძლებოდა მათი გადარჩენა...

უკან დაიხიეს კაცობრიობის სხვა მომავდინებელმა მტრემაც. აღარ გვაშინებს ეპიდემიური მენინგიტი, რადგან პენიცილინი თითქმის 100-პროცენტთან განკურნებას იძლევა, ადრე კი ამ ეპიდემიის გაჩენა შიშის ძრწოლას ჰგვრიდა მშობლებს. მათ იცოდნენ, რომ დაავადებულთა 90 პროცენტა მსხვერპლად უნდა შეწირვოდა სიკვდილის გაუმადლარ მოლოხს

უფრო შორს მოვიხედოთ უკან, მკითხველო, და გავიხსენოთ 1837 წლის 27 იანვარი. ამ ტრაგიკულ დღეს საღამოს 6 საათზე, შავ მდინარეზე გამართული დუელის შემდეგ თავის ბინაზე კარეტით მოიყვანეს ა. ს. პუშკინი.

სათნახვერის წინ, 4 საათსა და 30 წუთზე დანტესთან ორთაბრძოლის დროს პუშკინის ბრმა ცეცხლნასროლი ჭრილობა მიაყენეს მუცელში სადღელო პისტოლეტით

პუშკინს მკურნალობდნენ პეტერბურგის საუკეთესო ქირურგები—იმპერატორის ლეიბ-მედიკოსი ნ. თ. არენდტი და პროფესორი ხ. ხ. სალომონი. ტყვიის შემავალი ხვრელი მუცლის წინა კედელზე იყო. გაარღვია რა მისი რბილი ქსოვილები, ტყვიამ შიგნითა მხრიდან დაამსხვრია თქმის ძვალი, ზერელედ დააზიანა წვრილი ნაწლავის მარჯული და ძვლის შეშხები მხრიდან გავაში გაეჩხრა.

გაკვეთის ამ მშრალი ოქმით, ამოიწურება ჩვენი ცნობები იმ დრამაზე, რომელიც გათიამაშდა 46 საათისა და 15 წუთის განმავლობაში მტანჯველი ავადმყოფობის—ჩირქოვანი პერიტონიტის შედეგად, რომელიც დაჭრის შემდეგ განუეთარდა სასიკადალო პოეტს.

ავადმყოფობის კლინიკის ობიექტური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკენათ, რომ დღეს ადვილად შეიძლებოდა პუშკინის გადარჩენა. მართლაც, შემთხვევის ადგილიდან იგი ძალიან სწრაფად წამოიყვანეს, სისხლის დაკარგვაც არ იყო ფატალური. ნაწლავებიც არ ვახვრებთ. ასე რომ, თავისუფლად მოესწრებოდა ოპერაციის გაკეთება მანამდე, სანამ ინფექცია მუცლის აქს მოედებოდა. საკმარისი იყო ტყვიის ამოღება, გარეთა ნაკერების დადება ნაწლავზე და პენიცილინის ხსნარის შეყვანა მუცლის ღრუში, შემდეგ კი რამდენიმე ათეული ნემსი პენიცილინი—და პოეტის ძვირფასი სიცოცხლე გადარჩებოდა.

პენიცილინი კურნავს არა მარტო მომავდინებელ სნეულებებს, არამედ ბევრ სხვა მძიმე ავადმყოფობასაც, რომლებიც ახლო წარსულში ხეიბრად აქცევედა ადამიანს.

იგი წარმატებით გამოიყენება ქუნთრუმისა და დიფთერიის დროს. რამდენიმე

დღეში არჩენს სუსუნატს, კლავს ათაშანგის სპიროქეტას, უღალადოდ გეიველის კოკებით გამოწველი ყველა ანთებითი პროცესის დროს...

ახლა უკვე ოფიციალურადაა აღიარებული, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ცივილიზებულ ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა სწორედ პენიცილინის მეოხებით, რომელმაც დაამარცხა ყველაზე უფრო ავი ინფექციები.

ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ევროპაში უდრიდა XVI საუკუნეში 21 წელს, XVII საუკუნეში — 26 წელს, XVIII საუკუნეში — 34 წელს, XIX — საუკუნის დამლევს კი — 50 წელს. ახლა კი ცალკეულ ქვეყნებში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა 60 წელს აღწევს (ჩვენს ქვეყანაში, ხელსაყრელი სოციალური პირობების მეოხებით — 67 წელს).

ასეთია ა. ფლემინგის დამსახურება კაცობრიობის წინაშე. მაგრამ მისი ღვაწლი ამით არ ამოწურება. პენიცილინის მიღებით ფლემინგმა მედიცინის ისტორიაში დასაბამი მისცა ახალ ერას — ანტიბიოტიკური თერაპიის ერას.

თეორიულად ეს პრობლემა ადრევე იყო დამუშავებული, და ა. შორუა გვერდს არ უღლის ამ ფაქტს (გვ. 139 — 140). მაგრამ რაკი შვერლის ყურადღების ცენტრში ფლემინგის პიროვნება და მისი ნაშრომები მოექცა, იგი ძუნწად ლაპარაკობს მის წინამორბედებზე და საერთოდ არაფერს ამბობს რუსი მეცნიერების ნაშრომებზე, რომლებსაც ა. შორუა ალბათ არც იცნობდა. ჩვენ გვინდა შევახსოვოთ ეს გულსატკენი ხარვეზი.

სამართლიანობა და პრობლემის ღრმად ახსნის საჭიროება მოითხოვს პირველ რიგში იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ ანტიბიოზის ფუნდამენტური თეორია დამუშავებულ იქნა ი. ი. მეჩნიკოვის მიერ, ხოლო სამკურნალო მიზნით ობისსოკოების გამოყენება მთელმა რიგმა რუსმა ექიმებმა სცადეს XIX და XX საუკუნეებში.

ბიოლოგიური ანტიბიოზის იდეა ი. ი. მეჩნიკოვმა წამოაყენა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ შექმნილ თავის ნაშრომებთან დაკავშირებით.

„ადამიანი კვდება ნადრეუად, სიკვდილის ბუნებრივი ინსტიქტის გამოვლინებადღე“, — წერდა იგი. ამასთან, ი. ი. მეჩნიკოვმა შექმნა ნაწლავური წარმოშობის ნადრევი დაბერების, ესე იგი ქსოვილების გაცვეთისა და ათეროსკლეროზის ცელითიტოქსიკური თეორია. იგი მიუთითებდა, რომ ძუძუმწოვარი წინაპრებისაგან შთაპოშაველობით მიღებულ მსხვილ ნაწლავებში თავს იყრან უთვალავი ბაქტერაების ნასეები, რომლებიც თავიანთი შხამით საშინლად წამლავენ ორგანიზმს, რაც მის ნადრევი დაბერებას იწვევს.

ამ თეორიის საფუძველზე ი. ი. მეჩნიკოვი სახავდა სიბერის პროფილაქტიკისა და „მკურნალობის“. კონკრეტულ გზებს — სისტემატურ კვებას მაწენით, რომელთან ერთად ორგანიზმში მილიარდობით ხვდებაიან რძემჟავა ბაქტერიები — ლობობის ბაქტერიათა მტრები.

შემდგომში მან ეს იდეა ინფექციური სნეულებათა მკურნალობის ერთერთ ძირითად პრინციპად აღიარა.

1909 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ დარკინისეული იდეა არსებობისათვის ბრძოლისა, რომელიც ცხოველთა სამყაროში მიმდინარეობს, შესაძლებელია მისდადებულ იქნეს მიკრობების მიმართაც, და რომ ამ იდეის

გამოყენება დაგვეხმარება ინფექციურ სნეულებათა გამომწვევების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ქმედითი საშუალებების მიკვლევაში.

ამრიგად, ი. ი. შენიცოვმა აღმოაჩინა და ჩამოაყალიბა ბუნებისმცოდნეობის ზოგადი კანონი — ანტიგონიზმი მიკრობთა შორის, რომელიც ღრმად და პრინციპულად იყო დაკავშირებული დარჩენის ევოლუციურ მოძღვრებასთან.

მიკროორგანიზმებს შორის შეგობრული და მტრული ურთიერთობის შესწავლა ახლა სპეციალური მეცნიერების—ბიოცენოლოგიის საგანს წარმოადგენს. ბიოცენოლოგიამ განსაზღვრა რამდენიმე სახის ურთიერთობა მიკრობთა შორის—სიმბოზი (თანაცხოვრება), ანტიბიოზი (ანტიგონიზმი) და მეტაბიოზი (ერთი სახის მიკრობები გზას უხსნიან სხვებს თავდასასმელად).

1869—1871 წლებში ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა ვ. ა. მანასეინმა და ა. გ. პოლოტენოვმა მსოფლიოში პირველმა მიუთითეს *Penicillium*-ის სოკოს სამკურნალო თვისებებზე და მისი კულტივირების შესწავლაც კი დაიწყეს.

თავისი დროის გამოჩენილი თერაპეუტი და მოწინავე საზოგადოებრივი მოღვაწე ვ. ა. მანასეინი და რუსული დერმატოლოგიის ფუძემდებელი ა. გ. პოლოტენოვი შეუდგნენ მწვანე ობის ანტიბიოლოგიური თვისებების საფუძვლიან კვლევას.

1871 წელს „სამხედრო-სამედიცინო ჟურნალში“ დაიბეჭდა ვ. ა. მანასეინის სტატია „მწვანე მტევანასთან ბაქტერიების ურთიერთობის შესახებ“. ეს სტატია იყო 1868—1870 წლებში გამოქვეყნებულ ა. გ. პოლოტენოვის ნაშრომების გამოპასუხება. მეცნიერებს შორის წარმოშობილი დავა რამდენადმე თეორიული ხასიათისა იყო, მაგრამ საინტერესოა არა ეს, არამედ ის შესანიშნავი დაკვირვებები, რომლებიც მოჰყავდათ მეცნიერთ თავიანთი დასკვნების დასასაბუთებლად.

ვ. ა. მანასეინის მიზანი იყო: დაემტკიცებინა, რომ ბაქტერიები არ არიან წარმოშობილი მწვანე ობისაგან, რომელსაც ა. გ. პოლოტენოვი ყველა მიკრობის საერთო წინაპრად მიიჩნევდა. ამის დასადასტურებლად ვ. ა. მანასეინი მწვანე ობს თესავდა განსაკუთრებულ ნიადაგებზე. და აი სწორედ ამ დროს შეამჩნია მან, რომ ამ ნიადაგზე „არასოდეს არ ხდებოდა მიკრობების ზრდა-განვითარება.“ მაშასადამე, მას დაუდგენია, რომ ობი ხელს უშლიდა მიკრობების ზრდა-გამრავლებას.

ფლემინგის ფენომენი ვ. ა. მანასეინისათვის ცნობილი იყო 92 წლის წინ, ანუ ფლემინგის აღმოჩენამდე (1928 წ.) 57 წლით ადრე. თუმცა ვ. ა. მანასეინის ცდებმა გააძლიერეს ა. გ. პოლოტენოვის თეორია, მიუხედავად ამისა მანაც კი შეამჩნია, რომ ბაქტერიები „ფხვს ვერ იკიდებდნენ“ იმ სითხეში, რომელშიც დათესილი იყო მწვანე ობი

იგი სწორედ ასე წერს: „ასეთი ცდების დროს სითხე ყოველთვის გამკვირვალეა და ჩვეულებრივ არც ერთ ბაქტერიას არ შეიცავს.“

ა. გ. პოლოტენოვმა პრაქტიკული (თერაპიული) დასკვნები გააკეთა თავისი დაკვირვებების საფუძველზე. მან დაიწყო წყლულების მკურნალობა სამკურნალო ობით: „სპორებიდან და ნუშის ზეთიდან დამზადებული ემულსიით ნახვევი დავადე წყლულს, რომელიც დერმატოლოგიაში ცნობილია ექთიმას სახელწოდებით, და შეამჩნია, რომ ის ძალიან მალე მოშუშდა. ხოლო იმავე ავადმყოფს სხვა ორი წყლული, რომლებზედაც დადებული იყო არა ემულსიის, არამედ თუთიის მალამოს ნახვევი, ორი-სამი დღის განმავლობაშიც კი არ შეუხორცდა“.

ასეთი შედეგით გამხსნევებულმა ა. გ. პოლოტებოცმა თავისივე სამსახურის შენობის, სამკურნალო დაწესებულების, სარდაფში მიაგნო ობს და სამკურნალოდ გამოიყენა იგი.

„ახლანა აღწერილი მასალის გამოყენებით ამავე წესით ხდებოდა ნახევების დადება ოთხი ავადმყოფის კრილობებზე. მთვან ორს სიფილისური წყლული ჰქონდა, ერთს — ძირმაგარის გამორწყვის შემდეგ გაჩენილი წყლული და ერთს კი — ვარიკოზული წყლულები ქვედა კიდურზე. ობის ნახვევის დადების შემდეგ სიფილისური წყლულებში აღინიშნებოდა უაღრესად საინტერესო მოვლენები, რაც გამოიხატებოდა წყლულის ფსკერის გასუფთავებით და კიდებზე ინფილტრაციის შემცირებით“.

მაგრამ ყველაზე საინტერესო დაკვირვებას ქვემოთ აღწერს ა. გ. პოლოტებოცი: „ქანის ზედაპირულ და ღრმა, ზოგჯერ სისხლმდენ წყლულებში. რომლებსაც 10 დღის განმავლობაში მთლიან ფენად ვადებდით ბაქტერიებგარეულ *Penicillium*-ის სპორებს, არაერთი გართულებას არ ჰქონია ადგილი; პირიქით, ასეთი პირობების დროს, ზოგჯერ წყლულებში აღინიშნება უაღრესად მკვეთრი გაუმჯობესება“.

თავის ნაშრომს ა. გ. პოლოტებოცი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ჩემს მიერ ჩატარებული ცდების შედეგები, ვფიქრობ, გაგვაბედინებს ასეთივე დაკვირვებების ჩატარებას ოპერაციულ კრილობებზეც, აგრეთვე ღრმა ჩირქგროვებზე. მხოლოდ ასეთ დაკვირვებებს შეუძლიათ ქირურგიისათვის ობს მნიშვნელობის საკითხის ექსპერიმენტული გადაწყვეტა“.

ამრიგად, ორმა გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა არა მარტო საძიარველი ჩაუტარეს ანტიბიოტიკებით მკურნალობის შესანიშნავი იდეას, არამედ ამავე დროს მეცნიერული საფუძველიც გამოიხსნეს ერთ-ერთი მძლავრი სამკურნალო საშუალების — პენიცილინის — აღმოჩენისათვის.

მეტის გაკეთება მათ არ შეეძლოთ. ქიმიის მეცნიერების მაშინდელი დონე სამკურნალოწამლო პრეპარატის დამზადების საშუალებას არ იძლეოდა.

1904 წელს რუსი მეცნიერი პროფესორი მ. გ. ტარტაკოვსკი ერთხელ კიდევ მიუბრუნდა სოკო-მკურნალს. მან შეისწავლა მისი მოქმედება ქათმების ექსპერიმენტულ ტიფზე. თავის ნაშრომში მ. გ. ტარტაკოვსკი წერდა: „დაკვირვებებიან, რომ *Penicillium glaucum*-ის გავლენით ქათმების ექსპერიმენტული ტიფის კონტაგია იღუპებოდა“.

სამწუხაროდ, სამამულეო მეცნიერების ისტორიისადმი უყურადღებობამ, არქივებში მუშაობის სურვილის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ ასეთი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში არ გაგრძელებულა და არ გაღრმავებულა.

მე მგონი, რომ საბჭოთა მკითხველისათვის საინტერესოა ეს მოკლე ისტორიული ცნობები. მაგრამ განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ფლემინგმა პირველმა გადაიყვანა თეორია პრაქტიკის რელსებზე, მიკრობული ანტიბიოზის ბიოლოგიური ფენომენიდან მან ნახტომი გააკეთა მიკროორგანიზმთა შორის ბრძოლის სამკურნალო მნიშვნით გამოყენებისაკენ. მან მოგვანოდა ინფექციებთან ბრძოლის ახალი, მარტივი და ყველაზე უფრო ეფექტური ხერხი — ბიოლოგიური საშუალება. ფლემინგმა გადაწყვიტა ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმში „რქებით შეეჯახებინა“ ერთ-მანეთისათვის ანტაგონისტები, ანტიბიონტები — პათოგენური მიკრობი და მისი მოწინააღმდეგე სოკო; ამ ბრძოლაში ადამიანი ასრულებდა *tertius gaudens*-ის როლს

(„ორხი ჩხუბობენ, მესამე კი ხარობს“). ფლემინგის პრინციპს მაშინვე მიუჩინეს კუთვნილი ადგილი სამკურნალწამლო საშუალებათა არსენალში. მეცნიერები თავგამომოდებით შეუდგნენ ახალი ანტიბიოტიკების ძებნას, და ვასაოცარი შედეგები მიიღეს. საემპირიო დაეასახელოთ სტრეპტომიცინი, რომელმაც დაამარცხა ტუბერკულოზი და მომავლდინებელი გართულება ამ სნეულებსა — ტუბერკულოზური მენინჯიტი. — და აგრეთვე ფილტვის ქირი. აურეომიცინის (სამამულო ბიომიცინის) აღმოჩენამ დაამარცხა პარტახტიანი ტიფი და მრავალი სეფსისური ინფექცია. კომპლექსში ანტიბიოტიკებს მოქმედების ისეთი ვრცელი სპექტრი ახასიათებთ, რომ არსებითად არ დაჩვენია არც ერთი ბაქტერიული ინფექცია, რომელსაც არ სჯაბნიდეს ეს პრეპარატები. მხოლოდ ვირუსები გადაურჩნენ ჭერჭერობით მათ მახვილს.

ფლემინგის აღმოჩენა ერთ-ერთი განსაკვირვებელი მონაპოვარია მეცნიერებისათვის. თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბით, ჩვენი აზრით, იგი საესებით შეესაბამება ჩვენს ატომურ საუკუნეს და არის რაღაც ქემშიარტი სამართლიანობა იმაში, რომ ეს აღმოჩენა დაემთხვა ატომური ფიზიკის განვითარებას. მაშასადამე, მედიკოსებსაც აქვთ თავიანთი სააშაყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში პენიცილინის წარმოებას სწრაფად მიუცა ფართო ვასაქანი. არც ინიციატივა დაგვეკლებია და ბევრ ორიგინალურ გადაწყვეტასაც მივაღწიეთ.

ამ თვალსაზრისით არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მსოფლიო ანტიბიოტიკოლოგიატ ბევრს უნდა უმაღლოდეს ანტიბიტიკოთა ენთუზიასტს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდილ წევრს პროფესორ ზ. ვ. ერმოლევას. ფლემინგის, ჩეინისა და ფლორის აღმოჩენის შემდეგ ზ. ვ. ერმოლევამ დაიწყო ინტენსიური, დაუცხრომელი მუშაობა პენიცილინის დასამზადებლად. მან გამოიყვანა ამ სოკოს საკუთარი შტამები და ყოველმხრივ ხელი შეუწყო პენიცილინის ლაბორატორიულ და შემდეგ კი საქარხნო წარმოებას ჩვენს ქვეყანაში. მიმდინარეობდა ომი, საკირო იყო ასეულ ათასობით დაქრილის გადაჩენა. ზ. ვ. ერმოლევა მეცნიერი მედიკოსების ბრიგადასთან ერთად ფრონტზე წავიდა და იქ საბრძოლო პარობებში ამოწმებდა საბჭოთა პენიცილინის ქმედილობას...

ანდრე მორუა გამოცდილი და სახელგანთქმული მწერალი ვახლავთ. პოეტების, მწერლების, დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა ბრწყინვალე ბიოგრაფიების ავტორმა ამჯერად მთელი თავისი ნიჭი ჩააქსოვა ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერისა და პუბლიცისტიკის იერსახეს, და ეს მწერლის უცილობლად დიდი დამსახურებაა.

„ჩვენს დროში, როდესაც მეცნიერება ესოდენ დიდ ცვლილებებს ახდენს აღამიანის არსებობაში — როგორც გაუმჯობესების, ისე გაუარესების მხრივ, — საესებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იწვევს მეცნიერის ცხოვრება“, — წერს ა. მორუა.

მორუამ გულმოდგინედ რომ შეისწავლა ფლემინგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, თავისი გმირის იერსახეზე მუშაობის პროცესში, ჩანს, გულმხურვალედაც შეიყვარა იგი. ამიტომ ავტორის ნაწერს. განსაკუთრებული ემო-

ციური იერი დაკრავს, და მწერლის პირადი სიმპათიები ნებაუნებურად მკითხველსაც გადმოეცემა.

ამ თვალსაზრისით მორუამ მართლაც ძალიან კარგი წიგნი დაწერა. მას ოსტატურად ემარჯვება მეცნიერის რეალური, ნამდვილად ცოცხალი და ხელშესახები სახის შექმნა. ეტყობა დიდხანს გაგრძელდა მწერლის „შეზრდა“ ფლემინგის იერსახესთან, და როცა ამ სახემ ღრმად გაიღვა ფესვები მის მხატვრულ შემეცნებაში, ალბათ მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა გმირის გამოძიერებას.

მწერლის წინაშე ძნელზე ძნელი ამოცანა იდგა—მას უნდა აესახა ყველა ფარული მექანიზმი, ყველა ზამბარა, რომელმაც განაპირობა ეს დიადი აღმოჩენა, მას უნდა დაეწერა ფლემინგის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

თუმცა ა. მორუა სპეციალისტი არაა და ფლემინგის გამოკვლევებს სიღრმეში არ ჩაჰყვია, მაგრამ ის კი ბრწყინვალედ გვიჩვენა, რომ მეცნიერების დიად მონაპოვართა გზა ნარეკლიანი და ღრამატულია.

მორუამ სამართლიანად გააქარწყულა ზოგიერთი მწერლის მიერ შეთხზული ლეგენდები მეცნიერულ აღმოჩენათა შემთხვევითობაზე. ცნობილ პარაზიტოლოგ რონალდ როსს ძალიან მახვილგონიერულად აქვს ნათქვამი ამის შესახებ.

თავის მემუარებში იგი წერს, რომ, სამწუხაროდ, ზოგზოგებს დაახლოებით ასე წარმოუდგენიათ დიადი აღმოჩენების ამბავი: „მეცნიერს ნახევარი საათი კიდევ ჰქონდა სადილობამდე. საათს რომ შეხედა, გულში გაიკო: „რაკი ეგრეა, მოდი ჩავალა-ზმორატორიაში და აღმოჩენას გვაკეთებ“. ბიოგრაფებმა მკითხველებს უნდა გააცნონ პერიპეტეიები. და არაჩვეულებრივია სიძნელეები, რომლებიც წინ უძღვიან მეცნიერთა აღმოჩენებს.

ანდრე მორუამ გვიჩვენა, რომ მეცნიერული აღმოჩენისათვის პირველ რიგში საჭიროა შრომა — თავდადებული, შემოქმედებითი, რომანტიკული ვატაცებით მუშაობა. ფლემინგი სწორედ ასე მუშაობდა, მისი შრომა თითქოსდა პიანოსს უკეთებდა თანამშრომლებს.

ასეთი წიგნები, როგორც მორუასია, გარდა შემეცნებითი ღირებულებისა უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა, პირველ რიგში კი ახალგაზრდობისათვის. ასეთი წიგნები მეცნიერების სიყვარულს უნერგავენ მკითხველს. „გახსოვდეთ, — წერდა ი. პ. პავლოვი ჩვენს ახალგაზრდობას, — რომ მეცნიერება ადამიანისაგან მთელ მის ცხოვრებას მოითხოვს. და ორი სიცოცხლეც რომ გქონდეთ, მაინც არ გეყოფოდით. დიდ დამაბულობასა და უდიდეს მგზნებარებას მოითხოვს მეცნიერება ადამიანისაგან. იყავით მგზნებარენი თქვენს მუშაობაში და თქვენს მაძიებლობაში“. მაგრამ საქმის წარმატებისათვის არ კმარა მხოლოდ მგზნებარება მეცნიერისა. აუცილებელია შემოქმედებითი შრომის მაღალი ორგანიზებულობა. მორუამ ბრწყინვალედ გვიჩვენა ალექსანდრე ფლემინგის ეს შესანიშნავი თვისება. პირველიდან ბოლო გვერდამდე ფლემინგი ჩვენს თვალწინ მიაბიჯებს როგორც განსაკუთრებით ორგანიზებული, შემოქმედებითად მიზანსწრაფული, მეცნიერული მუშაობისათვის მუდამ მზადმყოფი მკვლევარი.

ამიტომაც მისი ექსპერიმენტები მეცნიერული სიზუსტის თვალსაზრისით უზადოა ამიტომაც მისი დასკვნები ობიექტური, იგი სულაც არ ჩქარობს, არ ჩქარობს დასკვნების გაცემებას, მაგრამ თუ შეეპიდა საქმეს, ისე ექცევა, როგორც ქეშმარიტ ექს-

პერიმენტატორს სჩევია — ხელიდან როდი გაუშვებს მნიშვნელოვან დაკვირვებას. ვერდიტ როდი ჩაურა მან ლიზოტიმის აღმოჩენას; მით უმეტეს პენიცილინისას. მაშინვე ხელი ჩასჭიდა იმ უცნაურ ამბავს, რომელიც შეემთხვა პეტრის ფინჯანს. კომელშიც მწვანე ობზა მტსარს გააქლო სტაფილოკოკების კულტურას. და in vitro-შიც აქცია იგი. რომელ ჩვენთავანს არ მოსვლია ეს მაკრობიოლოგობის დაწყებისას, მაგრამ ასეთი მოვლენისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია და გულმოსულთ შორს მოგვისერია „მარცხიანი“ ფინჯანი. ვაი რომ არ გავგესხენებია მაშინ ი. პ. ჰავლოვის მითითება იმაზე, რომ საქიროა არა მარტო წარმატების. არამედ წარუმატებლობის შესწავლაც.

ექსპერიმენტის წარუმატებლობის მიზეზების შესწავლას ძალიან ხშირად მიჰყავს მეცნიერების დიდოსტატები შესანიშნავ აღმოჩენამდე.

მორუას მხედველობიდან არ გამორჩენია აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ჩვენს დროში დამახასიათებელია მეცნიერული შემოქმედებისათვის: უკონკრეტოდ, რომელიც შემოქმედებითი ენთუზიაზმით უნდა იყოს მოცულ, და ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე ძნელია ბოლომდე მიყვანა თვით ძვირფასი მეცნიერული აღმოჩენებისაც კი.

მოშვენი ვიყავით იმისა, რომ ფლემინგის იდეამ ინგლისში ვერ ჰპოვა საქირო მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერა, მაგრამ შემდეგ საქმეში ჩაერთო განთქმული რუსეთის რისკოვარის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბიოქიმიკოსი ე. ჩეინი და ავსტრალიელი პათოლოგანატომი გ. ფლორი.

მათი მახვილვანიერული ტექნიკური წინადადებები (ჩეინი) და კლინიკაში გამოცდა (ფლორი) რომ არა, პენიცილინს სამკურნალწამლოდ ვერ მიიღებდნენ.

სწორედ ჩეინმა და ფლორიმ შეიღეს პენიცილინის როგორც სამკურნალ პრეპარატის პრობლემის ბრწყინვალედ გადაწყვეტა.

კვლევის ეს საბოლოო ფაზა, მისი მეცნიერული და ტექნიკური მხარე წიგნში მკრთალადაა გაშუქებული; ავტორი ზოგადი მიმოხილვით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ საკმაოდ უხეად, ჩემი აზრით, ცოტა მსუყვედაც კია აღწერილი საყოფაცხოვრებო ამბები (ფლემინგის ტურისტული მოგზაურობები, მეგობრების ქცევა, მიღებების, შეხვედრების აღწერა, ოჯახები, და სხვ.).

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანდრე მორუას დინტერესებდა პირველ რიგში ალექსანდრე ფლემინგის პიროვნება, და, როგორც ოსტატმა მხატვარმა, რომელმაც ღიად პიროვნებათა ბიოგრაფიების ორიგინალური ენარი შექმნა, ა. მორუამ წარმატებით გადაწყვიტა მის წინაშე მდგომი ამოცანა: ფლემინგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ამ წიგნის კითხვას რომ დაიწყებს კაცი, ვეღარ. მოშორდება, სანამ არ დაამთავრებს; პირველი ფურცლებიდანვე გვზიბლავს ანტიბიოტიკების ეპოქის უღრესი მეცნიერ-პირველადმოჩენის იერსახე; მიმოზიდველად, უაღრესად საინტერესოდაა აღწერილი რთული გზები, რომლებმაც ღიად აღმოჩენამდე მიიყვანა მკვლევარი. მხატვარმა-მწერალმა ისე აღწერა მეცნიერული აღმოჩენები, რომ მთახერამ მკითხველის წარმოსახვის მობილიზება, ხოლო „წარმოსახვა ხელს უწყობს საზრიალობას“, — წერს ს. ი. შარაჟი ამ ენარის წიგნებზე. „მეცნიერების აღმოჩენებზე დაწერილი წიგნი უფრო ადვილად გაიკვლავს გზას მკითხველის გონებისა და გული-საკენ, თუ მას წერს არა გულგრილი კომპილატორი, რომელიც თავის აუდიტორიას

აწვდის დამუშავებულ და უკვე გაცივებულ მზა აზრებსა და დასკვნებს, არამედ ისეთი ადამიანი, რომელმაც მკითხველთან ერთად შეიცნო სამყარო, წყვეტს რთულ პრობლემებს, ეძებს გამოსავალს წინააღმდეგობებიდან და ხარობს მათი გადაწყვეტით. მეცნიერების პროპაგანდა ხელოვნებაა. წიგნი, რომელიც ამ ამოცანას ისახავს, პოეტურად უნდა იყოს“.

მორუას წიგნი ფლემინგზე და მის აღმოჩენებზე კეშმარიტად პოეტური ნაწარმოებია.

ამიტომ მისატყვებელია თითო-ორიოლა სამედიცინო უზუსტობა: როგორა;კა მ-გალითად პენიცილინის მოქმედების მექანიზმის აღწერა და პენიცილინის აღმოჩენის რამდენადმე ზედამიწული განხილვა ისტორიულ-ბიოლოგიური თვალსაზრისით.

1961 წელს პარიზში პირადად შეეხვდი ამ შესანიშნავი წიგნის ავტორს.

საწერ მანქანას უჭდა, მიიღო დღის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ დაღლილობა ეტყობოდა, მაგრამ თავის ასაკთან შედარებით უფრო ახალგაზრდული და მხნე იერი ჰქონდა, შეიძლება იმიტომაც შეჩვენა ასე. რომ თავი ლაღად ეკირა და ძალიან კომწიად ეცეა.

მორუამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი დაფიქრებული კაცია, ესე იგი ყოველივეს უფიქრდება, რასაც ამბობს და რასაც ისმენს. საერთოდ სიტყვაძვირია, მაგრამ მის ყოველ სიტყვას ფასი აქვს და დამაჯერებელია. მისი სიღინჯე, გარეგნობაც კი ჰარმონიულადაა შერწყმული მწერლის სამუშაო ატმოსფეროსთან, განსაკუთრებით მის გარემომცველ წიგნების სამეფოსთან (ვეებერთელა დარბაზში მწყობრებადაა განლაგებული მისი უნიკალური ბიბლიოთეკის სტელაჟები).

მორუა ჩაფლულია ლიტერატურულ მუშაობაში, იგი ტიტანურ შრომასთან შემბული მწერალი განლავთ.

ძალიან გაეხარდა, როცა შეიტყო, რომ მისი წიგნის რუსული თარგმანი რამდენიმე თვეში დაიბეჭდებოდა (მაშინ მზადდებოდა „ალექსანდრე ფლემინგის ცხოვრების“ პირველი გამოცემა), და მთხოვა მხურვალე ავტორისეული სალაში გადმომიცეა საბჭოთა მკითხველებისა და პატრისმცემლებისათვის. ესარგებლობთ შემოხვევით, რომ შევასრულო მისი თხოვნა.

ს ს რ კ ა ე შ ი რ ი ს მ ე დ ი ც ი ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა
კ კ ა დ ე მ ი ი ს ნ ა მ დ ე ი ლ ი წ ე ვ რ ი პ რ ო ფ ე ს ო რ ი
ი . კ ა ს ი რ ს კ ი .

სპეციალური ტერმინების ლექსიკონი

- აგარ-აგარი. ნიეთიერება, რომელსაც შეიცავს ზღვის წყალმცენარეები და რომელიც ბაქტერიოლოგიაში გამოიყენება მიკრობთა კულტურების გასაზრდელი მყარი ან ნახევრადთხიერი საკვები ნიადაგების მოსამზადებლად.
- ანტიტოქსინები. მიკრობული ტოქსინები, რომელთაც ტოქსიკურობა დაკარგული აქვთ გახურებით ან ფორმალინის ზემოქმედებით. ეს შეცვლილი ტოქსინები გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების, მაგალითად, დიფთერიის, გაშეშებისა და სხვათა საწინააღმდეგო აცრებისათვის.
- ანაფლაქსიკა. ამათუიმ ნიეთიერების მიმართ ორგანიზმის მომატებული მგრძობელობის მდგომარეობა.
- ანტისეპტიკა. ქიმიური ნიეთიერებების მეოხებით სენგამომწვევი მიკრობების მოსპობის წესი.
- ანტისხეულები. ცილოვანი წარმოშობის ნიეთიერებები, რომლებსაც გამოიმუშავენ ორგანიზმი ანტიგენების შეყვანის საპასუხოდ და რომლებიც ხელს უწყობენ იმუნიტეტის შექმნას ორგანიზმში.
- ანტიგენები. ცხოველური ან მცენარეული ცილები, მიკრობული ტოქსინები.
- ასეპტიკა. კრილობაში მიკრობთა მოხედრის თავიდან ასაცილებელი მეთოდების ერთობლიობა.
- აუტოვაქცინა. მოკემული ორგანიზმიდან გამოყოფილი მიკრობებისაგან დაშალებული ვაქცინა.
- ბაქტერიოა. მიკროსკოპული ერთუჯრედოვანი ორგანიზმი, გაყოფით გამრავლებადი, ახლოს დგას სოკოების კლასთან. ბაქტერიითა ძირითადი ორი ჯგუფი: კოკები და ბაცილები.
- ბაქტერიოლიზა. მიკრობთა გახსნა.
- ბაქტერიოლიზინები. მიკრობთა გამხსნელი ნიეთიერებები.
- ბაქტერიოსტატიკური მოქმედება. პრეპარატის თვისება ხელი შეუშალოს მიკრობთა გამრავლებას.
- ბაქტერიოციდიულიობა. მიკრობთა დახოცვის უნარი.
- ბაქტერიოდეზი. ფართო და უძრავი ბაცილები. მათგან ყველაზე უფრო ცნობილია ციმბირის წყლულის ჩხირი.
- ბაცილა. მიკროსკოპული ერთუჯრედოვანი ორგანიზმი, სწორი ან მოღუნული ჩხირის ფორმისა.

ბიოქიმიკოსი. ბიოლოგი, რომელიც სპეციალიზებულია ცოცხალი ორგანიზმების ქიმიის შესწავლაში.

გონოკოკები. გონორეის (სუსუნატის) გამომწვევენი.

დიაპედეზი. სისხლის ბურთულების გამავლობა სისხლძარღვის კედელში.

ვირუსები. წინათ, პასტერის დროს, ამ სახელწოდებით აღნიშნავდნენ ყველა ინფექციურ მიკროორგანიზმს, მათში შემავალ სითხესაც კი. ახლა ამ ტერმინით აღნიშნავენ უბატარავეს მიკროორგანიზმებს, რომლებიც ვაღიან ბაქტერიების დამკერ ქაშანურ ფილტრებში. ასე რომ, არსებობენ დასუსტებული ბაქტერიები და ვირუსები. ერთად ისინი მიკრობთა ვეებერთელა სამყაროს ქმნიან.

იმუნისაცია. მეთოდი, რომლის მიზანია განსაზღვრული მიკრობის ან მიკრობული ტოქსინის მიმართ ორგანიზმის აუთისებლობის მიღწევა.

ინოკულაცია. ბაქტერიის ან ვირუსის შთანერგვა ორგანიზმში.

კოკები. სფეროსებური ფორმის მიკრობები.

ლეიკოციტები. სისხლის თეთრი ბურთულები.

ლიმფა. ლიმფურ სადინარებში მიმდინარე სითხე. მოყვითალო-თეთრი ფერის უსუნო, ტუტოვანი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით სისხლის თეთრ ბურთულებს და უმნიშვნელო რაოდენობით წითელ ბურთულებს, აგრეთვე ცხიმებსა და ფიბრინს.

მიკოლოგი. ბიოლოგი, რომელიც სპეციალიზებულია სოკოების შესწავლაზე.

მუტაცია. ყოველგვარი ხელახლა წარმოქმნილი მემკვიდრეობითი ცვლილება.

ოპსონიზები. ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს ფაგოციტების მიერ მიკრობთა შთანთქმას.

პათოგენური. სენგამომწვევი.

პენიცილიუმი. ობის სახესხვაობა. ერთ-ერთი მათგანიდან — პენიცილიუმ ნოტატუმიდან — ალექსანდრე ფლემინგმა მიიღო პენიცილინი, — ინფექციურ სნეულებათა საწინაღმდეგო ძლერი სამკურნალო საშუალება.

pH — მოხერხებული შემოკლებული აღნიშვნა, რომელიც გვიჩვენებს ხსნარის მჟავობის ან ტუტოვანობის ხარისხს.

პროთეინები. ცილები.

სექტიცემია. სისხლში ბაქტერიის ან ვირუსის მოხვედრით გამოწვეული სისხლის საერთო მოწამვლა.

სტაფილოკოკები. სფეროსებური ბაქტერიები — კოკები, რომლებიც ქმნიან ყურძნის მტევნის მაგვარ დაკროვებას უჩრდლებისას.

სტრეპტოკოკები. სფეროსებური ბაქტერიები — კოკები, რომლებიც ჭაჭვისებურად ლაგდებიან.

სუბსტრატები. ნაერთი, რომელზედაც მოქმედებს ფერმენტი.

ტოქსინები. ბაქტერიების მიერ საკვებ ნიადაგზე ან ორგანიზმში გამოყოფილი ნივთიერებები.

ტრიპანოზომები. უმარტივესნი, ლაბრისებურთა კლასიდან. პარაზიტობენ ხერხეზლიანთა ორგანიზმში. ერთ-ერთი სახეობის ტრიპანოზომები იწვევენ სალათას ძილს.

- ფ ა გ ო ც ი ტ ე ბ ი. სახელწოდება ორგანიზმის ისეთი უჯრედებისა, რომელთაც უნარი აქვთ დაიჭირონ და მოსპონ უცხო სხეულები, და კერძოდ მიკრობები.
- ფ ე რ მ ე ნ ტ ი. ნივთიერება, რომელიც აჩქარებს ორგანული ნაერთების ცვლილებებს.
- ფ ი ლ ტ რ ა ტ ი. ფილტრში (მაგალითად ქაშანურის) გატარებული სითხე.
- ქ ე მ ო ტ ა ქ ს ი ს ი. ორგანიზმის მიზიდვა ან განზიდვა ორგანული ან არაორგანული ნივთიერებების მიერ, რომლებიც გავლენას ახდენენ უჯრედული პროტოპლაზმების მოძრაობის მიმართულებაზე. მკაფიოდ გამოხატული ქემოტაქსისი ახასიათებთ ამებებს და სისხლის თეთრ ბურთულებს.
- ქ ი მ ი ა თ ე რ ა პ ი ა. ადამიანს ან ცხოველის ინფექციურ სნეულებათა მკურნალობა სინთეზური სამკურნალო პრეპარატებით.
- ჰ ი პ ო ტ ო ნ ი უ ლ ი ზ ს ნ ა რ ი. ისეთი ზსნარი, რომელშიც მარილის კონცენტრაცია უფრო მაღალია, ვიდრე სისხლის შრატში.
- პ ე მ ო რ უ ლ ი ფ ა ქ ტ ო რ ი. ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ქსოვილის სითხეების მეშვეობით.

**ალექსანდრე ფლემინგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ძირითადი თარიღები**

- 1881, 6 აგვისტო — დაიბადა ალექსანდრე ფლემინგი.
1901 — ჩააბარა გამოცდა საშუალო სკოლის დამთავრებაზე და მოეწყო სენტ-მერის საავადმყოფოსთან არსებულ სამედიცინო სასწავლებელში.
1906 — სენტ-მერის საავადმყოფოს ბაქტერიოლოგიურ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა ალმროტ რაიტის ხელმძღვანელობით.
1908 — ოქროს მედალზე დაამთავრა ლონდონის უნივერსიტეტი.
1914 — მუშაობს ბულონში (საფრანგეთი).
1915 — ცოლად შეირთო სარა მარიონ მაკ-ელროი.
1918 — დანიშნა ეიმზის სტაციონარულ პოსპიტალთან არსებულ ლაბორატორიის უფროსად.
1921 — აღმოაჩინა ლიზოციმი
1921 — ა. რაიტმა ა. ფლემინგი დანიშნა თავის თანაშემწედ.
1928 — აღმოაჩინა პენიცილინი.
1929, 13 თებერვალი — სამედიცინო კლუბში გააკეთა პირველი ინფორმაცია პენიცილინის აღმოჩენაზე.
1932 — გამოქვეყნდა იზოქცირებული კრილობების სამკურნალოდ პენიცილინის გამოყენებაზე ფლემინგის მიერ ჩატარებული პირველი ცდების შედეგები.
1936 — მიკრობიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესზე წაიკითხა მოხსენება პენიცილინზე.
1941 — ჩატარდა პირველი ცდები ჩეინისა და ფლორის მიერ გასუფთავებული პენიცილინის გამოყენებაზე.
1943 — დაიწყო პენიცილინის ქარხნული წარმოება.
1945 — ა. ფლემინგს მიენიჭა ნობელის პრემია.
1949 — გარდაიცვალა სარა ფლემინგი.
1953 — ცოლად შეირთო ამალია ვურეკა.
1955, 11 მარტი — ალექსანდრე ფლემინგი გარდაიცვალა.

მთავარი ბიბლიოგრაფია

Н. Н. Бурденко, Письмо хирургам фронтов о пенициллине. Москва, 1945.

З. В. Ермольева, Пенициллин. Москва, 1946.

A. Flemming, On the antibacterial action of cultures of penicillium, with special reference to their use in the isolation of B. influenza. Brit. J. Exper. Path., 1929, 10, 226.

A. Flemming, Penicillin, its practical application. London, 1946.

E. Chain and oth. Penicillin, as a therapeutic agent. Lancel, 1940, № 2, 226.

M. E. Florey, H. W. Florey, General and local administration of penicillin. Lancel, 1943, 1, 387.

H. W. Florey, Penicillin (a survey). Brit. Med. Journ., Aug., 1944:

H. W. Florey, M. A. Jennings. The principles of penicillin treatment. Brit. Journ. Surg., 1944, 32 (suppl. 125).

ს ა რ ა ე ზ ი

ავტორისაგან	3
I. იგი შოტლანდიაში დაიბადა	4
II. მიხვეულ-მოხვეული გზა	27
III. რაიტი	31
IV. ფლემინგი რაიტის ლაბორატორიაში	50
V. მოწაფეობის წლები	64
VI. 1914 — 1918 წლების ომი	65
VII. ბავშვებსა და სრულასაკონებზე	104
VIII. პირველი იმედი ლიზოციმი	117
IX. ობის ბულიონი	132
X. პენიცილინი	142
XI. ახალი „მაგიური ტყვია“ — სულფამიდები	157
XII. ოქსფორდის ჯგუფი	177
XIII. ომი და დიდება	197
XIV. სერ ალექსანდრე ფლემინგი	217
XV. ნობელის პრემია	233
XVI. საგანგებო ღესპანი	251
XVII. სიტყვაძვირი პროფესორი ფლემინგი	274
XVIII. დელფოს ორაკული	281
XIX. მეტისმეტად ხანმოკლე ბედნიერება	299
ეპილოგი	316
რუსული გამოცემის ბოლოსიტყვაობა	324
სპეციალურ ტერმინთა ლექსიკონი	334
ალექსანდრე ფლემინგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	337
მოკლე ბიბლიოგრაფია	338

Андре Моруа
Жизнь Александра Флеминга
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1969

რედაქტორი შ. სულაბერიძე
მხატვარი ნ. ხინველი
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ე. ყვანია, ე. მესხი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-69 წ.
ქალაქის ზომა 60×84//16
ნაბეჭდი თაბახი 19,76 + 1,28 ჩაკერა
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,5
ტირაჟი 50.000. შეკვ. № 1372
ფასი 1 მან. 18 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5
1969

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის
თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати,
Тбилиси, ул. Марджанишвили 5.